В настоящее время чрезвычайно актуален разговор о поиске новых педагогических технологий, методов и средств обучения, которое бы соответствовало обновленному содержанию и стандартам образования. В нашей статье поговорим о проблемах обучения русского языка как иностранного (РКИ) в школах Грузии. Подробнее остановимся на учебных пособиях и программах по русскому языку для старших классов, которые, к сожалению, на самом деле дают не совсем положительные результаты. Иной раз забывая, что главной целью обучения иностранным языкам является обучение свободному ориентированию в иноязычной среде и умению адекватно реагировать в различных ситуациях, то есть свободно общаться. Поговорим об основной цели обучения иностранным языкам, каким является формирование и развитие коммуникативной культуры ученика, обучение практическому овладению иностранным языком.

Ключевые слова: русский язык как иностранный, образование, проблемы обучения, учебное пособие.

Problems of Teaching Russian as a Foreign Language in The Modern School

Abstract

At present, the conversation about the search for new pedagogical technologies, methods and means of teaching, which would correspond to the updated content and standards of education, is extremely relevant. In our article, we will talk about the problems of teaching Russian as a foreign language (RFL) in Georgian schools. Let us dwell in more detail on textbooks and programs in the Russian language for high school, which, unfortunately, in fact, do not give quite positive results. Sometimes forgetting that the main goal of teaching foreign languages is teaching free orientation in a foreign language environment and the ability to adequately respond in various situations, that is, to communicate freely. Let's talk about the main goal of teaching foreign languages, which is the formation and development of the student's communicative culture, teaching the practical mastery of foreign languages.

Keywords: Russian as a foreign language, education, learning problems, textbook.

Уже долгое время русский язык в Грузии имеет статус иностранного языка. Новое время, новые условия потребовали пересмотр как общей методологии, так и конкретных методов, и приемов преподавания иностранных языков. Одним словом, перед методикой иностранного языка встали новые задачи, которые определяются социальным заказом общества: содержание обучения должно соответствовать международному статусу. Кроме того, экономические, политические, социокультурные процессы легли в основу развития современной системы языкового образования.

Но надо иметь в виду, что история демонстрирует возможность достаточно динамичного изменения лидерства того или иного языка как средства международного общения. В древнем мире – греческий, затем латынь в Европе и арабский в Азии, в XIX веке французский, и наконец, в XX английский. Например, именно Россия (да и Грузия тоже) дала такое предпочтение французскому языку, что в образованных кругах русского

общества XIX века родной язык был оттеснён на второй план. Уровень культуры и образованности человека того времени измерялся уровнем знания французского языка.

А в XVIII веке языком науки и образования в России был немецкий язык. В московском университете, основанном М.Ломоносовым, «профессорско-преподавательский состав» состоял из немцев, и Ломоносов был единственным русским, получившим образование в Германии, женатым на немке и общавшийся, соответственно, на немецком языке.

А сегодня, как свидетельствуют исследования, выпускники британских вузов, говорящие только на английском, имеют значительно меньшие шансы получить работу в международных фирмах, чем их коллеги, владеющие несколькими, прежде всего, восточно-европейскими (русским, чешским, венгерским и др.) или восточными языками.

Что касается распространения ИЯ в Европе, то, наряду с английским, который является обязательным для изучения во всех школах Европы как первый иностранный, наиболее изучаемыми являются языки развитых в экономическом отношении стран, в первую очередь, немецкий, за ним следуют французский и итальянский.

Чисто эмпирически можно определить экономические факторы усвоения языка, которые весьма однозначно выразил в формуле один из немецких дипломатов: **«Без иностранного языка можно делать покупки, но невозможно продавать».**

Исследование, проведенное в ФРГ, показало, что для работы в 80% европейских фирм необходимо знание как минимум двух ИЯ, прежде всего английского и французского (в сочетании 25:1), а в 45% фирм – минимум трех языков (испанского, итальянского, русского). Причем наиболее нуждающимися в знании ИЯ являются не столько экспортирующие, сколько импортирующие фирмы. При этом, как подчеркивается в исследованиях, знание ИЯ необходимо будет не только на уровне экспорт-импорт, но (при образовании совместных фирм) и на всех уровнях производства – от вахтера до генерального директора.

Интересно ознакомиться с докладом Европейской Комиссии «Важнейшие педагогические принципы раннего обучения иностранным языкам» от 2006 г. (Edelenbos, 2006), в котором дается сравнительный обзор этого отчета, согласно которому стратегия Еврокомиссии - сделать систему образования Европы лучшей в мире. С этой целью были выявлены 5 ключевых принципов:

- ·граждане стран ЕС должны, помимо родного языка, уметь говорить на другом языке;
- ·все языки должны быть равноправны;
- ·каждый в ЕС должен уметь говорить на общем языке;
- ·в странах ЕС должен быть установлен единый язык для коммуникации;
- ·граждане ЕС должны уметь, не считая родного языка, говорить еще на двух языках

Эти пять принципов отражают официальную ориентацию языковой политики, а формула *«родной язык +2»* - цель, к которой необходимо стремиться всем гражданам ЕС (Edelenbos, 2006).

При разработке Европейской системы уровней проводились обширные исследования в разных странах. В результате существует 6 крупных уровней, которые представляют собой более низкие и более высокие подуровни в классической трёхуровневой системе, включающей в себя базовый, средний и продвинутые уровни. Схема уровней построена по принципу последовательного разветвления. Как всем известно, она начинается с разделения системы уровней на три крупных уровня – **А, В и С:**

Система уровней владения языком

№	Уровень	Полное название уровня
1	A	Элементарное владение
2	A1	Уровень выживания
3	A2	Предпороговый уровень
4	B	Самостоятельное владение
5	B1	Пороговый уровень
6	B2	Пороговый продвинутый уровень
7	C	Свободное владение
8	C1	Уровень профессионального владения
9.	C2	Уровень владения в совершенстве

Овладение любым иностранным языком не представляет непреодолимых трудностей и даже осуществимо в сравнительно короткие сроки для представителя любой национальности. Изучение иностранных языков внесены в учебную программу почти на всех факультетах. Например, в Международном черноморском университете английский язык является языком обучения. Но студенты могут овладеть и другими иностранными языками (*французским, русским, испанским, немецким, турецким, арабским, корейским, китайским, японским*) по выбору.

Система высшего образования сегодня подразумевает, помимо студенческой и преподавательской мобильности, реформу программ и учебных планов, сотрудничество в научно-исследовательской сфере через сети и ассоциации, открытое и дистанционное обучение без границ и другие виды деятельности. (Sadlak, 1998)

Раннее обучение ИЯ, в котором в Восточной Европе имеется большой опыт (а Западная Европа только приступает к нему в качестве эксперимента), должно быть использовано не для удлинения сроков обучения одному языку, а для предоставления возможности изучения второго и третьего ИЯ (по данным психологов, через 4 года изучения одного ИЯ наступает утомляемость и уменьшается интерес к нему). Следовательно, если первый ИЯ начинается с 1 класса, то второй может начинаться в 5-м, а третий – в 10-м. При этом 3 – 7-летние дети лучше всего сразу усваивают фонетическую систему нового для них языка, 8 – 9-летние – морфологическую, а более старшие школьники – лексическую и синтаксическую системы. Более старшие школьники изучают иностранный язык быстрее, чем их младшие братья и сестры, при этом последние быстрее забывают изученное. Так, школьники, начавшие изучать французский язык в школьных условиях с 12 лет и получившие 1400 часов языка, достигли того же уровня во владении языком, что и дети, начавшие его изучать с 5 лет и получившие 4000 часов. Взрослые же обладают значительным преимуществом по сравнению с детьми любого возраста в усвоении морфолого-синтаксической системы языка и испытывают трудности при усвоении его фонетической системы (Бердичевский, 2011).

Официальный возраст, с которого начинается изучение иностранного языка в странах Европы, варьируется от 3 до 10 лет. В некоторых странах первый иностранный язык обязателен с первого года обучения, а в некоторых испанских автономных провинциях возраст для начала изучения иностранного языка еще ниже. В Эстонии - это возраст от 7 до 9 лет, в Швеции – возраст от 7 до 10 лет. Испания предприняла большие усилия, чтобы ввести иностранный язык с детского сада (с 3-летнего возраста). В немецкоязычной части Бельгии раннее изучение иностранного языка начинается также с трехлетнего возраста (Edelenbos, 2006). Общая тенденция идет к тому, чтобы изучать иностранный язык раньше и более длительный период. Это

необходимо «не для удлинения сроков обучения одному языку, а для предоставления возможности изучения второго и третьего иностранного языка» (Бердичевский, 2011).

В Грузии иностранный язык изучается с первого класса. При этом в грузинских школах с первого класса в обязательном порядке преподается английский язык. С пятого класса школьники начинают изучать второй иностранный язык по выбору класса, многие школы выбирают русский язык. В основном русский язык рассматривается как вариант второго иностранного языка. Раньше второй иностранный язык начинали изучать с седьмого класса, но было много недовольства в среде учителей и родителей, поэтому с 2014 -2015 учебного года Министерством просвещения и науки Грузии было принято решение, что изучение второго иностранного языка начнётся с пятого класса, а третий по выбору учеников – с десятого класса. Соответственные изменения внесены в Национальный учебный план 2014-2015 академического года. В связи с этим, прозвучало заявление замминистра образования и науки Грузии Лии Гигаури: "В основу проведенных в общеобразовательном направлении мероприятий легли аналитические работы, результаты исследований, консультации с международными организациями и экспертами в сфере образования". (<http://newsgeorgia.ru/society/20140910/216942884.html>)

Проблема управления учебной деятельностью многозначна, разнопланова, имеет философские, психологические, педагогические, методические и другие аспекты.

Мы стараемся затронуть тему изучения русского языка в школах Грузии. Уже долгое время в учебных заведениях используются учебники, который грифованы Министерством образования и науки. Как всем известно, грифование – первый этап создания учебников, во время которого его качество оценивают эксперты государственной комиссии. Именно они определяют, какие книги соответствуют требованиям Национального учебного плана страны, а какие – нет. (<https://www.newsgeorgia.ge/minobrazovanija-gruzii-obeshhaet-usove/>)

А не время (давно пора) ли пересмотреть и учебники русского языка для школ? Из года в год они не меняются, а вокруг всё меняется и жизнь, и её стиль. Думаем, что тексты должны быть современные и много разговорной практики. Принцип новизны особенно важен в обучении иностранным языкам.

На начальном этапе обучения книги по русскому языку по содержанию интересны, разнообразны, способны дать правильное направление и глубокие знания языка. Однако уже, начиная с 9-го, включая 10, 11 и 12 классы общеобразовательной школы, программа резко начинает усложняться. На первый взгляд программа в них разработана по европейскому стандарту, но очевидно, что сам материал становится объемным и менее интересным, создается ощущение, будто тексты адресованы для таких учеников, которые являются носителями русского языка.

Еще раз стоит подумать над тем, что основной путь к образованию лежит через язык – свой родной и иностранный. А основной источник усвоения иностранного языка состоит не в развитии навыков и имитации текстов учебника, а в творчестве и понимании аутентичных, естественных текстов, с которыми люди встречаются в жизни. Поэтому для развития такой способности необходимо дать ученику возможность как можно больше воспринимать естественную, неадаптированную речь со всеми присущими ей характеристиками: эмоциональной окраской, естественным темпом и т.д.

Сегодня в школу приходят школьники с разным уровнем (нулевым) подготовки по иностранному языку. Если уделять больше внимания такому ученику на уроках, процесс обучения затормозится. А у преподавателя есть программа, в соответствии с которой он должен строить процесс обучения. Обучение в средних и старших классах не ставит своей целью - научить «с нуля», а продолжить обучение, уже имея за плечами базовый уровень знаний, приобретенный в начальной школе.

Эти вопросы о проблемах в обучении русскому языку стоят давно. Самой актуальной проблемой является необходимость качественного улучшения знания иностранного языка при малом количестве часов,

отведённой на изучение данного предмета школьной программой. Это далеко недостаточно. Остановимся на некоторых проблемах обучения в общеобразовательных школах:

➤ Первая проблема. Русский язык изучают студенты на английском и грузинском секторах. Понятно, что иностранцы могут его изучать с нуля, но на грузинском секторе обучаются студенты из грузинских школ, где изучали русский язык с первого, третьего или пятого классов. Закончив обучение большинство читают, переводят, но говорить на элементарном уровне не могут. Почему? Потому что нет практических занятий и разговорной практики на уроках русского языка. В учебниках нет этого раздела. В учебниках тексты, которые практически по жизни не используются, т.к. современной молодёжи они неинтересны.

➤ Вторая проблема заключена в нехватке квалифицированного персонала. Случайный набор учителей (или меняют каждый год учителя) ведёт к нарушению системности и систематичности в знаниях, затрудняя управление учебным процессом. Ведь задача преподавателя иностранного языка – сформировать у обучаемых коммуникативные навыки для достижения взаимопонимания, что подтверждает А.Потебня: «Понимание – недостижимый идеал, к которому, тем не менее, необходимо стремиться» (Кашкин, 2016). Преподавание иностранных языков напрямую связано с инновационными процессами, происходящими в мире, в обществе. Разрабатываются современные коммуникативные технологии, главная миссия которых – оптимизировать взаимодействие и взаимопонимание в человеческом обществе (Кашкин, 2016). Сегодня необходим новый подход к обучению иностранным языкам. От профессиональной компетентности учителей школ и преподавателей вузов, их мастерства зависят формирование иноязычной коммуникативной компетенции подрастающего поколения, воспитание нравственности, уважительного отношения к иной культуре, успешное общение и взаимопонимание между народами.

➤ Третья проблема состоит в недостаточном количестве контактных часов. Преподаватели русского языка могут аргументировать тот факт, что часовая нагрузка очень мала и невозможно полноценно обучить данному предмету. Стоит подчеркнуть, что такой набор часов (2 часа в неделю) минимален для иностранного языка. Часовая нагрузка должна быть особенно удовлетворительна по предметам, которые сдаются на единых национальных экзаменах.

➤ Четвертая проблема. Большие группы (классы) от 30 и более учеников.

➤ Пятая проблема заключена в следующем. К великому удивлению, абитуриент с грузинской школы сдаёт экзамен по русскому языку наравне с русскоязычными абитуриентами, для которых русский язык – родной. Конечно, он сдаст тесты на высокий балл, напишет хорошо эссе и т.д. Абитуриент грузинской школы вынужден брать частные уроки, т.к. на уроках другой материал, нет слушания и т.д. Также, наоборот, русскоязычный сдаёт экзамен по грузинскому языку по одной программе с грузинами. И тоже должен подготовиться частным образом у репетитора, т.к. в школе не научили. А в различных планах, силлабусах указываются методы и цели обучения. В наше время первая, главная цель – научить правильно говорить! Обратить внимание на ударения, произношение и интонационные конструкции.

На самом деле есть и множество других проблем, мешающих правильному и качественному обучению. Это и политический момент, точнее, неприязнь к языку. Неправильное истолкование. Кроме того, во всех видах учебной деятельности у большинства школьников наблюдается ограниченность знаний, нежелание преодолеть пассивность и лень, и минимализм в работе.

Таким образом, основной целью обучения иностранным языкам является формирование и развитие коммуникативной культуры студента, обучение практическому овладению иностранным языком.

Готовность к изучению иностранных языков, как и способность к коммуникации с другими людьми, являются условием мобильности, а также ключом к взаимопониманию, к мирному развитию в нашем взаимосвязанном мире. (Уве Томас, 2000).

Исходя из вышеизложенного, многоязычие является неотъемлемой частью настоящей и будущей Европы, а владение несколькими иностранными языками обусловлено не только экономическими, но и общеобразовательными моментами, – как фактор общего, политического и культурного развития личности.

Остается ждать и надеяться, что общая образовательная ситуация, касаемо иностранного языка, в стране в скором будущем изменится к лучшему.

Литература:

1. Edelenbos, Peter & Johnstone, Richard & Kubanek, Angelika. Die wichtigsten pädagogischen Grundsätze für die fremdsprachliche Früherziehung. Sprachen für die Kinder Europas. Forschungsveröffentlichungen, gute Praxis und zentrale Prinzipien. Endbericht der Studie EAC 89/04 (Lot 1). Brüssel: Europäische Kommission. 2006. Electronic resource: URL: http://ec.europa.eu/education/policies/lang/doc/young_de.pdf
2. Sadlak J. Globalization and Concurrent Challenges for Higher Education, Ibid, 1998.
3. Бердичевский А.Л. Основные направления языковой политики в странах ЕС. "Русистика и современность", междунар. науч. конф. (13; 2010; Рига): Балтийская междунар. акад., 2011. – С. 38-42.
4. Electronic resource: <http://newsgeorgia.ru/society/20140910/216942884.html>
5. Electronic resource: <https://www.newsgeorgia.ge/minobrazovanija-gruzii-obeshhaet-usove/>
6. Кашкин В.Б. Введение в теорию коммуникации: учеб. пособие. – 6-е изд., стер. – М.: ФЛИНТА: Наука, 2016. – 224 с.
7. Уве Томас. Сертификаты по языкам, Франкфурт-на-Майне, Германия, 2000. WBTWeiterbildungs-TestsystemeGmbH.

„დისკურსის დომინანტობა“ ქართულ მედიაში

Giorgi Kipiani

Javakhishvili State University, Georgia

აბსტრაქტი

კვლევაში გამოყენებულ იქნა დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდი, რათა გაანალიზებულიყო სამაუწყებლო ინდუსტრიასთან დაკავშირებული ინტერესთა ჯგუფების განცხადებები მაუწყებლობის კანონში იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც ეხებოდა მცირეწლოვანთა დაცვას. თემატური ჩარჩოების ანალიზი ეფექტურია მედიის მიერ მოწოდებული დომინანტური გზავნილების გამოსაშვარავებლად და ამ ცნობების უთანასწორო და დომინანტური პოზიციონირების უფრო ფართო კონტექსტში იდენტიფიკაციისათვის. შედარებულ იქნა მედიის ტექსტები, რომლებიც მოიცავდა პრესს-რელიზებს, მოსმენათა ჩანაწერებს, ბლოგ პოსტებს და სარედაქციო წერილებს ორი პერიოდის განმავლობაში - 2012 წლამდე და 2012 წლის შემდეგ. მედიის ტექსტებში კანონმდებლები, მაუწყებლები, ადამიანის უფლებათა და მედია აქტივისტები სახელმწიფო ჩარევასა და თანა-რეგულირებას მიიჩნევენ, როგორც დემოკრატიისა და გამოხატვის თავისუფლების მიმართ მუქარას. 2012 წლის შემდეგ მედიის დისკურსში შეუძლებელია მომხმარებელთა და ბავშვის უფლებათა პოზიციის შესახებ ინფორმაციის მოძიება; მედიის ტექსტებში უკვე აღარაა მცირეწლოვანთა დაცვის საჯარო ინტერესის ხსენება, რომელიც იყო მაუწყებლობის კანონში ცვლილებების მთავარი მიზანი ევროპული დირექტივის შესაბამისად. სამაუწყებლო ინდუსტრიამ მედიაში განახორციელა თავისი ინტერესების დაცვა ისეთი გზავნილების გავრცელებით, რომლებიც ახდენს რეალობის დამახინჯებას. შედეგად ადგილი აქვს „დისკურსის დომინანტობას“ - მცირე ძალაუფლების მქონე ჯგუფები - ტელემაუწყებლობის მომხმარებლებისა და ბავშვთა უფლებების დამცველების ხმა ამოღებულია მედიიდან.

საკვანძო სიტყვები: დისკურსის კრიტიკული ანალიზი, მაუწყებლობა, მცირეწლოვანთა დაცვა, პროპაგანდის ფსიქოლოგია

“Discourse Dominance” in Georgian Media

Abstract

This study used critical discourse analysis to examine discursive claims made by broadcasting industry stakeholders concerning legislative changes in broadcasting law aiming protection of minors. Thematic frame analysis was made for revealing dominant messages conveyed by the media, and for identifying these messages as part of a broader pattern of inequality and dominant positioning. Media texts including press releases, hearing testimonies, blog posts and editorials from two periods, before 2012 and after 2012 were compared. In media texts lawmakers, broadcasters, human rights and media activists framed government intervention and co-regulation as a threat for democracy and freedom of expression. After 2012 in media discourse it is impossible to find information about positions of consumers and child rights defenders. There is no mention in these texts of minor protection public interest, which was the main purpose of changes in broadcasting law according European directive. Broadcasting industry has demonstrated in media a pattern of furthering its own interests by disseminating message frames that misrepresent reality. Voice of less powerful groups broadcasting consumers and child rights proponents was excluded from media, the result is “discourse dominance”.

Keywords: Critical discourse analysis, broadcasting, minor protection, psychology of propaganda

ნეოლიბერალური იდეოლოგიის სოციალურ ფსიქოლოგიაზე გავლენის კვლევით დაინტერესებული ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ სოციალური ფსიქოლოგიის უპირველესი ამოცანა არის კვლევა, თუ რა ტიპის იდეოლოგიური თვალსაზრისებია დომინანტური მას-მედიაში (Nafstad H. et al, 2007; Nafstad H. Blakar R., 2012). მედიის დისკურსი განსაკუთრებით მოსახერხებლად ითვლება ძალაუფლებისა და იდეოლოგიის შესასწავლად (Fairclough, 1995), რადგან მას-მედია თანამედროვე საზოგადოებაში ფუნქციონირებს, როგორც საზრისის წარმოების მთავარი მექანიზმი (Hermans & Kempen, 1998).

დისკურსის მკვლევარები იდეოლოგიას ხედავენ როგორც საზოგადოების კონსტრუირებისა და რეპრეზენტაციის გარკვეულ მეთოდებს, რომლებიც ქმნის ძალაუფლების, დომინირებისა და ექსპლუატაციის არათანაბარ ურთიერთმიმართებებს. იდეოლოგია დისკურსის მეშვეობით აწესებს ნორმებს (Fairclough, Mulderrig, Wodak 2011, 371).

დისკურსის კრიტიკული ანალიზი არის დისკურსის ანალიტიკური კვლევა, რომელიც სწავლობს თუ როგორ ხდება კონტროლი და მანიპულირება იმ მიზნით, რომ მოხდეს სოციალური კოგნიციის დეტერმინირება, სოციალური ძალაუფლების გამოყენებისა და უთანასწორობის ჩამოყალიბება, რეპროდუქცია, ლეგიტიმაცია და წინააღმდეგობის გაწევა ტექსტსა და საუბარში (Van Dijk, 2012). განსაკუთრებით საყურადღებოა მეთოდი იმ თვალსაზრისით, რომ ის იძლევა ფარული საზრისების გამოვლენის შესაძლებლობას ტექსტში.

ვან დეიკმა (2000) ბრიტანეთის საპარლამენტო დებატების დისკურსის კრიტიკული ანალიზით აჩვენა, თუ როგორ იყენებენ კანონმდებლები ძალაუფლებას თავიანთი ინტერესების მხარდასაჭერად. ასევე ნორვეგიული მედიის დისკურს-ანალიზმა აჩვენა, რომ ინდივიდუალიზმი იზრდება კოლექტივისტური ღირებულებების ხარჯზე (Nafstad's et al., 2007).

როგორც დისკურსის მკვლევარები აღნიშნავენ, ძალაუფლების გამოყენების ერთ-ერთი გზაა კონტექსტის კონტროლი. როდესაც ნაკლებად ძლიერი ჯგუფი გამოირიცხება წვდომის ან კონტექსტური სტრუქტურებისგან, შედეგად ვიღებთ "დისკურსის დომინირებას" [Van Dijk, 1993, p. 260]. კერძოდ, ხდება ზოგიერთი საპირისპირო თვალსაზრისის ცენზურა, მოწინააღმდეგეთა გარკვეული მოსაზრებები არასდროს ისმის, და კონკრეტული პერსპექტივები უგულებელყოფილია.

დისკურს-ანალიზის დროს თემატური ჩარჩოების მოძიება მოსახერხებელი მიდგომაა იმ ბლოგ-პოსტების, პრეს-რელიზების, ახალი ამბების სიმბოლური მნიშვნელობის დეკონსტრუქციისთვის, რომლებიც მიზნად პოლიტიკის ცვლილებას ისახავს. თემატურ ჩარჩოებს განსაზღვრავენ, როგორც „რწმენის, აღქმისა და შეფასების ფუძემდებლურ სტრუქტურებს“, რომლებიც "შერჩევით ყურადღებას ამახვილებენ კომპლექსური რეალობიდან რამდენიმე მნიშვნელოვან მახასიათებელსა და ურთიერთობაზე" (D. Schön and M. Rein, 1994).

მედიაში თემატური ჩარჩოები, როგორც წესი, ხშირად გამოიყენება რთული სტრატეგიების გამარტივებისა და კონკრეტული "რეალობის" სურათის დახატვის მიზნით და ისინი ავლენს დომინანტურ მესიჯებს, რომლებიც ფუნქციონირებს როგორც უთანასწორობის, გამორიცხვის, დომინირებისა და ძალაუფლების ფართო შაბლონების ნაწილი (Braun, 2016). თემატური ჩარჩოების კვლევა აჩვენებს, რომ, მაგალითად, სატელეკომუნიკაციო ინდუსტრია აშშ-ში საკუთარი ინტერესების განმტკიცების მიზნით შეტყობინებათა ისეთ ჩარჩოებს ავრცელებს, რომლებიც რეალობას ამახინჯებენ (Schafer, 2017).

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა საკითხის კვლევა, ადგილი აქვს თუ არა ქართულ მედიაში დისკურსის დომინირებას ნაკლები ძალაუფლების ჯგუფის კონტექსტიდან გამორიცხვის მიზნით საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების განხილვის დროს.

ამ მიზნით შერჩეულ იქნა სატელევიზიო მაუწყებლობაში მცირეწლოვანთა დაცვის საკითხი, რადგან ეს თემა 2004 წლიდან 2021 წლამდე პერიოდულად მწვავე დისკუსიას იწვევდა საზოგადოებაში სხვადასხვა ინტერესის მქონე ჯგუფებს შორის.

საერთაშორისო სტანდარტით სატელევიზიო მაუწყებლობისას პრიორიტეტი ენიჭება მცირეწლოვანთა დაცვას და მედიის თავისუფლება იზღუდება, თუ მასალამ შეიძლება მავნე ზეგავლენა მოახდინოს არასრულწლოვანზე. რეგულირებისა და სანქციების, დაჯარიმების უფლება განვითარებულ ქვეყნებში დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს ენიჭება. საქართველოში 2001 წლიდან სწორედ ამ მოდელის მიხედვით შეიქმნა ტელეკომუნიკაციის ეროვნული კომისია ევროპული სტრუქტურების რეკომენდაციის საფუძველზე.

გავცნოთ თუ რა თემატური ჩარჩოები გამოიყენება მედიის ტექსტებში მცირეწლოვანთა დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკის მიმართებით. ამ მიზნით მიზანშეწონილია გავნიხილოთ ის პუბლიკაციები, რომელიც შეიცავს მაუწყებლობის კანონპროექტთა განხილვაში მონაწილე სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელთა პოზიციას.

კვლევის დიზაინი.

გაანალიზდა ტექსტები, რომლებშიც განხილული იყო სატელევიზიო მედიის რეგულირების პოლიტიკა მცირეწლოვანთა დაცვის მიზნით კანონმდებლობის მიღებასთან დაკავშირებული დისკუსიების დროს. ამ ტექსტებში შედის პრეს – რელიზები, ბლოგ – პოსტები და სარედაქციო წერილები, კომუნიკაციების კომისიისა და კომუნიკაციების კომისიის მომხმარებელთა უფლებების დამცველის წლიური ანგარიშები. ინტერნეტში ძებნისათვის ასევე გამოყენებულ იქნა საკვანძო სიტყვები: „ზნეობის დაცვა“, „მას მედია და თვითრეგულირება“, „არასრულწლოვანთა დაცვა მავნე ზემოქმედებისგან“. შეგროვილი ტექსტები გაანალიზდა "თემატური პატერნების" განმეორებათა დასადგენად, დისკურსული წარმონაქმნებისა და მნიშვნელობათა სისტემის იდენტიფიცირებისთვის (Lemke, 1995).

დისკურსები განიხილებოდა თითოეული წინადადებაში თანმიმდევრულად, შესაბამისი თემებისა და ფუნქციების კატეგორიზაცია მოხდა ტექსტის მიხედვით გამოვლენილი სატელეკომუნიკაციო რეგულირების უფრო ფართო დისკურსის ან ზოგადად, საზოგადოებაში არსებული კონტექსტის მიხედვით. ტექსტის რამოდენიმე დეტალური წაკითხვისა და შესაბამისი დისკურსების კოდირების შემდეგ, ხდებოდა დომინანტური თემების გამოკვეთა.

მედიის პუბლიკაციები ორ პერიოდად დაიყო: 2012 წლამდე და 2012 წლის შემდეგ, რადგან საქართველოში 2012 წლიდან შეიცვალა ხელისუფლება, რომელსაც ექსპერტთა დიდი ნაწილი უკიდურესი ნეოლიბერალური პოლიტიკის გამტარებლად მიიჩნევდა (Appel H. 2018, Berekashvili B. 2013, Gabitsinashvili M, 2019 Gugushvili D. 2017). გარკვეულად ასეთ დაყოფას იმანაც შეუწყო ხელი, რომ 2013 წლიდან კომუნიკაციების კომისიამ ახალი პოლიტიკა წამოიწყო, რაც გამოწვეული იყო ევროპის კავშირთან საკანონმდებლო ჰარმონიზაციის მოთხოვნით.

2003-2012 წლების პუბლიკაციების დისკურს ანალიზი. სულ მოპოვებულ იქნა 52 სტატია, რომელიც ეხებოდა მას-მედიაში ზნეობრივი სტანდარტებისა და არასრულწლოვანთა დაცვას მავნე ზემოქმედებისგან. ამ სტატიათა ჩამონათვალი განთავსებულია ჩვენს სტატიაში (Kipiani G., 2010). გამოიყო შემდეგი 4 თემატური ჩარჩო: 1. მაუწყებლების მიმართ სანქციების გაუქმება; 2. გამონატვის თავისუფლების შეზღუდვა; 3. მაუწყებლების მიერ თვითრეგულირება; 4. ზნეობის ნორმებისა და მცირეწლოვანთა დაცვა მავნე ზემოქმედებისგან. მედიის დისკურსის კრიტიკული ანალიზი აჩვენებს, რომ მედიაში დომინანტური თემებია „კანონის დარღვევებისთვის სანქციების გაუქმება“, „გამონატვის თავისუფლების შეზღუდვა“ და „მედიის თვითრეგულირება“. თემატური ჩარჩო „ზნეობის ნორმებისა და არასრულწლოვანთა დაცვა იშვიათად თუ იმსახურებს მედიის ყურადღებას. ასევე გამოიყო შემდეგი ინტერესის ჯგუფები და პოლიტიკური აქტორები თემატურ ჩარჩოების განსხვავებული გამოყენების თვალსაზრისით: პარლამენტის წევრები, სახალხო დამცველი, კომუნიკაციის კომისია და მაუწყებლები, ადამიანის უფლებათა დამცველი და მედიის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, რელიგიური ორგანიზაციები.

2003 - 2012 წლების პერიოდის მედიის პუბლიკაციათა დისკურს ანალიზი აჩვენებს, პარლამენტის წევრთა, სახალხო დამცველის, კომუნიკაციის კომისიის, უფლებადამცველ არასამთავრობოთა და მაუწყებელთა პოზიცია პუბლიკაციათა აბსოლუტურ უმეტესობაში იცავს მაუწყებელთა ინტერესებს და ამტკიცებს, რომ დარღვევებისთვის მაუწყებლების დასჯა და სანქციის დაკისრება არ შეიძლება, ასევე თვითრეგულირების საკითხებშიც ერთსულოვანია ეს ჯგუფები და მათი აზრით, თვითრეგულირება არ უნდა გულისხმობდეს დაჯარიმებას, მათ მიერ ამავე დროს საერთოდ არ ხდება არასრულწლოვანთა დაცვის თემის არც ხსენება და არც განხილვა. ეს ჯგუფები მხოლოდ დარღვევებისთვის სანქციების გაუქმებაზე, სახელმწიფოს ჩაურევლობასა და თვითრეგულირების აუცილებლობაზე მიუთითებენ.

პარლამენტის წევრთა მიერ გამოთქმული არგუმენტები ერთმნიშვნელოვანია. პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნავს: „ეთიკის კოდექსი ყველა პროფესიის წარმომადგენელს სჭირდება. ჟურნალისტსაც და პოლიტიკოსსაც, მაგრამ ეს კოდექსი არ უნდა იყოს ისეთი ჩარჩოების დამწესებელი, რომელიც შელახავს ან შეზღუდავს სიტყვის ან მაუწყებლობის თავისუფლებას“ (გულუა, 2006).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ პუბლიკაციებში ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები საერთოდ არ ეხებიან მედიაში მცირეწლოვანთა დაცვის საკითხს. მაუწყებელთა წარმომადგენლები კატეგორიულ წინააღმდეგობას გამოხატავენ, რადგან მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს მხრიდან რეგულირება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა იქნება, რაც დაუშვებელია საქართველოში (მჭედლიძე, 2008). როგორც ვხედავთ, მედიაში ძალაუფლების მქონე ჯგუფები ძირითადად იცავენ პოზიციას, რომლის მიხედვით სახელმწიფო არ უნდა არეგულირებდეს და ახდენდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას და მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა პრიორიტეტული ხდება მცირეწლოვანთა დაცვასთან შედარებით საერთაშორისო სტანდარტების საფინანსო დეფიციტით.

ზნეობისა და მცირეწლოვანთა მავნე ზეგავლენისგან დაცვის საკითხები განსაკუთრებული სიმწვავეთა წამოჭრილია მხოლოდ რელიგიური ორგანიზაციების, კერძოდ კი მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელთა განცხადებებში, რომლებიც მიუთითებენ ზნეობრივი ნორმების უგულებელყოფას მედიაში. ამ საკითხზე გამახვილებული არის განსაკუთრებული ყურადღება ქართული ეკლესიის წმინდა სინოდის სამი სხდომის ოქმში (წმინდა სინოდის 21 დეკემბრის სხდომის ოქმი, 2006; 27 ივნისის სხდომა, 2008; 20 დეკემბრის სხდომის ოქმი, 2011).

2012 წლის შემდგომი პუბლიკაციების დისკურსის კრიტიკული ანალიზი. პუბლიკაციები ძირითადად მოიცავს ევროკავშირის რეკომენდაციების შესაბამისად შექმნილი კანონპროექტის შესახებ სხვადასხვა ინტერესის ჯგუფების პოზიციას.

პუბლიკაციათა 16 სათაურის (იხილე ცხრილი 2) ანალიზი აჩვენებს, რომ სათაურთა უმეტესობაში მედიის დამოკიდებულება კანონპროექტის მიმართ უარყოფითია, რადგან კანონპროექტი განიხილება როგორც მედიის თავისუფლების არალეგიტიმური შეზღუდვა, სათაურებში უპირატესად ნახსენებია თავისუფლების შეზღუდვა და სიძულვილის ენა, არასრულწლოვანთა დაცვა მხოლოდ ერთ შემთხვევაშია ნახსენები, ისიც, როგორც პრობლემის ალტერნატიული გადაწყვეტის თანაბარი მნიშვნელობის არგუმენტი (არასრულწლოვანების მავნე ზეგავლენისგან დაცვა თუ კანონი მედიის შეზღუდვისთვის?, 2019), როდესაც საერთაშორისო სტანდარტი მცირეწლოვანთა ინტერესების დაცვის პრიორიტეტისკენ მოუწოდებს. კანონპროექტის მთავარი მიზანი იყო სწორედ არასრულწლოვანთა დაცვის მექანიზმის დამკვიდრება, პუბლიკაციათა ტექსტებში კი მთავარი თემა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დაუშვებლობაა. პუბლიკაციათა უმეტესობის შინაარსი იხრება კანონპროექტის უარყოფითი შეფასებისკენ, პუბლიკაციებში ყველაზე ხშირად კანონპროექტის მოწინააღმდეგეები მიმართავენ სიძულვილის ენის თემატურ ჩარჩოს, შემდეგ სახელმწიფო რეგულირებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის დაუშვებლობის თემას. კანონპროექტის მომხრე პარლამენტის უმრავლესობის წევრებს

კი მიაჩნიათ, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და სახელმწიფო რეგულირება დასაშვებია, მაგრამ არც ისინი არ ახსენებენ მცირეწლოვანთა დაცვის თემას.

2013 წლის შემდეგ პერიოდში პუბლიკაციებში არაა გაშუქებული ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციათა პოზიცია მედიაში მცირეწლოვანთა დაცვასთან დაკავშირებით; მეტიც არასრულწლოვანის უფლებების დაცვა საერთოდ აღარაა ნახსენები.

ცხრილი 2. მაუწყებლობის კანონპროექტის შესახებ პუბლიკაციათა სათაურები.

1. "ოცნება" 2020 წლის არჩევნების წინ განხვავებული აზრის განეიტრალებისთვის ემზადება"
2. ყველანი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ
3. ამ ხალხს ძალიან ექაჩება საბჭოთა წარსული
4. არასამთავრობოები: „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის რისკებს ქმნის
5. კანონპროექტი ქმნის გამოხატვის თავისუფლების თვითნებური შეზღუდვის რისკებს – არასამთავრობოები
6. კოალიცია მედიის ადვოკატებისთვის მიიჩნევს, რომ მაუწყებლობის თვითრეგულირებას მიკუთვნებული საკითხების რეგულირებაში გადატანა დაუშვებელია
7. GNCC-მ არ უნდა დაარეგულიროს სიძულვილის ენის საკითხები
8. "ნაბიჯი უკან" — კომუნიკაციების კომისია სიძულვილის ენის კანონით დარეგულირებას ითხოვს
9. „ჩვენ უკვე გვაქვს კანონმდებლობა, რომელიც სჯის შეურაცხყოფას ძალიან ცალსახად"
10. არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისგან დაცვა თუ კანონი მედიის შეზღუდვისთვის?
11. კახა ბექაური სიძულვილის ენის კანონით დარეგულირებას მოითხოვს
12. საჭიროების შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს – კობახიძე
13. მაუწყებლების თვითრეგულირებიდან რეგულირებამდე — კომუნიკაციების კომისიის კანონპროექტი
14. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობები საქართველოში
15. კომუნიკაციების კომისია საერთაშორისო პარტნიორებს სიძულვილის ენის პრობლემების განსახილველად იწვევს
16. კომუნიკაციების ეროვნული კომისია გამოხატვის თავისუფლებაზე რეგულაციების დაწესებას გეგმავს
17. კომუნიკაციების კომისია ითხოვს დაჩქარდეს სიძულვილის ენის რეგულირებაზე კანონპროექტის განხილვა

კანონპროექტის შესახებ მედიის პუბლიკაციათა სათაურების ჩამონათვალის გაცნობა თვალნათლივ აჩვენებს თემატური ჩარჩოების პრიორიტეტს კანონპროექტის უარყოფითი შეფასებისკენ. როგორც ვხედავთ, ყველა პუბლიკაციიდან მხოლოდ ერთი ასახელებს სათაურში მცირეწლოვანთა დაცვას, 17 სათაურიდან 12 უარყოფითი შეფასებას აძლევს კანონპროექტს, 5-ს სათაური კი ნეიტრალურია. არცერთი პუბლიკაცია არ ანიჭებს უპირატესობას მცირეწლოვანთა დაცვის ინტერესს.

პუბლიკაციებში 2012 წლიდან გამოვლინდა 6 თემატური ჩარჩო მაუწყებლობის კანონის ცვლილებებთან დაკავშირებით:

1. ევროდირექტივის შესრულება

2. შეურაცხყოფა და სიძულვილის ენა, ცილისწამება
3. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა(ცენზურა) დაუშვებელია,
4. სახელმწიფო რეგულირება დასაშვებია
5. თვითრეგულირების გაძლიერება
6. არასრულწლოვანთა დაცვა

ამ პერიოდში ისევ მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენელთა პუბლიკაციებში თუ ნახავთ მაუწყებლობაში ზნეობის სტანდარტების უფლებელყოფის შესახებ ინფორმაციას (საშობაო ეპისტოლე, 2017; სააღდგომო ეპისტოლე, 2018; საშობაო ეპისტოლე, 2019), მაგრამ მედია საშუალებები იშვიათად ახდენენ რელიგიურ ორგანიზაციების წარმომადგენელთა პოზიციის გაშუქებას მაუწყებლობის კანონპროექტის განხილვათა საანგარიშო სტატიებში. მიუხედავად იმისა, რომ მედია აღნიშნავს, რომ ცხარე დისკუსიაა მაუწყებლობის კანონის ცვლილებების კანონპროექტებზე, კანონპროექტის გაშუქებისას მედია არ ახსენებს არასრულწლოვანთა მორალური განვითარების დაცვის ინტერესს, შესაბამისს არგუმენტებს და არც იმ ჯგუფებს, ვინც ამ პოზიციას იცავენ.

განვიხილოთ ცალკეულ პუბლიკაციებში თემატური ჩარჩოების თავისებურებები. გაზეთის "რეზონანსი" სტატიაში სათაურით, "ოცნება" 2020 წლის არჩევნების წინ განსხვავებული აზრის განეიტრალებისთვის ემზადება" (ქართული პრესის მიმოხილვა, 2019) წარმოადგენს გაზეთის მიერ სხვადასხვა მხარის პოზიციათა მიმოხილვას კანონპროექტზე. პუბლიკაციის სათაურშივე მოცემულია პოზიცია, რომელიც ვარაუდობს, რომ კანონპროექტის მიზანი კრიტიკული აზრის ჩახშობაა მმართველი უმრავლესობის მიერ. შემდეგ ტექსტის პირველივე წინადადებაში ასევე მოცემულია დაგეგმილი ცვლილების უარყოფითი შეფასება, კერძოდ, მითითებულია, რომ კანონპროექტი „უკვე შეფასდა, როგორც მმართველი პარტიის ახალი გეგმა განსხვავებული და კრიტიკული აზრის გასანეიტრალებლად“. პუბლიკაციის დისკურსი კონცენტრირებულია სიძულვილის ენაზე და მცირეწლოვანთა დაცვის საკითხი არ განიხილება არც კანონპროექტის მომხრე, არც მოწინააღმდეგე პარლამენტართა მიერ.

მთელ პუბლიკაციაში სიძულვილის ენის შეზღუდვა, როგორც კანონის ცვლილების მთავარი მიზეზი, ნახსენებია 14-ჯერ, არასრულწლოვანთა დაცვა კი მხოლოდ ერთხელ, მაშინ, როდესაც კომუნიკაციების კომისიის და კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა უფლებების დამცველის წლიურ ანგარიშებში (მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საქმიანობის ანგარიში, 2017; კომუნიკაციების ეროვნული კომისია, წლიური ანგარიში, 2018) განსაკუთრებით იყო ხაზგასმული არსებული პროცედურის არაეფექტურობა არასრულწლოვანთა დაცვის მიმართულებით და დასაბუთებული იყო ცვლილების აუცილებლობა სახელმწიფო რეგულირების შემოღების დაწესებით, მაგრამ არც სტატიის ავტორი და არცერთი გამოკითხული რესპონდენტი არ ეხება არასრულწლოვანთა დაცვის საკითხს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელთა უფლებების დამცველის ეს პოზიცია მედიის არცერთ პუბლიკაციაში არ არის ასახული.

კომუნიკაციების კომისიის მიერ კანონპროექტის მომზადების მთავარ მიზეზად სახელდება, რომ ევროპის საბჭო ითხოვს სახელმწიფო რეგულირების შემოღებას (ქავთარაძე, 2019), მაგრამ არ ხდება არგუმენტების მითითება, რატომ დგას დღის წესრიგში ეს მოთხოვნა. კომუნიკაციების კომისიის განცხადებებში ხდება მხოლოდ სიძულვილის ენის შეზღუდვის არგუმენტაცია (რადიო „თავისუფლება“, ივნისი 13, 2019). ამ დროს კანონით კომისიას ევალება ორი მხარის, მაუწყებელთა და მომხმარებელთა ინტერესების ურთიერთშეთანხმება (კანონი მაუწყებლობის შესახებ, 2001, მუხლი 50), მაგრამ მომხმარებელთა ინტერესის დასახელება არ ხდება.

პუბლიკაციაში „ევრო დირექტივა თუ ცენზურის საფრთხე“ (2019) აქცენტია ცენზურაზე („ცენზურა“ ტექსტში ნახსენებია 6-ჯერ), ასევე სახელმწიფო რეგულირების დაუშვებლობაზე, როდესაც

არასრულწლოვანთა დაცვა მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები, ისიც მხოლოდ როგორც კანონპროექტის დასახელება, მაგრამ საერთოდ არ არის განხილული არასრულწლოვანთა დაცვის საკითხი და ამ პრობლემის მოგვარების გზები, ისევე როგორც სხვა პუბლიკაციებში.

პუბლიკაციაში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი მარიამ გოგოსაშვილი ცენზურად მიიჩნევს ხელისუფლების ჩარევას დარღვევის შემდგომ, როდესაც ცენზურად მაუწყებლობის შინაარსის წინასწარი კონტროლი მიიჩნევა.

როგორც ვხედავთ, დისკურსში მონაწილენი თემის განვითარებას ძირითადად ახდენენ სიძულვილის ენის სახელმწიფო ჩარევით შეზღუდვის დაუშვებლობის კონტექსტში, მედიის თავისუფლების დამცველებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის კანონპროექტის დაწინაურების მთავარი მიზეზი სწორედ სახელმწიფოს ჩარევაა, რაც საყოველთაოდ მიღებულ ზომას წარმოადგენს დასავლურ სამყაროში.

როგორც ვხედავთ, კანონის მიღების მოწინააღმდეგეებსა და მომხრეებს სხვადასხვა აქცენტები აქვთ არგუმენტაციის დროს, კანონპროექტის მომხრეთა არგუმენტები ეხება ბილწისიტყვაობის, შეურაცხყოფისა და სიძულვილის ენის შეზღუდვის აუცილებლობას, ევროკავშირის დირექტივის შესრულებას, მოწინააღმდეგეების არგუმენტები კი ეყრდნობა სიძულვილის ენის შეზღუდვისა და სახელმწიფო ჩარევის დაუშვებლობას, კანონპროექტის მოწინააღმდეგეები არ ახსენებენ ბილწისიტყვაობისა და შეურაცხყოფის თემებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მხარისათვის საერთოა, რომ არცერთი არ ეხება არასრულწლოვანთა დაცვის საკითხს და მის მნიშვნელობას (ამ ხალხს ძალიან ექაჩება საბჭოთა წარსული, 2019).

ზემოთ აღნიშნულ მიმოხილვებში ფიგურირებს თითქმის ყველა ინტერესთა ჯგუფის წარმომადგენელი, გარდა მცირეწლოვანთა უფლებების დაცვით დაინტერესებული პირებისა, რაც გვაძლევს უფლებას გავაკეთოთ დასკვნა, რომ მცირეწლოვანთა უფლებების დამცველი პირები მედიისთვის არასასურველ რესპონდენტებს წარმოადგენენ და დისკურსიდან მათი გამორიცხვა ხდება. განსხვავებით 2003-2012 წლის პერიოდისგან მედიის პუბლიკაციებში 2013 წლიდან საერთოდ არ არის ნახსენები მცირეწლოვანთა ინტერესებისა და ზნეობის დამცველთა პოზიცია, ერთ-ერთი პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ კომისიამ მოაწყო კანონპროექტის განხილვის რამდენიმე შეხვედრა, მაგრამ შეხვედრის ანგარიშებში არ არის ნახსენებიც კი მომხმარებელთა უფლებების დამცველი ან მისი პოზიცია (ჩადუნელი, 2019, ქავთარაძე, 2019).

საბოლოოდ კანონპროექტის მიღება ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერით განხორციელდა, მიუხედავად იმისა, რომ საკითხის გაშუქება და თვითრეგულირების შენარჩუნების არგუმენტაცია მედიაში ხდებოდა ნეოლიბერალური დისკურსის შესატყვისი თავისუფლების შეზღუდვისა და სახელმწიფო ჩარევის (რეგულირების) დაუშვებლობით, რაც ასევე ადასტურებს უკიდურესი ნეოლიბერალიზმის იდეოლოგიის დომინირებას ქართული საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებში.

ამრიგად, დისკურსის კრიტიკული ანალიზი აჩვენებს, რომ ქართულ მედიაში ადგილი აქვს დისკურსის კონტექსტის მართვას ძალაუფლების მქონე ჯგუფების - პირველ რიგში, მედიის წარმომადგენლებისა და მაუწყებლების მიერ, ასევე პარლამენტის წევრები და არასამთავრობო სექტორის აქტივისტებიც არ ახსენებენ მცირეწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის მნიშვნელობას და ფაქტიურად ახდენენ საკითხის იგნორირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ამ ხალხს ძალიან ექაჩება საბჭოთა წარსული, 2019, <https://www.kvirispalitra.ge/politic/54441-qam-khalkhs-dzalian-eqacheba-sabtcota-tsarsuliq.html?device=xhtml>, ნანახია 5.11.2022.

არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისგან დაცვა თუ კანონი მედიის შეზღუდვისთვის?
<https://edu.aris.ge/news/arasrulwlovanebis-mavne-zegavlenisgan-dacva-tu-kanoni-mediis-shezgudvistvis.html>.
ნანახია 5.11.2022.

გულუა ნ., 2006, ქართულ მედიას ეთიკის ნორმებს უწესებენ,
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=6351&lang=geo> ნანახია 5.11.2022.

ევრო დირექტივა თუ ცენზურის საფრთხე - ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში, 17.06.2019, <https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/73009-evro-direktiva-thu-cenzuris-saftrhkhe-cvlibebi-mautsyblobis-shesakheb-kanonshi>, ნანახია 5.11.2022.

კანონი მაუწყებლობის შესახებ. 2001,
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=54> ნანახია 5.11.2022.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია წლიური ანგარიში, 2018,
<https://www.gncc.ge/uploads/other/3/3706.pdf>, ნანახია 5.11.2022.

მაუწყებლების თვითრეგულირებიდან რეგულირებამდე — კომუნიკაციების კომისიის
კანონპროექტი, <https://netgazeti.ge/news/334152/> ლუკა პერტაია - 18.01.2019, ნანახია 5.11.2022.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საქმიანობის ანგარიში ,
2017 <http://momkhmarebeli.gncc.ge/wp-content/uploads/2019/10/2017-წლის-ანგარიში-1.pdf>, ნანახია
5.11.2022.

მჭედლიძე დ. 2008. არასამთავრობო ორგანიზაციები „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ პროექტის
საექსპერტო დასკვნას აპროტესტებენ. 23.09.2008 12:22, <http://www.media.ge/ge/portal/news/24626/>,
ნანახია 5.11.2022.

ნაბიჯი უკან, 2019 13 ივნისი, კომუნიკაციების კომისია სიძულვილის ენის კანონით
დარეგულირებას ითხოვს, ავტორი: სალომე ჩადუნელი, <https://on.ge/story/39062-ნაბიჯი-უკან-კომუნიკაციების-კომისია-სიძულვილის-ენის-კანონით-დარეგულირებას-ითხოვს>, ნანახია 5.11.2022.

რადიო „თავისუფლება“ ივნისი 13, 2019, კომუნიკაციების კომისია ითხოვს დაჩქარდეს
სიძულვილის ენის რეგულირებაზე კანონპროექტის განხილვა
<https://www.radiotavisupleba.ge/a/29997895.html>, ნანახია 5.11.2022.

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=54>, ნანახია 5.11.2022

საშობაო ეპისტოლე, 2017, <https://ipress.ge/new/sashobao-epistole-media-u/>, ნანახია 5.11.2022.

სააღდგომო ეპისტოლე, 2018, <https://on.ge/story/20932-ილია-მეორის-2018-წლის-სააღდგომო-ეპისტოლე-სრულად>, ნანახია 5.11.2022.

საშობაო ეპისტოლე, 2019. <https://ipress.ge/new/patriarqi-traditsiebis-e/>, ნანახია 5.11.2022.

ტაბულა, 13 ივნისი 2019, <http://www.tabula.ge/ge/story/150352-komunikaciebis-erovnuli-komisia-gamoxatvis-tavisuflebase-regulaciebis-datsesebas>, ნანახია 5.11.2022.

ქართული პრესის მიმოხილვა 14.06.2019, <https://www.interpressnews.ge/ka/article/551427-kartuli-presis-mimoxilva-14062019/>, ნანახია 5.11.2022.

ქავთარაძე ლ., ევრო დირექტივა თუ ცენზურის საფრთხე, 17.06.2019
<https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/73009-evro-direktiva-thu-cenzuris-saftrhkhe-cvlibebi-mautsyblobis-shesakheb-kanonshi> nanaxia 30.11.2019, ნანახია 5.11.2022.

- ყველანი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ, 2019,
<https://www.girchi.com/index.php/ge/media/news/600-qvelani-sitqvis-tavisuplebis-cinaagmdeg>, ნანახია 5.11.2022.
- წმინდა სინოდის 21 დეკემბრის სხდომის ოქმი, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, #34, 2006 წ. გვ.7-9.
- წმინდა სინოდის 27 ივნისის სხდომის ოქმი, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, #24, 2008 წ. გვ. 9-10
- წმინდა სინოდის 20 დეკემბრის სხდომის ოქმი, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, #35, 2011 წ. გვ.3-5.
- ჩადუნელი, ს. ნაბიჯი უკან, 2019, 13 ივნისი, კომუნიკაციების კომისია სიძულვილის ენის კანონით დარეგულირებას ითხოვს, <https://on.ge/story/39062-ნაბიჯი-უკან-კომუნიკაციების-კომისია-სიძულვილის-ენის-კანონით-დარეგულირებას-ითხოვს>, ნანახია 5.11.2022.
- Appel H. 2018, *From Triumph to Crisis: Neoliberal Economic Reform in Postcommunist Countries*, Cambridge University Press.
- Berekashvili B. The End of Neoliberal Hegemony 2013, <https://dfwatch.net/the-end-of-neoliberal-hegemony-20486-17781>, ნანახია 5.11.2022.
- Braun K., 2016. "Between representation and narration: Analyzing policy frames," In: F. Fischer, D. Torgerson, A. Durnová, and M. Orsini (editors). *Handbook of critical policy studies*. Northampton, Mass.: Edward Elgar, pp. 441–461.
- Fairclough N., 2001. *Language and power*. Second edition. New York: Longman.
- Fairclough, N. 1995. *Media discourse*. London: E. Arnold.
- Fairclough N. and R. Wodak, 1997. "Critical discourse analysis," In: T. van Dijk (editor). *Discourse as social interaction*. London: Sage, pp. 258–284.
- Fairclough, Norman, Mulderrig, J and Ruth, Wodak. "Critical Discourse Analysis." In *Discourse Studies: A Multidisciplinary Introduction*, ed. Teun van Dijk. 2nd ed. 358-378. London: Sage Publications, 2011
- Gabitsinashvili M. 06.12.2019 Georgia's neoliberal agony, <https://www.ips-journal.eu/regions/europe/article/show/georgias-neoliberal-agony-3924/>, ნანახია 5.11.2022.
- Gugushvili D. 2017, Lessons from Georgia's neoliberal experiment: A rising tide does not necessarily lift all boats, *Communist and Post-Communist Studies* 50 (2017) 1-14
- Kipiani G., 2010. Regulatory Reform in Georgian Broadcasting: Citizen Rights and Roadblocks to Regulation. https://www.researchgate.net/publication/320735947_Regulatory_Reform_in_Georgian_Broadcasting_Citizen_Rights_and_Roadblocks_to_Co-Regulation. ნანახია 5.11.2022.
- J. Lemke, 1995. *Textual politics: Discourse and social dynamics*. London: Taylor & Francis.
- Nafstad's et al., (2007) Ideology and power: The influence of current neo-liberalism in society, July 2007, *Journal of Community & Applied Social Psychology* 17(4):313 – 327
- Nafstad H. Blakar R., Ideology and Social Psychology. *Social and Personality Psychology Compass* 6/4 (2012): 282–294,
- Nafstad's et al., (2007) Ideology and power: The influence of current neo-liberalism in society July 2007, *Journal of Community & Applied Social Psychology* 17(4):313 – 327
- Nafstad, H.; Blakar, M.I., R. From an individualized to a societal social psychology: Ideology and ideological changes as reflected in language usage. *Annual Review of Critical psychology*. 2012, 10, 741-755
<https://thediscourseunit.files.wordpress.com/2016/05/norway-i-741-755.pdf>, ნანახია 5.11.2022.

- Shafer G. A critical discourse analysis of how the telecommunications industry influenced VoIP deregulation legislation in 36 states. *First Monday*, [S.l.], dec. 2017. . Available at: <<https://journals.uic.edu/ojs/index.php/fm/article/view/8142/6614>>. , ნაბეჭდი 5.11.2022.
- Schön D. , Rein M., 1994. *Frame reflection: toward the resolution of intractable policy controversies*. New York: Basic Books.
- Van Dijk, T. 1993. "Principles of critical discourse analysis," *Discourse & Society*, volume 4, number 2, pp. 249–283.
- Van Dijk, T. 2000. "The reality of racism: On analyzing parliamentary debates on immigration," In: G. Zurstiege (editor). *Festschrift für die Wirklichkeit*. Wiesbaden: Westdeutscher Verlag, pp. 211–225.
- Van Dijk, T. A. 2012. *Discourse and Knowledge*. In *The Routledge Handbook of Discourse Analysis*, Eds James Paul Gee. Routledge. London. pp. 587–603.

ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

Nino Lomidze

PhD student, Caucasus University, Georgia

აბსტრაქტი

ტერორიზმი საერთაშორისო უსაფრთხოების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. ტერორისტული ორგანიზაციები თუ ცალკეული მოქმედი პირები საკუთარი გზავნილების გასავრცელებლად ხშირად მედია საშუალებებს იყენებენ. ტერორიზმისთვის ინტერნეტ სივრცე, სოციალური მედია თუ ტელევიზია საკუთარი გზავნილების გავრცელების საუკეთესო საშუალებაა. მედია საშუალებებით ხდება როგორც პოტენციური რეკრუტების მოზიდაობა, ისე უკვე არსებული ძალადობრივი ნარატივების გავრცელება და ფართო მასებზე ზემოქმედება. განსაკუთრებით საფრთხილოა მედია საშუალებებით ტერორისტული აქტების თუ ინციდენტების გაშუქება, რადგან ერთის მხრივ არ მოხდეს სამართალდამცავი უწყებებისთვის სპეცოპერაციაში ხელის შეშლა, მეორეს მხრივ კი მედიამ არ დაწეროს ზედმეტი პანიკა მოსახლეობაში, ან/და მოახდინოს ტერორისტის თუ ტერორისტული ჯგუფის „რომანიტიზება.“ ტერორიზმის თუ სხვადასხვა ძალადობრივი ქმედებების გაშუქების პრობლემა ქართულ მედია საშუალებებშიც საკმაოდ მწვავედ დგას. აღნიშნული ფაქტების გაშუქების პრაქტიკის თუ ინფორმაციის ნაკლებობის გამო სამწუხაროდ მედიამ ზოგ შემთხვევაში უარყოფითი როლიც ითამაშა და ხელი შეუშალა დაგეგმილ სპეცოპერაციას. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაცია, როდესაც მედია საშუალებები სპეც. დანაყოფების გადაადგილებას პირდაპირ ეთერში აშუქებდნენ. წლების განმავლობაში არ არსებობდა ტერორიზმის გაშუქების შესაბამისი პრაქტიკა და ეს მხოლოდ ერთი მხარის პრობლემა არ არის. გარდა სამართლებრივი რეგულაციისა, თუ როგორ უნდა მოხდეს ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, სერიოზულად დგას სახელმწიფო სტრუქტურებიდან კოორდინაციის პრობლემაც, რაც იწვევს გაურკვევლობას და ხშირად მედია საშუალებები უკვე დამოუკიდებლად ცდილობენ ინფორმაციის მოპოვებას და შესაბამისად ადგილი აქვს არაერთ გადაცდომასაც. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია რომ მოხდეს ფუნქციების გამიჯვნა, სწორი აქცენტების დასმა და იმის გაანალიზება თუ როგორ უნდა გაშუქდეს ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები სწორად, რათა უფრო მეტად არ მოხდეს სიტუაციის დამძიმება ან ტერორისტული ქმედების დადებით კონტექსტში წარმოჩენა. აღნიშნული ნაშრომი სწორედ ამ საკითხებზე აკეთებს აქცენტებს და არის ერთგვარი მცდელობა მედია საშუალებებში ტერორიზმის და სხვა ძალადობრივი ქმედებების გაშუქების პრობლემის იდენტიფიცირებისა.

საკვანძო სიტყვები: ტერორიზმი, მედია, უსაფრთხოება.

Coverage of Issues Related to Terrorism in the Georgian Media

Abstract

Terrorism is one of the main challenges of international security. Terrorist organizations and individual actors often use media to spread their messages. For terrorism internet space, social media or television are the best means of spreading their messages. Media means mobilization of potential recruiters as well as dissemination of already existing violent narratives and impact on the masses. It is especially important to cover terrorist acts or incidents through the media so that on the one hand it does not interfere with the special operation of law enforcement

agencies, and on the other hand, the media does not introduce unnecessary panic among the population or “romanticizes” the terrorist or terrorist group. The problem of coverage of terrorism and various violent acts is quite acute in the Georgian media. Unfortunately, due to the lack of information or the practice of covering the mentioned facts, the media played a negative role in some cases and prevented the planned special operation. As an example of this, we can cite the special operation carried out on Beri Gabriel Salos Street, when the media covered the movement of special units live. For years, there has been a lack of adequate reporting practices on terrorism, and this is not just a one-party problem. In addition to the legal regulation on how to cover issues related to terrorism, there is also a serious problem of coordination from state structures, which causes uncertainty and often media outlets are already trying to obtain information independently, and therefore there are many mistakes. Therefore, it is important to separate the functions, put the right emphasis and analyze how the issues related to terrorism should be covered correctly, so as not to make the situation worse or to present the terrorist act in a positive context. This paper focuses on these issues and is an attempt to identify the problem of coverage of terrorism and other violent acts in the media.

Keywords: Terrorism, Media, Security.

შესავალი

ტერორიზმი საერთაშორისო უსაფრთხოების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. ტერორისტული ორგანიზაციები თუ ცალკეული მოქმედი პირები საკუთარი გზავნილების გასავრცელებლად ხშირად მედია საშუალებებს იყენებენ. ტერორიზმისთვის ინტერნეტ სივრცე, სოციალური მედია თუ ტელევიზია საკუთარი გზავნილების გავრცელების საუკეთესო საშუალებაა. მედია საშუალებებით ხდება როგორც პოტენციური რეკრუტების მოზიდაობა, ისე უკვე არსებული ძალადობრივი ნარატივების გავრცელება და ფართო მასებზე ზემოქმედება.

განსაკუთრებით საფრთხილოა მედია საშუალებებით ტერორისტული აქტების თუ ინციდენტების გაშუქება, რადგან ერთი მხრივ არ მოხდეს სამართალდამცავი უწყებებისთვის სპეცოპერაციაში ხელის შეშლა, მეორეს მხრივ კი მედიამ არ დაწეროს ზედმეტი პანიკა მოსახლეობაში, ან/და მოახდინოს ტერორისტის თუ ტერორისტული ჯგუფის „რომანტიზება.“

ტერორიზმის თუ სხვადასხვა ძალადობრივი ქმედებების გაშუქების პრობლემა ქართულ მედია საშუალებებშიც საკმაოდ მწვავედ დგას. აღნიშნული ფაქტების გაშუქების პრაქტიკის თუ ინფორმაციის ნაკლებობის გამო სამწუხაროდ მედიამ ზოგ შემთხვევაში უარყოფითი როლიც ითამაშა და ხელი შეუშალა დაგეგმილ სპეცოპერაციას. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული ოპერაცია, როდესაც მედია საშუალებები სპეც. დანაყოფების გადაადგილებას პირდაპირ ეთერში აშუქებდნენ. წლების განმავლობაში არ არსებობდა ტერორიზმის გაშუქების შესაბამისი პრაქტიკა და ეს მხოლოდ ერთი მხარის პრობლემა არ არის. გარდა სამართლებრივი რეგულაციისა, თუ როგორ უნდა მოხდეს ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, სერიოზულად დგას სახელმწიფო სტრუქტურებიდან კოორდინაციის პრობლემაც, რაც იწვევს გაურკვევლობას და ხშირად მედია საშუალებები უკვე დამოუკიდებლად ცდილობენ ინფორმაციის მოპოვებას და შესაბამისად ადგილი აქვს არაერთ გადაცდომასაც.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე ნაშრომის მიზანია მოახდინოს ქართულ მედია საშუალებებში ტერორიზმის და ძალადობრივი ქმედებების იდენტიფიცირება. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ ხარვეზების გამოვლენა, რაც არსებობს ქართულ მედიასივრცეში ტერორიზმის გაშუქების მხრივ.

გამომდინარე აქედან მნიშვნელოვანია რომ მოხდეს ფუნქციების გამიჯვნა, სწორი აქცენტების დასმა და იმის გაანალიზება თუ როგორ უნდა გაშუქდეს ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები

სწორად, რათა უფრო მეტად არ მოხდეს სიტუაციის დამძიმება ან ტერორისტული ქმედების დადებით კონტექსტში წარმოჩენა.

აღნიშნული ნაშრომი სწორედ ამ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას და არის პრობლემის იდენტიფიცირების ერთგვარი მცდელობა მედია საშუალებებში ტერორიზმის და სხვა ძალადობრივი ქმედებების გაშუქებისა.

ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: როგორ ხდება ტერორისტული აქტების გაშუქება ქართულ მედიაში?

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ მცდელობას პასუხი გასცეს აღნიშნულ კითხვას და გამოავლინოს ის ნაკლოვანებები, რაც არსებობს ქართულ მედიასივრცეში ძალადობრივი ქმედებების გაშუქების კუთხით. ნაშრომის ბოლოს კი მოცემულია გარკვეული სახის რეკომენდაციები.

1. კვლევის მეთოდოლოგია და ლიტერატურის მიმოხილვა

სანამ უშუალოდ ტერორიზმის გაშუქების პრობლემაზე გადავალთ, მოკლედ მიმოვიხილავ ტერორიზმის მახასიათებლებს და აკადემიურ წრეებში თუ ნორმატიულ აქტებში ტერმინის განმარტების თავისებურებებს.

პოლ უილკინსონის განმარტებით ტერორიზმი არის „მკვლელობის, დაზიანებისა და ნგრევის აქტების ან მუქარის სისტემური გამოყენება ტერორის კლიმატის შესაქმნელად, რაც ემსახურება მათი საქმიანობის გასაჯაროებას, ფართო (სამიზნე) აუდიტორიის დაშინებას და იძულებას ტერორისტების მიზნების შესრულებისთვის“ (ქოული 2021, 6).

გაერო ტერორიზმს შემდეგნაირად განმარტავს: „ტერორიზმი: „ძალადობრივი ქმედებების განხორციელება, „მათ შორის მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ, რომელიც ჩადენილია სიკვდილის გამოწვევის, სხეულის სერიოზული დაზიანების ან ტყვეების აყვანის განზრახვით და მიზნად ისახავს: საზოგადოებაში, ადამიანთა ჯგუფში ან კონკრეტულ პირებში შიშის დანერგვას, მოსახლეობის დაშინებას ან სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებას, განახორციელოს ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისგან“ (ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება 2020, 7).

გაეროს გენერალური ასამბლეის მიხედვით ტერორიზმი ეს არის: „კრიმინალური აქტები გამიზნული ან განკუთვნილია პოლიტიკური მიზნებით ტერორის, შიშის დასანერგად ფართო საზოგადოებაში, ადამიანთა ჯგუფებში ან კონკრეტულ ინდივიდებში... მიუხედავად იმისა თუ რა პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიურ თუ სხვა ნიშნით იქნება ის გამართლებული“ (ქავთარაძე 2019, 18).

პეტერ ნოიმენი და მაიკლ სმითი კი ტერორიზმის განმარტებას შემდეგნაირად გვთავაზობენ: ტერორიზმი „შიშის გრძნობის გამიზნულად გამოწვევა, როგორც წესი, ფიზიკური ძალადობის სიმბოლური აქტების გამოყენებით ან მათი გამოყენების მუქარით, კონკრეტული სამიზნე ჯგუფის პოლიტიკურ ქცევაზე ზემოქმედების მიზნით“ (ქოული 2021, 6).

საქართველოში ტერორიზმის მიმართულებით მთავარი სამართლებრივი დოკუმენტი „საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ და „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია“, რომელიც 2019 წლის 23 იანვარს დამტკიცდა. სწორედ აღნიშნულ ნორმატიულ აქტებშია მოცემული ტერორიზმის და მასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინების განმარტებები.

საქართველოს კანონმდებლობა ტერორიზმს შემდეგნაირად განმარტავს: „ტერორიზმი-ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ,

შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო საშუალებების, კომუნიკაციების და სხვა მატერიალური ობიექტების განადგურება-დაზიანება ან მათი განადგურება-დაზიანების მუქარა იარაღის, ასაფეთქებელი მასალების, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური თუ სხვა, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ან/და მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის” (საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მუხლი 1).

რაც შეეხება ტერორისტს, საქართველოს კანონმდებლობა შემდეგნაირად განმარტავს: „ტერორისტი-პირი, რომელიც მონაწილეობს ტერორისტულ საქმიანობაში“ (საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მუხლი 1(ე)).

ამავე კანონის „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ თანახმად „კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარებისას ტერორისტული აქტის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ან მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი სხვა ფორმით.“ „კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონაში შეზღუდულია სატელევიზიო, სამაუწყებლო მობილური სადგურების ან/და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების რეპორტიორთა ყოფნა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას იღებს ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბი“ (საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, მუხლი 13).

2. ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქება

ტერორიზმს, როგორც უკვე აღვნიშნე, საკუთარი მოთხოვნების თუ იდეოლოგიის გასავრცელებლად მედია ესაჭიროება. ტერორისტისთვის მთავარი მოტივი ფართო მასებზე ზემოქმედების მოხდენაა და ამისთვის აუდიტორია ესაჭიროება. მასებზე ზემოქმედების კარგი საშუალება კი სწორედ მედიაა. მარგარეტ ტეტჩერის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ „ტერორისტისთვის მედია არის როგორც ჟანგბადი“ (გოგუაძე 2016). ტერორისტული ორგანიზაციები საკმაოდ კარგად არიან გაწვრთნილი მედია საშუალებების ტექნიკებში და კარგად ერკვევიან თანამედროვე ტექნოლოგიებში. მედიის წარმომადგენლები ტერორისტული აქტის დროს მოლაპარაკებების წარმოების პროცესში ხშირად გამოყენებული არიან შუამავლად და ამ დროს საჭიროა რომ ისინი არ მოექცნენ ტერორისტების გავლენის ქვეშ და მედიის წარმომადგენლები არ იქცნენ ტერორისტების იარაღად (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია 2015, ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქება).

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში გაწერილია ტერორიზმის და ძალადობრივი ქმედებების გაშუქების შესახებ ზოგადი რეკომენდაციები. ამ მხრივ არ არსებობდა გარკვეული ტიპის სახელმძღვანელო, რომლითაც იხელმძღვანელებდნენ ჟურნალისტები, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ 2019 წელს გამოქვეყნდა სახელმძღვანელო მედიისთვის „ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება“, რომელიც საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (GCSD) მიერ არის მომზადებული და წარმოადგენს მნიშვნელოვან მასალას ჟურნალისტებისთვის და ზოგადად მედიისთვის.

ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქებისას საჭიროა ზღვარის დაცვა, რომ ერთი მხრივ არ მოხდეს მოსახლეობაში პანიკის დათესვა, მეორეს მხრივ კი ინფორმაციის გაშუქება იყოს ზუსტი, რადგან საზოგადოების ინტერესი საკმაოდ მაღალია მსგავსი თემების მიმართ. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, ჟურნალისტმა უნდა გაიაროს იმ ზღვარზე რომ არ წაახალისოს ტერორისტული აქტი, ან ტერორისტი, ან/და არ მოახდინოს მისი რომანტიზება. მაგალითად გარკვეულწილად რომანტიზება მოხდა თარხან ბათირაშვილის შემთხვევაში, რადგან ხშირად ტელევიზიები მას ერთგვარ წარმატების მაგალითადაც წარმოაჩენდნენ. მსგავსი შეფასება კი ხშირად ახალგაზრდების ინტერესებს აღვიძებს. იგივე შეიძლება ითქვას ბოლო პერიოდში გახმაურებულ თავდასხმაზე ბადრი

ესეუასთან დაკავშირებით. ამ პიროვნების ერთგვარი გმირის სტატუსით შემოსვა გარკვეულწილად მედიის დამსახურებაა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის გარემოება რომ ჟურნალისტებმა არ მოახდინონ, განსაკუთრებით ტერორისტული აქტის გაშუქებისას, სიტუაციის უფრო გამწვავება. მედიას აკისრია პასუხისმგებლობა, რომ უნებურად ხელი არ შეუწყოს ტერორისტის მოწოდებებს და არ მოახდინოს მისი ტირაჟირება (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია 2015, ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქება).

ტერორისტული აქტის გაშუქების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ არ მოხდეს აქცენტის გასმა ტერორისტის რელიგიურ წარმომავლობაზე, რათა უფრო მეტად არ შეუწყოს ხელი გარკვეული რელიგიური ჯგუფების სტიგმატიზებას.

გარდა ამისა, ტერორისტული აქტის აღწერისას არ უნდა მოხდეს მისი დეტალური გაანალიზება, რადგან მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში არ გამოიწვიოს მიბაძვის სურვილი.

რაც მთავარია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჟურნალისტები არ უნდა აშუქებდნენ სპეცოპერაციის დეტალებს. ზემოთაც აღვნიშნე, რომ მაგალითად ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული ოპერაციის დროს პირდაპირ ეთერში გადაცემოდა სპეცდანიშნულების რაზმების განლაგება და გადაადგილება, რაც ტერორისტულ დაჯგუფებას რეაგირების და ტაქტიკის შეცვლის საშუალებას აძლევდა. მსგავსი ქმედებები ხელს უშლის სპეცოპერაციის ეფექტიანობას და შესაძლოა სავალალო შედეგიც დადგეს ჟურნალისტების არაპროფესიონალიზმის თუ ექსკლუზიური ინფორმაციის მოპოვების გამო.

ჟურნალისტების მხრიდან არაპროფესიონალიზმით და დაუდევრობით გამოწვეული სავალალო შედეგის მაგალითია 1974 წლის გახმაურებული ტერორისტული აქტი. 1974 წლის 22 ნოემბერს British Airways თვითმფრინავის გატაცებისას თავდამსხმელები ეგვიპტის ხელისუფლებას ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული 13 ადამიანის, ხოლო ჰოლანდიის ხელისუფლებას ამავე ბრალდებით დაკავებული 2 ტერორისტის გათავისუფლებას სთხოვდნენ. ეგვიპტის ხელისუფლებამ მზადყოფნა გამოთქვა რომ ასრულებდა ტერორისტების მოთხოვნას, მაგრამ ამ დროს ერთ-ერთმა რეპორტიორმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ თვითმფრინავის ბორტთან არავითარი გათავისუფლებული პატიმრები არ იმყოფებოდნენ და გამტაცებლები სავარაუდოდ შეცდომაში შეჰყავდათ. ინფორმაციის გასაჯაროების შემდეგ გამტაცებლებმა ერთ-ერთი მიჰვალა მოკლეს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი რომ მედიის წარმომადგენლებმა ხელი არ შეუშალონ სამართალდამცავ ორგანოებს მუშაობაში, მოსახლეობას არ შეუქმნან საფრთხე და ტერორისტებს არ მიაწოდონ ინფორმაცია და გარკვეულწილად თავისდაუნებურად არ დაეხმარონ მათ (ქავთარაძე 2019, 49-50), რომ საბოლოო ჯამში არ დადგეს მსგავსი სავალალო შედეგი.

ინფორმაციის გაშუქებისას კიდევ ერთი მთავარი კომპონენტი ინფორმაციის სანდოობაა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტერორისტული აქტის გაშუქების დროს აუცილებელია მოსახლეობას მიეწოდოს ინფორმაცია მიღებული ცნობების წყაროების შესახებ (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია 2015, ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქება).

ამასთანავე, ძალიან მნიშვნელოვანია ძალადობრივი ქმედების გაშუქების დროს მედიის წარმომადგენლებმა სწორად შეარჩიონ ტერმინოლოგია. რეპორტიორებმა არ უნდა გამოიყენონ სიტყვა ტერორისტი, ტერორისტული აქტი, რაც ერთგვარად შეფასებას იძლევა. ტერორიზმის და ტერორისტული აქტის განსაზღვრა მარტივი არ არის. ზოგადად ტერორისტულ ქმედებას პოლიტიკური თუ სოციალური მოტივი უდევს წინ და უბრალოდ ძალადობრივი ქმედება შეიძლება სულაც არ იყოს ტერორისტული აქტი და ეს მხოლოდ ყაჩაღობას, შეიარაღებულ თავდასხმას წარმოადგენდეს. მედიის მხრიდან კი ტერორიზმის კუთხით წარმოჩენა არ არის სწორი. მსგავს ფაქტებს ქართულ მედიაშიც ჰქონდა ადგილი, როდესაც მაგალითად ბადრი ესეუას, ან ბოლო პერიოდში ქუთაისის ბანკში შეჭრილი თავდამსხმელი პირდაპირ ტერორისტად და ქმედება ტერორისტულ აქტად გამოცხადდა. ორივე ფაქტს ჰქონდა ტერორიზმის ნიშნები, რადგან ჩვენი კანონმდებლობა მხოლოდ პოლიტიკური მოთხოვნებით არ განიხილავს ტერორიზმს და მასში

ფიზიკური პირების მძევლად აყვანაც ითვლება ტერორიზმად, მაგრამ მედიის მხრიდან პირდაპირ ქმედების გადაკვალიფიცირება არ არის სწორი, ამაზე უმჯობესია სამართალდამცავმა ორგანოებმა გააკეთონ აქცენტი და მედიამ ცალსახად ტერორისტად ან ტერორისტულ აქტად არ წარმოაჩინოს ქმედება. ხოლო თუ რომელიმე რესპონდენტი ან სამართალდამცავი სტრუქტურებიდან მსგავსი შეფასება იქნება სწორედ ამ კუთხით და ისევ წყაროს მითითებით მიაწოდოს ინფორმაცია რომ ეს შედარება კონკრეტულ პირს ეკუთვნის და არ წარმოადგენს მედიის მხრიდან ფაქტის შეფასებას.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში-ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქება-აღნიშნული რეკომენდაციები მოცემულია, თუმცა ეს რეკომენდაციები თითქმის იდენტურია სხვა მედია საშუალებებშიც. BBC სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვითაც ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები აუცილებლად უნდა გაშუქდეს ოპერატიულად და დიდი პასუხისმგებლობით და ისიც აქცენტს აკეთებს რომ ჟურნალისტმა არ უნდა გამოიყენოს სიტყვა ტერორისტი და მის მაგივრად სხვა ფორმით მოიხსენიოს იგი, როგორც შეიარაღებული პირი, თავდამსხმელი და ა.შ. (გოგბერაშვილი 2018, 21).

მნიშვნელოვანია აგრეთვე რომ მედიამ, განსაკუთრებით პირდაპირ ეთერში, არ გაუშვას მძიმე კადრები, რაც ზიანს მიაყენებს დაზარალებულებს, იქნება მათთვის ღირსების შემლახველი, ოჯახის წევრებისთვის და ახლობლებისთვის კიდევ უფრო რთულად აღსაქმელი ან/და ტკივილს მიაყენებს მათ (საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია 2015, ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქება).

UNESCO მიერ გამოცემულ ცნობარში ჟურნალისტებისთვის „ტერორიზმი და მედია“ განსაკუთრებული აქცენტი გამახვილებული იმ საკითხზე თუ რა კუთხით გააშუქებს მედია ამა თუ იმ ტერორისტულ აქტს (ე.წ. Framing), რადგან როგორც კვლევებმა აჩვენა რომ თუ რაზე ამახვილებს ყურადღებას ჟურნალისტი და როგორ აშუქებს ამ ინფორმაციას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აუდიტორიის აღქმებზეც (ქავთარაძე 2019, 33-34). თუ ჟურნალისტი აქცენტს აკეთებს ტერორისტის ეთნიკურ ან რელიგიურ კუთვნილებაზე, ამან შესაძლოა საზოგადოებაში ამ ჯგუფების მიმართ აგრესიას დაუდოს საფუძველი და საფრთხე შეექმნას უმცირესობების ჯგუფებს (ქავთარაძე 2019, 34).

ბოლო პერიოდში განხორციელებულ გახმაურებულ თავდასხმებს თუ განვიხილავთ შეგვიძლია გადავამოწმოთ თუ როგორ ხდება ძალადობრივი ქმედებების გაშუქება ქართულ მედიაში. 2020 წლის 21 ოქტომბერს, დაახლოებით, 14:00 საათისთვის ზუგდიდის „საქართველოს ბანკში“ თავდამსხმელი შეიჭრა და მძევლად აიყვანა ბანკში მყოფი პირები. თავდამსხმელმა მოახერხა თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება და ისე გაიტანა დიდი რაოდენობით თანხა დღემდე არ არის დაკავებული. ბადრი ესებუა ერთგვარად დადებით პერსონაჟად წარმოჩინდა, რასაც ცალსახად ვერ ვიტყვით, მაგრამ გარკვეულწილად მედიის დამსახურებაც არის.

2020 წლის 20 ნოემბერს ერთ-ერთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში თავდამსხმელი პირის შეჭრა და მძევლად 9 ადამიანის აყვანა. ქართულმა მედია საშუალებებმა აგრეთვე ტერორიზმად დაიდენტეფიცირეს, თუმცა მოგვიანებით აღნიშნული თავდასხმა გარკვეულწილად სოციალურ და პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაიხარდა, რადგან თავდამსხმელმა სოციალური მოთხოვნები წამოაყენა. ეს აქტი სრულად მოერგო ტერორისტის ნიშნებს, მაგრამ სანამ სამართალდამცავი საშუალებები არ გადააკვალიფიცირებენ საქმეს, ჟურნალისტმა მსგავსი შეფასებებისგან თავი უნდა შეიკავოს. მოგვიანებით თავდამსხმელი ლევან ზურაბაშვილი დააკავეს.

ქუთაისში 2022 წლის 20 სექტემბერს საქართველოს ბანკში თავდამსხმელის შეჭრა, რომელმაც მძევლად აიყვანა ადამიანები და რამდენიმე საათის განმავლობაში წამოყენებული ჰქონდა მოთხოვნები. ამ შემთხვევაშიც პოლიტიკურ და სოციალური სახის მოთხოვნებს ადგილი არ ქონია, თუმცა მოგვიანებით როცა დამნაშავეს-გრიგოლ ნარსიას-დაკავება მოხდა მას ბრალი წარედგინა რამდენიმე მუხლით: მძევლების აყვანა ტერორისტული მიზნით, საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება, ტერორისტული აქტი.

როგორც ზემოთ უკვე ვიმსჯელე ამ ტიპის თავდასხმების დროს რთულია გარკვეული ძალადობრივი ქმედება დააიდენტიფიცირო ტერორისტულ აქტად. აკადემიურ წრეებში დღემდე არსებობს დებატები თუ რა შეიძლება განიხილო ტერორისტულ აქტად და რა ძალადობრივ ქმედებად ან/და ყაჩაღობად. ზოგადად ტერორისტული აქტი არის პოლიტიკური ან იდეოლოგიური მოტივით განხორციელებული ძალადობრივი ქმედება, რომელმაც უნდა შეცვალოს სამიზნე აუდიტორიის ქცევა. თუმცა საბოლოო ჯამში გადაწყვეტილებას თუ რა შეიძლება განისაზღვროს ტერორისტულ აქტად სახელმწიფოები საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად იღებენ. ქართული კანონმდებლობით „საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ ზემოთ განხილული ძალადობრივი ქმედებები შეიძლება გადაკვალიფიცირდეს ტერორისტულ აქტად, თუმცა რა თქმა უნდა ეს მხოლოდ სამართალდამცავი უწყებების პრეროგატივაა და როგორც უკვე არა ერთ გზის აღვნიშნე მედიამ შეფასებებისგან თავი უნდა შეიკავოს.

დასკვნები

გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია რომ მოხდეს ფუნქციების გამიჯვნა, სწორი აქცენტების დასმა და იმის გაანალიზება თუ როგორ უნდა გაშუქდეს ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები სწორად, რათა უფრო მეტად არ მოხდეს სიტუაციის დამძიმება ან ტერორისტული ქმედების დადებით კონტექსტში წარმოჩენა. ტერორიზმი საკმაოდ ფართო და კომპლექსური ცნებაა და უმჯობესია მედია საშუალებები უფრო მეტად ფრთხილად მოეკიდონ მსგავსი აქტების გაშუქებას და არ წახალისონ ძალადობრივი ქმედება ან ხელი არ შეუშალონ სამართალდამცავ უწყებებს თავისი საქმის ჯეროვნად განხორციელებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გოგბერაშვილი, გიორგი. ტერორიზმისა და მედიის სიმბიოზის მახასიათებლები ქართულ ონლაინმედიაში. თბილისი, 2018.
- გოგუაძე, გიორგი. "ტერორიზმი და მედია, როგორც ჟანგბადი." *Www.mediachecker.ge*, 23 July 2016, www.mediachecker.ge/ka/blogi/article/49491-terorizmi-da-media-rogorc-zhangbadi. Accessed 6 Dec. 2022.
- ნარინდოშვილი, თამარ. ტერორიზმისა და უსაფრთხოების საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში (1995-2015 წწ.). თბილისი, 2018.
- საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ. 2007. თბილისი. http://police.ge/files/pdf/sakanonmdeblo%20baza/21.Law_on_Terrorism.pdf - (10.09.2021).
- "ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გაშუქება." საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია. *Www.qartia.ge*, 26 Nov. 2015, www.qartia.ge/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/29310-terorizmtan-dakavshirebuli-temebis-gashuqeba. Accessed 6 Dec. 2022.
- ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია. 2019. თბილისი.
- ქავთარაძე, ლაშა. 2019. ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება. თბილისი: საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD), საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, PH International.
- ქოული, იდენ. 2021. ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება და მისი პრევენცია: სახელმძღვანელო საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ. თბილისი: საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრი (GCSD).

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავება: კონცეფციების, პროგრამების შექმნისა და მოწინავე პრაქტიკის შესახებ გაცნობითი ხასიათის სახელმძღვანელო. 2020. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრი (GCSD).

Jr, R. W. Apple. "Thatcher Urges the Press to Help "Starve" Terrorists." *The New York Times*, 16 July 1985, www.nytimes.com/1985/07/16/world/thatcher-urges-the-press-to-help-starve-terrorists.html.

ინოვაციები ფინანსურ სექტორში და მსოფლიო პანდემია

Teimuraz Berdzenishvili

Nato Bebiashvili

David Megrelishvili

Georgian Technical University, Georgia

აბსტრაქტი

ყველა ქვეყნის საბანკო სექტორი უნდა ეცადოს, რაც შეიძლება სწრაფად აითვისოს ისეთი თანამედროვე, ინოვაციური ტექნოლოგიები, რომლებიც ამარტივებს სამუშაო პროცესს, ამცირებს ყველანაირ რისკებს, ბანკებს საშუალებას აძლევს უფრო სწრაფად შეასრულოს ოპერაციები და ისეთ დონეზე გაანალიზოს კლიენტების ინფორმაცია, რომ შეძლოს ახალი, მომხმარებელზე მორგებული, პერსონიფიცირებული შეთავაზებების შექმნა. ასე მაგალითად, ციფრული სისტემების დანერგვა საშუალებას აძლევს კლიენტს, რომ გახსნას ანგარიშები, აიღოს სესხი, შეუკვეთოს ბარათი და მიიღოს სხვადასხვა სახის მომსახურება დისტანციურად, სახლიდან გასვლის გარეშე. 2020 წელს დაწყებული მსოფლიო პანდემია გახდა ერთ-ერთი განმაპირობებელი იმისა, რომ ბანკებს კიდევ უფრო მეტად დაეწყო გაციფროვნების დონის ზრდაზე ფიქრი, რადგან მრავალი ადამიანი გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე და მათთვის უფრო მოსახერხებელი ციფრული პროდუქტები გახდა. გამოჩნდა ფინტექ კომპანიები, რომლებიც ეხმარება, შესაბამისი რესურსებით აღჭურვილ ბანკებს, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაში. ასეთ კომპანიებს გააჩნია ძვირად ღირებული კომპიუტერული ტექნიკა, შესაბამისი პროგრამული საშუალებები და ტექნიკური მიმართულებით მომზადებული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს როგორც არსებული ტექნოლოგიების დახვეწასა და განვითარებას, ასევე ახალი, უფრო ოპტიმიზირებული და კლიენტებზე მორგებული აპლიკაციების თუ პროგრამების შექმნას. ტექნოლოგიების და გაციფროვნების დონის ზრდას აუცილებლად მოყვება ხოლმე თანამდევნი გამოწვევები თუ რისკები, მათ შორის, საკითხი შეამცირებს თუ არა ინოვაციების ზრდა და ავტომატიზაცია სამუშაო ადგილების რაოდენობას, გამოიწვევს თუ არა ინოვაციების დანერგვა მომსახურების ღირებულების მკვეთრ ზრდას და ა.შ., მაგრამ ყველა, მათ შორის, მოცემულ სტატიაში განხილული კვლევების შედეგების ანალიზით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინოვაციების განვითარების ტენდენციები, ჯერჯერობით, დადებით დინამიკას აჩვენებს, მოსალოდნელი რისკები არ აჭარბებს სარგებელს და არ არის დამაბრკოლებელი ბანკების განვითარებისთვის. ასეთი მიდგომების გამოყენება მომგებიანია არა მარტო ბანკებისთვის, არამედ სხვა, მათ შორის, საფინანსო სექტორის ორგანიზაციებისთვისაც.

საკვანძო სიტყვები: საბანკო სექტორი, ინოვაციები, მსოფლიო პანდემია

Financial Sector Innovations and The Global Pandemic

Abstract

The banking sector of all countries should try to master as quickly as possible modern, innovative technologies that simplify the work process, reduce all risks, allow banks to complete transactions faster and analyze customer information to a level that allows creating new, customer-friendly, personalized offers. For example, the introduction of digital systems allows the client to open accounts, take out a loan, order a card and receive various services remotely, even without leaving home. The global pandemic that began in 2020 became one of the reasons why banks began to think even more about increasing the level of digitization as more people moved to remote work and digital products became more convenient for them. Fintech companies have appeared to help banks with the appropriate resources to introduce innovative technologies. Such companies have expensive computer equipment,

relevant software and technical staff, which ensures the refinement and development of existing technologies, as well as the creation of new, more optimized and customized applications or programs. An increase in technology and digitalization will inevitably lead to associated challenges or risks, including whether the increase in innovation and automation will reduce the number of jobs, whether innovation will lead to a sharp increase in the cost of services, etc., but all, including Analyzing research results considered in the article, we can conclude that the development trends of innovations, so far, show positive dynamics, the expected risks do not outweigh the benefits and are not an obstacle to the development of banks. The use of such approaches is beneficial not only for banks but also for other organizations, including the financial sector.

Keywords: Banking sector, Innovation, World pandemic

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის, მრავალ სექტორს შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ძლიერი და სტაბილური ფინანსური სექტორის არსებობაა. ძლიერი ფინანსური სექტორის არსებობა კი, თავის მხრივ, ქვეყანაში არსებულ საფინანსო ინსტიტუტებზე დამოკიდებული, რომელთა შორის ძლიერ მამოძრავებელ ძალას ბანკები წარმოადგენს. საბანკო სექტორი ცდილობს არ ჩამორჩეს ტექნოლოგიურ განვითარებას, გაამარტივოს მომსახურება, იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი, კლიენტებს შეუქმნას მაქსიმალური კომფორტი, მომსახურება და შეთავაზებები გახადოს პერსონიფიცირებული.

საბანკო სფეროში ციფრული ტექნოლოგიების ზრდას მრავალი სარგებლის მოტანა შეუძლია, მაგრამ ეს პროცესი სწორედ უნდა იქნას წარმართული, ბანკებს სჭირდება გარკვეული სტრატეგია, ნათელი ხედვა, სხვადასხვა ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სისტემების გამოყენება, მომხმარებლის ფინანსური საჭიროებების, ქვეყნისა და დემოგრაფიული პროფილის გაანალიზება და ბიზნესპროცესების გამარტივება, რაც საბოლოო ჯამში საოპერაციო რისკების შემცირებას გამოიწვევს.

2020-21 წლები მსოფლიო პანდემიის წლები იყო, რომელიც კორონავირუსმა (COVID 19) გამოიწვია. მსოფლიო პანდემიამ ყოველდღიური წესრიგი შეცვალა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის, საქართველოშიც, გამოიწვია ეკონომიკის ზრდის ტემპის შემცირება, უმუშევრობის ზრდა, დაახარა კერძო სექტორის გადახდისუნარიანობა და საბანკო სექტორს შეუქმნა გარკვეული რისკები. პანდემიის გამო დაწესდა გარკვეული რეგულაციები, მრავალი კომპანია გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე, უფრო მეტად გაიზარდა ციფრული პროდუქტებისა და ონლაინ მაღაზიების მომხმარებელთა რაოდენობა.

ზოგადად, ყოველი ფორსმაჟორული მდგომარეობა და სხვა სახის გლობალური გამოწვევა ან წინააღმდეგობა, მრავალ უარყოფით ფაქტორებთან ერთად, შეიძლება ქმნიდეს გარკვეულ დადებით ტენდენციებს, შესაძლებლობებს, კომპანიებს ანახებდეს განვითარების ახალ მიმართულებებს, თუ როგორ შეიძლება აკეთო რაიმე ახლებურად, ან შეიტანო ცვლილება გარკვეულ პროცესში, რათა უფრო მეტად მოერგო არსებულ მდგომარეობას და განვითარდეს ასეთ რთულ პერიოდებშიც კი.

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის "World Economic Forum"-ის მონაცემებით, პანდემიის პერიოდში, მსოფლიოს მასშტაბით, მნიშვნელოვნად გაიზარდა მომხმარებელთა რეგისტრაცია მობილ ბანკებში. ასევე გაიზარდა მობილურით გადახდები და ზოგადად უკონტაქტო გადახდების რიცხვი, ბანკებმა უფრო მეტად დაიწყეს ზრუნვა თაღლითური შემთხვევების აღმოფხვრაზე, მაგალითად შვეიცარიის ბანკებმა, კოვიდამდე პერიოდთან შედარებით, თაღლითური შემთხვევების პრევენციის სისტემების დანერგვა 40%-ით გაზარდა.

2020-2021 წლების პანდემიაზე მრავალი სტატისტიკური თუ კვლევითი მონაცემები ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და არ სჩანს მისი გავლენის სრული სურათი. შეგვიძლია გამოვყოთ ციფრული ბანკის ის ძირითადი დადებითი მხარეები, რაც პანდემიის დროს გაუმარტივდა კლიენტებს. ასეთი პირველ რიგში ანგარიშის დისტანციური გახსნაა. დისტანციურად ანგარიშის

გახსნაზე ჩაატარა კვლევა აშშ-ს ერთ-ერთმა ტექნოლოგიურმა კომპანია "OneSpan"-მა, რომლის გამოკითხვის ფარგლებშიც 100-მა ჩრდილო ამერიკულმა ბანკმა მიიღო მონაწილეობა. კვლევა 2019-2020 წლის ზამთარში ჩატარდა და მის შედეგად დადგინდა, რომ ბანკების 68%-ში ეს პროცესი უკვე აქტიური ინიციატივაა, ხოლო 35% მას უმაღლეს პრიორიტეტს ანიჭებს.

მომხმარებელთან კომუნიკაციის გასამარტივებლად და მომსახურების სისწრაფის გასაუმჯობესებლად, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტია ე.წ. "Chat bot"-ი, მისი საშუალებით კლიენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს საბანკო ინფორმაცია, განახორციელოს სხვადასხვა გადარიცხვა და ა.შ.. ხშირად ქოლცენტრში დარეკვის ან ონლაინ კონსულტაციის მოთხოვნისას, კლიენტებს ლოდინი უწევს, სწორედ ამ შემთხვევისთვის არის ყველაზე გამოსადეგი "Chat bot"-ი. ის მაშინვე პასუხობს ყველა დასმულ კითხვას და თუ რაიმე თემაზე არ აქვს გარკვეული ინფორმაცია, მას შეუძლია კლიენტის გადამისამართება შესაბამისი კონპეტენციის მქონე თანამშრომელთან. „თი-ბი-სი ბანკმა“ რამდენიმე წელია ეს ტექნოლოგია დანერგა თავის "Facebook"-ის „Messenger“-ში.

ზოგადად, ბანკების გაციფროვნება დიდი ხანია დაწყებულია, მაგრამ ეს პროცესი პანდემიამ კიდევ უფრო დააჩქარა. ტექნოლოგიურმა კომპანია Lightico-მ 2020 წელს მარტში ჩაატარა კვლევა, რომ გაერკვია, თუ როგორ იმოქმედა პანდემიამ საბანკო სერვისების მომხმარებელზე. კვლევაში მონაწილეობა 1000-მა სხვადასხვა ბანკის მომხმარებელმა მიიღო, გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ პანდემიის დაწყების შემდეგ რესპოდენტთა 73% დისტანციურად მუშაობდა და მათი 63% უფრო მეტად მიმართული იყო ახალი ციფრული არხების გამოყენებაზე.

ბრიტანულმა ჟურნალმა ეკონომისტმა გამოაქვეყნა 2020 წლის კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 305 ბანკის სხვადასხვა განყოფილების აღმასრულებელმა მენეჯერმა. რესპოდენტთა 66%-მა (42%- 2019 წლის მონაცემებით) დააფიქსირა, რომ ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინები ან საგნების ინტერნეტი, დიდ ზეგავლენას ახდენს საბანკო სექტორზე, რაც ხაზს უსვამს, რომ ბანკებისთვის დამატებითი კონკურენციის საფრთხეს შეიძლება წარმოადგენდეს ისეთი კომპანიები, როგორებიცაა მაგ. გადახდის სისტემების კომპანიები (Paypal, GooglePay) ან მაღალი ტექნოლოგიის მქონე კომპანიები (Google, Facebook, Alibaba). კითხვაზე თუ რა არის მათი ბანკის პრიორიტეტი, 35.4%-მა უპასუხა- კიბერუსაფრთხოება, 32.5%-მა- ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ასისტენტის სისტემების დანერგვა, ხოლო 26.6%-მა - ქლოუდ ტექნოლოგიების განვითარება.

პანდემიის დროს ფინანსური სერვისების სწრაფი განვითარების ტენდენცია აღინიშნა, მაგალითად "World Economic Forum"-ზე დაყრდნობით, შვეიცარიის საბანკო სექტორს, სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირში, მოუწია განეხორციელებინა დიდი რაოდენობით საკრედიტო საშუალებების მიწოდება, შეთავაზება, კლიენტების მოთხოვნებზე ადაპტირება და განსხვავებული, შეცვლილი ქცევების მხარდაჭერა. ეფექტური ოპერაციებისა და სერვისების სტაბილურობის შესანარჩუნებლად, საჭირო გახდა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. პანდემიის დაწყებიდან, მობილური გადახდის აპლიკაციების რეგისტრაციასა და გამოყენებაში 80%-მდე ზრდა და უკონტაქტო გადახდების გამოყენებაში 30%-ზე მეტი ზრდა დაფიქსირდა. შესაბამისად იკლო, შვეიცარიის ბანკების ფილიალებში, მისული კლიენტების რაოდენობამ. კლიენტების გარდა ბანკებში სახლიდან მომუშავე პერსონალის რაოდენობის სწრაფი ზრდაც აღინიშნა. ახლა, მომხმარებლის ბარათებზე თაღლითობის პრევენციისთვის, ორგანიზაციებს შეუძლია გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტზე დაფუძნებული სისტემები, რომლებიც აანალიზებს სხვადასხვა ცვლადებს, აფასებს ტრანზაქციებს და თაღლითობის ალბათობის ეჭვის შემთხვევაში, იწყებს კლიენტის პრევენციულ გაფრთხილებას. სწორედ ამ ტექნიკური საშუალებებით შვეიცარიის ბანკების მასშტაბით, კოვიდამდე პერიოდთან შედარებით, 40%-ით გაიზარდა თაღლითობის პრევენციის დონე.

ასევე საინტერესოა მონაცემთა ანალიზი, რომელიც ორგანიზაციებს სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში ეხმარება. ხელოვნური ინტელექტის მანქანური სწავლება გამოიყენება კლიენტისა და ტრანზაქციის პროფილებში გადახდების გამოსავლენად.

გამორჩეული მოთხოვნების მქონე და მსხვილ კლიენტებს გააჩნია საოპერაციო რისკის გაზრდილი დონე, ამიტომ საჭიროა სხვადასხვა ინსტრუმენტი, რომელიც მიმართავს ჰკვიან ანალიტიკას. ეს საშუალებას აძლევს ბანკებს დაადგინოს რისკები უფრო სწრაფად, ხარისხიანად და მარტივი ვიზუალიზაციით.

პანდემიის გამოწვევებთან საბრძოლველად შვეიცარიულმა ბანკებმა, მთავრობასთან თანამშრომლობით, საშუალო და მცირე ბიზნესების მხარდასაჭერად ჩამოაყალიბა დაკრედიტების პროგრამა, რომელიც ბიზნესს საჭირო სახსრებს შეფერხებების გარეშე აძლევდა და ბანკის საკრედიტო ჯგუფთან ერთად საკრედიტო მოთხოვნების განაცხადებს ამუშავებდა. ამ მხარდაჭერით 24 საათში, 24 000-ზე მეტი განაცხადი მუშავდებოდა, რაც დაახლოებით 100 თანამშრომლის საქმეს წარმოადგენდა.

გაციფროვნების მაღალ დონესთან და მონაცემებისა და ანალიტიკის გაზრდილ გამოყენებასთან თანმდევი მნიშვნელოვანი საკითხია ეთიკური პრინციპებისა და მონაცემების გამოყენებისთვის არსებული რეგულაციების, კანონების და წესების დაცვა. შვეიცარიამ ციფრული ინიციატივაც კი მიიღო ეთიკური სტანდარტების დაცვის მხარდასაჭერად.

დასკვნა

ქვეყანაში არსებულ საფინანსო ინსტიტუტები ეკონომიკის ძლიერ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ბანკები ცდილობს იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი, კლიენტებს შეუქმნას მაქსიმალური კომფორტი, მომსახურება და შეთავაზებები გახადოს პერსონიფიცირებული. ამავე დროს ტექნოლოგიებისა და გაციფრულების დონის ზრდის თანმდევი სხვადასხვა სახის გამოწვევა თუ რისკი, მათ შორის, ფართოდაა გავრცელებული საკითხები: შეამცირებს თუ არა ინოვაციების ზრდა და ავტომატიზაცია სამუშაო ადგილებს, მეტრად გააძვირებს თუ არა საბანკო მომსახურებას და სხვა. ინოვაციების დანერგვამ, ამავე დროს, შეიძლება არც გამოიწვიოს სამუშაო ადგილების შემცირება, რადგან სხვადასხვა ტექნოლოგიების შემოსვლა ზრდის მოთხოვნას ამ მიმართულებით მომუშავე პერსონალზე. საბოლოოდ, 21-ე საუკუნეში, ტექნოლოგიების ერაში, ბევრი რამ სწრაფად იცვლება და წინასწარ, ყველა გამოწვევის გათვალისწინება შეუძლებელია, მაგრამ როგორც კვლევები გვიჩვენებს, ჯერჯერობით, მოსალოდნელი რისკები არ აჭარბებს სარგებელს და ბანკების საქმიანობის გასამარტივებლად, კლიენტების კმაყოფილების დონის გასაზრდელად, კონკრეტული უპირატესობის მოსაპოვებლად, ხარჯების შესამცირებლად და შესაბამისად, მოგების გასაზრდელად ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა არ გამოიწვევს უარყოფით ცვლილებებს. ასეთი მიდგომების გამოყენება მომგებიანია არა მარტო ბანკებისთვის, არამედ სხვა, მათ შორის, საფინანსო სექტორის ორგანიზაციებისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) <https://www.thalesgroup.com/en/worldwide-digital-identity-and-security/bank-payment/magazine/7-game-changing-innovations-will-re>
- 2) <https://fintechmagazine.com/venture-capital/why-uk-leads-global-digital-banking-industry>
- 3) <https://www.jpmorganchase.com/news-stories/tech-investment-could-disrupt-banking>
- 4) <https://www.statista.com/chart/19447/uk-bank-branch-closures-which/>
- 5) <https://www.weforum.org/agenda/2016/11/a-robot-coming-to-take-your-job-probably-not>
- 6) <https://www.weforum.org/agenda/2020/06/digitalization-is-changing-banking-these-three-trends-will-help-shape-its-future/>
- 7) <https://www.weforum.org/agenda/2020/06/phygital-strategy-isolation-economy/>
- 8) <https://www.weforum.org/agenda/2015/04/6-ways-banks-can-profit-from-the-digital-age/>
- 9) <https://www.weforum.org/agenda/2020/08/how-digital-innovations-helped-banks-adapt-during-covid-19/>

ბლოკჩეინ ტექნოლოგიების გავლენა საბანკო სექტორზე

Nato Bebiashvili

Teimuraz Berdenishvili

David Megrelishvili

Teimuraz Tutberidze

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

აბსტრაქტი

ბლოკჩეინტექნოლოგიები მომავალში უდიდეს ზეგავლენას მოახდენს საბანკო სექტორზე. კომპანიები და ინვესტორები თანდათან ანალიზებენ, თუ რა პოტენციალი აქვს ამჟამად, ამ ტექნოლოგიებს და რა პერსპექტივები შეიძლება ჰქონდეთ მომავალში მათ გამოყენებას. მაგალითად, თუ 2017 წელს ბლოკჩეინტექნოლოგიების შემცველ კენჭურულ კაპიტალში 1 მილიარდი დოლარი იყო ინვესტირებული, 2018 წლისთვის ეს რიცხვი 3.9 მილიარდამდე გაიზარდა, რაც ერთი წლისთვის საკმაოდ შთაბეჭდავი რიცხვია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო სექტორისთვის ბლოკჩეინზე დაფუძნებული გადახდების სისტემები გამოწვევაა, ყოველწლიურად იზრდება ბლოკჩეინ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ტრანზაქციების რაოდენობა და მომავალში ეს გამოწვევა ბანკებისთვის დიდ საფრთხედ შეიძლება გადაიქცეს. აქედან გამომდინარე, ბლოკჩეინტექნოლოგიების საბანკო სექტორში გამოყენების პერსპექტივების შესწავლა, ძალზედ აქტუალური და მომავალზე ორიენტირებული საკითხია. ბლოკჩეინტექნოლოგია მხარეებს შუამავლის გარეშე შეთანხმების საშუალებას აძლევს, ბლოკჩეინს შეუძლია უზრუნველყოს კონკრეტული ფინანსური მომსახურება, მაგალითად გადახდები ან ფასიანი ქაღალდები, ბანკის ჩარევის გარეშე. გარდა ამისა, ბლოკჩეინი საშუალებას იძლევა გამოიყენოთ ისეთი საშუალებები, როგორიცაა თვითრეგულირებადი კონტრაქტები, რომლებიც დაფუძნებულია ბლოკჩეინზე და შეუძლია მექანიკური პროცესების ავტომატიზირება. ბლოკჩეინტექნოლოგიას აქვს იმის პოტენციალი, რომ გადატრიალება მოახდინოს საბანკო ინდუსტრიის ისეთ ძირითად სერვისებში, როგორებიცაა: გადახდები უფრო სწრაფად და დაბალი საკომისიოებით; გაგზავნის უსაფრთხო და იაფი გზა; გადამუშავების სწრაფი ვადები. ამასთანავე აღსანიშნია, რომ სანამ ბლოკჩეინი საბანკო საქმის ძირითადი ტექნოლოგია გახდება, ბანკებს რამდენიმე პირობის შესრულება მოუწევს, კერძოდ, ბანკებმა ჯერ უნდა განავითაროს გლობალური ქსელის მუშაობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ვინაიდან მხოლოდ ბლოკჩეინის ფართო მასშტაბის მიღებას მიჰყავს ეს ტექნოლოგია სექტორის განვითარებისკენ. როგორც კვლევები გვიჩვენებს სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი, დროისა და ფინანსების დაზოგვის მიზნით, ცდილობს ბანკის გვერდის ავლით ტრანზაქციების განხორციელებას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტრანზაქციების დეცენტრალიზებული და რთული ბუნებიდან გამომდინარე, მთავრობისა და მარეგულირებლებისთვის ძალზედ ძნელია ამ გადარიცხვებზე დაკვირვება, კონტროლი ან მათი გაუქმება. საქართველოში ბლოკჩეინტექნოლოგიების მიმართ სკეპტიციზმი ჭარბობს, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქვეყანას გააჩნია საკმაოდ პოტენციალი, რომ გახდეს კარგი ბაზა ახალი ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობებისა და უპირატესობების გამოყენებისთვის, რაც დაეხმარება საბანკო სექტორის მთლიან სრულყოფასაც. აღნიშნული მიმართულებების განვითარების ხელშეწყობისთვის, ჩვენმა სამუშაო ჯგუფმა, სტუ-ს ენერგეტიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და დოქტორანტების მონაწილეობით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულ „საინჟინრო ამოცანებისა და ბოზნესპროცესების შემსწავლელი“ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ბაზაზე, გაგვანალიზეთ თუ რა პოტენციალი აქვს ამჟამად, ბლოკჩეინტექნოლოგიებს და რა პერსპექტივები შეიძლება ჰქონდეს მომავალში მათ გამოყენებას ბიზნესის სფეროში და კერძოდ; საბანკო სექტორში. შემუშავებულ იქნა ბიზნესპროექტებში ბლოკჩეინტექნოლოგიების გამოყენების ალგორითმებისა და პრაქტიკული რეკომენდაციების არქივის საბაზისო ვარიანტი. შემუშავების სტადიაშია ამ

რეკომენდაციების კონკრეტულ ბიზნესამოცანებზე ორიენტირებული მონაცემთა ბაზის შექმნა, რაც ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად დაეხმარება ბიზნესით დაკავებულ ორგანიზაციებს კონკრეტული, ეფექტიანი ბიზნესგადაწყვეტილების მიღებაში.

საკვანძო სიტყვები: ბლოკჩეინტექნოლოგიები, საბანკო სექტორი, ტრანზაქციების დეცენტრალიზაცია, თვითრეგულირებადი კონტრაქტები

The Impact of Blockchain Technology on the Banking Sector

Abstract

Blockchain technologies will have a major impact on the banking sector in the future. Companies and investors are gradually analyzing the current potential of these technologies and the prospects for their use in the future. For example, if in 2017, 1 billion dollars was invested in venture capital involving blockchain technologies, by 2018 this number increased to 3.9 billion, which is quite an impressive number for one year. It should be noted here that blockchain-based payment systems are a challenge for the banking sector, the number of transactions based on blockchain technology is increasing every year, and in the future this challenge may turn into a big threat for banks. Therefore, studying the prospects of using blockchain technologies in the banking sector is a very relevant and future-oriented issue. Blockchain technology allows parties to negotiate without intermediaries, blockchain can provide specific financial services, such as payments or securities, without the intervention of a bank. In addition, blockchain allows for tools such as self-regulating contracts that are based on blockchain and can automate manual processes. Blockchain technology has the potential to revolutionize key services in the banking industry, such as: payments faster and with lower fees; A safe and cheap way to send; Fast turnaround times. In addition, it is noted that before blockchain becomes the main technology of banking, banks will have to fulfill several conditions, in particular, banks must first develop the infrastructure necessary for the operation of the global network, since only the large-scale adoption of blockchain will lead to the development of the sector. As studies show, more and more people are trying to bypass the bank to make transactions to save time and money, but it should also be noted that due to the decentralized and complex nature of such transactions, it is very difficult for the government and regulators to monitor, control or reverse these transfers. While skepticism towards blockchain technologies prevails in Georgia, we believe that the country has a lot of potential to become a good base for using the opportunities and advantages of new digital technologies, which will help to improve the banking sector as a whole. To promote the development of the mentioned directions, our working group, with the participation of professors and doctoral students of the Energy Faculty of GTU, on the basis of the "Engineering Tasks and Business Processes Study" educational and scientific center located at the Georgian Technical University, analyzed the current potential of blockchain technologies and the prospects to have their future use in the field of business and in particular, in the banking sector. A basic version of the archive of algorithms and practical recommendations for the use of blockchain technologies in business projects was developed. The creation of a database of these recommendations focused on specific business tasks is in the development stage, which, in our opinion, will significantly help business organizations to make specific, effective business decisions.

Keywords: blockchain technologies, banking sector, decentralization of transactions, self-regulating contracts

ბლოკჩეინტექნოლოგია 2008 წელს შეიქმნა, ბლოკჩეინი განაწილებული დავთრის სისტემაა, რომელიც მასზე შენახული ინფორმაციის დაცულობასა და სანდოობას უზრუნველყოფს. ტექნოლოგია გამოიყენება ისეთი შემთხვევებისთვის, სადაც ერთი და იგივე ინფორმაციაზე ბევრი ადამიანი მუშაობს და სადაც აუცილებელია, რომ ყოველ მათგანს ზუსტად ერთნაირი მონაცემები გააჩნდეს.

თითოეულ ბლოკჩეინს აქვს 3 ძირითადი ნაწილი:

- 1) ჩანაწერი - ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია;
- 2) ბლოკი - სხვადასხვა ჩანაწერების შეკვრა;
- 3) ჯაჭვი - შეიცავს ყველა ბლოკს, რომლებიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული.

არსებობს ბლოკჩეინის რამდენიმე ტიპი:

საჯარო – რომელზეც ყველას მიუწვდება ხელი და შეუძლია ინფორმაციის შენახვა, წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ (კრიპტოვალუტების უმრავლესობა ამ კატეგორიაში შედის);

კონფიდენციალური – რომელზეც მხოლოდ ავტორიზებულ პირებს მიუწვდება ხელი (ასეთ სისტემას ძირითადად, კომპანიის შიგნით იყენებენ);

კორპორატიული – რომელზეც ხელი მხოლოდ იმ პირებს მიუწვდება, ვისაც ამის უფლება მიეცემა. დღეს ეს ყველაზე გავრცელებული ბლოკჩეინის ტიპია და მას ნებადართულ (permissioned) ბლოკჩეინსაც უწოდებენ. ამ სტატიაში განხილული მაგალითებიც სწორედ ნებადართულ ბლოკჩეინს ეხება.

ბლოკჩეინების სრული უსაფრთხოება ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი, ვინაიდან, თანამედროვე, თუნდაც მოკრძალებული კონფიგურაციის მქონე კომპიუტერს შეუძლია ბლოკჩეინი შეცვალოს= „გააყალბოს“, ხელახლა დააგენერიროს და მას ისევ „კანონიერის“ სტატუსი დაუბრუნოს. მსგავსი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად სამუშაოს შემოწმების (Proof of Work) მეთოდს იყენებენ, რომლის მიზანი ბლოკჩეინში ახალი ბლოკების შექმნის პროცედურის შენელებაა. მნიშვნელოვან თვისებას, რომელიც ბლოკჩეინტექნოლოგიის უსაფრთხოებასა და ინფორმაციულ მთლიანობას პრაქტიკულად 100%-ით უზრუნველყოფს ბლოკების დეცენტრალიზებული შენახვა და კონსენსუსი წარმოადგენს. ამა თუ იმ ბლოკჩეინის სტემაში ახალი მომხმარებლის რეგისტრაციისას ის თანხმობას აცხადებს, რომ ბლოკჩეინის ასლი მის კომპიუტერზე ინახებოდეს. შესაბამისად, ყოველი ახალი ბლოკის შექმნისას დაითვლება და ყოველ კვანძზე სრული შესაბამისობის აღმოჩენისას (კონსენსუსი) გახდება ბლოკჩეინის ნაწილი. შედეგად, ყოველ კვანძზე იქნება ბლოკჩეინის იდენტური ასლები.

ჰკვიანი კონტრაქტები - ბლოკჩეინის ტექნოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნას გადასახადებისთვის, სადაზღვევო პოლისების შესაქმნელად ან სხვა ნებისმიერი ტრანზაქციული საქმიანობის შესასრულებლად. ბლოკჩეინი შეიძლება ინახავდეს ნებისმიერი ტიპის ინფორმაციას, მაგალითად, პაციენტის ავადმყოფობის ისტორიას, არჩევნების შედეგებს, საგადასახადო დეკლარაციებს და ბევრ სხვას.

კრიპტოვალუტა წარმოადგენს ბლოკჩეინის საფუძველზე მომუშავე ელექტრონული ანგარიშსწორების საშუალებას, რომელიც დღესდღეობით ძირითადად ონლაინსივრცეში გამოიყენება. დედამიწის პრაქტიკულად ყველა მოსახლემ გაიგო ან მონაწილეობა მიიღო ციფრული ფულის შექმნაში. coinmarketmap.com-ის მონაცემებით, ამჟამად 2400-ზე მეტი კრიპტოვალუტა არსებობს, რომელთა ჯამური საბაზრო ღირებულება თითქმის 200 მილიარდ დოლარს აღწევს, ხოლო ბლოკჩეინების ელექტრონული საფულის მომხმარებელთა რაოდენობამ, 2011 წლიდან 2021 წლის მაისის ჩათვლით 73 მილიონი ერთეული შეადგინა.

კომპანიები და ინვესტორები თანდათან აანალიზებენ, თუ რა პოტენციალი შეიძლება გააჩნდეს მომავალში ამ ტექნოლოგიების გამოყენებას, მაგალითად 2017 წელს ბლოკჩეინტექნოლოგიების შემცველ ვენჩურულ კაპიტალში 1 მილიარდი დოლარი იყო ინვესტირებული, ხოლო ეს რიცხვი 2018 წელს 3.9 მილიარდამდე გაიზარდა, რაც 1 წელში საკმაოდ შთამბეჭდავია.

ბლოკჩეინტექნოლოგიებმა შესაძლებელია უდიდესი ზეგავლენა მოახდინოს საბანკო სექტორზე. ბლოკჩეინტექნოლოგია მხარეებს შუამავლის გარეშე შეთანხმების საშუალებას აძლევს, ბლოკჩეინის

შეუძლია უზრუნველყოს კონკრეტული ფინანსური მომსახურება, მაგალითად გადახდები ან ფასიანი ქაღალდები, ბანკის ჩარევის გარეშე. გარდა ამისა, ბლოკჩეინი საშუალებას იძლევა გამოიყენოს ისეთი საშუალებები, როგორიცაა "ჰკვიანი კონტრაქტები", თვითრეგულირებადი კონტრაქტები, რომლებიც დაფუძნებულია ბლოკჩეინზე და შეუძლია მექანიკური პროცესების ავტომატიზირება.

ბლოკჩეინტექნოლოგიას აქვს იმის პოტენციალი, რომ გადატრიალება მოახდინოს საბანკო ინდუსტრიის ისეთ ძირითად სერვისებში, როგორებიცაა:

გადახდები - ბლოკჩეინტექნოლოგიას შეუძლია ხელი შეუწყოს უფრო სწრაფად და უფრო დაბალი საკომისიოებით გადახდას, ვიდრე ბანკებს.

ბლოკჩეინტექნოლოგია გთავაზობთ გადასახადების გაზავნის უსაფრთხო და იაფ გზას, რაც ამცირებს როგორც მესამე მხარისგან გადამოწმების აუცილებლობას, ასევე ტრადიციულ საბანკო გადარიცხვებთან შედარებით, გადამუშავების სწრაფ ვადებს.

ევროპის საგადასახადო საბჭოს (European Payments Council) წევრთა 90% თვლის, რომ ბლოკჩეინის ტექნოლოგია ძირითადად შეცვლის საბანკო ინდუსტრიას 2025 წლისთვის.

დღეს თუ ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადარიცხვის ასახვას საშუალოდ 3 დღე სჭირდება. ბიტკოინით (Bitcoin) შესრულებული ტრანზაქცია საშუალოდ 10 წუთში ისახება. საინტერესოა, რომ ბიტკოინით შესრულებული ტრანზაქციების რაოდენობა 2014 წლიდან (50 000) 2021 წლამდე 6 ჯერ გაიზარდა (300 000). ეს იმაზე მიუთითებს, რომ უფრო მეტი ადამიანი ცდილობს ბანკის გვერდის ავლით შეასრულოს ტრანზაქციები, რაც მათ დროსა და ფინანსებს დაზოგავს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტრანზაქციების დეცენტრალიზებული და რთული ბუნებიდან გამომდინარე, მთავრობისა და მარეგულირებლებისთვის ძალზედ ძნელია ამ გადარიცხვებზე დაკვირვება, კონტროლი ან მათი გაუქმება.

ზოგიერთი კომპანია, განვითარებად ქვეყნებში, ბლოკჩეინის ტექნოლოგიას B2B გადახდების გასაუმჯობესებლად იყენებს. ერთი ასეთი მაგალითია, ბიტპესა (BitPesa), რომელიც ხელს უწყობს ბლოკჩეინზე დაფუძნებულ გადახდებს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა კენია, ნიგერია და უგანდა. კომპანია ამუშავებს მილიონობით დოლარის ტრანზაქციებს და გავრცელებული ინფორმაციით, მათი რაოდენობა ყოველთვიურად 20%-ით იზრდება. ბიტპესა ასევე ფართოდ გამოიყენება ფულადი გზავნილებისთვის, რომლებიც იგზავნება მთელს სამხრეთ-საჰარის აფრიკაში, ფულის გაზავნის ყველაზე ძვირადღირებულ რეგიონში. კრიპტოგადასახადების ამ პლატფორმამ განაპირობა რეგიონში გადარიცხვის საფასურის 90% -ით შემცირება.

საბანკო საქმის აღმასრულებლები თვლიან, რომ სანამ საბანკო საქმის ძირითადი ტექნოლოგია გახდება, ბლოკჩეინს რამდენიმე პირობის შესრულება მოუწევს. კერძოდ, იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოიყენოს ბლოკჩეინი, ბანკებმა ჯერ უნდა განავითაროს გლობალური ქსელის მუშაობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა შესატყვისი გადაწყვეტილებების გამოყენებით. მხოლოდ ბლოკჩეინის ფართო მასშტაბის მიღებას მიჰყავს ეს ტექნოლოგია სექტორის განვითარებისკენ. ბლოკჩეინი საბანკო ინსტიტუტებს საშუალებას მისცემს გადაამუშავოს გადახდები უფრო სწრაფად და უფრო ზუსტად, რაც შეამცირებს ოპერაციების დამუშავების ხარჯებს. მთლიანობაში, ბლოკჩეინსერვისების საბანკო პროგრამები უკეთესად მოემსახურება მომხმარებელს და მნიშვნელოვნად დაეხმარება ტრადიციულ საბანკო ინსტიტუტებს.

კომპანია „რიპლი“ (Ripple) ყველაზე ცნობილი ბლოკჩეინსერვისების პროვაიდერია, რომელიც გადარიცხვებსა და ანგარიშსწორებაზე მუშაობს. კომპანია ცნობილია მისი ასოცირებული კრიპტოვალუტით XRP, ის ასევე ქმნის ბლოკჩეინზე დაფუძნებულ სისტემებს, რომლებსაც ბანკები ანგარიშსწორების პროცესებში იყენებს. როგორც ცნობილია, SWIFT-ით გადარიცხვისას სისტემის შეტყობინებები ცალმხრივია და ანგარიშსწორება არ შესრულებულა ტრანზაქციების ყოველი მხარეს მიერ განხორციელებული შემოწმების გარეშე. ამისგან განსხვავებით „რიპლის“ პროდუქტი, xCurrent

ბანკის ბაზებთან ინტეგრირებით, უზრუნველყოფს ორმხრივი საკომუნიკაციო პროტოკოლით შეტყობინებების რეალურ დროში გადაგზავნებსა და ანგარიშსწორებებს. ამჟამად „რიპლს“ 300-ზე მეტი მომხმარებელი ჰყავს 40-ზე მეტ ქვეყანაში, რომლებიც დარეგისტრირებულია მის ბლოკჩეინქსელში ექსპერიმენტისთვის. Ripple- ის კიდევ ერთი პროდუქტი, xRapid, ბანკებს ეხმარება ტრანსსასაზღვრო ოპერაციების მოკლე პერიოდში მოწესრიგებას. xRapid ცვლის ტრადიციულ მიდგომებს და მექსიკაში მოვაჭრეს შეუძლია გამოიყენოს მექსიკური პესო და შეიძინოს XRP ვალუტა ბირჟის მეშვეობით, ხოლო აშშ – ს ტრეიდერს შეუძლია გადაცვალოს ეს XRP ვალუტა დოლარში.

2020 წლის ოქტომბერში DBS-მა და Standard Chartered- მა თქვეს, რომ ისინი მუშაობენ ბლოკჩეინზე დაფუძნებული სავაჭრო დაფინანსების პლატფორმაზე, სახელწოდებით სავაჭრო ფინანსთა რეესტრი. პლატფორმა მიზნად ისახავს რეალურ დროში თაღლითობის აღმოჩენასა და ოპერაციების დუბლირების აღმოფხვრას. ორმა ბანკმა დაიწყო ეს პროექტი 12 სხვა ბანკთან პარტნიორობით, მათ შორისაა ABN Amro, Deutsche Bank, ICICI Bank და Lloyds.

HSBC- მა, Deutsche Bank- მა და Mitsubishi UFJ Financial Group- მა, IBM- თან პარტნიორობით, გამოსცადეს სერვისი, რომ KYC ინფორმაცია გაზიარებულიყო ბლოკჩეინის საშუალებით. პროექტმა შეძლო სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტების მიერ ერთი და იგივე ინფორმაციის შეგროვება, დუბლირების აღმოფხვრა და ყველა მომხმარებლის ინფორმაციის ციფრულად უსაფრთხოდ ფორმირება და შენახვა.

ბუღალტრული აღრიცხვების გაციფროვნება შედარებით ნელა წარმოებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი მონაცემთა მკაცრი მარეგულირებელი მოთხოვნების, მონაცემთა მთლიანობასა და ვალიდობასთან შესაბამისობაა, ამიტომ ბუღალტრული აღრიცხვა პოტენციურად არის კიდევ ერთი სფერო, რომელიც სასურველია გარდაიქმნას ბლოკჩეინით. ექსპერტების აზრით, ეს ტექნოლოგია გაამარტივებს შესაბამისობის კონტროლს, რითაც გამარტივდება ორმაგი შესვლის ტრადიციული აღრიცხვის სისტემები. ნაცვლად იმისა, რომ ცალკეული ჩანაწერები შეიტანოს გარიგების ქვითრების საფუძველზე, ბიზნესს შეუძლია ოპერაციების დამატება პირდაპირ ერთობლივ რეესტრში. რეესტრში ყველა ჩანაწერი გადანაწილდება, რის შედეგადაც, ჩანაწერები იქნება უფრო გამჭვირვალე და დაცული. ბლოკჩეინი იმუშავებს როგორც ციფრული ნოტარიუსი, რომელიც ამოწმებს ყველა ოპერაციას. ასეთ აპლიკაციებში, ბლოკჩეინის „ჰევიანი კონტრაქტები“ შეიძლება გამოყენებულ იქნას ინვოისების გადახდის ავტომატიზირებისთვის.

საბანკო სფეროში ბლოკჩეინი მრავალი სარგებლის მომტანი შეიძლება იყოს, მაგრამ არსებობს გარკვეული გამოწვევებიც. მაგალითად, სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ბლოკჩეინით შესრულებული სხვადასხვა კონტრაქტების რეგულირებისთვის იქნება საჭირო. მიუხედავად არსებული გამოწვევებისა ზოგიერთი ინდივიდუალური ბანკი მზაობას გამოთქვამს ბლოკჩეინტექნოლოგიების თავის სფეროში დანერგაზე, კერძოდ 2015 წელს გლობალური ბანკების ჯგუფი შეუერთდა R3 კონსორციუმს, რომელიც მუშაობს ბლოკჩეინტექნოლოგიების გამოყენებისთვის მსოფლიოში სტანდარტების შემუშავებაზე.

ბევრი ინდივიდუალური ბანკი თვითონ იკვლევს და ინტენსიურად ატარებს ექსპერიმენტებს ბლოკჩეინტექნოლოგიაზე და ამას აკეთებს ღია, თანამშრომლობითი გზით. საწყის ექსპერიმენტებსა და პროექტებთან ერთად, ინდუსტრია თანამშრომლობს ზოგიერთი პატარა, ინდივიდუალური ბლოკჩეინის თავსატეხის გადასაჭრელად, რომელმაც მომავალში შესაძლოა ფინანსური სისტემის დიდი თავსატეხის გადაჭრაში დაეხმაროს.

ბლოკჩეინტექნოლოგიამ ქართულ ბაზარზეც შემოაღწია, მაგრამ მიუხედავად მისი ძალზედ დიდი პოტენციალისა, ის საქართველოს საბანკო სექტორში, ჯერ კიდევ არ არის დანერგილი. რაც შეეხება ბლოკჩეინტექნოლოგიებზე მომუშავე ქართულ ბიზნესკომპანიებს, აღსანიშნავია კომპანია Shelf.Network. მან განავითარა ქსელური ვაჭრობის ტექნოლოგია, რომლის გამოყენებით შესაძლებელია ერთი მოცემული უძრავი ქონებისთვის 100 ბროკერთან ერთდროული ვაჭრობა, ყველასთან თავის ენაზე. ტექნოლოგიამ იმუშავა და 2017 წელს კომპანიამ თავისი გამოცდილება

ავტომობილებით ვაჭრობაზე განავრცო. Shelf.Network ავტომანქანებით მოვაჭრეებს თავისი სავაჭრო არხების მსოფლიო მასშტაბით გავრცელების საშუალებას აძლევს, რასაც სხვა შემთხვევაში წლები დასჭირდებოდა. 2018 წელს კომპანიამ მიიღო დაფინანსება დონორებისგან, რომელთა შორის დიდი იაპონური საავტომობილო კომპანიაცაა წარმოდგენილი და ამჟამად, მას ფასიანი კლიენტები, ყველა ძირითად საავტომობილო ბაზარზე ჰყავს. ლიტვის, უკრაინისა და საქართველოს დილერებს 500 მილიონამდე ავტომობილის ონლაინ შეთავაზება შეუძლია.

დასკვნა

რაც უფრო მეტი დრო გადის, სულ უფრო ვითარდება ბლოკჩეინტექნოლოგია, როგორც კრიპტოვალუტის მიმართულებით, ასევე დეცენტრალიზაციის, დაცულობის გაუმჯობესების, რიგი პროცესების გამარტივებისა და ხარჯების შემცირებისკენ მიმართული სისტემებით. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნები ეცადოს უფრო მეტად განავითაროს სათანადო ინფრასტრუქტურა და შეიმუშაოს შესაბამისი სამართლებრივი ნორმები. რა თქმა უნდა არსებობს გარკვეული წინაღობებიც და რისკებიც, მაგრამ ასეთი ტექნოლოგიები სხვადასხვა სფეროში, მათ შორის საბანკო სექტორშიც, დიდი სარგებლის მომტანი შეიძლება გახდეს.

სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და დოქტორანტების ჯგუფმა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულ „საინჟინრო ამოცანებისა და ბოზნესპროცესების შემსწავლელი“ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ბაზაზე, გავაანალიზეთ თუ რა პოტენციალი აქვს ამჟამად, ბლოკჩეინტექნოლოგიებს და რა პერსპექტივები შეიძლება ჰქონდეს მომავალში მათ გამოყენებას საბანკო სექტორში.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბლოკჩეინპროექტების წარმატება, დამოკიდებულია, ერთის მხრივ, სახელმწიფოს, გადაწყვეტილებების მიმღებ სამთავრობო მარეგულირებელ ორგანოებსა და ბლოკჩეინტექნოლოგიებით დაინტერესებულ ორგანიზაციებ შორის ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბებაზე, მეორეს მხრივ, მსოფლიო გამოცდილებისა და რეგიონალური თავისებურებების შესწავლასა და პროექტებში ადეკვატურ ასახვაზე. სწორედ ეს ფაქტორები იქნება განმსაზღვრელი ყველაზე მისაღები, რელევანტური ფორმატისა და ეფექტიანი, ბლოკჩეინტექნოლოგიებზე დაფუძნებული, მომგებიანი ბიზნესპროექტების შექმნისა და მისი პრაქტიკაში წარმატებული დანერგვის განხორციელებაში.

ბლოკჩეინტექნოლოგიის საბანკო სისტემაში დანერგვა იწვევს ფასიანი ქაღალდების გაცვლის გამარტივებას, დაბალ საკომისიოებს, ბაზრის არასტაბილურობის შემცირებასა და გლობალურ ბაზრებზე წვდომის გაზრდას, რაც საბოლოოდ მნიშვნელოვნად ამცირებს ჯამურ ხარჯებს. ამავდროულად, ბლოკჩეინტექნოლოგიის საბანკო სისტემაში დანერგვას გააჩნია უარყოფითი მხარეებიც, კერძოდ ჯერჯერობით გაურკვეველია სავალდებულო იქნება თუ არა ამ სისტემით ნაყიდი აქტივების იურიდიულ მფლობელობაში ქონის დადასტურება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება, თუ როგორი მარეგულირებელი და საკანონმდებლო მითითებები შემუშავდება ამ ტიპის სისტემებთან მიმართებაში.

ჩვენი აზრით, საქართველოს მიერ ბლოკჩეინტექნოლოგიის გამოყენება დიდი შესაძლებლობების მომტანი იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ამავდროულად, ამ ინოვაციური ტექნოლოგიის შემოტანა მოითხოვს არსებულ სამართლებრივ სისტემაში ახალი ცნებებისა და სტანდარტების ინტეგრაციას, ასევე განსხვავებული სახის რისკ-ფაქტორების შეფასებას. თუ ბლოკჩეინის გამოყენების მიზანს ამჟამად არსებული ცენტრალიზებული მოდელის მქონე მონაცემთა აღრიცხვის, განკარგვისა და კონტროლის პროცესების გაუმჯობესება წარმოადგენს, მისი წარმატება და ეფექტიანობა დიდწილად სწორედ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ მოხდება ამ ინოვაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გამკლავება. ეს ტექნოლოგია, გლობალური

მასშტაბით, ჯერ კიდევ შეცნობის სტადიაზეა, შესაბამისად საქართველოს აქვს შესაძლებლობა, შექმნას წარმატებული პრეცედენტი და ამით სხვებისთვისაც დაადგინოს მოქმედების სტანდარტი.

საბანკო სექტორისთვის, ბლოკჩეინზე დაფუძნებული გადახდების სისტემები გამოწვევაა, ამიტომ ეს სექტორი უნდა ეცადოს უფრო მეტად განავითაროს თავისი სისტემა, გადარიცხვებზე ჰქონდეს უფრო ნაკლები საკომისიოები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეამციროს გადარიცხვების ასახვის დრო. თუ საბანკო სექტორმა ამ მიმართულებით დროზე ფიქრი არ დაიწყო, მომავალში ეს გამოწვევა ბანკებისთვის დიდ საფრთხედ შეიძლება გადაიქცეს, რადგან როგორც სტატისტიკური მონაცემებით ვნახეთ, ბლოკჩეინტექნოლოგიაზე დაფუძნებული ტრანზაქციების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) Nato Bebiashvili, Teimuraz Berdzenishvili, Teimuraz Tutberidze, Ketevan Iluridze. ენერგეტიკული ბლოკჩეინპროექტების ინვესტიციური ლანდშაფტი. 15-th International Silk Road VIRTUAL Conference (Silk Road - 2020) Conference Proceedings pp.153–157
- 2) <https://www.cbinsights.com/research/blockchain-disrupting-banking/#securities>
- 3) <https://concisesoftware.com/10-use-cases-of-blockchain-in-banking/>
- 4) <https://www.statista.com/chart/17732/venture-capital-investment-in-blockchain/>
- 5) <https://www.statista.com/chart/17948/worldwide-barriers-to-blockchain-adoption/>
- 6) https://www.statista.com/chart/19757/blockchain_berlin-is-at-the-top/
- 7) <https://www.cbinsights.com/research/blockchain-disrupting-banking/#securities>
- 8) <https://www.weforum.org/agenda/2019/04/blockchain-distributed-ledger-technology-central-banks-10-ways-research>
- 9) <https://www.weforum.org/press/2019/04/central-banks-becoming-leaders-in-blockchain-experimentation-says-world-economic-forum/>
- 10) <https://www.weforum.org/agenda/2016/06/why-banks-shouldn-t-fear-blockchain/>
- 11) <https://at.ge/2019/10/02/startapebi-2/>
- 12) https://at.ge/2018/05/07/kripto_pionerebi

პანდემიის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

Davit Kuchashvili

Nino Jgamadze

University of Georgia, Georgia

აბსტრაქტი

კოვიდ-19-ის მიერ გამოწვეულმა პანდემიამ რადიკალურად შეცვალა ბიზნეს გარემო და საზოგადოების ცხოვრების რითმი, რაც ნეგატიურად აისახა ბიზნეს კლიმატზე და საზოგადოების კეთილდღეობაზე. პანდემიის რისკი განეკუთვნება ისეთი ტიპის რისკს, რომლის დადგომის ალბათობა მცირეა, თუმცა გავლენა კომპანიის მიერ დასახურ სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე მაღალი. ძირითადი მაკროინდიკატორების გაუარესებამ განაპირობა გარე რისკების ზრდა. კომპანიები, რომელთაც ჰქონდათ შიდა რისკი მაღალ დონეზე შიდა კონტროლის მექანიზმებისა და პროცედურების არაეფექტურობის გამო, აღმოჩნდნენ გაზრდილი დეფოლტის რისკის წინაშე. კომპანიებმა, რომლებსაც ჰქონდათ ეფექტურად ფუნქციონირებადი შიდა კონტროლის მექანიზმები, შეძლეს დეფოლტის რისკის დასაშვებ დონეზე შენარჩუნება. სტატიაში გამოკვლეულია გლობალური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ გარე რისკებზე და კომპანიის მიერ დასახულ მიზნებსა და ამოცანებზე: 1. ინფლაცია - მისი მაღალი მაჩვენებელი „ჭამს“ მოსახლეობის ფულს, საზოგადოების სოციალური მდგომარეობა უარესდება და აქტიურობა ბაზარზე მცირდება, მცირდება კომპანიების შემოსავლები. 2. ეროვნული ვალუტის დევალვაცია - სავალუტო რისკი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმპორტიორ კომპანიებზე. მათ უწევთ მეტი რაოდენობის ეროვნული ვალუტის კონვერტაცია უცხოურ ვალუტაში, იმპორტირებულ პროდუქტებზე ფასები იზრდება, რაც ნეგატიურად აისახება საზოგადოების კეთილდღეობაზე. 3. ფინანსური ფაქტორები - ლიკვიდურობის შემცირება, ვალდებულებების მაღალი მაჩვენებელი და დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემები უარყოფითად ზემოქმედებენ ბიზნეს და ფინანსურ რისკებზე. 4. ეროვნული ბანკის ქმედებები - სებ-ის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება იწვევს კრედიტების გაძვირებას. სებ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული ვალუტის დევალვაციის პროცესზე სავალუტო ინტერვენციის მეშვეობით და ეროვნული ვალუტის ხელოვნური გამყარებით, რაც პოზიტიურად აისახება კომპანიების საქმიანობაზე და საზოგადოების ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე. 5. მაკროეკონომიკური ფაქტორები - ქვეყნის ძირითადი მაკროინდიკატორების გაუარესება იწვევს საზოგადოების კეთილდღეობის და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, რაც გულისხმობს ბაზრებზე ნაკლებ აქტიურობას და ბიზნეს რისკის ზრდას. 6. პოლიტიკური და საკანონმდებლო ფაქტორები - უკავშირდება ხელისუფლების შეცვლას, ქვეყანაში საომარი მდგომარეობის შემოღებას და სამოქალაქო არეულობას. 7. კლიმატური ფაქტორები - იგულისხმება კლიმატური ცვლილებები და სტიქიური მოვლენები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე. შედეგად შესაძლოა მოხდეს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების შეფერხება, რაც იწვევს კომპანიებში საწარმოო რისკების ზრდას.

საკვანძო სიტყვები: კოვიდ-19, რისკი, დეფოლტი, ბიზნეს გარემო

The impact of the pandemic on the economy of Georgia

Abstract

The Covid-19 pandemic has radically changed the business environment. Pandemic risk belongs to the type of risk, the probability of occurrence of which is small, but the impact on the strategic goals and objectives of the companies is high. The deterioration of the main macro-indicators led to an increase in external risks. Companies with high levels of internal risk due to inefficiencies in internal control procedures were exposed to increased default risk. The

article examines the global factors that affect external risks and the goals set by the companies: 1. Inflation high rate "eats" people's money, the social condition of the society deteriorates, the activity in the market decreases, the incomes of companies decrease. 2. National currency devaluation has a significant impact on importing companies. They convert more national currency, the prices of imported products increase negatively affect the welfare of society. 3. Financial factors - reduced liquidity, high level of liabilities and problems related to financing negatively affect business risks. 4. Actions of the NBG, the tightening of the monetary policy leads to an increase in the price of credits. NBG has a significant impact on the process of devaluation of the national currency through foreign exchange intervention. 5. Macroeconomic factors, the deterioration of the country's main macro-indicators leads to the deterioration of society's well-being and standard of living, which implies less activity in the markets and an increase in business risk. 6. Political and legislative factors are related to the change of government, introduction of martial law and civil unrest. 7. Climatic changes and natural events affect agricultural production. There may be a delay in the supply of some products, which leads to an increase in companies' production risks.

Keywords: COVID-19, risk, default, business environment.

შესავალი

კოვიდ 19-ის მიერ გამოწვეულმა პანდემიამ რადიკალურად შეცვალა ბიზნეს გარემო და საზოგადოების ცხოვრების რითმი, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მაკრო გარემოზე, რაც თავის მხრივ ნეგატიურად აისახა ბიზნესსა და საზოგადოების კეთილდღეობაზე.

პანდემიის რისკი განეკუთვნება ისეთი ტიპის რისკს, რომლის მოხდენის ალბათობა მცირეა, თუმცა გავლენა კომპანიის მიერ დასახურ სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებზე მაღალი. ასეთი ტიპის რისკის დადგომის შემთხვევაში კომპანიების გრძელვადიან მიზნებს და ამოცანებს ემუქრებათ საფრთხე.

პანდემიის პერიოდში კომპანიებს, რომელთაც ქონდათ შიდა რისკი მაღალ დონეზე შიდა კონტროლის მექანიზმების და პროცედურების არაეფექტურობის, ან სულაც არარსებობის გამო, დაემუქრათ გაკოტრება დეფოლტის რისკის ზრდის გამო. კომპანიებმა, რომლებსაც ქონდათ პანდემიის პერიოდში შიდა კონტროლის მექანიზმები დანერგილი და ეფექტურად ფუნქციონირებადი როგორც ორგანიზაციულ, ასევე სტრუქტურულ დონეებზე, შეძლეს დეფოლტის რისკის დასაშვებ დონეზე შენარჩუნება, რადგან მათ უწევდათ მხოლოდ გარე რისკების მართვა.

არსებობს მრავალი გლობალური ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს გარე რისკებზე და კომპანიის მიერ დასახულ მიზნებსა და ამოცანებზე:

1. ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი „ჭამს“ მოსახლეობის ფულს, საზოგადოების სოციალური მდგომარეობა უარესდება და მათი აქტიურობა ბაზარზე მცირდება. რაც უფრო მაღალი ფასი აქვს პროდუქტს ან მომსახურებას, მით უფრო ნაკლები მოთხოვნაა მასზე, შესაბამისად, კომპანიის შემოსავლები მცირდება. ინფლაციის პირობებში რომ არ მოხდეს მოთხოვნის კლება, საჭიროა საზოგადოების შემოსავლებიც იმ პროპორციით იზრდებოდეს, რა პროპორციითაც იზრდება ინფლაცია.
2. ეროვნული ვალუტის დევალვაცია და სავალუტო რისკი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ იმპორტიორ კომპანიებზე. ეროვნული ვალუტის დევალვაციის დროს იმპორტიორ კომპანიებს უწევთ გაცილებით მეტი რაოდენობის ეროვნული ვალუტის კონვერტაცია უცხოურ ვალუტაში. სავალუტო რისკი იწვევს იმპორტირებულ პროდუქტებზე ფასების ზრდას, რაც ნეგატიურად აისახება საზოგადოების კეთილდღეობაზე.
3. ფინანსური ფაქტორები - ლიკვიდურობის შემცირება, ვალდებულებების მაღალი მაჩვენებელი და დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემები უარყოფითად ზემოქმედებენ ბიზნეს და ფინანსურ რისკებზე.

4. ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება იწვევს კრედიტების გაძვირებას. რაც უფრო ძვირია კრედიტი, მით უფრო ნაკლები მოთხოვნაა მათზე. ეროვნული ბანკი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე ეროვნული ვალუტის დევალვაციის პროცესზე სავალუტო ინტერვენციის მეშვეობით. სავალუტო ინტერვენციის განხორციელების პროცესში ხდება ეროვნული ვალუტის ხელოვნური გამყარება, რაც პოზიტიურად აისახება კომპანიების საქმიანობაზე და საზოგადოების ცხოვრების დონეზე.
5. ქვეყნის ძირითადი მაკროინდიკატორების გაუარესება იწვევს საზოგადოების კეთილდღეობის და ცხოვრების დონის შემცირებას, რაც გულისხმობს ბაზრებზე ნაკლებ აქტიურობას. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს ბიზნეს რისკის ზრდას, რაც ნეგატიურად აისახება კომპანიების მიერ დასახულ სტრატეგიულ მიზნებზე და ამოცანებზე.
6. პოლიტიკური და საკანონმდებლო ფაქტორები უკავშირდება ხელისუფლების შეცვლას, ქვეყანაში საომარი მდგომარეობის შემოღებას და სამოქალაქო არეულობას.
7. კლიმატური ცვლილებები და სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, წყალდიდობა, ცუნამი, ვულკანური ამოფრქვევები) გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობაზე. სტიქიური მოვლენების შედეგად შესაძლოა ბაზარზე მოხდეს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდების შეფერხება, რაც იწვევს კომპანიებში საწარმოო რისკების ზრდას.

პანდემიის დაწყებამდე საქართველოში ბიზნეს სექტორები სწრაფად იზრდებოდა, რაც გამოწვეული იყო ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნის ზრდით. კოვიდ 19-ის პერიოდში საქართველოში თითქმის ყველა დარგი შემცირდა. ბაზრების შემცირების ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს პროდუქტებზე და მომსახურებაზე მოთხოვნების კლება, რაც გამოწვეული იყო შემდეგი ძირითადი მიზეზებით:

1. შეზღუდვების დაწესებამ გამოიწვია იმ სარეალიზაციო ადგილების დახურვა, სადაც უშუალოდ ხდებოდა პროდუქტების გაყიდვა (რესტორნები, სასტუმროები და ა.შ.). ამან გამოიწვია მოთხოვნის კლება და ბიზნეს სექტორების შემცირება.
2. საზოგადოების კეთილდღეობის გაუარესებამ განაპირობა ბაზარზე ნაკლები აქტიურობა. საზოგადოებამ დაიწყო ფულის დაზოგვა, რაც უარყოფითად აისახა მოთხოვნაზე.
3. ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის წამყვანი სფეროა და მისი შემცირება აისახა სხვა სფეროებზეც. მსგავსი პრობლემის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია მოხდეს ეკონომიკის დივერსიფიკაცია. პანდემიის გამო, საქართველოში უცხოელი ვიზიტორების შემოღინება თითქმის სრულად შეწყდა. ამან გამოიწვია დარგში მომუშავე კომპანიების მოგების შემცირება.

1. ეკონომიკური ზრდა

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დინამიკა პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალურ მდგომარეობაზე. პანდემიურ პერიოდში საზოგადოების ისედაც მძიმე სოციალური ფონი მკვეთრად გაუარესდა.

ცხრილი 1. საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა

2017 წელი	455 813
2018 წელი	435 450
2019 წელი	427 373
2020 წელი	524 598
2021 წელი	643 167

დასკვნა: 2019 წლიდან 2021 წლამდე საქართველოში იზრდება სოციალურ დაუცველთა რაოდენობა. 2019 წელთან შედარებით 2021 წელს საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა გაიზარდა 50,4%-ით. 2020 წელს 2019 წელთან შედარებით (პანდემიის დაწყებიდან ერთ წელიწადში), სახელმწიფოს დახმარების იმედად დარჩენილი მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 22,7%-ით, და ასეთი ზრდა გაგრძელდა მომდევნო წელსაც: 2021 წელს 2020 წელთან შედარებით გაიზარდა 22,6%-ით.

ცხრილი 2. ეკონომიკური ზრდა (%)

2017 წელი	4,8%
2018 წელი	4,8%
2019 წელი	5%
2020 წელი	-6,8%
2021 წელი	10,4%
2022 წლის იანვარ-ივნისი	10,5%

(<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>)

დასკვნა: პანდემიის დაწყებიდან ერთ წელიწადში საქართველოს ეკონომიკის ზრდამ შეადგინა -6,8%, რომლის გამომწვევი მიზეზები იყო ტურიზმის სექტორის „ჩამოშლა“, ექსპორტის მოცულობის შემცირება, ეროვნული ვალუტის გაუფასურება, საზოგადოების შემოსავლების შემცირება, ბაზრებზე მოთხოვნის კლება და ა.შ. კოვიდ 19-ის პერიოდში (2020 წელი) ეკონომიკის შემცირებამ 5%-დან -6,8%-მდე გამოიწვია საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის ზრდა 22,7%-ით.

2021 წელს დაფიქსირდა საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების ტენდენციები, რის შედეგადაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ შეადგინა 10,4%, ხოლო 2022 წლის იანვარ-ივნისში ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 10,5%. თუმცა ეს ჯერ კერ აისახა შემწეობის მიმღებთა რაოდენობაზე.

ცხრილი 3. მშპ ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარი, 2021 წელი

2017 წელი	4 358,5
2018 წელი	4 722
2019 წელი	4 696,2
2020 წელი	4 255,7
2021 წელი	5 023,2
2022 წლის იანვარ-ივნისი	2,855.9

(<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>)

დასკვნა: პანდემიის დაწყებიდან ერთ წელიწადში მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე შემცირდა 441\$-ით, რაც ნიშნავს, რომ 2020 წელს 2019 წელთან შედარებით საქართველოში მცხოვრები ერთი ადამიანი საშუალოდ 441\$-ით უფრო ნაკლებ საბოლოო პროდუქციას და მომსახურებას აწარმოებდა ქვეყნის საზღვრებს შიგნით, ვიდრე ეს იყო პანდემიის დაწყებამდე, ხოლო 2021 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2020 წელთან შედარებით გაიზარდა 17,8%-ით, რაც დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

უკანასკნელი პერიოდში საქართველოს ეკონომიკა წლიდან-წლამდე იზრდებოდა, რაზეც მიუთითებდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა, მაგალითად: 2015 წელს ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 3%, ხოლო 2019 წელს 5%, ანუ საქართველოს ეკონომიკა ოთხი წლის მანძილზე

ინარჩუნებდა ზრდის ტენდენციას და გაიზარდა 2%-ით. 2020 წლის დასაწყისში ეკონომიკური ზრდის დადებითი მაჩვენებელი შეიცვალა უარყოფითი დინამიკით, კერძოდ კი პანდემიის გამო, მოცემულმა ნიშნულმა შეადგინა -6.8% (www.economy.ge/?page=ecoreview&s=37). თავის მხრივ, ეკონომიკის შემცირებამ გამოიწვია, უმუშევრობის ზრდა, იურდიული და ფიზიკური პირების შემოსავლების კლება და ბაზარზე სხვადასხვა ტიპის პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება. ეკონომიკის უარყოფითი ზრდა ეკონომიკური კრიზისის მანიშნებელია: მოსახლეობის შემოსავლები იკლებს, რაც იწვევს მათი მსყიდველუნარიანობის ვარდნას, ამის გამო ფიზიკური პირები ამცირებენ ხარჯვას, რაც თავის მხრივ იწვევს იურდიული პირების შემოსავლების კლებას და ბაზარზე კონკურენციის ზრდას.

საქართველოს ეკონომიკის შემცირებამ განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ტურიზმის სექტორს, რომელიც ქვეყნის ბიზნეს სისტემის „ხერხემალია“. აგრეთვე, ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ალკოჰოლური სასმელების დარგს, კერძოდ კი, პანდემიის დაწყებიდან სამ თვეში საექსპორტო ბაზარი შემცირდა 12% -ით (2019 წელთან შედარებით), რამაც გამოიწვია 9 364 000 000\$ ფინანსური რესურსის დაკარგვა, რაც თავის მხრივ ნეგატიურად აისახა ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე.

2021 წლის მეორე კვარტლის დასაწყისიდან შეზღუდვები თანდათან შემსუბუქდა, რამაც ეკონომიკური სურათი მკვეთრად შეცვალა. პანდემიის შემდეგ მაღალი ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მიზეზი იყო მკაცრი შეზღუდვების თვეების განმავლობაში დაგროვილი მოთხოვნის მკვეთრი გააქტიურება. 2021 წლის მესამე კვარტალში, მეორე კვარტლისგან განსხვავებით, ზრდის მიზეზი იყო წმინდა ექსპორტის მაჩვენებლის ზრდა (მომსახურების ექსპორტი 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის გასამმაგდა).

2. უმუშევრობა

დასაქმების დონე ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა, რადგან რაც უფრო მეტი ადამიანია დასაქმებული, მით უფრო მეტად იზრდება აქტიურობა ბაზრებზე, რაც იწვევს მოთხოვნის ზრდას საქონელზე/მომსახურებაზე. შესაბამისად, რაც უფრო მეტად გაიზრდება მოთხოვნა, მით უფრო გაიზრდება კონკურენცია ბაზარზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დარგების ზრდას და განვითარებას.

პანდემიის პერიოდში საზოგადოების დიდი ნაწილი დარჩა უმუშევარი, რაზეც მეტყველებს შემდეგი სტატისტიკური მაჩვენებლები:

1. საქართველოში 2020 წლის მესამე კვარტალში, 2019 წლის იგივე პერიოდთან შედარებით უმუშევართა რაოდენობა გაიზარდა 0,8%-ით და შეადგინა 12%.
2. 2020 წლის მესამე კვარტლის მონაცემებით, ქალაქებში უმუშევართა რაოდენობამ შეადგინა 18,8%, რაც 2,2%-ით მეტია 2019 წლის მესამე კვარტლის მონაცემებზე (www.sputnik-georgia.com).
3. 2021 წლის პირველ კვარტალში უმუშევრობის დონემ შეადგინა 21,9%, რაც 3,8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

საზოგადოების აქტიურობას განაპირობებს დასაქმების მაჩვენებელი, ანუ რაც უფრო მეტი ადამიანია დასაქმებული მით უფრო მეტია აქტიურობა. სტატისტიკის მიხედვით, ბოლო რვა წლის მანძილზე საქართველოში უმუშევრობის დონე ინარჩუნებდა კლებად ტენდენციას, მაგრამ პანდემიის დროს უმუშევრობის მაჩვენებელი გაიზარდა, რადგან კომპანიების უმეტესობამ დაკარგა ლიკვიდურობა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია კომპანიების მხრიდან ფინანსების ხისტი ეკონომია, მოხდა დასაქმებული კადრების გათავისუფლება, რამაც თავის მხრივ განაპირობა საზოგადოებაში შემოსავლების შემცირება და ბაზარზე ნაკლები აქტიურობა.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ ბიზნეს დარგების შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია საზოგადოების აქტიურობის კლება.

ცხრილი 4. უმუშევრობის დონე სქესობრივ ჯგუფში

წლები:	ქალი	კაცი
2019	16%	18,9%
2020	16,2%	20,2%
2021	17,8%	22,7%

(www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa).

დასკვნა: პანდემიის დაწყებიდან ორ წელიწადში უმუშევრობის რაოდენობამ მამაკაცებში გაიზარდა 3,8%-ით და შეადგინა 22,7%, ხოლო ქალებში იგივე მაჩვენებელი გაზრდილია 1,8%-ით

ცხრილი 5. უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჯგუფში

წლები:	ქალაქი	სოფელი
2019	18,2%	16,7%
2020	20,3%	15,8%
2021	22,2%	18,2%

(www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa)

დასკვნა: 2021 წელს 2019 წელთან შედარებით, უმუშევართა რაოდენობა ქალაქში მცხოვრებ საზოგადოებას შორის გაზრდილია 4%-ით, ხოლო სოფლად 1,5%-ით.

გარდა ზემოთ ხსენებულისა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პანდემიის პერიოდში უმუშევართა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ახალგაზრდულ სეგმენტში, კერძოდ, 20-24 წლამდე ადამიანებში უმუშევრობის მაჩვენებელი შეადგენს 41%-ს, მაშინ როცა 25-29 წლამდე საზოგადოებაში 27,8%-ს (www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa).

3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ინვესტიციების მოცულობის ზრდა ეკონომიკური ზრდის და სავალუტო რისკის შემცირების კარგი საშუალებაა. 2019 წლის მონაცემებით საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყო:

1. გაერთიანებული სამეფო (236,7 მლნ. \$).
2. თურქეთი (175,5 მლნ. \$).
3. ირლანდია (133,2 მლნ. \$).

პანდემიის დაწყებიდან 10 თვეში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 719 მლნ. აშშ დოლარი, რაც 25%-ით ნაკლებია 2019 წლის შესაბამისი თვეების მაჩვენებლებზე (www.economy.ge/?page=ecoreview&s=37).

ცხრილი 6. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

წლები:	მლნ დოლარი	მშპ (%)
2017	1 980.8	12,2%
2018	1 317.1	7,5%
2019	1 335.8	7,6%
2020	572.0	3,6%

2021	1 152.8	6,2%
2022 (I კვ)	568.2	12,3%

(www.economy.ge/?page=ecoreview&s=37)

დასკვნა: პანდემიის დაწყებიდან ერთ წელიწადში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წინა წელთან შედარებით შემცირდა 57,2%-ით, რაც გამოწვეული იყო ბიზნეს გარემოს გაუარესებით, ეკონომიკური აქტივობების შემცირებით, ფინანსური და სავალუტო რისკების ზრდით.

2021 წელს კომპანიების დიდმა ნაწილმა შეძლო ახალ რეალობასთან მორგება და თავიანთი ბიზნეს მოდელების მოდიფიკაცია, რის შედეგადაც მოხდა ეკონომიკის და ბიზნესის აქტივობების ზრდა, რამაც განაპირობა 2021 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 101,6%-ით ზრდა (www.economy.ge/?page=ecoreview&s=37).

2022 წლის პირველ კვარტალში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და შეადგინა 568,2 მლნ. აშშ. დოლარი, რაც 4-ჯერ აღემატება 2021 წლის პირველი კვარტლის მონაცემებს.

2022 წელს ძირითადი ინვესტორი ქვეყნები საქართველოშია:

1. ესპანეთი (196,1 მლნ. აშშ დოლარი);
2. გაერთიანებული სამეფო (87,2 მლნ. აშშ დოლარი);
3. თურქეთი (67,1 მლნ. აშშ დოლარი).

4. მონეტარული სექტორი

მონეტარული პოლიტიკის მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ გულისხმობს ფასების დაბალ და მისაღებ დონემდე შენარჩუნებას.

ინფლაციის ზომიერი ზრდა მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისთვის. ამ დროს იურდიული პირები იღებენ უფრო მეტ სარგებელს, რადგან მათ ეძლევათ საშუალება უფრო მაღალი ფასი დააწესონ პროდუქციაზე და მიიღონ უფრო მეტი შემოსავალი. მნიშვნელოვანია დაცული იყოს ბალანსი ინფლაციასა და საზოგადოების შემოსავლებს შორის. პანდემიის პერიოდში ბალანსის დაცვა ვერ მოხერხდა (ინფლაცია იზრდებოდა, ხოლო საზოგადოების მსყიდველუნარიანობა მცირდებოდა). აღნიშნულმა ვითარებამ გამოიწვია კომპანიების გაყიდვების კლება. 2020 წლის დეკემბერში (2019 წლის დეკემბერთან შედარებით) თითქმის ყველა სახის პროდუქტი გაძვირდა, მათ შორის, როგორც ადგილობრივი ბაზარზე წარმოებული ასევე იმპორტირებული (www.tv4.ge).

პანდემიის პერიოდში, ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი გამოწვეული იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდების შეფერხებით და ეროვნული ვალუტის გაუფასურებით. ადგილობრივი ვალუტის დევალვაციამ განაპირობა იმპორტირებულ პროდუქტებზე ფასების ზრდა.

დღესდღეობით საქართველოში მიზნობრივი ინფლაციის დონე შეადგენს 3%-ს, ხოლო წლიური ინფლაცია 10,6% (2022 წლის ოქტომბერი), ანუ ინფლაციის მაჩვენებელი 3,5-ჯერ აღემატება მიზნობრივს, რაც ნიშნავს, რომ ფასების ზრდა პროდუქტებზე და მომსახურებაზე ტვირთად აწევს საზოგადოებას და ნეგატიურად აისახება მის კეთილდღეობაზე.

ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ინფლაციის ზომიერი მაჩვენებლის შენარჩუნება, რათა არ მოხდეს საზოგადოების ცხოვრების დონის და კეთილდღეობის გაუარესება. სებ-ის მიერ ინფლაციაზე ზემოქმედების ბერკეტი მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი. რეფინანსირების განაკვეთი ასევე გავლენას ახდენს ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე. 2020 წლის 29 იანვარიდან 2020 წლის 9 დეკემბრის ჩათვლით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შემცირდა 9%-დან 8%-მდე. დღესდღეობით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთია 11%.

5. საერთაშორისო ვაჭრობა

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე წარმოუდგენელია. საერთაშორისო ვაჭრობა ეხმარება ქვეყნებს დანახარჯების მინიმიზაციაში, ახალი ტექნოლოგიების განვითარებაში, წარმოების პროცესის გაუმჯობესებაში, ხარისხის განვითარებაში. გარდა ამისა, საერთაშორისო ვაჭრობა აძლევს ქვეყნებს შესაძლებლობას განავითარონ და გააფართოონ ბაზრები, მიიღონ წვდომა ისეთ საჭონელებზე და მომსახურებაზე, რომლის წარმოებაც ადგილობრივ ბაზარზე არ არის კონკურენტუნარიანი. საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად ბაზრები უფრო კონკურენტუნარიანი ხდება.

ექსპორტი ეხმარება კომპანიებს:

1. მასშტაბის ეკონომიურობის მიღწევაში - რაც მეტს აწარმოებ, მით უფრო ნაკლებია დანახარჯები ერთეულზე;
2. გაყიდვების დივერსიფიკაციაში - პანდემიის პერიოდში სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიკაციის არარსებობამ გამოიწვია კომპანიების გაყიდვების მოცულობის შემცირება და ლიკვიდურობის რისკის ზრდა;
3. გაყიდვების მოცულობის ზრდაში, რაც დადებითად აისახება კომპანიის წმინდა მოგების მაჩვენებელზე;
4. ახალი ბაზრების და მომხმარებლების ათვისებაში;
5. ახალი ურთიერთობების და პარტნიორობის შექმნაში.

გარდა ზემოთხსენებულისა, ექსპორტი პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. კერძოდ, ექსპორტის მოცულობის ზრდა იწვევს უცხოური ვალუტის შემოდიანებას, რაც დადებითად აისახება ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე, რის შედეგადაც სავალუტო რისკი მცირდება, რაც იწვევს ინვესტიციების ზრდას და საზოგადოების კეთილდღეობის და ცხოვრების დონის ამაღლებას.

ცხრილი 7. 2020 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა

ექსპორტი	3 342,1 მლნ. აშშ დოლარი (<12%)
იმპორტი	8 005,6 მლნ. აშშ დოლარი (<15,9%)

(www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/trade_turnover_2020.pdf)

დასკვნა: 2020 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა პანდემიის დაწყებიდან ერთ წელიწადში (2019 წელთან შედარებით) შემცირდა 14,8%-ით და შეადგინა 11 347,7 მლნ. აშშ დოლარი. საგარეო სავაჭრო ბრუნვის შემცირების მიზეზებია ექსპორტის 12%-ით და იმპორტის 15,9%-ით შემცირება.

ცხრილი 8. 2020 წლის საქართველო-ევროკავშირის საგარეო ვაჭრობა

საგარეო სავაჭრო ბრუნვა	2 638 მლნ. აშშ დოლარი (<18%)
ექსპორტი	717 მლნ. აშშ დოლარი (<12%)
იმპორტი	1 921 მლნ. აშშ დოლარი (<20%)

(www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/trade_turnover_2020.pdf)

დასკვნა: 2020 წელს (2019 წელთან შედარებით) საქართველო-ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა შემცირდა 18%-ით და შეადგინა 2 638 მლნ. აშშ დოლარი, მისი შემცირების მიზეზებია ექსპორტის 12%-იანი და იმპორტის 20%-იანი კლება, რაც გამოწვეული იყო პანდემიის მიერ.

ცხრილი 9. საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები 2018-2020 წლები (მლნ. აშშ დოლარი)

წლები	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო ბალანსის ნაშთი
2018	3 379,7	9 361,6	-5 981,8
2019	3 798,4	9 516,9	-5 718,5
2020	3 342,1	8 005,6	-4 663,4

დასკვნა: პანდემიის დაწყებიდან ერთ წელიწადში საქართველოს ექსპორტი შემცირდა 12%-ით, ხოლო იმპორტი 15,8%-ით, რამაც გამოიწვია სავაჭრო ბალანსის ნაშთის შემცირება 1055,1 მლნ. აშშ დოლარით.

ცხრილი 10. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები, ექსპორტის მიხედვით, ათასი აშშ დოლარი

ქვეყნები	2019 წელი	2020 წელი	ცვლილება (%)
ჩინეთი	223 129,7	476 269,9	+113,4
აზერბაიჯანი	508 686,3	441 289,4	-13,2
რუსეთი	496 974,1	441 075,6	-11,2
ბულგარეთი	284 085,7	312 376,8	+10
უკრაინა	250 923,6	217 396,5	-13,4
თურქეთი	202 340,9	190 569,6	-5,8
სომხეთი	432 574,5	187 552,1	-56,6
აშშ	132 251,4	80 030	-39,5
დანარჩენი ქვეყნები	1 138 511	805 017,6	-29,3

დასკვნა: პანდემიის პერიოდში, უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ექსპორტის მოცულობა ხასიათდება კლების ტენდენციით (გარდა ჩინეთისა და ბულგარეთისა) და ჯამში დაკლებულია 12%-ით. საქსპორტო ბაზრების მკვეთრმა შემცირებამ გამოიწვია კომპანიების შემოსავლების კლება და სავალუტო რისკის ზრდა.

6. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსი

სავალუტო რისკთან ბიზნეს აქვს შეხება მაშინ, როდესაც სხვადასხვა ვალუტებში აქვს ტრანზაქციები, როდესაც კომპანიის ხარჯები არ არის ადეკვატური მისი შემოსავლებისა. მაგალითად, ხარჯები დოლარშია, ხოლო შემოსავლები ლარში.

პანდემიის დაწყებამდე ლარის დევალვაციის დინამიკა მინიმალური იყო, რადგან 2020 წლის იანვარში (2019 წელთან შედარებით) ტურისტების რაოდენობა 20%-ით, ექსპორტის მოცულობა 10%-ით და გადმოიციხული თანხების რაოდენობა 9%-ით გაიზარდა. საქართველოში დაფიქსირებული კოვიდ ინფექციის პირველი შემთხვევის შემდეგ აქტიური სახე მიიღო ლარის გაუფასურების პროცესმა, რადგან თებერვლიდან დაიწყო ტურისტების, ექსპორტის და გზავნილების მოცულობების

მკვეთრი შემცირება, რამაც გამოიწვია უცხოური ვალუტის შემოდინების შეფერხება. კერძოდ, უცხოური ვიზიტორთა რაოდენობა შემცირდა 57%-ით, ექსპორტმა იკლო 22%-ით, ხოლო გზავნილების მოცულობა შემცირდა 10%-ით (www.forbes.ge/mosalodnelia-thu-ara-lari). ზემოთხსენებულ პროცესს თან დაერთო უცხოელი ინვესტორების მხრიდან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ლარში და შემდგომ ლარის კონვერტირება დოლარზე და უცხოური ვალუტის გატანა ქვეყნიდან, რამაც უფრო დააჩქარა ლარის დევალვაციის პროცესი. მარტის დასაწყისში ეროვნული ვალუტის კურსი 3.0-ს მიუახლოვდა და ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა სავალუტო ინტერვენციამ, რომლის მოცულობამ 100 მლნ დოლარი შეადგინა, დადებითი შედეგი კერ გამოიღო და ლარის გაცვლითმა კურსმა, მარტის ბოლოს, შეადგინა 3.48 (ოფიციალური ყოველთვიური გაცვლითი კურსები; 2001-2020 წლები). 2020 წლის აპრილში (2019 წლის აპრილთან შედარებით), პანდემიის შედეგად ტურისტების რაოდენობამ იკლო 92%-ით, ფულადმა გზავნილებმა 44%-ით, ხოლო ექსპორტის მოცულობამ 30%-ით (www.forbes.ge/mosalodnelia-thu-ara-lari/). 2020 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა იკლო 81%-ით, რაც იყო გამოწვეული საერთაშორისო ვიზიტორების 80%-იანი შემცირებით (www.economy.ge/?page=ecoreview&s=37). ამავე პერიოდში ლარის გაცვლითი კურსი 2.86-დან 3.32-მდე შეიცვალა (ოფიციალური გაცვლითი კურსები; 2001-2020 წლები).

7. ეროვნული ბანკის ქმედებები

ეროვნული ბანკის ქმედებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესზე. მაგალითად, როდესაც სებ მიმართავს სავალუტო ინტერვენციებს, მაშინ ის ახდენს სავალუტო ბაზარზე ხელოვნურ ჩარევას, რის შედეგადაც ეროვნული ვალუტა მყარდება. ეს კი საშუალებას აძლევს ბიზნესებს გაცილებით ნაკლები ლარით შეიძინონ მათთვის საჭირო უცხოური ვალუტა. გარდა ზემოთხსენებულისა, ეროვნული ბანკი ახდენს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილებას. კერძოდ, სებ-ის მიერ რეფინანსირების განაკვეთის შემცირება საშუალებას აძლევს ბიზნესს გაცილებით იაფად აიღოს კრედიტი და პირიქით. დღესდღეობით საქართველოში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი შეადგენს 11%-ს, რაც წინა მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 0.5 პუნქტით. მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების მიზეზია ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინფლაცია არ არის გამოწვეული მოთხოვნით და რეფინანსირების განაკვეთის ზრდა არაფრის მომტანია.

8. სახელმწიფო ვალი

სახელმწიფო ვალის მოცულობა პანდემიის პერიოდში მკვეთრად გაიზარდა და შეადგინა (მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით) 62,8% (www.economy.ge/?page=ecoreview&s=37). პანდემიის გამო საჭირო გახდა დამატებითი ფინანსური რესურსის მობილიზება ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად (დეფიციტი ზრდის ვალს) და იმპორტის დასაფინანსებლად. მაგალითად, 2020 წელს საბიუჯეტო შემოსულობები შემცირდა 1 მილიარდი ლარით, ხოლო ამავე პერიოდში სოციალური და ჯანდაცვის ხარჯები გაიზარდა 1,7 მილიარდი ლარით, რამაც სახელმწიფოს მხრიდან 2,7 მილიარდი ლარის ვალის აღება გახდა საჭირო (www.forbes.ge/saqarthvelos-sakhelmtsipho-v). საგარეო ვალის განხილვისას მნიშვნელოვანია ისეთი რისკების განხილვა, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი (სესხების 80% უცხოურ ვალუტაშია), რეფინანსირების რისკი და ლიკვიდურობის რისკი. სახელმწიფო ვალის მაღალი მაჩვენებელი ცუდად აისახება ბიზნესზე, რადგან არცერთ ბიზნესს არ სურს ისეთ ქვეყანაში საქმის წარმოება, რომელიც მაღე „გადაფოლტდება“. მეორეს მხრივ, ვალის მაღალმა მაჩვენებელმა შესაძლოა აიძულოს ქვეყანა გაზარდოს გადასახადები ან ფული ბეჭდოს, რათა მოხერხდეს ვალის დაფარვა. ასეთი ქმედება დამატებით ტვირთად დააწევს, როგორც ბიზნესს, ასევე საზოგადოებას.

9. საკრედიტო რეიტინგი

საქართველოსთვის კარგი საკრედიტო რეიტინგი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ:

1. მოხდეს მეტი ინვესტიციების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს ლარის გამყარებას;
2. განვითარდეს კაპიტალის ბაზრები და იყოს საჯარო და კერძო ფინანსების მეტი გამჭირვალობა.

საკრედიტო რეიტინგის შემცირება ზრდის ქვეყნის დეფოლტის რისკს. რაც უფრო მაღალია საკრედიტო რეიტინგი, მით უფრო მეტია ქვეყნის წვდომა საერთაშორისო საფინანსო ბაზრებთან და უცხოურ ინვესტიციებთან. 2020 წლის აგვისტოში S&P და Fitch-მა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი უცვლელი დატოვა. S&P-ის მიხედვით „BB“ სტაბილური პერსპექტივით, Fitch-ის მიხედვით „BB“ ნეგატიური პერსპექტივით (www.bm.ge).

10. საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

საქართველოს კარგი საერთაშორისო რეიტინგები ხელს უწყობს ინვესტორთა ინტერესის ზრდას ქვეყნის მიმართ, რის შედეგადაც ქვეყანაში შემოედინება უცხოური ვალუტა, რაც პოზიტიურად აისახება ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე. თავის მხრივ, სავალუტო რისკის შემცირება ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.

2021 წელს, საქართველოს რეიტინგი ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით შეფასდა 83,7 ქულით, საქართველომ დაიკავა მეშვიდე ადგილი 190 ქვეყანას შორის და რიგი პარამეტრებით პირველ ათეულშია (<https://archive.doingbusiness.org/en/data/exploreconomies/Georgia>).

ცხრილი 11. საქართველო ბიზნესის კეთების რეიტინგში

ბიზნესის დაწყება	მე-2 პოზიცია
ქონების რეგისტრაცია	მე-5 პოზიცია
უმცირესობის ინვესტორთა დაცვა	მე-7 პოზიცია

ცხრილი 12. საქართველოს რეიტინგი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში (2012-2021)

წლები	ქულა	პოზიცია
2012	69,4	34
2013	72,2	21
2014	72,6	22
2015	73	22
2016	72,6	23
2017	76	13
2018	76,2	16
2019	75,9	16
2020	77,1	12
2021	77,2	12

დასკვნა: 2012 წლიდან მოყოლებული საქართველოს რეიტინგი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში „ზომიერად თავისუფალიდან“ შეიცვალა „უმეტესად თავისუფალამდე“, რაც დადებითად აისახა ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე (<https://www.heritage.org/search?contains=Index%20of%20Economic%20Freedom>).

2021 წელს საქართველო ევროპის ქვეყნებს შორის მეშვიდე ყველაზე თავისუფალ ეკონომიკად არის დასახელებული და მისი საშუალო ქულა 7,1 ქულით აღემატება ევროპის რეგიონის საშუალო ქულას, ხოლო მსოფლიოს საშუალო ქულას 15,6 ქულით .

2021 წელს საქართველო კორუფციის აღქმის ინდექსში 180 ქვეყანას შორის 45-ე პოზიციაზეა 55 ქულით, ხოლო აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, 19 ქვეყანას შორის, პირველ ადგილზეა და უსწრებს ისეთ ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, როგორებიცაა რუსეთი, თურქეთი და უკრაინა (<https://www.transparency.org/en/cpi/2021/index/geo>).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ცაავა, გ. (2018). ეკონომიკური, ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი. თბილისი: თბილისი.
2. ჭილაძე, ი. (2018). ფინანსური ანგარიშგების ანალიზი. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.
3. Apostolik, R., & Donohue, C. (2015). *Foundations of Financial Risk*. New Jersey: John Wiley & Sons, Inc.
4. Dempster, M (2002). *Risk Management: Value at Risk and Beyond*. United Kingdom: Cambridge University Press.
5. Jorion, P. (2011). *Financial Risk Manager Handbook*. New Jersey: John Wiley & Sons, Inc.

სასურსათო უსაფრთხოება და დიდ მონაცემთა მნიშვნელობა

Tamta Mamulaidze

University of Business and Technology, Georgia

აბსტრაქტი

სასურსათო უსაფრთხოება ქვეყნის უსაფრთხოების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. პრობლემა გაამწვავა რუსეთ-უკრაინის ომმა, თუმცა ის აქტუალობას მანამდეც ინარჩუნებდა, რაზეც მეტყველებს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობებისა და ანგარიშგასაწევი პოლიტიკური პარტიების პროგრამები, რომლებშიც აუცილებლად ეთმობა ყურადღება აგროსექტორის განვითარების აუცილებლობას. სასურსათო იმპორტდამოკიდებულება თავისთავად საფრთხის შემცველია, განსაკუთრებით ზრდის ქვეყნის მოწყვლადობას სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვან რესურსში (მარცვლეული) ერთის მხრივ, გრძელვადიანი საფრთხეების გამოწვევ (რუსეთი), ხოლო მეორეს მხრივ საფრთხეში მყოფ (როგორც ომმა ცხადყოფს უკრაინა, ყაზახეთი) ქვეყნებზე დამოკიდებულება. რუსეთ - უკრაინის სრულმასშტაბიანი ომი ამძაფრებს გლობალურ სასურსათო კრიზისს. გაჭიანურებული ომის პერსპექტივა სტრატეგიული სასურსათო რეზერვების ამოწურვის საფრთხეს ქმნის, რაც ახლო აღმოსავლეთში (რუსეთისა და უკრაინის მარცვლეულის მთავარ მომხმარებლებში) უკიდურესად გაამწვავებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სიტუაციას და გამოიწვევს დესტაბილიზაციას, რაც მიგრაციის ახალი ტალღების რისკებს წარმოშობს, 2011 წლის „არაბული გაზაფხულის“ მსგავსად, რომელიც 2008-2009-2010 წლების კლიმატური ცვლილებების მიზეზმა - გვალვამ უკრაინისა და რუსეთის სამხრეთში და არაბულ-ისლამურ სამყაროში სოციალურმა საკითხებმა გამოიწვია. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) დეფინიციის თანახმად: „ყველა ადამიანისთვის აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების შენარჩუნებისთვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელი სურსათის ეკონომიკური და ფიზიკური ხელმისაწვდომობა - არის სასურსათო უსაფრთხოება.“ წინამდებარე მოხსენებაში წარმოდგენილია დიდი მონაცემების და დიჯიტალიზაციის მეშვეობით სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდების კვლევის ფარგლებში შემუშავებული არა მხოლოდ თეორიული დასაბუთება არამედ უკვე დანერგილი და მოქმედი ინსტრუმენტებიც, მაგალითად ალგორითმები და აპლიკაციები. აგრეთვე ახალი ცნებები „სამმაგი კრიზისი“, „ახალი ფორმაცია“, „ციფრული დემოკრატია“. ხაზგასმულია სახელმწიფოს და საზოგადოების როლების ურთიერთმიმართება, როგორც კონკრეტული ამოცანების იდენტიფიცირების და გადაჭრის კუთხით, მაგალითად სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა, ამისთვის სასურსათო იმპორტდამოკიდებულების შემცირება, ამისათვის კი აგროსექტორის და აგრობიზნესის განვითარება, ხოლო ამ უკანასკნელისთვის სახელმწიფო პროგრამების სწორად პრიორიტეტიზირება, ისე ზოგადად სახელმწიფოებრიობის განვითარების და პოსტინდუსტრიული, პოსტსოციალისტური და პოსტანდემური ტრანსფორმაციის თეორიული ასპექტები უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, ასევე დასაბუთებულია ქვეყანათა ჯგუფების პერსპექტივები ახალ ფორმაციაში.

საკვანძო სიტყვები: სასურსათო უსაფრთხოება, სამმაგი კრიზისი, ციფრული ტრანსფორმაცია, აგროსექტორი, სასურსათო რეზერვები, დიჯიტალიზაცია, ციფრული დემოკრატია

Food Security and the Importance of Big Data

Abstract

Food security is an important component of the country's security. The problem was exacerbated by the Russia-

Ukraine war, although it retained its relevance even before that, as evidenced by the programs of independent Georgian governments and political parties, which pay attention to the necessity of develop the agricultural sector. Food import dependence itself is risky, and increases the vulnerability when strategically important resource (cereals) import depends on long-term threats (Russia), or on countries in danger (as the war has shown Ukraine, Kazakhstan). A full-scale war between Russia and Ukraine is exacerbating the global food crisis. The prospect of a protracted war threatens to deplete strategic food reserves, which will greatly exacerbate the political, economic and social situation in the Middle East (main grain consumers of Russia and Ukraine) and lead to destabilization, creating risks of new waves of migration, similar to the "Arab Spring" of 2011, when cause of climatic changes of 2009-2010 - drought in the south of Ukraine and Russia and social issues in the Arab-Islamic world. According to the definition of the Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO): "Economic and physical access to safe food in sufficient quantity and nutritional value for all people to maintain an active and healthy life - is food security." The present report presents not only the theoretical justification, but also the already implemented operational tools, algorithms and applications, developed within the framework of the research on methods of ensuring food security through big data and digitalization. Also new concepts, "triple crisis", "new formation", "digital democracy".

Keywords: food security, triple crisis, digital transformation, agricultural sector, food reserves, digitization, digital democracy

საქართველოს აგროსექტორში არსებული პრობლემების აქტუალობაზე მეტყველებს, დამოუკიდებლობიდან დღემდე ყველა ხელისუფლების და მეტ-ნაკლებად გავლენიანი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებში სექტორის პრიორიტეტიზაცია. ქვეყნის სასურსათო იმპორტდამოკიდებულება თავის-თავად საფრთხის შემცველია, განსაკუთრებით ზრდის ქვეყნის მოწყვლადობას სტრატეგიულად ყველაზე მნიშვნელოვან რესურსში (მარცვლეული) ერთის მხრივ, გრძელვადიანი საფრთხეების გამომწვევ (რუსეთი), ხოლო მეორეს მხრივ საფრთხეში მყოფ (როგორც ომმა ცხადყოფს უკრაინა, ყაზახეთი) ქვეყნებზე დამოკიდებულება.

რუსეთ - უკრაინის სრულმასშტაბიანი ომი ამჟამად გლობალურ სასურსათო კრიზისს. გაჩაღებული ომის პერსპექტივა სტრატეგიული სასურსათო რეზერვების ამოწურვის საფრთხეს ქმნის, რაც ახლო აღმოსავლეთში (რუსეთისა და უკრაინის მარცვლეულის მთავარ მომხმარებლებში) უკიდურესად გაამწვავებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სიტუაციას და გამოიწვევს დესტაბილიზაციას, რაც მიგრაციის ახალი ტალღების რისკებს წარმოშობს, 2011 წლის „არაბული გაზაფხულის“

¹ მსგავსად, რომელიც 2008-2009-2010 წლების კლიმატური ცვლილებების მიზეზმა - გვალვამ უკრაინისა და რუსეთის სამხრეთში და არაბულ-ისლამურ სამყაროში სოციალურმა საკითხებმა გამოიწვია.

ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში კლიმატის ცვლილებისა და ახლო აღმოსავლეთში სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს შორის კავშირის დასადგენად აუცილებელია რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება:

- ისლამური სოციალიზმი, რომელიც გულისხმობს ხელმისაწვდომი (სოციალური) პურის საცალო ვაჭრობაში სამომხმარებლო ბაზარზე სიმბოლურ ფასად არსებობას;
- გვალვის გავლენა ექსპორტზე, ხორბლის მწარმოებელი ქვეყნების მაგალითზე, რა შემთხვევაშიც გვალვას არ გამოუწვევია მოსავლის კრიტიკულ მაჩვენებლამდე შემცირება, მაგრამ

¹ სოციალური ქსელების მეშვეობით თვითორგანიზებული სოციალური პროტესტი, რომელიც რიგ ახლო აღმოსავლურ ქვეყნებში რეჟიმების ცვლილებით დასრულდა. აქვე უნდა ღინიშნოს რომ სოციალური ქსელების მნიშვნელობა გარკვეულწილად ადასტურებს წინამდებარე საკითხის გარეთ მდებარე, მაგრამ მთლიანობაში კვლევის ფარგლებში გატარებულ იდეას დიჯიტალიზაციის მნიშვნელობასა და მოახლოებულ ტრანსფორმაციაზე, ანუ გარკვეულად ახალი ფორმაციის - „ციფრული დემოკრატიის“ შესაძლებლობაზე

მოსავლის დანაკლისი მთლიანად ექსპორტს გამოაკლდა (ოქსფამის (Oxfam) კვლევითი ანგარიშის მიხედვით ექსპორტის წილი 30%-მდე შემცირდა);

- სოციალური საკითხი, ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის ჭრილში.

ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა გამოიწვია ისლამური სოციალიზმის „პირობითი სოციალური კონტრაქტის“ (მთავრობა ინარჩუნებს სტაბილურ დაბალ ფასს პურზე და ხალხი არ ინტერესდება მთავრობის საქმიანობით) დარღვევა, შესაბამისად მასობრივი სტიქიური უკმაყოფილება, რეჟიმთა ვარდნა ან მძაფრი კრიზისი, სამოქალაქო ომები, ეკონომიკური სიდუხჭირე და დევნილთა/მიგრანტთა კრიზისი.

ამჟამად მიმდინარე ომით გამოწვეული მარცვლეულის დეფიციტი მაღალი ალბათობით მოსალოდნელია გამოწვევნი მიზეზი აღმოჩნდეს ნახსენები კრიზისების ანალოგიურის:

მაგალითისთვის, შრი-ლანკაში: რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად შექმნილმა დეფიციტმა სურსათზე და ლოჯისტიკის საკითხების გართულებამ გაამწვავა კრიზისი და იმპორტის გადასახადები გაზარდა. შრი-ლანკა პირველი სახელმწიფო გახდა აზიაში, რომელსაც საგარეო ვალი ორ ათწლეულზე მეტი ხანია არ გადაუხდია. მან ამოწურა უცხოური სავალუტო რეზერვები, შედეგად, ქვეყანაში საწვავის, მედიკამენტების და საკვების დეფიციტი გაჩნდა. გარდა ამისა, ადგილობრივების განმარტებით შრი-ლანკის პრემიერ მინისტრის რანილ ვიკრამასინგეს მიერ საკუთარი ბიზნესის ლობირება და მონოპოლიზმის ხელშეწყობა გახდა სოციალური აფეთქების ერთ-ერთი მიზეზიც.

ლიბანში: ომის შედეგებმა კიდევ უფრო გაამწვავა ჰუმანიტარული კრიზისი. 2020 ბეირუთის პორტში აფეთქებამ სერიოზულად დააზიანა მარცვლეულის სილოსები (შენახველები), რომლებიც ქვეყნის სარეზერვო მარაგების 85%-ს შეადგენდა. ლიბანი 80% უკრაინული ხორბლით მარაგდებოდა რუსეთ-უკრაინის ომამდე და მიმდინარე პროცესებმა მხოლოდ გაამწვავა გლობალური სასურსათო კრიზისი. დღევანდელი დღის მდგომარეობით დედაქალაქში პურის რიგებია და სოციალური პროტესტი თანდათან უფრო მწვავედება.

საქართველოში: მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება 1 წლით ხორბლის ექსპორტის აკრძალვასთან დაკავშირებით სწორედ მსოფლიოში მიმდინარე საკითხს უკავშირდება. სასურსათო კრიზისის თავიდან ასარიდებლად, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ დაწესებულ კვოტას ხორბლის მინიმუმ 12%-იან რეზერვთან დაკავშირებით საქართველო ვერ აკმაყოფილებს. რექსპორტის აკრძალვით, ვინაიდან ქვეყანას ექსპორტის პოტენციალი ამ დროისთვის არ გააჩნია, საკითხის სიმწვავეს ფორს-მაჟორულ სიტუაციაში დღევანდელი პროგნოზით გაანეიტრალებს.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) დეფინიციის თანახმად: „ყველა ადამიანისთვის აქტიური და ჯანსაღი ცხოვრების შენარჩუნებისთვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელი სურსათის ეკონომიკური და ფიზიკური ხელმისაწვდომობა - არის **სასურსათო უსაფრთხოება**.“ⁱ

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს აგრარული სექტორის განვითარებას, შესაბამისად სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია პერსპექტივების დანახვის, არსებული პოტენციალის ათვისების და მიზნობრივი გამოყენების საფუძველზე საზოგადოებრივ - პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა აგრარული სექტორის კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ და დიჯიტალიზაციისკენ მიმართული პოლიტიკის შემუშავებასა და გახორციელებაზე. დღესდღეობით აგრარული სექტორი არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა დაძლევაზე სხვადასხვა მოსაზრება და კვლევა არსებობს როგორც პოლიტიკურ, ისე მედია და აკადემიურ სივრცეებში რაც საკითხის აქტუალობაზე მეტყველებს, თუმცა შედეგებზე ორიენტირებული რეფორმების განხორციელება დაუძლეველი ბარიერი აღმოჩნდა ქვეყნისთვის. მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, სასურსათო უსაფრთხოებისა და სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საკითხი გამოირჩევა მზარდი აქტუალობით განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში, გლობალური ეკონომიკური ფორუმების აგენდაში 2020 წლიდან ნომერ პირველ გამოწვევად სახელდება. სიღარიბის შესამცირებლად და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აგრარული სექტორის ეკონომიკური ზრდა 2-3 ჯერ ეფექტიანია ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებში, შესაბამისად სექტორის განვითარებაზე და არსებული გამოწვევების დაძლევის გზებზე ორიენტირებული აგრარული

პოლიტიკის შემუშავება პოსტანდემიური სიტუაციიდან გამოსასვლელად აუცილებელი კომპონენტია. მსოფლიოში არსებული სამმაგი კრიზისის¹ ფონზე, ტექნოლოგიური რევოლუციისა და ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში სექტორების დიჯიტალიზაცია გარკვეული თვალსაზრისით თანაბარ სასტარტო პირობებში აყენებს საქართველოს სხვა აქტორებთან პოზიციონირებაში, რაც ხელსაყრელი პირობაა საქართველოს აგრარული სექტორში არსებული დინამიკის შესაცვლელად. რუსეთ-უკრაინის ომმა კიდევ უფრო მეტად გაამწვავა ზემოაღნიშნული საკითხი.

ემპირიული დაკვირვებისა და საექსპერტო გამოკითხვის შედეგად **(სახელმწიფო, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების, სექტორული და დარგობრივი ასოციაციებისა და დამოუკიდებელი ექსპერტების დონეზე)** საკითხის არატრადიციულ პარადიგმაში² განხილვამ დაგვანახა სექტორის დაფარული პერსპექტივები და შესაძლებლობები, დიჯიტალიზაციის, ტრადიციული სექტორების სტიმულირებით, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებითა და დიდი მონაცემების (ბიგ დატას) მნიშვნელობით სტრატეგიული სასურსათო რეზერვების მართვის პოლიტიკის კუთხით.

კვლევის სიახლეები

1. ალგორითმი და აპლიკაცია

1.1. ქართულ მობილურ აპლიკაციაში ინტეგრირებული ხელოვნური ინტელექტის (AI) ალგორითმი, რომელიც ითვალისწინებს მიკროზონალურ თავისებურებებს (ნიადაგის, კლიმატის და სხვ.), მათ სეზონურ და პერიოდულ რყევებს/რხევებს $Yr = 100 - b (ECe - a)^{3/5}$ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტისთვის;

1.2. ეროვნულ, რეგიონალურ, მუნიციპალურ და ზოგ (მიკროზონალური თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობისას) შემთხვევაში სოფლის დონეზე კი აგრო-ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით, თეორიული და ტექნოლოგიური დაშვებების საფუძველზე, აწყობილი AI ალგორითმის აგრობიზნესში ინტეგრირების დაგეგმვის ეტაპის დაწყება;

1.3. მოქმედი კომერციალიზებული ციფრული პლატფორმა „აგრონავტი“ რომელიც თეორიული კვლევის და ზემოხსენებული ალგორითმის ბაზაზე/საფუძველზე შეიქმნა და დაინერგა;

2. თეორიული განზოგადება სახელმწიფოებრიობის, ანუ სახელმწიფო მართვის და საჯარო მმართველობის ფორმაციულ კონტექსტში ახლებური ინტერპრეტაცია ციფრული დემოკრატიის თვალსაზრისით;

2.1. ციფრული დემოკრატია წარმოდგენილია როგორც ახალი ფორმაცია, რომელიც მოსალოდნელია არა მხოლოდ ცალკეული სექტორების, არამედ მთლიანად ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების დიჯიტალიზაციის საფუძველზე ახლებური ურთიერთ-ინტეგრირების შედეგად;

2.2. გამომდინარე იქიდან რომ ყოველი ფორმაცია განაპირობებს ეკონომიკური აქტივობის და სახელმწიფო მართვის მეთოდების თავისებურებებს და იმავდროულად თავადაც განაპირობებულაა აღნიშნულით, ახლებურად არის გააზრებული სახელმწიფო მართვის პოლიტიკური თუ მაკროეკონომიკური და საჯარო მმართველობის ტექნიკური თუ მიკრო-ეკონომიკური როლი ერთი მხრივ ცალკეულ სექტორებში დიჯიტალიზაციის ხელშეწყობით, მეორე მხრივ კი დიჯიტალიზაციის შედეგების გათვალისწინებით ტრანსფორმირების პერსპექტივები, ეს ზოგადი მიგნება შემდგომი ჩაღრმავებული ანალიზის საფუძველია კვლევის ფინალური ეტაპისთვის;

2.3. მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს საჯარო მმართველობის და სახელმწიფო მართვის ისტორიულ კონტექსტში შესწავლა ფორმაციული განვითარების და ისტორიული ტრანსფორმაციების რეტროსპექტიული ანალიზის საფუძველზე, თანამედროვე საზოგადოებებსა და ტექნოლოგიებში მიმდინარე ცვლილებების დაჩქარების შესახებ ზოგადი, ინტუიციური, საზოგადოებრივი წარმოდგენის, კვლევის საფუძველზე გამყარებამ, წარმოშვა ახალი ფორმაციის მოლოდინის მეცნიერული

¹ სამმაგი კრიზისი დეტალურად ნახსენებია სტატიაში, თ. მამულაიძე „ციფრული ტრანსფორმაცია ახალი (უცნობი) ფორმაციის პერსპექტივები“ <https://drive.google.com/file/d/1JP77k8PtELXcy9IYbSJITiEDsNdORWea/view>

² აგროსექტორში ინდუსტრიულ (საბჭოურ) ეპოქაში ჩამოყალიბებული მიდგომები, რომელიც გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოების ინდუსტრიალიზაციას ანუ, დიდ ფართობებზე მონოკულტურების გაშენებას რაც მოიაზრება ტრადიციულ პარადიგმად. ახალი პარადიგმის კონტექსტში გათვალისწინებულია თანამედროვე მიდგომები, რომელიც ორიენტირებულია მცირე ფართობებზე ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით სექტორულ განვითარებას, ექსკლუზიური პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზებით.

³ შემუშავებულია კვლევის ფარგლებში და დეტალურად განმარტებული II კოლოქვიუმში

დასაბუთების შესაძლებლობა (რამაც აპრობაცია გაიარა კვლევაში „ციფრული ტრანსფორმაცია და ახალი უცნობი ფორმაციის პერსპექტივები“);

2.4. მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ტექნოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპექტების ერთობლიობის ფორმაციულ თუ ტრანსფორმაციულ ასპექტში განხილვა ტექნოლოგიური რევოლუციისა და ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში ახალი ფორმაციის პერსპექტივის შეფასების საშუალებას იძლევა, რის საფუძველზეც შემოთავაზებულია ქვეყნების ორი (ჯერ-ჯერობით) კომპონენტის მიხედვით დაყოფა ოთხ დიდ ჯგუფად;

2.5. ქვეყანათა აღნიშნული ჯგუფების პერსპექტივების შეფასება და განვითარების პროგნოზირების მცდელობა აგრეთვე მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს;

პროგნოზის ვარიანტები, უფრო ზუსტად შესაძლო პერსპექტივების შესახებ საკითხი დასმულია მოცემული კვლევის ფარგლებში გამოქვეყნებულ „ციფრული ტრანსფორმაცია და ახალი უცნობი ფორმაციის პერსპექტივები“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხები სადისკუსიოა, მათი ფორმალიზება და მეცნიერული გააზრება წარმოადგენს მეცნიერულ სიახლეს, განსაკუთრებით მეთოდოლოგიური საფუძვლების ძიების თვალსაზრისით.

მასშტაბური განზოგადების აუცილებლობა, ვინაიდან ყველა ცალკე აღებული სექტორი მზარდი დინამიკით ინტეგრირდება ერთმანეთთან, პარალელურად საჯარო მმართველობის და სახელმწიფო მართვის ისტორიულ კონტექსტში შესწავლამ, ფორმაციული განვითარების და ისტორიული ტრანსფორმაციების რეტროსპექტიულმა ანალიზმა, თანამედროვე საზოგადოებებსა და ტექნოლოგიებში მიმდინარე ცვლილებების დაჩქარების შესახებ ზოგადი, ინტუიციური, საზოგადოებრივი წარმოდგენის, კვლევის საფუძველზე გამყარებამ, წარმოშვა ახალი ფორმაციის მოლოდინის მეცნიერული დასაბუთების შესაძლებლობა, რაც აისახა, შემდგომ კვლევაში „ციფრული ტრანსფორმაცია და ახალი უცნობი ფორმაციის პერსპექტივები“ რამაც, გარდა იმისა რომ მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, ამავდროულად, ასეთი ფართომასშტაბიანი განზოგადების ფონზე საკითხის ახლებურად ფოკუსირების აუცილებლობა გამოკვეთა, რამაც შესაძლოა ასახვა ჰპოვოს კვლევის საბოლოო ეტაპზე. მიგნებულ სიახლეთა შორის, ერთ-ერთი არის აგროსექტორში, პირველადი წარმოების პროცესში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება და პირდაპირ პრაქტიკის დაგეგმვა, (მიწის ლაბორატორიული ანალიზის გარეშე რეკომენდაციების მიღება) რომელიც არა თუ ადგილობრივ არამედ საერთაშორისო დონეზეც **პირველი პრეცედენცია**. ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური უზრუნველყოფით შესაძლებელია ერთ-ერთი მთავარი გამოწვევის დაძლევა, კერძოდ დაბალპროდუქტიულობის მაჩვენებლის შემცირება საქართველოს აგრო სექტორის საერთო დინამიკაში.

ყურადღება გამახვილებული იყო აგრობიზნესის დაფარული შესაძლებლობების აღმოჩენასა და რეალიზებაზე სრულიად ახალი, ციფრული ტექნოლოგიების, მობლური აპლიკაციების, სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფების მეშვეობით, რაც ერთის მხრივ სიახლეს წარმოადგენდა ტრადიციული სექტორებისთვის, მეორეს მხრივ კი ტექნიკური და კომერციული აპრობაციის პოტენციალის გამო პერსპექტიული იყო. კვლევის პროცესში დაწყებული ექსპერიმენტი „აგარულ სექტორში ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირების პერსპექტივები და ხელოვნური ინტელექტის (AI) საშუალებით აგრობიზნესის დაგეგმვის პროცესების გამარტივების ხელშეწყობის მექანიზმი“ ხელოვნური ინტელექტის ალგორითმის შემუშავებითა და აპლიკაციაში ინტეგრირებით დასრულდა. „დიჯიტალიზებული აგროტურიზმი როგორც მრავალმხრივი ეკონომიკური განვითარების ჰაბი“ ერთგვარი სიახლე იყო, რომელიც არა მხოლოდ ზოგადად ერთ-ერთი სექტორის განვითარებას ან კვლევას გულისხმობდა, არამედ სხვა და სხვა დარგების ურთიერთ განპირობებულ განვითარებასაც, განსაკუთრებით საინტერესო შედეგებს იძლევა შესწავლის, კვლევის და ანალიზის კუთხით ტურიზმის როგორც „პირობითი ექსპორტის ნაირსახეობის“ განხილვა. იმ თვალსაზრისით რომ მომხარებელი (ტურისტი) ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული, შექმნილი და აკომულირებული სახსრებით ქვეყნის შიგნით წარმოებულ პროდუქციას იძენს, ოღონდ იმ განსხვავებით რომ აღნიშნულ მომსახურების მისაღებად იგი თავად მიდის მიმწოდებელამდ/მწარმოებელამდე, თუმცა აღნიშნული მიგნება შეიძლება ითქვას გვერდითი ეფექტის მსგავსი მოვლენა იყო. ძირითადი აქცენტი აგრო სექტორის და აგროტურიზმის დიჯიტალიზაციითა და ურთიერთკოოპერირებით საერთაშორისო ბაზრისა და მომხმარებლისთვის სრულიად ახალი, ექსკლუზიური პროდუქტის შეთავაზება იყო, ამ თვალსაზრისით ახალი სექტორის წარმოქმნა და ქვეყნის გარედან დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვა, ქვეყნის

ეკონომიკის გამოჯანსაღებისთვის. აღნიშნული თვალსაზრისით აგროტურიზმი განხილულ იქნა როგორც რეგიონის მრავალფუნქციური და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ ალტერნატიული გზა. პროგნოზი იმის თაობაზე, რომ სურსათის მოხმარება 70% - მდე გაიზრდება 2050 წლისთვის, კვლევის პროცესში არსებული გამოწვევის გადასაწყვეტად აგრარულ სექტორში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირების შესაძლებლობით დადგინდა.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), ფერმერთა მსოფლიო ორგანიზაციის (WFO), სურსათის პოლიტიკის საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტისა (IFPRI) და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) პროგნოზით, საკვების მოხმარების ზრდის ტენდენციის საკვების წარმოების დინამიკასთან დასაბალანსებლად, მნიშვნელოვანია ერთობლივი ძალისხმევა სოფლის მეურნეობასა და მომიჯნავე სექტორებში თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებით მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) შესაბამისად. 1983 წლიდან სურსათის ხელმისაწვდომობაზე დეფინიციის განსაზღვრამ განაპირობა განსაკუთრებით მოწყვლად ქვეყნებში ისეთი პროგრამების ინიცირება, რომლებიც მიზანმიმართული იყო:

1. სრულფასოვანი სურსათის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის ჩამოყალიბებითა და მართვით;
 2. ადგილობრივი სურსათის წარმოებისა და მოხმარების საკანონმდებლო ბაზის შექმნით;
 3. მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების წახალისებისა და ქალი ფერმერების ჩართულობით სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტარტეგიების შემუშავების პროცესში.
- მიუხედავად არსებული ინიციატივებისა, COVID-19 პანდემიამ და მოგვიანებით რუსეთ-უკრაინის ომმა არათუ აგრარული სექტორის, არამედ ინდუსტრიული წარმოების პროცესის დღის წესრიგი შეცვალა სრულიად. მონოპოლისტი მწარმოებლების არსებობის ნაცვლად, ყაჭარის ეკონომიკურ ფორუმზე გაჟღერებულმა ინიციატივამ სექტორული დეცენტრალიზაციის პროცესი დააჩქარა.

საქართველოში, სასურსათო უსაფრთხოების საკითხს ამწვავებს სექტორში არსებული რამდენიმე ძირითადი ფაქტორი:

- ფერმერის დეფინიციის არარსებობა;
- მცირემიწიანობა და ნატურალური (არასაბაზრო) მეურნეობა;
- ელევატორებისა და სილოსების (შემნახველების) არარსებობა;
- ფინანსურ კაპიტალზე ხელმისაწვდომობის სირთულე;
- დარგობრივი განათლების არაპრესტიჟულობა და სპეციალისტების სიმცირე;
- თანამედროვე ტექნოლოგიების აგრარულ სექტორში გავრცელების დაბალი დინამიკა;
- აგრარული დაზღვევის მოუქნელობა და არახელმისაწვდომობა;
- და სხვა ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები რაც ზოგადად დამახასიათებელია გაჭიანურებულ ტრანსფორმაციაში მყოფი პოსტსოციალისტურიⁱⁱ ქვეყნებისთვის.

სურსათის უსაფრთხოების განმარტებაში მხოლოდ მის ფიზიკურ და ეკონომიკურ ხელმისაწვდომობაზე ფოკუსირება ვერ ასახავს პრობლემის სიღრმეს, რომელიც რეალურად მდგომარეობს არამხოლოდ ხელმისაწვდომობის მოწყვლადობაში, არამედ საკუთრივ სურსათის ისეთ მახასიათებლებში, როგორიცაა: ხარისხი, უვნებლობა დაⁱⁱⁱ მიკვლევადობა. აღნიშნულ კომპონენტთაგან ნებისმიერი შეიძლება გახდეს არამხოლოდ მტრული სახელმწიფოების სპეციალური სამსახურების, არამედ შიდა და გარე სავაჭრო კონკურენტების სამიზნე. საქართველოში სულ უფრო იზრდება მოთხოვნა სურსათის უვნებლობის მიმართ როგორც კანონმდებლობის, ასევე მომხმარებლების მხრიდან. ამას ხელს უწყობს ტურიზმის სექტორის მზარდი ტენდენცია, რაც გამოიხატება ადგილობრივი წარმოების პროდუქტზე მოთხოვნის მატებაში. საერთაშორისოს ანალოგიურის. ქართული სტანდარტის კერძო ინიციატივით (საქართველოს ფერმერთა ასოციაციის მიერ) შექმნა და მისი გაციფრულება წარმოაჩენს სასურსათო უსაფრთხოების მნიშვნელობას და ხელს უწყობს საკითხის განვითარებას. სტანდარტი "გეო გაპი" მორგებულია ადგილობრივ პირობებსა და კანონმდებლობაზე და შემუშავებულია საერთაშორისო სტანდარტ GLOBAL G.A.P.-ზე დაყრდნობით.

სტრატეგიული რეზერვების მართვის პოლიტიკა

ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს თუ რატომ ვერ ახერხებს ზოგიერთი ქვეყანა სტრატეგიული სასურსათო რეზერვების მართვას. მარცვლეულის მარაგების შექმნა იყო სახელმწიფოებრიობის, როგორც ასეთის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი. მას შემდეგ უკანასკნელი ათი ათასი წლის მანძილზე

ყველა სახელმწიფო მეტ-ნაკლებად ცდილობდა ქონოდა დაცული, გარანტირებული სასურსათო მარაგები. აღნიშნული პარადიგმა ერთბაშად შეიცვალა ცივი ომის დასრულების შემდეგ. ერთის მხრივ, მარაგების მომსახურების სიძვირის მეორეს მხრივ, გლობალიზაციის და სურსათის საყოველთაო ხელმისაწვდომობის და ბოლოს, საგარეო საფრთხეების „სამუდამო მოხსნის“ (რუსეთ-უკრაინის ომმა ნათლად აჩვენა ბოლო დებულების სიმცდარე) შედეგად. მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 90-იანების დასაწყისში, რუსეთში გამწვავებული სასურსათო კრიზისის დასაძლევად გახსნა თავისი სტრატეგიული მარაგები და საბჭოთა კავშირის მომარაგება დაიწყო. დღეს, რუსეთ-უკრაინის ომმა ამერიკაშიც კი წარმოშვა სასურსათო დეფიციტის მოლოდინი და ამერიკული საზოგადოება აალაპარაკა სტრატეგიული სასურსათო მარაგების პოლიტიკის განახლებაზე. ამერიკის უსაფრთხოების პროექტმა (ASP) სანიმუშოდ სტრატეგიული სასურსათო მარაგების მართვის ჩინური მოდელი დაასახელა (რომელიც მოიცავს 650 მილიონ ტონა ბრინჯს და ხორბალს, ასევე სიმინდისა და ღორის ხორცის სასაქონლო მარაგებს).

ზემოაღნიშნული დამოკიდებულება დამახასიათებელია ლიბერალური დემოკრატიებისთვის, რომლებიც ინტეგრირებულები არიან საერთაშორისო ვაჭრობაში, ორიენტირებულები არიან ამომრჩევლების ინტერესების დაკმაყოფილებაზე და ვერ ითვალისწინებენ მწვავე გლობალური კრიზისის შესაძლებლობას.

თუმცა არსებობს ქვეყნების მეორე ჯგუფიც - ავტორიტარული რეჟიმების სახით, რომლებიც სისტემატურად წყვეტენ მხოლოდ მიმდინარე პრობლემებს. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ზემოაღნიშნული რეჟიმები, რომელთა პოზიციონირების თანახმად მათი მთავარი უპირატესობაა თანმიმდევრული სტრატეგია, დამოუკიდებელი პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებისგან, არჩევნებისგან და განსხვავებული შეხედულების პარტიების და პოლიტიკური აქტორების ურთიერთ წინააღმდეგობისგან. სინამდვილეში, ერთი შეხედვით პარადოქსულად, საერთოდ არ არიან სტრატეგიით დაკავებული, და ძირითადად მოკლევადიან ამოცანებს წყვეტენ, რეაგირებენ რა მიმდინარე მომენტის გამოწვევებზე;

რუსეთი, ჩინეთი და შესაძლოა სხვა ქვეყნებიც, რომელთა პოზიციონირება გეოპოლიტიკურ ასპარეზზე აგრესიის ობიექტის ნიღბით ხორციელდება, სინამდვილეში სტრატეგიულ მარაგებს ქმნიან და სისტემატურად ანახლებენ, რაც აძლევს მათ საერთაშორისო ბაზარზე სასურსათო უსაფრთხოებით მანიპულირების საშუალებას.

ამდენად, აღნიშნული სამი ჯგუფიდან პირველი ორი, თუმცა კი სხვადასხვა მიზეზით ვერ ახერხებს ფინანსური რესურსების გამონახვას სტრატეგიული სასურსათო მარაგების შექმნის და მართვის კუთხით. რუსეთის აგრესიით გამოწვეულმა კრიზისმა, ლიბერალურ დემოკრატიებში არსებული საერთაშორისო გლობალური ბაზრის და მარადიული საყოველთაო მშვიდობის გულუბრყვილო პარადიგმის გადასინჯვა შესაძლოა გამოიწვიოს. აშკარა ხდება სახელმწიფოს მდგრადობისთვის და ეროვნული უსაფრთხოებისთვის სასურსათო მარაგების შექმნის და მათი სისტემატური შევსება განახლების, შესაბამისად კი მართვის აუცილებლობა.

მიმდინარე წლის 07 ივლისს რუსეთის საუკუპაციო ჯარების მიერ უკრაინის სტრატეგიული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადაწვა დიდი ალბათობით „არაბული გაზაფხულის“ გამეორების რისკებს გააჩენს. მარცვლეულის მიწოდების შეფერხება მსოფლიოში ხორბლის ორი უმსხვილესი ექსპორტიორისგან (რუსეთი, უკრაინა) გლობალური სასურსათო კრიზისის საფრთხეს ამწვავებს. მიმდინარე მდგომარეობით, უკრაინის მარცვლეულის მარაგების 10%-ზე დამოკიდებულია მსოფლიოს თოთხმეტი ქვეყანა, მათ შორის ზოგი (როგორიცაა ლიბანი (50%), ლიბია (43%), მალაიზია (28%), ინდონეზია (28%), იემენი (22%), და ბანგლადეში (21%)) კრიტიკულად. ხორბლის მარაგი უკვე მცირდება კანადაში, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა და სხვა ქვეყნები, ალბათ, ექსპორტს შეზღუდავენ, რადგან შიდა მოხმარება იქნება უზრუნველსაყოფი.

შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემების შესაბამისად წარმოდგენილ ინტერაქტიულ რუკაზე ნაჩვენებია ხორბლის იმპორტიორი ქვეყნები. რუკაზე იკვეთება ე.წ გლობალური სამხრეთი (შედარებით მუქი ფერით აღნიშნული ქვეყნები) რომლებიც კრიტიკულად დამოკიდებულნი არიან მარცვლეულის და განსაკუთრებით ხორბლის იმპორტზე, გამოირჩევიან რიგი რისკ-ფაქტორებით, როგორიცაა:

სოციალური უსამართლობა, პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, რაც ერთობლიობაში მოწყვლადი ქვეყნებისთვის იქნება სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით მზარდი რისკებისა და შესაძლო კრიზისის პირობა.



წყარო: United States Department of Agriculture, 2022

რაც შეეხება, საქართველოს ხორბლის ბაზრის მიმოხილვას, ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში საშუალო შინამეურნეობა/ოჯახი, ფინანსების ყველაზე დიდ ნაწილს სურსათზე ხარჯავს, რაც ასევე აისახება სამომხმარებლო კალათის წონებში, სადაც სურსათის წილი ჯამურ ინდექსში 33.1%-ია¹. ერთეულოვანი კატეგორიების მიხედვით კი, პურპროდუქტები ყველაზე არსებითი პროდუქტიაა სურსათში. 2011 წლიდან 2017 წლის ჩათვლით პურის ფასი არათუ არ იზრდებოდა, არამედ 2011-2012 წლებში 5%-ით შემცირდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, პირველად ფასის ზრდა 2018 წელს დაფიქსირდა, რაც რუსეთში (საიდანაც ვახდენთ ხორბლის იმპორტს) ცუდი მოსავლიანობის შედეგი იყო. 2021 წლის მაისიდან მოყოლებული კი ხორბლის პურის ფასი ყოველთვიურად იზრდება და წლიურმა ზრდამ აპრილში 30% შეადგინა.

ლიტერატურისა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ირგვლივ ოფიციალური განცხადებების მიმოხილვამ და საკუთრივ კვლევის პროცესმა, სასურსათო უსაფრთხოებისა და სტრატეგიული სასურსათო რეზერვების მართვის პოლიტიკის, როგორც გლობალური დღის წესრიგის საკითხის აქტუალობა გამოკვეთა. წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, შერჩეულ იქნა დასწრებულ-დაუსწრებელი საექსპერტო კოლეგიის მეთოდი და აღნიშნული მეთოდის შესაბამისად ექსპერტები.

- სახელმწიფო სტრუქტურებიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო დარგობრივი სამინისტროს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მინისტრის მოადგილემ;
- აგრარული კომიტეტის წარმომადგენელმა;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრაზვერვის დეპარტამენტის შვიდმა თანამშრომელმა;
- სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი დარგობრივი ინსტიტუციებიდან საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ და მეხორბლეთა ასოციაციის ოთხმა წარმომადგენელმა;
- საერთაშორისო დარგობრივი ინსტიტუციებიდან მსოფლიოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზაციამ და „Copa Cogeca-მ“.
- აგრეთვე, ორმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა.

ჯამში შვიდი ინსტიტუციიდან თექვსმეტმა რესპოდენტმა უპასუხა წინასწარ კითხვარს, ²ელექტორნული სახით კითხვარის ნახვა და შევსება შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: <https://forms.gle/oXUwfCseHxLHZmZ46>.

კითხვარი ძირითადად მიმართული იყო იმის დადგენაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია სასურსათო უსაფრთხოება სახელმწიფოსთვის და რამდენად ხორციელდება საქართველოში აღნიშნული მიმართულებით პოლიტიკა როგორც დეკლარირებული ისე ფარული სტრატეგიების სახით, და რა

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამომხმარებლო კალათის წონები 2022

მნიშვნელობა აქვს დიდი მონაცემების (ბიგ დატას) არსებობას სტრატეგიული რეზერვების მართვის პოლიტიკის კუთხით.

უკლებლივ ყველა რესპოდენტი სასურსათო უსაფრთხოებისა და სტრატეგიული რეზერვების მართვის მნიშვნელობას და დიდი მონაცემების (ბიგ დატას) პოტენციალს უპირობოდ ხაზს უსვამს. ექსპერტთა შეფასებებში ძირითადი წინააღმდეგობა გამოიკვეთა დეკლარირებული და ფარული სტრატეგიების არსებობის საკითხში, კერძოდ დამოუკიდებელმა ექსპერტებმა აღნიშნეს ფარული სტრატეგიების არსებობა, თუმცა ვერ დაასაბუთეს (არ მოუყვანიათ მაგალითი), ხოლო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის სხვადასხვა რანგის და ქვედანაყოფის ოფიცრებმა ცალსახად უარყვეს ფარული სტრატეგიის ან/და ამ საკითხით დაკავებული სპეციალისტის (დრმად დაშიფვრის ან საგანგებო დავალების ოფიცერი) მუშაობა, რითაც გამოიკვეთა პოლიტიკის არ არსებობა. აღნიშნულზე, არაფერია ნათქვამი ასევე სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში.

აგრეთვე, ყველა რესპოდენტის მიერ აღნიშნული მიმართულებით პოლიტიკის არსებობის შემთხვევაში ეკონომიკური დივერსიების (სურსათის განგებ დაბინძურება, განადგურება, მაგალითად, მცენარეთა სხვადასხვა დაავადებების ხელოვნურად გავრცელება რეზერვების განადგურებისა და შემცირების მიზნით) როგორც რისკ-ფაქტორის ზრდის შესაძლებლობა აღინიშნა.

დამოუკიდებელი ექსპერტების დარგობრივი ექსპერტების კონსოლიდირებული პოზიციისგან განსხვავებული მოსაზრება, შესაძლოა მიუთითებდეს ერთგვარ რწმენას იმისა, რომ სახელმწიფო ახორციელებს რაიმე სახის ფარულ სტრატეგიას, ვინაიდან მისი არ არსებობა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ქვეყანას არამედ რეგიონსაც, ვინაიდან ზრდის მოწყვლადობას, დივერსიების საფრთხეებს, ქმნის ეკონომიკური კრიზისის სოციალური დაძაბულობის და მოულოდნელი პოლიტიკური რყევების რისკებს.

საერთაშორისო დარგობრივი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ექსპერტულმა გამოკითხვამ ბუნებრივია საკითხის აქტუალობა ზოგად გლობალურ კონტექსტში წარმოაჩინა, როგორც მოწყვლადი ისე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ფერმერული მეურნეობების ჭრილში, მიუხედავად იმისა რომ არსებობს მკაფიო სხვაობა ე.წ. „გლობალურ სამხრეთსა“ და „ოქროს მილიარდის“ ქვეყნებს შორის, რომელთაგან ერთნი დამოკიდებულნი არიან სურსათის იმპორტზე და ვერ ქმნიან რეზერვებს სიღარიბისა და სიდუხჭირის გამო, ხოლო მეორენი არ ქმნიან მარაგებს მიუხედავად ფინანსური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობისა როგორც აქამდე ითვლებოდა არამიზანშეწონილობის გამო, არაპროგნოზირებადი გლობალური კრიზისის პირობებში შესაძლოა ერთნაირად მოწყვლად სიტუაციაში აღმოჩნდეს ქვეყნების ორივე ჯგუფი. COVID-19-ის პანდემია და რუსეთ-უკრაინის ომი, ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კრიზისული მოვლენა ერთგვარ სასიგნალო ნიშანს გავს და მოითხოვს ზოგადი რეკომენდაციის სახით სასურსათო რეზერვების მართვის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე.

წარმოდგენილმა საექსპერტო კვლევამ სრულიად მოულოდნელად ირიბად დაადასტურა მთლიანი შრომის პროცესში გამოვლენილი ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხება საჯარო მმართველობის ქვედა რგოლის მიერ დიდი მონაცემების (ბიგ დატას) დამოუკიდებლად შეგროვების და გავრცელების აუცილებლობას. აღნიშნული რეკომენდაცია ვრცლად ხელმისაწვდომია შესაბამის პარაგრაფში.

დასკვნები და რეკომენდაციები

მთლიანობაში, წინამდებარე ნაშრომში ასახულია შრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევები, ორიგინალური მიგნებები და სიახლეები, მათ საფუძველზე შედგენილია რეკომენდაციები, რომელთა თეორიული და პრაქტიკული ღირებულება დასტურდება აპრობაციით.

სარეკომენდაციო პაკეტი მოიცავს საქართველოს აგრო სექტორის მომავლის პარადიგმაში ტრანსფორმაციისთვის საჭირო შემდეგ პუნქტებს, შესაბამისი თანმიმდევრობით:

1. ფერმერის დეფინიციის შემუშავება და საკანონმდებლო დონეზე ასახვა;
2. ფერმერთა საყოველთაო, სავალდებულო რეგისტრაცია ეროვნული ბაზის შესაქმნელად;
3. ადგილობრივი წარმოების, იმპორტის და ექსპორტის ზუსტი მონაცემების შეგროვება;

4. ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე პროგნოზირება, დაგეგმვა და შესაბამისი რეკომენდაციების გავრცელება;
5. სტრატეგიული რეზერვების მართვის პოლიტიკის შემუშავება;
6. სასურსათო უსაფრთხოების დეკლარირებული და ფარული სტრატეგიების შემუშავება.

აღნიშნული რეკომენდაციების რეალიზაცია შესაძლებელია პარალელური ღონისძიებების მეშვეობით, კერძოდ:

- ექსტენციის ცენტრების ფუნქციონალური დატვირთვა, მონაცემების შეგროვება, გაცრელება, დავადაბათა პრევენცია და მონიტორინგი (2018 წლის 11 მაისის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით №2-332 შეიქმნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ერთეულები, რომელთა მიზანია: ფერმერებისათვის და აგრარულ სფეროში დასაქმებული სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის განხორციელება საოფისე, დისტანციურ და საველე პირობებში. ექსტენციის სამსახურები დარგობრივი მიმართულებით საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელების პარალელურად, უზრუნველყოფენ სააგენტოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების პოპულარიზაციას);
- პროექტების მართვის სააგენტოს (RDA) სახელმწიფო პროგრამაში, ხორბლის სექტორის პრიორიტეტიზაცია;

კაცობრიობის წინაშე დრო და დრო იჩენს თავს ძნელად პროგნოზირებადი რისკები, ე.წ. „შავი გედი“, რაც COVID -19 - ის პანდემიამ და რუსეთ-უკრაინის ომმა ნათლად წარმოაჩინა. მიუხედავად დაჩქარებული ტექნოლოგიური პროგრესისა (5G ტექნოლოგიები, სტარლინკი, SpaceX, მეტავერსი, ხელოვნური და სუპერ ინტელექტი, გლობალური ხელოვნური ნეიროქსელები) სასურსათო უსაფრთხოება, იგივე პური ჩვენი არსობისა რჩება მოწყვლადობის საბაზისო განზომილებად, რაც ქვეყნის უმთავრეს საზრუნავს და არაკეთილგანწყობილი პარტნიორების მანიპულაციის საშუალებას წარმოადგენს. მოცემულ ეტაპზე განხორციელებულ კვლევაში ნახსენები ზოგი ასპექტი და დებულება მეტ-ნაკლებად სიღრმისეულად და ფართოდ არის წარმოდგენილი წინამორბედ კვლევებსა და პუბლიკაციებში. კვლევის ფინალურ ეტაპზე დაგეგმილია სარეკომენდაციო პაკეტის დეტალიზაცია და დარგობრივი ინსტიტუციებისთვის წარდგენა, მათი უკუკავშირის მიღება აპრობაციის შედეგების გაძლიერების და სექტორულ დონეზე იმპლემენტაციის მიზნით.

რეკომენდაციები საერთაშორისო დარგობრივ ინსტიტუციებზე დაყრდნობით

- საკვებისა და სასუქის გლობალური ვაჭრობის ღიაობა, შიდა და გლობალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;
- ახალი და უფრო დივერსიფიცირებული ბაზრების მოძიება, განსაკუთრებით უკრაინასა და რუსეთიდან სურსათის იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნებისთვის ალტერნატიული მომწოდებლების მოძიება;
- მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა. მოწყვლადი ხალხის დასაცავად მთავრობების მიერ სოციალური უსაფრთხოების ქსელები გაფართოების უზრუნველყოფა, თარგეთირებული სოციალური დაცვის პროგრამების შემუშავება და იმპლემენტირება;
- გლობალური საბაზრო ფასების კონტროლი, საიმპორტო ტარიფის შემცირებამ და საექსპორტო აკრძალვებმა, მოკლევადიან პერსპექტივაში, შესაძლოა, ცალკეული ქვეყნის სურსათის უსაფრთხოების გამოწვევები მოაგვაროს, მაგრამ გრძელვადიანად გარანტირებულად გამოიწვევს ბაზრის დისბალანსს, ამდენად რეკომენდებულია გლობალური ბაზრის, საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე, საბაზრო მექანიზმებით კონტროლი;
- საბაზრო გამჭვირვალობის და დიალოგის გაძლიერება. როცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზარი არასტაბილურია, გლობალური ვაჭრობის და მის შესახებ ინფორმაციის მეტი გამჭვირვალობა მთავრობებსა და ინვესტორებს მეტად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება. ისეთი ინიციატივები, როგორიცაა G-20-ის სასოფლო-სამეურნეო ბაზრის საინფორმაციო სისტემა (AMIS), ობიექტური და დროული საბაზრო შეფასებებით, ამგვარი გამჭვირვალობის გაზრდას შეუწყობს ხელს.

i Food Security. 17. The 1996 World Food Summit (WFS)

ii გაჭიანურებული პოსტსოციალისტური ტრასფორმაცია განმარტებულია ავტორის გამოქვეყნებულ სტატიაში https://drive.google.com/file/d/1kG5y82HSgzlcUXf_ooblurHat-at7zH/view

iii საერთაშორისო სტანდარტი პირველად წარმოებაში https://www.globalgap.org/uk_en/



iv

წყარო: https://twitter.com/ukraine_world/status/1545116034780504064

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის შეფასება ისრაელში განხორციელებულ ანალოგიურ რეფორმასთან შედარების საფუძველზე

Sofiko Davitashvili

PHD Student, Georgian Technical University, Georgia

Otar Baghaturia

Georgian Technical University, Georgia

აბსტრაქტი

საქართველომ პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის გზაზე მრავალი მოდელი გამოსცადა, მათ შორის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის ამჟამადც მიმდინარეობს სხვადასხვა სახის რეფორმა. ნებისმიერი რეფორმის დაწყებამდე არსებობს რეფორმის წინასწარი შეფასების პრობლემა. აღნიშნული კუთხით ხშირად გამოიყენება ანალოგის (ან მოდელის) მეთოდი. ამჟამინდელი რეფორმის შეფასება შესაძლოა შესაძლებელი იყოს სხვა ქვეყნების რეფორმების შედეგებზე დაყრდნობით და მათთან შედარებით. წარმოდგენილ კვლევაში ნიმუშად გამოდგება ისრაელი, როგორც ქვეყანა რომელიც მრავალი პარამეტრით გავს საქართველოს (ტერიტორია, მოსახლეობა, მოსახლეობის სტრუქტურა, არასტაბილური (ხშირად მტრული) გარემო). ისრაელი ხშირად აღიქმება, როგორც წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყანა, რომელსაც იგი ამჟამად მართლაც წარმოადგენს, მაგრამ დღევანდელი წარმოდგენა ისრაელზე პროექცირებულია მის წარსულზე. საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეებისათვისაც კი უცნობია თუ რა მიმე კრიზისში აღმოჩნდა ისრაელი და რა კოლოსალური ძალისხმევები დასჭირდა მას მის დასაძლევად. დღევანდელი ისრაელის როგორც წარმატებული ეკონომიკის ნიმუშად აღქმა განპირობებულია სწორედ იმ ეკონომიკური განვითარებით, რომელიც დაიწყო 90-იანი წლების რეფორმებით, აღსანიშნავია ისრაელის ეკონომიკური პროგრამა „იუზმა“, რომელიც მთავრობამ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად დაიწყო. იუზმა ინვესტორებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 50%-იან თანადაფინანსებას და რისკების დაზღვევას სთავაზობდა, ხოლო ინვესტორს სახელმწიფო წილის გამოსყიდვა 5 წელში შეეძლო. ამ თანადაფინანსებით ბევრმა კომპანიამ ისარგებლა და ისრაელში სათავო ოფისები გახსნა. საქართველო ასევე ცდილობს ეკონომიკური აქტივობის წახალისებას, მაგალითად პროგრამა „აწარმოე საქართველო“-ს ფარგლებში, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისთვის შექმნა. წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შედარებულია საქართველოსა და ისრაელში განხორციელებული ორი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა და ეკონომიკური პროგრამები, განხილულია მათი მსგავსებები და განსხვავებები, საქართველოსთვის ოპტიმალური მოდელის დადგენის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური რეფორმა, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია, „ისრაელიზაცია“, ისრაელის მოდელი, კრიზისი ისრაელში, რეფორმა ისრაელში

Evaluation of the Current Economic Reform in Georgia Based On the Comparison with the Similar Reform Implemented In Israel

Abstract

Georgia has tested many models on the path of post-socialist transformation, including various types of reforms to promote economic development. In any reform, there is a problem of preliminary evaluation of the reform. In this regard, the method of analogy (or model) is often used. The current reform may be evaluated based on and compared to the results of reforms in other countries. In the presented research, Israel will be used as a sample, as a country that is similar to Georgia in many parameters (territory, population, population structure, unstable (often hostile) environment). Israel is often perceived as a country with a successful economy, which it actually is today, but today's perception of Israel is projected onto its past. It is not known even to the public and scientific circles, in what severe crisis Israel found itself and what colossal efforts it needed to overcome it. The perception of today's

Israel as a model of a successful economy is due to the economic development that began with the reforms of the 90s. He noted Israel's economic program "Yuzma", which the government launched to attract foreign investments. Yuzma offered investors 50% co-financing from the state budget and risk insurance, and the investor could redeem the state share in 5 years. Many companies took advantage of this co-financing and opened their headquarters in Israel. Georgia is also trying to encourage economic activity, for example, within the framework of the "Produce Georgia" program, which was created to support small and medium-sized businesses. Within the framework of the presented research, the reforms, similarities and differences implemented in Georgia and Israel are compared, in order to determine the optimal model for Georgia.

Keywords: economic reform, post-socialist transformation, "Israelization", Israeli model, crisis in Israel, reform in Israel

ისრაელი და საქართველო ისტორიულად, გარკვეულ ასპექტებში ძალიან ჰგავნან ერთმანეთს: ორივე ქვეყანას წლების მანძილზე უწევდა მტრულ გარემოში ცხოვრება და დაარსების დღიდან საომარ ვითარებაში ყოფნა. ისრაელი ახლო აღმოსავლეთში მდებარეობს და მისი ტერიტორია საქართველოს ტერიტორიაზე სამჯერ ნაკლებია, თუმცა მოსახლეობით საქართველოს ორჯერ აღემატება. ისრაელს საკმაოდ რთული ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია ჰქონდა 1990-იანი წლების დასაწყისში, თუმცა მთავრობის მიერ განხორციელებულმა ინვესტიციების მოზიდვის პროგრამამ, ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას შეუწყო ხელი.

ამ გარემოებიდან გამომდინარე, სასურველია, რომ ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელი რეფორმების განხორციელების რეკომენდაციები ითვალისწინებდეს ისრაელის სახელმწიფოს წარმატების მაგალითებს.

ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რამდენიმე პროექტი, რომლის პრაქტიკაში განხორციელებამ ქვეყნის პროგრესს შეუწყო ხელი.

XX-ე საუკუნეში 90-იანი წლების დასაწყისში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლა. ჩამოყალიბდა 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო საქართველო.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოუწია მძიმე პროცესების გავლა, რათა გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასულიყო. ამ პერიოდში დაემთხვა პოლიტიკური ძალების მწვავე დაპირისპირება, ტერიტორიების დაკარგვა, სამოქალაქო ომი. შესაბამისად ქვეყანაში გაღრმავდა ეკონომიკური კრიზისი, რასაც მოჰყვა ქვეყნიდან სამუშაო ძალის მასობრივი მიგრაცია, ინფლაცია და უმუშევრობის ზრდა.

პრივატიზების პროცესი საქართველოში 1992 წელს, რაც 1997 წლამდე გაგრძელდა, თუმცა კერძო ინვესტიციების პრივატიზების გზით მოზიდვის სახელმწიფო პროგრამა 2003 წლის ბოლოს დამტკიცდა. პრივატიზაციის პირველი ეტაპი საცხოვრებელი ბინებისა და მცირე ზომის საწარმოების კერძო საკუთრებაში გადაცემას გულისხმობდა. ძირითადად, ეს ეტაპი ე.წ. „ვაუჩერების“ სისტემით განხორციელდა, რომლის შედეგად მცირე ზომის 11.5 ათასი ობიექტი კერძო საკუთრებაში გადავიდა. პრივატიზაციის მეორე ტალღა 1998-2002 წლებში განხორციელდა, რომელიც წინა ეტაპთან შედარებით უფრო ფართომასშტაბიანი იყო. მესამე ეტაპი უკვე „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განხორციელდა.

2015-2019 წლებში, საერთო ჯამში 1 363.4 მლნ ლარის ქონების პრივატიზაცია განხორციელდა, რომელის 36.1% შენობა-ნაგებობების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალია, ხოლო მიწის პრივატიზაციის წილი კი - 32.8%-ს შეადგენს. ამავე პერიოდში, სხვა ბუნებრივი რესურსების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავლებმა პრივატიზაციიდან მთლიანი შემოსავლების 30.4% შეადგინა. ამ პერიოდში ყველაზე მეტი ღირებულების ქონება 2015-2016 წლებში (355.1 მლნ ლარი და 367.2 მლნ ლარი) გაიყიდა, ხოლო ყველაზე ნაკლები კი ბოლო ორი წლის მანძილზე. 2018-2019 წლებში აბსოლუტურ მაჩვენებლებში გაყიდულ ქონების ღირებულებაზე ნაკლები, ბოლო 15-წლიან პერიოდში, მხოლოდ 2012-2014 წლებში იყო.

"100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს" კამპანიის ფარგლებში წარმოდგენილია ქვეყნის მასშტაბით არსებული საინვესტიციოდ მიმზიდველი უძრავი ქონების ნუსხა. საპრივატიზებო ობიექტები გარდა სხვადასხვა მანქანათმშენებლისა, მოიცავს განვითარების სავარაუდო შესაძლებლობას. გამარტივებული საპრივატიზებო პროცედურების მეშვეობით ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს მიმდინარე ელექტრონულ აუქციონში. 2021 წელს ელექტრონულ აუქციონებზე ვაჭრობა 161 ობიექტზე შედგა, რომელთა საწყისი ფასი 101,984,700 ლარი იყო, ხოლო მაღალი კონკურენციის პირობებში აუქციონების საბოლოო შედეგმა 160 მლნ ლარი შეადგინა.

ისრაელი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი 1995 წლის 21 აპრილს გახდა, ხოლო საქართველო 2000 წლის 14 ივნისს შეუერთდა. მსო-ს წევრობა ნიშნავს თავისუფალ და ლიბერალურ სავაჭრო რეჟიმს, კვოტირების გაუქმებას (შენარჩუნდა სასაქონლო ნომენკლატურის სპეციფიკურ საქონელზე ექსპორტის ან იმპორტის აკრძალვა) და კანონდებლობის მაქსიმალურ ჰარმონიზაციას ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

საქართველოში 2005 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სრულიად ახალი საგადასახადო კოდექსი. ძველი საგადასახადო კოდექსის საფუძველზე საქართველოში მოქმედებდა 13 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, 6 ადგილობრივი გადასახადი და 1 საბაჟო გადასახადი, რომელიც რეგულირდებოდა საქართველოს საბაჟო კოდექსით, ანუ სულ 20 გადასახადი. ახალი კოდექსის მიხედვით განისაზღვრა 5 საერთო-სახელმწიფოებრივი და 2 ადგილობრივი გადასახადი, რასაც ემატებოდა საბაჟო კოდექსით რეგულირებული საბაჟო გადასახადი.

რეფორმების და ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად გაიზარდა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. 1996 წელს ეს რიცხი 3.8 მლნ დოლარი იყო, ხოლო 2021 წლის ბოლოს 1,241.8 მლნ დოლარი.

მიუხედავად ბოლო წლებში არსებული რთული ეკონომიკური ვითარებისა, დღეს ქართული კომპანიები ლონდონის აქციების ბაზარზეა აღრიცხული. ეს ჩვენს იურიდიულ პარტნერს ქვეყნისთვის საკმაოდ დიდი მიღწევაა.

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა თავისუფალი ბაზრის პრინციპებს ემყარება, სადაც კერძო სექტორი სამუშაო ადგილების შემქმნელს და ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ზოგადად ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას, ინოვაციებსა და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას. ამასთანავე, მცირე და საშუალო საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ ახალი ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და გამოყენებაში, მათი ინოვაციური და მოქნილი სტრუქტურების გამო.¹

ეკონომიკური რეფორმების და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი პროგრამების წარმატება, დამოკიდებულია სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურული რგოლების ეფექტურ მუშაობაზე.

სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ 2014 წელს შეიქმნა, რომლის მიზანია კერძო სექტორის განვითარების მხარდაჭერა, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, ექსპორტის ხელშეწყობა, საქართველოს საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაცია. პროგრამები გათვლილია მიკრო, მცირე და საშუალო ტიპის ბიზნესის განვითარებაზე. სააგენტოს ყავს 10000-ზე მეტი ბენეფიციარი, 40000-ზე მეტი დასაქმებული ადამიანი და განხორციელებულია 1.5 მილიარდ ლარზე მეტი ინვესტიცია.

„აწარმოე საქართველოს“ ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად ითვლება ფილმ „ფორსაჟის“ საქართველოში გადაღება. ის პროგრამა გადაიღე საქართველოში ფარგლებში განხორციელდა და მისი მიზანია კინოინდუსტრიის ხელშეწყობა. ფილმი საკმაოდ ბევრი სპეცეფექტებითაა გაჯერებული და საქართველოს გადაღებები დროს ცნობილი პოლივუდის ვარსკვლავები ეწვივნ.

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ წელსაც წარმატებით მიმდინარეობს. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღების შესაძლებლობა ექნებათ იმ მეწარმეებსაც, ვისაც უკვე დაფინანსებული საქმიანობის გაფართოების ან ახალი ბიზნეს პროექტის წამოწყება სურთ.

საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე ქართული კომპანიებისთვის ახალი საგადასახადო შეღავათები შემოიღო. ეს პროგრამა საინტერესოა როგორც ბაზარზე ამჟამად არსებული კომპანიებისთვის, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი სხვადასხვა ბიზნესებისთვის, რომელთაც სურთ თავიანთი საქმიანობის საქართველოში გადმოტანა.

საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, ამ სტატუსის მფლობელ კომპანიას აძლევს საშუალებას, რომ მიიღოს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები. კერძოდ, კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი დაიბეგრება 5%-ით ნაცვლად 20%-სა. ასევე მოგების გადასახადი განისაზღვრება 5%-ით ნაცვლად 15%-სა.

საქართველო გახდა საინტერესო უცხოელი ინვესტორებისთვის, რადგან ჩვენ გვაქვს მიმზიდველი ადგილმდებარეობა - ტრანზიტული როლი ახიიდან ევროპისკენ გამავალ გზაზე, საქართველო ათეულშია მსოფლიოში ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსით. ჩვენს ქვეყანაში დაბალია გადასახადები, კორუფციის მაჩვენებელი და პოტენციური მუშახელის დაქირავება ადვილია მაღალი კონკურენციის და დაბალი ხელფასის კუთხით. საქართველოს აქვს თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები დსთ-ს წევრ ქვეყნებთან, თურქეთთან, ევროკავშირთან და ჩინეთთან. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ინდოეთთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ისრაელის სახელმწიფოს ხელახლა დაარსების ისტორიიდან 70 წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ისრაელმა გაიარა ძალიან რთული გზა: 7 ომი არაბულ სამყაროსთან და შვიდივეში გამარჯვება, უდაბნოს წალკოტად ქცევა, ეკონომიკური სიძლიერე, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის უმაღლესი დონე, ატომური და წყალბადის იარაღების შექმნა, განვითარებული მეცნიერება და განათლება, მაღალი კულტურა და სამედიცინო მომსახურება, აყვავებული სოფლის მეურნეობა, მოსახლეობის უმაღლესი პატრიოტიზმი, კანონის უზენაესობა, მყარი პოლიტიკური და სასამართლო სისტემა, პოლიტიკური კულტურა და სამართლიანობის მაღალი დონე და ა.შ.

1990 წლამდე ისრაელში საკმაოდ რთული ეკონომიკური მდგომარეობა იყო, ხოლო დაახლოებით 20 წელიწადში მსოფლიოს ერთ-ერთ ტექნოლოგიურად ყველაზე განვითარებულ ქვეყნად იქცა.

ისრაელი განიცდის წყლის მწვავე ნაკლებობას და მისი ტერიტორიის 60% უდაბნოა, თუმცა ქვეყანამ დაიწყო წყლის მეორადი გამოყენება და ჩამდინარე წყლების 90%-ს გადაამუშავებს სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად, ხოლო სასმელს წყალს მლაშე წყლის გაწმენდის შედეგად გამოიმუშავებს.

ისრაელმა ნაწილობრივ ან სრულად მოახდინა 98 კომპანიის პრივატიზაციის პროცესი 1986-2020 წლებში და მისგან შემოსავალმა 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში პრივატიზაცია იყო მთავრობის მიერ ინიცირებული უფრო ფართო საბაზრო რეფორმების მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც მიზნად ისახავს კერძო სექტორის ზრდის ხელშეწყობას, უპირველეს ყოვლისა, კონკურენციის გაუმჯობესების გზით. ასევე, ისრაელის მთავრობის განცხადებით, იგეგმება მისი საკუთრების პრივატიზების პროცესის გაგრძელება ფინანსურ ინსტიტუტებში, ასევე სახელმწიფო მიწაზე, საზღვაო პორტებში, საფოსტო კომპანიაში, ენერგეტიკულ და სატრანსპორტო კომუნალურ კომპანიებსა და თავდაცვის ინდუსტრიის ნაწილებში.

ისრაელმა 1990-იანი წლებიდან დღემდე ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკური პროგრამა „იუზმა“(1993-1998 წწ), რომელიც მთავრობამ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად დაიწყო. იუზმა ინვესტორებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 50%-იან თანადაფინანსებას და რისკების დაზღვევას სთავაზობდა, ხოლო ინვესტორს სახელმწიფოს წილის გამოსყიდვა 5 წელში იაფად შეეძლო. შეთავაზება ბევრი უცხოური კომპანიისთვის საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა, შედეგად კი სათაო ოფისები გახსნეს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორებიცაა Iphone, Microsoft, Google, Paypal, IBM და სხვა.

1993 წელს სახელმწიფოს თანადაფინანსება 100 მილიონ დოლარს შეადგენდა, ხოლო 1996 წლისთვის მისი მოცულობა 250 მილიონით განისაზღვრა. „იუზმა“ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ყველაზე სარისკო პროგრამიდან ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად გარდაიქმნა.

1990 წლების დასაწყისში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ისრაელში 0.15 მლრდ დოლარი იყო, ხოლო ამჟამად ეს რიცხვი 24 მილიარდს აჭარბებს. ქვეყნის ეკონომიკურმა რეფორმებმა და საგადასახადო ლიბერალიზაციამ, გამოიწვია უცხოური ინვესტიციების შემოდინება. ისრაელი ყველზე დიდ ფულს ტექნოლოგიურ განვითარებაში აბანდებს.

ისრაელის სახელმწიფომ ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, კომპანიებისთვის შექმნა იდეალური ბიზნეს გარემო. გადასახადების შემცირების და პრივატიზაციის განხორციელების შემდეგ, ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული გარემო შეიქმნა და უცხოური ინვესტიციების წილი გაიზარდა.

საქართველო და ისრაელის ურთიერთობები მრავალ საუკუნეს ითვლის. საქართველო-ისრაელის ბიზნესპალატა 1996 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური, კულტურული, ტურისტული და პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავების საქმეში. ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს საქართველოში ისრაელიდან და მსოფლიო ებრაელობიდან ტურისტების მოზიდვაზე, ეწევა ბიზნესგარემოს პოპულარიზაციას, უფასო იურიდიულ კონსულტაციებით, ოფიციალურ უწყებებთან კომუნიკაციასა და პრობლემების დაძლევაში ეხმარება ისრაელელ ინვესტორებს.

ბიბლიოგრაფია

1. <http://www.economy.ge/>
2. <https://www.mof.ge/>
3. <https://rs.ge/>
4. <http://nasp.gov.ge/>
5. <https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka>
6. საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი, შუალედური ანგარიში
7. ტრანსფორმაციის ინდექსი 2022
8. <https://embassies.gov.il/baku/AboutIsrael/Economy/Pages/ECONOMY-Reforms.aspx>
9. <https://eh.net/encyclopedia/a-brief-economic-history-of-modern-israel/>
10. https://www.gov.il/en/departments/units/department_budget/govil-landing-page
11. <https://www.yozma.com/>
12. <http://ig-chamber.org/about-us>

ციფრული ტრანსფორმაცია და ახალი (უცნობი) ფორმაციის პერსპექტივები

Tamta Mamulaidze

Ph.D. Student Georgian Technical University, Georgia

Otar Baghaturia

Georgian Technical University, Georgia

აბსტრაქტი

თანამედროვეობაში დაჩქარებული ტექნოლოგიური პროგრესი იწვევს ორუელისეული ანტიუტოპიების შიშებს იმისა, რომ ხელისუფლებანი შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ძალაუფლების უზურპაციას და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, გოტალური კონტროლის მეშვეობით ციფრული გოტალიტარიზმის დამყარებას. ამავდროულად, აღნიშნულის საპირისპიროდ არსებობს პოზიტიური მოლოდინი იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საზოგადოება შეძლებს ხელისუფლებათა კონტროლს და ამგვარად დამყარდება ციფრული დემოკრატია. ფორმაციული განვითარების შინაგანი ლოგიკით კაცობრიობა ახალი (უცნობი) ფორმაციის გარიჟრაჟზეა. წარმოდგენილ კვლევაში აღწერილია განვლილი ფორმაციები, გაანალიზებულია ფორმაციული განვითარების ისტორია და ტრანსფორმაციის მექანიზმები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კორელაციას ტექნოლოგიურ პროგრესსა და ღირებულებათა სისტემების ევოლუციას შორის საკაცობრიო ისტორიაში, ცივილიზაციებსა და ფორმაციებში. პირობითი ინდექსებისა და ტრანსფორმაციების რუკების ანალიზის საფუძველზე ნაგარაუდებია კაცობრიობის შემდგომი განვითარების შესაძლო გზები და ახალი (უცნობი) ფორმაციის ზოგადი კონტურები, რაც შემდგომი ჩაღრმავებული კვლევის საგანს წარმოადგენს. წინასწარი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ კაცობრიობა ახალი ფორმაციის გარიჟრაჟზეა, თუმცა მისი მახასიათებლები დაზუსტებას საჭიროებს და ამდენად ახალი ფორმაცია ჯერ "უცნობია". გადაჭრით შეიძლება ითქვას რომ ახალი ფორმაცია წარმოიქმნება არსებული ფორმაციის კრიზისის პირობებში, არსებული გამოწვევების (სოციალური, ტექნოლოგიური, კულტურული) ახალი ტექნოლოგიების და თანამედროვე საკაცობრიო ღირებულებების შესაბამისად.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ტრანსფორმაცია, ფორმაციული განვითარება, ფორმაცია, პირობითი ინდექსი, ენვირონმენტალიზმი, გეოგრაფიული დეტერმინიზმი, ლიბერალური დემოკრატია, ციფრული დიქტატურა, ციფრული დემოკრატია, დიჯიტალიზაცია, გაციფრულება.

Digital Transformation and Prospective of a New (Unknown) Formation

Abstract

Nowadays acceleration of technological progress causes Orwellian anti-utopian fears that authorities will be able to usurp power using modern technologies and establish a new, digital totalitarianism through total control. At the same time, on the contrary, there is a positive expectation that the society will be able to control the authorities using modern technologies and thus establish a digital democracy. By the internal logic of formational development, humanity is at the eve of a new (unknown) formation. The presented research describes the passed formations, analyzes the history of formational development and the mechanisms of transformations. Particular attention is paid to the correlation between technological progress and evolution of value systems through human history, civilizations and formations. Based on the analysis of conditional indexes and transformation maps, there are supposed possible ways of further development of humanity and general contours of new (unknown) formation, which is the subject of further, deeper research. As a preliminary conclusion, it can be said that humanity is at the eve of a new formation, although its characteristics need to be clarified, that's why this new formation is still "unknown". At this moment, as a conclusion definitely it can be said that the new formation will emerge in the conditions of the existing formation crisis, in accordance with new technologies and modern human values.

Keywords: Digital Transformation, Formational Development, Formation, Conditional Index, Environmentalism, Geographical Determinism, Liberal Democracy, Digital Dictatorship, Digital Democracy, Digitalization

ტერმინთა განმარტება:

ციფრული ტრანსფორმაცია - გაციფრულება, დიჯიტალიზაცია

ფორმაცია - ადამიანთა საზოგადოების განვითარების საფეხური, რომელსაც ახასიათებს ეკონომიკურ - სოციალურ - პოლიტიკურ - ტექნოლოგიური ურთიერთქმედებათა გარკვეული სისტემა და ფორმა

პირობითი ინდექსი - რომელიც გულისხმობს შემდგომში რაოდენობრივი მაჩასიათებლების დაზუსტებას, ხოლო მანამდე იქნება გამოყენებული პირობითი ინდექსი სადაც აღნიშვნები 1,2 და 3 არ არის ციფრების პროპორციული

„სახელმწიფო“ სამართალი - აქ იგულისხმება არა ტრადიციულად სამართლის დარგი, არამედ ის გარემოება რომ აბსოლუტიზმის ეპოქაში ხელმწიფოს ანუ ხელმწიფის კარის მიერ განსხვავებული სამართლებრივი ნორმები საყოველთაოა და მოიცავს სახელმწიფოს მთელს ტერიტორიას, განსხვავებით პარალელური კონკურენტული სამართლებრივი სისტემებისგან, მაგალითად „ფეოდალური“ სამართლისგან .

„სამოქალაქო“ სამართალი - აქ იგულისხმება არა ტრადიციულად სამართლის დარგი, არამედ ის გარემოება რომ ინდუსტრიულ ეპოქაში სამართლის წყაროს წარმოადგენენ მოქალაქეები.

ენვირონმენტალიზმი - თეორია, რომლის მიხედვითაც განსხვავებები განპირობებულია გეო-კლიმატური, რელიეფურ-ლანდშაფტური გარემოებებით, რომელიც მოიცავს ასევე ბიომრავალფეროვნების ასპექტებსაც, მათ შორის პოტენციური დომესტიკაციების არსებობას.

გეოგრაფიული დეტერმინიზმი - თეორია, რომლის მიხედვითაც სოციო-კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა განსხვავებები განპირობებულია (დეტერმინებულია) გეოგრაფიული ფაქტორებით, კერძოდ მდებარეობით და მით განპირობებული კლიმატური თუ ლანდშაფტური პირობებით (ტემპერატურა, ტენიანობა, ნიადაგები, ბიომრავალფეროვნება, დომესტიკაციისათვის ხელმისაწვდომი ფლორა და ფაუნა).

ჯინის კოეფიციენტი - საზოგადოდ ითვლება რომ რაც უფრო დაბალია ჯინის კოეფიციენტი, მით უფრო განვითარებულია ქვეყანა სოციალური სამართლიანობის კუთხით, დაბალი ჯინის კოეფიციენტი მიუთითებს სოციალური სამართლიანობის მაღალ დონეს.

წარმოდგენილ სქემაში მითითებულია არაკოეფიციენტის სიდიდე ან სიმცირე არამედ სოციალური სამართლიანობის ხარისხი.

შესავალი

ლიბერალური დემოკრატიის და ჰუმანიზმის, ალტრუიზმის განვითარება მოწინავე ქვეყნებში დღის წესრიგში უფრო და უფრო მწვავედ აყენებს სახელმწიფოს, საზოგადოების და ინდივიდის ურთიერთმიმართების საკითხს. საყოველთაო განათლების და ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ძალას იკრებს ორველისეული ანტიუტოპიები, შიში, იმის თაობაზე რომ ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით ხელისუფლება მოახდენს ძალაუფლების უზურპაციას, თუმცა, ილონ მასკის პოზიტიურ და ასანჯის ნეგატიურ ქეისზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ, საზოგადოებას თავდაცვის მექანიზმების გარდა ტექნოლოგიური ცოდნის მიღების/გენერირების/გამოყენების უპირატესობაც კი აქვს. ილონ მასკის კოსმოსური პროგრამა ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ციფრული ერის არქეტიპის (ილონ მასკი) მიერ კომერციულ საწყისებზე შექმნილი ტექნოლოგიური სერვისი/პროდუქტი დღეს ბევრად უფრო იაფია ვიდრე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ანალოგები.

თუ ერთის მხრივ არსებობს შიში იმისა, რომ სახელმწიფო - „ლევიათიანი“ ციფრული ერის დღევანდელი არქეტიპების წარმატებით შთაგონებული თაობის მიერ, შექმნილი ტექნოლოგიების

გამოყენებით ეცდება ძალაუფლების უზურპაციას და საზოგადოების ტოტალიტარულ კონტროლს, მეორეს მხრივ იღონ მასკის და ასანჯის ქეისები იმის ვარაუდის საშუალებას იძლევა, რომ ციფრული ერის დღევანდელი არქეტიპების წარმატებით შთაგონებული თაობა მის მიერვე შექმნილი ტექნოლოგიებით საზოგადოებას საშუალებას მისცემს ეფექტიანად გააკონტროლოს მთავრობა და არ მისცეს ძალაუფლების უზურპაციის საშუალება როგორც ეს ბელურისის ქეისმა აჩვენა (მართალია ლუკაშენკო დღეს ძალაუფლებას ინარჩუნებს, მაგრამ ის ახერხებს ამას არა თანამედროვე ტექნოლოგიების უპირატესობის, არამედ ქვის ხანისა და შუა საუკუნეების დროინდელი ძალადობრივი მექანიზმების გამოყენებით).

კაცობრიობის ისტორიაზე ფორმაციული განვითარების კუთხით დაკვირვებისას ვლინდება ფორმაციათა მონაცვლეობის შინაგანი ლოგიკა, რომლის მიხედვითაც საზოგადოებათა, კულტურათა და ტექნოლოგიათა მიღწევები აკუმულირდება მოულოდნელ ფორმაციულ ცვლილებებში, ტრანსფორმაციებში, ანუ არსებული ფორმაციის კრიზისის კვალდაკვალ, ახალი ფორმაციების ჩამოყალიბებში. ასე მაგალითად:

კაცობრიობის ისტორია ტრანსფორმაციების კუთხით

ადამიანმა თავისი განვითარების გარიჟრაჟზე ფიზიკური სისუსტეების კომპენსირება შეძლო შეიარაღებით. თავდაპირველად მან გამოიყენა პრიმიტიულ იარაღად ქვა და ჯოხი, რამაც განაპირობა შეიარაღებულთა უპირატესობა და კონკურენცია შეიარაღებაში. კაცობრიობის შემდგომ განვითარებაში შეიძლება მოიაზრდებოდეს სწორედ ტექნოლოგიური პროგრესი, ანუ განვითარების ყოველ ეტაპზე ადამიანი ქმნის უფრო და უფრო რთულ ტექნოლოგიურ იარაღს და რაც უფრო მომაკვდინებელია იარაღი, მით უფრო იზრდება სრული ურთიერთგანადგურების რისკი და მის პარალელურად ჩნდება პოპულაციის დამცავი მორალური ნორმები და ფსიქო-სოციალური ბარიერები. ეს პროცესი თვალნათლივ ჩანს როდესაც ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებული საზოგადოების მიერ შექმნილი იარაღი აღმოჩნდება ცივილიზაციურად ნაკლებ განვითარებული საზოგადოების ხელში.

რთული ფსიქიკური და სოციალური ორგანიზაციის სახეობებს მომაკვდინებელ „შეიარაღებასთან“ (ბრჯალები, კბილები, რქები, ეშვები) ერთად აქვს დამცავი ფსიქო-სოციალური მექანიზმები, კერძოდ: სახეობის შიგნით კონკურენციის პირობებში, მოცემული სახეობის წარმომადგენლები როგორც წესი კმაყოფილებიან თვისტომზე უპირატესობის დემონსტრირებით და არ იყენებენ მათ ხელთარსებულ საშუალებებს კონკურენტების ფიზიკური განდგურებისათვის, უფრო მეტიც შეტაკების დროსაც, როდესაც ერთ-ერთი მოპაექრეთაგანი მარცხდება, გამარჯვებული მას თავს ანებებს.

პრიმატები - არ გამოირჩევიან ბუნებისგან ბოძებული ძლიერი შეიარაღებით, რომლის არქონის კომპენსირებას ახდენენ აგრესიით, სხვადასხვა ხელსაწყოებით (ჯოხი, ქვა) და ინტელექტით. მაგალითად, მამრი შიმპანზეების მესამედი იღუპება თანამოძმეთა ძალადობის შედეგად, ხოლო მეორე მესამედს აღენიშნება მოტეხილობები.

ადამიანის მთავარ იარაღად იქცა წარმოსახვის უნარი, მან არამხოლოდ გამოიყენა ბუნებაში არსებული ქვა და ჯოხი იარაღად, არამედ თავად დაიწყო იარაღის და სულ უფრო და უფრო რთული ხელსაწყოების შექმნა და გარემოზე ზემოქმედება, რომლის საშუალებითაც საბოლოო ანგარიშით დღეს კაცობრიობა მოვიდა ტექნოლოგიურ რევოლუციამდე და ციფრულ ტრანსფორმაციამდე.

ფორმაციების შესახებ

სხვადასხვა საზოგადოებების ისტორიულ თუ თანამედროვე განსხვავებებსა და განვითარების საფეხურებსა თუ ფორმაციებზე საუბრისას, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას რომ ადამიანი როგორც ბიოლოგიური სახეობა ყველაზე ერთფეროვანია გენეტიკური თვალსაზრისით, კენიის ერთ ნაციონალურ პარკში მოხინაძრე რამდენიმე ათას შიმპანზეს მეტი საერთო წინაპარი ჰყავს, ანუ უფრო მაღალი გენეტიკური მრავალფეროვნება გააჩნია, ვიდრე დედამიწაზე მცხოვრებ შვიდ მილიარდ ადამიანს, მთელი რასობრივი თუ კულტურული მრავალფეროვნებით, რომელთაგან დღეს მცხოვრებთ ჰყავთ ნაკლები საერთო წინაპარი, უფრო მეტიც, დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანს ჰყავს

მამრობითი და მდედრობითი სქესის თითო საერთო წინაპარი - „Y ქრომოსომული ადამი“ და „მიტოქონდრიული ევა“. დედამიწაზე ოდესღაც მოხინადრე პოპულაციას შორის მხოლოდ მათი გენეტიკური მემკვიდრეობა შემორჩა კაცობრიობას და გავრცელდა დედამიწაზე. ანთროპოლოგიური, კულტუროლოგიური, სოციოპოლიტიკური თუ სხვა განსხვავებები საზოგადოებათა შორის კი განპირობებულია ენვირონმენტალური ფაქტორებით (კლიმატი ანუ მზისა და წყლის რეჟიმი, ლანდშაფტი, რელიეფი, საკვები რესურსი ანუ ფლორა და ფაუნა, მათ შორის პოტენციური დომესტიკატები), რომელთა შესახებაც ერთობ დამაჯერებლად მსჯელობს ჯარედ დაიმონდი, თუმცა მას ხშირად აკრიტიკებენ გეოგრაფიული დეტერმინიზმისა თუ ენვირონმენტალიზმის გამო.

როგორც აღნიშნული უნივერსალობის, ისე აღნიშნული ენვირონმენტალური განსხვავებების გამოისობით თუ მიუხედავად, კაცობრიობის განვითარებას ერთი მხრივ რეგიონებისგან დამოუკიდებლად აქვს რიგი საერთო ნიშნებისა და მეორეს მხრივ განვითარების განსხვავებული გზები განპირობებული რეგიონალური თავისებურებებით.

აღნიშნული თვალსაზრისით, ჯარედ დაიმონდისგან განსხვავებით, რომელიც უფრო მეტად ფოკუსირებულია კაცობრიობის განვითარების საწყის ეტაპებზე, ფორმაციული განვითარების გეოგრაფიულად დეტერმინებულობაზე ორიენტირებული სახელმწიფოებრიობის ისტორიული თეორია ფოკუსირებულია განვითარების საკუთრივ სახელმწიფოებრივ ეტაპებსა და სახელმწიფოებრიობისა თუ ცივილიზაციის განვითარების განსხვავებულ გზებსა და ზოგად პერსპექტივებზე.

აღნიშნულ კონტექსტში, ძალიან უხეში განზოგადებით, შესაძლებელია გამოიყოს განვითარების შემდეგი უნივერსალური ეტაპები: პრიმიტიული კომუნიზმი, ადრეკლასობრივი სამხედრო დემოკრატია, ადრეკლასობრივი დესპოტია ანუ პროტოფეოდალიზმი. ამ უკანასკნელიდან კი შემდგომი განვითარების განსხვავებული გზები, აღმოსავლური დესპოტია, ანტიკური დემოკრატია და ფეოდალიზმი. თავის მხრივ ამ უკანასკნელის შემდეგი ეტაპები; ანტიკურ დემოკრატიასავით დროსა და სივრცეში ლოკალიზებული აბსოლუტიზმი და პერსპექტივაში გლობალური (გლობალურად გავრცელების პროცესში მყოფი) ლიბერალიზმი.

უფრო დეტალურად ფორმაციული განვითარების თვალსაზრისით კაცობრიობის განვითარება შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოჩინდეს:

1. **პრიმიტიული კომუნიზმი, უკლასო საზოგადოება, ქვის ხანა**, პოპულაციის მაღალი სიმჭიდროვის შემთხვევაში ხოცავენ უცხოებს, შესაძლო კანიბალიზმი. ყველა საზოგადოების განვითარება იწყება პრიმიტიული კომუნის ფორმაციიდან (რომელთა შორისაც შესაძლებელია გამოიყოს ორი ვარიანტი: პოპულაციის დაბალი სიმჭიდროვის რეგიონებში მშვიდი, სტუმართმოყვარე, კაცმოყვარე, უცხოსმოყვარე, გულუბრყვილო და გახსნილი, ხოლო პოპულაციის მაღალი სიმჭიდროვის რეგიონებში ფიცხი, ქსენოფობიური, ეჭვიანი და ჩაკეტილი). აღნიშნულ ფორმაციაში ადამიანები თანაცხოვრობენ გვარებად, ეწევან შემგროვებლობას, სარგებლობენ პრიმიტიული იარაღით, აქვთ ზოგადი წარმოდგენები კეთილსა და ბოროტზე, სამართლიანსა და უსამართლოზე, წარმოდგენა საკუთრებაზე საკმაოდ პირობითია, გვარი წარმოადგენს ერთ დიდი ოჯახს, მისი წევრები როგორც წესი ახლო ნათესავები არიან, წარმოდგენა „ჩვენ“ და „ისინი“ პრევალირებს წარმოდგენაზე „მე“ და „სხვები“, „ჩემი“ და „სხვისი“ ნაცვლად არსებობს „ჩვენი“ და „არავისი“. ტექნოლოგიურად და სოციალურად ეს განვითარების საწყისი საფეხურია, რომელსაც შესაძლებელია პირობითად ეწოდოს ქვის ხანა, თუმცა ზოგან, ცივილიზაციისგან უკიდურესად იზოლირებულ რეგიონებში დღესაც არსებობენ ტომები აღნიშნულ ფორმაციაში, განვითარების აღნიშნულ საფეხურზე, რომლებიც რჩებიან აღნიშნულ საფეხურზე მიუხედავად იმისა რომ ასე თუ ისე ხელი მიუწვდებათ თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვრებზე. აღნიშნულ ფორმაციაში მყოფი გვარ-ტომები, თუ კი ისეთ რეგიონში ცხოვრობენ, რომელიც გამოირჩევა საკვები რესურსების სიმწირითა და პოპულაციის მაღალი სიმჭიდროვით, მაგალითად პაპუა-ახალი გვინეა, პოლინეზია, კარიბის ზღვის კუნძულები, ხშირად უმოწყალოდ ჟლეტენ უცხოტომელებს, ზოგჯერ კი კანიბალიზმსაც არ თავილობენ. ტყვეებს არ იყვანენ, გვარების ერთმანეთზე თავდასხმები და სოფლების ერთიანი ჟლეტა ჩვეულებრივი მოვლენა იყო კოლონიზატორების მისვლის მომენტისთვის.

2. **ადრეკლასობრივი სამხედრო დემოკრატია, პროტოსახელმწიფო, ბელადობა** (არჩევითი ძალაუფლება), სპილენძ-ქვის ხანა, პატრიარქალური მონათმფლობელობის დასაწყისი, ხოცავენ უცხოტომელ მამაკაცებს, იტაცებენ ქალებსა და ბავშვებს. ადრეკლასობრივ სამხედრო დემოკრატიაში პრიმიტიული კომუნიზმიდან გადასვლა ხდება საკვების მოპოვებიდან საკვების წარმოებაზე გადასვლის კვალდაკვალ, რაც ერთის მხრივ განპირობებულია ხელსაყრელი პირობებით (დომესტიკაციზაციისთვის პერსპექტიული მცენარეების ან ცხოველების არსებობა, საწყისი ტექნოლოგიური პროგრესი - ნამგალი და თოხი მაგალითად, პოპულაციის ზრდა) მეორეს მხრივ თავად განაპირობებს პოპულაციის შემდგომ ზრდას და ტექნოლოგიების განვითარებას, პარალელურად ხდება სოციალური სტრუქტურის გართულება, ყალიბდება ადრეკლასობრივი საზოგადოება, ჩნდება ქონებრივი უთანასწორობა, კერძო საკუთრება, „ჩვენის“ და „სხვისის“ პარალელურად ჩნდება „ჩემი“ და „შენი“, „ჩვენ“ და „ისენის“ გარდა ჩნდება „მე“, „ჩემიანები“ და „ჩვენიანები“, ჩნდება ტომი რომელიც შედგება გვარებისგან, თავის მხრივ გვარები იშლებიან, ანუ ერთის მხრივ იზრდებიან, მეორეს მხრივ იყოფიან უფრო მცირე ოჯახებად, გვარი აღარაა დიდი ოჯახი, და არ ცხოვრობს იზოლირებულად სხვა გვარებისგან, კონფლიქტი და კონკურენცია გვარებს შორის ტომის ფარგლებში აჩენს სამართლის და პოლიტიკური სტრუქტურის ჩანასახებს, რათა ტომი არ დაიშალოს და შეძლოს სხვა ტომებთან კონკურენცია, როგორც პოპულაციური ისე საბრძოლო თვალსაზრისით, ჩნდება ისეთი ინსტიტუტები როგორც **ბელადი, უხუცესთა საბჭო, სახალხო კრება**, ჩნდება ადრეკლასობრივი პროტოსახელმწიფო, იწყება ცალკეული პროფესიების გამოყოფა და ავტონომიური განვითარება, ქურუმები, მეომრები, მჭედლები და სხვა, თუმცა მათი ოჯახებიც და შესაძლოა თავად პროფესიის წარმომადგენლებიც ძირითადად საკვების წარმოებით იყვნენ დაკავებული. აქვე ჩნდება პატრიარქალური მონობა, თუ საკვების წარმოების ტექნოლოგია საშუალებას იძლევა რომ ადამიანმა მეტი აწარმოოს ვიდრე მოიხმარს, ასეთ ვითარებაში ტომების ერთმანეთზე თავდასხმები ხდება მეზობლების განადგურების, მათი საქონლის, მიწების და ქალების ხელში ჩაგდების მიზნით, პარადოქსულად ჟღერს მაგრამ, მკვლელობის საშუალებების განვითარებამ გამოიწვია მკვლელობათა შემცირება. ცინიკურად ჟღერს, მაგრამ, მხოლოდ მამაკაცებს დახოცავა ხოლო ქალებსა და ბავშვებს დამონება პროგრესია, სრულ განადგურებასთან შედარებით, მითუმეტეს რომ მონების და თავისუფლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ან რაციონი დიდად არც განსხვავდება. თავის მხრივ დაპყრობილი მიწები და მონები ძირითად წილად ხვდება მოლაშქრეებსა და ბელადებს, რაც ხელს უწყობს მოლაშქრეთა პროფესიონალიზაციის ზრდას, საკვების წარმოებიდან მიწისმფლობელობასა და მოლაშქრეობაზე გადართვას, სამხედრო წოდების ჩასახვას, აგრეთვე ბელადების ავტორიტეტისა და გავლენის ზრდას, უხუცესთა საბჭოს გავლენის შემცირებას.

3. **ადრეკლასობრივი დესპოტია/პროტოფეოდალიზმი, პროტოსახელმწიფო, ბელადების გამეფება (მემკვიდრეობითი ძალაუფლება)**, ბრინჯაოს ხანის დასაწყისი, შესაძლოა დაპყრობილი ტომების დამორჩილება, დამონება მათსავე მიწაზე, ჩნდება სამეფო მონები. ზემოაღნიშნული პროცესის შედეგად ბელადების პოპულარობა, გავლენა და ძალაუფლება მატულობს, უხუცესთა საბჭოს და სახალხო კრების ფუნქციები სულ-უფრო და უფრო რიტუალურ ხასიათს იძენს, ძლევადასილ ბელადებს სხვა ტომების ბელადები ემორჩილებიან, სანაცვლოდ რჩებიან თავის მიწებზე თავისი ტომების მბრძანებლებად და მხოლოდ ხარკით და ლოიალობის დემონსტრირებით იფარგლებიან, ძლევადასილ ბელადებთან ერთად ლაშქრობენ და სხვა ტომებს იმორჩილებენ, ასე ჩნდება ტომთა კავშირები და ასიმეტრიული ფედერაციები, სხვადასხვა რანგის, სტატუსის და გავლენის ბელადებითა და დიდი ბელადის უპირობო ავტორიტეტით, რომელიც აღარაა არჩევითი, ყალიბდება ადრეკლასობრივი დესპოტია ანუ პროტოფეოდალიზმი, **ძალაუფლების ატრიბუტებით**, ფუფუნების საგნებით, რიტუალური ცერემონიებით, რთული ასიმეტრიული იერარქიით ტომებს შორისა და ტომების ფარგლებში გვარებს შორის, პროფესიონალიზაცია მატულობს, ქურუმები და მოლაშქრეები ჩაკეტილ საზოგადოებად ყალიბდებიან, მჭედლები მხოლოდ მჭედლობით არიან დაკავებული. აღნიშნული ფორმაცია არასტაბილურია, არსებობს ძალაუფლება, მაგრამ არ არსებობს მისი ლეგიტიმაციის მექანიზმები, სხვადასხვა რანგის ბელადები დრო და დრო იბრძვიან ავტონომიისა თუ პირველობისთვის, დიდი ბელადები (მეფეები) თანდათან ყველას მონებად განიხილავენ და ცდილობენ დაპყრობილი თუ მოკავშირე ტომების ბელადების მათი ტომებისა და მიწებისგან მოწყვეტას, მათ ადგილას კი თავისი უფრო საიმედო პირების, მოლაშქრეების, მეთაურების, ოჯახისწევრების დამკვიდრებას, აღნიშნული

არასტაბილური ფორმაციიდან კაცობრიობის განვითარების გზები იყოფა ამდენად შემდეგი ფორმაცია სხვადასხვა რეგიონებისა და ეპოქების მიხედვით:

4. **სახელმწიფო** - სახელმწიფოებრიობის განსხვავებული გზებით განვითარებას შესაძლოა რანდომული მიზეზები ჰქონოდა: სადაც დიდმა ბელადებმა შესძლეს მათზე დაქვემდებარებული ბელადების და მოსახლეობის უპირობოდ დამორჩილება ჩამოყალიბდა **აღმოსავლური დესპოტია**; სადაც დაქვემდებარებულმა ბელადებმა შესძლეს მბრძანებლის გაკონტროლება - **ფეოდალიზმი**, ხოლო სადაც ჯერ დაქვემდებარებულმა ბელადებმა მოიშორეს მბრძანებლების ძალაუფლება, მაგრამ შემდგომ თავად დაუთმეს ძალაუფლება თავის მოლაშქრე-არისტოკრატებს, რომლებმაც თავის მხრივ ძალაუფლება დაუთმეს მდიდარ ქვეშევრდომებს, მათ კი ხალხს და არჩევით ინსტიტუტებს - **ანტიკური დემოკრატია**. ეს პროცესი ერთი შეხედვით შემთხვევითობას ჰგავს, თითქოს დამოკიდებულია მონაწილეთა პიროვნულ თვისებებზე, ეშმაკობაზე, გამჭრიახობაზე, შეუპოვრობაზე, დიპლომატიაზე, სისასტიკეზე და სხვა. მაგრამ ტრანსფორმაციის პროცესი, **ადრეკლასობრივი დესპოტია/პროტოფეოდალიზმიდან აღმოსავლურ დესპოტიაში, ანტიკურ დემოკრატიაში თუ ფეოდალიზმში** გადასვლის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია და თაობებს მოიცავს, ამდენად მხოლოდ ლიდერების პიროვნული თვისებებით ვერ აიხსნება, მითუმეტეს რომ შეიმჩნევა ინვირონმენტალური კორელაცია: ექსტრემალური კლიმატის, ცხელი და მშრალი, მეტისმეტად ტენიანი კლიმატის პირობებში ყალიბდება აღმოსავლური დესპოტია, ზომიერად ნოტიო და ზომიერად თბილი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში ანტიკური დემოკრატია, ხოლო ოთხსეზონიანი წლის მქონე ზომიერ სარტყელში, სადაც ზაფხულში თბილა, შემოდგომასა და გაზაფხულზე წვიმს ხოლო ზამთარში თოვს - ფეოდალიზმი,

4.1. **აღმოსავლური დესპოტია** - ცენტრალიზებული რედისტრიბუცია და მარადიული სოციალიზმი, ძალაუფლების საკრალიზაცია (მეფე - ცოცხალი ღმერთი), საყოველთაო იერარქიული მონობა, ბრინჯაოს ხანა, მეფა პროექტები, საირიგაციო ან სადრენაჟო არხების ქსელი, პირამიდები, ხოცავენ მხოლოდ შეიარაღებულ მტრებს ან გაჯიუტებული ქალაქების მოსახლეობას. ცხელი და მშრალი, ან ცხელი და ჭარბტენიანი კლიმატის პირობებში, სადაც ერთის მხრივ ცენტრალიზებული საირიგაციო ან სადრენაჟო სისტემების (არხები, დამბები, ტერასები) მეგამშენებლობები სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს, ხოლო მეორე მხრივ პრიმიტიული მიწადმოქმედებითაც კი მიიღწევა ჭარბმოსავლიანობა, ყალიბდება აღმოსავლური დესპოტია, რომელიც გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით: ცენტრალიზებულ რედისტრიბუცია (ანუ მბრძანებლის კანცელარიაში თავს იყრის მთელი მოსავალი, რომელიც მბრძანებლის კანცელარიის მიერ ნაწილდება მთელს მოსახლეობაზე, ცხადია მხოლოდ ნომინალურად, რეალურად გლეხს მის მიერ მოწეული მოსავლის ის წილი რჩება რაც ეკუთვნის, მაგრამ ფორმალურად ეს მბრძანებლის საჩუქარია); ხდება მბრძანებლის გაღმერთება; მთელი ქვეყანა, მოსახლეობითურთ, მის მიერ მასზე მოწეული მოსავლითურთ, და იერარქიული სისტემის ნებისმიერ საფეხურზე მდგომი მოსამსახურეებითურთ ითვლება მბრძანებლის, ცოცხალი (ამქვეყნიური) ღმერთის საკუთრებად; უუფლებოთა საყოველთაო თანასწორობა თავის უუფლებობაში; ჭარბმოსავლიანობა და რესურსის მობილიზაციის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მბრძანებლის კულტის და სახელმწიფო აპარატის მომსახურებისათვის საჭირო რესურსს ტექნოლოგიური განვითარების გარეშე, ასევე არ ქმნის კერძო ინიციატივის ან კონკურენციის პირობებს, ამდენად ტექნოლოგიები არ ვითარდება, ესაა ბრინჯაოს ხანის ცივილიზაციები, ეგვიპტე, ჩინეთი, მესოპოტამია, ახლოაღმოსავლეთი და ამერიკული ცივილიზაციები. ადმიანები განიხილებიან მონებად და რესურსად, ამდენად მასობრივი ეგზეკუციები შესაძლებელია დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, თუმცა მორჩილების შემთხვევაში ამის აუცილებლობის არარსებობის გამო იშვიათია.

4.2. **ანტიკური დემოკრატია** - პირველი ციკლის მონათმფლობელური კაპიტალიზმი, ძალაუფლების დესაკრალიზაცია (ვინ, რატომ, რისთვის და როგორ უნდა მართოს), თავისუფალი მოქალაქეები და კერძო (არა სამეფო ან სახელმწიფო) მონები, ბრინჯაო და რკინა, ხოცავენ ან მონებად ჰყიდნიან შეიარაღებულ მტრებს ან გაჯიუტებული ქალაქების მოსახლეობას. ზომიერად თბილი და ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის და უსწორმასწორო რელიეფის და მრავალფეროვანი ლანდშაფტის პირობებში, სადაც შესაძლებელია ინდივიდუალური ან ოჯახის ძალებით მიწათმოქმედება და ზომიერად ჭარბი პროდუქტის შექმნა, აღმოსავლეთ მედიტერანიაში ყალიბდება ანტიკური დემოკრატია და ვრცელდება დასავლეთით და ჩრდილო დასავლეთით, და ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით: ბრინჯაოს ხანის საკრალური ძალაუფლების დაკნინებით, ყველას

ბრძოლით ყველას წინააღმდეგ, ძალაუფლების ინსტიტუციონალიზაციით და პროცედურებზე დაქვემდებარებით, საბოლოოდ არჩევითი ინსტიტუტების და კოლეგიალური მმართველობის მრავალნაირი ფორმების დაფუძნებით; კერძო საკუთრებით; ინდივიდუალური (კერძო) მიწათმფლობელობით და მონათმფლობელობით; თავისუფლებით და თანასწორობით (ცხადია აქ არ იგულისხმება მონები, ქალები, უცხოტომელები, მოქალაქეებზეც ეს პრინციპი მეტი ან ნაკლები სისავსით ვრცელდება სხვადასხვადროს სხვადასხვაგან); მეტ-ნაკლებად მასშტაბური პროექტები მოითხოვს მონაწილეთა თანხმობას და ტექნოლოგიურ პროგრესს; რესურსის უკმარისობა მოითხოვს ვაჭრობის განვითარებას და პროფესიონალიზაციის ზრდას; კონკურენცია ხელს უწყობს **ტექნოლოგიების განვითარებას**; დამოკიდებულება სიცოცხლის, საკუთრების, უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ მკვეთრად განსხვავდება მოქალაქეებსა, უცხოტომელებსა და მონების შემთხვევაში, თუმცა ტექნოლოგიების და ცხოვრების ხარისხის ზრდა განაპირობებს ჰუმანიზაციასაც, მაგალითად გარკვეულ ეტაპზე ათენში მონათმფლობელს ეზღუდება მონის მოკვლის და წამების უფლება.

4.3. **ფეოდალიზმი** - უფლებათა და ვალდებულებათა წოდებრივი იერარქია, ძალაუფლების იერარქიულობის საკრალიზაცია (ვინ ვისი ვასალია და ვინ ვისი სუზერენი) ბატონ-ყმობა, რკინა და ფოლადი, ხოცავენ შეიარაღებულ მტრებს ან გაჯიუტებული ქალაქების მოსახლეობას. ოთხსეზონიანი წლის და თოვლიანი ზამთრის პირობებში ყალიბდება ფეოდალიზმი, ერთგვარი კომპრომისი აღმოსავლურ დესპოტიასა და ანტიკურ დემოკრატიას შორის, ძალაუფლება საკრალიზებულია, თუმცა არ არსებობს არც საყოველთაო მონობა, არც საყოველთაო თანასწორობა, არსებობს სტატუსთა, ვალდებულებათა, მოვალეობათა, უფლებათა და პრივილეგიათა წოდებრივი იერარქია, თუმცა იერარქიის მწვერვალზე მდგომის უფლებებიც არაა უსაზღვრო და იერარქიის ძირში მყოფთა უუფლებობაც არაა სრული, ყველას აქვს რაღაც უფლებები და რაღაც შეზღუდვები, არსებობს პირობითი საკუთრება მიწაზე, არსებობს კერძო საკუთრება და კონკურენცია, არსებობს ვაჭრობა და დარგების პროფესიონალიზაცია, თუმცა მოსახლეობის უმეტესობა დაკავებულია ინდივიდუალური ან საოჯახო მიწათმოქმედებით, ხოლო მთავარ რესურსს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწები და მასზე მობინადრე ყმა-გლეხობა, დამოკიდებულება განსხვავებულია როგორც პირადი, ისე სენიორის სტატუსის მიხედვით, ეგზეკუციები განიხილება როგორც ეკონომიკური სანქციები, ანუ მოწინააღმდეგის რესურსის შესამცირებლად და მისი ძალაუფლების შესასუსტებლად, ომის დროს დასაშვებია და გავრცელებული მისი სამფლობელოების აწიოკება, მასობრივი ხოცვა-ჟლეტითურთ, თუმცა ეს მაინც აიხსნება კონკრეტული საჭიროებით, აღნიშნულ პრაქტიკას წერტილი დაესმება მაგდებურგის დაცემის შემდეგ ოცდაათწლიანი ომის დროს.

5. **აბსოლუტიზმი, ცეცხლსასროლი იარაღის ხანა** - მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში აბსოლუტიზმი მოიაზრება როგორც ფეოდალიზმის განვითარების უმაღლესი წერტილი, ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს კლასობრივი ბრძოლის პარადიგმიდან, ერთი შეხედვით ფეოდალიზმშიც და აბსოლუტიზმშიც პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობს არისტოკრატია და მეფე, როგორც უმაღლესი არისტოკრატია. სინამდვილეში კი ფეოდალიზმის მთავარი მახასიათებელია სწორედ მეფის ძალაუფლების შეზღუდვა არისტოკრატების მხრიდან მათ სასრგებლოდ, ხოლო აბსოლუტიზმისა კი არისტოკრატიის მეფის ძალაუფლებისადმი დაქვემდებარება სხვა წოდებების მსგავსად, ფეოდალიზმში მეფე სუზერენია ხოლო არისტოკრატები ვასალები, აბსოლუტიზმში კი მეფე სუვერენია ხოლო არისტოკრატები ქვეშევრდომები, ფეოდალიზმში არისტოკრატებს თავისი იმუნიტეტი და ძალაუფლება აქვთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე, საბაჟო, სასამართლო და სხვა ხოლო აბსოლუტიზმის პირობებში ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე მოქმედებს ერთიანი საბაჟო, სასამართლო, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული სისტემა, ამდენად, მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა (როგორც ფეოდალიზმში ისე აბსოლუტიზმში არისტოკრატები სარგებლობენ პრივილეგიებით) აშკარაა შინაარსობრივი სხვაობა, ამდენად აბსოლუტიზმი სრულიად ახალი, არა უბრალოდ ფეოდალიზმისგან განსხვავებული, არამედ ფეოდალიზმიდან წარმოშობილ მაგრამ მის საპირისპირო ფორმაციას წარმოადგენს, იგი ქმნის **ერი-სახელმწიფოს საფუძველს** და როგორც ნაციონალიზმის ისე სამართლებრივი სახელმწიფოს წინაპირობებს. ცხადია აბსოლუტიზმი ერთბაშად არ დამყარებულა, მას წინ უსწრებდა ხანგრძლივი პროცესი, ფეოდალური არისტოკრატიის ძალაუფლების და გავლენის შესუსტება, რაშიც სამეფო ხელისუფლების მოკავშირედ ქალაქები მოქმედებენ. მიიმე, ძვირადღირებული, მცირერიცხოვანი კავალერიის, მაღალი კვალიფიკაციის მშვილდოსნების და

არბალისტების შესაკავებლად საჭირო გახდა იაფი, მრავალრიცხოვანი მსუბუქი ქვეითი პიკენერების და მუშკეტერების მობილიზება მდებარეობის, აგრეთვე **ტექნოლოგიების განვითარება** არტილერიისთვის, მატერიალური და ფინანსური რესურსის მობილიზება. ყოველივე აღნიშნულისთვის ფასდადუდებული იყო არისტოკრატიათა და პირისპირებული მეფისთვის სწორედ ქალაქების მხარდაჭერა, რომლებშიც იყო ტექნოლოგიები, სახსრები, მოხალისეები და სამობილიზაციო კონტინგენტი, თავის მხრივ ქალაქების, ტექნოლოგიების და განათლების განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა რენესანსმა, პროტესტანტულმა რევოლუციამ (ტერმინი რეფორმაცია მხოლოდ რელიგიურ სფეროში ცვლილებებს გულისხმობს, მაგრამ მე-16-17 სს რეფორმაციის და რელიგიური ომების თანმდევ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებს იმდენად ძირეული ცვლილებები მოჰყვა, რომ რეფორმაციას და მის თანმხლებ პროცესებს პროტესტანტულ რევოლუციას უწოდებენ, თანაც პროტესტანტული რევოლუცია ასახავს არა მხოლოდ პროტესტანტულ, არამედ მთელ დასავლეთ ევროპაში, მათ შორის კათოლიკურ სამყაროში, აგრეთვე ამერიკის კონტინენტზე მომხდარ და შემდგომ დანარჩენ მსოფლიოზე პროექტირებულ ცვლილებებს), და განმანათლებლობამ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია **ოცდაათწლიანი ომი (1618-1648)** კათოლიკურ ლიგასა და პროტესტანტულ ლიგას შორის, ომის მსვლელობისას კათოლიკურმა ლიგამ უკიდურესდ სტრესულ ვითარებაში ოთხდღიანი იერიშის მსვლელობაში აიღო პროტესტანტული ქალაქი მაგდებურგი, რომელშიც მოსახლეობის მხოლოდ 1% გადარჩა ცოცხალი, ამ მოვლენამ შეძრა იმდროინდელი ევროპა, თუმცა გაჭიანურებული ომი სულ უფრო და უფრო მეტად ასასტიკებდა მონაწილე მხარეებსაც და უბრალო მოსახლეობასაც, მაგრამ ამგვარი შეუზღუდავი ეგზეკუცია მაინც შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას რომ ევროპამ ფსკერს მიაღწია, პროტესტანტები ყველგან არცხვენდნენ კათოლიკებს და რაც საინტერესოა კათოლიკებს რცხვენოდათ. მაგდებურგის კატასტროფა საბოლოო ჯამში სამშვიდობო მოლაპარაკებებით დასრულდა და ვესტფალიის ზავის ფარგლებში მონაწილე მხარეები შემდეგ პრინციპებზე შეთანხმდნენ:

- სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპის დამკვიდრება
- ეკლესიის დაქვემდებარება საერო ხელისუფლებას
- საუკუპაციო ჯარის უზრუნველყოფის ტვირთი დააწვა საოკუპაციო სარდლობასა და მის ხელისუფლებას ნაცვლად ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობისა
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე წესრიგის, მშვიდობის, მცხოვრებთა უფლებების და საკუთრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა

ჩამოთვლილთაგან ბოლო ორმა პუნქტმა გამიჯნა ერთმანეთისგან მშვიდობიანი მოსახლეობა და შეიარაღებული ძალები, რაც ჰუმანიზაციის შედეგი იყო ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ შემდგომ ჰუმანიზაციას უკვალავდა გზას. აქვე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც რომ მაგდებურგის ეპიზოდი საზოგადოებრივი განხილვის და ახალი ნორმების დამკვიდრების საფუძველი მხოლოდ რენესანსგამოვლილ ევროპაში შეიძლებოდა გამხდარიყო.

შეჯამების თავსაზრისით შეიძლება ითქვას შემდეგი: ოცდაათწლიანმა ომმა, მაგდებურგის კატასტროფამ და ვესტფალიის ზავმა დაასრულა არა მხოლოდ პროტესტანტულ რევოლუცია, არამედ ახალ ფორმაციაზე გადაიყვანა ევროპა, ფეოდალიზმიდან აბსოლუტიზმში, გზა გაუხსნა განმანათლებლობას, შეაჯამა ჰუმანიზაციის პროცესი და დასაბამი მისცა ჰუმანიზაციის შემდგომ გაღრმავებას და გაფართოვებას, ასევე განაპირობა (სულ მცირე ხელი შეუწყო) სამართლებრივ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, ანუ კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს, რომელიც შემდგომში უფრო დიდი, ღრმა და ფართო თავისუფლების და თანასწორობის საფუძველს შექმნის, ანუ შეამზადებს საფუძველს შემდგომი ლიბერალური დემოკრატიისთვის.

მაგდებურგი ერთ-ერთი იშვიათი ქეისია, რომელშიც ტექტონიკური მუხტი აკუმულირდება და დაგროვილი მომზადებული გარდატეხა უეცრად ხდება, მაგდებურგის გარეშეც ჰუმანიზაცია მოხდებოდა, ალბათ უფრო გვიან და თანდათან მაგრამ მთლიანობაში ჯდება საერთო ლოგიკაში, ტექნოლოგიების განვითარებას კვალდაკვალ მიყვება ჰუმანიზაცია, ურთიერთგანადგურების საშუალებების განვითარება განაპირობებს განადგურების რისკს და შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ თავდაცვის კოლექტიური ინსტინქტის სტიქიური მოქმედებით განაპირობებს დამცავი მექანიზმების გაძლიერებას ანუ მორალურ-ღირებულებითი სისტემის მზარდ ჰუმანიზაციას.

6. **ინდუსტრიული ეპოქა** - (ნაციონალიზმი, ნაციონალური დემოკრატია) აბსოლუტიზმის პირობებში, მთელი სახელმწიფოს მასშტაბით ერთიანი საზღვრების საბაჟო და საგადასახადო

სისტემის, კანონმდებლობის, სასამართლოს, მართლწესრიგის და ადმინისტრირების დამკვიდრებამ უზრუნველყო:

- ეკონომიკური ზრდის დაჩქარება
- ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება
- ეროვნული სახელმწიფოს შექმნა
- სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა

ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის სახელმწიფოს სუვერენიტეტის ეროვნულ სუვერენიტეტად გარდასახვას. ჩნდება ნაციონალიზმი და ნაციონალური დემოკრატია, შიგა წვის ძრავი, ავტომატური იარაღი, დისტანციური კომუნიკაციის საშუალებები და ინდუსტრიული ომი, რომელიც მოითხოვს საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობის ფართო ფენების მობილიზებას შეიარაღებულ ძალებში. ომი აღარ არის სამხედრო კლასის და პროფესიონალების პრივილეგია. რიგით მოქალაქეებს უჭირთ სიკვდილიც და მოკვლაც, საზოგადოებას ზარავს „ინდუსტრიალური ქვეყნის მასობრივი მკვლელობა“. ამგვარად, „ინდუსტრიული ომი“ (უფრო ზუსტად პროტესტი მის მიმართ) გზას უკვალავს პაციფიზმს და ლიბერალიზმს. I მსოფლიო ომიდან დაბრუნებული ქვედა ფენის გამწარებული და შეიარაღებული წარმომადგენლები ქმნიან რევოლუციის საფრთხეს და ითხოვენ დემოკრატიზაციის გაღრმავებას და სოციალური უფლებების უზრუნველყოფას. ღრმავდება ლიბერალიზაციის პროცესი. II მსოფლიო ომის შემდგომ სისტემების დაპირისპირების პირობებში ნაციონალიზმი, ნაციონალური დემოკრატია და ინდუსტრიული კაპიტალიზმი ინარჩუნებს აქტუალობას, თუმცა ბირთვული შეიარაღება, შეიარაღებათა შეჯიბრი და კაცობრიობის სრული ურთიერთგანადგურების საფრთხე „ითხოვს“ ახალი მორალური ღირებულებითი სტანდარტის დამკვიდრებას. **ციფრული ტექნოლოგიების და კომუნიკაციის საშუალებების განვითარებამ**, ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გამოჩენამ, გლობალიზაციამ, სოც. სისტემის კრახმა და გლობალური დაპირისპირების საფრთხის მოხსნამ გაანეიტრალა ნაციონალიზმის და ნაციონალური დემოკრატიის მოთხოვნილება და გააძლიერა ლიბერალიზმის და ლიბერალური დემოკრატიის პოზიციები. კარი გაუხსნა პოსტინდუსტრიულ ეპოქას.

7. **პოსტინდუსტრიული ეპოქა** - (ციფრული ტექნოლოგიები ინდუსტრიულის ნაცვლად, ინდუსტრიის დრიფტი განვითარებადი ქვეყნებისკენ) პოსტინდუსტრიული ეპოქა ჯერ-ჯერობით ლოკალური მოვლენაა, იგი მოიცავს დემოკრატიულ ინდუსტრიულ დასავლეთს, მაშინ როცა განვითარებადი ქვეყნები განიცდიან მზარდ ინდუსტრიალიზაციას. ინდუსტრიული კაპიტალის და ტექნოლოგიების გადადინება ევროპა-ამერიკიდან აზიაში, პირველში უზრუნველყოფს ლიბერალური დემოკრატიის ზრდას, ხოლო მეორეში ინდუსტრიულ განვითარებას და ჩამორჩენილობის დაძლევისას. როგორც ფორმაციებზე საუბრისას აღინიშნა, კაცობრიობის განვითარების გზები გაიყო:

აღმოსავლური დესპოტია, საკრალიზებული ხელისუფლებით, ცენტრალიზებული რედისტრიბუციით და ინკვიზიციური სამართლით არსებითად უცვლელად აგრძელებს არსებობას ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული;

ანტიკური დემოკრატია, კონტროლირებადი ხელისუფლებით, რესპუბლიკური ინსტიტუტებით, პირველი ციკლის მონათმფლობელური კაპიტალიზმით, შეჯიბრებითი სამართლით აღწევს განვითარების მაღალ ტემპსა და დონეს, რომლის შემდგომაც განიცდის კრიზისს, ელინური სამყაროს კრიზისი წარმოშობს მაკედონიის ჰეგემონიას, ელინისტური სამყაროს კრიზისი კი რომისას, ერთიანი რომაული სამყაროს კრიზისი სრულდება დერომანიზაციით ანუ ბარბაროსობით;

ბარბაროსობის წიაღში ყალიბდება ფეოდალიზმი როგორც კომპრომისი აღმოსავლურ დესპოტიასა და ანტიკურ დემოკრატიას შორის, როგორც შუალედი კაპიტალიზმსა (ქალაქებში) და სოციალიზმს (თემებში) შორის, შუალედურობის გამო ფორმაცია არასტაბილურია, ხასიათდება უფლებების ზრდით და უფლებებით მოსარგებლე კლასების გაფართოვებით, რაც საბოლოოდ აისახება რერომანიზაციაში;

რერომანიზაცია მოსდევს რეელინიზაციას, რენესანსი არსებითად ელინურობის აღდგენა იყო, ხოლო განათლებული აბსოლუტიზმი რომის დიდების აღდგენა, რასაც მოსდევს სამართლებრივი სახელმწიფოს და შემდგომ დემოკრატიული პროცედურების და ინსტიტუტებს შექმნა, რაც განაპირობებს ინდუსტრიულ ერაში ლიბერალური დემოკრატიის წარმოქმნას და დასავლეთის გაერთიანებას და გლობალიზაციას.

არსებითად **დასავლური ცივილიზაცია** ანტიკური დემოკრატიის და ფეოდალიზმის შედეგია, ეს არის მეორე ციკლის ინდუსტრიული კაპიტალიზმი, რომელიც ამჟამად ტრანსფორმაციულ კრიზისშია, ანუ მეორე ციკლის ინდუსტრიული კაპიტალიზმი უნდა გადავიდეს მესამე ციკლის ინფორმაციულ კაპიტალიზმში.

აღნიშნული ტრანსფორმაციის შესაძლებლობების და პერსპექტივების გამოსავლენად გასაანალიზებელია დღეს არსებულ სახელმწიფოთა განვითარების რამდენიმე ასპექტი, ტრანსფორმაციების რუკასა და განვითარების ინდექსებზე დაკვირვების მეშვეობით. (იხ. დანართი N1) მოცემულ სქემაში პირობითი აღნიშვნები (H - მაღალი, M - საშუალო, L - დაბალი) ნიშნავს არა საკუთრივ მონაცემს, არამედ საზოგადოების განვითარებულობის პირობით დონეს, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ, სოციო-კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში. ყველა ამ ინდექსის ჯამური შეწონილი ანალიზი იძლევა მოცემული ქვეყნის ახალი ფორმაციისთვის მზაობის ან მოლოდინის შეფასების საშუალებას. (იხ. დანართი N2)

დასკვნა

კაციობრიობის ისტორიის წარმოდგენილ ასპექტში განხილვა ტექნოლოგიური რევოლუციისა და ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში ახალი ფორმაციის პერსპექტივის შეფასების საშუალებას იძლევა.

აღნიშნული ინდექსების მიხედვით ქვეყნები შეიძლება დაიყოს: დემოკრატიული და ტექნოლოგიური, განვითარებადი და ავტორიტარული, ავტორიტარული მაგრამ ტექნოლოგიური, განვითარებადი მაგრამ დემოკრატიული.

ქვეყნების ამგვარი დაყოფა ორი მეცნიერული სიახლის პერსპექტივებს აჩენს:

ერთი - გამოიწვევს თუ არა აზიის ინდუსტრიალიზაცია მის შემდგომ დემოკრატიზაციას და ლიბერალიზაციას, ინდუსტრიული კაპიტალის და ტექნოლოგიების შემდგომ დრიფტს კიდევ უფრო ჩამორჩენილ აფრიკის ქვეყნებში, თუ აზიის ავტორიტარული რეჟიმების შემდგომ გაძლიერებას, საკუთარი ტერიტორიების უფრო მტკიცე კონტროლს და აფრიკის უკვე მათ მიერ ახალ კოლონიზაციას?! მოხდება ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება გლობალურად თუ სისტემათა ახალი დაპირისპირება?!

მეორე - მიდიან თუ არა განვითარებული ქვეყნები ახალ ფორმაციამდე ტექნოლოგიური რევოლუციისა და ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში?!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Jared diamond. Guns, Germs and Steel: The Fates of Human Societies. W.W.Norton and Company, 1997 (20 გამოცემა)
2. Mohammad Salehan, Dan J.Kim, Jae-NamLee. Are there any relationships between technology and cultural values? A country-level trend study of the association between information communication technology and cultural values. Information & Management Volume 55, Issue 6, September 2018, Pages 725-745. <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0378720616302580>
3. Jatinder Kumar Sharma. Culture, Civilization, Values and Human Destiny. ResearchGate 2011. https://www.researchgate.net/publication/284388091_Culture_Civilization_Values_and_Human_Destiny

ქალთა უფლებობა მოთხრობათა წიგნში „მერიემი“

Mariam Marjanishvili

Kutaisi State Historical Museum, Georgia

აბსტრაქტი

ისტორიულად ყველა რელიგიური რწმენა ეჭვქვეშ აყენებდა ქალის ფენომენს და მათ განამტკიცეს აზრი, რომ ბავშვობაში ქალი მამას უნდა ემორჩილებოდეს, მოწიფულობაში - ქმარს, ქმრის სიკვდილის შემდეგ ვაჟიშვილებს. სწორედ, ქალთა ამ უფლებო მდგომარეობაზე მოგვითხრობს ფილოსოფოსს მიხეილ მახარაძის ახლახან გამოსული წიგნი „მერიემი“, რომელშიც ავტორი საუბრობს ქალთა შეზღუდულ მდგომარეობაზე მთიან აჭარაში, სადაც ისლამის მიმდევარი მუსლიმები ცხოვრობენ. ადამიანს აქვს მისწრაფება, რომ დაეფუძნოს თავის ძირს. ეს ძირი ხშირად არის არა მარტო ბიოლოგიური, არამედ ტრადიციული, რაც თავისთავად ისტორიული მემკვიდრეობაა. ამ ხედვიდან გამომდინარე, ალბათ, ამიტომაც აქვს ადამიანს მიდრეკილება ტრადიციების შენარჩუნებისა და დაცვის. მოთხრობა „მერიემი“-ს მთავარი გმირი ნური სამოლიძე ბედისწერას უკავშირებდა თავის უძეობას, რადგან გარდაცვლილი ძმის დანიშნული ჰყავდა ცოლად შერთული და სოფლად გავრცელებული რწმენის შიში - „ძმის საცოლის შემრთველი ვერ იხეირებს“ - მოსვენებას არ აძლევდა. „ბიჭის მემკვიდრედ ჰყოლა, მართალია, „ბოლო ხანებში ეს უწყესო წესი ძალას კარგავდა. თუმცა აქა-იქ მაინც იყო შემორჩენილი. მერიემიც ამ წესის ტყვეობაში იყო და სწორედ ამან გააბედვინა იმ ღამეს ქმრისთვის ეთქვა „ამხანაგი მომიყვანო“... საერთოდ, ისლამში მრავალცოლიანობა მიღებულია. შუამავალსაც ხომ ბევრი ცოლი ჰყავდა. მუსლიმების აზრით ეს იმით აიხსნება, რომ ქალები ჩაგრულები არიან მძიმე შრომით და ამის გამოსწორება მრავალცოლიანობით სურდათ. ნაწარმოების ქვეტექსტებში აშკარად იკვეთება მთავარი პერსონაჟი ქალების მერიემის, ესმასა და დიდხანუმის თავშეწირვის ის მთავარი ფაქტორები, რომლებიც მათ სევდას, ტანჯვას, მწუხარებასა და ტკივილს ადამიანის აქტივობის და სიხარულის საწყისად აქცევს. ხშირად სიხარული კი, როგორც თვით ადამიანი, ვერასდროს აღწევს სრულქმნას. სიხარული თვით ადამიანის მსგავსად მუდმივი, დაუსრულებელი წინსვლაა და იგი მუდამ ბედნიერებისაკენ მიილტვის, მაგრამ ვერასდროს აღწევს მას. ამ ფსიქოლოგიური წიაღსვლებიდან ამოდის მიხეილ მახარაძე თავის მოთხრობაში. რაც შეეხება წიგნში შეტანილ მოთხრობას „მამამთილი და ძაღვები“, მასში დაგმოხილია „მანუს კანონებით“ გამეფებული აზრი, რომ „ქალი არასოდეს უნდა იყოს თავისუფალი მორჩილებისგან.“ ეს ნათქვამი კიდევ უფრო განმტკიცებულია იმ რელიგიური სწავლებებით, რომლებიც ერთხმად აცხადებდნენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებულ როლს. რაც, უპირველესად, იმაში გამოიხატებოდა რომ ქალებს არ ეძლეოდათ საზოგადოებაში სიტყვით გამოსვლის უფლება, რის გამოც დუმილს მიმართავდნენ. ქალთა უფლებრივი შეზღუდვის წინააღმდეგ მიხეილ მახარაძეს ამ მოთხრობაში შემოჰყავს უკვე დაბრძენებული შუახნის მამაკაცი, რომელსაც კარგად აქვს შეფასებული ქალის ღირსება, მისი როლი ოჯახსა თუ საზოგადოების წინსვლაში. ავტორი მსუბუქი იუმორის ფორმით იბრძვის პრივილეგიებულ და აღმატებულ არსებებად აღიარებულ მამაკაცთა მავნე წეს-ჩვეულების წინააღმდეგ.

საკვანძო სიტყვები: ქალის უფლებობა, თავისუფლება, შეზღუდვა, რელიგია, რძალი.

Women's Disenfranchisement in the Book of Short Stories "Meriem"

Abstract

Historically, all religious beliefs have challenged the phenomenon of women, and they have reinforced the idea that in childhood a woman should obey her father, in adulthood - her husband, and then her sons, after her husband's death. It is this woman's unfair situation which the philosopher Mikheil Makharadze describes in his recent book "Meriem", in which the author talks about the women's restrictions in mountainous Adjara inhabited by Muslims following Islam. Man has an aspiration to settle down according to his roots. These roots are often not only biological but traditional, which in itself is a historical heritage. From this point of view, perhaps, this is why people have a tendency to preserve

and follow traditions. Nuri Samolidze, the protagonist of the story "Meriemi", was doomed to be childless, because he married the woman who had been engaged to his deceased brother. The fear of the local belief that "the person who marries his brother's bride cannot be happy" follows him all the time. "It is necessary to have an heir, it is true." Recently, this irregular rule has lost its force. However, here and there it was still preserved. Meriem was also in captivity of this rule and that is why she dared to say to her husband that night, "Bring me a friend". Generally, polygamy is accepted in Islam. The mediator also had many wives. According to Muslims, this is explained by the fact that women are oppressed by hard labor and it was compensated by polygamy. In the subtext of the story, we clearly see the major factors of sacrifice of the main female characters, Maryam, Esma and Didkhanum, which are their sadness, suffering, sorrow and pain as the beginning of human activity and joy. Often joy, even as a human being himself, never reaches perfection. Joy itself, like man himself, is a constant, endless advancement, and he always strives for happiness, but never achieves it. Mikheil Makharadze emerges from these psychological entrails in his story. As for the book's story, "Fathers and Powers," it condemns the "rule of man" law that "a woman should never be free from obedience." This was primarily due to the fact that women were not allowed to speak in public, which led to silence. Against the restriction of women's rights, Mikheil Makharadze introduces in this story an already wise middle-aged man who has a good appreciation of a woman's dignity, her role in the advancement of the family or society. The author fights against the harmful habits of men recognized as privileged and exalted beings in the form of light humor.

Keywords: Woman's rights, freedom, restriction, religion, daughter-in-law.

უძველეს ცივილიზაციის პირობებში ქალი ოჯახის უფროსად ითვლებოდა და ქონებაზე მემკვიდრეობაც მისი ხაზით ვრცელდებოდა. მასვე ჰქონდა უფლება აქტიური მონაწილეობა მიეღო მატერიალურ თუ სოციალურ-ტექნოლოგიების შექმნაშიც.

მას შემდეგ, რაც მატრიარქატის ეპოქა პატრიარქატით შეიცვალა და მახვილის ძალა გაიძლიერდა, რომ ვაჟკაცობა გახდა იგივე, რაც ძალადობაა. მამაკაცთა დომინაციის საზოგადოებებში ყველაფერი, რაც ქალთან იყო ასოცირებული აღიქმებოდა მეორე ხარისხოვნად. ქალებს დროთა განმავლობაში თანდათან ჩამოართვეს მართვის სადავეები და მისი ფუნქციები მხოლოდ საოჯახო საზრუნავით შემოფარგლეს.

შემთხვევითი როდია, რომ მრავალ რელიგიურ სისტემაში ადამიანთა ქომაგი ღმერთი სწორედ მამაკაცის სახით იშვა: იესო, მუჰამედი, ბუდა, კრიშნა.

„მადლობელი ვარ უფალს, რომ შენ მე ქალად არ გამაჩინე“, - იმეორებს ყოველდღიურ ლოცვაში ორთოდოქსი იუდეველი.

„ცოლებო დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს, რამეთუ ქმარი არის ცოლის მბრძანებელი, ვითარცა ქრისტე ეკლესიის“, - გვარიგებს ბიბლია.

„ქმრები ცოლებზე მაღლა დგანან იმიტომ, რომ ალაჰმა უბოძა უპირატესობა პირველთ მეორეებზე“, - გვიმტკიცებს ყურანი. ნათქვამი საკმაოდ დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ რელიგიური სწავლებანი, ერთხმად აცხადებენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებულ როლს.

ქალებს ასევე არათანასწორუფლებიანად მიიჩნევდა ანტიკური ხანის ფილოსოფოსები: არისტოტელე „ქალებს ბუნების შეცდომას უწოდებდა“, ტომა აქვინელი მათ „დაუსრულებელ, მოუმთავრებელ მამრებად იხსენიებს“.

მარადიული დუეტი - ქალი და მამაკაცი - თავის ასახვას პოულობდა მითოლოგიაში, ეპოსში, ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში, ფილოსოფიაში, რელიგიურ სისტემაში, ფოლკლორში და სხვა.

შუა საუკუნეებში იყო მწერლები, რომლებიც მამაკაცებს პრივილეგიებულ და აღმატებულ არსებებად აღიარებდნენ. მხოლოდ მცირე რიცხვი მოაზროვნეების იცავდნენ ქალთა ინტერესებს. გვიანი რენესანსის ნაშრომთა უმეტესობა მაინც ქალთ მოძულე, მიზოგენური ტექსტებია.

ყველა რელიგიური რწმენა ეჭვქვეშ აყენებდა ქალის ფენომენს და მათ განამტკიცეს აზრი, რომ ბავშვობაში ქალი მამას უნდა ემორჩილებოდეს, მოწიფულობაში - ქმარს, ქმრის სიკვდილის შემდეგ ვაჟიშვილებს.

სწორედ, ქალთა ამ უფლებო მდგომარეობაზე მოგვითხრობს ფილოსოფოსს მიხეილ მახარაძის ახლახან გამოსული წიგნი „მერიემი“, რომელშიც ავტორი საუბრობს ქალთა შეზღუდულ მდგომარეობაზე მთიან აჭარაში, სადაც ისლამის მიმდევარი მუსლიმები ცხოვრობენ.

ისტორიულად ისლამის გავრცელება საქართველოში VII-IX საუკუნეებში დაიწყო. მაშინ არაბმა ხალიფმა ჰაბიბ იბნ მასლამა ალ-ფიჰრიმ თბილისის მოსახლეობას მისცა „დაცვის სიგელი“, რომლის მიხედვით ქართველებს ან ისლამი უნდა ეღიარებინათ ან ხარკი გადაეხადათ. ქართველობამ ხარკის გადახდა აირჩია. ინტენსიური ისლამიზაცია ჩვენს ქვეყანაში XVII საუკუნეში დაიწყო და პირველი მუსლიმთა გაერთიანება შეიქმნა თბილისში, დმანისში, ოსმალთა გავლენით შემდეგ აფხაზეთშიც გავრცელდა, ხოლო სამხრეთ საქართველოში ისლამიზაცია ეტაპობრივად ჯერ ლაზეთში, შემდეგ კი ჭოროხისა და აჭარისწყალის ხეობებში განვითარდა.

აქედან მოყოლებული გახდა აჭარლები ისლამის მიმდევრები და სწორედ, ყურანის რწმენით ადათ-წესების რკალში მოქცეულ ქალთა ტვირთსა და ტკივილს გადმოგვცემს ზემოთ აღნიშნულ წიგნში მიხეილ მახარაძე, რომლის მოთხრობები ქალთა უფლებო მდგომარეობაზე შექმნილი ერთი მთლიანი ოდაა.

ამბობენ, ბედნიერება არის სიამოვნება უსინანულოდ. მოთხრობა „მერიემის“ პერსონაჟები ნურის სამოლიძე და მისი მეუღლე მერიემი ერთი შეხედვით ერთმანეთს სიამტკბილობაში შეაბერდნენ, მაგრამ მამაკაცი მაინც უკმაყოფილო იყო ღმერთის განაჩენით: „რა გაძვირდა ამისთანა, ერთი ბიჭიც ჩვენთვისაც რომ ეჩუქებინა ღმერთს. ვბერდები და შველას ვერსაიდან ვხედავ...“

ამ ბოლო დროს ნური უფრო და უფრო წუხდა, რომ გვარის გამგრძელებელი არ ჰყავდა. მერიემიც შეწუხებული იყო ამით და თანაუგრძნობდა კიდევ ქმარს...”

საერთოდ, ქორწინება ადამიანის ყველაზე ძვირფასი განძია, მაშინ, როდესაც მას სულის, გულის, გრძნობის, გემოვნებისა და ხასიათის თანხმობა ახლავს.

სოფელში ნური და მერიემი ბედნიერ წყვილად ითვლებოდა, რადგან „ფეხი შემოდგა თუ არა მერიემმა ნურის ოჯახში, მას შემდეგ ეს ოჯახი რომ იტყვიან სულ წინ მიდიოდა... მერიემი ქმრის ნათესაობის, მეზობლებისა და მთლიანად სოფლის თვალი შეიქმნა. რვა წელიწადში ნურის ოთხი შვილი აჩუქა და ყველა ქალიშვილი. არადა, ამ მხარეში მტკიცედ დამკვიდრებული ისლამური ტრადიციით გვარის გამგრძელებელი ოჯახში აუცილებლად უნდა იყოს. აქ ხომ უბიჭობა ლამის უშვილობას იყო გატოლებული. სწორედ, ამიტომაც ნურისა და მისი ოჯახის კეთილმოსურნენი ხშირად დაიჩივლებდნენ, „რა იქნებოდა ამ ღვთისმოსავ და სიკეთით აღსავსე ქალს ერთი ბიჭი მაინც ჰყოლოდაო“...

ადამიანს აქვს მისწრაფება, რომ დაეფუძნოს თავის ძირს. ეს ძირი ხშირად არის არა მარტო ბიოლოგიური, არამედ ტრადიციული, რაც თავისთავად ისტორიული მემკვიდრეობაა. ამ ხედვიდან გამომდინარე, ალბათ, ამიტომაც აქვს ადამიანს მიდრეკილება ტრადიციების შენარჩუნებისა და დაცვის.

ნური სამოლიძე ბედისწერას უკავშირებდა თავის უძეობას, რადგან გარდაცვლილი ძმის დანიშნული ჰყავდა ცოლად შერთული და სოფლად გავრცელებული რწმენის შიში - „ძმის საცოლის შემრთველი ვერ იხეირებს“ - მოსვენებას არ აძლევდა.

„ბიჭის მემკვიდრედ ჰყოლა, მართალია, „ბოლო ხანებში ეს უწესო წესი ძალას კარგავდა. თუმცა აქა-იქ მაინც იყო შემორჩენილი. მერიემიც ამ წესის ტყვეობაში იყო და სწორედ ამან გააბედვინა იმ ღამეს ქმრისთვის ეთქვა „ამხანაგი მომიყვანეო“...

მეუღლის სიტყვებმა ნურიც ააფორიაქა და „საითაც არ გაიხედა და თუ რამე გაახსენდა ყველგან მერიემსა და მის კეთილ საქმეებს გადააწყდა. ფიქრებში კითხვაც დაუსვა თავის თავს - „რომ დავთანხმდე, მერე გადაიტანს ყველაფერს ამას ქალი?“ .

მიხეილ მახარაძე ორი მოსიყვარულე ადამიანის გულში ჩაბუდებულ უანგარო სიყვარულის სიმფონიას, მხოლოდ დეტალებით გადმოგვცემს. მაგრამ დეტალები ზოგჯერ უფრო მრავლის მთქმელი და მეტყველია.

ავტორს, როგორც ფილოსოფოსსა და ფსიქოლოგს მოთხრობაში შემოაქვს ბევრი ფსიქოლოგიური პასაჟი. რაკი მერიემმა ქმარი დაითანხმა „ამხანაგის მოყვანაზე“, მის განსახორციელებლად მეზობელ

სოფელში ნურის დობილს ესმას მიაშურა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ადრე დაქვრივებული ესმა მათ ჭირსა თუ ლხინს ყველაზე მეტად გაიზიარებდა. ამიტომ მიხეილ მახარაძეს თავის მოთხოვნაში „ოთარაანთ ქვრივის“ ანალოგიური სახე მორიგ პერსონაჟად შემოყავს.

„ოთარაანთ ქვრივი“ ილიას მოთხოვნაში არსებობს, როგორც ქვრივის სულიერი ღირსების მატარებელი ქალი „თევდორეს სიკვდილის მერე ბევრ მამაკაცს რჩებოდა მასზე თვალი, მაგრამ ქვრივმა ქმრის ხსოვნას არ უღალატა. ოჯახს უმამაკაცობა არ დაამჩნია. საკუთარი ხელით ბარავდა, თოხნიდა, მარგლიდა, თესავდა, კრეფდა. მართალია, სოფელში ამბობდნენ - ვის გაუგია დედაკაცის თოხი და ბარი, მაგრამ ქვრივი ამას აინუნშიაც არ აგებდა“.

მსგავსი თვისებების მატარებელია ესმაც: „ესმა 18 წლის დაქვრივდა, ერთადერთი ვაჟი დარჩა მომავლადი ქმრის იმედად. ქმარი საფლავში გაცივებულიც არ იყო, რომ ესმას ხელის მთხოვნელი გამოუჩნდა. მერე და მერე ხელის მთხოვნელები მომრავლდნენ. მისი და ქმრის ნათესავები ამბობდნენ, რომ სჯობს ესმა გათხოვდეს, ვიდრე რაიმე უბედურებას გადაეყრებითო.“

საერთოდ, ისლამში მრავალცოლიანობა მიღებულია. შუამავალსაც ხომ ბევრი ცოლი ჰყავდა. მუსლიმების აზრით ეს იმით აიხსნება, რომ ქალები ჩაგრულები არიან მძიმე შრომით და ამის გამოსწორება მრავალცოლიანობით სურდათ.

ასეა, რომელი ქალიც დაქვრივდებოდა, ხშირად მის ქონებას საფრთხე ემუქრებოდა, ამიტომ შუამავალი მათზე ქორწინდებოდა, რომ ეს ქალები არ დაჩაგრულიყვნენ და ქონება დარჩენოდათ.

ყოველივე ამას სხვანაირად ხედავდა ამ მოთხოვნის ერთ-ერთი პერსონაჟი დაქვრივებული ესმა. ესმას ქმრის „ნამუსის შენახვა“ სხვანაირად ესმოდა, ვიდრე მის კეთილის მსურველთ. ის მტკიცედ იდგა იმ აზრზე, რომ ჩემს დიდ სიყვარულს რაღა შეცვლის და მის დაცვაზე დიდი ბედნიერება რაღა უნდა იყოს“.

სწორედ, ეს ღირსეული ქალი მიიჩნია მერიემმა თავისი მიზნის თანამდგომლად და თანამგრძნობლად.

„ჩემო რძალო, რაღაც ვერ არის ლამაზი საქმე. არ ექნება მას კაი ბოლო. იქნებ რომელიმე ქალიშვილის ბიჭი მოგეყვანათ და გაგეზარდათ, თქვენი სისხლი და ხორცი არ იქნება თუ რა?... ესმას ჭირის დღესავით ეჯავრებოდა ამისთანა საქმეებში გარევა.“

„დასწყევლოს ღმერთმა, ვინც უბიჭობა უშვილობას გაუთანაბრა“, - თავისთვის გაიფიქრა ესმამ.“

„ოთარაანთ ქვრივისაგან“ განსხვავებით ავტორი მოთხოვნაში ესმას მავნე ადათ-წესების მოწინააღმდეგედ და ქალთა ემანსიპაციის მომხრე პერსონაჟად წარმოგვიდგენს. თუმცა იგი ზოგჯერ იძულებულია დათმობაზეც წავიდეს. დახმარებისათვის, ამიტომაც მიაკითხა სოფელში ამ საქმეში მასზე უფრო გამოცდილ ქვრივს დიდხანუმს.

მიხეილ მახარაძეს თავის მოთხოვნაში „მერიემი“ მესამე პერსონაჟად შემოყავს მავნე ტრადიციების მგმობი და ქალთა უფლებების დამცველი დიდხანუმი, რომელიც მის თავზე დატრიალებული „ამხანაგის მოყვანის“ ტრაგიკულ ბედზე მერიემს საშინელი განსაცდელის არიდების მიზნით მოუთხოვს: „მე ჩემი უნდა გითხრა, მერიემ. ბევრ ამნაირ საქმეს მოვსწრებივარ, მაგრამ კეთილი ბოლო არც ერთს არ ჰქონია. რაღა შორს წავიდეთ, განა ჩემი ამხანაგის ხვედრი ამას არ მოწმობს? შვილივით ამოვზარდე ბიჭი, დავასახლე და დავაკარე, არც დედამისის სიკვდილში მიმიძღვის ბრალი. მაგრამ, რაც უფრო გადის დრო, მით უფრო მაწუხებს იმ საცოდავის ხვედრი. იქნებ მე რომ არ დავთანხმებულიყავ ამ საქმეზე, ისიც სხვა ბედს ეწეოდა და ახლაც ცოცხალი იქნებოდა. მართალია, ოჯახს მემკვიდრე დაუტოვა და ამის წყალობით ვართ ახლა ავსებული, მაგრამ... მე ამ ბოლო დროს უფრო ბევრს ვფიქრობ იმაზე, რომ არავისი ოჯახი, არავისი გვარის გაგრძელება არ ღირს ვინმეს სიცოცხლედ. მომკალით და ეს აზრი ამ ბოლო დროს თავიდან აღარ ამოდის“.

დიდხანუმს კარგად ესმოდა დედის კეთილშობილური საზოგადოებრივი როლი და მისი დანიშნულება შვილის აღზდის საქმეში, მაგრამ მსხვერპლის ფასად მისი ჩადენა მაინც უდიდეს დანაშაულად მიაჩნდა: „თუ ამ საქმეში კიდევ ჩავდგები ცოდვაც ჩემი იყოს და მადლიც. ოღონდ ახლა ამ საქმეს კეთილი ბოლო ჰქონდეს და მადლი თქვენთვის დამილოცნია“, - განუცხადა მან მერიემსა და ესმას.

ავტორი დიდხანუმის პორტრეტის სრულყოფისა და მისი უნაყოფობის გადასაფარავად ერთ დეტალს იშველიებს, რითაც ხაზს უსვამს იმას, რომ ქალის უნაყოფობა ყოველგვარ უნაყოფობას არ გულისხმობს:

„ნალოც-ნაკითხი ღვთისმოსავი ქალი ხარ დიდხანუმ, შენი გაშენებული და გამოყვანილი ხილის გემო ვინ არ იცის. დიდხანუმს ეამა ამ თემაზე საუბარი, რითაც ძალიან მოსწონდა თავი და ესმასთან მაშინვე ჩაერთო საუბარში.

- ღმერთს მადლობა, ჩემი ხილის ნერგებს ნეტა სად არ ნახავთ, საქართველოს რომელ კუთხეში და ბევრ საქებასაც ამბობენ.“

საერთოდ, ნაწარმოების ქვეტექსტებში აშკარად იკვეთება მერიემის, ესმასა და დიდხანუმის თავშეწირვის ის მთავარი ფაქტორები, რომლებიც მათ სევდას, ტანჯვას, მწუხარებასა და ტკივილს ადამიანის აქტივობის და სიხარულის საწყისად აქცევს. ხშირად სიხარული კი, როგორც თვით ადამიანი, ვერასდროს აღწევს სრულქმნას. სიხარული თვით ადამიანის მსგავსად მუდმივი, დაუსრულებელი წინსვლაა და იგი მუდამ ბედნიერებისაკენ მიილტვის, მაგრამ ვერასდროს აღწევს მას. ამ ფსიქოლოგიური წიაღსვლებიდან ამოდის მიხეილ მახარაძე თავის მოთხრობაში.

გრძნობათა ჩუმ ჭიდილში მერიემმა აუსრულა მეუღლეს ნანატრი ვაჟის გაჩენის ოცნება. მან თავისი ქალური სევდა მთლიანად დაიმორჩილა. მსხვერპლის ფასად ისტორიულ მუსლიმურ ტრადიციას, ქმრის გაბედნიერებასა და მემკვიდრის გაჩენას დაუზოგავად შესწირა თავი: „...მაგრამ მისთვის ყველაფერმა დაკარგა ფასი და თვალსა და ხელშეა ილეოდა. მალე ლოგინად ჩავარდა ეს ამაყი, პეწიანი ქალი და სხვისი მოსავლელი გახდა. მხოლოდ ერთხელ გაიღიმა, ისიც სიკვდილამდე სამი დღით ადრე, როცა მათი ნანატრი ახალდაბადებული ბიჭი ანახეს. პატარას შუბლზე აკოცა, გაიღიმა და თვალთაგან ცრემლი წამოუვიდა.“

მართალია, მამაკაცს გაუჩნდა ნანატრი ვაჟები და გვარის გამგრძელებლები. და, არც მეორე მეუღლე იყო ავის სათქმელი ქალი, მაგრამ იგი იმდენ სიამოვნებას, კმაყოფილებას, სათნობასა და სინაზეს ვერ პოულობდა მასში, რამდენსაც მერიემის სიხლოვეს. კაცი მერიემის გარეშე მარტო დარჩა და საფლავის მაყურებელს მხოლოდ სიკვდილის მზერა შერჩა.

მოთხრობის ავტორი ნაწარმოებს რიტორიკული კითხვით ამთავრებს: „როდის იყო ნური სამოლიძე, ბედნიერი, როცა ბიჭი შვილი არ ჰყავდა, მაგრამ მერიემთან იყო, თუ, როცა ბიჭები ჰყავდა, მაგრამ მერიემი აღარ იყო მის გვერდით.“

აშკარაა, რომ მერიემის თავშეწირვა სიყვარულის აქტია. იგი გულისხმობს სიხარულს იმისათვის, რომ იგივე ადამიანი თავის სიცოცხლის ერთ, ზოგჯერ უდიდეს ან უკეთეს ნაწილს იმას უთმობს, ვინც მას უყვარს. ამიტომ „თავშეწირვას იანუსის მსგავსად ორი სახე აქვს: ერთი ილიმება, მეორე კი ტირის. იგი იხედება ერთ და იმავე დროს ცრემლების სამყაროსკენ და სიხარულის სამფლობელოსკენ.“

ნური სამოლიძემ კი მერიემის დაკარგვის შემდეგ საკუთარ თავში ისეთი სიმდიდრე, ისეთი სინაზე და ალერსიანობა აღმოაჩინა, ალბათ გაუკვირდა, რომ ასეთი სიყვარული შეძლება... და ავტორი ამით წარმოგვიჩენს ამ მამაკაცის დაფარულ ღირსებას, რომელიც მერიემს ადრევე შეცნობილი ჰქონდა.

რაც შეეხება წიგნში შეტანილ მოთხრობას „მამამთილი და ძაღვები“, მასში დაგმობილია „მანუს კანონებით“ გამეფებული აზრი, რომ „ქალი არასოდეს უნდა იყოს თავისუფალი მორჩილებისგან.“ ეს ნათქვამი კიდევ უფრო განმტკიცებულია იმ რელიგიური სწავლებებით, რომლებიც ერთხმად აცხადებდნენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებულ როლს. რაც, უპირველესად, იმაში გამოიხატებოდა რომ ქალებს არ ეძლეოდათ საზოგადოებაში სიტყვით გამოსვლის უფლება, რის გამოც დუმილს მიმართავდნენ.

ეს მოთხრობა განსაკუთრებით იმითაცაა საინტერესო, რომ მამაკაცების მიერ დამკვიდრებულ მავნე ტრადიციის აღმოსაფხვრელად ხმას იმაღლებს თავად მამაკაცი: „ინუს მახარაძეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა რძლებთან. აქ დამკვიდრებული ტრადიციით რძალი მამამთილს, მაზლებს, უფროს მაზლიშვილებს ხმამაღლა არ ელაპარაკებოდა ან საერთოდ არ ელაპარაკებოდა.“

ინუს მახარაძე კი ახალ რძალს მეორე დღესვე ეტყოდა: „ძაღო არავითარი არ დალაპარაკება და არავითარი ჩურჩულით ლაპარაკი, სხვა მხრივ დამაფასე. ეს იყო მისი კატეგორიული მოთხოვნა, რაც ყველას როდი მოსწონდა...“

ქალთა უფლებრივი შეზღუდვის წინააღმდეგ მიხეილ მახარაძეს მოთხრობაში შემოჰყავს უკვე დაბრძნებული შუახნის მამაკაცი, რომელსაც კარგად აქვს შეფასებული ქალის ღირსება, მისი როლი

ოჯახსა თუ საზოგადოების წინსვლაში. ავტორი მსუბუქი იუმორის ფორმით იბრძვის პრივილეგიებულ და აღმატებულ არსებებად აღიარებულ მამაკაცთა მავნე წეს-ჩვეულების წინააღმდეგ.

„ერთხელ ინუს მახარაძე ახალგაზრდა რძალთან ერთად მთა თეთრობში მიდის. რამაზნის (მარხვის) თვეა... მამამთილის თანმხლები რძალი იხსენებდა, რომ რამაზნიანობის მიუხედავად, ძნელი იყო მჩქეფარე წყაროს წყლებისგან თავის შეკავება. როგორც კი საშუალება მომეცემოდა მაშინვე დავეწაფებოდი ცივ წყალს... როგორც იქნა მიაღწიეს სახლამდე. იფთხის დროც მოსულიყო. მამამთილს თუნგიტ მთის ცივი წყალი მიაერთვეს, მან კი ეს პატივი რძალს გადაულოცა. რძლის უარზე კი ღიმილით აღნიშნა - ჰო, მაგან ჯერ კიდევ სარეკლის ჭალებში მოითავა იფთხარიო.

რა თქმა უნდა სარეკლის ჭალებში მამათილი რძლის მოქმედებებს ამჩნევდა, მაგრამ მისი ჰუმანური ბუნებიდან გამომდინარე, ამას არ იმჩნევდა.“

ნაწარმოების მთავარი გმირი ინუს მახარაძე დარწმუნებული იყო, რომ დრო აუცილებლად მოიტანდა დამკვიდრებულ ტრადიციების გადასინჯვას. ამასთან ერთად ავტორის მიერ საგანგებოდ შემოტანილი ეს ფსიქოლოგიური პასაჟი, კიდევ ერთხელ ამკვიდრებს აზრს რწმენის თავისუფლების აღიარებაზეც.

ცნობილია, რომ სევდა ხშირად წარმოიშვება იმით, რომ ესა თუ ის მოგონება, ან მოგონებათა მთელი ჯგუფი მოსვენებას არ აძლევს ადამიანს: ასეთები არიან მოგონებები ვინმეს დაშორებისა, ან სიკვდილისა, ან კიდევ რომელიმე მარცხისა.

დასასრულ, ზემოთ აღნიშნულ მოთხრობების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ისლამი ადათ-წესების მხრივ ზღუდავს ქალთა უფლებებსა და თავისუფლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარჯანიშვილი, მ. (2008). „ფემინიზმი და პოლიტიკოსი ქალები აშშ-ში“. ქუთაისი.
2. მახარაძე, მ. (2020). „მერიეში“. ბათუმი.

სატელევიზიო ხელოვნების აუდიოვიზუალური ენა და სპეციფიკა

Nino Gelovani

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

აბსტრაქტი

ტერმინი "სატელევიზიო ხელოვნება" თავდაპირველად მიეძღვნა ტელევიზიის, როგორც მხატვრული საქმიანობის სახეობის ანალიზს, მაყურებლის მიერ ტელევიზიის აღქმის სპეციფიკის გაგებას, ასევე გამოხატვის სპეციფიკური საშუალებების ძიებას, გაჩნდა მე-20 საუკუნეში. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ამ სფერომ მიიღო ინტენსიური განვითარება, მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი გავლენა საზოგადოებაში. მან განიცადა მრავალი ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ახალ ტექნიკურ შესაძლებლობებთან, ასევე აუდიოვიზუალური ეკრანული მუშაობის ახალი ესთეტიკის გაჩენასთან, შესაბამისად შეიცვალა მაყურებლის აღქმაც. ყველაფერი, რასაც ტელე ეკრანიდან ვუყურებთ, ქმნის რეალური, დამაჯერებელი მოვლენის შთაბეჭდილებას ყოველდღიური სამყაროდან, რომელშიც ჩვენი საზოგადოება არსებობს და ცხოვრობს. ტელევიზიის ეს თვისება შეიძლება შეეწინააღმდეგოს კინემატოგრაფიული და ლიტერატურული სიუჟეტის ხშირ კონვენციებს. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მედიის ფონზე, ტელევიზიას მეტად აქვს მორგებული ზემოაღნიშნული მახასიათებლები. ნებისმიერი სახის შემოქმედებითი საქმიანობა, ასევე ხელოვნების ნიმუშები სატელევიზიო გადაცემის მომზადების პირობებში გარდაიქმნება ტელეპროდუქტად. ტელევიზიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნდამენტური მახასიათებელია მისი უნარი გააერთიანოს სხვადასხვა ტიპის ხელოვნების ექსპრესიული შესაძლებლობები. ამ თვისებას თეორეტიკოსები უწოდებენ სატელევიზიო სინკრეტიზმს. ეს შერწყმულობა გამოიხატება როგორც ახალი მედიის შესაძლებლობების დამატებით (ფერი, ტექსტი, ხმა, ინტერაქტიულობა), ასევე სატელევიზიო ხელოვნების აუდიოვიზუალური ენის განვითარების სპეციფიკაში, რომელიც იყენებს სხვადასხვა ხელოვნების ექსპრესიულ საშუალებებს სპეციფიკის გავლენის ქვეშ. ეკრანის ნამუშევარი აღარ არის ჩარჩოების თანმიმდევრობა, მას შეიძლება ჰქონდეს უფრო რთული სტრუქტურა, თუ ამას ავტორები მოითხოვენ. კერძოდ, სატელევიზიო ნამუშევარი შეიძლება იყოს მრავალნაწილიანი, არსებობდეს როგორც კომპლექსი, რომელიც მოიცავს ფილმს, ვებსაიტს, პროექციას, ინსტალაციას. ტერმინები „აუდიოვიზუალური ნამუშევარი“ ასახავს ეკრანული ხელოვნების ამჟამინდელი მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტს.

საკვანძო სიტყვები: ტელევიზია, ხელოვნება, მაყურებელი, აუდიოვიზუალური, სპეციფიკა, ეკრანი, მედია.

Audiovisual Language and Specificity of Television Art

Abstract

The term "television art" was originally devoted to the analysis of television as a type of artistic activity, to understanding the specifics of the viewer's perception of television, as well as to the search for specific means of expression, emerged in the 20th century. Today it can be said that this field has received intensive development, significantly expanding its influence in society. It has undergone many changes related to both new technical possibilities and the emergence of new aesthetics of audiovisual screen work, therefore the perception of the audience has also changed. This feature of television may conflict with the frequent conventions of cinematic and literary plot. It should be noted that, compared to other media, television is more suited to the above-mentioned characteristics. Any kind of creative activity, as well as works of art, are transformed into a TV product under the conditions of preparation of a television program. One of the most important fundamental characteristics of television is its ability to combine the expressive possibilities of

different types of art. The theorists call this feature television syncretism. This combination is expressed both in the addition of new media capabilities (color, text, sound, interactivity) and in the specificity of the development of the audiovisual language of television art, which uses the expressive means of various arts under the influence of specificity. The screen work is no longer a sequence of frames, it can have a more complex structure if the authors request it. In particular, a television work can be multi-part, existing as a complex that includes a film, a website, a projection, an installation. The terms "audiovisual work" reflects various aspects of the current state of screen art.

Keywords: television, art, audience, audiovisual, specificity, screen, media

შესავალი

შეიძლება ითქვას, რომ სატელევიზიო ხელოვნება განიცდის ინტენსიურ განვითარებას, შესაბამისად მნიშვნელოვნად გააფართოვა მისი გავლენა საზოგადოებაში. თუმცა დროთა განმავლობაში განიცადა მრავალი ცვლილება, რომლებიც დაკავშირებული იყო როგორც თანამედროვე ტექნიკურ შესაძლებლობებთან, ასევე აუდიოვიზუალური ეკრანული მუშაობის ახალი ესთეტიკის გაჩენასთან. შეიცვალა მაყურებლის აღქმა.

სტატიაში ემპირიული კვლევის საფუძველზე დაყრდნობით გაანალიზებული გვაქვს ტელევიზიის ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის განვითარებისა და სატელევიზიო ხელოვნების თეორიული ექსპლიკაცია, „შავი ყუთის“ ფენომენის შესახებ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად ცალკე არ გამოყოფენ კინოს ან ტელევიზიას, არამედ ეს საეკრანო კულტურა ერთიანად განიხილება, რომლის ისტორიის გაფართოების ძირითად მიზეზს სხვა ფაქტორებთან ერთად წარმოადგენს საყოფაცხოვრებო სტრუქტურების გადაფასება, რასაც მოსდევს ყველა სექტორის საინტეგრაციო პროცესი. ტელევიზიას კინომატოგრაფისგან გამოყოფს რიგი ასპექტები, რაც შეუძლებელია არ აისახოს იმ პრინციპებზე, რასაც ემორჩილება სატელევიზიო საინფორმაციო ორგანიზაციის სტრუქტურა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესთეტიკის, სოციოლოგიის, კულტუროლოგიის საკითხების ძირითადი განსხვავების გარდა განხილული უნდა იქნას დრამატურგიის პრინციპებიც. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს და კარგი შედეგი აქვს ტელევიზიის გარკვეული საკულტო პროდუქტის განხილვას. ამ სტატუსის კანდიდატია სერიალი, რომლის სათავეები, უდავოდ კინომატოგრაფში უნდა ვეძიოთ. ამ პროდუქტმა პოპულარობა „მცირე“ ეკრანზე მალევე ჰპოვა (გელოვანი, 2009:10)

მეთოდი

ინტერდისციპლინური მიმართულების ნებისმიერი ჟანრისა და ისტორიული პერიოდის გათვალისწინებით გავანალიზეთ ის ძირითადი ავტორები, თემები და გამოცემები, რომელთა საშუალებით ისტორიის თხრობისას შესაძლებელი ხდება მისი იმგვარი ინტერპრეტაცია, რომ შეგნებულად წინ წამოიწევა მოვლენათა ნაწილი ისეთად, რომ მიღებული ნარატივი მკითხველის ინტერესებს ემსახურებოდეს. დიდი ყურადღება ეთმობა თვისობრივი კვლევის მეთოდებსაც. სტატიებისა თუ მონოგრაფიების სტრუქტურული ანალიზით შევცადეთ მოვლენათა ახსნას, მათი ბუნებისა და კონტექსტის განსაზღვრას. ნებისმიერი წერილი თუ რეცენზია შეიძლება განვიხილოთ როგორც ცალკეული მოვლენა, თუმცა შეგვიძლია ის უფრო ფართო პროცესის ნაწილად მოვიხილოთ. ნაშრომში განხილული პრობლემური საკითხები, პარალელები და შესაბამისი კონტექსტი, ჩვენი აზრით, წარმოჩენილია იმ მეცნიერთა შრომებში, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ეხებიან ამ საკითხს, რამაც სტატიის ზოგადი ფონი კიდევ უფრო გასაგები გახდა.

შედეგები

ტერმინები: „აუდიოვიზუალური ნამუშევარი“, „ვიბრიდული ნამუშევარი“, „ციფრული გამოსახულება“ ასახავს ეკრანული ხელოვნების ამჟამინდელი მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტს. რთული მასობრივი წარმოდგენა მოიცავს შერეულ აუდიოვიზუალურ ნამუშევრებს, რომლებიც გადის პირდაპირ ეთერში

არა მხოლოდ რედაქტირების დახმარებით, არამედ კომპიუტერული გამოსახულების კომბინაციით კადრის გეომეტრიულ სივრცესთან, ისევე როგორც სივრცის დამატება უშუალოდ მიმდინარე მოქმედებების არენაზე. რამაც, ამავედროულად, მთელი წარმოდგენა შექმნა ძირითადად სატელევიზიო მაუწყებლობისთვის.

ხელოვნების ახალი ფორმის ზოგიერთი მახასიათებლის დადგენის მცდელობისას მივმართავ სატელევიზიო გადაცემების ძალიან სპეციფიკურ ჯგუფს, რომელშიც ტელევიზია რეპროდუცირებს საშემსრულებლო ხელოვნებას ახასიათებს შემდეგი მახასიათებელი, ეს არის მეორეხარისხოვანი შემოქმედება, როდესაც შემსრულებლის შემოქმედებითი ფანტაზია დაკავებულია არა კომპოზიციით, არამედ გააზრებითა და დამუშავებით, რაც შედეგად გვაძლევს ხელოვნების დოკუმენტურ მასალას. მხატვრული და დოკუმენტური გადაცემები ხელოვნების შესახებ ხასიათდება: ანალიტიკურობით, შემოქმედებითი კონცეფციის (მაგრამ არა მხატვრული) ორიგინალურობით, აგრეთვე ინტერპრეტაციისა და იმპროვიზაციის ერთმანეთში გადახლართულობით.

თუ სატელევიზიო შესრულებას შევადარებთ მუსიკოსების, მკითხველების მიერ ხელოვნების ნიმუშების იმპროვიზაციას და ინტერპრეტაციას, რომელთა საშემსრულებლო უნარები ყოველთვის გამოირჩევა მხატვრული შემოქმედებით, ცხადი გახდება, რომ სატელევიზიო იმპროვიზაციაც და ინტერპრეტაციაც არავითარ შემთხვევაში არ არის დამოუკიდებელი მხატვრული შემოქმედების უარყოფა. მხოლოდ უნდა გაითვალისწინეთ, რომ ეს მოითხოვს სრულყოფილ ოსტატობას, ხატოვანი და გამომხატველი საშუალებების მთელი სისტემა, როგორც იმპროვიზირებული ნამუშევარი, "ნდობა", ნაკარნახევი ტელევიზიის ეკრანიდან მაყურებელს ეხმარება სატელევიზიო ხელოვნების ფენომენის გასააზრებლად.

დისკუსია

თანამედროვე დროში, ინფორმაციული საზოგადოების ეპოქაში ფართოდ გავრცელდა ე.წ. აუდიოვიზუალური კულტურა. აუდიოვიზუალური კულტურა (მედია კულტურა ან მედია კულტურა) არის კულტურა, რომელიც დაკავშირებულია გამოსახულების და ხმის ჩაწერისა და გადაცემის თანამედროვე ტექნიკური მეთოდების (კინო, ტელევიზია, ვიდეო, მულტიმედიური სისტემები, ინტერნეტ რესურსები და ა.შ.) პოპულარობას. აუდიოვიზუალური კულტურა არის ახალი კომუნიკაციური პარადიგმა, რომელიც ავსებს ადამიანებს შორის კომუნიკაციის ტრადიციულ ფორმებს - პირდაპირი კომუნიკაციის კულტურას და წერილობით (წიგნის) კულტურას: კაცობრიობის ყველა მიღწევა, ადრე ასახული წერილობით ტექსტებში, იღებს აუდიოვიზუალურ გამოხატულებას - აუდიოვიზუალიზაციას ან ვიზუალიზაციას. ამდენად, ხდება გადასვლა ტექსტის არსებობის წიგნის ფორმიდან ეკრანზე („მოძრავი“, ინტერაქტიული ეკრანი). სემიოტიკურად, აუდიოვიზუალური ტექსტები არის ხმოვანი ანსამბლები, რომლებიც აკავშირებენ ფერწერულ, ხმოვან და ვერბალურ სერიებს.

მედია კულტურა (ხმოვან-ვიზუალურ კომუნიკაციაზე დაფუძნებული) სიტყვიერ-წერილობითი კომუნიკაციის ალტერნატივად გვევლინება. მულტიმედიური ტექნოლოგიების გაჩენასთან ერთად, რომელიც აერთიანებს აკუსტიკურ და ვიზუალურ გარემოს, ხდება გავლენიანი მექანიზმი ნორმების, წეს-ჩვეულებების, ტრადიციებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისა და გადაცემისათვის. საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ თუ როგორ არიან ურთიერთკავშირში მედია და ყოველდღიურ კულტურა.

აუდიოვიზუალური კულტურა, ყალიბდება მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებებით, უფრო სწორედ, ტელევიზიით, ვირტუალური (ინტერნეტ) პროგრამებით, ვიდეოებით. რასაკვირველია, გადაცემები, მესიჯები და ტექსტები, რომლებიც ატარებენ სემანტიკურ და შეფასების ინფორმაციას შემდგომში გარდაიქმნება ყოველდღიურ კულტურაში. აუდიოვიზუალური კულტურა მოქმედებს როგორც შუამავალი, ერთგვარი პრიზმა, რომლის მეშვეობითაც ხდება სხვადასხვა მულტიმედიური არხებითა და წყაროებით შემოსული ინფორმაციის რეფრაქცია, რაც გავლენას ახდენს ერთი ადამიანის დონეზე, მის შინაგან სამყაროზე და მისი ყოველდღიური კულტურის ფორმირებაზე. მედია მოწყობილობების საშუალებით ინფორმაციის გადაცემა ხდება აუდიოვიზუალური კულტურის

დონეზე, ხოლო მისი დამუშავება, გააზრება, გავლენა ინდივიდის ცნობიერებაზე, შინაგან სამყაროზე და რწმენაზე - უკვე ყოველდღიური კულტურის დონეზე.

ტელევიზია, მისი განსაკუთრებული მიუხედავად, არ გახდა მასობრივი კომუნიკაციის უნიკალური სისტემა, თუმცა ორგანულად შეუერთდა საეკრანო კულტურის საერთო „გენიოლოგიურ ხეს.“, რაც ასე არ მოხდა, არა მხოლოდ ტელევიზიისა და კინემატოგრაფიის, არამედ ლიტერატურული ნაწარმოების არაერთგვარი კავშირის გამოც. რა თქმა უნდა, სცენარის შექმნის პრინციპები ძირითადად განსხვავდება ნოველის და რომანის შექმნის პრინციპებისგან. ეს განსაკუთრებით აქტუალურია დღევანდელ დღეს, როცა „სერიოზული კინო“, როგორც მხატვრული, ასევე დოკუმენტური ძირითადად ტელევიზორში ან ინტერნეტში გადის. ეს ტენდენცია ეფუძნება კინოპრაქტიკაში „სერიოზული“ კინოს გასართობი ხასიათის ფილმით ჩანაცვლებას: კინოთეატრების მუდმივი პუბლიკა თანდათანობით ახალგაზრდავდება და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს „ატრაქციონების მონტაჟი“. არც ისე შორსაა ის დღე, როცა მომთხროვნი მაყურებელი დიდ ეკრანს საბოლოოდ მცირე ეკრანით ჩაანაცვლებს. მიუხედავად იმისა, რომ ორიენტაცია ხდება მილიონობით აუდიტორიაზე, ტელევიზიის მასშტაბებმა და ტექნიკურმა შესაძლებლობებმა გამოიწვია განსაკუთრებული ტიპის არხების ფორმირება, რომლებიც გათვლილია უფრო ვიწრო ინტერესების მქონე აუდიტორიაზე, მათ შორის მომთხროვნი აუდიტორიაზე, რაც თანამედროვე ტელევიზიის განუყოფელი ნაწილია. თავდაპირველად ხალხი ტელევიზიას, როგორც ხელოვნების სფეროს, სერიოზულად არ აღიქვამდა.

დღემდე არის წარმოდგენა, რომ ტელევიზია უბრალო პრაქტიკაა, ხოლო კინო - ნამდვილი ხელოვნება, მაგრამ ეს სულაც არაა ასე. ტელევიზია „გაიზარდა“ და დახვეწა ტელე პროდუქტი. ამ ფაქტორებმაც დიდი როლი ითამაშა, რადგან მთელ მსოფლიოში შეინიშნება ტელევიზიის პრაქტიკოსებისა და თეორეტიკოსების დიდი ზრდა, რომლებიც იკვლევენ სატელევიზიო ხელოვნების თეორიის განვითარებას. თანამედროვე სატელევიზიო ნაწარმოების ტრანსფორმაციაში მთავარ როლს კომუნიკაციის შესაძლო არხების ცვლილება თამაშობს. თუ თავდაპირველად გავრცელების ერთადერთი საშუალება იყო ტელევიზია (ტელევიზიები და სატელევიზიო მიმღებები), მოგვიანებით კი საკაბელო ტელევიზია გამოჩნდა, დღეს ეს არის ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ახალ საკომუნიკაციო არხებს აქვთ ინფორმაციის გაცილებით დიდი ნაკადის გადაცემის უნარი, მაყურებელთან უკუკავშირის ორგანიზება. დღეს სატელევიზიო ფილმი, გადაცემა გასცდა ჩვეულებრივ „ფილმს“ და აგრძელებს არსებობას სატელევიზიო ეთერის, ინტერნეტ თემების დისკუსიებში. დღესდღეობით სხვადასხვა შინაარსის და ფორმატის სატელევიზიო პროგრამის ყურება ხელმისაწვდომია ტელეარხის ქსელურ ვერსიაში. ეს ყველაფერი მაყურებელს თანამონაწილეობის და დასწრეფის ეფექტში ჩართავს და მისი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი ხდება. (Gelovani, 2009: 16)

21-ე საუკუნეში ტელევიზიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, ინტერნეტი სულ უფრო მეტ შესაძლებლობას იძენს სატელევიზიო გარემოში დამოუკიდებლად მონაწილეობის მისაღებად. დღეს შეგვიძლია ვისაუბროთ ინტერნეტ ტელევიზიისა და ტრადიციული ტელევიზიის სატელევიზიო წარმოების ფორმების ურთიერთდამოკიდებულებასა და სინთეზზე, წარმოების მეთოდებზე, სამიზნე აუდიტორიის ფოკუსირებაზე. აქედან გამომდინარეობს ორ ფენომენს:

1. ციფრული ტექნოლოგიები, რომლებმაც დააჩქარეს აუდიოვიზუალური მასალის დაფიქსირების, გადაცემის, რედაქტირების პროცესები, ვირტუალური ობიექტების ფართოდ გამოყენება, მათი კომბინაცია ტრადიციულ კრეატიულ მასალასთან და ტექსტური შეტყობინებების წილის გაზრდა. ეს ხელსაწყოები ავტორებს აძლევს ეკრანული ხელოვნების შეუზღუდავი ექსპრესიულ პოტენციალს: ანიმაცია, კინემატოგრაფია, ტელევიზია და სხვა.

2. ქსელური საკომუნიკაციო სისტემები. თანამედროვე კომუნიკაციების, კერძოდ, ორმხრივი და კოლექტიური კომუნიკაციის ინტერაქტიული შესაძლებლობების წყალობით, მაყურებელი შეიძლება იყოს როგორც დამკვირვებელი, ასევე მონაწილე.

ტელევიზიის შესწავლასთან დაკავშირებული ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა თანამედროვე ტერმინოლოგიური საფუძვლის ფორმირებაა. ტექნიკური მოდერნიზაცია, ტელევიზიასთან დაკავშირებული ახალი პროფესიების გაჩენა იწვევს სპეციალიზებული ტერმინების გაჩენას, ძველი ცნებების სიკვდილს. პროფესორმა ვ.ვ.გოროვმა 1995 წელს სცადა შეექმნა ტელევიზიის ტერმინოლოგიური ბაზა, "ტელევიზიის ტერმინოლოგიური ლექსიკონი: ძირითადი ცნებები და

კომენტარები". ნაშრომში ავტორი უამრავ სხვადასხვა განმარტებას განიხილავს, რომლებსაც არ ჰქონდათ ადრე შესაბამისი მნიშვნელობა. თუმცა დღეს, ზოგიერთი ორაზროვანი ტერმინი გაურკვეველი დარჩა და განხილვის საგანია, მაგალითად, „ტელე არხი“ ან „ტელე არხი“, „ტელევიზია“, „ტელემაუწყებლობა“, ასევე შესაძლებელია „სატელევიზიო შოუს“ ინტერპრეტაცია და „სატელევიზიო პროგრამა“. გასული წლების განმავლობაში გამოჩნდა ახალი მნიშვნელოვანი პროფესიული ტერმინები, მაგალითად, „ჯვარედინი პროგრამული სივრცე“, „არხის იდენტურობა“, „ტელევიზია ინტერფეისი“, „სატელევიზიო პროდუქტის/კონტენტის ფორმატი“, „აუდიოვიზუალური ხელოვნება“, რომელსაც აქტიურად იყენებენ სპეციალისტები, მაყურებლისთვის ნაცნობი გახდა და რომლის გამოყენების გარეშე თანამედროვე ტელევიზიაზე საუბარი შეუძლებელია.

ტელევიზიის გამორჩეულმა თვისებებმა, ისევე როგორც სატელევიზიო ეკრანის მუშაობამ, მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ტექნიკური სიახლეების მხრივ, ტელევიზიის ენის განვითარების თეორეტიკოსების ძალისხმევით გამო. ახლა, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ახალ ეტაპზე, რომელიც ხასიათდება იდეის გაფართოებით, თუ რა შეიძლება იყოს სატელევიზიო ხელოვნების ნაწარმოები, მისი ფორმა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ხელოვნების თეორიის სფეროში ახალი პროფესიული ტერმინოლოგიის დანერგვის მნიშვნელოვანი საჭიროებაა. აუცილებელია გავითვალისწინოთ მიმდინარე სატელევიზიო სპეციფიკა, შეცვლილი გამოსახულება, ახალი შემოქმედებითი ინსტრუმენტები. დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა მკვლევარები, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, იცნობენ თანამედროვე ციფრული ინტერაქტიული ტელევიზიის საერთაშორისო პრაქტიკას. ნახევარი საუკუნის წინ, ხელოვნების თეორეტიკოსმა ვ. ს. საპაკმა თქვა: „ტელევიზიის მომავალზე ფიქრი ნიშნავს ფიქრს თანამედროვე ხელოვნების გზებზე, მის ესთეტიკურ პროცესებზე, მის ფიგურულ ენაზე“ (საპაკი, 1963:12/14).

ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ხელოვანის როლის გაგება ტელევიზიაში, რისთვისაც ახალი გარემო, კრეატიული იდეების „კვებითი რაციონი“, რომელშიც, ეკოლუციური პროცესის მსგავსად, არის საზოგადოებისთვის განკუთვნილი შემოქმედებითი პროდუქტის უფრო სიცოცხლისუნარიანი ფორმების შერჩევა. როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე სატელევიზიო წარმოება ასოცირდება ახალი პროფესიების, სპეციალობების გაჩენასთან, როგორც ტექნიკური, ასევე შემოქმედებითი. ტელევიზიაში შეიცვალა შემოქმედებითი მუშაკის სამუშაო პირობები, გაიზარდა სოციალური პასუხისმგებლობის დონე, ასევე ტექნიკური მოთხოვნები. ტელევიზიის, როგორც შემოქმედების სფეროს სპეციფიკური მახასიათებლების იდენტიფიცირების პრობლემის თვისებებს ემატება: „რეპორტაჟობა, ეკლექტიზმი, მოზაიციზმის გამოსახულებები და ნაწარმოების სტრუქტურა, ინტერაქტიულობა, ურთიერთქმედება სატელევიზიო გამოსახულებასა და აღქმის კონტექსტს შორის.

შესაძლებელია ტენდენციების დადგენა, განვითარების ვექტორის პროგნოზირება, მაგრამ ტერმინების დასახელება თითქმის შეუძლებელია. ტელევიზია სულ უფრო და უფრო ჰგავს ქიმიურ კოლბას იქ მოთავსებული კატალიზატორით - ყველა პროცესი, ყველა რეაქცია, ყველა კავშირი ხდება არაპროგნოზირებადი სიჩქარით და თან ახლავს გვერდითი, ხშირად ფეთქებადი ეფექტები. „სატელევიზიო პროვინციის საათი“, თითქოს უკვე მოვიდა. ჩვენ უბრალოდ ვერ შევამჩნიეთ. კითხვა, რომელსაც ტელევიზიის თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები უპირველეს ყოვლისა სვამენ არის: რამდენად შესაბამეა ჩვენს ცხოვრებას სატელევიზიო ხელოვნება მთელი თავისი შეურიგებული წინააღმდეგობებითა და წინააღმდეგობრივი იმიჯით? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გვჭირდება ტელევიზია, როგორიც გვაქვს? და თუ არა, მაშინ ?...

ტელევიზია მრავალი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მას აქვს უზარმაზარი პოტენციალი კულტურული ფასეულობების დაგროვების, შენახვის, წარმოებისა და მაუწყებლობისათვის. ეს არის ყველაზე მასიური და ხელმისაწვდომი არხი სოციალური ნორმების, ტრადიციებისა და ინოვაციების გავრცელებისთვის, სამეცნიერო ცოდნისა და მხატვრული ღირებულებების პოპულარიზაციისთვის. არის მენეჯმენტის კომპლექსური ობიექტი, რომლის ფარგლებშიც მრავალმხრივი და ვიწრო ორიენტირებული საქმიანობა ხორციელდება აუდიოვიზუალური მასალის წარმოებისა და მაუწყებლობისათვის. ამ პროცესის მთავარი ელემენტია მწარმოებელი.

დასკვნა

მე -20 საუკუნე ტელევიზიისა და საზოგადოების ურთიერთქმედების პრობლემებმა, ტელევიზიის გავლენამ აუდიტორიაზე მიიპყრო უცხოელი და ადგილობრივი მეცნიერების ყურადღება სხვადასხვა სფეროდან (სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, პოლიტოლოგია, ლინგვისტიკა). ჩვენი სამეცნიერო კვლევის მიზანი იყო სატელევიზიო ხელოვნების გავლენის არსის გაგება და გააზრება ადამიანთა სამყაროს რწმენაზე, გრძნობებზე, სურათზე, ასევე ტელევიზიის, როგორც ძლიერი სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუტის აღწერა, რომელიც იკავებს კოლოსალურ ადგილს საზოგადოების ცხოვრებაში. ის მრავალმხრივი კულტურული ფენომენია, რომლის ფუნქციები მერყეობს მაღალ ხელოვნებამდე. ამ ფენომენის შესწავლისას ებაგიროვმა ხაზგასმით აღნიშნა: „ტელევიზიის გაანალიზებისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი განმსაზღვრელი მახასიათებლების დაფიქსირება, არამედ მისი განვითარების ტენდენციების მიკვლევა“ (Багиров: 1976, 4-5). ამრიგად, აუდიოვიზუალური და ყოველდღიური კულტურის ცნებებს შორის შედარებითი ანალიზის შემდეგ, ძალიან საინტერესოა ელექტრონული მედიის, უფრო კონკრეტულად კი, ტელევიზიის გავლენის ქვეშ ყოველდღიური ცხოვრების კულტურის მეინსტრიმში მიმდინარე ცვლილებები.

ლიტერატურა:

Багиров Э: 1976, „Телевидение как средство массовой информации и художественная культура.“ М

Багиров Э, Кацев И: 1968, „ Телевидение, XX век, Политика. Искусство“. М

Багиров Э: 1978, „Очерки теории телевидения.“ М

Борецкий Р: 2003, „Телевидение в социально-историческом контексте“, М

Борецкий Р: 1999, „бермудском треугольнике ТВ“, М

Борецкий Р: 2002, „Осторожно, телевидение!“, М

Gelovani N: 2009, „Television and Some Aspects of TV Production“, LAMBERT

Каган М: 1996, „Философия культуры“, М

Егоров В: 1977, „Телевидение и зритель“, М

Fiske J: 2010, „Television culture“, London

დვალიშვილი რ: 1976, „ტელევიზიის ხელოვნება“, „ხელოვნება“

საპაკი ვ: 1963, „ტელევიზია და ჩვენ,“ რიდერი, თსუ

პოლიტიკური დაპირისპირება კაფკასულ კონტექსტში ორჰან ამუქის „თოვლში“

Elene Javelidze

Ilia State University, Georgia

აბსტრაქტი

ორჰან ფამუქის „თოვლში“ (2002) ქალაქი ყარსი გამოსახულია როგორც თურქეთის მიკროკოსმოსი და პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური დაპირისპირების ადგილი. ამ პროვოკაციულ რომანში დეკლარირებული სეკულარიზმის, ნაციონალიზმისა და პოლიტიკური ისლამის ცნებები გამოკვეთილია არსებული სიღარიბის, უმუშევრობის, მკვლელობებისა და თვითმკვლელობების ფონზე. „თოვლის“ უნიკალური გზავნილი მდგომარეობს იმაში, რომ მწერალი არ უჭერს მხარს რომელიმე მხარეს, ისლამისტების პოზიტიურმა გამოსახვამ კრიტიკოსების ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია, (თუ პოსტმოდერნიზმის ესთეტიკას არ იცნობ, „დაიბნევი“). „თოვლი“ არის პოლიტიკური პოსტმოდერნისტული მრავალმრიანი რომანი, რომელიც ორიენტირებულია მულტიკულტარილზმზე, იწვევს მკითხველს დაფიქრდეს როგორც „სხვის“, მარგინალურად „განსხვავებულის“ საკითხებზე, ასევე რადიკალიზმის საფრთხეებზე. „თოვლის“ საჯარო სივრცე მოიცავს მის მონაწილეთა სენსიტიურობას, მეხსიერებას, მისწრაფებებს, შიშებსა და იმედებს. სწორედ ეს გვეხმარება იმის ახსნაში, თუ რატომ აღიქმება „რელიგიის დაბრუნება“ ასე სახიფათოდ თურქეთში. რომანში ისლამისტების პოზიციების გამყარებას ეწინააღმდეგება იაკობინელი სეკულარისტი მსახიობი „თეატრალური გადატრიალებით“, ჩანს, რომ სეკულარისტულ-ნაციონალისტური იდეოლოგია მოუქნელია და მხოლოდ დამსჯელი დისკურსით აგვარებს მარგინალებთან ურთიერთობას. გარდა ამისა, რომანის ესთეტიკურ შრეში გამოიყოფა ლიტერატურის სამივე კატეგორია: ეპოსი (პროზა), ლირიკა და დრამა თითოეულ ჟანრს რომანში თავისი აპოლოგეტი ჰყავს. „თოვლი“ ინტერტექსტუალურად დაკავშირებულია ფრანც კაფკას შემოქმედებასთან. კაფკასთან მიმართების გასაოცარი სიხშირე (უფრო მეტი, ვიდრე სხვა მოდერნისტ მწერლებთან, თუნდაც, პრუსტთან, ჯოისთან ან ბეკეტთან) გასაკვირია, თუ გავითვალისწინებთ, რომ კაფკას პროზას ახასიათებს საკმაოდ განუსაზღვრელი სივრცულ-დროითი კონტინუუმი, ხოლო სიტუაციის აბსურდულობა სრულიად რეალისტური აღწერის რეჟიმებშია მოცემული. სარტრის აზრით, „კაფკას განაცხადი მით უფრო უნივერსალურია, რამდენადაც ღრმად ინდივიდუალურია“. კაფკასული კოშმარი მსჭვალავს ფამუქის რომანს. კაფკას შემოქმედებასთან ალუზია უკვე გამოკვეთილია პოეტ კას სახელში, რომელიც მკითხველს ახსენებს იოზეფ კ.-ს, „პროცესიდან“ და „გოდოლის“ პროტაგონისტ, კ.-ს. სახელი Ka ევფონიურად უკავშირდება თურქულ სიტყვას Kar (თოვლი), Kars (ყარსი) და აყალიბებს რომანის პოეტიკას. მეტ-ნაკლებად მთელ რომანშია გამოვლენილია დუალისტური კავშირი ავტორ ორჰან ფამუქსა და მის „ომონიმურ“ ნარატორ, ორჰანს შორის, მთხრობელ ორჰანსა და მის მოკლულ მეგობარ კას შორის, კაში დამიფრულ კაფკას ჰომოფონურ გმირ, კ.-ს შორის. ყოველი ეს წყვილი შეიძლება გაგებულ იქნას პოტენციური ორმაგობის ნიშნით, ისევე როგორც ეს კორელირებულია კაფკასა და მის პროტაგონისტებს შორის. კაფკამ ცხოვრება დაინახა როგორც უსასრულო განსაცდელი, ფამუქმა ამას „თეატრალური“ პოლიტიკური სისასტიკე დაუმატა.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური დაპირისპირება, თოვლი, ორჰან ფამუქი, რომანი

Political Controversy in a Kafkaesque Context in Orhan Pamuk's "Snow"

Abstract

In the Snow (2002) by Orhan Pamuk the city of Kars is depicted as a microcosm of Turkey and a place of political, cultural and religious conflicts. In this provocative novel, the concepts of secularism, nationalism and political Islam are highlighted against the background of existing poverty, unemployment, murders and suicides. The unique message of "Snow" is that the writer does not support either side. The positive portrayal of Islamists has caused a sort of confusion among critics (if you are not familiar with the aesthetics of postmodernism, you will be "confused"). Snow is a multi-

layered political postmodernist novel focused on multiculturalism, inviting the reader to think about the issues of the "other", the marginally "different", as well as the dangers of radicalism. The public space of *Snow* includes the sensibility, memory, aspirations, fears and hopes of its participants. This helps to explain why the "return of religion" is perceived so dangerously in Turkey. In the novel, the Jacobin secularist actor opposes the strengthening of Islamists' positions with a "theatrical coup", it seems that the secularist-nationalist program is inflexible and resolves the relationship with the marginals only with a punitive discourse. Ideology is inflexible and resolves the relationship with the marginals only with a punitive discourse. In addition, all three main categories of literature are distinguished in the aesthetic layer of the novel: epic (prose), lyric and drama, each genre has its own apologist in the novel. *Snow* is intertextually related to Franz Kafka's oeuvre. The striking frequency of references to Kafka in this endeavor (more so even than to other modernist writers such as Proust, Joyce or Beckett) is surprising, given that Kafka's prose is characterized by a rather indefinite spatio-temporal continuum, the absurdity of the situation is given in completely realistic modes of description. According to Sartre, "Kafka's testimony is all the more universal as it is profoundly singular", Kafkaesque nightmare permeates Pamuk's novel. An allusion to the works of Franz Kafka is already evident in the poet Ka's name, which reminds the reader of Josef K., the protagonist of "The Trial" and the hero of "The Castle", K. The name Ka is euphonically related to the Turkish words Kar (snow) and Kars (city) and thus forms the poetics of the novel. More or less throughout the novel there is a dualistic relationship between the author Orhan Pamuk and his "homonymous" narrator Orhan, between the narrator Orhan and his murdered friend Ka, between Kafka's homophonic hero, K., encoded in Ka. Each of these pairs can be understood as a sign of potential doubles, just as it is correlated between Kafka and his protagonists. Kafka saw life as an endless ordeal, Pamuk added "theatrical" political cruelty to it.

Keywords: Political Controversy, *Snow*, Orhan Pamuk, Novel

შესავალი

„თოვლი“ ორჰან ფამუქის მეშვიდე რომანია, რომელსაც იგი „ჩემს პირველ და უკანასკნელ პოლიტიკურ რომანს“ უწოდებს. „თოვლი“ პოსტმოდერნისტული პოლიფონიური, მრავალშრიანი რომანია, რომელიც მრავალმხრივ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. რომანი მკითხველს ფაქტობრივსა და გამოგონილს შორის დილემის წინაშე აყენებს, რადგან იგი, ერთი მხრივ, ყარსის ქუჩების უაღრესად აუთენტურ გარემოში ხვდება, მეორე მხრივ, წარმოუდგენელ, შოკისმომგვრელ სცენებს ეჯახება. ფამუქის „თოვლი“ გახდა ფართოდ განხილვადი რომანი, იმ მგრძნობიარე პოლიტიკური, სოციალური და თეოლოგიური საკითხების გამო, რომელიც მასში არის წარმოდგენილი. მწერალი რომანში თურქეთის პერიფერიაზე არსებულ გაჭირვებას, უმუშევრობას გვიჩვენებს, მაგრამ „თოვლი“ არ შეიძლება შეფასდეს როგორც სოციალური რომანი. ფამუქი როგორც ჰუმანისტი მწერალი ამ საკითხებზე რეფლექსირებს, მაგრამ რომანის ფორმულა არ არის: *Salus populi suprema lex esto* (დაე, იქცეს ხალხის კეთილდღეობა უმაღლეს კანონად). რომანში განხილული სოციალური, გენდერული, ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური პრობლემები არ ხდის მას პროპაგანდისტულ რომანად, რადგან ამ ტიპის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი პათოსი პოსტმოდერნიზმში არ იზიარებს. მწერალი გვიჩვენებს 1990-იან წლებში თურქეთში ისლამის აღზევებას, თავსაბურავის ტარების უფლებისთვის რელიგიური გოგონების ბრძოლას, თვითმკვლელობებს, გაუხსნელ მკვლელობებს და უჩვეულოდ სასტიკ გადატრიალებას. ორჰან ფამუქის მიზანი ამ რომანში არის სხვადასხვა იდეოლოგიური შეხედულების წარმოჩენა, სადაც ავტორი მხარედ არ არის წარმოდგენილი.

თურქეთის სეკულარული მოდერნიზაციის პროცესი 1923 წელს ქემალ ათათურქის თაოსნობით განახორციელდა. ქვეყნის მოდერნიზაციის ექსკლუზიური ნიმუში დასავლეთი იყო. ამდენად, თურქეთი ერთადერთი ქვეყანა აღმოჩნდა ისლამური სივრციდან, რომელიც დასავლურ მოდელზე იყო სტრუქტურირებული. თურქი სოციოლოგები და პოლიტოლოგები თანხმდებიან, რომ ქვეყნის სეკულარული დაგეგმარება შეგნებულად თავსმოხვეული პროექტი იყო. ქვეყნის მოდერნიზაციის „სოციალურ ინჟინერიას“ ბევრი დეფექტი აღმოაჩნდა (Keyder 1997: 37). ისლამის მარგინალიზაციის მიუხედავად ის დღემდე აღიქმება საფრთხედ ქვეყნის მმართველი ელიტისათვის. ისლამის პოლიტიკური აქტივობა, ზოგადად რელიგიის პოლიტიზაცია მთელ მსოფლიოში, მიუთითებს იმაზე, რომ სეკულარული მოდერნიზაციის მცდელობა სტრუქტურულად განასხვავოს პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების და ინდივიდუალური რწმენის სფეროები და მიუჩინოს ადგილი რელიგიას

არაპოლიტიკურ სივრცეში, პრობლემატურია (Yeğenoğlu 2007). რომანში კონცეპტუალურიად წარმოჩენილია აღმოსავლეთ-დასავლეთის დიქტომია. სემუელ ჰანტინგტონის ხედვით, ცივილიზაციებს შორის განსხვავება ფუნდამენტურია, მათ მიეწინააღმდეგება ისტორია, ენა, კულტურა, ტრადიცია და, რაც მთავარია, რელიგია. ცივილიზაციური ცნობიერების ზრდას აღრმავებს დასავლეთის ორმაგი როლი. დასავლეთი თავისი ძალაუფლებით ეწინააღმდეგება არადასავლურ ქვეყნებს, რომელთაც უფრო მეტი სურვილი, ნება და რესურსი უჩნდებათ თავიანთი სამყარო არადასავლურად ჩამოაყალიბონ (Хантингтон 2016).

ნაწარმოების სიუჟეტი ხაზს უსვამს პრობლემურ სომხურ საკითხსაც. ყარსი მიტოვებული და გაპარტახებულია, მას „სახელმწიფომაც ზურგი აქცია... და ღმერთმაც“ (ფამუქი 2012:35). ყარსი ფუნქციონირებს როგორც თურქეთის მიკროკოსმში, რომელიც სავსეა ოსმალეთის იმპერიის მრავალი კულტურის, რელიგიისა და ეთნოსის ოდესღაც ჰარმონიული თანაარსებობის მოგონებებით. ქალაქის ქრონიკალური წარმოჩენა მას აქცევს თეატრალურ სცენად, სადაც თამაშდება წარსულისა და აწმყოს, კეთილდღეობისა და განადგურების აქტები.

დილემა: სეკულარიზმი თუ ისლამიზმი, ვის მხარეზეა ავტორი?!

„თოვლში“ უმთავრესი ყურადღება გადატანილია ფართო სოციალურ-პოლიტიკურ დაპირისპირებებზე. თხრობა ფოკალიზებულია სეკულარული და ისლამური პოზიციების შეპირისპირებაზე. როგორც სეკულარიზმის, ნაციონალიზმისა და ისლამური აღორძინების ნარატივი „თოვლი“ აღძრავს პოლიტიკურ დებატებსა და დაპირისპირებას სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების კრიტიკოსებს შორის. „თოვლში“ პოლიტიკური ისლამისტების დადებით კონტექსტში წარმოჩენის გამო ფამუქი გააკრიტიკეს და „ამ ჯგუფის მხარდამჭერად“ მოიაზრეს. ფამუქი კი ერთგულია ტოლსტოის ხედვისა: თუნდაც პერსონაჟი ცუდი იყოს, კარგი გახადე! (Feeney, interview: 2004). „ფამუქის მწარე კრიტიკა ხელისუფლების მიმართ თურქეთის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით, სულაც არ შეესაბამება მის ისლამურ კავშირებს ან სიმპათიებს“ (Dağlier 2012: 147). ზოგიერთ კრიტიკოსს ვერ გაურკვევია, ვის მხარეზეა ავტორი?! პასუხი კი ასეთია: პოსტმოდერნიზმის ფუნდამენტური მახასიათებელი არის რელატივიზმი და ტოლერანტობა ყველას მიმართ, დავამატებ, რაც უფრო მარგინალურია, მით უფრო მეტად აინტერესებს ის პოსტმოდერნისტს, თუმცა ზომიერად, იდეალიზაციის გარეშე.

ორჰან ფამუქის მთავარი მიზანი ამ რომანში არ არის მისი იდეოლოგიური შეხედულებების წარმოჩენა, მას აინტერესებს სხვადასხვა პოზიციის მქონე აქტორების ხმების გაჟღერება, თანაბარი დისტანცირება განსხვავებული წრის ხმასა და აზრთან. „თოვლი“ არ არის სახელმძღვანელო რომანი, რომელიც გვთავაზობს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. ის განსხვავდება ტრადიციული პოლიტიკური რომანებისგან და ტრიალებს რეალისტური და პოსტმოდერნული რომანების ელიფსის სივრცეში. ფამუქი განმარტავს, „თქვენ შეგიძლიათ შეხვიდეთ უფრო ჩრდილოვან ადგილებში, სადაც არავინაა მართალი და არავის აქვს უფლება თქვას, რა არის სწორი“ (Star 2004).

რომანის ქარგა

რომანში აღწერილია პროტაგონისტ კას სამდღიანი ვიზიტი ყარსში და თეატრალური გადატრიალება. ოთხი წლის შემდეგ კას მეგობარი, „რომანისტი ორჰანის“ რამდენიმე დღიანი ვიზიტი ფრანკფურტსა და ყარსში, რათა გამოიკვლიოს მისი მეგობარი კას მკვლელობა და პოეტური რვეულის ბედი. კა ყარსში შეიხების, თავსაფრიალი გოგონებისა და პოლიტიკური ისლამის პოზიციებზე დამდგარი ყოფილი კომუნისტების უცხო სამყაროში ხვდება. იგი სტამბოლის შეძლებულ ოჯახში გაზრდილი პოეტია, რომელიც გერმანიაში პოლიტიკურ ემიგრაციაშია, თუმცა უცხოეთში დაკარგულ წერის უნარს ყარსში იბრუნებს. რომანის გმირს, კეთილშობილ, გულწრფელ კას ყარსში ჩასვლისას ისლამის მიმართ მზარდი ინტერესი უჩნდება. ოღონდ მას მიუთითებენ, რომ მისი ღმერთის კონცეფტია არის დასავლური მოდელის, რადგან მას აინტერესებს ინდივიდუალური და არა საზოგადოებრივი გამოცდილება. ორთოდოქსულ რელიგიაში კა დასაყრდენს ვერ პოულობს (მიგელ დე უნამუნოს „აგონიის“ ცნების დარად). „თოვლში“ თეოლოგიის ძირითადი საკითხი პანენთეისტურ ჭრილშია წარმოდგენილი და ტრანსცენდენტულია იმანენტურ სამყაროსთან მიმართებაში, მაგალითად, სხივისა და, განსაკუთრებით, თოვლის ფენომენოლოგია. კა ღვთაებრივს ხედავს მხოლოდ იმაში, რაც მენტალური კონცეფციების მიღმაა. ასევე ათეიზმი როგორც სულიერი დეგრადაციის ნიმუში იგავის სახით არის ჩართული თხრობაში (როგორც კაფკას პროცესში“).

ავტორისა და ტექსტის მიმართების საკითხი: ინტერტექსტულობა

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერტექსტუალურობის ისტორია მჭიდრო კავშირშია ტექსტის თეორიასთან, რომელიც მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბდა. ინტერტექსტის ცნება გაჩნდა მხოლოდ მაშინ, როდესაც დაშვებულ იქნა **ტექსტის ავტონომიის** იდეა. ტექსტმა შეწყვიტა კორელაცია ისტორიასთან და სენტ-ბიოვისეულ „ბიოგრაფიულ ავტორთან“, ავტორის ფსიქოლოგიასთან და ავტორის განზრახვასთან. გამოიკვეთა ნაწარმოებებს შორის ურთიერთქმედებისა და დისკურსების ფენომენი. ინტერტექსტუალულობის თანამედროვე ხედვა პირდაპირ კავშირშია ჟაკ დერიდას „ტექსტის როგორც სამყაროს“ გააზრებასთან და როლან ბარტის „ავტორის სიკვდილთან“. ციტატები, ალუზიები, სხვადასხვა რემინისცენციები აღარ აკავშირებს მხოლოდ ავტორს თავის წინამორბედებთან, მთავარი ტექსტებს შორის ურთიერთობა ხდება. ტექსტუალულობის ფენომენის სპეციფიკური დისკურსი უარყოფს ფსიქოლოგიურ მიდგომას „გადაწერის“ ფენომენისადმი, რომელიც დომინირებდა მანამ, სანამ ითვლებოდა, რომ ტექსტის გარანტი იყო ავტორი, რომელიც აკონტროლებდა ტექსტის პეტეროგლოსიურ მრავალხმიანობას.

ინტერტექსტის თეორია წარმოიშვა ტექსტის ძალიან თანმიმდევრული და მკაცრი კონცეფციის ფარგლებში და ამ კონცეფციამ ღრმად შეცვალა ლიტერატურის ანალიზის მეთოდები. ამრიგად, ინტერტექსტუალულობას უურადღება გადააქვს ნაწარმოებიდან ტექსტზე; ავტორიდან ნებისმიერი სუბიექტის გამონათქვამზე; წყაროებიდან და გავლენებიდან განსხვავებული დისკურსების კორელაციაზე; თანმიმდევრული განვითარებიდან პეტეროგენულ ტექსტამდე, რომელიც ყალიბდება ყველა შესაძლო ფრაგმენტის ნაზავით. „მნიშვნელოვანია არა ცალკეული სიტყვები, ფრაზები ან სხვა ტექსტებიდან ნასესხები ნაწყვეტები, არამედ თავად ტექსტები, რომელთა მთლიანობა ქმნის ლიტერატურულ ველს“ (Женет 1982:76).

ფამუქი პროტაგონისტი კას ასე წარმოგვიდგენს: „მეტად კეთილი და ალაღმართალი ადამიანი გახლდათ და ამ თვისების გამო ჩეხოვის პასიური და პირად ცხოვრებაში წარუმატებელი გმირების მსგავსად, მუდამ სევდიანად გამოიყურებოდა“ (ფამუქი 2012:9). კას პერსონაჟი ხაზგასმულად ჩეხოვისეულია. ჩნდება ბუნებრივი კითხვა: რატომ ირჩევს მწერალი ასეთ პასიურ და უგერგილო გმირს? ვფიქრობთ, რომ სეკულარისტულ-რელიგიური ორი დაპირისპირებული მხარის შეურიგებელი პოზიციის საჩვენებლად საჭირო იყო იმგვარი **პესონაჟი-მედიატორი**, რომელიც თანაბარი ტოლერანტობით მოისმენდა და მიიღებდა ორივე მხარის პოზიციას. მწერალს სწორედ ამგვარი მგრძნობიარე, აპოლიტიკური პროტაგონისტი სჭირდებოდა. უფრო რომ დავაზუსტოთ, მედიატორული პროტაგონისტის რომანის ცენტრში დაყენება ფამუქს აძლევს საშუალებას, **მაქსიმალურად** გამოკვეთოს დაპირისპირებულ მხარეთა იდეოლოგიური პარამეტრები. კა რობერტ მუზილის „უთვისებო კაცსაც“ მოგვაგონებს, რადგან მისი იერსახე ეწინააღმდეგება დასრულებული, საბოლოოდ ჩამოყალიბებული პერსონაჟის კონცეფციას.

ფრანც კაფკას შემოქმედებასთან ინტერტექსტუალური დისკურსი

„თოვლი“ მრავალი ნიშნით არის დაკავშირებული ფრანც კაფკას რომანებთან „პროცესსა“ და „გოდოლთან“. რომანის პროტაგონისტი ჰქვია კა (ავტონიმი ქერიმ ალაქუშოღლუსი). კაფკა „პროცესსა“ და „გოდოლში“ თავის პროტაგონისტებს **კ.** ასოთი მოიხსენიებს. 2002 წელს ჯემ ერჩიესთან ინტერვიუში ფამუქი ამბობს, რომ კა არ არის დაკავშირებული კაფკას ბატონ კ.სთან, მან ამ პერსონაჟს მიანიჭა მსუბუქი კაფკასეული ელფერის პოეტური სახელი. *Kar (თოვლი)* და *Kars (ყარსი)* დამთხვევა (Kaya 2012: 360).

საბანჯის უნივერსიტეტის სიმპოზიუმზე ორჰან ფამუქმა განმარტა: „თოვლის“ სახელწოდების რომანი დავწერე, მისი პროტაგონისტი არის კ. გმირს სახელად კ. რომ დავარქვი, მაშინათვე რაღაცით ვისარგებლე კაფკასგან (...) „პროცესის“ სახელწოდების წიგნის გზავნილს ვაკეთებ და ვამბობ: ახლა რომ გაეცნობით გმირს, ის კაფკას წიგნზე მიუთითებს. ვინც ის წიგნი წაიკითხა, მიხვდება. ჩემი გმირებიც მსგავს სიტუაციაში ვარდებიან“ (Aral 2007:206).

ფაქტია, რომ მწერალი დებს განსაზღვრულ კოდებს ტექსტში, ასე ვთქვათ, ნაღმავს მას, ხშირად თვალსაჩინოდ წარმოადგენს მათ, ზოგჯერ მალავს. ელის ინტელექტუალურ მკითხველს, რომელიც რეაგირებს და რეფლექსირებს დაფარულ კოდებზე. თანაც, გარკვეული მინიშნებები მისთვის ხან

აქტუალურია, ხან არა. ისიც მნიშვნელოვანია, რომ მწერლის ამ დუალისტური გამონათქვამებიდან ნათელია, რომ ტექსტს ავტორისგან დამოუკიდებელი თავისი პირადი, ინდივიდუალური ისტორია აქვს. თუნდაც, Ka, Kar, Kars პოელიფონიაა, რომელიც რომანის პოეტიკას ასე ამშვენებს, მწერალს არ გაუთვალისწინებია. გაუგებარია, რა წყაროებს ეყრდნობა მუშაზე კაია, როცა მიუთითებს, რომ ზოგიერთ წრეში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, „პროცესის“ იოზეფ კ. ძალად გადაიქცა (Kaya 2012: 360). მაქს ბროდისეულ რედაქციაში ეჭვს ვერ შევიტანთ, რადგან ტექსტს ჰქონდა ჩამოყალიბებული „ჩარჩო“ - პირველი და ბოლო თავები. რომანი მთავრდება ასე: „როგორც ძაღლი“ - თქვა მან ისე, თითქოს ეს სირცხვილი მასზე დიდხანს იარსებებდა“. ასეა ეს გერმანულად, ინგლისურად, რუსულად, თურქულადაც: "Bir köpek gibi!" dedi, sanki utanç kendisinden sonra da yaşamalıymışçasına" (Kafka Dava pdf). მხოლოდ ქართულ თარგმანშია „- ძაღლივით დამკლეს, - თქვა კ-მ ისე, თითქოს ეს სირცხვილი მასზე მეტხანს იარსებებდა“ (კაფკა 1992: 101). გარდაიანმა 10 საუკეთესო ბოლო წინადადების ნუსხაში „პროცესის“ ფინალური წინადადება შეიტანა (The Guardian 2009).

კაფკას ორივე რომანი მნიშვნელოვან ეპისტემოლოგიურ პრობლემას გამოკვეთს: „პროცესში“ ყოფიერების აბსურდულობას, სასამართლოს მიერ ადამიანის განადგურებას; „გოდოლში“ იმანენტური დაბალი ეგზისტენციიდან **ჰესტევის** ციხესიმაგრეში არსებულ (საკამათო) მაღალი ყოფიერებისკენ სწრაფვას. „პროცესის“ მეგაპოლისის აღწერებში მკვლევრები პრადის ზოგიერთი ადგილს გამოყოფენ. „გოდოლში“ კი თოვლში ჩაფლული შუა საუკუნეებში ჩარჩენილი სოფელი და უსასრულო თოვლიანი ზამთარია. სწორედ ამ პარამეტრით უკავშირდება „თოვლი“ „გოდოლს“, ყარსიც თოვლის ქალაქია და იქაც არის ციხესიმაგრე და სწრაფვა დასავლეთისაკენ. დევიდ გრემლინგმა საგანგებო წერილი მიუძღნა ამ საკითხის შესწავლას (Gramling 2007).

კაფკას ნაწარმოებებში პრაქტიკულად შეუძლებელია კონკრეტული ფილოსოფიური ან რელიგიური კოდის გამოტანა - თუნდაც ისეთის, რომელიც აღიარებს ქაოსსა და პარადოქსს, როგორც ამას ეგზისტენციალურ აზროვნებაში ვხედავთ. მხოლოდ მოვლენებში ვლინდება სიტუაციის აბსურდულობა. კაფკას შემოქმედებაში იმპლიციტურად არის გადაჯაჭვული რეალისტური და დისტოპიური რომანის თავისებურებები. ამ ორი პლასტის შეჯვარებამ საოცარი ლიტერატურული შედეგი გამოიღო. „პროცესში“ ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს ტრადიციულ თხრობაში, მხოლოდ სასამართლო და მისი კანცელარიები არის იქ, სადაც არ ეგების (ღატაკებით დასახლებული სახლის სხვენში). თუნდაც ყველაზე წარმოდგენელი რამის აღწერისას კაფკა არ იყენებს გამომსახველობის განსაკუთრებულ ხერხს: მაგალითად, ბანკის საკუჭნაოში ეკუთვრის მიერ ორი მცველის გაროზგვის განმეორებადი სცენა, რომელსაც მხოლოდ იოზეფ კ. ხედავს. კაფკას ლიტერატურული სტილი, მისი ენა ყველა სიტუაციაში ერთნაირად მშვიდი, თანმიმდევრულად დეტალური და ნათელია. მაგრამ სწორედ ამ უცნაურობების ორდინალურად ჩვენება ანგრევს რეალობის ჩვეულ სურათს. „თოვლის“ რეალისტური თხრობაც მოიცავს დისტოპიურ ელემენტებს. „კაფკასეული“ სამყარო გულისხმობს „უცნაურ“, „იდუმალ“, „კომმარულ“ გარემოს. ყველა ეს სინონიმი შეიძლება გამოვიყენოთ „თოვლის“ საერთო სურათისა და თემატური რკალის ანალიზისას.

„თოვლის“ პირველივე გვერდზე მწერალი ანალეფსის-პროლეფსის შეჯვარებით მკითხველს უმნიშვნელოვანეს ინტერტექსტუალურ კოდს აწვდის: კას „... ხუთი წლის წინ ფრანკფურტის კაუფჰოფში ნაყიდი თბილი პალტო ეცვა. ახლავ უნდა ითქვას, რომ ყარსში გატარებული დღეების განმავლობაში ეს ფაფუკი და ლამაზი პალტო მისთვის ერთი მხრივ უხერხულობისა და დისკომფორტის, მეორე მხრივ კი იმედის წყარო გახდებოდა“ (ფამუქი 2012:7). რომანში პალტოს მრავალჯერად კონოტაციის გოგოლის „შინელთან“ დაკავშირება ბუნებრივია, მაგრამ კა ხვდება ისეთ აბსურდულ გარემოში, როგორშიც აღმოჩნდა „პროცესის“ პროტაგონისტიც. „პროცესშიც“ ხდება იოზეფ კ-ს პალტოს „განსაკუთრებულობის“ ხაზგასმა: „უკვე ის ფაქტი, რომ მას ხარისხიანი პალტო ეცვა, ამ ქონდრისკაცზე მაღლა აგრძნობინებდა თავს“ (Kafka 2017: 192). ასე რომ „პროცესისა“ და „თოვლის“ ინტერტექსტუალური კავშირი „პალტოს“ ხაზგასმულ კონოტაციაშიც არის გამოკვეთილი.

ფამუქი თხრობას აყალიბებს ისე, რომ პროტაგონისტი კას იდენტიფიკაცია არასტაბილურია, საეჭვოა. ფამუქის რომანების უმეტესობის მსგავსად, „თოვლის“ აგებულება მეტაფიქციურია, ამდენად, ტექსტში მოვლენათა „რეკონსტრუქცია“ ხდება სხვადასხვა აქტორის მონათრობით და მტკიცებულებებით: ფირები, ვიდეოები, რვეულები. მთხრობელი ორჰანი კას შესახებ აგროვებს ინფორმაციას და არასანდო აქტორების ჩვენებაზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნებს. კას პიროვნებაზე სრულყოფილი, ნათელი და

ზუსტი ინფორმაციის მიღება შეგნებულად გართულებული და, საბოლოოდ, დისკრედიტირებულია ავტორის მიერ. რომანში ამბავი ორი ტიპის აუქტორული მთხრობელის შუამავლობით არის გადმოცემული: 1. იმპერსონალური ნაროტორი; 2. პერსონალური: მთხრობელი ორჰანი.

შეიძლება ითქვას, რომ ფამუქმა კაფკასეული შემადრწუნებელი, ფანტასმაგორიული გარემო „თეატრალური გადატრიალებით“ განახორციელა. ფამუქთან გადატრიალებას არა სამხედროები აწუებენ, როგორც ეს თურქეთში მრავალგზის მოხდა, არამედ თეატრალური დასი სუნაი ზაიმის ხელმძღვანელობით. მკითხველის დაბნეულობას ისიც იწვევს, რომ კა საერთოდ არ რეფლექსირებს თეატრის სცენიდან ადამიანების უმოწყალო ხოცვა-ჟლეტაზე. საკვირველია, მაგრამ არც ყარსელები ჩამორჩებიან მას, ისინიც მეტ-ნაკლები ინდიფერენტულობით იღებენ სიტუაციას.

ფამუქის კა გარკვეული თვალსაზრისით გვაგონებს გმირს დოსტოევსკის „იატაკვეშეთის ჩანაწერებიდან“ არა პატივმოყვარებით და აგრესიით არამედ იმით, რომ გაორებული, სასოწარკვეთილია და დოსტოევსკის გმირის ეს უკიდურესი უსასოების ზღვარი, გადაიზრდება უსასრულო კოშმარულ სამყაროდ კაფკასთან, ხოლო ფამუქის კა ვერც კი გაიბრძოლებს, ისე დაიღუპება. საინტერესოა, რომ დოსტოევსკიმ შთააგონა მრავალი ევროპელი ფილოსოფოსი და მწერალი: ნიცშე, ჰაქსლი, თომას მანი, კაფკა, კამიუ, სარტრი და სხვ. სარტრის „გულისრევის“ ანტუან როკენტინი და კამიუს „უცხო“ მერსო ატარებენ მარტოობის, მოუსვენრობის, სიცარიელის და ინდივიდუალიზმის ტვირთს სამყაროში ღმერთის გარეშე. ფამუქის კა წერს ლექსებს: „ადგილი, სადაც ალაჰი არ არსებობს“, „თვითმკვლელობა და ძალაუფლება“, „ადგილი, სადაც სამყარო მთავრდება“. კაფკას „პროცესი“, „გოდოლი“, „მეტამორფოზა“, „გამოსასწორებელ კოლონიასში“, „ნორა“ ადამიანის ხვედრის უკიდურესად გავრცობილი მეტაფორებია. საინტერესოა, რომ მეტაფორა კაფკას შემოქმედებაში მხატვრული რეალობა ხდება: „გამოუთქმელის გამოხატვა, აუხსნელის გამოთქმა“ (ფრანც კაფკას წერილი მილენას).

ამრიგად, ტექსტებსშორისი ურთიერთობა გვიჩვენებს, რამდენად ერთგვაროვანია ან განსხვავებულია წერის სტილი და დისკურსი; ინტერტექსტის აღმოჩენა ცხადყოფს მწერლობის სპეციფიკურ „აღქმის“ ერთმანეთთან დააკავშიროს სხვადასხვა ნაწარმოების კოდები. თხრობის რეფერენციალური ბუნება ეფუძნება არა მხოლოდ ავტორის პირად გამოცდილებას, არამედ გულისხმობს მის იმპლიციტურ მკითხველსაც.

ინტერტექსტუალობის თეორიული ბაზა საერთოდ უარყოფს ავტორის როგორც ტექსტის შემოქმედის მიმართ ინტერესს. ეს არის ავტორის კონცეფციის სრული გაუფასურება, რადგან ტექსტის თეორიას არ სურს ავტორის განზრახვის გათვალისწინება. ამ თეორიისთვის არ აქვს მნიშვნელობა კონკრეტულად რისი თქმა სურს ავტორს, როცა ეყრდნობა ამა თუ იმ ტექსტს. ოღონდ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ციტატები და ალუზიები, **არის ავტორის მიერ გამოყენებული სემანტიკური კოდები მკითხველთან ინტერაქციისთვის და ექვემდებარება გათვლილ სტრატეგიას.** შესაძლებელია, თუ არა, მაგალითად, გავიგოთ კლასიკური ნაწარმოების ახალ ტექსტში ჩართვის ხარისხი, თუ არ გავითვალისწინებთ სემანტიკურ სტრატეგიას, რომელიც ამას საფუძვლად უდევს?! ჩვენ ვხედავთ, რომ ფამუქის მიერ დოსტოევსკის „ეშმაკების“ ინტერტექსტუალური ჩართვა „თოვლში“ არ შემოიფარგლება პროტაგონისტების, მათი იდეების, ხმების ანონიმური შერევით. პირიქით, ეს არის ლიტერატურული და რიტორიკული მასალის გააზრებული გამოყენება. ამ სტატიაში „ეშმაკებისა“ და „თოვლის“ ინტერტექსტუალურ კავშირს არ განვიხილავთ, მაგრამ განვმარტავთ, რომ რომანის უმნიშვნელოვანესი ინტერტექსტი არის დოსტოევსკის „ეშმაკები“.

ფამუქის პოსტმოდერნიზმი მთელი თავისი მრავალფეროვნებით ეწინააღმდეგება მხატვრული შემოქმედების ფუნდამენტურ მახასიათებელს, „ორგანულ მთლიანობას“. ის თანმიმდევრულია ერთ საკითხში: ავტორის დამოკიდებულებაში საკუთარი ტექსტისადმი და, ზოგადად, მხატვრული სამყაროსადმი. ეს დამოკიდებულება საერთოდ არ იძლევა რაიმე პათოსის საშუალებას (კრიტიკის, აღტაცების და ა.შ.). პოსტმოდერნიზმის ონტოლოგია შორსაა კლასიკური ტელეოლოგიისგან, რეალობის ინტერპრეტაციის ძირითადი ხერხი დისკურსი ხდება (ლიოტარი). პოსტმოდერნიზმი ასახავს „ფრაგმენტული სუბიექტის“ სამყაროს უსასრულობასთან მიმართებას. ტექსტი მრავალგანზომილებიანი და მოძრავია, ემყარება შემოქმედებით მეთოდს, რომელიც ერთი ესთეტიკის მეორეში დეკოდირებას ეწევა, „წმინდა ესთეტიკურად“ წარმოაჩენს არაესთეტიკურს (მაგალითად, კომიკური ტკბობა რეკლამებით, საპნის ოპერებით, რაც რომანში ფართოდ არის წარმოდგენილი.

„თოვლში“ სასტიკი მოძალადებიც კი უყურებენ „მარიანას“ ტელევიზორში). „პოსტმოდერნული ლიტერატურის სურათი მუტაციას განიცდის. ზოგიერთ ტექსტში ის იწყებს პარალელურობის ჩვენებას სამომხმარებლო საზოგადოების მედია-პოპ-გამოსახულებასთან, (...) ზოგან სტერეოტიპებთან და კლიშეებთან ინტეგრირებულ ფეტიშ ობიექტებად იქცევა“ (Ecevit 2001:75). მსგავს ტექნიკას ვხედავთ უკვე დოს პასოსთან, იგი რომანს ამდიდრებს „ქრონიკით“, რომელიც შედგება გაზეთების სათაურების, პოპულარული სიმღერების, სარეკლამო ტექსტებისა და ცნობილი ამერიკელების მოკლე „ბიოგრაფიებისგან“. როგორც „ქრონიკა“, ისე „ბიოგრაფიები“ დოკუმენტურ მნიშვნელობას ანიჭებს დოს პასოსის რომანებს. ამ ტექნიკას იყენებს ფამუქიც, კოკა-კოლა, სხვადასხვა ფირმის მანქანები, მოწყობილობები, კინო ინდუსტრიის, მასობრივი კულტურის ყველა ელემენტი რომანს დოკუმენტულ სიცხადეს ანიჭებს.

გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი პოსტმოდერნისტული ტექსტის წაკითხვა ნიშნავს მასში მონაწილეობას, მის მიმართ ყოველგვარი პრეტენზიების გაუქმებას, მისი ობიექტებისა და მხატვრულ ამბიციების სერიოზულად არ მიღებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. „თოვლს“ როგორც პოსტმოდერნისტული ტექსტს ორმაგი კოდირება აქვს და მაღალისა და დაბალის მიჯნაზეა შექმნილი, პროვოკაციულია თავისი მიზანდასახულობით და პრეტენზია არა აქვს იმაზე, რომ იყოს უწყვეტი ესთეტიკური ფაქტი. სწორედ ტექსტის არათანმიმდევრულობა ესთეტიკური ფაქტი ხდება. ახალი ესთეტიზმის სტრუქტურა ძალიან ძლიერია, რადგან პოსტმოდერნისტული თამაში მოიცავს მის უარყოფელს როგორც „მეორე აქტორს“. შემოქმედებით თამაშში, მისი როლი წინასწარ განსაზღვრულია.

ეპოსი, ლირიკა დრამა

ფამუქი თავის რომანში აერთიანებს ეპოსის, ლირიკისა და დრამის ტრიადას. ყოველ ჟანრს თავისი პერსონიფიცირებული ფიგურა ჰყავს. ლირიკა წარმოდგენილია კაფკასეულ სიტუაციაშია ინტეგრირებული პოეტი კას ფიგურით; პროზაულ ნარატივს აყალიბებს „კას მეგობარი“ მთხრობელი ორჰანი; დრამა პერსონიფიცირებულია სუნაი ზაიმის ფიგურასთან.

„თოვლში“ მწერლის აპოლოგეტი, ორჰანი იმეორებს თავისი მოკლული მეგობრის გზას, გვიყვება კას შესახებ შინაგანცდის, გაზვიადებული კვნესა-ტირილის ისეთ მაღალ რეგისტრში, რომელიც ბევრად აღემატება მათი „მეგობრობის“ დამადასტურებელ წყაროებს. მთხრობელი აცხადებს, რომ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოადგენს ფაქტებს, თუმცა ეს უჩვეულო მთხრობელი მუდმივად მერყეობს, მისი ინფორმაციის წყაროები გაურკვეველია და ზოგან უბრალოდ საუბრო (მაგ.: როგორ მიხვდა, რომ კამ ისლამისტი ლაჯიკერთი გასცა). როგორც კი მკითხველი ეჩვევა იმპერსონალურ აუქტორულ თხრობას პესონალური მთხრობელი იწყებს საუბარს იმ მოვლენებზე, რომლებშიც ის არ მონაწილეობდა და ვერც ამის შესახებ რეტროსპექტივაში შეიტყობდა. ზოგან პიროვნულ და თუნდაც ძალიან მიკერძოებულ დამოკიდებულებას გამოხატავს აქტორების მიმართ, ამავე დროს ძალიან მწირ ინფორმაციას გვაძლევს საკუთარ თავზე. ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში ის არ მონაწილეობდა და ისტორიას აღადგენს სხვისი სიტყვებიდან და საკუთარი ვარაუდებიდან. ეს იდეალური მთხრობელი, რომელიც თითქმის შექმნილია იმისთვის, რომ მკითხველს შესთავაზოს კონკრეტული მონაცემები განვითარებულ მოვლენებზე, რომანის მხატვრულ ქაოსში რაიმე სტაბილური თვალსაზრისის შესაძლებლობას ანგრევს.

ყველაზე ვრცელი სივრცე ეთმობა დრამას. სუნაი ზაიმის დასი წარმოდგენილია როგორც „ბრეტისა და ბახტინის მიმდევარი თეატრალური დასი“ (ფამუქი 2012: 167). ბახტინის მითითება ამ კონტექსტში გამოკვეთს ბახტინის ფაქტორს პოსტმოდერნისტულ ესთეტიკაში. წერილში „ბახტინი, სიტყვა, დიალოგი და რომანი“ იულება კრისტევა აღნიშნავს, რომ „კარნავალური სიცილი არ არის მხოლოდ სიცილის პაროდია; მასში ზუსტად იმდენივეა კომიკური, რამდენიც ტრაგიკული; ის, თუ გნებავთ, სერიოზულია და ამიტომ სცენური სივრცე, რომელიც მას ეკუთვნის, არც კანონის სივრცეა და არც მისი პაროდია; ეს არის **თავისი სხვის** სივრცე. თანამედროვე მწერლობა გვაწვდის რიგ თვალსაჩინო მაგალითს იმ უნივერსალური სცენისა, რომელიც არის კანონიც და მისი სხვაც, სცენებში სიცილი წყდება, რადგან საერთოდ არ არის პაროდია, არამედ **მკვლელობა და რევოლუცია** (ანტონენ არტო)“ (Кристева 2000: 444-445).

ბახტინის ინტერპრეტაციით, კარნავალში შერწყმულია „წმინდა ვულგარულთან, მაღალი დაბალთან, დიდებული უმნიშვნელოსთან, ბრძენი სულელთან და ა.შ.“ (Бахтин 1972: 209). პოსტმოდერნიზმში იმსხვრევა ტრადიციულ ბინარულ სისტემაზე დაფუძნებული იერარქიული მსოფლმხედველობა, რომლის ფარგლებში სიკეთე უპირისპირდება ბოროტებას, მშვენიერება სიმახინჯეს, პროგრესი რეგრესს, გამარჯვება დამარცხებას და ა.შ. პოსტმოდერნული კოორდინატების სისტემაში არ არსებობს და არ შეიძლება იყოს ერთიანი და აბსოლუტური ჭეშმარიტება, ვინაიდან ის ყოფიერებას აღიქვამს თანაბარი თვალსაზრისების მრავალფეროვნებად. ჟაკ დერიდა ამტკიცებს, რომ ყველაფერი ტექსტის საშუალებით აღიქმება და სხვა კომუნიკაცია არ არსებობს, რადგან ტექსტის მიღმა არაფერია, ის არის კონცეპტუალური სივრცე, რომელშიც კულტურა აყალიბებს თავის დისკურსებს. ნებისმიერი ტექსტი იმთავითვე არის ინტერტექსტი (Деррида 2000).

რამდენიმე მოვლენის კონვერგენცია ემთხვევა კას ჩასვლას ყარსში და გვიჩვენებს კონფლიქტს დაპირისპირებულ მხარეთა პოზიციებს შორის. ყარსში ეწყობა სპექტაკლი, რომლის რეჟისორი „იაკობინელი“ ქემალისტი სუნაი ზაიმი. მოძველებული ანტიისლამური დრამა „სამშობლო ანუ თავსაბურავი“ დისონანსში შედის პოლიტიკური ისლამის პოზიციებთან. სცენაზე ქალი იხსნის თავსაფარს და წვავს მას. ფამუქი გვიჩვენებს დარბაზის ინტერაქციას: აღშფოთებული ფანატიკოსები ხმამაღლა გამოხატავენ პროტესტს. „რესპუბლიკელი“ მამაცი ახალგაზრდა ჯარისკაცები კი სცენიდან იწყებენ დარბაზის მიმართულებით სროლას. ეს „სპექტაკლი რომანის შიგნით“ გვიჩვენებს თურქულ იდენტობასთან დაკავშირებულ სირთულეებს, კონფლიქტი მთელი სიმძაფრით არის ინსცენირებული სცენაზე და დარბაზშიც.

ანტონენ არტოს „სისასტიკის თეატრის“ მოდელზე დადგმული რევოლუცია ემსახურება დარბაზში პოლიტიკური ისლამისტების ჩახშობას (რომლებსაც შემდგომ ეძებენ, აპატიმრებენ და კლავენ), ასევე რესპუბლიკური იდეალების გაღვივებას იმ საზოგადოებაში, რომელიც არ არის იდენტიფიცირებული პოლიტიკურ ისლამთან, მაგრამ გმობს სამხედრო ხელისუფლების მეთოდებს. მეორე სპექტაკლი თომას კიდის „ესპანური ტრაგედიის“ მიხედვითაა დადგმული. აქაც ხდება მკვლელობა, სუნაი მაყურებლებს რამდენჯერმე აჩვენებს, რომ პისტოლეტი დატენილი არ არის, მაგრამ სცენის ლოგიკა სხვაზე მეტყველებს: „თუ პიესის დასაწყისში კედელზე თოფი კიდია, პიესის დასასრულისთვის მან უნდა გაისროლოს“ (ჩენოვი). აშკარაა, რომ სუნაის სურს სცენაზე მოკვდეს, ამაზე მიუთითებს საზღვრისპირა გაზეთის წინასწარ დაწერილი სტატია, რომელიც სუნაი ზაიმის სახალხოდ სცენაზე მოკვლას აანონსებს. ორივე სპექტაკლში ქალი თავსაბურავს იხსნის და ორივე პიესა რეალური მკვლელობით მთავრდება. ამგვარად, დრამა სცენიდან რეალობაში გადადის. ამ მოულოდნელი, უცნაური გზით დაუკავშირა ფამუქმა თეატრი პოლიტიკას.

დასკვნა

პოსტმოდერნიზმი ცდილობს მოდერნისტული გაუცხოების ათვისება-ნივილირებას. ის აშენებს ტექსტს გაუცხოებული ფრაგმენტებისგან ახალ-ახალი მულტიცენტრული შრეებით რიზომის ფორმატში. პოსტმოდერნიზმი გვიჩვენებს, რომ მოთხოვნა განსხვავებულობაზე, იერარქიულ ზრდაზე, არჩევანზე, ტრაგიკულ ხვედრზე მწერლობას აღარ აინტერესებს. პოსტმოდერნისტულ მგრძნობელობას აერთიანებს ისტორიის, პროგრესის, ტრაგედიის, ავტორის, ტექსტის სიკვდილი. „თოვლში“ აღწერილი თვითმკვლელობები და მკვლელობები თუნდაც მოდერნისტული ტონალობის რომ ყოფილიყო, შიშს, მწუხარებას, უსასოების გრძნობას შთაგვაგონებდა. პოსტმოდერნიზმი კი მხოლოდ **პოლისემანტური ტექსტის რთულ სტრუქტურას** გვთავაზობს და ეს უცნაური ლიტერატურა, რომელშიც ყველა იმპერატივი მკვდარია, არის ახალი მწერლობა!

ჩნდება კითხვები: რა უშლის ხელს იერარქიის აღიარებას? რატომ არ ხდება „ბოროტისა“ და „კეთილის“ გამიჯვნა, თუნდაც მათი კლასიფიკაცია? პასუხი: ტოტალური რელატივიზმი და ტოლერანტობა ნებისმიერ სუბიექტის მიმართ. გასაგებია, რომ ეს ტოლერანტობა ეფუძნება ძალაუფლების ინსტიტუტების მიმართ უნდობლობას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს განხორციელებულმა სასტიკმა სეგრეგაციამ ჩამოაყალიბა.

ფამუქის პოსტმოდერნიზმში ექსტრაფორმალური კულტურის ნაღმები პოპკულტურის სიმულაკრებთან ერთად აყალიბებს დამატებით ფონს. რომანი დიალოგურ/პოლიფონიურია, რადგან გამოხატავს ადამიანის შეხვედრას სამყაროსთან დინამიკაში: სირთულეებით და უნიკალურობით,

მორალური დილემებით და უზნეობით. „თოვლში“ ვხვდებით კულტურების, რელიგიურ-პოლიტიკური აზროვნებისა და ადამიანთა გამოცდილების, ღირებულებების შეჯახებებსა და დიალოგს. სამყაროს ჩვენება განსხვავებულობის, დაპირისპირების საშუალებით, რათა მოხდეს მათი ნივილირება, არის ორჰან ფამუქის პოსტმოდერნისტული აზროვნების ფუნდამენტი. მას ეჭვი სამყაროს შემეცნებასა და ადამიანის უმაღლეს ამოცანაში. შექსპირი კომედიაში „როგორც გენებოთ“ ეგზისტენციას ასე განმარტავს: „მთელი მსოფლიო სცენაა, და ყველა მამაკაცი და ქალი მხოლოდ მსახიობია“. ფამუქი თითქმის გვეუბნება: დიახ, ეს ასეა.

დამოწმებანი

Aral, F., Orhan Pamuk Edebiyatı, Sabancı Üniversitesi Sempozyum Tutanakları (Sabancı Üniversitesi Tuzla Yerleşkesi 19–20 Aralık 2006, (İstanbul: Agora Kitaplığı, 2007)

Бахтин, М. Проблемы поэтики Достоевского. М.: Художественная литература, 1972.

Dağlier, Ü. Orhan Pamuk on the Turkish Modernization Projects: Is it Farewell to the West? *Humanitas*, Volume XXV, Nos. 1 and 2, 2012, National Humanities Institute, 146-167

Деррида, Ж., О Грамматологии, Издательство "Ad Marginem". Москва, 2000

Ecevit, Y., *Türk Romanında postmodernist açılımlar*, İletişim Yayınları, 2001

Feeney interview: 2004 (The Guardian: 2009)

<https://www.nytimes.com/2004/08/15/books/interview-orhan-pamuk-i-was-not-a-political-person.html>

Ten of the best last sentences

<https://www.theguardian.com/books/2008/jul/05/saturdayreviewsfeatres.guardianreview26>

Gramling, David, *Pamuk's Dis-Orient: Reassembling Kafka's Castle in Snow* (2002) <https://transit.berkeley.edu/2007/gramling/>

Женетт Ж. Палимпсесты: литература во второй степени. – М.: Науч.мир, 1982

Kafka, F., Dava <https://www.pdfdrive.com/franz-kafka-dava-e61430344.html>

Кафка, Франц, Процесс, СПб.:Азбука, 2018

კაფკა, ფრანცი, პროცესი, „საქართველო“, თბილისი 1992

Kaya, M., Orhan Pamuk'un Kar Romanını İmgeriyle Okumak, *Frankofoni*, **24**, 351-363, Hacettepe Üniversitesi FDE, Ankara, 2012

Keyder, Caglar "Whither the Project of Modernity? Turkey in the 1990s," *Rethinking Modernity and National identity in Turkey*, Seattle and London: University of Washington Press, 1997, 37-51

Кристева, Ю., Бахтин, слово, диалог и роман, Французская семиотика: От структурализма к постструктурализму / Пер. с франц., сост., вступ. ст. Г.К. Косикова. - М.: ИГ Прогресс, 2000. - с. 427-457.

Star interview: 2004. <https://www.nytimes.com/2004/08/15/books/interview-orhan-pamuk-i-was-not-a-political-person.html>

ფამუქი, ორჰანი, თოვლი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2012

Хантингтон, Самюэль, Столкновение цивилизаций и преобразование мирового порядка АСТ, 2016

Yeğenoğlu, M., The Sacralization of Secularism in Turkey, <https://www.radicalphilosophy.com/commentary/the-sacralization-of-secularism-in-turkey>

ფრონეს ხეობის ისტორიიდან

სოფელი თიღვა

Nikoloz Otinashvili

Gori State Teaching University, Georgia

აბსტრაქტი

მდებარეობს მდინარე ფცის ფრონეს ხეობაში მარჯვენა მხარეს შემალეულ ადგილზე. აქედან კარგად ჩანს ხეობის სამხრეთი და ჩრდილოეთის მხარეები. დასავლეთის მხარეს მიემართება გზა, რომელიც იმერეთში გადადის. იმერეთთან და საერთოდ ლიხის მთასთან სიახლოვის გამო ამ ადგილებში გადიოდა პერანგას, კორტოხის, დედაბერას, რიკოთისა და სხვადასხვა სახის გზა-ბილიკები, სადაც მოწყობილი იყო სავაჭრო პუნქტები, მოსახლეობა გადმოდიოდა საცხოვრებლად და მაგრდებოდა. სოფლის სიახლოვეს აღმოჩენილია ადრებრინჯაოსა და შუაბრინჯაოს ხანის სამარხები. ნაპოვნია ძველი წელთაღრიცხვის ხანის მძივები, ბრინჯაოს სამკაულები, ვერცხლის ბეჭდები, რკინის სამაჯურები და სხვა ნივთები (ო. ჯაფარიძე, 1957). ცნობილია, რომ ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლებმა, არაბთაგან საქართველოს განთავისუფლების იდეას საფუძველი მერვე-მეცხრე საუკუნეების მიჯნაზე ჩაუყარეს. მათ შეავიწროვეს დამპყრობლები და მათე საუკუნის შუა წლებში საქართველოდან განდევნეს. ერის მოჭირნახულებს არც შინაური შფოთი აკლდათ, რაც სამეფოს დაქსაქსვას იწვევდა. როგორც „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს, საქართველოს გაერთიანებისთვის მებრძლი მეფე ბაგრატ მესამე როცა ქართლის დაშლილი საქმეების მოსაგვარებლად ტაო-კლარჯეთიდან გადმოვიდა თავის მომხრეებით, პირველად თიღვას დამდგარა. ქართლის აზნაურებს არ აწყობდათ სამეფოს გაერთიანება და ამიტომ მეფის განზრახვას წინ აღუდგნენ. ისინი ლებეურის მთაზე სოფელი მუღრისთან დამდგარან და ბრძოლაც მოხდა. საშინელი ხოცვა-ჟლეტის დროს „აღუძახა ლაშქარსა მეფემან და იძლივნენ ქართველნი (ქართლელნი) და დაიფანჩნენ. მეფე ბაგრატი მივიდა უფლისციხეში და განაგო საქმენი ქართლისანი, წერს მემატიანე.

საკვანძო სიტყვები: ისტორიული, ხეობა, თიღვა, სოფ

From the History of the Frone Valley

The Village of Tigva

Abstract

The village of Tigva is located west of Kartli, on the elevated ground on the right side of the Ptsi River (in the Frone Gorge). There is a large domed temple in the village, which was built in 1152 by Davit Agmashenebeli's daughter Tamar, who became a nun there. The temple has an Asomatru inscription, where Tamar's apology is given. The 1715 Ruisi episcopal book is a unique document that contains historical, geographical, philological and a number of other issues that relate not only to the village of Tigva, but to the entire valley. At that time, Burnadzes, Kopadzes, Bezhitashvilis, Thandilashvilis, Mumladzes, Samkharadzes, Sekhniashvilis, Basanidzes and other families who contributed to the history of the village lived in Tigva village. Later, the following surnames were established here: Gamrekelashvili, Jakhveladze, Vakhtangashvili, Gabataashvili, Meskhi, Thinadze, Gagloev, Jabiev, Gagiev and others. In 1728, the Big Book of Tbilisi Province was compiled, a book that is an excellent source in the annals of centuries-old history of Turkey-Georgia. Based on the mentioned ledger, it is possible to solve a number of important issues, which are still shrouded in mist. Here is the Turkish tax system, which is quite complex. The inhabitants of the village of Tigvi had to pay seventeen different types of products, including wheat, barley, rye, millet, erbo, honey, as well as monetary taxes - Turkish money under the name of akhchi, which is a fine silver coin according to the Georgian equivalent. Georgian and Turkish descriptions have both common and different linguistic features. Proper names are recorded together with the surname

in the Georgian census, where the surname comes first, and the first name follows. In the Turkish description, the name is recorded and then the father's name, often after the name, who is whose son, or who is whose brother. Both descriptions are presented with Georgian and Turkish precious materials, it will always be valuable and an object of research. We are deeply grateful to the publishers for publishing the mentioned materials.

Keywords: Historical, Valley, Tigva, Village

ძირითადი ნაწილი

სოფელში დგას დიდი, გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც სხვადასხვა არქიტექტურული ნიუანსების შემცველია და თავისებურადაა ამეცხველებული ხუროთმოძღვარის მიერ.

ქართული მატიანეები „თილუას“ აღმაშენებლად დავით აღმაშენებლის ასულს, დემეტრე მეფის დას თამარს ასახელებენ. თამარის შეკვეთით ხუროთმოძღვარს თილვის მონასტერი 1152 წელს დამთავრებია და მეფის ასული ამ ტაძარში მონაზვნად აღკვეცილა. ამ ფაქტის დამადასტურებელი ცნობა არის ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე, ფასადის ასომთავრული წარწერა, სადაც თამარი „ღმრთის მსახურად“ არის მოხსენებული:

„ქმნილებამან რაა აქაისა სოფლისამან

სხვისაი მიიღოს დაწყება ყოფადისაა

მოქმედებითა შენსა ზედა ჯვარცმულისა

ქრისტეს ღმრთისაათა, რომლისა მიმართ

ჟამსა მას შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარსა“.

აღნიშნული წარწერა გამოიკვლია აკაკი შანიძემ, რომელმაც დაადგინა, რომ ეს არის ბრწყინვალე ლექსი-იაშვილი, რომელიც თამარის სრული აპოლოგიაა.

ვახუშტი ბაგრატიონი „საქართველოს გეოგრაფიაში“ აღნიშნავს: „დასავლით მეტეხისა და ფცის წყლისა არს თილვის ჯვრის მონასტერი, რომლი აღაშენა ასულმან აღმაშენებლისა თამარ, გუნბათიანი, დიდშენიერი, კეთილად ნაშენი, შენობანი გარემოს მრავალი, ახ ხუცის სამარსა“ (ვახუშტი, 1997, 82).

თილვას მონასტრის აშენებას ლიხთიმურეთის საზღვართან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თამარმა აქ შექმნა მწიგნობრობისა და განათლების კერა და ხელი შეუწყო მამის პოლიტიკურ ამოცანას საქართველოს გაერთიანებას. თამარი ინტელექტუალური ადამიანი ყოფილა, რომელმაც შირვანის დედოფლის გვირგვინი დასთმო, მიიქცა მონაზვნად, რაც მიზანდასახულობისა და ნებისყოფის მაჩვენებელია.

თილვის მონასტერი ღვთისმშობელი მარიამის სახელზეა აგებული და 21 სექტემბერი დღეობით აღინიშნება. გადმოცემით თილვა დედათა მონასტერი ყოფილა და იქვე ახლოს არის საკულტო ადგილი დედაბერა, თითქოს ეს სახელი ამიტომ გაერქვაო - გადმოგვცემენ.

ასევე ხალხში შემონახულია სხვა გადმოცემებიც, ერთი მათგანი კი ასეთია: უცნობ ოსტატს ამავე ხეობაში ოქონის ეკლესია აუშენებია, ხოლო შეგირდს უფრო მშვენიერი თილვა, რის გამოც ოსტატი შურით აღვსილა, გადამტერებია და თილვის ამგებისათვის მკლავი მოუკვეთიათ. ყოველივე ეს კი კარგად ახასიათებს შუა საუკუნეების მრისხანე და შეუბრალებელ ეპოქას.

1715 წელს არის შექმნილი „რუისის საეპისკოპოსოს დავთარი“, რომელიც მთელი ისტორიული, გეოგრაფიული, ფილოლოგიური საკითხების შემცველია და ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია. თავადი წერეთლების გვარის შესახებ ცნობებს ვხვდებით ხსენებულ დავთარში. სოფელ თილვაში იმ დროისათვის ცხოვრობდნენ დავით და გიორგი წერეთლები. უფრო ადრე 1648 წელს ქართლის მეფე როსტომი სიგელს აძლევს თილვაში მცხოვრებ ზაალ წერეთელს: მას ჟამსა ოდეს დადიანს, ბატონ ლევანს თქვენი თავი ჩვენთვის შემოებირებინა, მამული უბოძეთო, მოკითხული ვქენით და თქვენივე ნათესავის სამკვიდრო მამული თილვა შეგიწყალეთ და გიბოძეთ ყოვლითურ აზნაურიშვილებითა, ზვრითა,

სასახლითა, იმ წესითა, რაც დათუნას საგოგატიშვილო მამული ჰქონდეს ისე არ მოეშალოს სურნისს გარდაისად” (დოკუმენტები, საქ. სოც. ისტ. 1940).

1680 წელს მეფე ბაგრატ I ქაიხოსრო წერეთელს უბოძებს სიგელს: „...წერეთელს ქაიხოსროს, პაატას და შენსა შვილსა ქველსა, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ფალავანდიშვილი პაპუნა და მისი ძმა ფრიდონ მათის ცოლ-შვილით მისის მამულითა და გლეხებით, მთითა და ბარითა, დღეს თიღვას რისი მქონებელიც იყოს (დოკუმენტები, 1940).

როგორც ინფორმატორები გადმოგვცემენ, წერეთლების სასახლე ლოკალიზდება თიღვის ტაძრის დასავლეთით, სადაც ეხლაც არის ნანგრევები, არის ასევე ბაზილიკური საკულტო ძეგლის ნაშთები, აქვეა ძველი სასაფლაო, სადაც წერეთლები იმარხებოდნენ.

ამ დროისათვის თიღვა დიდი სოფელი ყოფილა, სადაც წერეთლების გარდა სახლობდნენ: ბურნაძეები, კოპაძეები, ბეჟიტაშვილები, ბეგიაშვილები, თანდილაშვილები, მუმლაძეები, სამხარაძეები, ლანჩავაშვილები, ამილბარაშვილები, სეხნიაშვილები, ტრანკაძეები, ბასანიძეები, ჩუბინიძეები, იონჩაძეები, აღვსებაძეები და სხვა გვარები.

დღეისათვის მოსახლეობა ძალზე შემცირებულია რუსეთის აგრესიის გამო, გვხვდება უბნები, შტოგვარები, რომლებიც -ან და -ანთ ფორმანტებით არის გაფორმებული. პირველი მათგანი აღნიშნავს კრებითობას, ხოლო მეორე კუთვნილებას, მაგალითად: ბურნაძი-ან-ი, ბურნაძია-ანთ-ი, ნინიკური-ან-ი, ნინიკური-ანთ-ი, ნადირა-ან-ი, ნადირა-ანთ-ი, ოსიტა-ან-ი, ორიტა-ანთ-ი, სამხარაძი-ან-ი, სამხარაძია-ანთ-ი, ტრანკა-ან-ი, ტრანკა-ანთ-ი...

ჯერ კიდევ შემორჩენილია შტოგვარები, რომლებიც წინაპართა სახელებისაგან არის ნაწარმოები: დათუნაანი - დათუნაანთი (კოპაძე), თამაზაანი - თამაზაანთი (ბეგიაშვილი), ხოსიაანი - ხოსიაანთი (ბეგიაშვილი), ზაქარაანი - ზაქარაანთი (ივანეშვილი), პაპუნაანი - პაპუნაანთი (ბასანიძე), ოთაანი - ოთაანთი (კილაძე) და სხვა...

სხვადასხვა დროს სოფელში დამკვიდრდნენ შემდეგი გვარები: გამრეკელაშვილი, ჯახველაძე, ვანტანგაშვილი, გაბათაშვილი, მესხი, თხელიძე, გაგლოვი, ჯაბიევი, ბითაროვი, გაგიევი, თედევი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოფლის მცხოვრებნი ამჟამად ძალზე განიცდიან რუსეთის აგრესიას და ძირითადად გადაწყვეტილი აქვთ დატოვონ სოფელი. უმრავლესობა კი ქარელში და მეზობელ სოფლებში დამკვიდრდა. დღეს სოფელში აღარ სახლობენ: მუმლაძე, სეხნიაშვილი, ხიხაძე, კილაძე, ოთიაშვილი. სოფლის ტოპონიმებმა გაუძღეს დროს და ათეულობით ერთეული შემორჩენილია. 1715 წლის რუკის დაკვირვებით მოხსენებული პაპუნა აღვსებაძის შთამომავლობა სოფელში აღარ არის, მაგრამ შემორჩენილია ტოპონიმი „აღვსებაძის მიწა, წყარო“, სოფლის დასავლეთით, ორი ჰექტარი ბუჩქნარია. გადაშენებული გვარია ჩარეკიშვილი, რომელიც ზემოხსენებულ საბუთშია დაფიქსირებული, გვხვდება მამული სახელით - ჩარეკაული ან ჩარეკაული მამულები, სოფლის დასავლეთით. „ბურნაძის მამული“ ლოკალიზდება დღევანდელი წყალსაცავის ტერიტორიაზე, რომელიც ფრონეს მარჯვენა ნაპირზეა განთავსებული. „ბასანიძეების საყდარი“, სოფლის აღმოსავლეთით, ეწოდება ვრცელ-ადგილებს და სალოცავ ადგილს, დაშლილ ეკლესიას, რომელიც ამ გვარის ხალხმა ააგო მეჩვიდმეტე საუკუნეში. ამ გვარის ზოგიერთი წევრი სოფელ მელვრეკისში გადავიდა.

„ალიბარი“ არის პატარა დასახლება „კოჭლა ხევის“ მარცხენა მხარეზე, სახელი დარქმეულია აქ ადრე მცხოვრები ამილბარაშვილის გვარის მიხედვით შეცვლილი ფორმით „ალიბარი“, როელიც თიღვის ერთ-ერთი უბანია.

დღეს სოფელში შემორჩენილია გვარი ლანჩავაშვილი და სოფლის წყაროს ეწოდება „ლანჩავანთ წყარო“, ასევე დარჩენილი გვარის მიხედვით არის ტოპონიმი „ონოფრიაანთ სერი“ (ონოფრიშვილი). აქ ცხოვრობდა ვინმე ათანასე იონჩაძე, რომელიც მერე სამხრეთით გადავიდა საცხოვრებლად და პატარა დასახლებას დღესაც ეწოდება „იონჩა“, სადაც რამდენიმე კომლი უცხოტომელი ცხოვრობს. „ლაზიკას წყარო“ ეს სახელი დარქმეულია ადრე მცხოვრები ვინმე ლაზარ ოსიტაშვილის გვარის მიხედვით. ასევე არის შტოგვარი დარჩენილი „ლაზარიანთი“.

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი (წიგნი I,თბ., 2009), არის შესანიშნავი წყარო მეთვრამეტე საუკუნის ოცი-ოცდაათიანი წლების თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში. აღნიშნულ დავთარზე დაყრდნობით მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაა შესაძლებელი, რომლებიც ბურუსითაა მოცული. მათ შორის კი აღსანიშნავია ის მასალა, რომელიც თურქული სოციალ-პოლიტიკური სისტემის დასამკვიდრებლად იყო გამოყენებული. ქართული სისტემისათვის კი ისტორიულ-გეოგრაფიული, ლინგვისტურ-ონომასტიკური საკითხების გადასაჭრელად.

თურქული საგადასახადო სისტემის მიხედვით სოფელ თილვას უნდა გადაეხადა:

ხორბალი ქილა 60, ახჩა 1100

ქერი ქილა 40, ახჩა 600

ჭვავჭი ქილა 20, ახჩა 300

ფეტვი ქილა 20, ახჩა 300

გადასახადი ერბოზე 100

გადასახადი სკაზე 20

გადასახადი ცხვარზე 90

გადასახადი ღორზე 24

წისკვილის თვალი 2, სრული წლით გადასახადი 120

დემთიბანი მიწაზე თაფუს გადასახადი 25

ნახევარი ბადიჰავა 25

თურქული საგადასახადო სისტემა საკმაოდ რთულია და აქ საჭიროა ზოგიერთი ტერმინის განმარტება, რაც საჭიროა სრულფასოვნებისათვის.

„ახჩა“ თურქული სიტყვაა და ნიშნავს მოთეთროს, ფულის ეს ნიშანი ტრიალებდა როცა თურქებმა სამხრეთ საქართველო დაიპყრეს.

ახჩა არის წვრილი კერცხლის ფული, რომელიც პირველად მოიჭრა ბურსაში 1328 წელს (შ. ლომსაძე, 397).

როგორც ჩანს, ჩამოთვლილი ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი, ერბო და სხვების გადახდა ხდებოდა ნატურით.

საერთოდ გადასახადები ასეთი ფორმისაა:

თაბირი - შემოსავლის ერთი/მეათედი ნაწილი.

რუსუმათი, გადასახადი საქონელზე 25-30 კაპიკი თითოეულ სულზე.

მეწველ საქონელზე გადასახადი 1/2 ოყა ერბო.

ხერბი - გადასახადი საქონელზე 15 კაპიკის ოდენობით.

ისფენჯი - გადასახადი არამუსულმან მოსახლეობისთვის 25 ახჩის ოდენობით.

თაფუ - მიწაზე გადასახადი, ხარისხის მიხედვით.

უმური - მიწას მოსავალზე დაწესებული, რომელიც იხდებოდა ბაღზე, ბოსტანზე, ვენახზე და სხვა.

როგორც ჩანს, სულ არსებობდა დაახლოებით ჩვიდმეტი სახის გადასახადი, ამასთან ქრისტიანი გაცილებით მეტ გადასახადს იხდიდა, ვიდრე მუსლიმი (მ. ქავთარაძე, მ. აბაშიძე, 2018).

როგორც 1728 წლის დავთარში აღნიშნულია, სოფელი თილვა ამ დროს ექვემდებარებოდა ამილახვარს, რაც აღწერაში დაფიქრისებულია. ჩანს, რომ ამ დროისათვის ფრონეს ხეობის სოფლები საამილახვროში შედიოდა, რაც მთელი რიგი წყაროებითაც დასტურდება.

ზემოხსენებული წყარო „1715 წლის რუისის საეპისკოპოსოს დავთარი“ და „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, ფაქტიურად ერთ დროს არის შედგენილი. განსხვავება დროში მხოლოდ

ცამეტი წელია. ეს ის ეპოქაა, რომელიც დიდ ქართველებთან არის დაკავშირებული, რაც მაშინ პოლიტიკური მოვლენების დროს ხდებოდა.

ქართულ და თურქულ აღწერებს აქვთ როგორც საერთო ენობრივი ნიშნები, ისე განსხვავებული. საკუთარი სახელები ქართულ აღწერაში გვართან ერთად არის მოცემული, ხოლო თურქულში - მამის სახელთან ერთად. საკუთარი სახელი წარმოადგენს ფორმას, როელიც შინაარსს გამოხატავს, ენა შეისწავლის მათ მნიშვნელობას, გამოიყოფა ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობა. სახელის ფუძე ორივე აღწერაში:

ქართული აღწერა

ბურნაძე ზაზა
ბურნაძე ოთია
წერეთელი გიორგი
კობაძე დათუნა
ონოფრიაშვილი ივანე
ბეჟიტაშვილი გიორგი
ოთიაშვილი თევდორა
ბეგიაშვილი ივანე

თურქული აღწერა

დათუნა ძე დიმიტრისა აზნაური
დიმიტრი ძე მისი
ზაალი ძმა მისი
ბარამ ძე მისი
გიორგი ძე ბიძინასი
თამაზ ძე მისი
მალუნა ძე თამაზასი
ივანე ძე ბაჩუასი

ორივე აღწერაში საკუთარი სახელები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა:

ქართული აღწერა

სეხნიაშვილი ბერი
წერეთელი გიორგი
მუმლაძე მახარა
ბეგიაშვილი თამაზა
ივანეშვილი ზაქარია
სეხნიაშვილი ბერო

თურქული აღწერა

ბერი ძე გიორგისა
გიორგი ძე დავითისა
მახარა ძე გიორგისა
თამაზა ძე კოჩინასი
ზაქარია ძე ივანესი
ბერი ძე სეხნიასი და სხვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სოფელი ქართლისა და იმერეთის სასაზღვრო ზონაში მდებარეობის გამო ეთნოგრაფიულად გავლენას განიცდიდა პროვინციებიდან, ეს ძირითადად ეხება რაჭას, ზემო იმერეთს, დვალეთს, ხარაგაულს, ზესტაფონს, სამხრეთ-დასავლეთი მხარის გავლენებს მთელი რიგი დარგების მიხედვით, მათ შორის საკუთარი სახელების სისტემაში. დიალექტური მონაცემები, როგორც ადრე წერილობით ძეგლებში ისე დღესაც გვხვდება მხარეში.

-ა სუფიქსი როგორც მაკნინებელი ფორმანტი, ორივე აღწერაში აკუთარ სახელებთან არის წარმოდგენილი.

ქართული აღწერა

თამაზა
მახარა
მანასა
თანდილა
მხიარულა
ბეჟუა

თურქული აღწერა

მალუნა
მერმანა
სარკოზა
ალხაზა
სეხნა
ლაზარა
ზაქარა

თურქულ აღწერაში გვხვდება -ია სუფიქსიანი საკუთარი სახელები:

ონია ძე სულხანასი

ონია ძე გიორგისა

ხოსია ძე ბაჩუასი

შოშია ძმა კოჩიასი და სხვა.

საკვანძო სიტყვები და დასკვნები

ორივე აღწერა არის ძვირფასი მასალებით წარმოდგენილი, რაც ჩვენი სინამდვილის შესაცნობად ყოველთვის იქნება ფასეული და კვლევის ობიექტი. აღნიშნული აღწერების მასალები, როგორც ქართველოლოგებისათვის ისე თურქოლოგებისათვის და საერთოდ მკვლევარებისათვის, დღეს ხელმისაწვდომია და გამომცემლობებს ჩვენგან უღრმესი მადლობა ეკუთვნით.

ლიტერატურა

1. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1997.
2. ვახუშტი ბაგრატიონი, გეოგრაფია, II წიგნი, ქართლი, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, 1895.
3. ვახუშტი ბაგრატიონი, რუკები, 1745, შიდა ქართლი.
4. თაყაიშვილი ე. რუისის სამწყსოს დავთარი, 1715, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პირველი, ტფ. 1967.
5. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, თბ., 2009. გამოსაცემად მოამზადეს ს. ჯიქიამ და ნ. შენგელიამ.
6. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII ს.ს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940.
7. ს. მაკალათია, ფრონეს ხეობა, თბ., 1963.
8. შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, თბ., 2011.
9. სამეფო გვირგვინი, 2018.
10. ჯაფარიძე ო. არქეოლოგიური გათხრები სოფ. ოჟორაში, თსუ შრომები, 1957. ტ. 65.

ეროვნული უმცირესობანი: ეზიდები და ქისტები (წარსული და თანამედროვეობა)

Madona Keadze

Landa Chokhelishvili

Iakob Gogebashvili Telavi State University, Georgia

აბსტრაქტი

საქართველო მრავალეთნიკური სახელმწიფოა, სადაც ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 16% შეადგენს მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა რაიონში კომპაქტურად არის განსახლებული. შვიდმილიარდიან მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა მიწაზე გაფანტული, დაახლოებით, ერთი მილიონი ეზიდი ცხოვრობს. მათი ერთი ნაწილია საქართველოს ეზიდებიც, საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად საქართველოში 12 200 ეზიდი ცხოვრობდა. ებრაელების, ინდუსების და კიდევ სხვა ხალხების მსგავსად, ეზიდებიც ეთნორელიგიური ხალხია. საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდან ინტენსიური მიგრაციების არეალში იყო მოქცეული. განსაკუთრებით აქტიურად მიგრაციული პროცესები საქართველოსა და მის მეზობელ რეგიონებში მიმდინარეობდა. ქართველებსა და ვაინახებს იგივე ჩეჩენ-ინგუშებს შორის ურთიერთობა უძველესი დროიდან იწყება.

საკვანძო სიტყვები: ეზიდი-ქურთები, ჰასნის ტომი, „მაისტალის“ ხატი, პანკისის ხეობა, ვაინახები, ჩეჩენები და სხვ.

National Minorities: Yezidi and Kists (Past and Modernity)

Abstract

Georgia is a multiethnic state, where national minorities comprise 16% of the total population. Major number from them are compactly settled in various regions of Georgia. About one million Yezids are spread around different lands of different countries in the world of seven billion. One part of them is Yezids of Georgia. According to 2014 universal description of population in Georgia 12 000 Yezids lived in Georgia. Like Jews, Hindus and lots of other nations, Yezids are ethnoreligious people as well. Since ancient times, Georgian territory was placed in the area of intense migration. Migration processes most actively took place in Georgia and its neighbouring regions. The relations between Georgians and Vainakh the same as Chechen-Ingush take start from ancient times.

Keywords: Yezidi-Kurds, Hasni tribe, "Maistali" icon, Pankisi valley, Vainakhs, Chechens, etc.

შესავალი: საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა, სადაც ბევრ, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. 2014 წლის აღწერის მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 87 პროცენტს ეთნიკური ქართველები შეადგენენ, ხოლო 13 პროცენტს - სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა რაიონში კომპაქტურად არის განსახლებული. ჩვენი საკვლევი საკითხი შეეხება ორ ეროვნულ იმცირესობას. ესენია-ეზიდები ანუ ქურთები და ქისტები.

ძირითადი ნაწილი: შვიდმილიარდიან მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა მიწაზე გაფანტული, დაახლოებით, ერთი მილიონი ეზიდი ცხოვრობს. მათი ერთი ნაწილია საქართველოს ეზიდებიც, საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად საქართველოში 12 200 ეზიდი ცხოვრობდა. ებრაელების, ინდუსების და კიდევ სხვა ხალხების მსგავსად, ეზიდებიც ეთნორელიგიური ხალხია.

სამხრეთ კავკასიის მოსაზღვრე რაიონებში ეზიდი-ქურთები ოდითგანვე სახლობენ, მათი უშუალოდ სამხრეთ კავკასიაში გამოჩენა უკავშირდება არაბთა დაპყრობით ომებს, ამ პერიოდიდან ეზიდი-ქურთები გამოჩნდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე სადაც X საუკუნეში შედგენილებისა და რავადიდების დამოუკიდებელი ქურთული დინასტიები დამკვიდრდნენ, სავარაუდოდ

გამუსლიმანებული შედადიდებისა და რავადიდების ქურთული დინასტიის შემადგენლობაში ეზიდებიც იქნებოდნენ რადგან ამ პერიოდში ქურთების მნიშვნელოვან ნაწილს ჯერ კიდევ არ ქონდა მიღებული ისლამი. ქართველებსა და ქურთებს შორის ურთიერთობაც ამ პერიოდში იწყება, XII საუკუნეში შედადიდების ქურთული დინასტია იმდენად გაძლიერდა რომ უკვე ქართველ მეფეებს უწევდნენ მეტოქეობას რეგიონში.

შედადიდთა სახელმწიფოს დაცემის შემდეგ მრავალი ქურთული ოჯახი საქართველოში გადმოსახლდა. ცნობილია, რომ ზოგიერთი ქურთული ოჯახი შემდგომში ქართველთა მეფის სამსახურში ჩადგა. მათ შორის იყო ქურთული წარმოშობის მხარგრძელების გვარი. სარგისის ოჯახს, კერძოდ, მის ორ ვაჟს - ივანე და ზაქარია მხარგრძელებს ქართველ მეფეთა კარზე სახელმწიფო თანამდებობები ეკავათ. ისინი მაღალი რანგის სამხედროები იყვნენ და XII-XIII საუკუნეებში სომხეთის მნიშვნელოვან ნაწილს მართავდნენ. ქართველმა ისტორიკოსმა შოთა მესხიმ მხარგრძელთა წარმოშობის კვლევისას მრავალ ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ მხარგრძელები ქურთული წარმოშობის გვარია. ძველი სომეხი ისტორიკოსები - კირაკოს განძაკეცი, ვარდანი, ზაქარია სარკავაგი და სხვანი ერთმნიშვნელოვნად უსვამენ ხაზს მხარგრძელთა ქურთულ ფესვებს. ზაქარია სარკავაგი ასეთ ცნობებს გვაწვდის: „ბაბილონის ქვეყანაში იყო ვინმე კაცი ქრისტიანი, სახელად ზაქარია, რომელიც მარებმა (ქურთებმა) დასვეს თავიანთ მთავრად, ვერ მორიგდა მათთან და იქ ცხოვრება აღარ შეძლო; გამოძებნა ხელსაყრელი დრო, შეკრიბა მთელი სახლეული, მონები და მონამხევალნი და მთელი თავისი ქონებით, ბაბილონის ქვეყნიდან წამოსული, გადავიდა სპარსეთში. აქედან შეუმჩნევლად გადავიდა სომხეთის საზღვრებში და გაემართა საქართველოსკენ“. [1, 12]

ეზიდი-ქურთებსა და ქართველების ურთიერთობის შესახებ ისტორიული ცნობები ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II დროსაც მოგვეპოვება, როდესაც მეფე, რუსების მხარდაჭერის იმედიტ, 1770 წელს, ანტიოსმალური კოალიციის შექმნას შეეცადა. დღემდე შემონახული დოკუმენტების მიხედვით, ერეკლე II-სთან დაკავშირებას ასურელები და ეზიდები ცდილობდნენ. ერთ-ერთ წერილში ასურელთა ეპისკოპოსი ისაია ერეკლე II სწერდა, რომ იგი ქურთისტანში იმყოფებოდა, სადაც ეზიდებს შეხვდა, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე ითხოვენ მფარველობას ერეკლესაგან. 1770 წლის მარტში საქართველოში მოვიდა შეტყობინება, რომ ერეკლე II-ის თხოვნა დაკმაყოფილდა და რუსეთის ჯარის დამხმარე ძალები გზაში არიან. ერეკლე II-მ ბრძოლის დაწყება გადაწყვიტა და გენერალ ტოტლებენს ახალციხის მიმართულებით ერთობლივი ოპერაცია შესთავაზა. თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ერეკლე II ასურელებისა და ეზიდების დახმარების იმედიც ჰქონდა, რადგან ეზიდების მთავარი ჩობან აღა და ასურელთა კათალიკოსი სიმონი თურქების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე ერეკლე II წერილებს სწერდნენ. რუს გრაფ ნ. პანინისადმი მიწერილ წერილში ერეკლე II წერს: „ეს ჩობან ოღლი, რომელიც არის გვარათ იეზიდი, ეს არც არის ქრისტიანი და არც მაჰმადიანი. მიმდევრი უფრო ქრისტიანეთა და წინააღმდეგი არის მაჰმადიანთი. ამასაც სურს ჩვენი შემოერთება, რომელნიც ესენი დიდათ შეჭირვებული არიან მაჰმადიანთაგან.“ თავისი გეგმის განხორციელება ერეკლე II-მ ტოტლებენის ღალატის გამო ვერ შეძლო, რის გამოც ანტიოსმალური კოალიცია არ შედგა.[1, 16]

ერეკლე II-ისა და ქურთი ეზიდების ურთიერთობა, ეპისტოლარული მემკვიდრეობით დასტურდება. სულ სამი წერილია შემორჩენილი: პირველი ასირიელი ეპისკოპოსის, ისაიას წერილი ერეკლე მეფის მიმართ თავის ქურთისტანში ყოფნისა და ეზიდების თხოვნის მფარველობაში მიღების შესახებ; (1770 წლის 13 აგვისტო). მეორე ქურთ-ეზიდთა მეთაურის - ჩობანის წერილი ერეკლე მეფის მიმართ თურქთა წინააღმდეგ გასალაშქრებლად მზადყოფნის შესახებ; (1770 წლის 13 აგვისტო). და მესამე ეპისკოპოს ისაიას წერილი ერეკლე მეფის მიმართ თავის ქურთ-ეზიდებთან და ასირიელებთან ყოფნის შესახებ. (1770 წლის 15 აგვისტო).

წერილში ირკვევა რომ ეზიდები 20 ათასი მეომრით მონაწილეობას მიიღებდნენ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართლ-კახეთის მეფის წინამძღოლობით, ასევე ქურთი-ეზიდები ერეკლე მეფის მფარველობასა და ზოშაბას ციხის ბოძებას ითხოვენ და ამ ყველაფერს მეფე ერეკლეს ისაია ასურეთის ეპისკოპოსის პირით უთვლიან. ჩობან აღა ერეკლე მეფეს მიმართავს - „რაც გიბძანებიათ, იმის ბძანების მორჩილნი გახლავართ“. ამ შემთხვევაში ქურთებსა და ერეკლეს საერთო ინტერესები გააჩნდათ ოსმალეთის წინააღმდეგ და სწორედ ამ მიზეზით სურდათ ეზიდებს ქართლ-კახეთის სამეფოსთან თანამშრომლობა.

რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში რუსეთის ყველაზე აქტიური მოკავშირეები იყვნენ ეზიდები-ქურთები ეზიდები ყველაზე მეტად ილტვოდნენ რუსეთისაკენ, რაც მათ მიმართ მუსლიმანების უარყოფითი დამოკიდებულებით იყო განპირობებული. თუ ქურთები მხოლოდ თურქების წინააღმდეგ იმყოფებოდნენ, ეზიდები განიცდიდნენ ორმაგ წინააღმდეგობას, თურქებისა და მუსლიმანი ქურთების მხრიდან. 1829 წელს რუსეთის მხარეს იბრძოდნენ პასანის ტომის ეზიდები მხედრები, რომლებსაც პასან ალა ხელმძღვანელობდა.

ხშირმა დარბევებმა აიძულა ეზიდები თავშესაფარი ეძებნათ მეზობელ ქრისტიანულ ქვეყნებში, კერძოდ სომხეთსა და საქართველოში. XIX-XX საუკუნეებში რამდენჯერმე, 1839-40, 1874 და 1914-18 წწ. მოხდა ეზიდთა მასობრივი გადასახლება ამ ქვეყნებში.

სამხრეთ კავკასიაში ცალკეული ქურთული ტომების გადმოსახლება მათ შორის უმრავლესობა ეზიდები იყვნენ XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთ-თურქეთის ომების (1804-1813 წ.წ. და 1826-1828 წ.წ.) დროს აქტიურდება. 1813 წლის გიულისტანის შეთანხმების შედეგად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა სპარსეთის იმპერიის ყოფილი ტერიტორიები. ამ ტერიტორიისადმი სწრაფვა ქურთთა ლტოლვილებმაც დაიწყო. 1828 წლის თურქმანჩის შეთანხმების შედეგად რუსეთის შემადგენლობაში სხვა ქურთული ტომებიც მოექცნენ.[1, 19]

მასობრივი გადმოსახლება უკვე ყირიმის ომისა (1853-1856 წ.წ.) და რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878 წ.წ.) შემდეგ იწყება. სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გაძლიერების შედეგად, ქურთი მმართველები, მათ შორის ეზიდები, რუსების მხარეს გადადიან და მათთან თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებენ. წინაპრების მონათხრობით და წყაროებით ცნობილია, რომ ბაიზიდის შემოგარენში მცხოვრები ეზიდები (XIX საუკუნის 70-იანი წლები) ნელ-ნელა ყარსისაკენ მიემართებიან რომელიც იმ პერიოდში რუსეთის შემადგენლობაში იყო. ჩვენამდე მოღწეული გადმოცემით, ამავე პერიოდში თბილისში დონდუკოვ-კორსაკოვთან მოლაპარაკებაზე ჩამოვიდნენ ეზიდური ტომის - სიპკის წარმომადგენლები - ალი, ამარიკე პოლატის შვილი, ნჰოე მჰო და ბადოე მამო.[1, 20]

პ. ი. ავერიანოვი ეზიდების შესახებ თავის წიგნში წერს: „პოლოკონიკ ლიხუტინის გადმოცემით, რომელიც საკმაოდ იყო დაინტერესებული ქურთებითა და მათ შესახებ დაწერილებით ცნობებს აგროვებდა, ეზიდები ყველაზე პატიოსანი და მშვიდობისმოყვარენი არიან მთელ ქურთებში და რუსების მიმართ ყველაზე მეტ თავდადებასა და ერთგულებას იჩენენ. მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას თურქი სამხედროების შესახებ შეგეძლო უფრო დაყრდნობოდი, ვიდრე სხვა ქურთებისა და თვით სომხების ცნობებსაც კი. ისინი ამას ყოველგვარი მოსყიდვისა და ანაზღაურების გარეშე, მხოლოდ ნებაყოფლობითა და საკუთარი რწმენით აკეთებენ.“. [1, 21]

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა დათმო ყველა ის დაკავებული ტერიტორია რომელიც მცირე აზიის აღმოსავლეთში ჰქონდა დაკავებული, ეს ტერიტორიები კვლავ თურქეთს გადაეცა, ამ ტერიტორიებზე ეზიდთა დიდი რაოდენობა ცხოვრობდა, ისინი ომის პერიოდში რუსეთს უჭერდნენ მხარს და მათ სასარგებლოდ იბრძოდნენ. ეზიდების მხედართა პოლკი ჯანგი-ალას მეთაურობით იცავდა ეზიდ მოსახლეობას, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდა თურქეთის ჯარს. ეზიდებს მუსლიმი ქურთებიც არ ინდობდნენ.

1918 წლიდან ეზიდები მასობრივად ტოვებდნენ თავიანთ ისტორიულ სამოსახლოებს და ვანის ვილაიეთიდან, სურმალიდან და ბაიაზეთიდან თავს სომხეთსა და საქართველოს აფარებენ, იმ იმედით, რომ ვითარების დამშვიდების შემდეგ უკან დაბრუნდებოდნენ. მაგრამ მალევე სომხეთიც და საქართველოც საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო საზღვრები ჩაიკეტა და ეზიდებს საქართველოში და სომხეთში სამოძრაოდ დარჩენა და აქ დამკვიდრება მოუწიათ.

ერთ-ერთ საარქივო მასალაში ვკითხულობთ: „სარაის შემოგარენში ათი ეზიდური სოფელია, სულ ხუთასი კომლი. ყველაზე მეტად ის არის საოცარი, რომ მათ შორის ბევრი რუსულად საუბრობს. ეზიდები ზამთარში საშოვარზე ტიფლისში დადიან. უფრო მდიდრებს სახლებში მეფის სურათებიც აქვთ. ხელმწიფე იმპერატორს ისინი ჩვენ ხელმწიფეს ეძახიან. ჩვენმა კონსულმა ამას წინააღმდეგობა დღე გაატარა მათ შორის. აქაური ეზიდები რუსეთის ჰუმანიტარული მეგობრები არიან. ისინი ჩვენთვის შეიძლება სასარგებლონი გახდნენ. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ისინი ქურთულად საუბრობენ და ქურთებთან ახლო ურთიერთობას ინარჩუნებენ“[1, 22]

სომხეთის გავლით ეზიდთა დიდი ნაწილი საქართველოში ჩამოვიდა და აქ დასახლდა, უფრო მოგვიანებით სომხეთში დასახლებილი ეზიდების ნაწილიც გადმოვიდა საქართველოში საცხოვრებლად. საქართველოში ეზიდები ძირითადად თბილისის ძველ უბნებში ტომობრივი კუთვნილების მიხედვით სახლდებოდნენ. ისინი იკავებდნენ ერთ ქუჩაზე მდებარე სარდაფებსა და ნახევრად სარდაფებს: სოლოლაკში, დიდუბეში, ვორონცოვზე, ჩერქეზოვზე, მიხაილოვზე, ზემელზე, ვერაზე, მეიდანზე და სხვ. საქართველოში გადმოსახლდნენ შემდეგი ტომები და ბარები: რაში, ჩოღრაში, მამრაში, მანდეკი, მანდასორი, კორკიტი, ბარავი, ბალაკარი, ხანი, ანკოსი, მოსაკი, კაშახი, ბაინდური, ქორბალახი, პივაზი, სიპკი, ბოტი, გასანი, როჟეკი. მანდეკისა და ბარავის ბარების წარმომადგენლები ზაარბრიუკენის (ყოფილი კ. მარქსის) მოედნის მიდამოებში და ყოფილ “პესკებზე” (რიყეზე) დასახლდნენ, ბარი რაშის წარმომადგენლები რუსთაველისა და მარჯანიშვილის მოედნების მიმდებარე ქუჩებზე დასახლდნენ, ჩოღრაშის წარმომადგენლები ნინოშვილსა და მის მიმდებარე ქუჩებზე, ბალაკარის და მოსაკის წარმომადგენლებმა სოლოლაკში დაიდეს ბინა, კორკიტის წარმომადგენლები გრიბოდოვისა და ყოფილი პაპანიშის ქუჩებზე დასახლდნენ, ბანდურისა და ქაშახის წარმომადგენლები “ხარფუხში”. ასეთი განსახლების შედეგად თბილისელი ეზიდი-ქურთების სალაპარაკო ენაში გაჩნდა ქუჩების დასახელება ტომისა და ბარის იმ სახელწოდების მიხედვით, რომელსაც ისინი ისტორიულ სამშობლოში ატარებდნენ.[4, 143]

ეზიდების დიდი ნაწილი თბილისის გარდა, საქართველოს სხვადასხვა მხარეშიც დასახლდა. ბათუმში დასახლდა და დღესაც ცხოვრობს სიპკის, დაუდის და როჟკის ტომის წარმომადგენლები, ბათუმელი ეზიდების ნაწილი 1944 წელს სტალინის ბრძანებით ყირგიზეთსა ყაზახეთში გადასახლეს. მოგვიანებით მათი მცირე ნაწილი საქართველოში დაბრუნდა.

ეზიდებს საქართველოში გადმოსახლების შემდეგ გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში უწევდათ ცხოვრება ისინი პატარა მიწურებში ცხოვრობდნენ, პატარა რამდენიმე კვადრატულ მიწურში შესაძლოა ორ ან სამ ოჯახსაც ეცხოვრა. მიმე ეკონომიკურმა პირობებმა მრავალი ეზიდი იძულებული გახდა ემოშავათ მშენებლობებზე, მეზარეულებად, მეუზველებად. XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსთვის საქართველოში ეზიდების რაოდენობა დაახლოებით 1500 კაცს ითვლიდა.

XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიები შეეხოდა საქართველოში მცხოვრებ ეზიდებსაც, ისევე როგორც მუსლიმან-ქურთებს, ოფიციალური საბჭოთა რეჟიმი ლტოლვილი იეზიდებს დიდი ხნის განმავლობაში თურქეთის ქვეშევრდომებად თვლიდა. მრავალ ეზიდს საბჭოთა მოწმობაში ასე ეწერა: „თურქეთის ქვეშევრდომი“. რეპრესიების პერიოდში, კერძოდ 1937 წელს ეზიდებს შესთავაზეს აეღოთ საბჭოთა პასპორტი. უარის შემთხვევაში მათ ემოქრებოდათ დეპორტაცია უკან, თურქეთში. ან გადასახლება, ამ მიზნით მრავალი ეზიდი თავისი ოჯახით გაასახლეს შუა აზიასა და ყაზახეთში.

ქისტები: ქართველებსა და ვაინახებს იგივე ჩეჩენ-ინგუშებს შორის ურთიერთობა უძველესი დროიდან იწყება. ქართული წყაროებიდან ვიგებთ, რომ მეფე ფარნავაზის მეუღლე და გაერთიანებული ქართული სამეფოს პირველი დედოფალი დურძუკი ქალი უნდა ყოფილიყო. დურძუკები ვაინახთა წინაპრად ითვლებიან. საუკუნეების მანძილზე ვაინახური ტომები ქრთველი მეფეების მხარდამხარ იბრძოდნენ. განსაკუთრებული სიყვარული ქისტებს თამარ მეფისადმი ჰქონდათ. თამარის სახელს არქმევდნენ ხიდებსა და სხვა ნაგებობებს, ქალიშვილებს. ვაინახების აღმოსვლეთ საქართველოში დასახლება სხვადასხვა დროს ხდებოდა, რაც მეტწილად მათი სრული ასიმილაციით სრულდებოდა. ვაინახი იგივე ვაინახი ჩეჩენ-ინგუშური მოდგმის ხალხის სახელწოდებაა და „ჩეჩენ ხალხს“ ნიშნავს. სხვადასხვა წყაროების მიხედვით ქისტები საქართველოში უკვე XIX-ე საუკუნეში ცხოვრობდნენ თუმცა მათი ძირითადი ნაწილი კახეთის ჩრდ. მხარეში 20-იან წლებში დასახლდა. XIX საუკუნის დამდეგს ხეობა მთლიანად იყო მოსახლეობისგან დაცარიელებული და გაუკაცრიელებული. პანკისის ხეობის ისტორიის გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდი ბურუსითაა მოცული, რასაც ქრთველი ისტორიკოსები ლეკიანობით ხსნიან. ამას დაემატა ჟამიანობა, რის არსებობასაც ადასტურებს ხეობაში სწორედ ასეთი პირობებისთვის დამახასიათებელი საფლავებისა და აკლდამების სიმრავლე. ვაინახების საქართველოში მიგრაციის მიზეზად მკვლევარები მთიელთა ეკონომიკურ სიდუხჭირეს, მწირ მიწის სავარგულებს, სისხლის აღების ტრადიციასა და შამილის მიერ გატარებულ რელიგიურ რეფორმებს მიიჩნევენ. აგრეთვე ე.წ „ბეითალ-ვახარის“ წესსაც რაც ეკონომიკურად ძლიერი ოჯახის საქონლის ნაწილის კონფისკაციას გულისხმობდა. ქონების ჩამორთმევისთვის თავის არიდების მიზნით მეპატრონე კავკასიის ქედს გადაღმა ეძებდა თავშესაფარს. ამ მიზეზით ბევრმა ვაინახმა დატოვა

თავისი საცხოვრებელი ადგილი და საქართველოში გადმოსახლდა. ეს გადმოსახლება ქართველებისათვისაც მისაღები იყო, რადგან ლეკების თვდასახმით შეწუხებულ მხარეს და მოსახლეობისაგან დაცლილი პანკისის ხეობა გაუკაცრიელებული აღარ იქნებოდა, ამავე დროს ქისტები ქართული ინტერესების დამცველნი იქნებოდნენ. ვაინახთა საქართველოში მიგრაციის ზემოხსენებული მიზეზების გარდა ქისტების საქართველოში დასახლებას, როგორც ჩანს, პოლიტიკური საფუძველიც ედო. პანკისის ხეობაში მათი მასობრივი ჩამოსახლებით თავად მეფისნაცვალი იყო დაინტერესებული; ქისტებისათვის საქართველოში ცხოვრება რომ სახარბიელო გაეხადა, ხელისუფლება მათთვის გარკვეულ შეღავათებს აწესებდა: ათავისუფლებდა სახელმწიფო გადასახადებისაგან, აჰყავდა სახელმწიფო კმაყოფაზე და ა. შ. პანკისში ქისტების პირველი ნაკადი პირველად დუი ხანგოშვილის თაოსნობით ჩამოსახლებულან. დუი ციცხაშვილ-ხანგოშვილი ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა, ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე, მეგობარი ადგილობრივ დიდებულებისა და უზუცესებისა. მისი მეთაურობით ქისტების ჩამოსახლება შეთანხმებული ყოფილა ხელისუფლებასთან, კერძოდ თიანეთის მაზრის გამგებლობასთან, რომელსაც იმ დროისათვის ექვემდებარებოდა თუშ-ფშავ-ხევსურეთი. უფრო მეტიც, ქისტების ჩამოსახლების დროს დუი ხანგოშვილს დიდად დახმარებია ქართველი დიდებულები, კერძოდ, თავადები ჩოლოყაშვილი, ჯანდიერი და თუშეთის მოურავი ივანე ცისკარიშვილი. დუის გარშემო შემოკრებილან კახეთსა და მთიანეთში მცხოვრები ქისტებიც და საერთოდ, I ნაკადი წამოსულა არღუნის ხეობის მაისტის თემიდან. მაისტელი იყო დუი ხანგოშვილიც. ქართველებს ჩამოსახლებული ქისტები ქართველი ხალხის ერთ-ერთ ეთნოჯგუფად მიაჩნდათ თუშთა, წოვა თუშთა და ხევსურთა მსგავსად. მეორე ჯგუფი, პანკისის ხეობაში ჩასახლდა 1854-55 წწ-ში. მისი ხელმძღვანელი ყოფილა ჯოყოლა ნაციშვილი-დარქიზანაშვილი. ჯოყოლაც ასევე დიდად ავტორიტეტული კაცი ყოფილა და ჰყოლია ქართველი ძმადნაფიცები. მათი და ზემოთაღნიშნულ თუშეთის მოურავ ივანე ცისკარიშვილის დახმარებით დუისის ჩრდილოეთით დაუარსებიათ სოფელი ჯოყოლო.

ქისტებს თავიანთი მშობლიური ადგილებიდან თან “წამოუღიათ” სალოცავი ნიში, კერძოდ ჩამოტანილი აქვთ სალოცავი ნიში “მაისტე წივ”, რაც დაახლოებით მაისტის ხატს აღნიშნავს. ამრიგად, XIX საუკუნის I ნახევარში პანკისში ქისტების კომპაქტური სამოსახლოები შეიქმნა — სოფლები: დუისი, ომალო და ჯოყოლო. დროთა განმავლობაში ქისტები პანკისის ხეობის სხვა სოფლებშიც დასახლდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში სოფ. ჯოყოლო პანკისის ხეობის კულტურული ცენტრი გახდა. 1888 წელს «კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ» ჯოყოლოში არსებული ფიცრული ეკლესიის ნაცვლად ქვითკირის ეკლესია ააშენა, ხოლო ყოფილი ეკლესიის შენობაში სასულიერო სასწავლებელი გახსნა. ეს იყო განათლების პირველი კერა პანკისის ხეობაში. 1891 წელს არქიმანდრიტ ლეონიდეს ინიციატივით, ჯოყოლოში სასოფლო სკოლა გაიხსნა, სადაც ბავშვები ქართულად სწავლობდნენ.

1902 წელს მუსლიმმა ქისტებმა სოფ. დუისში კავკასიის მუფტისა და ადგილობრივ მორწმუნეთა ინიციატივით მეჩეთი ააშენეს. ქრისტიანული მისიონერულის საქმიანობის გამო საქართველოში მოსახლე ქისტების ნაწილი ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ თემის ძირითადი ნაწილი ისლამის მიმდევარი იყო 20 ს-ის ბოლოსთვის ქისტების აფსოლუტური უმრავლესობა უკვე ისლამის მიმდევრად აღინიშნება.

გვხვდებოდა გაზიარებული ტრადიციებიც. ქისტებისთვის დიდი დღესასწაული იყო ალავერდობა, ელურდი. ამ დღეს ძველად ქისტებს ქუდები მიჰქონდათ გასაყიდად ასევე მეიჰყავდა ავადმყოფი და ღმერთს მის განკურნებას სთხოვდნენ. გასული საუკუნის 50-იან წლებამდე სოფელ დუისში მცხოვრები ქისტები მუსლიმებიც და ქრისტიანებიც მოსალოცად დადიოდნენ „მაისტალის“ ხატზე დღეს ეს ტრადიცია აღარ არსებობს და მხოლოდ უზუცესებს ახსოვთ მაგრამ ცოცხალია სხვა რელიგიის, ქრისტიანების რელიგიის პატივისცემის კულტურა. ქისტურ თემს გააჩნია საკუთარი უზუცესთა საბჭო. საქართველოში დაფუძნების შემდეგ პანკისელი ქისტები ქვეყნის მოსახლეობის განუყოფელ ნაწილად იქცნენ, ამიტომაც ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესი უშუალოდ აისახებოდა მათ ყოფასა და ცხოვრებაზე. საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებთა მსგავსად, მათაც შეეხო ეგზეკუციაც და გაციმბირებაც, გაკულაკებაც და კოლექტივიზაციაც. პანკისის ხეობა იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის თავდაპირველი ბაზა, სადაც შეთქმულთ ქისტი თანამოაზრეები ჰყავდათ. ათეულობით პანკისელი ქისტი მონაწილეობდა II მსოფლიო ომში. პირველმა ქისტმა მფრინავმა მახმად

მარგოშვილმა 1941 წელს განახორციელა პირველი გადაფრენა ბრესტ-ლიტოვსკის რკინიგზის დასაბომბად.

ერთადერთი რამ, რაც ქისტებს არ შეხებიათ, ეს 1944 წლის რეპრესიები იყო, როდესაც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები, მათ შორის ჩეჩნები და ინგუშები, შუა აზიაში გადაასახლეს. 1940-50-იან წლებში პანკისელი ქისტები თანაუგრძნობდნენ და ფარულად მხარში ედგნენ ვაინახ აბრაგთა რაზმებს, რომლებიც ჩეჩენ-ინგუშთა სამშობლოდან აყრის შემდეგ მთებში დარჩნენ და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დაიწყეს მოქმედება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იან წლებში, საყოველთაო მატერიალურმა სიდუხჭირემ განაპირობა პანკისის ქისტური მოსახლეობის მიგრაცია, რასაც შედეგად

ხეობის სოფლების დაცარიელება მოჰყვა. ქისტების ეთნიკური ჯგუფიდან ახალგაზრდებმა და საშუალო ასაკის ადამიანებმა ჩეჩნეთს მიაშურეს. რთულია ზუსტად განისაზღვროს ამ პერიოდში ქისტების რიცხოვნება საქართველოში, რადგან ადგილი ჰქონდა ორმხრივ მიგრაციულ პროცესს — საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში და, პირიქით. ქისტი მოსახლეობის ჩეჩნეთში გადასულმა შრომისუნარიანმა ნაწილმა შექმნა ქისტი ვაინახების განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც ჩეჩნეთის საზოგადოების ორგანულ ნაწილად იქცა. XX საუკუნის ბოლო წლებში ჩრდ. კავკასიაში არსებული მდგომარეობისა და განსაკუთრებით ჩეჩნეთ-რუსეთის ომის (1994- 1996 წწ.) გამო ქისტების უმრავლესობა (დაახლოებით 2000 ადამიანი) დაუბრუნდა პანკისის ხეობას. ამას მოგვიანებით დაემატა ჩეჩენ ლტოლვილთა დიდი ჯგუფი, რომელმაც რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის შედეგად 1999 წელს პანკისის ხეობაში მოიყარა თავი.

დასკვნები:

1. 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეზიდების რაოდენობა საქართველოში მკვეთრად შემცირდა, რაც გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად ეზიდთა ემიგრაციით, ძირითადად რუსეთში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

დღეისთვის საქართველოში ეზიდები ძირითადად ცხოვრობენ თბილისში (ქალაქის რამდენიმე უბანში: ისანი-სამგორი, გლდანი-ნაძალადევი, ლოტკინი, ვარკეთილი, ვახისუბანი) რუსთავსა და თელავში. ისინი მცირე რაოდენობით არიან განსახლებულნი ყვარლის, სიღნაღის, მცხეთის, გარდაბნის, ოზურგეთის რაიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

2. პანკისის ხეობაში გადმოსახლებიდან მალევე ქისტები ორენოვანნი გახდნენ. ქართულის ცოდნამ გაამყარა კავკასიელთა და მთის შვილთა ერთობის განცდა. ისინი ყოველთვის ხაზს უსვამენ ქართველებისა და ვაინახების ნათესაობას. პანკისელი ქისტების კულტურული იდენტობა უნიკალურია ისინი საქართველოსა და ჩეჩნეთს საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევენ და საქართველოს ხელისუფლების მიმართ მაღალი ლოიალობით გამოირჩევიან. ქისტები საქართველოში ყველაზე ინტეგრირებულ ეთნოსად მიიჩნევა რასაც ჩეჩენ-ინგუშეთისა და აღმოსავლეთ მთიანეთის ტრადიციების მნიშვნელოვანმა მსგავსებამ შეუწყო ხელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დიმიტრი ფირბარი, მამუკა კომახია "ქურთები საქართველოში" თბილისი 2008.
2. <http://liberali.ge/news/view/23291/salome.ge>;
3. საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა „ეთნოსები საქართველოში“ თბილისი 2008;
4. საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა „რელიგიები საქართველოში“ თბილისი 2008;
5. "ეთნოსები საქართველოში" საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა: თბილისი 2008წ;
6. 2. "ქისტები" ხასპ ხანგოშვილი; გამომცემლობა არტანუჯი 2020 წ;
7. 3. Radio Way ხასო ხანგოშვილის საავტორო გადაცემა " ქართულ-ქისტური ურთიერთობები";
8. 4. Radio Way ხასო ხანგოშვილის საავტორო გადაცემა "პირველი ქისტები საქართველოში ;
9. 5.Radio Way ხასო ხანგოშვილის საავტორო გადაცემა " ქისტების მიგრაცია საქართველოში".

სივრცეში განფენილი წამი - ოთარ სულავას ფერწერა

Maia Izoria,

Apolon Kutateladze Tbilisi State Academy of Arts, Georgia

აბსტრაქტი

ოთარ სულავას (1926-2000 წ.წ.) შემოქმედებითი ძიებები კოლორიზმისაკენ სწრაფვას, ტონალურ ფერწერას ემყარება. მან გაიზიარა წინამორბედი თაობის თითქმის ტრადიციად ქცეული მხატვრული პრობლემები, მაგრამ ისინი სხვა სიბრტყეზე გადაიყვანა, ახალი მიზნებითა და ახალი ნიშნებით აღჭურვა. ეს არ იყო კრიტიკული პოზიცია, - კვლავინდებურად აქტუალური რჩებოდა ფერწერის სიწმინდე და სხვადასხვა ტონების მრავალგვარი კომბინაციებით გადმოცემული პირობითი პლასტიკური ფორმა, გამოსახულებათა განყენებული პროპორციებით შეკავშირებული კომპოზიცია. ოთარ სულავამ ეს გზა მიიჩნია თანამედროვე ქართული ფერწერის შემდგომ საფეხურად. მისი ნამუშევრები - პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, ნიუ, თემატური კომპოზიცია მთელი ბრწყინვალეობით წარმოაჩენს ო. სულავას ვირტუოზულ ხელწერას. იგი არაერთი საინტერესო ტრანსფორმაციით წარმოგვიდგება თავისი შემოქმედების ევოლუციის ნახევარსაუკუნოვან გზაზე.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე, ქართული, ფერწერა, ტონალური, ვირტუოზული.

A second in space - Otar Sulava's painting

Abstract

Otar Sulava's (1926-2000) creative searches striving for colorism, It's based on tonal painting. He shared the traditional artistic problems of the previous generation, but they were transferred to another surface, equip with new objectives and new signs. This was not a critical position _the purity of painting remained relevant again and conditional plastic form conveyed by various combinations of different tones, a composition related to the proportions of the images. Otar Sulava considered this way to be the next stage of modern Georgian painting. His works - landscape, portrait, still life, new, thematic composition are presented in all their splendor by O. Sulava's virtuoso handwriting. It is presented to us with a number of interesting transformations in the half-century path of evolution of its creation.

Keywords: Georgian, modern, painting, tonal, virtuoso.

რაც დრო გადის, ოთარ სულავას შემოქმედება კიდევ უფრო მეტად ავლენს ქართულ გენს და უფრო მეტად ამდიდრებს ქართულ ხელოვნებას. სივრცის განცდა განუზომელ დროსა და განყენებულ ფორმებში იწვევს იმ კონსტრუქციულობასა და მონუმენტურობას, რომელიც სახასიათოა მხატვრის დიდი დაზგური სურათებისთვის და მცირე ზომის ნამუშევრებისთვისაც. თუმცა ოთარ სულავას ხელოვნების მთავარი ცხოველმყოფელი ძალა დინამიკურად განცდილი სივრცის განუსაზღვრელი ფერადოვნებიდან მომდინარეობს, - ასე მძაფრად და მკვეთრად, რომ წარმოაჩენს გასული საუკუნის შუახანების ქართული სახვითი ხელოვნების განახლებისაკენ მიმართულ ტენდენციებს. მისი შემოქმედება ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ თავისუფლდებიან არტისტები „ოფიციალისაგან“ იმისთვის, რომ ზოგადი მხატვრული პრობლემების მიუხედავად, თავის განსხვავებულ გზებს დაადგენ.

ოთარ სულავა (1926-2000 წ.წ.) წარმომადგენელია იმ ბრწყინვალე არტისტების ჯგუფის (ვ. შერპილოვი, ვ. ბაჟბუქ-მელიქოვი, პ. ბლიოტკინი, ე. ბაღდავაძე, ა. დილბარიანი და სხვა), რომლის კოლორიზმისკენ სწრაფვა ტონალურ ფერწერას ემყარება. მან გაიზიარა წინამორბედი თაობის თითქმის ტრადიციად ქცეული მხატვრული ძიებები, მაგრამ ფერწერის ბუნებიდან გამომდინარე ისინი სხვა სიბრტყეზე

გადაიყვანა, ახალი მიზნებითა და ახალი ნიშნებით აღჭურვა. ეს არ იყო კრიტიკული პოზიცია, - კვლავინდებურად აქტუალური რჩებოდა ფერწერის სიწმინდე და სხვადასხვა ტონების მრავალგვარი კომბინაციებით გადმოცემული პირობითი პლასტიკური ფორმა, გამოსახულებათა განყენებული პროპორციებით შეკავშირებული კომპოზიცია, რომელსაც აღმატებული სიღრმისეული მგრძნობელობით უნდა აესახა სურათზე აღბეჭდილი ფერადოვანი სამყარო. ოთარ სულავამ ეს გზა მიიჩნია თანამედროვე ქართული ფერწერის შემდგომ საფეხურად.

იქამდე კი, თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1946-1952 წ.წ.), ფერწერის მაესტროდ აღიარებულ უჩა ჯაფარიძის კლასში, სადაც ვალენტინ შერპილოვიც ასწავლიდა, პროფესიონალური წრთვის ხანგრძლივი პროცესი გაიარა და რეპრესიებიც შეეხო. ოთარ სულავა იხსენებს: “ჩვენთვის, სტუდენტებისთვის ძნელი იყო 1949 წლის პოლიტიკურ სიტუაციითა ლაბირინთში გარკვევა, რაიმე დასკვნის გამოტანა... აკადემიის მოწინავე სტუდენტები, თითქმის ყველა უკლებლივ, სამხატვრო სასწავლებლის კედლებს გარეთ აღმოჩნდნენ. ამ რეპრესიების მიზეზი დღემდე გაუგებარია.” (სულავა ო. 1988 :1).

სწავლის პერიოდში, ტონალური ფერწერისადმი მისი განსაკუთრებული ინტერესი თავის პედაგოგთან. ვალენტინ შერპილოვთან ურთიერთობას უნდა გაეღვივებინა, რაც ალბათ, ახალგაზრდა მხატვრის ბუნებასა და გემოვნებასაც შეესატყვისებოდა. სამეგობრო წრეც, თანაკურსელები - ჯიბსონ ხუნდაძე, ზურაბ და ჟანი მეძმარიაშვილები კოლორისტული ძიებებით იყვნენ გატაცებულნი. ო.სულავას შემოქმედებით გარემოში უწევდა ტრიალი მაშინაც კი, როდესაც აკადემიიდან იყო გარიცხული და რუსთავის, რაჭა-ლეჩხუმის, ზემო და ქვემო სვანეთის, ძეგრისა და საგვარჯილეს (იმერეთი) არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მონაწილეობდა. სავსე სამუშაოების მიმზიდველობას საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობაც აძლიერებდა. 1952 წელს, სწავლის დასრულების შემდეგ, ლადო გუდიაშვილთან ერთად ბიჭვინთის ტაძრის მოზაიკის აღდგენაზე მუშაობა მხატვრისთვის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ამ თემაზე შესრულებულ დიდი ზომის სურათისთვის (“ბიჭვინთის მოზაიკა”, ტ.ზ. 1958 წ.) მან ალბათ, ამიტომაც შეარჩია მაჟორული კონტრასტული ფერწერა, რომლის დეკორატიული ხასიათი მოზაიკის ეფექტებს უახლოვდებოდა. როგორც ჩანს, ლადო გუდიაშვილსაც მკაფიოდ ჰყავდა მეხსიერებაში ჩარჩენილი ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც ორი ათეული წლის შემდეგ თავის მოგონებების წიგნში გააცოცხლა (გუდიაშვილი ლ. 1979: 35).

ტონალური ფერწერის პრობლემების გადაწყვეტისას ო.სულავა აცნობიერებდა განზოგადების იმ საფეხურზე ასვლის აუცილებლობას, რაც მას საშუალებას მისცემდა, რომ წინამორბედ ხელოვნებას გამოხმაურებოდა. მხატვარს სურდა, რომ სიღრმისეულად ჩაწვდომოდა და ბევრად სრულყოფილად გამოეყენებინა წინა პერიოდის ფერწერის პრინციპები, რომელიც აშკარად ატარებდა ერთგვარ კლასიკურ სულს. მხატვრისთვის მთავარი იყო არა ახალი მოდელის შემუშავება, არამედ უწყვეტობის დემონსტრირება, ტრადიციული ფერწერის გადააზრებისას მასში არსებული ჭეშმარიტების შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, ოთარ სულავას შემოქმედების განხილვა უნდა მოხდეს ქართული სახვითი ხელოვნების ევოლუციის უფრო ფართო კონტექსტში, ვიდრე იკონოგრაფიული და გამომსახველობითი საშუალებების გავლენათა კონტექსტში.

რეალობის იმიტაციის მიზანი ოთარ სულავას არ ჰქონდა. იგი, უბრალოდ, გამოხატულებას აძლევდა იმ გრძნობებს, რომელსაც მასში რეალობა აღძრავდა. ამიტომ მხატვრის ხელოვნება ძალზე იმპულსურია, სიმბოლური, არტიკული, ყოველწამიერად შემოქმედებითი ალტკინებით აღჭურვილი. იგი აბსოლუტურად ყველაფერს ცხოვრებაში ღებულობდა, როგორც მშვენიერების კატეგორიას, ასეც აღიქვამდა სამყაროს. მის ნამუშევრებს, უკლებლივ ყველას - პეიზაჟს, პორტრეტს, ნატურმორტს, ნიუსს, თემატურ კომპოზიციას ეს ბეჭედი აზის. ო.სულავას ფერწერის შინაარსი იოლად ამოსაცნობია. ამით მას სურდა, რომ მთელი ბრწყინვალეობით წარმოეჩინა ნაწარმოების პრეზენტაციის მთავარი საშუალება - ფერის სიწმინდე, სინათლე, ემოციური ძალა. ტილოს ზედაპირის ხარისხი და შეხებითი შეგრძნებები ფუნჯის აშკარა მონასმებითაა მიღწეული. ნამუშევრების სადაფისფრად აელვარებული იდუმალი პალიტრა და პირობითი ფერის ტონალური გრადაციები ლირიკულ-პოეტური განწყობითაა გამსჭვალული. ნაწარმოების შესრულების არტიკულში აძლიერებს ოთარ სულავას ხელოვნების თვისებებს, რომელიც არაერთი საინტერესო ტრანსფორმაციით წარმოგვიდგება მისი ევოლუციის ნახევარსაუკუნოვან გზაზე.

1950-იანი წლების 1 ნახევრიდან, ოსულავას დამოუკიდებელი შემოქმედებითი მოღვაწეობა მონოქრომული ფერწერით იწყება, მაგრამ მუქი კოლორიტის ტონალური გრადაციებით ნუანსირება ხილულად წარმოაჩენს მისი მხატვრული ძიებების მიმართულებას („მამაკაცი“, ნიუს სერია, ტ.ზ.). 1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან, იმ ტენდენციების საფუძველზე, რომელმაც ქართული სახვითი ხელოვნება მოიცვა, ოსულავას შემოქმედებაშიც წინ წამოიწევა ფერის დეკორატიული ამოცანები. მხატვარი უპირატესობას ანიჭებს ფართო და ნათელი ფერადოვანი ლაქების დაპირისპირებით აგებულ დიდი ზომის ტილოებს, რომელსაც ინტენსიური წითელი და თეთრი ფერების შეხამებით აცოცხლებს. სურათის პირობითად მოხატული ზედაპირის დეკორატიული ეფექტების გასაძლიერებლად კვლავინდებურად გამოყენებულია ფუნჯის განზოგადებული თხელფენოვანი მონასმები, რომელიც მკაფიოდ გამოყოფს ფართო ფერადოვანი ლაქების სიბრტყეებს.

ამგვარი გადაწყვეტა ყველა ჟანრის ნაწარმოებს ხალისიან და ამაღლებულ ტონს სძენს. განსაკუთრებულ ჟღერადობას აღწევს პეიზაჟი, რომლიც ადრეულ ეტაპზევე თემატურად მრავალფეროვანია, მთიან რელიეფსა და ქალაქის ხედებს ასახავს. ოსულავა მახლობელ ადგილებს ეძიებს ძველი თბილისის უბნების, ახალმშენებლობების, სამრეწველო და ჟანრული პეიზაჟების ყოველდღიურ სამყაროში. იგი ექსპედიციებში მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებებით წარმოსახვით პეიზაჟებსაც ქმნის. მხატვრისთვის საინტერესოა ბუნების მონაკვეთის ზედა რაკურსიდან წარმოდგენა და მისი პანორამული ხედით კადრის მთლიანად შევსება, რითიც პეიზაჟის სიძლიერისა და მონუმენტურობის შეგრძნებას აღწევს. ზოგჯერ მხატვარი სურათის ცალკეულ ნაწილს ფუნჯის სწრაფი მონასმებით დაიტანს, რაც გარკვეულ ეტიუდურ ხასიათს ანიჭებს ნამუშევარს და საშუალებას აძლევს ფერმწერს, რომ შეინარჩუნოს ფერის სიწმინდე, მეტი სიცოცხლე შესძინოს ნაწარმოებს. ოსულავას პეიზაჟებისთვის ასევე სახასიათოა პერსპექტივაში მიმავალი გზის მოტივი, რომელიც სიღრმეში მალაღი ჰორიზონტით „იკეტება“. ტილოები: „ჩვენი ეზო“ (1958 წ.), „ძველი ქუჩა“, „სვანეთი“, „პეისის მშენებლობა“ (1958 წ.), „ახალი საბურთალო“ (1960 წ.) და სხვა, მკაფიოდ ავლენს ფერის დეკორატიულ ამოცანებს.

პორტრეტში უფრო რთული აღმოჩნდა ამ ამოცანების გადაწყვეტა, რადგან პირველ რიგში გასათვალისწინებელია ადამიანის სულიერი გამომსახველობის ჩვენება. ოსულავას მოდელები მისი ახლობელი ადამიანები, ინტელექტუალური სამყაროს წარმომადგენლები არიან. პორტრეტების ნაწილი წარმოსახვითაა შექმნილი. ტილოებზე გამოსატყუალი ადამიანები საკუთარ სულიერ სამყაროში ჩაძირულნი წარმოგვიდგებიან და წამით გარინდულ მეოცნებე სახეებს ქმნიან. მხატვარს არ აინტერესებს მოდელის ინდივიდუალური ნიშნების მკაფიოდ ხაზგასმა. იგი წარმოგვიდგენს ადამიანის ზოგად, სახასიათო სახეს. სხეულის მოძრაობასა და გამომეტყველებაში ეძებს ყველაზე არსებით შტრიხს პიროვნების დასახასიათებლად და მეტყველად წარმოაჩენს მის სულიერ მდგომარეობას. პორტრეტების კომპოზიცია ხშირად მეორდება. მუხლებამდე გამოსახულ კადრთან მოახლოებულ ფიგურებში მუდამ დომინირებს ნათელი და წითელი ფერების ვალორებით ნაძერწი სახე, ხოლო სხეული და ინტერიერის აღმნიშვნელი დეტალები მუქ ფონზე ზოგადადაა მინიშნებული. 1950-იანი წლების მიწურულს და 1960-იანი წლების დასაწყისში შექმნილ ქალთა პორტრეტებში ერთადერთი დეტალია სახე. რომლის პლასტიკურობა ფერადოვანი ტონების დეკორატიული შეხამებითაა მიღწეული.

1960-იანი წლების შუახანებიდან ოსულავას ნამუშევრებში წინ წამოიწია კოლორიტის მთლიანობის პრობლემა. მხატვარი განათების ეფექტებით აღწევს ფერის სიღრმეს და ცალკეულ შემთხვევაში შუქს კომპოზიციურ დატვირთვასაც სძენს. წერის მანერა მეტი თავისუფლებით აღინიშნება, ხოლო ფუნჯის მონასმი მსუყე, პასტოზური ხდება. ასეთია ტილო „სანაპირო დილით“ (1965 წ.) რომლის მოცისფრო - შავი-მწვანე ფერი კოლორიტი წითელი ფერის ჩანარებითაა გაცოცხლებული. პორტრეტებშიც, სურათის ფერადოვანი სტრუქტურა მოდელის სულიერი მდგომარეობის გადმოცემას ექვემდებარება. მაგალითად, „კაკაბაძის პორტრეტში“ მოლურჯო-მომწვანო ჩამქრალი კოლორიტი ქმნის სევდიან-ლირიკულ განწყობას. ქალის სახის გამომეტყველებას შინაგან დაძაბულობას ანიჭებს წითელ ფერთა მკაფიო მახვილები ტუჩებზე, სამოსზე, ინტერიერში. „ფიზიკოსის პორტრეტშიც“ (1967 წ.) ინტენსიური შავისა და თეთრის კონტრასტული შეხამებანი ვერცხლისფერთან ჰარმონიაშია გამირის ნაღვლიან ლირიზმთან, შინაგან დაძაბულობასთან. სახეზე დაცემული შუქი გამოყოფს მას ფონიდან, ამავე დროს ფერის სიწმინდესაც ამჟღავნებს.

1970-იან წლებში, ფერთა გამომსახველობის გაძლიერებაში თანაბარი სადაფისფერი განათება მონაწილეობს. მხატვარი ფაქიზად ნიუანსირებულ ფერწერულ სტრუქტურას ქმნის და კოლორიტის მთლიანობისაკენ მიისწრაფვის. ფერწერულ ამოცანებთან ერთად წინ წამოიწევა პლასტიკურ-სივრცობრივი ძიებები. შესაბამისად, ფუნჯის მონასში მეტ სიმკვრივეს იძენს და თვალსაჩინოდ ავლენს გამოსახულების პლასტიკურ ფორმებს, რის გამოც სურათი სივრცითა და ჰაერით ივსება. მხატვრის ხელოვნებაში მომხდარ გარდატეხას პეიზაჟებიც ნათელყოფენ: „ახალი ქალაქი“ (1970 წ.), „ძველი უბანი“ (1971 წ.), „ჰესის მშენებლობა“ (1974 წ.) ფერთა მდიდარი ტონალური ნიუანსებითა და თავისუფალი მონასმებითაა დაწერილი.

ოთარ სულავას პორტრეტულ შემოქმედებაშიც გარკვეული სიახლეები შეინიშნება. პირველ რიგში მომენტი ცოცხლადაა ფიქსირებული და მეტი უშუალობა ენიჭებათ ფიგურებს. ადამიანები, სავარძელში მსხდომნი, სასურათე სიბრტყის დიაგონალურად გამოისახებიან, რითაც კომპოზიციაში სივრცე იხსნება და თვით გამოსახულება დინამიკას იძენს. პორტრეტირებულის სხვადასხვა განწყობა კვლავინდებურად ფერადოვნების საშუალებითაა გადმოცემული. „არაბიძის პორტრეტის“ (1974 წ.) სიხალასე და პოეტურობა ფერწერულად მდიდარი ფერადოვანი გამით განისაზღვრება. მოვერცხლისფრო-მონაცრისფრო კოლორიტში შეყვანილი თბილ ტონთა ვალორები საინტერესო შეხამებას ქმნიან. სუფთა თეთრისა და მოწითალო საღებავების მკაფიო აქცენტები ცოცხალი მეტყველებით ავსებენ მხატვრულ სახეს, ხოლო შუქით ანთებული მოვერცხლისფრო ტონთა ვარიაციები ჰაეროვნებას ანიჭებენ მას. პორტრეტის ხალისიან განწყობას შეესატყვისება შესრულების ცხოველხატული მანერაც.

მოგვიანებით, ო.სულავა აფართოებს ფერწერულ ხერხთა დიაპაზონს: საღებავები ხან თხელ ფენებად, ხანაც მსუყე მონასმების სახით ფართო ლაქებად ლაგდება სურათის ზედაპირზე. სწრაფი, მრავალმომართულებიანი წერის მანერა ექსპრესიულობას ანიჭებს ნაწარმოების ფერადოვან სტრუქტურას და აძლიერებს მის ემოციურ გამომსახველობას. პეიზაჟები შინაგანი დინამიკით ივსება. ტილოები, „გარეუბანი“, „შატილი“, „ჩემი უბანი“ (1977 წ.), „დილა მთებში“, „ნაპირი“ (1979 წ.) და სხვა, ძირითადად, ცივი ტონალობის კოლორიტით, მოლურჯო-შაბიამნისფერთა ნაირგვარი ვარიაციებით გამოირჩევა. ფერწერულობის ხარისხი იზრდება ო.სულავას პორტრეტულ შემოქმედებაშიც. ღრმავდება ჟანრის სპეციფიკური ამოცანები. მხატვარი უფრო ზუსტად აგნებს ადამიანის ინდივიდუალურად განუმეორებელ ნიშნებს. მის გარეგნულ სტატიკურობაში აძლიერებს მხატვრული სახის შინაგან დინამიზმს, ამის თვალსაჩინო ნიმუშია „არქიტექტორ ვაჟა ორბელაძის“ პორტრეტი (1978 წ.). ო.სულავა დაძაბული მუშაობის პროცესის საჩვენებლად ძლიერი შუქით გამოყოფს სახეს, რომელზეც კონტრასტულად იკითხება თვალები. პიროვნების სულიერი მდგომარეობა გაძლიერებულია ფერწერული ხერხებითაც, - მუქ კოლორიტში ეფექტურად შეყვანილი ნათელ და ინტენსიურ ფერთა კონტრასტული აქცენტებით და წერის ექსპრესიული მანერით. მსგავსი ფერწერული ამოცანები აქვს დასახული მხატვარს „გოგონას პორტრეტშიც“ (1980წ.)

1980-იანი წლების ნამუშევრებში კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს ფერმწერლის, როგორც კოლორიტის ნიჭი. ჰარმონიულად ნიუანსირებული ფერთა გამა ორგანული მთლიანობით გამოირჩევა. ყოველი ფერი სიწმინდეს, სიღრმეს იძენს და თითქმის შიგნიდან ასხივებს შუქს. პეიზაჟები „სალამო“, „სოფელი მთებში“ (1983 წ.) თუ სხვა ტილოები ცხადყოფენ მხატვრის მისწრაფებას მიაღწიოს ბუნების განწყობილების პოეტურად გადმოცემას. ფართო, ეტიუდური წერის მანერა სულ რამდენიმე შტრიხით ასახავს სახასიათო რელიეფს, რაც ნიშანდობლივია ამ პერიოდის ტილოებისთვის. თუმცა ყოველივე მინიშნებულია ზოგადად, ამავე დროს არ იკარგება პლასტიკური ფორმის შეგრძნება. მხატვრის ხელოვნებაში მომხდარ ევოლუციას ცხადყოფს ნატურმორტებიც. ტილოზე „სახელოსნოს კუთხე“ (1986 წ.) ერთგვარად აისახება ძველ ოსტატთა ფერწერიდან მიღებული შთაბეჭდილებები, რაც სხვა ჟანრის ნამუშევრებშიც ვლინდება. კერძოდ, 1980-იან წლებში შესრულებულ „ალექსი სულავას“ პორტრეტის ორ ვარიანტში.

1980-1990 წლებში უპირატესობა ენიჭება ადამიანის გამოსახვას ფიქრის მომენტში. მხატვრული სახეები მჭკრეტელობით ხასიათს იძენენ. მოდელის სახე ძლიერი შუქითაა გამოყოფილი და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სურათის სტრუქტურაში. ტილოს სხვა ნაწილები კი სიბნელეშია ჩაძირული. ფერს ძლიერი ემოციურ-კომპოზიციური დატვირთვა ენიჭება. საღებავთა გრადაციები, შუქ-ჩრდილთან და წერის მანერასთან ერთად, პლასტიკურ დასრულებულობას ანიჭებს გამოსახულებას. ო.სულავას იზიდავს

ერთი და იგივე პიროვნების სხვადასხვაგვარი განწყობით გამოსახვა. ამგვარი მიდგომა ჩანს „ელგუჯა ბერძენიშვილის“ პორტრეტებში. ადრეულ ვარიანტში სურათის ფერწერულ-კომპოზიციური სტრუქტურა სევდანარეკ პოეტურობას სძენს მხატვრულ სახეს. მოგვიანო პორტრეტებში კი მეტი სიმანხვილე და კონკრეტულობაა მიღწეული. ტილოებზე აღბეჭდილი ადამიანთა გამოსახულებები უფრო ცოცხალია ინდივიდუალური გამომსახველობით, ხოლო ზოგჯერ მსუბუქი იუმორითაც ხასიათდება. „მეგობრის პორტრეტი“, „მამაკაცის პორტრეტი“, „ელგუჯა ბერძენიშვილის“ და სხვა პორტრეტები მდიდრულად ნიუანსირებული კოლორიტით გამოირჩევა. განსაკუთრებით საინტერესოა პორტრეტები, რომლებზედაც მოდელები ერთგვარად იდეალიზებული არიან. მათ წამით გარინდულ მეოცნებე სახეებზე სულიერი სიღრმე იკითხება. მუქი კოლორიტიდან შუქით გამოყოფილი ფრაგმენტები ამაფრებს იდუმალებისა და პოეტურობის განცდას. ასეთია „ფიქრია“, „მსახიობი ქალი“, „ქალიშვილის პორტრეტი-იმედი“ (ილ.1), „ქალიშვილი ვარდით“, „მსახიობი“ (ილ.2) და მრავალი სხვა. ერთ-ერთი პორტრეტი „ნინო“ (ტ.ზ. 1987 წ.) (ილ.3) იაპონიის საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

ო.სულავას უყვარს ადამიანის სხეული, საოცრად ნატიფად და ცხოველმყოფელად გამოსახავს შიშველ ფიგურას, მის მშვენიერებას, მის სილამაზეს, მის განფენას სამყაროში. სხვადასხვა პერიოდში შესრულებული ნიუს სერია თითქოსდა სუნთქავს, მხატვრის დახვეწილ გემოვნებას გვიჩვენებს. 1980-1990-იანი წლების შიშველი ნატურების სერიაში ო.სულავა დიდ ფერწერულ გამომსახველობას აღწევს. ახალი შინაარსით ივსება მისი თემატური სურათები. მხატვარს იზიდავს ისტორიულ-პატრიოტული თემატიკა: „ბედი ქართლისა“, „1905 წლის ამბოხება“ (1988 წ.), „ილია და ვაჟა დროების რედაქციაში“, „ესკიზი „წიწამურის ტრაგედია“ (1987 წ.), „უკლებლივ ყველა მკაფიოდ ავლენს მის შემოქმედებით ძიებებს.

ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე ო.სულავას შემოქმედებითი მეთოდი მისივე შინაგან ინტუიციას ემორჩილება. მხატვარი ნატურას გარდაქმნის ინდივიდუალური ხედვისა და საკუთარი წარმოსახვის საფუძველზე. მისი ფერწერული ტილოები მუდამ ემოციურად და მხატვრულად გამომსახველია. ო.სულავა ამჟღავნებს ფერწერულ-გამომსახველობით ხერხთა პროფესიული ოსტატობით ფლობას. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ეს ვლინდება ბოლო ეტაპზე, 1990-იან წლებში, ო.სულავას შემოქმედების სიმწიფის ხანაში. ამ პერიოდის ტილოებზე ლაქა და მონასმი შენიღბული არ არის, არამედ მნიშვნელოვანია და წინა პლანზეა წამოწეული. სინათლეს სურათში ფერები იძლევიან. ფერების ვალორების სხვადასხვაგვარი კომბინაციით გაცოცხლებული ტილოს ზედაპირი კი, საოცარი არტისტიზმითაა მოხატული.

მხატვრის ნამუშევრები იფინებოდნენ ქვეყნის შიგნით და საზღვრებს გარეთ: გერმანიის, ინგლისის, კანადის, შვეციის, საბერძნეთის, იაპონიისა თუ სხვა სახელმწიფოების საერთაშორისო გამოფენებზე, ენიჭებოდათ ჯილდოები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია იაპონიაში მიღებული ოქროს მედალი. ო.სულავას ფერწერული მანერის დიდი ვირტუოზულობის მიუხედავად, მისი სახელი ამჟამად მივიწყებულია. წინამდებარე სტატია ერთგვარი ცდაა ამ მეტად თვითმყოფადი მხატვრის შემოქმედების გასაცოცხლებლად, რომლის მოღვაწეობამ გასული საუკუნის ქართულ ფერწერას თავისი კვალი დაამჩნია და ფერის ტონალურ ძიებათა მიმართულებაში საეტაპო როლი შეასრულა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. გუდიაშვილი, მოგონებების წიგნი, თბ., ნაკადული, 1979.
2. მ.იზორია, სიმწიფის ხანა, ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, N8, 1989 გვ. 31-39.
3. ო.სულავა, მოგონება, 05.08.1988 წ. მანქანაზე ნაბეჭდი, 5 გვ.
4. მ.ციციშვილი, ნ.ჭოლოშვილი, ქართული მხატვრობა - განვითარების ისტორია XVIII-XX ს.ს., თბილისი, 2013 ტ. 1 გვ. 304, ტ. II გვ. 809.
5. И. Арсенишвили, Источник вдохновения, газ. Вечерный Тбилиси, 1927 27 сентября.
6. В. Веридзе, Н. Езерская, Искусство советской Грузии 1921-1970, Москва, изд-во; Сов. худ., 1975 გვ. 200, 228, 703, 725.

ილ. 1. „ქალიშვილის პორტრეტი-იმედი“ ტ.ზ. 77 X 107 სმ. 1987 წ.



ილ.2. „მსახიობი“ ტ.ზ. 67 X 95 სმ. 1990 წ.



ილ. 3. „ნინო“ ტ.ზ. 60 X 80 სმ. 1987 წ.



ილ. 4. სახელოსნოში - ნიუ ტ.ზ. 80 X 51 სმ. 1997 წ.



„წითური ქალის“ პროფილი „ოიდიპოსის კომპლექსისა“ და „როსტომიანის“ ფონზე

Tamar Gogoladze

Gori State University, Georgia

აბსტრაქტი

ორჰან ფამუქის შემოქმედება კიდევ ერთი, სპეციფიკური ნიშნით ხასიათდება: კერძოდ, თურქი ნობელიანტი მწერალი ცდილობს აჩვენოს ზოგადსაკაცობრიო, რითაც ყველა მხარე - იქნება ეს აღმოსავლური, თუ დასავლური სამყარო, ხასიათდება საკომუნიკაციო საფეხურზე. ზოგადი - სიყვარული, სიცოცხლე, სიკვდილი - აერთიანებს და აშორებს კიდევ ადამიანებს. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ჯემ ჩელიკი, ერთი ზაფხულის განმავლობაში ჰის მთხრელ მაჰმუდთან შეგირდად მუშაობს სათაყვანო ობიექტთან, წითურ ქალთან, გატარებული ერთი ღამის შედეგია შვილი, რომელიც სიძულვილით (სიყვარულით) უპირისპირდება მამას და კლავს მას. ჯემის დაინტერესდება „ოიდიპოსის კომპლექსით“ და, ამის პარალელურად, უძველესი აღმოსავლური ეპოსით „როსტომიანი“. თუ რომანის დასაწყისი ჯემის პირითაა მოთხრობილი, დასასრული წითური ქალის მონაყოლით სრულდება, მისმა ოცნებით, პატიმრობაში მყოფმა, მამისმკვლელობა შვილმა რომ დაწეროს ეს ისტორია. სტამბოლის გარეუბანში, ონგარენში, დაწყებული ისტორია ძველთაძველია. თითქმის მარადიული თემა, რომლის გაცოცხლებას ო. ფამუქი უაღრესად მარტივი მხატვრული საღებავებით ახერხებს. აქ გადახლართულია ერთიმეორესთან წარსული და აწმყო, ადამიანური ვნებები და გონებით განჭვრეტილი სამყარო, რომლის ფონზე მონუმენტურად მოჩანს მწერლის საყვარელი თემის, ძველის კვდომით გამოწვეული სევდა, რაც ამ პოსტმოდერნულ რომანს განუმეორებელ სიახლეს ჰმატებს. ძველი მწერლის ენით, უაღრესად მარტივად აღწერილია ისტორია ახალ საბურველში, რომელიც შეიძლება კვლავ კიდევ საინტერესო აღმოჩნდეს. სწორედ ამის ჩვენებას ისახავს მიზნად წინამდებარე სტატია.

საკვანძო სიტყვები: წითური ქალი, „ოიდიპოსის კომპლექსი“, „როსტომიანი“

Profile of "Red Woman" in the background of "Oedipus Complex" and "Rostomyan".

Abstract

Orhan Pamuk's work is characterized by another, specific sign: in particular, the Turkish Nobel laureate writer tries to show the general humanity, thus all parties - whether it is the Eastern or the Western world, are characterized at the level of communication. Generally - love, life, death - unites and even separates people. The main character Jem Celik works as an apprentice with the well-digger Mahmud during one summer. One night spent with a red-haired woman as the object of his worship, results in a son who confronts his father with hatred (love) and kills him. According to the story, Jem's interest in the "Oedipus complex" and in parallel with the ancient Eastern epic "Rostomyan". If the beginning of the novel is told by Jem, the end is completed with the story told by the red-haired woman, let the parricide in prison write this story in a dream. The history that started in Ongaren, a suburb of Istanbul, is an ancient, almost eternal theme, which O. Pamuk extremely easily used artistic paints. The past and the present are intertwined here. Human passions and the world envisioned by the mind, against the background of which the development of the writer's favorite theme, the sadness caused by the death of the old, is monumentally visible, which adds a unique novelty to this postmodern novel. An old story told in a very simple way, in a new plot that can be interesting again. This is what this article aims to show.

Keywords: Red Woman, "Oedipus Complex", "Rostomyan".

შესავალი. ლიტერატურის მიმოხილვა ცნობილი თურქი მწერლის ორჰან ფამუქის შემოქმედება რამდენჯერმე (2017, 2018, 2021 წ.წ.) გამხდარა ჩვენი შესწავლის ობიექტი. ამჯერად 2016 წელს

გამოცემული „წითური ქალი“ და ის ძირითადი კონცეპტუალური საკითხები, რასაც ეხება ავტორი რომანში, კერძოდ, „ოიდიპოსის კომპლექსის“ ხაზის წარმოდგენა, იქცა წინამდებარე ნაშრომის თემად. აღნიშნული თემა მჭიდროდაა გადახლართული „ოიდიპოსის კომპლექსისადმი“ მიძღვნილი დასავლურ- აღმოსავლური ტექსტების ხელახალ რესტროსპექციასთან XX საუკუნის დროითი შემოფარგლული სტამბოლის გარეუბანში, ონგარენში, განვითარებული მოვლენების ფონზე, რაც პოსტმოდერნის კანონზომიერებიდან გამომდინარე, მთავარი პერსონაჟის, ჯემის ჩელიქის, მოგონებებით ვითარდება მის სიკვდილამდე, შემდგომ კი წითური ქალის მოთხრობით.

ავტორი ცდილა ფროიდის „ოიდიპოსის კომპლექსის“ ერთგვარი გახსნა მოეცა რომანში, რაც მას წარსულში ხედვის, კულტუროლოგიურ ჭრილში მეტ-ნაკლებად ლიტერატორისეული ჩაღრმავებით წარმოგვიდგება. ჩვენი ნაშრომის მიზანია ვაჩვენოთ, როგორ სცადა ო. ფამუქმა ძველი თემის ახალ დროზე „მორგება“, რამდენადმე თვით საკითხის მარადიულობის ჩვენების კუთხით. ო. ფამუქის პროზის ინტერტექსტულობაზე სხვადასხვა დროს მსჯელობდნენ მკვლევარნი ა.ბ. როგი („ჟანრობრივ-სტილური მოდელი თანამედროვე თურქული რომანისა“), ა.ს. სულეიმანოვა („პოსტმოდერნიზმი თანამედროვე თურქულ რომანში“), კ.დ. შილდი („დიალოგი დოსტოევსკისთან - ო. ფამუქის „შავი წიგნი“), ე.წ. პოსოხოვა („ო. ფამუქის რომანების ინტერტექსტულობა“). ქართველი ელენე ჯაველიძე სამწუხაროდ, ვერ მივაკვლიეთ ჩვენს ხელთ არსებული ინტერნეტრესურსებითა თუ ლიტერატურით აღნიშნული საკითხის კვლევას საქართველოში აღმოსავლეთიდან შემოსულ და შუასაუკუნეების სამხრეთო წიგნებიდან („შაჰნამეს“ ვარიანტები - „როსტომიანი“) შესწავლა-განზოგადების თვალსაზრისით, გარდა წიგნის ანოტაციისა ქართულ ენაზე „წითური ქალის“ თარგმანზე (ნანა ჯანაშია). თუმცა თვით რომანი უამრავ მასალას გვაწვდის საკითხის სიღრმისეული შესწავლისათვის, რასაც უნდა ვუმაღლოდეთ თვით მწერალს, ინტელექტუალს, რომელიც საფუძვლიანად იცნობს მსოფლიო ლიტერატურას, მის კულტუროლოგიურ გაგრძელებას მხატვრობაში, რასაც მოწმობს თვით წიგნის გარეკანისათვის გამოყენებული მხატვრის, დანტე გაბრიელ როსეტის, ნახატი „Regina Cordium“ (1860 წ.). ეს ავტორის ცოდნისა და წარმოსახვის ნიჭის გამოვლინებაა და მკითხველისათვის რომანში ჩართვის საშუალებაც საკუთარი ფანტაზიის განვითარებით.

მეთოდოლოგია. გამოყენებული იქნება შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდი.

შედეგები/დისკუსია. მიუხედავად იმისა, რომ რომანი „წითური ქალი“, ერთი შეხედვით, თითქოს ჭაბუკის შემდგომში დავაჟკაცებულის, ისტორიას მოგვითხრობს დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებისას ჭის მთხრელ მაჰმუდთან შეგირდობის პერიოდში. მთავარი მაგისტრალური ხაზი უმამოდ გაზრდილის ცოდვის განცდაზე მახვილდება. ცოდვა კი თითქმის ტრაგიკული აღმოჩნდება: ჭაში ჩავარდნილ ოსტატ მაჰმუდს მიატოვებს ჯემი და სახლისაკენ მიეჩქარება დაუოკებელი შიშით - რატომ არ მიეშველა და გადარჩა თუ არა ოსტატი ცოცხალი. ამიტომაც ერიდება თითქმის მთელი ოცი წლის განმავლობაში ონგარენს და მუდამ თან დასდევს ცოდვის შეგრძნება, რაც გადაიხლართება „ოიდიპოსის თემაზე“ შექმნილი მოხეტიალე დასის სპექტაკლის ნახვისას განცდილთან, მანამდე თვით მითის სიუჟეტის ამოკითხვითა და შემდგომად „დენიზის“ წიგნის მალაზიაში ნააზრევის გასიგრძელებით.

რატომ იბადება ცოდვის შეგრძნება ჯემ ჩელიქში? ამას უკვე მკითხველი გაუცნობიერებლად აღიქვამს. ჭის თხრას, რომელიც არ სრულდება შედეგიანად, ოჯახიდან წასული მამის ნაცვლად ოსტატ მაჰმუდში ერთგვარი მამის შემცვლელის პოვნასა და ახლადშერთულ საყვარელ მეუღლესთან შვილის შეძენის შეუძლებლობას.

მაშ, მამა წავიდა რაღაც პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის დაჭერის შიშით, მის ნაცვლად გაჩნდა ოსტატი მაჰმუდი, ბრძენი მოხუცი, რომელშიც ჯემმა ჰპოვა მამა. ამდენად ჯემს არ უნდა სტანჯავდეს თითქოს იმის შიში, რომ მას შვილი მოკლავს, მაგრამ არ შეუშალა მამობილად აღქმული ოსტატის დაღუპვას. შიში იხლართება თავისზე ასაკით უფროს წითურ ქალთან სასიყვარულო ურთიერთობაში. მაგრამ ჯემი მასაც ტოვებს, თუმცა ქალის გახსენება განუშორებლად თან სდევს.

ეს ყველაფერი, რაზედაც ჯემი მოგვითხრობს რომანის I ნაწილში მეტ-ნაკლებად უინტერესოდ ვითარდება, თუ არა რომანს წამძღვარებული ეპიგრაფები ნიჭშედან, სოფოკლედან, ფირდოუსიდან.

ეს შემთხვევითი კი არა, წინასწარგამიზნული ავტორისეული ხერხია, რომლითაც ავტორი რომანის მკითხველს მიანიშნებს, რაზე იქნება საუბარი ნაწარმოებში.

ორჰან ფამუქი, უპირველესად, ლიტერატორია, რომელიც მონათხრობს, ერთი შეხედვით, ძალზე მარტივად წარმოადგენს. მის იქით თითქმის არაფერია სირთულისებური: ჯემი მიატოვა მამამ, ჯემმა მიატოვა მამობილად აღქმული ოსტატი მაჰმუდი, ჯემი სიყვარულით ქორწინდება, მაგრამ უიღბლობა და ცოდვის შეგრძნება არ ტოვებს მას.

რატომ ნიცშე? მაშინ, როდესაც ზიგმუნდ ფროიდის მიერაა პირველად (1879 წელს) - სახელდებული „ოიდიპოსის კომპლექსი“?

ამაზე ავტორი თვით იძლევა განმარტებას: „ერთ-ერთი პირობა იმისა, რომ თავი ისე დამეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარა, სოფოკლეს ოიდიპოსის დავიწყება გახლდათ... ერთ დღეს „დენიზში“ სიზმრების წიგნის თავზე ის ძველი კრებული ისევ დავინახე, ოიდიპოსის მოკლე შინაარსი სწორედ ამ კრებულიდან ვიცი. მხოლოდ ახლაღა აღმოვაჩინე, რომ მისი ავტორი ზიგმუნდ ფროიდი იყო, რომლის წერილიც სოფოკლეზე მეტად იმას ეხებოდა, რომ ყოველ მამაკაცს შინაგანად მამის მოკვლის სურვილი აქვს“. (ო. ფამუქი, 2017:110) (თავი 23-ე, უკვე მეორე ნაწილიდან). მანამდე, პირველ ნაწილშივე ოსტატის მონათხრობის მშვენიერ იოსებზე და მის ჩაგდებაზე ჭაში, საპირისპიროდ ჯემის მიერ ამ მოკლე ისტორიის მონათხრობს წარმოადგენს ავტორი.

ჭის სიმბოლიკა, უფრო ღრმავდება: ჭის თხრა, რაც წყლის მიგნებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ საფრთხილო ოსტატისა თუ შეგირდებისათვის. ჭა უძირო, მიუგნებელია, ჭაში ჩაგდებული მშვენიერი იოსები, ჭაში - ჩავარდნილი ოსტატი მაჰმუდი. ჭა, რომელიც ძველი თურქული სამყაროს კუთვნილებად, ნაშთად ქცეულა XX საუკუნის მეორე ნახევრისათვის, მაგრამ ჭა ცოდვის, სინანულის დანაშაულის შეგრძნება მარადიულად თან სდევს ჯემ ჩელექს. და აქვე ინტრიგაც, რაზედაც ავტორი ნიცშეს სიტყვებით მიგვანიჭებს „წითური ქალის“ ეპიგრაფში: „ოიდიპოსო, მამის მკვლელო, დედის ცოლად შემრთველო, სფინქსის საიდუმლოს ამომხსნელო! რაში მდგომარეობს ბედისწერის ამ სამების აზრის? ირანელთა შორის გავრცელებული ძველი რწმენის თანახმად, დიდი სწავლულის გამოვლენას ინტრიგა სჭირდება“ – (ნიცშე, „ტრაგედიის დაბადება“) (ო. ფამუქი, 2017:3). საიდუმლო ცოდვის შეგრძნებისა სტანჯავს ჯემს, მაგრამ მან არ იცის ბედისწერის განაჩენი, ამიტომ დაეძებს გასაღებს ირანულ ეპოსში „შაჰნამეში“, მის მინიატურებაში, ოიდიპოსისა და სფინქსის თემებზე შექმნილი ენგრისა და გუსტავ მოროს ტილოებში. რას დაეძებს ჯემ ჩელეჩი? - ბედისწერით სვეგამწარებული ადამიანისათვის დანაშაულის შეგრძნების მოხსნას, თუ უშვილობით, უნაყოფობით დატანჯული ცხოვრებისათვის რაღაც გზას, რომელსაც ისევ მიჰყავს მთავარი გმირი ონგარენში უკვე საქმიანი გარიგებისათვის, მამასაც პოულობს, მაგრამ მეორე ფიქრს, ფიქრს წითურ ქალზე, ვერ იშორებს. მისთვის ჯერ კიდევ უცნობია ის ფაქტი, რომ წითური ქალი ოდესღაც მის მამას უყვარდა, ამ ფაქტის გაცნობიერებამ, რომ მამობილი, ოსტატი მაჰმუდი გადარჩა, თითქოს უნდა მოუხსნას იმ დანაშაულის გრძნობა, რომ თავის დროზე არ მიეშველა ჭაში ჩავარდნილს. მაგრამ აქ უკვე ძიებას ჯემი მიჰყავს ფირდოუსის „შაჰნამემდე“, კერძოდ, როსტომისა და მისი ვაჟის ზურაბის ისტორიამდე, კვლავ „ოიდიპოსის კომპლექსი“, ოღონდ შუასაუკუნეების ეპოსში „როსტომიანში“, რომელიც ასე პოპულარული იყო საქართველოშიც, როგორც ლიტერატურათმცოდნე კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, „შაჰნამეს“ ნაწილებიდან ქართულ ლიტერატურაში ცნობილი განსაკუთრებით, „როსტომიანია“. ის შეიცავს ციკლს იმ მოთხრობებისას, რომელნიც თავმოყრილნი არიან ძველი ირანის გამოჩენილი გმირისა და ფალვანის როსტომის, სახელის გარშემო“ (კ. კეკელიძე, ტ. II, 1984:325). იგი ქართულად გადმოუთარგმნიათ სერაპიონ საბაშვილს, ხოსრო თურმანიძეს (XVI ს.), ქართველი მთარგმნელი მეფეთა ისტორიას „თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს, სამაგიეროდ ფალავნების, განსაკუთრებით როსტომის ერთმანეთთან და დევ ავსულებთან რკენას უფრო ხაზს უსვამს“. (კ. კეკელიძე, ტ. II, 1984:337).

რამდენად იყო ცნობილი ქართველთათვის სოფოკლეს „ოიდიპოსი“ (რომელიც ძვ. წ. V საუკუნეში უნდა შექმნილიყო), ვერ დავადგინეთ, თუმცა აღმოსავლურ სამყაროში გავრცელებული როსტომისა და ზურაბის ისტორია, სავარაუდოდ, ანტიკური დასავლეთის ოიდიპოსის მითების გამოძახილი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამაზე ამახვილებს ყურადღებას ორჰან ფამუქი, როცა ცდილობს დასავლურ-აღმოსავლური თემების გაფენა მოახდინოს თავის რომანებში და, განსაკუთრებით, „წითურ ქალში“.

ამაშია ო. ფამუქის შემოქმედების კიდევ ერთი თავისებურებაც, რასაც აღნიშნავს მკვლევარი ენ. პოსოხოვაც, რომ ესააო დიალოგი აღმოსავლურ-დასავლურ კულტურებს შორის, რაც ჰუმანიზმის გამოხატულებაცაა. რაც შეეხება წიგნის გარეკანს, რომელიც დანტე გაბრიელ როსსეტის სურათის „Regina

Cordium“, რეპროდუქცია (თუმცა მიძღვნილი იყო მხატვრის ქორწინებისას მისი მეუღლის ელიზაბეტ სიდალისადმი), გამოხატავს „გულთამპყრობელ ქალს“ – „გულის დამას“, - როგორც მას ბანქოში უწოდებენ.

წითური ქალის თემა ცალკე კვლევის საგანია, ამდენად, წინამდებარე სტატიაში ჩვენი ყურადღება სწორედ ო. ფამუქის ინტერტექსტუალური რომანის „წითური ქალის“ ერთ ქვეთემაზე გამახვილდა, რითაც გამოიკვეთა თურქი ნობელიანტი მწერლის კიდევ ერთი სააზროვნო-მხატვრული ოსტატობა-წარსული და აწმყო დააკავშიროს მარადიულობის კონტექსტში.

ბიბლიოგრაფია:

ს. ყაუხჩიშვილი (1961):ყაუხჩიშვილი ს., ანტიკური ლიტერატურის ისტორია, თბილისი: „ცოდნა“;

მითოლოგიური ლექსიკონი (1972). მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, განათლება;

კ. კეკელიძე, ტ. II, (1981), კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.II, თბილისი: მეცნიერება

დ. კობიძე (2017). კობიძე, დ., სპარსული ლიტერატურის ისტორია, თბილისი;

ო. ფამუქი (2017). ფამუქი ო., წითური ქალი, თბილისი: ბაკურ სულაკაურის

გამომცემლობა.

ინტერნეტრესურსები:

https://ru.wikipedia.org/win/Regina_Cordium

https://ru.wikipedia.org/wiki/Эдилов_комплекс

<https://md-eksperiment.org/post/2022/5-intertesfualnost-romanov-orhana-pamuka>.

საიდუმლო სერობის რემინისცენცია იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“

Nestan Sulava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

აბსტრაქტი

იაკობ ხუცესის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „შუშანიკის წამება“ პურობის ეპიზოდი უაღრესად მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით: 1. უწინარეს ყოვლისა, მას ქრისტიანული მსოფლმხედველობის, ქრისტიანული მრწამსის გამოხატვისა და სახისმეტყველებითი ფუნქცია აკისრია. 2. ამავე დროს, ეპიზოდი მასში მონაწილე პერსონაჟთა ხასიათებს, მათ თვისებებს, განათლებისა და ცოდნის დონეს ასახავს. პურობის მრავალმხრივ საყურადღებო ეპიზოდი ერთდროულად წარმოაჩენს წმინდანი დედოფლის უკომპრომისობას მეუღლის მიმართ, სულიერ სიძლიერეს, უკმაყოფილებას მახლისა და რძლის მიმართ, ერთგულებას ქრისტიანული რწმენისადმი, ქრისტიანული ლიტერატურის, ქრისტიანობის უმთავრესი ღირებულებების, ზნეობრივი მრწამსის, ქრისტიანული სიმბოლოებისა და ლიტურგიული საფუძვლების ღრმა ცოდნას. იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამებაში“ პურობის ამსახველი ეპიზოდის ყოველმხრივი განხილვა-გაანალიზებისა და საიდუმლო სერობასთან მისი მიმართების დადგენა-დაზუსტების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ამ მოვლენის შემსწრე პერსონაჟების ფსიქოლოგიური სახის ჩვენება, ეპიზოდის საღვთისმეტყველო საზრისისა და მხატვრული მნიშვნელობის განსაზღვრა, რაც შუშანიკის, ვარსკენის, ჯოჯიკისა და მისი ცოლის სახეთა წარმოსახვაში კონცეპტუალურ ღირებულებას იძენს. პურობის ეპიზოდი კომპოზიციური თვალსაზრისითაც სიახლეს გვთავაზობს, რადგან აქედან იწყება წმინდანი დედოფლის ფიზიკური წამება და სულიერი განვითარების საკმაოდ რთული, არაორდინარული გზა. პურობის ეპიზოდი მიუთითებს, რომ წმ. შუშანიკის შერიგება ვარსკენთან შეუძლებელია, მათ შორის სამუდამოდ გაწყვეტილია ის კავშირი, რაც აქამდე ერთმანეთთან ჰქონდათ პიტიანშსა და დედოფალს, ცოლსა და ქმარს. ამიტომ მას დროსივრცული მხატვრული მნიშვნელობაც ენიჭება, რადგან პურობის თვალსაზრისით წმ. შუშანიკის ცხოვრებაში ორი პერიოდი გამოიყოფა: 1. ქრისტიან მეუღლესთან ერთად პურობისა და 2. გამაზდებულ მეუღლესთან პურობაზე უარის თქმის შემდგომი პერიოდი, რაც დედოფლისა და პიტიანშის განსხვავებულ ქმედებას, მსოფლმხედველობრივ და დროსივრცულ აღქმას მოასწავებს.

საკვანძო სიტყვები: საიდუმლო სერობა, პურობა, კომპოზიცია, ფსიქოლოგიური სახე-ხატი, შუშანიკი, ვარსკენი, ჯოჯიკი და მისი ცოლი.

The Reminiscence of the Secret Ceremony In Jacob Khutse's "The Torture of Shushanik"

Abstract

In Jacob Khutse's hagiographic work "The Martyrdom of Shushanik", the bread episode is extremely important from several points of view: 1. First of all, it has the function of Christian worldview, expression of Christian faith, and expressive function. 2. At the same time, the episode reflects the character of the characters participating in it, their qualities, level of education and knowledge. The multifaceted episode of the dinner at the same time shows the saintly queen's uncompromising attitude towards her husband, spiritual strength, dissatisfaction with her husband and daughter-in-law, devotion to the Christian faith, deep knowledge of Christian literature, the main values of Christianity, moral beliefs, Christian symbols and liturgical foundations. Jacob Khutse's "St. On the basis of comprehensive discussion-analysis of the episode depicting bread in "Shushanik's torture" and determination-clarification of its relationship with the secret dinner, it was possible to show the psychological face of the characters who witnessed this event, determine the theological sense and artistic significance of the episode, which gives conceptual value to the representation of the faces of Shushanik, Varsken, Jojik and his wife. Acquires the dinner episode also offers us

something new from the compositional point of view, because this is where the physical torture of the holy queen and the rather difficult, unusual path of spiritual development begin. The bread episode indicates that St. It is impossible to reconcile Shushanik with Varsken, between them the connection that Pityakhsh and the queen, wife and husband, had with each other has been broken forever. Therefore, it is also given a temporal and spatial artistic value, because from the point of view of bread, St. Two periods can be distinguished in Shushanik's life: 1. the period after fasting with his Christian wife and 2. the period after refusing to eat with his adulterous wife, which will lead to different actions, worldview and time-space perception of the queen and Pityakhsh.

Keywords: secret supper, bread, composition, psychological face-icon, Shushanik, Varsken, Jojik and his wife.

შესავალი. იაკობ ხუცესის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „შუშანიკის წამება“ პურობის ეპიზოდი უაღრესად მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით: 1. უწინარეს ყოვლისა, მას ქრისტიანული მსოფლმხედველობის, ქრისტიანული მრწამსის გამოხატვისა და სახისმეტყველებითი ფუნქცია აკისრია. 2. ამავე დროს, ეპიზოდი მასში მონაწილე პერსონაჟთა ხასიათებს, მათ თვისებებს, განათლებისა და ცოდნის დონეს ასახავს.

სამეცნიერო ლიტერატურაში იაკობ ხუცესის თხზულების ფილოლოგიური საკითხების კვლევის ადრეულ ეტაპზე დაიწყო მსჯელობა პურობის ეპიზოდის სწორად გასააზრებლად და პურობისას შუშანიკის მიერ გამოთქმული მოსაზრების ქვეტექსტის დასადგენად. კვლევის საწყის პერიოდში შეჯერდნენ მოსაზრებაზე, რომ დედოფალი მეხუთე საუკუნის საქართველოში არსებულ წესს გულისხმობს, რომლის მიხედვით, დედათა და მამათა ერთად პურობა კატეგორიულად იკრძალებოდა, რის მიზეზადაც უძველეს ქართულ ტრადიციას ასახელებდნენ. ეს შეხედულება მხოლოდ ცალმხრივად წარმოაჩენს ეპიზოდის არსს და საჭიროა მისი გადააზრება საღვთისმეტყველო, საისტორიო და ლიტერატურული ნაწარმოებების, ასევე, ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით.

პურობის ეს მრავალმხრივ საყურადღებო ეპიზოდი ერთდროულად წარმოაჩენს წმინდანი დედოფლის უკომპრომისობას მეუღლის მიმართ, სულიერ სიძლიერეს, უკმაყოფილებას მაზლისა და რძლის მიმართ, ერთგულებას ქრისტიანული რწმენისადმი, ქრისტიანული ლიტერატურის, ქრისტიანობის უმთავრესი ღირებულებების, ზნეობრივი მრწამსის, ქრისტიანული სიმბოლოებისა და ლიტურგიული საფუძვლების ღრმა ცოდნას. მაზლმა და რძალმა წმ. შუშანიკი აიძულეს და ჯერ პურობაზე წაიყვანეს, შემდეგ პურის გატეხას აიძულებდნენ, ყველაფერზე უარის თქმის შემდეგ კი რძალმა ღვინიანი ჭიქა მიაწოდა და ღვინის შესმას აიძულებდა, რადგან განდგომიდან მოყოლებული მთელი დღეები უზმოდ გაეტარებინა. ცხადია, შუშანიკ დედოფალი ვერც იძულებას შეეგუა და ვერც ურჯულო, მოღალატე მეუღლის (ამ დროსათვის ვარსკენს მეორე ცოლი ჰყავს შერთული!) გვერდით ყოფნას პურის გასაზიარებლად. სხვა მიზეზებთან ერთად, ამასაც გამოხატავს ჯოჯიკის ცოლისთვის შუშანიკის მიერ ნათქვამი სიტყვები: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“ (ძეგლები, 1963/1964: 17).

ტექსტიდან დამოწმებულ სიტყვებს მკვლევარები განსხვავებულად განმარტავენ, ნაწილი, რომელიც კვლევის ადრეულ ეტაპზე იდეოლოგიური წნეხის საფუძველზე ხსნიდა მას, მიიჩნევდა, რომ აქ ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობაა ასახული და შუშანიკს უკვირს, მიუღებლად მიაჩნია ვარსკენთან, როგორც მამაკაცთან პურობა. ნაწილს კი ახსნილი აქვს სარწმუნოებრივ საფუძველზე, ეპიზოდი იმას მოწმობს, რომ ქრისტიან დედოფალს მიუღებლად მიაჩნია მაზდეან მეუღლესთან პურობა. ორივე თვალსაზრისს აქვს არსებობის უფლება; პირველი საყურადღებოა ეთნოლოგიური მონაცემების გასათვალისწინებლად, რადგან არა მხოლოდ საქართველოში, საზოგადოდ, მამაკაცებისა და დედაკაცების ერთად პურობა არ იყო მიღებული, თუმცა ეს უმაღლეს არისტოკრატიულ წრეს არ ეხებოდა. ჰაგიოგრაფიის კვლევის შემდგომ ეტაპზე გათვალისწინებულია ბიბლიური და საღვთისმეტყველო სწავლების კვალის ძიება თხზულებებში.

კვლევის მეთოდი. საკითხის შესწავლისას ვიყენებთ კვლევის ტრადიციულ და ახალ მეთოდებს, კერძოდ: ისტორიულ-შედარებითს, ანალიტიკურს, ჰერმენევტიკულს, მულტიდისციპლინურს, რომელთა საფუძველზე გამოიკვეთა, ერთი მხრივ, ქართული ჰაგიოგრაფიის ჟანრობრივი მახასიათებლები და პერსონაჟთა სახე-იდებების საზოგადო და ინდივიდუალური თვისებები, მეორე

მხრივ, სახარებისეული იგავური მეტყველების რემინისცენციები ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, კერძოდ, იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამებაში“. მხედველობაში მაქვს საიდუმლო სერობისა და იაკობის თხზულებებში ასახული პურობის ეპიზოდების მიმართებებზე დაკვირვება.

კვლევის მიზანი. სტატიის მიზანია იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამებაში“ პურობის ამსახველი ეპიზოდის ყოველმხრივი განხილვა-განალიზება და საიდუმლო სერობასთან მიმართების დადგენა-დაზუსტება, ამ მოვლენის შემსწრე პერსონაჟების ფსიქოლოგიური სახის ჩვენება, ეპიზოდის საღვთისმეტყველო საზრისისა და მხატვრული მნიშვნელობის განსაზღვრა, კავშირი ეთნოლოგიურ მონაცემებთან.

საკითხის კვლევის ისტორია. უფრო დეტალურად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებათა შესახებ: შუშანიკის ზემოთ დამოწმებულმა პასუხმა, ამ სიტყვების წარმოთქმისას გამჟღავნებულმა განწყობამ და ჩადენილმა მოქმედებამ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კერძოდ: ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ ავტორს წმინდანის „პირადი ხასიათის ზოგიერთი უსიამოვნო თვისების, განსაკუთრებით სიფიცხისა და თავშეუკავებლობის დამალვა... ფიქრად არ მოსდის“ (ჯავახიშვილი, 1977: 59). ალ. ბარამიძის აზრით, პურობის ჟამს დედოფალმა გამოამჟღავნა „ფიცხი, თავშეუკავებელი ხასიათი“ (ა. ბარამიძე, 1978: 45). ხ. ზარიძის შეხედულებით, შუშანიკი „...სულხორციანად აჯანყებული ზომიერებას კარგავს და რძალს სახეში ჭიქას შეაღწეწ“ (ზარიძე, 1978: 37). მ. გიგინეიშვილის აზრით, - სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე მეტად ეს მოსაზრება დამკვიდრდა, - ეს სცენა გამოკვეთს წმინდანის უკომპრომისობას (გიგინეიშვილი, 1978: 231-232). გრ. ფარულავას შეხედულებით, დედოფლის მოქმედებაში „გაჯიქებული ქალის გამომწვევი პოზა და უმწეო ბრახი იხატება. ამ უკანასკნელს გმირის შინაგანი ნებელობა ლაგამს ვერ ამოსდებს და სრულიად გაუმართლებელი მიმართულებით წარმართავს. შუშანიკი, რომელიც მიზანსწრაფულად, დაჟინებით მიიღვტვის ძლიოს ამქვეყნიურს, ყოფითს, ამ სცენაში სწორედ ყოფითს – ადამიანურ ვნებას (გაავებას და ბრახს ყველას მიმართ) შეუპყრია“ (ფარულავა, 1978: 157-158). მ. გიგინეიშვილის მსგავსად, რ. სირაძემ აღნიშნა, რომ პურობის ჟამს იაკობი შუშანიკის სიფიცხეს კი არ გვიჩვენებს და, შესაბამისად, წმინდანის ნაკლს არ წარმოაჩენს, არამედ „შუშანიკისთვის მთავარია ვარსკენს უჩვენოს და უჩვენოს არა მოთმინებით, არამედ აქტიურად, თავისი ურყეობა“ (სირაძე, 1987: 24). ამიტომ შუშანიკმა რომ ჯოჯიკის ცოლს ღვინიანი ჭიქა შეაღწეწა, იქნებ, არც იყო წუთიერი აფეთქების შედეგი. შუშანიკმა ამით მოიშორა მოძალადენი, რომელთაც სურდათ ასე ნება-ნება დაეყოლიებინათ იგი (სირაძე, 1982: 93). გ. ალიბეგაშვილმა ეს ეპიზოდი დაუკავშირა პურის, ღვინის, ზიარების მნიშვნელობას საღვთისმეტყველო თვალსაზრისით და აღნიშნა, რომ წამებული დედოფალი ვარსკენს უჩვენებს, მასთან ერთად ქრისტეს სისხლსა და ხორცს არ ეზიარებოდა, ვინაიდან „ზიარებით ადამიანი ღირსი ხდება მიიღოს საზრდო ცოდვებიდან თავდახსნისათვის, ხორცი და სისხლი მაცხოვრისა... ბუნებრივია, ახალ წესჩვეულებამიღებულ, ქრისტიანობისაგან განდგომილ ვარსკენთან ერთად შუშანიკი სატრაპეზოდ არ დაჯდებოდა“ (ალიბეგაშვილი, 1993: 48-49). ლ. დათაშვილმა ეპიზოდში დაინახა სულისათვის მოსალოდნელი საფრთხე, რადგან თუ შუშანიკი ეშმაკეულ სახლში ეშმას მსახურთა ხელიდან მიიღებდა ზიარებას, ისიც სატანისეულ საქმეთა თანაზიარი გახდებოდა; იგი დედოფლის საქციელს შემდეგნაირად ხსნის: შუშანიკი ვერ მიიღებდა შებილწულ პურ-ღვინოს, ვერ წარიწყმედა ღვთის ტაძარს – საკუთარ სხეულს, მაგრამ, რადგანაც აძალუბდნენ და აიძულებდნენ, ამიტომ გამოხატა წინააღმდეგობა (დათაშვილი, 1996: 15). მოსაზრება გამოითქვა იმის შესახებაც, რომ ამ ეპიზოდში ზიარების დანახვა მისი არასწორი გააზრების შედეგია. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ღვინის მიწოდება ზემოთ დამოწმებულ სამეცნიერო ნაშრომებში არცაა ზიარებად მიჩნეული, რადგან, ბუნებრივია, ყველასთვის ცნობილია, რომ ლიტურგიის წესების სრულად აღსრულება აუცილებელია, მათ შორის ისეთი უმნიშვნელოვანესი ლიტურგიული პროცედურისა, როგორიცაა ზიარება; მღვდლის მიერ მხოლოდ გარკვეული რიტუალის შესრულების შემდეგ, ღვთის მადლით, ეკლესიაში უხილავად გადმოდის საღმრთო ძღვენზე სულიწმიდის მადლი და ლიტონი პური და ღვინო გარდაისახება მაცხოვრის ჭეშმარიტ ხორცად და სისხლად. იოანე მახარებლის სწავლებით, „რომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და ჰსუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთან დადგრომილ არს და მე – მის თანა“ (იოანე 6,56). ამ ეპიზოდის მიზანდასახულობა არცაა ზიარებაზე მითითება; ისიც აღსანიშნავია, რომ ეპიზოდში სიტყვები პური და ღვინო ერთიან კონტექსტში არაა ნახსენები, ხოლო ზიარების კომპონენტები პური და ღვინოა და არა მხოლოდ ღვინო, რომელიც ჭიქის შეღწევისას დაითხია. შესაბამისად, წმ. შუშანიკი თავისი არაორდინარული ქმედებით, რძლისთვის ღვინიანი ჭიქის შეღწევით, ვარსკენს ვერ

მიანიშნებდა, რომ მასთან ერთად ქრისტეს სისხლსა და ხორცს არ ეზიარებოდა. აზრთა ამგვარი სხვადასხვაობის გამო გახდა საჭირო ეპიზოდის განხილვა მის ხელახლა გასააზრებლად. ეს მით უფრო საშურ საქმედ მიმაჩნია, რადგან ამ ეპიზოდში ყოველი პერსონაჟი თავისი ადამიანური თვისებებით წარმოჩნდება. საამისოდ დავიმოწმებ „შუშანიკის წამების“ ანტონ პირველისეული მეტაფრასული რედაქციის განხილვისას ნ. ჯანაშიას მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომელიც საზოგადოდ იაკობ ხუცესის თხზულებას შეეხება. მან შენიშნა, რომ ანტონ კათალიკოსმა პირველმა დაინახა ამ თხზულების პერსონაჟთა ადამიანური ხასიათი, მისი სიტყვით, მან დაინახა გასაოცარი სინაზე იქ, სადაც სხვები მხოლოდ სიმკაცრეს ხედავდნენ, ცრემლის იქით ღიმილი და ღიმილის იქით - ცრემლი, მრისხანების ჯავშანში შემალული სათნოება და სიკეთის ლეჩაქით თავდახურული მზაკვრობა.

მსჯელობა. ამ რთულად გასააზრებელ ეპიზოდს, რომელსაც თხზულების კომპოზიციურ რკალში, მის არქიტექტონიკაში განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს, ევანგელური საწყისი აქვს. მისი მსოფლმხედველობრივი და სახეობრივი საფუძველი ევანგელური საიდუმლო სერობა ჩანს; ვფიქრობ, რომ ყოველივე ამასთან ერთად, მას ევანგელური სახისმეტყველებითი მისია აკისრია და ესაა ღმერთთან შუშანიკის მიმართების გამოხატვა. მკვლევართა მიერ რელიგიური თვალთახედვით გააზრებული ზემოხსენებული მოსაზრებები შესაწყნარებელია, თუმცა მაინც არასრულად წარმოსახავს საკითხის არსს. მთავარი ისაა, რომ წმ. შუშანიკი უკომპრომისოა საწუთროული მეუღლის მიმართ და თავის განწყობილებას სწორედ ამ მკვეთრად, მრისხანედ წარმოთქმული სიტყვებით გამოხატავს, ხოლო მეუღლისაგან გვემას პურობაზე უარის თქმის გამო ღვთის ნების გამოხატულებად მიიჩნევს. რაც შეეხება მრისხანებას, რომელიც ქრისტიანულ მოძღვრებაში ერთ-ერთ მომაკვდინებელ ცოდვადაა მიჩნეული და რომლის განმკურნებელია ერთ-ერთი სათნოება - სიმშვიდე, მაგრამ აქვე უნდა განიმარტოს, რომ რისხვის შესახებ თვით საღვთისმეტყველო ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ მრისხანება ნაკლად არ მიიჩნევა, თუ ის ცოდვის წინააღმდეგ მიიმართება; ამიტომ, საფიქრებელია, რომ იგი შუშანიკის, როგორც წმინდანის სახეს, არ აფერმკრთალებს და ავტორიც, იაკობ ხუცესიც, არ მალავს პურობისას შუშანიკის მიერ გამოვლენილ მრისხანებას, პირიქით, აღნიშნავს: „ჰრქუა მას რისხვით“. ეს დეტალი, შუშანიკის რისხვაზე საუბარი, ავტორის მიერ „მრავლისაგან მცირედის“ გამორჩევაა და ამ საკითხზე ყურადღების შეჩერება აუცილებელია იმის გამო, რომ ხშირად დაისმის კითხვა, წმინდანი დედოფლის სახეს ჩრდილს ხომ არ ჰყენს პურობისას გამოვლენილი რისხვა. ცხადია, მრისხანება ცოდვაა, მით უმეტეს, როდესაც მას უარყოფითი შედეგი მოჰყვება. აქ შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპიროთ შუშანიკისა და ვარსკენის რისხვა, რომელთა საფუძველი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულია. ვარსკენის რისხვას მოჰყვა მძიმე შედეგი - მთელი სისასტიკით შუშანიკის ცემა, რაც, ფაქტობრივად, დედოფლის პირველი ფიზიკური ტანჯვა-წამებაა, მისი წამების დასაწყისია.

სწორედ პურობიდან იწყება წმ. შუშანიკის ფიზიკური წამება, რაც სიმბოლური სახისმეტყველების კვალობაზე საიდუმლო სერობის შესახებ ევანგელურ მონათხრობს ემყარება. საიდუმლო სერობა პურობის იდეალად, მონაწილეთა იდეალურ პურისმტეობადაა დასახული სახარებიდან მოყოლებული მთელს საღვთისმეტყველო ლიტერატურაში და, შესაბამისად, ამ დროს დაწესებული ეკპარისტია ქრისტიანული მრწამსის საფუძველთა საფუძველია. ეკპარისტია წინასწარ მოიაზრებს ღვთის სასუფეველს, იგი იმის გამოხატულება და რწმენაა, რაც მაცხოვარმა კაცობრიობას პურის განტეხითა და სასმელის შესმით აუწყა, ე.ი. საკუთარი თავი განუცხადა. საიდუმლო სერობისას ქრისტემ თავის მოწაფეებს მიმართა, რომ ისინი მოიპოვებდნენ სასუფეველს და შეძლებდნენ სასუფეველში მასთან ერთად ტრაპეზობას, ჭამასა და სმას: „მიიღეთ და ჭამეთ, რამეთუ ესე არს ჯორცი ჩემი... ესე არს სისხლი ჩემი ახლისა სჯულისაჲ, მართალთათჳს დათხუელი“ (მარკოზი, 14, 22, 24); „რადთა სჭამდეთ და ჰსუმიდეთ ტაბლასა ზედა ჩემსა“ (ლუკა, 22,30). სწორედ ესაა ზიარება, რაც ზეციური პურისა და სასმელის, როგორც უკვდავების საზრდოს სახით ვლინდება. ამიტომ ეკისრება პურობის ეპიზოდის ასახვას სიმბოლური მნიშვნელობა, ამავე დროს, აქვს მხატვრული ღირებულება, რათა წმ. შუშანიკის ხატ-სახე უფრო სრულყოფილად წარმოჩნდეს და ქრისტიანულ ლიტერატურაში მისი განათლება უფრო მეტად თვალსაჩინო გახდეს. ეკპარისტია არსობის პურის მისტერიაა, რაზეც საუბარია ქრისტიანული რელიგიის უპირველეს ლოცვაში, „მამაო ჩვენოში“. პურის მოზიარედ ყოფნა, სულის პურისმტეობა იაკობის თხზულებაში საიდუმლო სერობის მეინახეობის პროექციად წარმოდგება. შესაბამისად, იაკობი წმ. შუშანიკსა და ვარსკენ პიტიახშს, ჯოჯიკთან და მის ცოლთან ერთად, თანამეინახეებად წარმოჩენს, რაც იმას ნიშნავს, რომ თანამეინახეები, - გამონაკლისის გარდა, რომელშიც იუდას სახის, როგორც გლისპისა და გამცემის სახის, ჰიპოდოგმა უნდა ვიგულისხმოთ, - თანამოზიარეები, სულიერი

პურისმტეხები არიან. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ იაკობის მიერ პურობის ეპიზოდის ასახვა-გადმოცემა ზიარებასთან არაა გაიგივებული, ესაა ჩვეულებრივი პურობა, რომელსაც სიმბოლურ ელფერს სძენს ღვინის დაღვრა და შემდეგ კი იაკობის მიერ სენაკში განმარტოებით მოთავსებული ნაცემ-ნაგვეში შუშანიკისათვის ღვინოში დამბალი პურის შეთავაზება, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამას მღვდელი სთავაზობს, მაინც არ არის ის ზიარება, რომელიც ლიტურგიული პროცესის თანამდევია, ზიარების წინ საღმრთო ლიტურგიის მსვლელობის დროს თანდათანობით მზადდება წმინდა ზიარების უმთავრესი საგანი - ღვინისა და პურის მაცხოვრის სისხლად და ხორცად გარდაქმნა. „შუშანიკის წამებაში“ ამგვარი რამ არაა ასახული, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს მხოლოდ რემინისცენციაა საიდუმლო სერობისა.

მწერალი-ჰაგიოგრაფი წმ. შუშანიკისა და ვარსკენ პიტიახშის ერთად პურობას ქრისტიანული მსოფლმხედველობით აღზრდილი დედოფლის აღქმის კვალობაზე საიდუმლო სერობის დესაკრალიზაციად მიიჩნევს, რადგან მას იძულებით უწევს ქრისტიანული რელიგიის მოღალატის გვერდით ყოფნა პურობაზე, მეტიც, პურის//პურობის მოხიარულ გახდომა, პურისმტეხობა დაუპირეს. ჯერ მაზლმა და რძალმა აიძულეს და პურობაზე წაიყვანეს, შემდეგ პურის გატეხას აიძულებდნენ, ყველაფერზე უარის თქმის შემდეგ კი რძალმა ღვინიანი ჭიქა მიაწოდა, რადგან განდგომიდან მოყოლებული მთელი დღეები უზმოდ გაეტარებინა. ცხადია, ვერც იძულებას შეეგუა და ვერც ურჯულო, მოღალატე (ვარსკენმა სამგვარი ღალატი ჩაიდინა: სახელმწიფოებრივი, სარწმუნოებრივი, პირადული) მეუღლის გვერდით ყოფნას პურის გასაზიარებლად. ევანგელურ მოძღვრებაზე აღზრდილმა შუშანიკმა ძალიან კარგად იცის, რომ იდეალური პურობა, პურისმტეხობა ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანია, იგი საიდუმლო სერობის სიმბოლოა. ცხადია, აქ საუბარი არ და ვერც გვექნება ზუსტ ანალოგიაზე, ან პერსონალიათა ზუსტ დამთხვევაზე, საუბარი მხოლოდ სიმბოლურ მნიშვნელობას შეეხება. ყველა წამებულის მსგავსად, წმ. შუშანიკი ხომ მაცხოვრის, იესო ქრისტეს მოწამებრივი გზის დამოწმებითა და გავლით გახდა მოწამე-წმინდანი. მან სულიერი განვითარების ურთულესი გზა გაიარა, რათა განღმრთობისათვის მიეღწია. ესაა წმ. შუშანიკის პოზიცია.

მაგრამ იაკობ ხუცესი მხოლოდ ჰაგიოგრაფიული ღვთისმეტყველებით არ გვაწვდის მოვლენას, არამედ ღრმად გვახედებს მის არსში და პურობაზე მსხდომ სხვა პერსონაჟთა მხატვრულ სახეებსაც გვაცნობს. ამიტომ მნიშვნელოვანია მწერლის დამოკიდებულება ვარსკენ პიტიახშისადმი, ჯოჯიკისა და მისი ცოლისადმი. ჯერ ვარსკენის შესახებ. თხზულებაში არაა აღნიშნული, რომ პურობაზე შუშანიკი ვარსკენის ინიციატივით მიჰყავდეთ ჯოჯიკსა და მის ცოლს. ვარსკენის ბრძანებით, პურობას უნდა ესწრებოდნენ თვითონ ვარსკენი და მისი ძმა ჯოჯიკი მეუღლითურთ. აქ არაა დასახელებული შუშანიკი. შეიძლება ორგვარი ვარაუდის დაშვება: 1. ვარსკენის სიტყვებში - „მე, ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ“ - მასთან ერთად იგულისხმებოდეს შუშანიკი, როგორც მისი მეუღლე, თუმცა ახსენებს მხოლოდ ჯოჯიკის მეუღლეს, და 2. თვით ვარსკენი არ ახსენებს შუშანიკს, მაგრამ ჯოჯიკი და მისი ცოლი სასახლეში დაბრუნებულ შუშანიკს მაინც ვარსკენის გვერდით მოიაზრებენ და აიძულებენ პურობაზე წასვლას. ვარსკენის ზრახვებს პირდაპირ არ გვეუბნება იაკობი, სტრიქონებს მიღმა ჩამალული მწერლის დამოკიდებულება, რომ ვარსკენი უფრო მეტი უარყოფითი ნიშან-თვისებებით აღჭურვოს და წარმოაჩინოს. იგი ფარულად ცდილობს ისეთი ვითარება შექმნას, რომ შუშანიკი გადაიბიროს და შერიგებისაკენ გადაადგმევინოს ნაბიჯი. პურობა, ტრაპეზი, ერთად სადილობა და ვახშამი ინტიმურ და ინტელექტუალურ გარემოს ქმნის, რასაც შესაძლოა ვარსკენისათვის სასურველი შედეგი, შუშანიკის შემორიგება, მოჰყვეს. წმ. შუშანიკ დედოფლის მკვეთრი დამოკიდებულების გამოხატვამდე ვარსკენის პოზიცია არ იკვეთება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დედოფალმა ღვინიან ჭიქას ხელი აჰკრა და ღვინო დაიღვარა, იქცევა ისე, როგორც დეტალურადაა აღწერილი იაკობ ხუცესის მიერ.

ჯოჯიკი და მისი ცოლი, - ამ უკანასკნელის სახელიც კი არაა თხზულებაში ნახსენები, რაც მისი სახის ნაკლებად მნიშვნელოვნებას მიუთითებს, - ფაქტობრივად, მეორეხარისხოვანი პერსონაჟები არიან, მათ ბევრი არაფერი ეკითხებათ თხზულებაში მიმდინარე მოვლენების განვითარებაში, არც ერთი მათგანი ინდივიდუალური თვისებებით არ არიან აღჭურვილნი. თუმცა, ამ ეპიზოდშიც და სხვაგანაც ნათლად ჩანს მათი ადამიანური, გულთბილი, სიყვარულითა და თანაგრძნობით აღსავსე დამოკიდებულება წმინდანი დედოფლისადმი. ავტორი არც იმას გოვებს უყურადღებოდ, რომ პურობაზე წმ. შუშანიკი მათ იძულებით მიიყვანეს, რაც იმასაც გვაფიქრებინებს, რომ დასაშვებად მიაჩნდათ შუშანიკისა და

ვარსკენის შერიგება, მიუხედავად შუშანიკისაგან აქამდე არაერთგზის გამოვლენილი წინააღმდეგობებისა.

მეტად საგულისხმოა მწერლის მიერ წმ. შუშანიკის მიერ პურობისას რძლისათვის ღვინიანი ჭიქის შეღებვისა და ღვინის დაღვრის სურათის დახატვა, რასაც ვარსკენის მყისიერი რეაქცია მოჰყვა და რაც საოცრად გამჭვირვალე სიმბოლოვით მიაწვდის წმ. შუშანიკის მოსალოდნელ წამებაზე. როგორც მ. გიგინეიშვილმა შენიშნა, ღვინის დათხევა ერთგვარი წინასაფხურისაა იაკობის მიერ წამებული დედოფლისათვის ღვინოში დამბალი პურის მიწოდებისა, რაც, ფაქტობრივად, ზიარების მაუწყებელია (გიგინეიშვილი, 1978: 231-232). ამ აზრს განამტკიცებს იაკობის, მღვდლის მიერ მიწოდება ღვინოში დამბალი პურისა. თუმცა ეს მხოლოდ მინიშნებაა, რემინისცენციაა. აქ ქრისტიანული დროსივრცული პოეტიკა იჩენს თავს. ზიარებაზე მინიშნება ახალ თვისებრიობაში გადასვლის მაუწყებელია, ე. ი. თხზულებაში ასახული დრო ქრისტიანობაზე უარყოფითად წარმოჩნდება. აქ ქრისტიანული და წარმართული დრო უპირისპირდება ერთმანეთს.

იაკობ ხუცესმა სენაკში დატყვევებულ კბილებ და ყბებჩამტვრეულ დედოფალს საკვები მიუტანა, რომელიც სამოელ კათალიკოსმა გაუგზავნა, მწერალმა ნაწამები წმ. შუშანიკის ხილვისას ცრემლები ვერ შეიკავა და იტირა, რაზეც თვით დედოფალმა, რომელსაც თავისი ამგვარი მდგომარეობა ღვთისაგან ბოძებულ სიკეთედ მიაჩნია, უსაყვედურა: „კეთილისა ამისათვის სტირა, ხუცეს?“ ხოლო იაკობის შეთავაზებაზე, მიეღო მცირედი საზრდელი, უპასუხა: „ხუცეს, ვერ ძალ-მიც გემომს-ხილვად, რამეთუ კბილნი და ყბანი შთამუსრვილ არიან“ (ძეგლები, 1963/1964: 18); ამ ეპიზოდსაც ბიბლიური საფუძველი აქვს და წმ. შუშანიკი ევას საპირისპირო სახედ წარმოჩნდება საკვების „გემომს-ხილვაზე“ აქცენტებით. ევამ აკრძალული ხილის „გემომს-ხილვით“ ცოდვა ჩაიდინა, რომელიც არ მოუწიებია და შედეგად პირველქმნილ ადამიანთა, ზეციური ადამისა და ევას ცოდვითდაცემა და სამოთხიდან განდევნა მოჰყვა. შუშანიკმა, მართალია, კონკრეტული შემთხვევა დაიმოწმა და განაცხადა, რომ ყბა-კბილთა შთამუსვრის გამო არ ძალუძს „გემომს-ხილვა“, მაგრამ როგორც თვით შუშანიკ დედოფალს, ასევე მწერალ-ჰაგიოგრაფს კარგად აქვს გააზრებული პირველცოდვის საფუძველი - აკრძალული ხილის ნაყოფის „გემომს-ხილვა“ და მას ევას ქმედების საპირისპირო ქმედებით, საკვების „გემომს-ვერხილვით“ წმინდანისათვის დამახასიათებელი თვისებით წარმოაჩენს. იაკობ ხუცესი დედოფლის სულიერი მოძღვარია, მანუგეშებელია, თანამგრძნობია, თანამოაზრეა. თვით წმ. შუშანიკი მას პატივისცემითა და სიყვარულით ექცევა, მის ნააზრევს ანგარიშს უწევს, მის მომავალზე ზრუნავს.

შედეგები და დასკვნები:

ეთნოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, არა მხოლოდ საქართველოში, საზოგადოდ, მამაკაცებისა და დედაკაცების ერთად დასახდომა პურობაზე არ იყო მიღებული, თუმცა ეს უმაღლეს არისტოკრატიულ წრეებს არ ეხებოდა.

წმ. შუშანიკს პურობის ეპიზოდი საბოლოოდ არწმუნებს, რომ ვარსკენთან შერიგება შეუძლებელია, მათ შორის სამუდამოდ გაწყვეტილია ის კავშირი, რაც აქამდე ერთმანეთთან ჰქონდათ პიტიანხსა და დედოფალს, ცოლსა და ქმარს. ამიტომ აქ ორი პერიოდი გამოიყოფა: 1. ქრისტიან მეუღლესთან ერთად პურობისა და 2. გამაზდეანებულ მეუღლესთან პურობაზე უარის თქმის შემდგომი პერიოდი. ესეც დედოფლისა და პიტიანხის განსხვავებულ ქმედებას, მსოფლმხედველობრივ და დროსივრცულ აღქმას მიუთითებს.

ამრიგად, იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამებაში“ პურობის ამსახველი ეპიზოდის განხილვამ და საიდუმლო სერობასთან მისი მიმართების გარკვევამ გვიჩვენა ამ მოვლენის შემსწრე პერსონაჟების ფსიქოლოგიური სახე, განსაზღვრა ეპიზოდის საღვთისმეტყველო საზრისი და მხატვრული მნიშვნელობა, რაც შუშანიკის, ვარსკენის, ჯოჯიკისა და მისი ცოლის სახეთა წარმოსახვაში კონცეპტუალურ ღირებულებას იძენს. პურობის ეპიზოდმა კომპოზიციური თვალსაზრისითაც სიახლე შემოგვთავაზა, რადგან აქედან იწყება წმინდანი დედოფლის ფიზიკური წამება და სულიერი განვითარების საკმაოდ რთული, არაორდინარული გზა, რაც წმ. შუშანიკს გაუძღვა ზეცათა მოქალაქობისაკენ.

დამოწმებული ლიტერატურა:

ალიბეგაშვილი, 1993: გ. ალიბეგაშვილი, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“, წიგნში: „საუბრები ქართულ ლიტერატურაზე“, თბილისი, 1993.

ბარამიძე, 1978: ალ. ბარამიძე, ათასხუთასი წლის ძეგლი, საიუბილეო კრებული „შუშანიკის წამება“, თბილისი, 1978.

გიგინეიშვილი, 1978: მ. გიგინეიშვილი, შუშანიკის წამება – 1500, ჟ.: „საუნჯე“, N6, 1978.

დათაშვილი, 1996: ლ. დათაშვილი, საღვთისმეტყველო საკითხები ქართულ ჰაგიოგრაფიაში, თბილისი, 1996.

ზარიძე, 1978: ხ. ზარიძე, იაკობ ცურტაველის მხატვრული ოსტატობის ერთი საკითხი, საიუბილეო კრებული „შუშანიკის წამება“, თბილისი, 1978.

სირაძე, 1987: რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, თბილისი, 1987.

ფარულავა, 1978: გრ. ფარულავა, იაკობ ცურტაველის პოეტური ხელოვნება, საიუბილეო კრებული „შუშანიკის წამება“, თბილისი, 1978.

ძეგლები, 1963/1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბუჯდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963-1964.

ჯავახიშვილი, 1977: ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თხზ., ტ. 8. „მეცნიერება“, თბილისი, 1977.

ფრინველის გამოსახულებიანი მოხატული თიხის ჯამის თავისებურებანი XII-XIII საუკუნეების საქართველოში

Mariam Izoria

Doctoral Student in Archaeology at Georgia Tech University, Georgia

Maia Izoria

Tbilisi State Academy of Art of AP. Kutateladze, Georgia

აბსტრაქტი

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა არა მარტო წინაქრისტიანულ, არამედ ქრისტიანულ ეპოქაშიც კერამიკული ნაკეთობების მრავალრიცხოვნებით ხასიათდება. თიხა თავისი განსაკუთრებული თვისებების და ადვილად ხელმისაწვდომობის გამო ადამიანის ყურადღებას უხსოვარი დროიდან იპყრობდა. ამჟერად შემოვიფარგლებით ჭურჭლით. რომელიც ძირითადად წარმოდგენილია ფრინველის გამოსახულებიანი მოხატული ჯამებით. ისინი XII-XIII სს. განეკუთვნება. ნაშრომზე მუშაობის მოტივაცია იმანაც განაპირობა, რომ რიგი მკვლევარი თიხის ჯამებზე გამოსახულ ფრინველებს ხოხბად წარმოისახავს. კვლევის შედეგად დამტკიცდა რომ შუასაუკუნეების ხოხბის გამოსახულებიან მოჭიქურებულ ჯამებს ახასიათებს დახვეწილობა, ჭურჭლის კედლის სითხელე, სიმსუბუქე, თვითმყოფადი ფორმა, დამზადების მაღალი ტექნოლოგიური დონე. ამ პერიოდის ნიმუშებში ნათლად ჩანს გამოყენებული თიხის სტრუქტურა, ერთგვაროვნება, ფერი, მორგვზე დამზადების კვალი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზედაპირის მოხატულობა, გრაფიკული ნახატი, ფერი, ფუნჯის სახასიათო მონასმი, დეკორის მომგებიანი მდებარეობა, კომპოზიციური გადაწყვეტა, სემანტიკა (შინაარსი), იმ პერიოდის სხვა მხატვრობის დარგებთან და კულტურებთან სიახლოვე.

საკვანძო სიტყვები: კერამიკა, ხოხობი, არქეოლოგია, მოხატული, ჭურჭელი

Peculiarities of Painted Pottery Depicting Birds in Georgia in the 12th-13th Centuries

Abstract

Archaeological material excavated on the territory of our country is characterized not only by the pre-Christian, but also by the Christian era with an abundance of ceramic products. Clay has attracted people's attention since time immemorial due to its special properties and ease of access. This time we will restrict ourselves to dishes. These are mainly drawn amounts with the image of a bird. They are XII-XIII centuries. Belongs. The motivation to work on the work was also related to the fact that a number of archaeological researchers depict birds on clay pots as pheasants. This is the result of studies that have proven that glazed jugs in the shape of medieval pheasants are distinguished by their sophistication, fluidity of ceramic walls, lightness, original design (shape), and high technological level of production. It is the result of research that has proven that medieval pheasant glazed Bowl are characterized by sophistication, pottery wall fluidity, lightness, original design (form), high technological level of production. The samples of this period clearly show the structure of the clay used, the uniformity, the color, the traces of making on the mortar. Special mention should be made of the surface painting, graphic drawing, color, characteristic character of the brush, advantageous location of the decor, compositional solution, semantics (content), proximity to other painting fields and cultures of that period.

Keywords: ceramics, pheasant, archeology, painting, pottery.

წარმოდგენილი კვლევის საგანი - ფრინველისგამოსახულებიანი მოჭიქურებული თიხის ჯამები, განვითარებული შუა საუკუნეების (XII -XIII სს.) საქართველოს, მისი კულტურის ზეობის ხანას უკავშირდება. ამგვარად გაფორმებული თიხის ჯამები მეტად გავრცელებული ჩანს იმ პერიოდში და თითქმის ყველგან გვხვდება, სადაც კი მოჭიქული კერამიკაა აღმოჩენილი (ილ.1). თბილისის გარდა, მონათული ნაკეთობები მოპოვებულია დმანისსა და რუსთავის ნაქალაქარზე, უჯარმის ნაციხარზე, გუდარეხის ნამონასტრალის ტერიტორიაზე, გორსა და ძველ ანაგაში, იყალთოსა და სალესავის ხევში (კახეთი), თრიალეთში და სხვაგან. ჯამების გაშლილი ფორმა და შიდა პირზე დატანილი ფრინველის ფიგურა ძირითადი ნიშნებით უახლოვდება ერთმანეთს. საერთოა ფრინველის ირგვლივ შემოვლებული მცენარეული მოტივის, ბაკოსა და ქიმზე შემოტარებული წრიული ზოლების ელემენტებიც. ფრინველის მარცხნივ მიმართული პროფილოვანი გამოსახვის იკონოგრაფია, სტილიზების მანერა და ფერადოვნება უაღრესად დამახასიათებელია განვითარებული შუა საუკუნეების ქართული კერამიკისათვის (ილ.2). თუმცა ფრინველის ტიპი ყოველთვის ერთი და იგივე არ არის [ჯაფარიძე ვ., 1956, გვ. 30-31]. ფრინველთა იმ რიგს, რომელიც შემართულ, მებრძოლ პოზაში დგას, მოკაუჭებული ნისკარტი, ზეაწეული თავი, მკვეთრად გამოწეული მკერდი და ბრწყალებიანი ძლიერი ფეხები აქვს „მტაცებლის“ ნიშნებს მიაწერენ. პარალელურად იკვეთება შედარებით „რბილად“ მოხაზული ფრინველების ჯგუფი, რომელსაც ეს თვისებები არ გააჩნია და ქვედა არეზე კისრის ირგვლივ „ყელსაბამივით“ ორნამენტის ზოლი შემოუყვება.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სწორედ XII-XIII საუკუნეების მოჭიქურებულ ჯამებზე დატანილმა ამ ტიპის ფრინველის გამოსახულებებმა, რომელიც დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის - ს.ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმისა და თბილისის ისტორიის მუზეუმის „ქარვასლის“ ფონდებში, აგრეთვე რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და რუსეთში, სანქტ-პეტერბურგის ერმიტაჟის კავკასიოლოგიის განყოფილებაში. ჩვენი კვლევის ობიექტად თბილისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნიმუშების შერჩევა განაპირობა წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის მოტივაციამ, კერძოდ იმ გარემოებამ, რომ მოჭიქურებულ კერამიკაზე შესრულებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფრინველის გამოსახულება უმეტესწილად სახეობის დაზუსტების გარეშეა განხილული, ხოლო თბილისის არქეოლოგიის მკვლევარის, ს.ჯანაშიას სახ. ისტორიის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის - მერაბ ძნელაძის ვარაუდით, თიხის ჯამებზე გამოსახული „ყელსაბამიანი“ ფრინველი ხოხობად უნდა ყოფილიყო წარმოსახული.

ორნითოლოგია ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა. პირველრიგში ყურადსაღებია ხოხობის ლათინური სახელწოდება (Phasianus) ე.წ. ფაზანი და უშუალოდ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადარი „კოლხური ხოხობის“ სახელწოდება (ლათ. Phasianus colchicus), ე.წ. კოლხური ფაზანი, რაც მდინარე რიონის ძველი სახელწოდებიდან უნდა მომდინარეობდეს. კოლხური ხოხობის ქვესახეობებს ყავისფერის დომინირების მიუხედავად, ყელზე შემოვლებული თეთრი, წითელი და ლურჯი ფერის ზოლების კონტრასტებით გამოწეული მკვეთრი შეფერილობა გამოარჩევს. მათ აგრეთვე აერთიანებს კარგად განვითარებული ფეხები, (მამალს დეხებიც აქვს), მოკლე მომრგვალებული ფრთები და გრძელი კუდი [ქსე ტ. 5, 1980, გვ. 598].

ამგვარად, კოლხური ხოხობის ბუნებრივი მონაცემები ადასტურებს მის ვიზუალურ მსგავსებას ჯამებზე წარმოდგენილი „ყელსაბამიანი“ ფრინველის პირობით გამოსახულებასთან. გამოთქმული მოსაზრება დასაშვებად მიგვაჩნია იმ თვალსაზრისითაც, რომ ხოხობი თბილისთან, მისი შექმნის ლეგენდასთან ასოცირდება. ცნობილია, რომ თბილისის წარმოშობის ორივე ლეგენდა მეფე ვახტანგ გორგასალის ნადირობის პერიპეტიებს ასახავს. ერთ ამბავში ისრით დაჭრილი ხოხობი და მასზე დადევნებული შევარდენი ადულებულ გოგირდოვან წყაროში იფუფქებიან, ხოლო მეორეში - მეფის მიერ ნასროლი ისრით დაჭრილი ირემი გოგირდოვანი წყლით განკურნებული თავს შველის. ორივე შემთხვევაში ლეგენდის სცენა დღევანდელ „აბანოთუნის“ ტერიტორიას, მაშინდელ ფლორა-ფაუნით დაფარულ მდიდარ წალკოტს გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ ხოხობის ლეგენდის წარმომავლობის ისტორია ჯერ კიდევ გამოკვლეული არ არის, შეიძლება იმის თქმა, რომ ძველ წერილობით წყაროებში იგი არ ფიქსირდება, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვერ მოვიძიეთ. ამასთან დაკავშირებით, ისტორიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ლეგენდის ზოგ ვერსიაში მეფის სახელი არ ფიგურირებს. მისივე თქმით, ეს შეიძლება ასახავდეს ცალკეული ლეგენდის შედარებით ძველ პლასტს, რომელშიც მოგვიანებით ჩართული იქნა

მცხეთიდან თბილისში ქვეყნის დედაქალაქის გადამტანი მეფის - ვახტანგ გორგასალის სახელი [Лордкипанидзе М., 1991, გვ. 9-10]. როგორც ჩანს, მეცნიერი ხოხობის ლეგენდას მაინც ისტორიის სიღრმეში ათავსებს. ამ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ზოგადად ლეგენდის წარმოშობის ქარგა. კერძოდ ის, რომ ლეგენდა უფრო მოგვიანო ხანას განეკუთვნება, ვიდრე ვითომდაც შესაძლოდ მომხდარი ამბავი... იგი ხორცშესხმულია დროსა და სივრცეში, როდესაც ლეგენდის შემქმნელი ქვეყანა კულტურულ-ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის და იმდენად ძლიერდება, რომ წარსულის რომანტიზებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. სავარაუდოა, ამ გზით უნდა გამხდარიყო წარსულის ხსოვნის სიმბოლო ჯამებზე წარმოდგენილი „ყელსაბამიანი“ ფრინველის ანუ ხოხობის გამოსახულება... (ილ. 3). მაგრამ რატომ შეარჩიეს მაინცდამაინც ჯამის ფორმა თბილისის შექმნის ლეგენდის მოტივის გადმოსაცემად? ანდა რაში გამოიხატება მისი უპირატესობა კერამიკული ჭურჭლის სხვა სახეობათა შორის? უახლოესი სინონიმი ჯამფიალა, იგივე ფინჯანი - სასმისის, თასის, ბარძიმის, აზარფეშას ფუნქციას წარმოაჩენს, რაც ძველდმოსავლური ტრადიციით საკრალური დატვირთვის მქონეა და ინიციაციის სიმბოლოდ განიხილება. ამიტომ ხალხურ ცნობიერებაში ალბათ ჯამიც წარსულის ხსოვნასთან დაკავშირებულ საკრალურ საგანთანაა ასოცირებული., XII-XIII საუკუნეებში ხოხობისგამოსახულებიანი ჯამების მაღალმხატვრული ნიმუშების გამოჩენა ამასთანავე თანხვედრა ეპოქას, როდესაც საქართველოში დასრულებულია მე-IX საუკუნიდან დაწყებული ჭიქურის ათვისებისა და ფართოდ გავრცელების პროცესი [ჯაფარიძე ვ., 1956; მიწიშვილი მ., 1969; 1976; 1979; და სხვ.].

ზემოთქმულიდან გამომდინარე ლოგიკურად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ თბილისის კერამიკული სახელოსნოს განათხარიდან, გადანაყარიდან და სხვა შემთხვევითი მონაპოვარიდან ამოღებული მოჭიქურებული კერამიკა ძირითადად ხოხობისგამოსახულებიანი წითელკეცა ჯამებითაა წარმოდგენილი (ილ 4). მათი მოხატულობის მთავარი მხატვრული ღირსება გრაფიკულ-ფერწერული თვისებებით გამორჩეული საოცარი სტილისტური მთლიანობაა. უკლებლივ ყველა ჯამს ერთმანეთის მსგავსი ფორმა აქვს, - სწორპირიანია და შიგნით დაქანებული ბაკოთი, გამოყვანილი ქუსლით და ოდნავ ამოზრცული ძირით ხასიათდება. შიდა პირზე გამოსახული მაღალფეხა ფრინველის მარცხნივ მიმართულ იკონოგრაფიას მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი არღვევს. მისი „ყელსაბამივით“ დეკორირებული თხელი მოღერებული კისერი პატარა თავითა და წვეტიანი ნისკარტით სრულდება, ხოლო მრგვალი მკერდის პლასტიკა მოკლე ფრთების ორნამენტირებული რკალითაა დამშვენებული.

ტექნოლოგიის, მოხატვის ხერხებისა და დეკორის სახეების მიხედვით, გამოყოფილია ჯამების ორი ქრონოლოგიური ჯგუფი. შედარებით ადრეულია გადანაყარსა და თბილისის სხვადასხვა უბნებში შემთხვევით მოპოვებული ნაკეთობები, რომელიც გარდამავალ პერიოდს, IX-X საუკუნეებს განეკუთვნება. თბილისის კერამიკული სახელოსნოს ნაწარმი კი ეჭვს არ იწვევს, რომ XI-XIII საუკუნეების განვითარებულ ხანაშია შექმნილი [მიწიშვილი მ.: 1969: 19]. განსხვავებული ეპოქების ჯამები სხვადასხვაგვარადაა დეკორირებული. შემფერავებად გამოყენებულია თეთრი წერნაქი, გამჭვირვალე და გამჭვირვალეფერადი ჭიქურები, ან ჭიქურქვედა საღებავები, არცთუ იშვიათად მეტალის მარილების ეფექტებსაც ვხვდებით. ადრეული ჯამების ერთი ნაწილი მაღალკედლიანია, ფართოდ იშლება და ოდნავ გადმოხნილი პირი აქვს, მეორე ნაწილი პირიქით, დაბალკედლიანია და პირი შიდა მხარეს ეხნიება. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, განვითარებული ხანის ჯამებს გაშლილი ფორმა ახასიათებს. იგი ღრმაა, სწორკედლიანი და სწორივე პირით გვირგვინდება, ძირითადად ბრტყელი ძირი და დაბალი მრგვალი ქუსლი აქვს. ჩვენთვის საინტერესო ჯამების თეთრი წერნაქით დაფარულ შიდა პირზე კონტურულად ამოტვიფრული ხოხობის ფიგურა ზემოდან გამჭვირვალე, ან ფერადი-გამჭვირვალე ჭიქურითაა გაპრიალებული. მცენარეული ორნამენტის ხაზოვანი ელემენტები კი ზოგან გამდიდრებულია სხვადასხვა ფორმისა და ფერის ლაქებით. თეთრი წერნაქით დაფარულ შიდა პირზე ამოკაწრულ-ნახატიანი ჯამების ზედაპირის გასაფორმებლად ასევე გამოყენებულია მეტალის მარილები: სპილენძისა და ქრომის, ვანადიუმის, მარგანცის, ტიტანის ქლორიდი, რომლის ხმოვანება ხან მუქია, ხანაც ღია. ამგვარად მოხატული ჯამების გრაფიკული სიმკვეთრის მიუხედავად, მწვანე და მოწითალო-იისფერი ჭიქურის შხეფები და მეტალის მარილების ეფექტები ერთგვარ სენსიტიურობას სძენს მათ. ასეთი ტიპის ჯამების ნიმუშები თბილისის გარდა, რუსთავსა და დმანისშია მიკვლეული, ხოლო ქვეყნის გარეთ უახლოესი პარალელები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იძებნება. ისინი აღმოჩნდნენ ორენ-ყალას ქვედა ფენაში [Якобсон А. Л.: N 67 1959; 431] ბაქოში, შირვან შაჰის სასახლეში, კაბალაში, არაბულ ნაქალაქარ სამარაში (ერაყი).

და მაინც ხოხობისფიგურიანი ჯამები გამორჩეულია არა მარტო მოქნილი კომპოზიციური გადაწყვეტით და უკიდურესად განყენებული გამოსახულების გეომეტრიულობითა და სქემატიზმით, არამედ მეტად თვითმყოფადი ფერადოვნებით. ასეთი ჯამების კოლორისთვის სახასიათოა გამჭვირვალე ჭიქურის, ყვითელი, მწვანე და მოწითალო-იისფერი პრიალა ფერადი წერნაქის ხმოვანებით შექმნილი კომბინაციები, რომელიც მეტალის მარილების დახმარებით არაერთგვაროვან ფერწერულ ეფექტებს ქმნის (თბილისის სახელოსნო; 1-54,2213). შერეული ტექნიკით მოხატვას ძლიერი ემოციური იმპულსები და დეკორატიული გამომსახველობა შეაქვს ჯამების მხატვრულ სახეში.

გათხრებით დასტურდება სახელოსნოების მთელი ქსელის არსებობა ძველი თბილისის უბნებში, სადაც ასევე აღმოჩენილია ფრინველის გამოსახულებით გაფორმებული ჯამები. ხოხობის სახეობის დასადასტურებლად საკმარისია დაკვირვება ერთ მარტივ დეტალზე - ფრინველის კისერზე შემოყოლებულ სხვადასხვა ტიპისა და ფერის წერტილებით აგებულ ორნამენტულ ზოლზე, რომელიც ბუნებასა და ნახატზეც რეალურად ფიქსირდება. ჯამზე გამოსახული ყელმოღერებული ხოხობის ემოციურ მეტყველებას უმთავრესად განაპირობებს პლასტიკურად გამომსახველი ნახატი და თვითმყოფადი ფერადოვნება (თბილისის სახელოსნო; ნაყარი). ფრინველისთვის სახასიათო დინამიკური სილუეტი ამ შემთხვევაში წრიული პარალელური ხაზებით იქმნება. იგი მარცხენა მხარეს იყურება, ხოლო გარშემო ფონის არე და მისი სხეულიც მცენარეული ორნამენტითაა შევსებული. ხოხობის ყელზე გეომეტრიულად დეკორირებული ზოლი ჯერ ამოკაწრული და შემდეგ მოხატულია. ფეხებზე კი დეზები ამშვენებს. სქემატურად გადაწყვეტილი კუდი მხატვრულად ასრულებს ფრინველის პირობით გამოსახულებას. თეთრი წერნაქით დაფარულ ჯამის ზედაპირზე მწვანე და მოოქროსფრო-ოხრას ფერების ეფექტები მხატვრულად გამომსახველია. ასეთ ჯამებში შემფერავებად თეთრ წერნაქთან ერთად ძირითადად მეტალის მარილები, ან ჭიქურქვედა საღებავებია გამოყენებული. (სურ.5) ერთ-ერთი ხოხობისგამოსახულებიანი თბილისური ჯამის მწვანე და ოხრასფერი ჭიქურებით მოხატული გაკრიალებული ზედაპირი თეთრ წერნაქთან და მეტალის მარილებთან ერთად შთამბეჭდავი ფერწერული ეფექტებით ქმნის ყელმოღერებული ფიგურის დინამიკურ სახეს და კისრის არეზე შემოყოლებულ გეომეტრიული ორნამენტის ფერადოვან ზოლს.

საქართველოს სხვა გეოგრაფიულ პუნქტებში მიკვლეული სინქრონული პერიოდის, XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული ფრინველისგამოსახულებიანი ჯამები უკვე აღარ უახლოვდებიან ერთმანეთს და შესრულების თვალსაზრისითაც ჩამოუვარდებიან თბილისურ ხოხობისფიგურიან ნიმუშებს. ამ ტიპის ჯამების პარალელური მასალა მთელს ამიერკავკასიაში იძებნება. პირველ რიგში გვხვდება აზერბაიჯანში-განჯისა და ორენ-ყალას არქეოლოგიურ მონაპოვარში, აგრეთვე ანისში. უცხოურ ნიმუშებზე მოცემული ფრინველის პროფილოვანი გამოსახულება მოთავსებულია თითქმის ცენტრში და ქართული არტეფაქტებისაგან განსხვავებით საპირისპირო მხარეს, მარჯვნივაა მიტრიალებული (ანისი). ამასთანავე ფრინველს თავზე წანაზარდები უჩნდება. ეს ნიმუშები გადატვირთულია დეკორით, რომელიც გადმოცემულია ყვითელი კვირტებით დაბოლოებული სტილიზებული მცენარეული ორნამენტით. სხვა მხრივ ისინი იმეორებენ ქართული ნიმუშების ჭიქურის ფერებს: მწვანეს, ყვითელსა და იისფერ-სინგურისფერს. სომხეთში-ანისის, დვინის, გარნისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კერამიკა ფიქრობენ, რომ შემოტანილია ბიზანტიური სამეთუნეო ცენტრებიდან და ადგილობრივი არ არის. ბიზანტიური ნიმუშები მკვეთრად განსხვავდებიან ქართული ხოხობისგამოსახულებიანი ჯამებიდან. მაგალითად, ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთ ცენტრში - ხერსონესში მზადდებოდა აღმოსავლური მოტივებიდან ცნობილი ფანტასტიკური ფრინველების - სირინოზის, ორთავა, ან ორკუდა ფრინველების გამოსახულებებით მოხატული ლანგრები. მათი ერთი ნაწილი თეთრკეციანია და მოჭიქულია ერთფერად - ცისფერი, ლურჯი და მწვანე საღებავებით [Яковлев А. Л.: N171950] წითელკეციან ლანგრებზე თხელი, მოქნილი, დენადი ნახატი შემოსაზღვრული ყელმოღერებული ფრინველებია ამოკაწრული. მწვანე და ყვითელი ჭიქურებით მოხატული ფიგურები დინამიკური და დეკორატიულად მეტყველია. იმავდროულად ზღაპრულ არსებებად ქცეულ პერსონაჟებში თითქოსდა შეფარვით, შენიღბულად ძველი რწმენის ანარეკლი გამოსჭვივის [მიზორია; 2009: 299].

კვლევის შედეგად შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ხოხობის გამოსახულებით მოხატული ჯამები გამორჩეულია დახვეწილი თვითმყოფადი ფორმებით. მათ ახასიათებს ჭურჭლის კედლის სითხელე, სიმსუბუქე, დამზადების მაღალი ტექნოლოგიური დონე. ხოხობის გამოსახულებიანი ჯამების

ნიმუშებში ნათლად ჩანს გამოყენებული თიხის სტრუქტურა, ერთგვაროვნება, ფერი, მორგვზე დამზადების კვალი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზედაპირის მოხატულობა, გრაფიკული ნახატი, ფერადოვნება, ფუნჯის სახასიათო მონასში, დეკორის მომგებიანი მდებარეობა, კომპოზიციური გადაწყვეტა, სტილისა და სემანტიკის სიახლოვე იმ პერიოდის მხატვრობის სხვა დარგებთან და კულტურებთან.

ლიტერატურა:

1. იზორია მ. ქართული მხატვრული კერამიკის ევოლუციის საკითხისათვის, ბათუმის შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის საერთაშორისო კონფერენცია, მასალები, კრებული -2009, გვ. 297-300.
2. მიწიშვილი მ. მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX-XIII ს.ს., თბილისი, ხელოვნება, 1969, გვ. 19, 39.
3. მორჩაძე თ. შიდა ქართლის ანტიკური პერიოდის კერამიკა, თბილისი, მეცნიერება, 1979.
4. ქსე - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 5, თბილისი, 1980, გვ. 598.
5. ძნელაძე მ., იზორია მ. და სხვა. თბილისის წმინდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესია, თბილისი, პეგასი, 2014.
6. ჯაფარიძე ვ., ქართული კერამიკა (XI-XIII ს.ს.), თბილისი, 1956, გვ. 30-31.
7. Якобсон А Л Художественная керамика Баилакана (Орен-Кала) МИА N 67 1959 გვ. 431.
8. Лордкипанидзе М., Тбилиси (IV- начало XII в.), Тб., 1991, გვ. 9-10.

ილუსტრაცია

სურ.1 დმანისი



სურ. 2 დმანისი



სურ. 3 თბილისი



სურ. 4 თბილისი



სურ. 5 თბილისი



ქართულ მიწათა ერთიანობის საკითხი ქართულ ისტორიულ აზროვნებაში

Merab Ghaghanidze

University of Georgia, Georgia

აბსტრაქტი

ბატონიშვილი ვახუშტი თავისი ნაშრომის – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ – იმ მონაკვეთში, სადაც იგი ამთავრებს ერთიანი საქართველოს ამბავთა გადმოცემას და სანამ შეუდგება საქართველოს დაშლის მომდევნო დროინდელი ისტორიის თხრობას, ცდილობს განსაზღვროს, დარჩა და არსებობს თუ არა სამეფოს დაშლა-დაყოფის შემდეგ რამე საყრდენი ან რამე მახასიათებლები, რაც განაპირობებდა პოლიტიკურად დანაწევრებული ქვეყნის სხვადასხვა განცალკევებულ მიწაზე მცხოვრებთა განუყოფლობის განცდას, ან კიდევ: რა ადასტურებდა მის დროს ამ ზოგადქართულ მთლიანობას, თუნდაც იმ დროისთვის ის ნამდვილად აღარც არსებულებო. ვახუშტი გამოყოფს ერთიანობის სამ ამგვარ შენარჩუნებულ ნიშანს, – სარწმუნოებას, ენას, სამეფო ხელისუფლებას, – თუმცა შემდგომ, ჩამონათვალის გარეთ, იგი მათ მეოთხე და მეხუთე ნიშანსაც დაუმატებს. მეოთხე ნიშნად ვახუშტი მიიჩნევს მიწათა ერთიანობას. ისტორიკოსის აზრით, იმჟამად უკვე გარდასული ქართული ერთმეფობისა და ქვეყნის ოდინდელი ერთიანობის მეოთხე, დამატებითი ნიშანია სახელმწიფოს მთლიანობის ის დარჩენილი ნაკვალევი, რომელიც ნიადაგობრივ-სამართლებრივადაც დასტურდება, კერძოდ, ქვეყნის სხვადასხვა მიწათა – არა ქართლის მიწათა – ქართლის მეფისათვის მიკუთვნების გამო. იმ კონკრეტული გეოგრაფიული აღნიშვნების დაზუსტება-დადგენისაგან დამოუკიდებლადაც, რომელთაც ვახუშტი ჩამოთვლის, ისტორიკოსის მოსაზრება იმთავითვე ცხადია: მაშინ, როცა საქართველოს ერთიანი სამეფო ნაწილებად დაყოფილა, – მათ შორის, სამ სამეფოდ და, კიდევ, სამცხე-საათაბაგოდ, – ქართველ ხელისუფალთა მფლობელობის ფარგლები ყოველთვის სულაც არ ემთხვევა დანაწევრებული ქვეყნის ცალკეული შიდა მიწების არც გეოგრაფიულ და არც ისტორიულ საზღვრებს. სამეფო-სამთავროთა თუ საათაბაგოს სივრცეში მცხოვრებ არც ხელისუფალთ და არც ამ ხელისუფალთა ქვეშევრდომთ არა აქვთ იმის განცდა, რომ მათი ქვეყანა მხოლოდ ამ კერძოდ, ან განკერძოებულ ქართულ მიწას მოიცავს და მის სავარაუდო მიჯნასთან მთავრდება. ვახუშტის სჯერა, რომ ამგვარი განცდის საფუძველი და მიზეზი ისაა, რაც ერთმეფობისა და ქვეყნის მთლიანობის კიდევ ერთ ნიშნადაა მიჩნეული: ამ მიწაზე მცხოვრებთ შეგნებული აქვთ, რომ მათი ნამდვილი ქვეყანაა არა ოდენ ქართლი, არა ოდენ კახეთი, არა ოდენ იმერეთი, არა ოდენ სამცხე, ან სულაც სხვა მცირე მიწა, არამედ – საქართველოს სამეფო, ერთიანი ქართული სახელმწიფო. ვახუშტის თვალსაზრისი ქართულ მიწათა ერთიანობის შესახებ საყურადღებო გამოძახილს პოვებს მეოცე საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა ნააზრევში (პავლე ინგოროყვა, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი).

საკვანძო სიტყვები: საქართველო, მიწები, საზღვრები, ერთიანობა

The Views on the Unity of the Georgian Lands in the Georgian Historical Thought

Abstract

Prince Vakhushti, in the section of his work "Description of the Kingdom of Georgia", where he ends the narration of the history of the united Georgia and before starting to tell the history of the time after the disintegration of Georgia, tries to determine whether there are any characteristics after the disintegration of the kingdom. He asks, what caused the feeling of inseparability of the people living in different separate lands of the politically divided country, or what confirmed this general Georgian unity, even if it really didn't exist at that time. Vakhushti singles out three such preserved signs of unity – faith, language, royal authority – but after, outside the list, he adds two other signs to them. Vakhushti considers the unity of the lands as the fourth sign. According to the historian, the sign of the now-defunct united Georgian monarchy and the former unity of the country is the remaining traces of the state's integrity, which is also proved from the ground-legal point of view, namely, due to the attribution of various lands of the country – not the lands of Kartli – to the king of Kartli. Regardless of the specific geographical designations listed by Vakhushti, the historian's opinion is clear: while the unified kingdom of Georgia was divided into three kingdoms, and also Samtskhe-

Saatabago, the scope of Georgian rulers' ownership did not always coincide. Neither the geographical nor the historical boundaries of the separate internal lands of the partitioned country, neither the authorities nor the subjects of these authorities living in the space of the kingdoms and principalities or Saatabago have the feeling that their country includes only this separate Georgian land and ends at its supposed border. Vakhushti believes that the basis and reason for this kind of feeling is what is considered to be another sign of the unity and integrity of the country: the people living on this land are aware that their real country is not only Kartli, or Kakheti, or Imereti, or Samtskhe, or at least another any small land, but the kingdom of Georgia, the united Georgian state. Vakhushti's view on the unity of the Georgian lands finds an echo in the works of Georgian historians of the 20th century (Pavle Ingorokva, Ivane Javakhishvili, Aleksandre Manvelishvili).

Keywords: Georgia, lands, borders, unity

ბატონიშვილი ვახუშტი (1696-1756) თავისი ნაშრომის – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (1745) (ვახუშტი 1973) – იმ მონაკვეთში, სადაც იგი ამთავრებს ერთიანი საქართველოს ამბავთა გადმოცემას და სანამ შეუდგება საქართველოს დაშლის მომდევნო დროინდელი ისტორიის თხრობას, – „შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ“ (ვახუშტი 1973: 291), – ცდილობს განსაზღვროს, დარჩა და არსებობს თუ არა სამეფოს დაშლა-დაყოფის შემდეგ რამე საყრდენი ან რამე მახასიათებლები, რაც განაპირობებდა პოლიტიკურად დანაწევრებული ქვეყნის სხვადასხვა განცალკევებულ მიწაზე მცხოვრებთა განუყოფლობის განცდას, ან კიდევ: რა ადასტურებდა მის დროს ამ ზოგადქართულ მთლიანობას, თუნდაც იმ დროისთვის ის ნამდვილად აღარც არსებულებო.

გარნა ერთმეფობასა წარმოაჩინებს აწცა სამნი ხილულნი ესენი, ვინამთგან იყო ყოველი ივერია ქართლის მეფისა ქუეშე პყრობასა:

პირველი, უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა, ანუ იმერსა, მესხსა, და ჰერ-კახსა: „რა რჯული ხარ?“, წამს მოგიგებს: „ქართველი“;

მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა, ერთი იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნილი, და ჰკითხო რა წინთქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი?“, მოგიგებს მცის: „ქართული“, რამეთუ არა იტყვს არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა, და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა;

მესამედ: არასადამე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძვრფასთა, რომელთა ზედა იყოს სხუათა მეფეთა სახელნი, თვნიერ: „ჩუენ მეფემან საქართველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან“, რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა.

კუალად ესეცა ნიშნი არიან, რომელნი უპყრავს მეფესა ქართლისასა – ჰერ-კახთა ყარაია და ლილო, იმერთა – ლიხის მთას იქითი, სამცხისა – ტაშისკარს ზეითი ტბისყურ-ფანავრისამდე, სომხითისა – აბოცი და სხუანი, რომელნი შიხის ძეთა მიუღეს.

არამედ ესენი საკმაო არიან აღმოჩენად.

გარნა გლეხთა უწიგნოთაცა უწყიან ძლიერება გორგასლისა, დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფისა (ვახუშტი 1973: 292).

მიუხედავად ბატონიშვილ ვახუშტის თავდაპირველი დაპირებისა, მკითხველისათვის მიეწოდებინა ერთმეფობის, ანუ ერთიანი საქართველოს შემორჩენილი მხოლოდ სამი ნიშანი, „სამნი ხილულნი“ (ლაღანიძე 2018: 9-27; ლაღანიძე 2019ა: 132-152; ლაღანიძე 2019ბ: 114-131). ამ სამეულის დასახელებისა და განმარტების შემდეგ ისტორიკოსი მაინც არ წყვეტს, აგრძელებს ნიშანთა ჩამოთვლას.

ვახუშტის მიაჩნია, რომ იმჟამად უკვე გარდასული ქართული ერთმეფობისა და ქვეყნის ოდინდელი ერთიანობის კიდევ ერთი, მეოთხე, დამატებითი ნიშანია სახელმწიფოს მთლიანობის ის დარჩენილი ნაკვალევი, რომელიც ნიადაგობრივ-სამართლებრივადაც დასტურდება, კერძოდ, ქვეყნის სხვადასხვა მიწათა – არა ქართლის მიწათა – ქართლის მეფისათვის მიკუთვნების გამო.

მოყვანილი კონკრეტული გეოგრაფიული აღნიშვნების დაზუსტება-დადგენისაგან დამოუკიდებლად, ისტორიკოსის მოსაზრება იმთავითვე ცხადია: მაშინ, როცა საქართველოს ერთიანი სამეფო ნაწილებად დაყოფილა, – მათ შორის, სამ სამეფოდ და, კიდევ, სამცხე-საათაბაგოდ, – ქართველ ხელისუფალთა მფლობელობის ფარგლები ყოველთვის სულაც არ ემთხვევა დანაწევრებული ქვეყნის ცალკეული შიდა მიწების არც გეოგრაფიულ და არც ისტორიულ საზღვრებს. სამეფო-სამთავროთა თუ საათაბაგოს სივრცეში მცხოვრებ არც ხელისუფალთ და არც ამ ხელისუფალთა ქვეშევრდომთ არა აქვთ იმის განცდა, რომ მათი ქვეყანა მხოლოდ ამ კერძო, ან განკერძოებულ ქართულ მიწას მოიცავს და მის სავარაუდო მიჯნასთან მთავრდება. ვახუშტის სჯერა, რომ ამგვარი განცდის საფუძველი და მიზეზი ისაა, რაც ერთმეფობისა და ქვეყნის მთლიანობის კიდევ ერთ ნიშნადაა მიჩნეული: ამ მიწაზე მცხოვრებთ შეგნებული აქვთ, რომ მათი ნამდვილი ქვეყანა არა ოდენ ქართლი, არა ოდენ კახეთი, არა ოდენ იმერეთი, არა ოდენ სამცხე, ან სულაც სხვა მცირე მიწა, არამედ – საქართველოს სამეფო, ერთიანი ქართული სახელმწიფო.

მაგრამ საყურადღებოდ ჩანს, რომ ქართლის მეფის ძე ერთიანობის ამ შემორჩენილ გამოხატულებად აცხადებს მაინც ქართლის მეფის მიერ იმ მიწების მფლობელობას, რომლებიც ნიადაგობრივ, ანუ ისტორიულად თუ გეოგრაფიულად, სხვა ქართულ მიწებს და მათს მმართველთა განმგებლობას უნდა განეკუთვნებოდეს: ამ თვალსაზრისით, სწორედ ნიადაგობრივ, ყარაია და ლილო ჰერ-კახეთის სამეფოს კუთვნილებას უნდა შეადგენდეს; ის მიწები, რომლებიც ლიხის ქედს იქით იმყოფება, იმერეთის, ანუ ლიხთიმერეთის სამეფოს შემადგენლობაში უნდა იმყოფებოდეს; ტაშისკარს ზემოთ განლაგებული მიწები – სამცხის სამფლობელოს, საათაბაგოს უნდა ეკუთვნოდეს; ხოლო „შიხის ძეთაგან“ გამოტაცებული აბოცი და სხვა მიწები სინამდვილეში სომხეთის მიწებია, იმ სომხეთისა, რომელიც, კერძოდ, ქვემო ქართლსაც ეწოდება, მაგრამ, ფართოდ, სხვა ქვეყანას, სომხეთს, ნიშნავს – თუმცა ისტორიულად ხომ თავად სომხეთიც სრულიად საქართველოს იმპერიული სახელმწიფოს სივრცეში შემოდიოდა და ქვეყნის მეთაურს ოდესღაც ერქვა არა მარტო მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კანთა, არამედ, ასევე, მეფე სომეხთა.

რაკი ყველა ეს ჩამოთვლილი მიწა ქართლის მეფის განმგებლობაში აღმოჩენილა და ამას საგანგებოდ აღნიშნავს ისტორიკოსი, რა თქმა უნდა, ვახუშტისეული ამ სიტყვებით, სხვა სათქმელთან ერთად, ის მემკვიდრეობითი მოთხოვნაცაა განცხადებული, რაც მყარად იყო დამკვიდრებული ქართლის ტახტის მფლობელთა გარემოში და რამაც უთუო გამოვლინება პოვა ქართლის მეფეთა წოდებულებასშიც: რომ სრულიად საქართველოს მეფის ნამდვილი და ყველაზე კანონიერი მემკვიდრე, რაც უნდა ითქვას, მაინც ქართლის მეფეა.

თქმულის დასასაბუთებლად დამოწმებული და აღნუსხულია ამ განუყოფლობის სამართლებრივი ნიშნულები თუ მაგალითები, გამოვლენილი ტერიტორიული კუთვნილებით, რომლებიც თვით ვახუშტის თანამედროვეთათვისაც კი სრულიად ხელშესახები ან ხილულია და რომელთაც ქვეყნის ყოფილი ერთიანობის გამოხატვა ძალუძს: უეჭველია ისტორიკოსის თვალსაზრისი და რწმენა, რომ ეს მიწები, – მიუხედავად იმისა, რომ ისინი სცილდება ქართლის გეოგრაფიულ-ისტორიულ ფარგლებს, – ქართლის მეფეს მოპოვებული აქვს არა დაპყრობა-მიტაცების გზით, საკუთარ დადგენილ საზღვართა გადალახვით, არამედ იმიტომ, რომ ისინი მას ერგო მემკვიდრეობითად როგორც ერთიანი ქართული სახელმწიფოს მეთაურთა შთამომავალს, ხოლო ეს მემკვიდრეობა თავისთავად მეტყველი ნაშთია, ნაკვალევია ქვეყნის ოდინდელი მთლიანობის დასტურად, ანუ კიდევ ერთ გამოვლინებად, კიდევ ერთ „ხილულად“ თუ ნიშნად („ნიშად“): „კულად ესეცა ნიშნი არიან“ (ვახუშტი 1973: 292).

ერთმეფობის „ხილულთა“, ანუ ნიშანთა ჩამოთვლისას ისტორიკოსი, როგორც ჩანს, დარწმუნებული იყო, რომ მიწათა ერთობლიობის განცდა შენარჩუნებული ჰქონდა ამა თუ იმ შემოსაზღვრულ ქართულ მიწაზე მცხოვრებსაც, – იმას, ვინც მყარად იცოდა, რომ იქაც და ისიც ქართული ნიადაგია, რომელიც მისი შემოხლუდული სამეფოს თუ სამთავროს ფარგლებს გარეთ იმყოფება.

ნებისმიერ ქართულ მიწაზე ყოველ ქართველ მცხოვრებს, რომელთაც სწავლული ბატონიშვილი საგანგებოდ ჩამოთვლის („უკუეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა, და ჰერ-კახსა“), სავარაუდოდ, არ უნდა ეგრძნო თავი შეზღუდულად თავისი კერძო მიწის – რომელიმე სამეფოსა თუ სამთავროს – ვიწრო საზღვრებით და იგი უნდა მიმხვდარიყო ამ საზღვრების დროებითობასა და პირობითობას, რადგან, ვთქვათ, როგორც თავად ისტორიკოსი აღნიშნავს, ქართლის სამეფოს

კუთვნილება ადგილები ლიხს იქით, ანუ ლიხსიმერეთში, ადგილები კახეთსა თუ სომხეთში, ხოლო სამცხე, ოსმალთა მიერ მიტაცებული, მაინც ისევ ქართული მიწაა, ხოლო ამ მიწათა მთლიანობას ერთ დროს საქართველოს სამეფო ერქვა და ამგვარ ბუნებრივ განუყოფლობას განსაკუთრებულად მეტყველად გამოხატავს თავად ვახუშტის წიგნის სათაურიც: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ამიტომაც, ბუნებრივად ჩანს, რომ სწავლული ბატონიშვილი თავის ამ წიგნში აღწერს არა მარტო ქართლს, კახეთს, ან იმერეთს, არამედ სამცხე-საათაბაგოსაც, რომელიც ისტორიკოსის დროს სახელმწიფოებრივად უკვე ეკუთვნოდა ოსმალეთს, და არა საქართველოს, რასაც თავისი ნაშრომის აგებისას წიგნის ავტორი თითქოს არც მიიჩნევს საყურადღებოდ: ქვეყნის ამ ნაწილის ჩამოშორებას ვახუშტი აღიქვამს იმგვარ ისტორიულ მოვლენად, რომელიც არაფერს ცვლის საქართველოს სახელმწიფოს არსში.

ამ მხრივ, საგულისხმოა, თუ როგორი მნიშვნელობა ენიჭება ვახუშტის მიერ სამცხე-ჯავახეთის მიწათა საგულდაგულო აღწერას ალექსანდრე ჯავახიშვილის, მეოცე საუკუნის ქართველი გეოგრაფის, სიტყვებით (რომელთაც ამ სტრიოქონების დაწერის დროს, 1946 წელს, სულაც არ აკლდა პოლიტიკური აქტუალურობა):

ას წელზე მეტმა განვლო ვახუშტის დროისათვის, რაც საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ სხეულს მოსწყვიტეს და მის კულტურულ გულს მოჰგლიჯეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილთაგანი [– სამცხე-ჯავახეთი]. მიუხედავად ამ პოლიტიკური და ისტორიული უკუღმართობისა, ქართველი ერის მოწინავე შვილების გონებასა და გულში არ იშლებოდა ნათელი და დაუვიწყარი წარმოდგენა და ცოდნა საქართველოსაგან დროებით მოწყვეტილი მხარეების შესახებ. ვახუშტი ისეთი დაწვრილებით და გულმოდგინებით აღწერს ამ მხარეს, თითქოს იგი ისევ საქართველოს სამეფოს საზღვრებში ყოფილიყოს მოქცეული (ჯავახიშვილი 2013: 141).

თვალსაჩინოა, რომ ვახუშტი თავისი მსჯელობისას ოდინდელი ერთხელმწიფობის გამო განიხილავს არა ერთიანი ქართული სახელმწიფოს გარე საზღვრებს ან მიწათა მთლიანობას ერთიან სახელმწიფოში, რაც მისთვის ამ შემთხვევისას სრულიად მოკლებულია მნიშვნელობას (და არც არაფერს ამოწმებს!), არამედ იმას, თუ რამდენად ადასტურებს ისტორიკოსის დროინდელი ქართლის სამეფოს ნიადაგობრივი შემადგენლობა, მისი ტერიტორიული მომცველობა ერთმეფობასაც და ქართული სახელმწიფოს ადრე არსებულ – თუნდაც წიგნის წერისას უკვე გამქრალ – ერთიანობასაც.

სხვათა შორის, „ტრაბტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, საზოგადოსათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა“, რომელიც 1790 წელს, ტფილისში შემუშავდა და რომელიც ქართულ მიწათა გაერთიანების ერთ გვიანდელ მცდელობას ასახავს, საერთოდ არ ახსენებს ქვეყნის ოდინდელ ტერიტორიულ მთლიანობას:

ვინაიდან ყოველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა აქვსთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი“ (ძეგლები 1965: 5010).

მაგრამ, ვახუშტის შეხედულებით, რაკი ქართლის მეფე იმ ქართულ მიწებსაც ფლობს, რომელიც გეოგრაფიულად არ განეკუთვნება ქართლს, მაგრამ რაც შედეგია არა ამ მეფის მიერ მიწათა ძალადობრივი მითვისებისა, არამედ, ფაქტობრივად, წარსულის ნაშთია, ანუ შემორჩენილი „ხილულია“ ერთმეფობის ცხადსაყოფად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ქართულ მიწათა შორის საზღვრები იმგვარი პირობითობაა, რომელიც არაფერს ცვლის ქვეყნის მთლიანობაში, რადგან მხოლოდ ქართული მიწების ერთობლიობა წამოადგენს ქართულ სახელმწიფოს, – ვახუშტის ხანაში თუნდაც ოდენ წარმოსახულს, თუნდაც ოდინდელი საქართველოს სამეფოს გვიანდელ ანარეკლსა და გახსენებას, მაგრამ მაინც მისი ნამდვილი არსებობის დასტურს.

საქართველოს სამეფოს ტერიტორიული მთლიანობა, რაც ერთ დროს მეფეთა ტიტულებში იყო ასახული და მოიცავდა ყველა იმ მიწას, რომლებიც ქართველ მეფეთა საბრძანებელში იგულისხმებოდა (ეს ტიტულები გვიანდელ ხანაშიც იყო შენარჩუნებული, – როგორც შემორჩენილი სამართლებრივი მოწმობა იმჟამად აღარარსებული საქართველოს ერთიანი სახელმწიფოსი), ვახუშტის დროს, ისტორიკოსის აზრით, დანაწილებულ მიწათა სამართლებრივი კუთვნილების არამკაფიოობითა და

მათს შორის საზღვართა გაურკვევლობით გამოხატულა. სწორედ მიწათა ფარგლების ამგვარი დაუზუსტებლობა მიაჩნია მას ქვეყნის ძველი ერთიანობის მტკიცებულებად.

ვახუშტი დაწვრილებით მონიშნავს სამეფო-სამთავროთა გამმიჯნავ საზღვრებს, ისევე, როგორც ქვეყნის ცალკეული მცირე და დიდი მიწების, სივრცეების, ადგილების, დასახლებების საზღვრებს; თავის დიდ წიგნში იგი უმაგალითო გულისყურით აღწერს ქართული მიწის ლამის ყოველ მცირე მონაკვეთსა და წერტილს, მაგრამ ყოველივე ეს ხილულად ერთიანდება ერთ სახელმწიფოში, რომელიც მისთვის საქართველოს სამეფოა.

ხოლო მთლიანი საქართველოს საზღვართა ბუნებრიობა შთამბეჭდავად აღიწერა მომდევნო ხანაში, ადრეულ მეოცე საუკუნეში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მმართველობისას (1918-1921), საქართველოს ისტორიულ მიწათა გაერთიანების მკაფიო მცდელობის პირობებში.

1918 წელს პავლე ინგოროყვა წერდა:

საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს მთლიანს წარმოადგენს – ისტორიულად, გეოგრაფიულად, ეკონომიურად და ეთნოგრაფიულად. საქართველოს საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ: საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით. საქართველო, ამავე დროს, ერთი მთლიანი ფიზიკალურ-გეოგრაფიული პროვინცია არის, ერთი ქვეყანა – შემოფარგლული ბუნებრივის საზღვრებით. საქართველო მიაგავს ციხეს, რომელსაც ყველა მხრით კედლები არტყია [...]. თავისთავად შემთხვევითი როდია ისტორიული გაერთიანება საქართველოს ერთ კოლექტივად ზემოხსენებულ ბუნებრივ საზღვრებში: ისტორიას აქ ჰქმნიდა გეოგრაფიის ლოლიკა; ისტორიას გენეტიური კავშირი ჰქონდა საქართველოს ორგანიულ ეკონომიურსა და ტერიტორიულ მთლიანობასთან (ინგოროყვა 1918: 1).

მალექე, 1919 წელს, ამგვარსავე ვითარებას გამორჩეული ხატოვანებით აღწერდა ივანე ჯავახიშვილიც:

თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი: კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, დასავლეთით კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოვოდ გარემოზღუდვილს ქვეყანას წარმოადგენს. სხვათა შორის, ამ პირობების წყალობითაც შესძლო ქართველმა ერმა თავის ხანგრძლივ ისტორიულ არსებობის დროს მრავალი, ხშირად თავისზე გაცილებით უფრო ძლიერი მტრების მოგერიება და თავისი ეროვნების დაცვა. ეს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ არაერთხელ ყოფილა, რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაჭერა და ჩამოშორება უცდიათ. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მთავრობასაც თავისი სახელმწიფოს ამ ბუნებრივ სამზღვრების დაცვის უაღრესი მნიშვნელობა ჩვენი ერის არსებობისათვის მშვენიერად ჰქონდათ გათვალისწინებული და ამის გამო მტრების ყოველს ამგვარს განზრახვასა და წადილს მედგარს წინააღმდეგობას უწევდნენ (ჯავახიშვილი 1998: 459).

მეოცე საუკუნის ორივე ისტორიკოსს – პავლე ინგოროყვასაც და ივანე ჯავახიშვილსაც – ღრმად აქვთ არა მარტო გააზრებული, არამედ, ასევე, მღელვარედ განცდილი, რომ „საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული“, რომ „საქართველო მიაგავს ციხეს, რომელსაც ყველა მხრით კედლები არტყია“, რომ „საქართველო ერთს საუცხოვოდ გარემოზღუდვილს ქვეყანას წარმოადგენს“, რომ „თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი“. თუნდაც მკაფიოდ ჩანდეს ავტორთა მცდელობა, რომ ის თვალსაზრისი, რომელიც მათი სიტყვებიდან გამოსჭვივის, იდეურად რამდენადმე შერბილებულად გადმოიცეს ან ემპირიულად აიხსნას („თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია“, „გეოგრაფიის ლოლიკა“), მათს განაცხადში მაინც მჟღავნდება მსუბუქად შეფარული უწყება: საქართველოს საზღვრები განგებისმიერია, ტელეოლოგიურია, მათი მოხაზულობა იმთავითვე გამოხატავდა სწრაფვას პირველადი ჩანაფიქრის ხორცშესხმისაკენ; ისტორიული საქართველოს ჩამოყალიბებული საზღვრები ნამდვილად განგების მიერ მონიჭებული სამანებია, რომლის დარღვევასაც მტერი ცდილობს, მაგრამ რომელსაც დღემუდამ იცავს და უნდა იცავდეს – როგორც არსებულ კანონზომიერებას – ქვეყნის ხელისუფლებას.

როგორც ჩანს, მსგავსი დამოკიდებულება და განწყობა შენარჩუნებული იყო პირველი რესპუბლიკის დაცემის შემდგომაც, უკვე მეორე მსოფლიო ომის მისადგომთან, ქართულ ემიგრაციაში, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, ალექსანდრე მანველიშვილი, 1938 წელს ამგვარად წერდა:

საქართველოს ტერიტორია ეთნოგრაფიულად და ეკონომიურად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს. ათასეულ წელთა განმავლობაში ბრძოლებისა და თავდაცვის დროს გამოიკვეთა და განმტკიცდა ის გარკვეულ ბუნებრივ საზღვრებში. ეს იქამდე დამახასიათებელია საქართველოს ტერიტორიის, რომ თვით აღორძინებისა და ძლიერების ხანებშიც საქართველო დიდად არ ყოფილა დაინტერესებული თავისი სამფლობელო ბუნებრივი საზღვრებისათვის გადაცელებინა (მანველიშვილი 1938: 5).

ამდენად, ამ შეხედულებით, საქართველოს არასოდეს გამოუჩენია პოლიტიკური ინტერესი, – თავისი განვითარების იმპერიულ ხანაშიც კი, – გადაელახა ბუნებრივი, ანუ ბუნების მიერ მისთვის მინიჭებული საზღვრები.

ისტორიული აზროვნების ამგვარი ნიმუშები ნათლად ადასტურებს იმ თვალსაზრისს, რომ საქართველოს სახელმწიფოს იდეალური საზღვრები მისი ბუნებრივი საზღვრებია; რომ ისინი განპირობებულია არა რომელიმე წარმავალი, შეთანახმებისმიერი, პოლიტიკური მიზანშეწონილობით, არამედ ბუნებრივი მიზეზებით; რომ საქართველოს საზღვრები ნამდვილად მისი ბუნებრივი, გეოგრაფიული მიჯნებია და არა დროებითი ზღვარი, რომელიც გავლებულია რომელიმე ისტორიულ-პოლიტიკური მიზეზით.

ლიტერატურა:

ვახუშტი 1973: ქართლის ცხოვრება, ტომი IV: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1973.

ინგოროყვა 1918: პ[ავლე] ი[ნგოროყვა], საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ: მოკლე სამახსოვრო ცნობა, კონსტანტინეპოლი: საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა საგანისა, 1918.

მანველიშვილი 1938: ალექსანდრე მანველიშვილი, „საქართველოს ტერიტორია და საზღვრები“, წგ-ში: ალექსანდრე მანველიშვილი, საქართველოს საზღვრები, პარიზი: გაზეთ „მომავალის“ გამოცემა, 1938.

ღალანიძე 2018: მერაბ ღალანიძე, „ბატონიშვილი ვახუშტი ერთიანი საქართველოს პირველი ნიშნის – რჯულით ქართველის – გამო“, ლიტერატურული ძიებანი, XXXIX, 2018.

ღალანიძე 2019ა: მერაბ ღალანიძე, „ბატონიშვილი ვახუშტი ენისა და წიგნის გამო ერთიანი საქართველოს ნიშანთა შორის“, სჯანი, 20/1, 2019.

ღალანიძე 2019ბ: მერაბ ღალანიძე, „ბატონიშვილი ვახუშტი სამეფო წარწერათა გამო ერთიანი საქართველოს ნიშანთა შორის“, ქართული წყაროთმცოდნეობა, XXI, 2019.

ძეგლები 1965: ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II: საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ.: მეცნიერება, 1965.

ჯავახიშვილი 1998: ივანე ჯავახიშვილი, „საქართველოს საზღვრები: ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, წგ-ში: ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი: თორმეტ ტომად, ტომი XII, თბ.: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

ჯავახიშვილი 2013: ალექსანდრე ჯავახიშვილი, „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობით“, წგ-ში: ვახტანგ გურული, ლევან ჯიქია, ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში, თბ.: მერიდიანი, 2013.

ლიტურგიკული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან

Lela Khachidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

აბსტრაქტი

ქართული ჰიმნოგრაფია ბიზანტიური საგალობლების თარგმანებით დაიწყო, რასაც მოჰყვა ორიგინალური ჰიმნოგრაფიის განვითარება. საუკუნეების მანძილზე ქართულ ენაზე ითარგმნა ბიზანტიური სასულიერო პოეზიის მრავალრიცხოვანი ნიმუშები. ბიზანტიური სასულიერო პოეზიის შესწავლისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ქართული კულტურის უდიდესი წარმომადგენლის - გიორგი მთაწმინდელის (1009-1065) თარგმანები. მისი მოღვაწეობის მიზანი იყო ქართული თარგმანების მაქსიმალური დაახლოება ბერძნულ ორიგინალებთან. გიორგი მთაწმინდელის მიერ შედგენილ ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებს შორისაა „მარხვანი“. ესაა უნიკალური კრებული, რომელიც თავისი სისრულით ბევრად აღემატება დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ანალოგიურ ბერძნულ კრებულებს. მასში დაცულია 14 ბიზანტიელი ჰიმნოგრაფის მრავალრიცხოვანი საგალობლები. მათ შორისაა დიდმარხვის მნიშვნელოვანი კომპონენტი - დიდი შაბათისათვის განკუთვნილი ჰიმნოგრაფიულ კანონი, რომელიც კომპილაციურია. კანონის მეორე ნაწილის ავტორია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი - კოზმა იერუსალიმელი. ამ კანონის პირველი ნაწილის ავტორობის საკითხი საკამათოა სამეცნიერო ლიტერატურაში. უძველესი ცნობა საგალობლის დასაწყისის ნაწილის ავტორის შესახებ დაცულია თეოდორე პროდრომესთან (XII ს.), რომლის მიხედვით ეს საგალობელი ეკუთვნოდა IX საუკუნეში მოღვაწე პოეტ ქალს - კასიას, მაგრამ მიზანშეუწონლად მიიჩნიეს კოზმა იერუსალიმელის საგალობელზე მისი დართვა. ამიტომ დაავალეს მარკოზ საბაწმინდელს, გადაემუშავებინა ეს საგალობელი. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ეს კანონი მთლიანად კოზმა იერუსალიმელს ეკუთვნის. გიორგი მთაწმინდელის „მარხვანში“ ამ კომპილაციური საგალობლის დასაწყისთან მითითებულია სხვა ავტორი - თეოფანე. გიორგი მთაწმინდელის „მარხვანი“ დღეისათვის უძველეს წყაროს წარმოადგენს ამ საკითხის შესასწავლად. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის დიდი სიზუსტეც, რასაც გიორგი ათონელი იჩენდა საგალობელთა ავტორების აღნიშვნისას. ამრიგად, გიორგი ათონელის რედაქციის ქართული „მარხვანების“ მოწმობით ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ამ ცნობილი ნიმუშის დასაწყისის ავტორია IX საუკუნის ცნობილი ჰიმნოგრაფი - თეოფანე აღმსარებელი (გრაპტოსი).

საკვანძო სიტყვები: ბიზანტიური ჰიმნოგრაფია, გიორგი მთაწმინდელის მარხვანი, თეოფანე აღმსარებელი

From the History of Liturgical Hymnography

Abstract

The translations of the greatest representative of Georgian culture - George the Athonite (1009-1065) deserve particular attention for the study of Byzantine hymnography. His goal was to bring Georgian translations as close as possible to the Greek originals. "Lenten Triodion" of George the Athonite's redaction is a unique collection, which in its completeness surpasses similar Byzantine collections known in the specialist literature today. It contains numerous hymns of 14 Byzantine hymnographers. Among them is an important component of Great Lent - the hymnographic canon for Great Saturday, which is a compiliatory. The author of the second part is a prominent representative of Byzantine hymnography - Kosmas of Jerusalem. The question of the authorship of the first part of this canon is controversial in the scientific literature. The earliest data about it is preserved by Theodore Prodromos. According to him, this hymn belonged to ninth-century female hymnographer Kassia, but it was deemed appropriate to attach it to the hymn of Kozma of Jerusalem. Therefore, Mark Sabbaites was assigned to rework this hymn. Some scholars hold that this canon entirely belongs to Kozma of Jerusalem. In the "Lenten Triodion" of George the Athonite, at the beginning of this compiliatory hymn there is an indication to the other author - Theophanes. The "Triodion" of George

the Athonite's redaction is the earliest source for studying this issue. One should also take into account the great accuracy in attribution to the authors of the hymns which George the Athonite demonstrated. Thus, according to the testimony of Georgian "Triodions" under George the Athonite's redaction, one of the authors of this renowned specimen of Byzantine hymnography is a well-known hymnographer of the 9th century - Theophanes the Confessor.

Keywords: Byzantine Hymnography, Georgian the Athonite, Lenten Triodion, Theophanes the Confessor

შესავალი.

ქართული ჰიმნოგრაფია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმანებით დაიწყო. საუკუნეების მანძილზე ქართულ ენაზე ითარგმნა ბიზანტიური სასულიერო პოეზიის თითქმის ყველა ცნობილი ნიმუში, რაშიც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ათონის საღვთისმეტყველო და ლიტერატურულმა კერამ. ამ სკოლის უდიდესმა წარმომადგენელმა - გიორგი მთაწმინდელმა ქართულ ენაზე თარგმნა ბიზანტიური სასულიერო მწერლობის, მათ შორის ჰიმნოგრაფიის, მრავალრიცხოვანი ნიმუშები.

გიორგი მთაწმინდელის მუშაობისათვის დამახასიათებელია წყაროთა სიმრავლე და დიდი სიზუსტე საგალობლებისთვის ავტორების მითითებაში. ამის საშუალებას მას აძლევდა ბიზანტიური მწერლობის ზედმიწევნით ცოდნა და მოღვაწეობის ფართო არეალი.

გიორგი ათონელის მიერ შედგენილ მრავალრიცხოვან კრებულებში ხშირად ავტორები აქვს მითითებული კომპილაციური საგალობლების ცალკეულ ნაწილებსაც კი. ეს მითითებები ყოველთვის ზუსტია.

ნაშრომში განხილულია მნიშვნელოვანი დღესასწაულის - დიდი შაბათისათვის განკუთვნილი კომპილაციური კანონი, რომელსაც საინტერესო ისტორია აქვს. გიორგი მთაწმინდელის თანახმად, ეს ისტორია სხვაგვარად წარმოგვიდგება.

მეთოდი: საკითხის შესწავლისას ვიყენებთ ისტორიულ-შედარებით, ანალიტიკურ, მულტიდისციპლინურ მეთოდებს, რომელთა საფუძველზე გამოიკვეთა ჰიმნოგრაფიული კრებულის - გიორგი მთაწმინდელის რედაქციის მარხვანის ერთ-ერთი კომპონენტი, მეორე მხრივ, მისი მნიშვნელობა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის.

მიზანი: სტატიის მიზანია გიორგი მთაწმინდელის მარხვანში დაცული დიდი შაბათისათვის

განკუთვნილი კომპილაციური ჰიმნოგრაფიული კანონის განხილვა-გაანალიზება და ბიზანტიურ

ტრადიციასთან მისი მიმართების დადგენა; ქართული თარგმანის მნიშვნელობის ჩვენება

ამ საგალობლის ბერძენი ავტორების დადგენისათვის.

მსჯელობა: პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ქართულ ხელნაწერებს შორის გამოირჩევა Paris.georg.5 ხელნაწერი, რომელიც, დიდი ხანია, ჩვენი კვლევის საგანია - მასში დაცულია უნიკალური ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული - გიორგი მთაწმინდელის რედაქციის მარხვანი, რომელიც ახლახანს გამოიცა (მარხვანი, 2022). კვლევამ გვიჩვენა, რომ ეს კრებული გიორგი მთაწმინდელის მიერ შედგენილი უნდა იყოს შავ მთაზე, ანტიოქიაში, 1056-1059 წლებში.

ესაა უნიკალური კრებული, რომელიც თავისი სისრულით ბევრად აღემატება დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ ანალოგიურ ბერძნულ კრებულებს. მასში დაცულია 14 ბიზანტიელი ჰიმნოგრაფის მრავალრიცხოვანი საგალობლები. მათ შორისაა დიდმარხვის მნიშვნელოვანი კომპონენტის - დიდი შაბათისათვის განკუთვნილი ვრცელი საგალობელი - ჰიმნოგრაფიული კანონი.

საგალობლის დასაწყისის გასწვრივ Paris.georg.5 ხელნაწერში მიწერილია ავტორი - თეოფანე. კანონი სრულია - შეიცავს II ოდას - „მოიხილესა“, რომლის დასაწყისის გასწვრივ მიწერილია ქართველი ავტორი - იოანე მინჩხი. როგორც კვლევამ ცხადყო, ამგვარი საქმიანობა - ბერძნულიდან თარგმნილი ჰიმნოგრაფიული კანონების შევსება II ოდებით დამახასიათებელია იოანე მინჩხისათვის. მას ბევრი სხვა ბერძნულიდან თარგმნილი კანონისთვისაც შეუქმნია II ოდა (ხაჩიძე 1987: 102-107). ამ ჰიმნოგრაფიული კანონის V ოდასთან ხელნაწერში მითითებულია სხვა ავტორი - კოზმან.

ამრიგად, Paris.georg.5 ხელნაწერის - გიორგი მთაწმინდელის მარხვანის მიხედვით, დიდი შაბათისათვის განკუთვნილი ამ შესანიშნავი ჰიმნოგრაფიული კანონის I ნაწილის ავტორია თეოფანე, მომდევნო ოთხსაგალობლის - V-IX ოდების ავტორი კი - კოზმა.

დიდი შაბათისათვის განკუთვნილ ამ საგალობელს საინტერესო ისტორია აქვს. მისი II ნაწილის - V-IX ოდების ავტორი დადგენილია და ესაა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი - კოზმა მაიუმელი (VIII ს.), რომელსაც, იოანე დამასკელთან ერთად, უკავშირდება ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის რეფორმა (მეტრეველი, 1971: 047-048). კოზმა იერუსალიმელს, სხვა მრავალ საგალობელთან ერთად, შესანიშნავი საგალობლები შეუქმნია დიდმარხვის ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდის - ვნების შვიდეულისათვის. აღნიშნული საგალობელიც ერთი მათგანია (Momina M. and Trunte N., 2004 : 115-121).

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, ოთხი გალობისაგან შედგენილი ამ ტიპის საგალობლები (ოთხსაგალობლები) დამახასიათებელია დიდმარხვის შაბათი დღეებისათვის.

როგორც ჩანს, შემდგომში განუზრახავთ კოზმას ოთხსაგალობლის შევსება და ჰიმნოგრაფიულ კანონად ქცევა.

უძველესი ცნობა საგალობლის დასაწყისის ნაწილის ავტორის შესახებ დაცულია თეოდორე პროდრომესთან, რომლის მიხედვით ეს საგალობელი ეკუთვნოდა IX საუკუნეში მოღვაწე პოეტ ქალს - კასიას (Theodori Prodromi, 1864: Col. 1235-1238). მკვლევართა აზრით, ამ საინტერესო ჰიმნოგრაფს ბევრი სხვა საგალობელიც შეუქმნია, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილია მოღწეული ჩვენამდე (Kazhdan, 2005). მარხვანების ცნობილი მკვლევარის - ი. კარაბინოვის მიხედვით, ეს „ოთხსაგალობელი“ დაცულია 2 ბერძნულ ხელნაწერში, კასიას კი ეკუთვნოდა თითოეული გალობის რიტმულ - მელოდიური საზომები და ორ-ორი ტროპარი (Карабинов, 1910: 308-309).

საინტერესო ისტორია აქვს დიდი შაბათისათვის მის მიერ შექმნილ ოთხსაგალობელსაც. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ შეუფერებლად მიუჩნევიათ ქალის მიერ შექმნილი საგალობლების დართვა ისეთი დიდი წმინდანის საგალობელზე, როგორიცაა კოზმა იერუსალიმელი, ამიტომ იმავე პერიოდში მოღვაწე ჰიმნოგრაფის - მარკოზისათვის დაუვალეზიანთ დიდი შაბათის ოთხსაგალობლის შექმნა (Theodori Prodromi, 1864: Col. 1235-1238).

მარკოზ საბაწმინდელს (იგივე ოტრანტელს) შეუსრულებია ეს დავალება და შეუქმნია ოთხსაგალობელი, რომელიც დაურთეს კოზმა იერუსალიმელის „ოთხსაგალობელს“. თანდათან მარკოზის საგალობელმა ნელ-ნელა შეცვალა კასიას „ოთხსაგალობელი“.

ცნობილია, რომ მარკოზს თავისი საგალობელი კასიას მიერ შექმნი ძლისპირებზე დაუწერია, რაც იმას ნიშნავს რომ ეს საგალობელი კვლავ პოეტი ქალის მიერ შექმნილ რიტმულ-მელოდიურ საზომებზე სრულდებოდა.

ასეთია, ზოგადად, დღეისათვის ამ საგალობელთან დაკავშირებული ისტორია. მკვლევართა უმეტესობა თეოდორე პროდრომეს ცნობებს იზიარებს.

მეცნიერთა ნაწილის აზრით, ეს კანონი მთლიანად კოზმა იერუსალიმელს ეკუთვნის (Schirò 1979: 300-315).

Paris.georg.5 ხელნაწერში ამ საგალობლის დასაწყისის გასწვრივ მიწერილია სხვა ავტორი - თეოფანე, V ოდის გასწვრივ კი - კოზმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პარიზულ ხელნაწერში დაცულია გიორგი მთაწმინდელის რედაქციის მარხვანი, რომელიც გამოირჩევა საგალობლების ავტორებზე ზუსტი მითითებებით.

ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში, საგალობლების დიდი რაოდენობის გამო, ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში დავიწყებას ეძლეოდა მრავალი საგალობელი და მათი ავტორები, ხდებოდა ავტორების აღრევა.

გიორგი მთაწმინდელს უდიდესი სამუშაო აქვს ჩატარებული ამ მხრივაც. მის მიერ შედგენილ მარხვანში ავტორები აქვს მითითებული საგალობლების უმეტესობას. ის, როგორც წესი, უთითებს კომპილაციური საგალობლების თითოეულ ავტორს. ეს განსაკუთრებით ეხება ვრცელ საგალობლებს. საგალობელთა

ავტორებზე მითითებები, როგორც წესი, ყოველთვის ზუსტია და დარწმუნებული ვართ, ასეა ამ შემთხვევაშიც.

პარიზულ ხელნაწერში ამ ოთხსაგალობლის ავტორად მიჩნეული თეოფანე (IX ს.) ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ცნობილი წარმომადგენელია. მას ეკუთვნის ვრცელი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა. მისი სახელით ჩვენამდე მოღწეულია 162 ჰიმნოგრაფიული კანონი და 19 „თვითმღისპირი“ სტიქარონი (Beck 1959: 516-517). მისი შემოქმედება გამოირჩევა ლირიკულობით, ამიტომაც უწოდეს მას „ტკბილხმოვანი სალამური“.

Paris.georg.5 ხელნაწერის მოწმობით, სწორედ ისაა დიდი შაბათის ამ კანონის დასაწყისი ოთხი ოდის (გალობის) ავტორი.

საგალობელი იწყება სიტყვით „რომელმან“. როგორც ცნობილია, ამ სიტყვას განსაკუთრებული საღვთისმეტყველო შინაარსი გააჩნია. ის სათავეს იღებს ძველი აღთქმიდან: „მე ვარ, რომელი ვარ“ (გამ. 3,14).

საგალობლის პირველივე ტროპარი (სტროფი) ძველი და ახალი აღთქმის ერთიანობას გამოხატავს:

„რომელმან დაფარა

სიღრმესა მდედარი,

ესე დღეს დაფარეს

ქუეყანასა შინა

შვილთა მათ ზღვისა ხსნილთაისა,

ხოლო ჩუენ შემსხმელთაებრ ხმა-ვყოთ:

უფალსა უგალობდეთ,

რომელიცა დიდებულ არს“.

ამავე ტროპარში ყურადღებას იქცევს გამოთქმა - „უფალსა უგალობდეთ“, რომელიც ეხმიანება შესაბამისი გალობის სახელწოდებას - „უგალობდითსა“.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ჰიმნოგრაფიული კანონის II ოდა ეკუთვნის იოანე მინჩხს. მინჩხის ეს საგალობელი 3 ტროპარისგან შედგება. თითოეული ტროპარი იწყება სიტყვით „რომელმან“, რაც შეესაბამება ამ ჰიმნოგრაფიული კანონის დასაწყისს.

მინჩხის საგალობელი მისთვის დამახასიათებელი ლირიზმით გამოირჩევა.

უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებულია ამ საგალობლის მხატვრული ენა. საგალობლის I ნაწილი უფრო ემოციურია, II ნაწილში კი დომინირებს თეოლოგიური წიაღსვლები, მშვიდი, „არგუმენტირებული“ მსჯელობა.

საგალობლის II ნაწილისათვის დამახასიათებელია რეფრენი. თითოეულ ოდაში რეფრენი შესაბამისი ოდის სახელწოდებასთანაა დაკავშირებული.

შთამბეჭდავია საგალობლის IX ოდა - ადიდებდითსა, რომელშიც გადმოცემულია დიალოგი ჯვარცმულ მაცხოვარსა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს შორის.

გიორგი მთაწმინდელის მარხვანი დღეისათვის უძველეს წყაროს წარმოადგენს ამ საკითხის შესასწავლად. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის დიდი სიზუსტეც, რასაც გიორგი ათონელი იჩენდა საგალობელთა ავტორების აღნიშვნისას.

შედეგები და დასკვნები:

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ცნობილი ნიმუში - დიდი შაბათის ჰიმნოგრაფიული კანონი ქართულ ენაზე თარგმნილია გიორგი მთაწმინდელის მიერ.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, მისი II ნაწილის ავტორად ქართულ თარგმანშიც კოზმა იერუსალიმელია მიჩნეული, კანონის I ნაწილის ავტორად კი დასახელებულია IX საუკუნის ცნობილი ჰიმნოგრაფი - თეოფანე აღმსარებელი (გრაპტოსი).

დამოწმებული ლიტერატურა:

Theodori Prodromi, 1865: Theodori Prodromi, Ex expositione in canonem Sabbati Sanctae // PG. 133. Col. 1235-1238, 1864.

Карабинов, 1910: Карабинов, Иван. Постная Триодь. СПб.: 1910.

Kazhdan, 2005: Kazhdan Alexander, Kassia. The Oxford Dictionary of Byzantium. Oxford, 1959.

Beck, 1959: Beck H. G. Kirche und theologische literature im Byzantinischen Reich. Munich, 1959.

მარხვანი, 2022: მარხვანი, წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქცია, I - II, გამოსაცემად მოამზადეს ლელა ხაჩიძემ, ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, ლიანა ანობაძემ და ეკა კვირკველიამ ლელა ხაჩიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 2022.

მეტრეველი, 1971: ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა. თბილისი, 1971.

Momina M. and Trunte N., 2004: Momina M. and Trunte N. Triodion und Pentekostarion. Nach slavischen Handschriften des 11.-14. Jahrhunderts. SchÖningh, 2004.

Schirò, 1979: Schirò G. La seconda leggenda di Cassia // Δίπτυχα. ᾿Αθήναι, 1979. T. 1. Σ. 300-315.

ხაჩიძე, 1987: იოანე მინჩხის პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ, თბილისი, 1987.

სახელების რექტიფიკაციის (გამართვის) ცნება პოლიტიკური დისკურსის კონტექსტში

Givi Amaglobeli

International Black Sea University, Georgia

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განიხილება ჩინურ ფილოსოფიურ ტრადიციაში აქტუალური (პოლიტიკის) ენის გამართვის ცნება, კონფუციანური და ლაოძისეული ტრადიციის ფარგლებში, სადაც შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ ენა თამაშობს მნიშვნელოვან როლს შესაძლო სიმბოლური წყობისა და სასურველი სოციო-პოლიტიკური რეალობის კონსტრუირებაში. საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვის პარალელურად შევეცდებით განვიხილოთ ცნებების ქართულ პოლიტიკურ დისკურსთან მისადაგებას, პრაქტიკული მაგალითების მოშველიებით.

საკვანძო სიტყვები: რექტიფიკაცია, პოლიტიკური დისკურსი, კონფუცი, ლაოძი, ენა

The Concept of Rectification of Names in the context of Political Discourse

Abstract

In this paper, the concept of Rectification of Names (Confucius and Laozi) within the context of (political) language relevant in the Chinese philosophical tradition will be discussed, where we will try to show that language plays an important role in constructing a possible symbolic order and the desired socio-political reality. In parallel with the subject related literature review, we will try to adapt the discussed notions to the Georgian political discourse, using practical examples.

Keywords: rectification, political discourse, Confucius, Laozi, language

ფორმალიზებული ენის პოლიტიკურად გამოყენება

ჩინურ ტრადიციაში ენის „სისწორე“ ყოველთვის მიიჩნეოდა მორალური ავტორიტეტის, ოფიციალური ლეგიტიმურობისა და პოლიტიკური სტაბილურობის წყაროდ. პოლიტიკის ენას ყოველთვის გააჩნდა ნიშანდობლივი ინსტრუმენტული დატვირთვა, რადგან მისი (ენის) კონტროლი იყო ორთოდოქსული სახელმწიფო იდეოლოგიის გამოხატვისა და გადაცემის ყველაზე შესაფერისი გზა. ფორმალიზებული ენა ასევე ემსახურებოდა ჩინელი ინტელექტუალების გამომხატველობის დიაპაზონის სტანდარტიზაციას.

ძველი ჩინეთიდან მოყოლებული, ენა ყოველთვის თამაშობდა მნიშვნელოვან როლს შესაძლო სიმბოლური წყობისა და სასურველი სოციო-პოლიტიკური რეალობის კონსტრუირებაში.

(კონფუციანური ტრადიციის ფარგლებში) სახელმწიფოს მართვის ხელოვნება ეფუძნება საგნებისთვის/მოვლენებისთვის სწორი სახელების დარქმევასა და შესაბამისად მოქმედების აქსიომატურ პრინციპს. ესაა მისი (კონფუციის) პოლიტიკური თეორიის ერთერთი ფუნდამენტური ცნება. მისი მოსაზრებით, ოპტიმალური მმართველობა ხორციელდება მაშინ, როდესაც ყველა მოვალეობა სრულდება შესაბამისად დადგენილი სახელების მიხედვით - როდესაც კონფუციის ჰკითხეს: „რას ნიშნავს მმართველობა?“ - მან ერთმნიშვნელოვნად უპასუხა: „მართვა ნიშნავს სახელების გამართვას/დაზუსტებას“ (zhengzhi, zhengye 政者, 正也).

აქ მნიშვნელოვანი პოლიტიკური სტრატეგიაა სწორი მაგალითით გაძღოლა. კონფუცი ამტკიცებდა, რომ მმართველი, რომელსაც შეეძლო „სახელთა გამართვა“, შეძლებდა ასევე მართულთათვის ნათელი

მისაბადი მაგალითის მიცემასაც. როდესაც მმართველის მოქმედებები შეესაბამება მისივე სიტყვებით განსაზღვრულ სტანდარტებს, იგი ახორციელებს მართებულ სოციალურ ქცევას.

მაგალითად, მაო ძედუნის მმართველობის პერიოდში „სწორი სახელების“ თეორია სრულად იქნა განხორციელებული ვერტიკალური პროპაგანდის მექანიზმების მეშვეობით. **სასურველი რეალობის რეპრეზენტაციების** ლოგოცენტრული მოდელი სრულად იქნა დანერგილი მომეტყველისა და მსმენელის მიერ გაზიარებული ზოგადი წესებისა და კონვენციების დადგენის მეშვეობით.

ინდივიდებს მოეთხოვებოდათ შესაბამისი ლინგვისტური ქცევისა და მეტალინგვისტური აქტების განხორციელება. ეს იყო სახელებსა (*ming*) და სასურველ რეალობას (*shi*) შორის გამოთქმების (*yan*) მეშვეობით „ჰარმონიაზე“ დაფუძნებული ფორმალური კორექტულობის კრიტერიუმი. მომეტყველე იყენებს ენას, როგორც რეალობის სოციო-პოლიტიკური კონსტრუირების ინსტრუმენტს და მიმართავს მსმენელის მოქმედებას სანქცირებული ქცევისაკენ. (M. Marinelli, 2009)

კლასიკური ჩინური ფილოსოფოსები არ იყვნენ დაინტერესებულნი ენის სემანტიკით. მათ უფრო მეტად აინტერესებდათ ენის პრაგმატიკა. სემანტიკური ჭეშმარიტების (და მცდარობის) ნაცვლად ისინი ინტერესდებოდნენ პრაგმატული დამტკიცებადობით და შესაბამისობით - საზოგადოების მიერ დისკურსის/მსჯელობის გათავისების ხარისხით.

კლასიკური ჩინელი ფილოსოფოსების მიხედვით ენა ადგენს/განსაზღვრავს მისაღები ქცევის ფორმებს საზოგადოებაში. ენა ახდენს იმის რეგულირებას, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს სოციალურ კონტექსტში. კლასიკური პერიოდის ჩინელი ფილოსოფოსები **ენას განმარტავდნენ როგორც საშუალებას, რომელიც წარმოადგენს სოციალურ ქცევას საზოგადოებრივი ჰარმონიის მიღწევის მიზნით.**

ენის რეგულატორული ფუნქციის მთავარ შემადგენელს წარმოადგენს სახელები (მინგ). სახელების მეშვეობით დგინდება **ში (ეს)** და **ფეი (არა ეს)** დიხოტომია.

რომელი სახელები (მინგ) უნდა იქნას გამოყენებული იმისთვის, რომ განვსაზღვროთ სოციალური ურთიერთქმედებები და როგორ დავარეგულიროთ ეს ურთიერთქმედებები მათივე (სახელების) საშუალებით - ეს გახლდათ კლასიკური პერიოდის ჩინელი ფილოსოფოსების მთავარი კითხვები.

ენაში წარმართვის ფუნდამენტური შეპირისპირებულობებია **wu (არყოფნა/არარსი)** და **you (ყოფნა, არსი)**. **Wu (არარსი)** და **you (არსი)** ასახავს ყველაფერ იმას, რაც არ არის და რაც არის. ამ განსხვავებიდან გამომდინარე ისინი წარმოშობენ **shi-fei (ეს/არა ეს)** დიხოტომიას. თუმცა, როგორ უნდა განასხვავოს **wu (არარსი)** და **you (არსი)** შეპირისპირებულობამ ის, რაც არ არის და რაც არის? როგორ შეიძლება ეს ორი შეპირისპირებულობა მუდმივად იქნას ერთმანეთისგან განსხვავებული ისე, რომ ამ განსხვავების მეშვეობით მივიღოთ სოციალური ჰარმონია/წესრიგი? რადგან „ყველაფერი“ მიეკუთვნება **you (არსი-ს)** განსხვავებას, შეუძლებელია დადგენილ იქნას მუდმივი ზღვარი **wu (არარსი)** და **you (არსი)**-ს შორის, რამეთუ, არარსებული არც არის. შესაბამისად, რთულია მუდმივად ამგვარი განსხვავების დადგენა: **shi-fei (ეს/არა ეს)** და სოციალური ინტერაქციების **wu (არარსი)** და **you (არსი)**-ს დიხოტომიებზე დაყრდნობით წარმოება.

მიუხედავად ამისა, **wu (არარსი)** და **you (არსი)** ერთად წარმოიქმნებიან ენაში. შესაბამისად ენა, რომელიც ეფუძნება ამგვარ (**wu/არარსი** და **you/არსი**) განსხვავებებს, ხდება გაუგებრობების წყარო. აქ მთავარ წინააღმდეგობას წარმოადგენს ენაში არსებული და არარსებული ასახვის დიხოტომია.

იქედან გამომდინარე, რომ შეუძლებელია დადგინდეს **wu (არარსი)** და **you (არსი)**-ს შორის განსხვავება, ენაში მოცემული ზღვარი წარმოადგენს კონვენციურ-პირობითს. რაც შეეხება განსხვავებების კონვენციურ ბუნებას, ისინი შეიძლება შეიცვალონ დროთა განმავლობაში, ასე რომ, **wu (არარსი)** და **you (არსი)** განსხვავება ვერ იქნება ერთხელ და სამუდამოდ ფიქსირებული. (K. Tanaka, 2004)

ჩინურ მიდგომაში ენის უნიფორმულობა განსაზღვრავს რეალობის სტაბილურობასაც, რაც არის ენის მიერ რეალობის დეტერმინირების უნარი. სხვა სიტყვებით, თუ სწორია მეტყველება, სტაბილური იქნება (სოციალური) რეალობაც.

დასავლური კონცეფცია: ენის პერფორმატიულობის უნარი.

ენის ფილოსოფიაში და სამეტყველო აქტების თეორიაში პერფორმატიული გამოთქმები წარმოადგენს წინადადებებს, რომლებიც არა მხოლოდ აღწერენ მოცემულ სინამდვილეს, არამედ ცვლიან კიდეც იმ სოციალურ რეალობას, რომელსაც ისინი აღწერენ.

ასევე, ჩინურ ენის ფილოსოფიაში არსებობს ლაოძისეული შეხედულებები ენის გამოყენების სისწორესთან დაკავშირებით, რომელიც ერთგვარად უპირისპირდება კონფუციუსულ ლოგოცენტრიზმს:

- **კონფუცის სწორი მეტყველება - „სახელების გამართვა“**
- **ლაოძის ენის ლიმიტი**

ლაოძი: სახელი რომ გვებოძა - სახელი არ იქნებოდა უცვლელი.

კონფუცის მიაჩნდა, რომ მისი დროებისთვის აუცილებელი იყო საგნებისთვის სახელების დარქმევა. მას სურდა, რომ ადამიანი ყოფილიყო კაცთმოყვარე და ეწოდებინათ ამისთვის კაცთმოყვარეობა, ადამიანს აღესრულებინა თავისი მოვალეობა მშობლებისადმი და ეწოდებინათ ამისთვის მოვალეობა, ადამიანი ყოფილიყო ერთგული თავისი ხელმწიფისა და ეწოდებინათ ამისთვის ერთგულება. ლაო-ძი კი სხვაგვარად ფიქრობდა: „ოდეს დიადი წესრიგი დამყარდა: ყოველს თავისი სახელი ეწოდა. სახელებმა დასაზღვრეს საგანთა საზღვრები. ვინცა შედგა და შეიცო საგანთა საზღვრები: საფრთხისაგან დაიხსნა თავი“.

ლაო-ძი თვლიდა, რომ თუკი ადამიანებმა უწყიან, რომ ისინი კაცთმოყვარენი, მოწიწებულნი და ერთგულნი არიან და აღნიშნავენ კიდეც ამას, ეს იმას ნიშნავს, რომ არსი გამჭრალა და მხოლოდლა მისი აჩრდილი დარჩენილა. ყველა რომ ნამდვილად კაცთმოყვარე, მოწიწებული და ერთგული იყოს, არავინ განსჯიდა ამ ცნებათა შინაარსს და არც არავის დასჭირდებოდა მათი ხსენება. ყველა რომ სათნო იყოს, მანკიერებათა სახელწოდებებიც არ ამოტივტივდებოდა ადამიანის გონებაში.

აღნიშნული დებულება ამჟღავნებს მსგავსებას (სოციალურ) ცნებათა ხელოვნურად კონსტრუირებულობის მოსაზრებასთან - „იყო დრო, როცა “კაცთმოყვარეობისა” და “სამართლიანობის” ცნებებს არ ერქვათ თავიანთი სახელები. როცა უწოდეს ამ ცნებებს თავიანთი სახელები და კაცთა შეგნებაში გამოაცალკევეს ისინი, წარმოიშვა მათი საპირისპირო ცნებებიც: “კაცთმოძულეობა” და “უსამართლობა”. როცა ჯერ კიდეც სრული თანხმობა და მორჩილება სუფევდა, მოწიწება და სიყვარული არ ყოფილა არაჩვეულებრივი მოვლენა“.

კონფუცი ამტკიცებდა, რომ ენის სწორად გამოყენება აუცილებელია საზოგადოებაში წესრიგისა და ჰარმონიისთვის და რომ ის პირობები, რომლითაც ენა სწორად გამოიყენება, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავს სახელები/ცნებები (ming) საგნებს, მოვლენებსა და ქმედებებს. **თუმცა, სახელების/ცნებების სწორად გამოყენება არ არის უბრალოდ ადამიანური გამოცდილებებისგან დამოუკიდებელი და მასზე ადრე არსებული მოვლენების სახელდება.** საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კონფუცი ენას განიხილავდა, როგორც არა უბრალოდ აღწერითი, არამედ ფუნდამენტურად პერფორმატიული ფუნქციის მქონე ფენომენს. **საგნებისთვის სახელების მინიჭება არ წარმოადგენს სინამდვილის აღწერის საკითხს, არამედ იგი გულისხმობს მასზე (სინამდვილეზე) ისეთ ზემოქმედებას, რაც იწვევს ურთიერთქმედებისა და ქმნადობა/არსობის გარკვეული ფორმების განხორციელებას.**

ენის ამ პერფორმატიული ასპექტის გაგება გვეხმარება იმის გაგებაშიც, თუ რატომ თვლიდა კონფუცი, რომ საზოგადოების მოწყობა სახელების/ცნებების გამართვით უნდა დაიწყოს. (Stanford Encyclopedia of Philosophy, 2016)

ხუნ-ძი საზოგადოებაში არსებულ უწესრიგობას მიაწერს გარკვეულ ენობრივ კონდიციას, რომელსაც იგი უკავშირებს ისეთ უარყოფით ფენომენებს, როგორიცაა „სახელთა დაყოფა“, „ახალი სახელების წარმოქმნა“ და „არსებული სახელების აღრევა“. ხუნ-ძის მიხედვით ადამიანის მიერ სინამდვილის (shi 實) გაგებისა და მასზე შეთანხმების უნარი დამოკიდებულია ენაში გამოყენებული სახელების/ცნებების (ming 名 - რომელიც მოიცავს კატეგორიებსა და განსაზღვრებებს) შესაბამისობაზე. როდესაც ცდილობენ სინამდვილის (საგანი/მოვლენა, ურთიერთმიმართება) განსაზღვრას განსხვავებული ცნებებით, ირღვევა კავშირი სახელებსა (ming 名) და რეალობას (shi 實) შორის, რასაც შედეგად მოჰყვება ქაოსი და დაბნეულობა. (Language in Classical Chinese Philosophy, The Internet Encyclopedia of Philosophy)

აღსანიშნავია ისიც, რომ (პოლიტიკურ) ცნებათა დაზუსტების კონფერენციურ (ლინგვისტურ) სტრატეგიას დღესაც მიმართავს ჩინეთის მმართველი პარტია. მაგალითისთვის, ჩინეთის ლიდერ ქსი ჟიპინგის მმართველობის პერიოდში სოციალურმა მეცნიერებებმა განიცადეს პოლიტიკური რექტიფიკაციის პროცესი. ჩინეთის ხელისუფლების მხრიდან ინტელიგენციის გაკონტროლების პოლიტიკის ფარგლებში მოხდა ფოკუსირება რიგი მეცნიერებების (მათ შორის: სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკური მეცნიერება, სოციოლოგია და ეთნიკური კვლევები) პოლიტიკური კორექტულობის პრინციპის მიხედვით რეგულირებაზე.

მმართველ პარტია შიშობდა, რომ დაკარგა კონტროლი ნარატივზე და მიიჩნევდა, რომ უნივერსიტეტების აუდიტორიებში წარმოიშვა ზედმეტად ბევრი კრიტიკული ხმა. ცალკეულ მეცნიერებზე გარკვეული სანქციების დაწესება გახდა კონტროლის გაცელებით უფრო ფართო პოლიტიკის ნაწილი.

მაგალითად, ჩინეთის სოციალურ მეცნიერებათა ეროვნული ფონდი უპირატესობას ანიჭებს ისეთ კვლევებს, რომლებიც ეხება პარტიის ლიდერს, მარქსიზმსა და კომუნისტური პარტიის ისტორიას. ყოველივე ეს წარმოადგენს დისკურსის გაკონტროლების მცდელობას. განიხილება მხოლოდ ის თემატიკა, რომლის განხილვაც სურს პარტიასა და მის ლიდერს.

პარტიის ხელმძღვანელობა და უნივერსიტეტები „იყენებენ ინსტრუმენტებს, რომლებიც ცნობილია, როგორც რექტიფიკაციის მოძრაობის შემადგენელი სტრატეგიები. ხშირ შემთხვევებში, რექტიფიკაცია გულისხმობს მთელი ჯგუფების გამოვლენას და მათ გაგზავნას ხელახალი განსწავლის მიზნით. (Y. Sharma, 2019)

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ენის რექტიფიკაციის ხსენებული სტრატეგია ტოტალიტარული რეჟიმების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას განსხვავებული შეხედულებების მქონე ინდივიდების რეპრესიის მიზნით.

(ენის) რექტიფიკაციის პრაქტიკული მაგალითები ქართული პოლიტიკური დისკურსიდან

მოცემულ ნაწილში შევეცდებით ზემოთ განხილული ენის რექტიფიკაციის და მთავარი აღმნიშვნელების ცნებების მისადაგებას ქართულ პოლიტიკურ დისკურსზე. ამ მიზნით მოგვყავს ქართველი ენათმეცნიერის - ლევან ღვინჯილიას მოსაზრებები ენის სწორ გამოყენებასთან დაკავშირებით. მაგალითად, იგი კრიტიკულად არის განწყობილი ქართულ საჯარო დისკურსში ბოლო დროს გავრცელებული გარკვეული ლინგვისტური ფენომენების მიმართ. კერძოდ, ამ კუთხით შეიძლება შემდეგი საკითხების არტიკულირება:

1. საჯარო დისკურსში კნინობითი (პირადი) სახელების გამოყენება, სადაც სახეზეა შეუსაბამობა: საჯარო პირები იყენებენ პირველადი (არაფორმალური) დისკურსის ელემენტს მეორადი (ფორმალური) დისკურსის ფარგლებში.

- რატომ ირჩევენ ინდივიდები თავიანთ კნინობით სახელებს, როგორც ფორმალური დისკურსის ნაწილს?
- რა შესაძლო შედარებითი უპირატესობა შეიძლება გააჩნდეს კნინობითი სახელების გამოყენებას? შეიძლება თუ არა იგი მიჩნეულ იქნას გარკვეული (პოლიტიკური) მიზნების მისაღწევ ერთგვარ დისკურსულ სტრატეგიად?
- რამდენად შეგნებულია (ცნობიერი) საჯარო პირების მიერ ფორმალური დისკურსის ფარგლებში კნინობით-მოფერებითი სახელების გამოყენება?

გონივრული ახსნა/მოტივაცია: პოლიტიკოსების მიერ არაფორმალური, ამომრჩეველთან ახლოს მდგომი იმიჯის შექმნა.

კნინობითი სახელები ძირითადად ასაკით უფროსების ან უფროსი შვილების მიერ უმცროსი ოჯახის წევრების მიმართ გამოიყენება და მას ხშირად ვერტიკალური და დამავალი მიმართულება აქვს. შვილები და უმცროსი წევრები უფროსების მიმართ იშვიათად იყენებენ საკუთარი სახელების კნინობით ფორმას, თუმცა არსებობს განსხვავებული შემთხვევებიც. თანატოლები ან შვილები

ჰორიზონტალურად გამოიყენებენ ჰიპოქორიზმებს. ხშირად, ჰიპოქორიზმები ადამიანს მოზრდილობამდე მიჰყვება, ხანდახან ცხოვრების ბოლომდეც კი.

კნინობით-მოფერებითმა სახელებმა პოპულარობა შეიძლება შემატონ მათ გამოყენებულ პირებს, მიუთითონ რა მათ „თანამედროვეობაზე“, როდესაც პირს აქვს სურვილი წარმოჩნდეს სხვათა თვალში პოზიტიური ემოციური ფორმით.

ზოგიერთი კნინობით-მოფერებითი სახელი ოფიციალურ ფორმად გადაიქცა: მაკა, სოსო, ვანო, ეკა, მარიკა...

სავარაუდოდ, პოლიტიკოსებს გააჩნიათ თავიანთი სახელების კნინობით-მოფერებითი ფორმის ოფიციალურ სახელებად გამოყენების ეს მიდრეკილება (რასაც კონკრეტული ბენეფიტი უნდა მოჰქონდეს მათთვის - საზოგადოებაში პოზიტიური იმიჯის შექმნა). (მ. ლევიძე, 2017)

კნინობითი სახელების გამოყენება:

1. პოლიტიკოსებში
2. ჟურნალისტებში
3. ორგანიზაციების თანამშრომლებში

... ოფიციალური სახელი უნდა იყოს ერთი, მოფერებითი სახელების ოფიციალურ სახელებად გამოყენება დაუშვებელია, მაგრამ მოფერებით სახელთა მოწესრიგებაცაა საჭირო.

ყოველგვარი მოფერებითი სახელის ხმარებაც არ ვარგა. ამიტომ სარეკომენდაციო სიაში ოფიციალური სახელების (არა ყველას) გვერდით ფრჩხილებში მოთავსებულია სათანადოდ შერჩეული შინაური, მოფერებითი სახელებიც. მაგალითად: ანა (ანიკო, ანო, ანუკა), ეკატერინე (ეკა, კატო), მარიამი (მარო, მარიკო), სოფიო (სოფო, სოფიკო), ალექსანდრე (სანდრო), გრიგოლი (გიგა, გიგო, გიგოლი, გიგლა), გიორგი (გიო, გია, გოგი, გოგიტა), ზაქარია (ზაქრო, შაქრო), მიხეილი (მიხა, მიხო, მიხაკო) და სხვა. ფრჩხილებში ჩასმული სახელები რეკომენდირებულია ოფიციალურ სახელთა შესაბამის არაოფიციალურ სახელებად. ოფიციალურ დოკუმენტებში (პასპორტში, პარტიკულტურში, პირადობის მოწმობაში, ატესტატში, დიპლომში...), დაწესებულებებსა და სკოლებში სახმარებლად, ოფიციალური სიების შედგენისას და სხვა მსგავს შემთხვევებში მათი ხმარება დაუშვებელია. (ივ. გიგინეიშვილი, 1986)

2. პოლიტიკოსების (და პარტიების) მიერ სახელების არასწორი გამოყენება:

ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია პოლიტიკური გაერთიანება „გირჩის“ დამფუძნებლებს სოციალურ ქსელში ეხმინება.

„- მცირე შენიშვნა ასო (არასამთავრობო ორგანიზაცია) „გირჩის“ დამფუძნებლებს!

- ამ დღეებში შევიტყვე, რომ დაგიფუძნებიათ ასო „გირჩი“.

- მე, ცხადია, ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

- სახელის არჩევა და დარქმევა ჩვენში ჯერჯერობით არ რეგულირდება, რის გამოც არჩევანიც თავისუფალია და გადაწყვეტილებაც, მაგრამ ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა დეტალმა: საჯარო გამოსვლების დროს, ამ სახელწოდების ილუსტრირებისას, ფიგურირებს „წიწვოვანი ხეების თავთავის მსგავსი ყვავილედი“, რომელსაც თქვენ რატომღაც უწოდებთ - „გირჩი“.

- უკვე სახელდებული საგნებისა და მოვლენებისათვის თვითნებურად სახელის შეცვლის უფლება კი თქვენ არა გაქვთ!!!

- დიახ! თქვენ შეგიძლიათ დაირქვათ ის, რაც მოგესურვებათ, მაგრამ თუკი ამ სახელწოდების შესაბამის საგანსაც გამოაჩენთ, მაშინ, კეთილი უნდა ინებოთ და, საგნის სახელწოდება არ უნდა დაამახინჯოთ!!!

- მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ დაირქვათ: - „პანტი“; - „გოგრი“; - „ტარხუნი“; - „წიწაკი“; - „სკვინჩი“; - „ბელური“; - „ბარდი“; - „ქამი“ (ნოეს ერთ შვილს ერქვა, იმაში არ აგერიოთ, ამჯერად სოკოს ვგულისხმობ); „ფაცხი“; „კატი“; და ასევე - „გირჩი“, მაგრამ აქ ჩამოთვლილი არსებითი სახელების სწორი ფორმებია: - პანტა; - გოგრა; - ტარხუნა; - წიწაკა; - სკვინჩა; - ბელურა; - ბარდა; - ქამა; - ფაცხა; - კატა;და, რა თქმა უნდა - გირჩა.

- იმედია, მიმიხვდით!

- აქედან სამი გამოსავალია:

- უნდა გაასწოროთ შეცდომა და დაირქვათ არა „გირჩი“, არამედ - „გირჩა“;

- დაიტოვოთ სახელი „გირჩი“, მაგრამ მაშინ უნდა შეეშვათ წიწკოვან მცენარე თესლების ხატვას;

- გამოიცვალოთ სახელი, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, სასურველია, ის, რასაც დაირქმევთ, ენობრივად იყოს გამართული, თორემ სახელწოდებაშივე თუ მოატყუებთ ხალხს, მერე თქვენი პროგრამული დანაპირების დაჯერებაც გაუჭირდებათ. (ლ. ღვინჯილია, 2015)

დასკვნა:

ქართულ პოლიტიკურ/საჯარო დისკურსში არის ისეთი სფეროები, სადაც აუცილებელია ზემოხსენებული „სახელთა გამართვის“ ცნების მისადაგება, კერძოდ კი, საჯარო დისკურსში ოფიციალური (პირადი) სახელების ნაცვლად კნინობით-მოფერებითი სახელების და პოლიტიკური ლიდერების/პარტიების მიერ სახელთა არასწორი ფორმით (და მნიშვნელობით) გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. M. Marinelli. Names and Reality in Mao Zedong's Political Discourse on Intellectuals. 2009, Journal of Global Cultural Studies. [http: https://journals.openedition.org/transtexts/268](http://journals.openedition.org/transtexts/268)
2. Logic and Language in Early Chinese Philosophy. First published Tue Sep 13, 2016; substantive revision Tue Nov 6, 2018. Stanford Encyclopedia of Philosophy. [http: https://plato.stanford.edu/entries/chinese-logic-language/#ConfOrdeName](http://plato.stanford.edu/entries/chinese-logic-language/#ConfOrdeName)
3. Logic and Language in Early Chinese Philosophy. First published Tue Sep 13, 2016; substantive revision Tue Nov 6, 2018. Stanford Encyclopedia of Philosophy. [http: https://plato.stanford.edu/entries/chinese-logic-language/#ConfOrdeName](http://plato.stanford.edu/entries/chinese-logic-language/#ConfOrdeName)
4. Y. Sharma. Ideological „rectification“ hits social sciences research. 2019. <https://www.universityworldnews.com/post.php?story=20191212160548739>
5. მ. ლევიძე, კომუნიკაციის ეთნოსტილი და მიმართვის საალერსო ფორმები ქართულსა და ინგლისურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი, 2017.
6. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები : პირველი კრებული/ რედაქტორი: ივ. გიგინეიშვილი ; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი; ადამიანთა სახელების სარეკომენდაციო სია გვ. 238-240.
7. ლევან ღვინჯილია: მცირე შენიშვნა ასო „გირჩის“ დამფუძნებლებს! <https://reportiori.ge/old/?menuid=2&id=82864>
8. ლევან ღვინჯილია - სტუდენტებმა იციან, რომ ქართველები არიან, მაგრამ რატომ არიან, არ იციან. <https://1tv.ge/news/levan-ghvinjilia-studentebma-ician-rom-qartvelebi-arian-magram-ratom-arian-ar-ician/>

რუსული ჰიბრიდული ომის ფენომენი და მისი გავლენა მსოფლიო პოლიტიკური სისტემის განვითარებაზე, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების პერიოდში

Lasha Bregvadze

Caucasus International University, Georgia

აბსტრაქტი

მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში, როცა ხდება ახალი მსოფლიოს წესრიგის დადგენა და გადანაწილება, ისეთ დიდ მოთამაშეებს შორის როგორც არის რუსეთი, აშშ და უკვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, თავისი დიდი გეოპოლიტიკური ამბიციებით, ახალ მნიშვნელობას, საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით იძენს ისეთი საფრთხეები, როგორიც არის, ჰიბრიდული ომის წარმოება. ისეთი ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნისთვის როგორც საქართველოა, რომელსაც არ გაჩნია ამ ეტაპზე, მძლავრი სამხედრო ინსტიტუტები და სამხედრო პოტენციალი, რომ შესაბამისი წინააღმდეგობა გაუწიოს აგრესორ ქვეყანას, პირდაპირი სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჰიბრიდული საფრთხეების შეფასება და მათთან ბრძოლის სწორი სტრატეგიის შემუშავება. ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გაანალიზდეს და შემდგომ ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას, აღნიშნული ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლაში, საჭიროა შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი, ისეთ ჰიბრიდულ საფრთხეებთან, როგორებიც არის ჰიბრიდული ომის, კიბერ ტერორიზმის, საინფორმაციო ომის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები და ხერხები, რაც საბოლოოდ შესაძლებელს გახდის ქვეყნისთვის კონსტიტუციური წესრიგის შენარჩუნებას.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული ომი, კიბერ-დანაშაული, ინფორმაციული ომი, რეგიონალური პეგემონი, კიბერ-ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, აგრესორი ქვეყანა, ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება.

The Phenomenon of the Russian Hybrid War and Its Influence on The Development of the World Political System, During the Period of the Establishment of the New World Order

Abstract

In the context of globalization, when balance of power is redistributed among such a big actor as Russia, the United States, China, with their vast geopolitical ambitions, and a new world order is established, threats like asymmetric warfare acquire new significance in the context of international security. For a young democracy like Georgia, which at this stage lacks strong military institutions and structures, as well as the military potential to resist an aggressor country in the case of direct military confrontation, it is vital to assess asymmetric threats and develop the right strategy to oppose them. Based on what was above-mentioned, it is vital to analyze and take further effective steps to oppose such an asymmetric threat. It is necessary to develop an action plan, which will describe in detail the means and methods of combating asymmetric threats such as hybrid warfare, cyber-terrorism, information warfare, Connecting economic leverage and organized crime; this will eventually make possible for the country to maintain a constitutional order.

Keywords: hybrid war. Cyber-crime, Information warfare, regional hegemon, Cyber-terrorism, organized crime., Aggressor country, Implementation of economic levers.

შესავალი

საუკუნეების მანძილზე ხდებოდა ცვლილებები ომების ისტორიაში. ცვლილებები შეეხებოდა, როგორც საშუალებებს, ასევე მის ორგანიზებას, დაგეგმვას, ტაქტიკას და სტრატეგიას. უმნიშვნელოვანესი ეპოქა, რომელმაც ძირფესოვნად შეცვალა ომის ბუნება და საფუძვლები ჩაუყარა თანამედროვე ომებს არის

XVIII-XIX საუკუნეები, რომელიც ნაპოლეონის ეპოქით არის ცნობილი, ძირითადად ამ ეპოქაში ყალიბდება ძირითადი მიმართულებები სამხედრო სტრატეგიების.

ტერმინმა „ჰიბრიდული ომი“ დამკვიდრება მოახდინა მას შემდეგ რაც, მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა გაიაზრეს, ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, რამხელა შესაძლებლობები გაჩნდა, რესურსების სწორი ათვისების და გამოყენების შემთხვევაში (ნაკლები დანახარჯით), რითიც შესაძლებელი ხდებოდა ისეთი შედეგების მიღწევა რომელთა მიღწევაც, ისტორიულად მოითხოვდა როგორც დიდ ადამიანურ რესურსს ისე ფინანსურს [ჰიბრიდული ომი „21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები“, 2020:21].

„ჰიბრიდული ომი“-ს პირველი მკაფიო გამოვლინება XX-ე საუკუნის 60-70 იან წლებში დაფიქსირდა როცა ჩრდილოეთ ვიეტნამის (ვიეტ-კონგის) რეგულარული არმიის მიერ მოხდა, თავისზე გაცილებით ძლიერი მეტოქის შეერთებული შტატების სახით ფაქტიური დამარცხება, როდესაც გაცილებით ძლიერმა მეტოქემ ვერ მიაღწია წარმატებას კონვენციურ ომში თავისზე გაცილებით სუსტ მეტოქეზე და საბოლოოდ გახდა იძულებული თავისი ჯარები გამოეყვანა რეგიონიდან.

ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დროთა განმავლობაში მოხდა „ჰიბრიდული ომის“-ს ისეთი ელემენტების განვითარება როგორიც არის ასიმეტრიული ომი, აღნიშნული ომის წარმატებული წარმოება მოხდა XX-ე საუკუნის 80-იან წლებში ავღანეთში რუსეთ ავღანეთის ომის პერიოდში. აღნიშნული პერიოდიდან საკმაოდ ხშირად ხდებოდა აღნიშნული ტიპის ბრძოლის გამოყენება, ამის ნათელი მაგალითია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტია შეერთებული შტატების ტერიტორიაზე.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ სამეცნიერო წრეებში გაჩნდა ახალი ტერმინი „ასიმეტრიული საფრთხე“ რომელიც გამოიყენება საერთაშორისო ტერორიზმთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ ტერორიზმის და პოლიტიკური ძალადობის შემსწავლელი ცენტრის დირექტორმა პოლ ვილქსონმა ამ სიტუაციას „სუსტი ძალის რეალიზება ძლიერის სისუსტის წინააღმდეგ“ უწოდა. დასახელებული შემთხვევების ურთიერთთანმხედარი ელემენტების დამთხვევით, შეიძლება გამოვყოთ ასიმეტრიული კონფლიქტის ძირითადი მიმართულებები. ასევე არათანაბარი ძალოვანი შესაძლებლობებისა და სტატუსებიდან გამომდინარე ვივარაუდოთ, რომ კონფლიქტის საბოლოო შედეგი სუსტი მონაწილეების მიერ სტრატეგიის მოძებნა და გამოყენებაა. ანუ სუსტი მხარე იყენებს აკრძალულ და არაპირდაპირ საომარ მოქმედებებს, ხოლო ძლიერი მხარე ხშირად უუნაროა დათრგუნოს ეს უკანასკნელი [ასიმეტრიული საფრთხეები, 2018:3].

რუსული ჰიბრიდული ომის საწყისი ეტაპები პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, საქართველოს მაგალითზე.

საბჭოთა კავშირის დემონტაჟის შედეგად მე-XX საუკუნის 90-იანი წლების დადგომისას, მსოფლიო წესრიგის ახალი გადანაწილების პროცესში, დაიწყო ახალი ერა, რომლის დროსაც დაკარგა აქტუალობა, ბირთვული იარაღის არ გამოყენების შეკავებითმა ეფექტმა, ომის წარმოებაც ახალ ეტაპზე გადავიდა, ყოველგვარ ზემოთ ხსენებულის შემდეგ, სცენაზე გამოჩნდა ისეთი ომის წარმოების ისეთი ხერხები როგორიც არის „ჰიბრიდული ომი“ და მისი შემადგენელი ელემენტები: ასიმეტრიული ომის, კიბერ თავდასხმების, კიბერ-დანაშაულების, ინფორმაციული ომის, კიბერ-ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის სრულიად ახალი კონტექსტით გამოყენების და ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედების მეშვეობით.

ფაქტიურად ყოველივე ზემოთ აღნიშნული ქმედებების შედეგად, პირველი შეხედვით დასუსტებულმა და დასაშლელად განწირულმა რუსეთის ფედერაციამ, დაიწყო ძალის მოკრება და გაძლიერება, როგორც ფინანსურად, ისე პოლიტიკურად და დროთა განმავლობაში უფრო და უფრო, მეტი დივიდენტების მოპოვება შეძლო, თავისთვს როგორც პოლიტიკურ ისე ფინანსურ ასპექტში.

XX-საუკუნის 90 იანი წლების დადგომის პერიოდში როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და რუსეთის ფედერაცია შესუსტებული და ძალადაკარგული ჩანდა, ისეთმა ახალგაზრდა სახელმწიფოებმა როგორებიც იყო საქართველო, უკრაინა და მოლოდოვა, სცადეს დემოკრატიული გზით ახალი სახელმწიფოების მშენებლობა, რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგებოდა, რუსულ იმპერიალისტურ გეოპოლიტიკას, უფრო მეტიც, საფრთხის წინაშე აყენებდა რუსეთის მიერ აქამდე არსებული

უსაფრთხოების პოლიტიკის ყველა პარამეტრებს, [Putin's Hydra: Inside Russia's Intelligence Services, 2016:89]. ის ბუფერი რომელიც შექმნილი იყო საბჭოთა კავშირის პერიოდში, რაც ფაქტიურად ზღუდეს წარმოადგენდა, ევროპული ქვეყნების და ატლანტიკური საბჭოს წევრი ქვეყნების, სამხედრო აგრესიისგან, ფაქტიურად აღარ ასრულებდა თავის ფუნქციას და ამით დიდ საფრთხეს უქმნიდა რუსულ სახელმწიფოებრიობას [დიპლომატია, 2018:189].

მოდით განვიხილოთ, საქართველოს მაგალითზე თუ როგორ ახდენდა ჰიბრიდული ომის წარმოებას რუსეთის ფედერაცია, მას შემდეგ რაც 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში მოხდა დემოკრატიული გზით პრეზიდენტის არჩევა და ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მიერ, არჩეულ იქნა დემოკრატიული განვითარების და ისეთ ორგანიზაციები შესვლის სურვილი, როგორებიც არის ევროკავშირი (The Council of Europe) და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO). რუსეთმა აღნიშნული გზავნილები მიიღო როგორც, პირდაპირი მუქარა მის უსაფრთხოებაზე და დაიწყო ისეთი მექანიზმების ამოქმედება, როგორც არის სეპარატიზმი [Гибридная Война, 2015:4] და ორგანიზებული დანაშაულის წახალისება და გაძლიერება, [ჯგუფური დანაშაული საქართველოში, 2021:9] უკვე ამ პერიოდში საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე გაღვივდა კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, რომლებიც გადაიზარდა ხანგრძლივ საომარი ვითარებაში, რა დროსაც რუსული მხარის მიერ, მოხდა სეპარატისტულად განწყობილი საქართველოს გარკვეული მოსახლეობის წახალისება და არაოფიციალურად, იარაღით მომარაგება და სამხედრო ძალით დანმარება, ყოველივე ზემოთ ხსენებულის შემდეგ, ყოველივე ამას მოყვა აღნიშნული ტერიტორიების დროებით ანექსირება (სამაჩაბლოს და აფხაზეთის) და დროებით დე-ფაქტო გამოყოფა საქართველოს ტერიტორიიდან.

თუმცა რუსული აგრესიული პოლიტიკა არც ამ ყველაფრით არ შემოიფარგლა, უკვე საკმაოდ ნოყიერ ნიადაგზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, დაიწყო ანტი-სახელმწიფოებრივი ქმედებების წახალისება და ფაქტიურად ჩამოშლილი ზვიად გამსახურდიას მთარობის სამოქალაქო ომში ჩაბმა (რაც რუსული მხარის მიერ წახალისებული და რიგ შემთხვევაში მართვადიც და დაფინანსებულიც იყო), უფრო მეტიც ხშირ შემთხვევებში „მხედრიონის“ და გვარდიის ცალკეული დაჯგუფებების წევრები (ძირითადად რეგიონებში), უარს ამბობდნენ იარაღის ჩაბარებაზე და პირდაპირ დაპირისპირებაში შედიოდნენ სამართალდამცავ ორგანოებთან, რაც საბოლოოდ გადაიზარდა სამოქალაქო დაპირისპირებაში, რამაც საქართველო მთლიანად ჩაითრია სამოქალაქო ომის მორევში.

აღნიშნული სამოქალაქო ომის პერიოდში დაპირისპირება მოხდა ზვიად გამსახურდიას მთავრობას და ისეთ გასამხედროებულ დაჯგუფებებს შორის, როგორც იყო „მხედრიონი“ რომელსაც ხელმძღვანელობდა ყოფილი ეგრედ წოდებული „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი და „ეროვნული გვარდიის“ და თავდაცვის სამინისტროს დანაყოფებთან, თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით რომელიც, იკავებდა „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს“ წევრის თანამდებობას, ხოლო 1992 წლის 6 იანვარიდან ამავე წლის 10 მარტამდე, საქართველოს ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელის თანამდებობას, შემდგომში კი საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობას (1992-1993 წლებში იყო). აღნიშნულმა სამოქალაქო კონფლიქტმა 10 წლეულებით გადაწია ქვეყნის ევროპული განვითარება.

მხოლოდ 90-იანი წლების შუაში მოხდა სიტუაციის შედარებით დასტაბილურება და ყველის კონსტიტუციურ წეს-წყობილების ჩარჩოებში ჩაჯენა, ედუარდ შევარდნაძის ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ, ჩატარდა რამოდენიმე ფართომაშტაბიანი ღონისძიება, ორგანიზებული დანაშაულის დაჯგუფებების წინააღმდეგ, ასევე დაიწყო ქმედითი ნაბიჯები რუსული ფინანსური და პოლიტიკური გავლენებიდან, შედარებით შესუსტების და განთავისუფლებისკენ, საქართველოს ტერიტორიაზე გაყვანილი იქნა ბაქო-ჯეიხანის მილსადენი, რომელის გაყვანასაც ყველა შესაძლო საშუალებით ეწინააღმდეგებოდა რუსეთის ფედერაცია და დიდი ალბათობით არ მოხდებოდა მისი გაყვანა საქართველოს ტერიტორიაზე, რომ არა ედუარდ შევარდნაძის პირადი ნაცნობობა და გავლენა პოლიტიკურ წრეებზე და რუსეთის ფედერაციის შესუსტებული მდგომარეობა, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის შიგნით მიმდინარე არასტაბილური სიტუაციებით, რომ არა ანიშნული მილსადენი ალბათ საქართველოს გეოპოლიტიკური კურსი და საერთოდ განვითარებაც, შეჩერებული იქნებოდა ათწლეულებით და ქვეყანა რუსული გავლენიდან ვერ დაახწევდა თავს, ისევე როგორც ჩვენი მეზობელი ქვეყნები სასომხეთის და ბელორუსიის მსგავსად.

ყოველივე ზემოთხსენებულის შემდეგ ქვეყნის შედარებით სამართლებრივი ნორმების ჩარჩოებში მოქცევის შედეგად, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობიდან ახალი მოთხოვნა წამოიჭრა მთავრობის წინაშე, რაც გამოიხატებოდა კორუფციის აღმოფხვრაში, კრიმინალთან ბრძოლაში და ქვეყნის უსაფრთხო და ინვესტიციების განხორციელებისთვის, სასურველ გარემოთ გადაქცევაში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული პრობლემები, კრიმინალურ დაჯგუფებებთან მიმართებაში, იმდენად კოლაბორაციაში იყო შესული სახელმწიფოსთან და თვითონ ეს სუბკულტურა იმდენად გაძლიერებული და მისი სოციალური სახე და ფორმები იმდენად შეცვლილი და ტრანსფორმირებული (შეიცვალა ტენდენციები და თვითონ კრიმინოგენული ბუნება, განსაკუთრებით გავრცელდა მისი ორგანიზებული ფორმა), [Эволюция групповой преступности, 2000:4] რომ მისი ძველი მთავრობის მიერ აღმოფხვრა ფაქტიურად შეუძლებელი იყო.

რამაც სახელმწიფო დააყენა მეტად რთულ და ძნელად დასაძლევ პრობლემის წინაშე, [ჯგუფური დანაშაული საქართველოში, 2021:10] უფრო მეტიც აღნიშნულ პრობლემებს და ცვლილებებს ვერ გატარება ედუარდ შევარდნაძის მთავრობა ფიზიკურად ვინაიდან, მთლიანად იყო ჩაფლული აღნიშნულ საქმიანობაში, მისი მთავრობის მთლიანად მართვის სისტემა იყო შესაცვლელი, ვარდების რევოლუციის შედეგად ახლად მოსულმა მთავრობამ ხისტი პოზიცია გამოიჩინა რუსეთთან ურთიერთობაში, რამაც როგორც ეკონომიკური ისე ფინანსური და სავაჭრო ბერკეტების შემოღება გამოიწვია რუსული მხრიდან, ეს იყო რუსული ჰიბრიდული ომის პირველი ეტაპი, [ჯგუფური დანაშაული საქართველოში, 2021:10] რა დროსაც გარკვეული შეზღუდვები დაუწესეს ქართულ პროდუქციას, მოხდა საქართველოს მოქალაქეების მიმართ სავაჭრო რეჟიმის დაწესება, მოხდა ათასობით საქართველოს მოქალაქის დეპორტირება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან, აიკრძალა ქართული ღვინის ბორჯომის მინერალური წყლის და სხვა სასოფლო და სამეურნეო ნაწარმის საქართველოდან შეტანა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

ეს მხოლოდ დასაწყისი იყო რუსული ჰიბრიდული ომის საქართველოს წინააღმდეგ. ომის რომელიც, ისახავდა მხოლოდ ერთ მიზანს, მაქსიმალური ეკონომიკური ზარალის მიყენებას ქვეყნისთვის, რაც მათი აზრით გამოიწვევდა, მოსახლეობის აღშფოთებას და არსებული მთავრობის ცვლილებას ახლო მომავალში. თუმცა როგორც ისტორიამ გვანახა აღნიშნულმა ქმედებებმა, ახლო პერსპექტივაში არანაირი შედეგი არ გამოიღო. (რუსეთისთვის სასურველი შედეგი, ისევ ვარდების რევოლუციით მოსული მთავრობის, რიგ შემთხვევებში არასწორმა, ხისტმა და გაუმართლებელმა ნაბიჯმა გამოიწვია საპროტესტო განწყობა მოსახლეობაში). ყოველივე ზემოთ ხსენებულის შემდეგ რუსული ჰიბრიდული მანქანა უფრო მკვეთრ და ძალისმიერ ქმედებებზე გადავიდა, რაც 2008 წელს ღია აგრესიაში გადაიზარდა და რუსული სამხედრო ექსპანსიით დამთავრდა საქართველოს ტერიტორიაზე, რის შემდეგაც ქვეყნის 20% დროებით ოკუპირებული დარჩა რუსეთის ფედერაციის მიერ თუმცა ყოველივეს შემდეგ რუსული ჰიბრიდული მანქანა არ გაჩერებულა, მოხდა რამოდენიმეჯელ, მასირებული კიბერ შეტევა სამთავრობა გვერდებზე და სერვერებზე, რამაც იმ ეტაპზე არ გამოიწვია შესატყო შედეგი (ვინაიდან მოსახლეობა ჯერ კიდევ არ იყო იმდენად დამოკიდებული ინტერნეტ სივრცეზე), თუმცა გაჩნდა ნათელი რაოდენ დიდი პოტენციალის მატარებელია, აღნიშნული სახეობა ჰიბრიდული ომის. არც ამით დამთავრდა რუსული ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ, სისტემატიურად ხდებოდა და ხდება საზღვრის თვითნებური გადმოწევა და დემარკაცია, რამაც „მცოცავი ოკუპაციის“ სახე მიიღო, ხდება სისტემატიურად საქართველოს მოქალაქეების გატაცება და მკვლელობები, რაზეც მსოფლიო საზოგადოების მხრიდან არანაირი ქმედითი რეაგირება არ მომხდარა და მხოლოდ აღშფოთებული განცხადებებით ხდება უკმაყოფილებების გამოხატვა. საბოლოოდ კი 2012 წლიდან ქვეყანაში არჩევნების გზით მოხდა ვარდების რევოლუციის გზით მოსული მთავრობის შეცვლა და ხელისუფლებაში, რუსეთის ფედერაციისათვის მისაღები და უფრო ნაკლებად, ხისტი პოლიტიკის გამტარებელი, ქართული ოცნებით ჩანაცვლება, რომელი მთავრობის მთავარი პოლიტიკური გზავნილი, რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის (პირველ ეტაპზე ეკონომიკური და სავაჭრო) დალაგება და არგალიზიანების პოლიტიკის გატარება იყო და არის დღემდე.

რუსული ჰიბრიდული ომის ფენომენი და მისი გავლენა მსოფლიო პოლიტიკური სისტემის განვითარებაზე, უკრაინაში სამხედრო ინტერვენციის მეშვეობით

მას შემდეგ რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი დასრულდა და საერთაშორისო საზოგადოებას არ მიუღია, არც ქმედითი ნაბიჯები და არც რაიმე მკაცრი სანქცია, დაუწყებია რუსეთის ფედერაციისთვის, რუსულმა პოლიტიკურმა ესტაბლიშმენტმა, ეს ყოველივე აღიქვა ისე რო მათთვის, ყველაფერი არის შესაძლებელი და სერიოზულ საზღაურს ამ ყველაფრისთვის ისინი არ მიიღებდნენ, რაც სამომავლოდ დაუსჯელობის სინდრომში გადაეხარდათ.

უკვე 2014 წლის შემოდგომაზე კიდევ ერთ დიდ პროექტს ჩაეყარა საფუძველი, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროში, შეიქმნა კიბერ-თავდაცვის ცენტრი, რომელიც გენერალ-პოლკოვნიკ პავლოვის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. აღნიშნული ცენტრის განსაკუთრებლად გამოყოფილ იქნა 500 მლნ აშშ დოლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრი წარმოდგენილია ქვეყნის მასშტაბით სამხედრო დანაყოფებშიც და სარგებლობს საკუთარი დაცული ქსელით, რომელიც არ არის დაკავშირებული გლობალურ ქსელთან. აღნიშნული გარემოება ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის გარედან კიბერშეტევას. რუსეთის ფედერაციის გლობალური ქსელიდან მოწყვეტის შემთხვევაშიც კი, ცენტრს შეუძლია გააგრძელოს ფუნქციონირება შეუფერხებლად. აღნიშნული ცენტრის მეშვეობით რუსეთის ფედერაციამ, სისტემატიურად დაიწყო ევროპის და ამერიკის ინტერნეტ და ტელესივრცის პირველ ეტაპზე მონიტორინგი შემდგომ კი მისი კიბერ შეტევებით, დროებით მწყობრიდან გამოყვანა. ევროპის ისეთი დიდი ქვეყნების ტერიტორიებზე როგორც არის ინგლისი საფრანგეთი და გერმანია მისმა სპეც სამსახურებმა (დაზვერვის მთავარი სამართველო და საგარეო დაზვერვის სამსახური) ჩაატარა რამოდენიმე მათთვის წარმატებული სპეც ოპერაცია რითიც, რუსეთის ფედერაცია თავისი გავლენის და ავტორიტეტის გაძლიერებას შეეცადა.

თუმცა არც აღნიშნული ქმედებები არ იკმარეს, რუსული იმპერიალისტური მანქანა სისტემატიურად ახდენდა ზეწოლას (ეს ძირითადად გამოიხატებოდა შესაძლო გაზის და ნავთობის მიწოდების შეწყვეტაში, მათთვის სასურველი და ლოიალური პოლიტიკოსების პოლიტიკურ არენაზე წინ წამოწევაში, ასევე სხვა და სხვა ევროპულ და მსოფლიო გავლენიან ორგანიზაციებზე ზეწოლაში რუსეთისთვის სასურველი გადაწყვეტილებების მიღებაში) ევროპულ ქვეყნებზე, თავისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების სანაცვლოთ კი, ევროპის კონტინენტს გარანტირებული ენერგორესურსების შეუფერხებელი მიწოდება გარანტირებული ჰქონდათ. აღნიშნულის მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ (მაგ: ბუქარესტის სამიტი სადაც უკრაინას და საქართველოს უარი ეთქვათ კანდიდატი წევრის სტატუსის მიღებაში და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO) შემოიფარგლა მხოლოდ №382 რეზოლუციით საქართველოში სიტუაციაზე).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა, რუსეთის ფედერაცია დაარწმუნა იმაში, რომ მათთვის შესაძლებელია „საბჭოთა კავშირი-2“ ის აღდგენა და მსოფლიოს ცივი ომის დროინდელ რეალობაში დაბრუნება, რაც მათ ძველ სიდიადეს და გავლენებს დაუბრუნებდა.

უკვე 2014 წლის პერიოდში თავისი დაუსჯელობით წახალისებულმა რუსულმა იმპერიულმა მანქანამ, მოახდინა უკრაინის სუვერენულ ტერიტორიაზე შეჭრა და გარკვეული ტერიტორიების დროებით ოკუპირება (ყირიმის, ლუგანსკის და დონეცკის სახით), აქედან ყირიმის პირდაპირ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შეყვანა, ეგრედ წოდებული რეფერენდუმის მეშვეობით.

ყველა ზემოთ აღნიშნული ტერიტორიის დროებით ოკპაცია, რუსეთმა მოახდინა ფაქტიურად ერთი გასროლის გარეშე, პირველ ეტაპზე, ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ხერხით „მწვანე კაცუნების“ მეშვეობით (რეალურად აღნიშნული პირები წრმოედგენდნენ, გასამხედროებული დაჯგუფება „ვაგნერს“, რომელსაც ხელმძღვანელობს ვლადიმერ პუტინთან დაახლოებული პირი, ევგენი პრიგოჯინი, რომელიც ასევე ითავსებს მისი პირადი მხარეულის როლსაც), რა დროსაც რუსული მხარე სრულიად უარყოფდა არაღნიშნული სამხედრო დანაყოფების, თავისთან რაიმე კავშირს და უფრო მეტიც აღნიშნავდა რომ „მსგავსი ფორმების ყიდვა შესაძლებელია ნებისმიერ მაღაზიაში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე“.

უკვე მოგვიანებით 2014 წელსვე აღნიშნულ ტერიტორიებზე გაჩაღდა ღია სამხედრო დაპირისპირება, უკრაინის ხელისუფლებას და ეგრედ წოდებულ თვით გამოცხადებულ რესპუბლიკების, ლუგანსკის და დონეცკის სეპარატისტულ დაჯგუფებებს შორის,

რუსეთის ფედერაცია რა თქმა უნდა ისევ უარყოფდა თავის ღია მონაწილეობას აღნიშნულ კონფლიქტში და იყენებდა მიმდინარე პროცესებს ევროპული ქვეყნების და ამერიკის წინააღმდეგ, ჰიბრიდული ომის წარმოებისათვის. უფრო მეტიც არსებობს დასაბუთებული ეჭვი იმის, რომ 2016 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების მსვლელობაში რუსეთის ფედერაცია, თავისთვის სასურველი კანდიდატის გამარჯვების უზრუნველსაყოფად, იყენებდა 2014 წელს შექმნილ კიბერ-თავდაცვის ცენტრს, რაზეც უკვე აშშ-ის გამოძების ფედერალურმა ბიურომ (FBI) პრეზიდენტ დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო შტაბის ყოფილ უფროსს, პოლ მანაფორტს და მის საქმიან პარტნიორს რიკ გეიტსს, ბრალი 12 პუნქტში წაუყენა, მათ შორის აშშ-ის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში. მანაფორტი და გეიტსი სამართალდამცველებს ჩაბარდნენ. მალევე სასამართლომ მათ შინაპატიმრობა შეუფარდა.

უკვე 2022 წლის 24 თებერვლს მსოფლიომ სულ სხვა რეალობაში გაიღვიძა ყველა ის რეგულაცია თუ შემაკავებელი რეზოლუციები, რაც აქამდე მსოფლიო წესრიგს ამყარებდა, [Peace and International Relations: An Introduction to Strategic History, 2013:98] ფაქტიურად ძალადაკარგულად გამოცხადდა, მათ შორის ბირთვული იარაღის შემაკავებელი ეფექტი რომლითაც ის რამოდენიმე ქვეყანა, ვინც აღნიშნულ იარაღს ფლობდა ფაქტიურად ხდებოდა გარანტი მსოფლიოში წესრიგის დამყარების და მშვიდობის შენარჩუნებაში. [Diplomacy, 1995:98]. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული მსოფლიო საზოგადოება იმყოფება ბირთვული ომის საშიშროების წინაშე, რუსული სამხედრო მანქანა მაქსიმალურად ცდილობს მუქარებით და პროვოკაციული ქმედებებით მსოფლიო საზოგადოება დაიყოლიოს, თავისთვის მისაღები პირობებით ომის დამთავრებაზე და მსოფლიო წესრიგის თავისთვის სასურველ მიმართულებით დალაგებაში, რისთვისაც მისი საოკუპაციო ჯარები არ თაკილობენ, ბირთვულ ენერგიაზე მომუშავე ელექტრო სადგურების (მაგალითად ზაპოროჟიის ოლქის და ჩერნობილის) დაბომბვების ან დაზიანების მცდელობებს, აღნიშნულით, ფაქტიურად მსოფლიო საზოგადოებას ამყოფებენ, მუდმივი სტრესის და ზეწოლის ქვეშ. 1962 წლის კარიბის კრიზისის შემდეგ, მსოფლიო საზოგადოება, ამ ხარისხის ბირთვული კატასტროფის საფრთხის წინაშე არ მდგარა, იმედია აღნიშნული კრიზისი გადაწყდება ბირთვული შეიარაღების (თუნდაც ტაქტიკური ტიპის) გამოყენების გარეშე. რუსული იმპერიალისტური სწრაფვები კი ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრება, მათი დამარცხებით რეგიონში და მთლიანად ევროპის კონტინენტზე მშვიდობის დამყარებით.

დასკვნა

საერთო ჯამში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გეოპოლიტიკური მასშტაბით, ერთ-ერთი ლიდერის პოზიციის დასაბრუნებლად, რუსეთის ფედერაციამ, ცივი ომიდან განსხვავებით, შეიმუშავა ახალი სტრატეგია ომის წარმოებისა. აღნიშნული ჰიბრიდული ომი ბევრად უფრო წარმატებული და ნაყოფიერია მისთვის, თუნდაც ავიღოთ უკრაინის მაგალითი, სადაც ეგრეთ წოდებული „მწვანე კაცუნების“ გამოჩენით მათ შეძლეს ყირიმის ტერიტორიის შემოერთება და მთლიანად უკრაინის ტერიტორიაზე არაღიარებული რამდენიმე ტერიტორიის წარმოქმნა, რითიც მათ მოახდინეს ქვეყნის ბრძოლისუნარიანობის შესუსტება და თავისი თამაშის წესების შეთავაზება როგორც უკრაინისთვის ისე მსოფლიოს საზოგადოებისთვის. ისევე როგორც საქართველოს მაგალითზე, სადაც სისტემატიურად ხდება ჰიბრიდული ომის წარმოება, როგორც „მცოცავი ოკუპაციის“ გზით, ისე „კიბერ-ტერორიზმით“, რაც გამოიხატება მრავალჯერადი კიბერ-შეტევებით, სახელმწიფო სტრუქტურების დაცულ ინტერნეტ სივრცეზე და ლუგარის ლაბორატორიაზე. ფაქტიურად, აგრესორი ქვეყანა მაქსიმალურად იყენებს ჰიბრიდული და კონვენციური ომის ნახაზის წარმოების ყველა საშუალებას: ესენია პირდაპირი პროვოკაციები პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ ენერგო სექტორებზე, ახდენს მის მიერ მართვადი კრიმინალური ავტორიტეტების გამოყენებას, ქვეყანაში კრიმინოგენული სიტუაციის დასაძაბად, რეგიონში მრავალჯერ მოახდინა რელიგიური ნიშნით განსხვავებული მოქალაქეების დაპირისპირების მცდელობა, პოლიტიკურ ველზე ღიად მოქმედებს მისი მხარდამჭერი და სავარაუდოდ თავისი სპეცსამსახურების მიერ მართვადი პარტიები და პოლიტიკოსები, რომელთა საშუალებით პოლიტიკური ველის, მაქსიმალურად დაძაბვას ცდილობს, რითიც საფრთხის ქვეშ აყენებს ქვეყნის შიგნით კონსტიტუციურ წესრიგს. ახალი გეოპოლიტიკური გადანაწილების პირობებში, მაშინ როცა მეზობლად გაყავს აგრესორი ქვეყანა, რომელიც ყველა მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით, ცდილობს ქვეყნის ოკუპაციას, საჭიროა ქვეყანაში შემუშავდეს ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია, მოხდეს ქვეყნების ადგილმდებარეობის და გეოპოლიტიკური წონის გათვალისწინებით,

ყველა საშუალების გამოყენება რითიც შესაძლებელი გახდება, აგრესორი ქვეყნის მხრიდან წარმოებული ჰიბრიდული საფრთხეების მაქსიმალურად შეჩერება.

2022 წლის 24 თებერვლის ღია სამხედრო მოქმედებების გაჩაღების შემდეგ, მთელი მსოფლიო და განსაკუთრებით ევროპა, დადგა უდიდესი დილემის და საშიშროების წინაშე, რომელიც უკვე ჰიბრიდული ომიდან გადავიდა აქტიურ კონვენციურ ომში და არსებობს იმის საშიშროებაც, რომ გადაიზარდოს კაცობრიობის ისტორიაში, პირველად ბირთვულ ომში. არნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია შემუშავდეს ახალი რეგულაციები და მსოფლიო ახალი წესრიგის დამყარების პირობებში მოხდეს, მკაცრი ნორმების დაწესება მსოფლიოში უსაფრთხო გარემოს შესანარჩუნებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Kissinger H., Diplomacy (Touchstone Book) Illustrated, April 4, 1995.
2. Gray Colin S., War, Peace and International Relations: An Introduction to Strategic History, London and New York: Routledge, 2013.
3. Galeotti M., Putin's Hydra: Inside Russia's Intelligence Services, European Council on Foreign Relations, 2016.
4. ბაძალა მ., ჯგუფური დანაშაული საქართველოში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021.
5. Бадзага М., Эволюция групповой преступности, Минск, 2000.
6. მაისაია ვ., ასიმეტრიული საფრთხეები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სასწავლო რიდერი, თბილისი, 2018.
7. მალრაძე გ., მაისაია ვ., ჰიბრიდული ომი „21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2020.
8. Магди Е., Гибридная Война, Vivat Publishing House, Харьков, 2015.

ინტერნეტ რესურსი

1. ნატოს საპარლამენტო ასამბლეა რეზოლუცია №382 საქართველოში სიტუაციაზე, იხ., <https://mfa.gov.ge/>
2. Wired, იხ., <https://www.wired.com/2009/03/pro-kremlin-gro/>
3. რუსეთის ფედერაციის თავდაცვითი და შემტევი კიბერ შესაძლებლობები, იხ., [https://gtu.ge/Journals/mas/Referat/ASU-2017\(1_23\)/216_219.pdf](https://gtu.ge/Journals/mas/Referat/ASU-2017(1_23)/216_219.pdf)

პოსტ-ბიპოლარული საერთაშორისო ეკონომიკის არსი და გეოეკონომიკური უსაფრთხოების ფენომენი

Vakhtang Maisaia

International Black Sea University, Georgia

Galaktion Maisaia

Caucasus International University, Georgia

აბსტრაქტი

საერთაშორისო სისტემა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა, თითქმის მთლიანად შეიცვალა, რაც გამოწვეულია ახალი დიდი სახელმწიფოების წარმოქმნით, ეკონომიკის გლობალიზაციით, შედარებითი სიმდიდრისა და ეკონომიკური ძალის დასავლეთიდან აღმოსავლეთით ისტორიული გადანაცვლებითა და არასახელმწიფო აქტორების მზარდი გავლენით. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში გლობალური მრავალპოლუსიანი სისტემა არსებობს, რომელშიც განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო ძლიერებას შორის განსხვავება სულ უფრო და უფრო შემცირდება. აუცილებლობა იმისა, რომ სახელმწიფოებმა გააკონტროლონ ესა თუ ის სივრცე განაპირობებს მსოფლიოში ერთგვარ წონასწორობას, რათა შენარჩუნებული იქნეს მსოფლიო სტაბილურობა და წესრიგი სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებსა და საერთაშორისო ეკონომიკური კონტაქტების დამყარების დროს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია გეოეკონომიკური უსაფრთხოების პირობების სტაბილურობა მსოფლიო წესრიგის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო ეკონომიკა, მსოფლიო წესრიგი, გლობალიზაცია, გეოეკონომიკური უსაფრთხოება, საერთაშორისო სისტემა

The Essence of the Post-Bipolar International Economy and The Phenomenon of Geoeconomic Security

Abstract

One of the main characteristics of globalization is its deterritorialization, that is, the gradual breaking down of state (national) borders. Accordingly, the meaning of the state and its function are fundamentally changing. If until the modern period it was the main form of political organization of society and practically the only subject of international relations, in the age of globalization its importance is clearly decreasing. Many functions of the state are shared by public and non-governmental organizations, and international organizations and transnational corporations play an increasingly large role in the international arena. There are two different points of view about the functions of the state in the era of globalization. According to one, globalization has not had a radical impact on the current processes in the world, and the state remains the main political body and the main subject of international relations (the idea of anti-globalists or skeptics). According to one, globalization has not had a radical impact on the current processes in the world, and the state remains the main political body and the main subject of international relations (the idea of anti-globalists or skeptics). According to the second position, globalization indicates the gradual disappearance of the state, the responsibility before it is shared by other organizations, and the future belongs to a single world without state borders (globalist view). Therefore, the specificity of the economic development of the 20th century is determined by several factors: first, the process of deepening the interdependence of countries in the field of trade, investment, capital movement, technology exchange is underway. Second, important sectors of the economy (agriculture, manufacturing services) work not so much to meet the demands of not only national markets, but also international markets. That's why it would be great if a new term was developed that would accurately express the geo-economic aspects of the world economic order. However, before that, it would be interesting to direct the term of economic security and then introduce a new kind of term based on it. Such a term is geo-economic security.

Keywords: international economics, world order, globalization, geoeconomic security, international system

შესავალი

დღესდღეობით გეოეკონომიკის ფაქტორი გახდა გადამწყვეტი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებასა და მსოფლიო წესრიგის განვითარების საქმეში. გეოეკონომიკის საფუძვლების გაცნობა და მისი აკადემიური კუთხით წარმოჩენა წარმოადგენს მნიშვნელოვან გარემოებას დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური სისტემისთვის. გეოეკონომიკის საფუძვლების შესწავლა, თანაც სისტემურად არის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი მოხდეს პოლიტიკისა და ეკონომიკის რაობის გარკვევა და მათი ურთიერთკავშირის დადგენა. სწორედ ასეთი კვლევის ფარგლებში, მოხდება გლობალიზაციის გავლენის გაცნობა, პოლიტიკისა და ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა გლობალურ, რეგიონულ და ეროვნული დონეებზე. ამასთან ერთად, სასურველია გააზრებული იქნას პოლიტიკური ეკონომიკის ძირითადი პარამეტრების და მათი განმსაზღვრელი ფაქტორების არსი და ამ ახალი სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულების მიზნებისა და ამოცანების მნიშვნელობა. ამ კუთხით, საჭიროა განხილულ იქნას გეოეკონომიკური ტენდენციების ძირითადი მიმართულებები, მეგა-პროექტების და პროგრამების რეალიზაციის კუთხით (ტრასეკა, „ერთი გზა, ერთი სარტყელი“ და ა.შ.).

საქართველოს დამოკიდებლად არსებობის პერიოდში განვითარებულმა გეოპოლიტიკურმა და გეოეკონომიკურმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ქვეყანას ესაჭიროება მჭიდრო ურთიერთობების განვითარება გლობალური გავლენის ცენტრებთან, რომლებსაც გააჩნიათ დიდი გავლენა მსოფლიო პოლიტიკაში. ასეთი გავლენის ცენტრებად მოიაზრება აშშ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. სწორედ ჩინური და ამერიკული საფინანსო ინვესტიციების მოზიდვის გამოცდილების შესწავლა ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული ინტერესების სწორ განსაზღვრას და მის აღსრულების მექანიზმების შემუშავებას და ქვეყნის გეოეკონომიკური იმიჯის გაძლიერებას, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საერთაშორისო არენაზე. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს მასშტაბით, საკუთარი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გადაჭრისათვის აქტიურად იყენებენ ე.წ. „ეკონომიკური და სავაჭრო ომის“ მეთოდოლოგიას, რომელსაც საკმაოდ ეფექტური გავლენის მოხდენა შეუძლია შესაბამისი სახელმწიფოს განვითარების საქმეში.

აღნიშნული საკითხის განხილვისას ერთგვარ სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს გეოეკონომიკური უსაფრთხოების ტერმინის ჩამოყალიბება და დამკვიდრება ქართულ პოლიტიკურ ლექსიკონში, რაც ასე აქტუალურია დღევანდელი ქართული პოლიტიკური სისტემისთვის და საერთოდ აკადემიური წრეებისთვის. მისი გამოყენება და ადაპტირება შესაძლებელი იქნება არამარტო სასწავლო-აკადემიური სისტემაში, არამედ რეალურ პოლიტიკურ სივრცეში, კერძოდ, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მაგალითებზე. ამას გარდა, თვით გეოეკონომიკის კონცეფციის ზუსტი წარმოჩენა და გაშლა საკითხის განხილვის ფარგლებში წარმოადგენს ასევე უნიკალურ გარემოებას თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერების და ასევე ინტერდისციპლინარული დარგების დამკვიდრების საქმეში. რაც შეეხება უშუალოდ თემის სპეციფიკას, აქ საინტერესო ფაქტორს შეადგენს ისიც, რომ სამეცნიერო ანალიზის კუთხით მოხდება შესწავლილი იმ ფენომენისა, თუ როგორ გადაიქცა გეოეკონომიკური მეცნიერება და მისი ინდიკატორები, უსაფრთხოების კვლევების მთავარ მიმართულებად და ასევე რეგიონული და ლოკალური დონის ანალიზის ობიექტის თვალსაზრისით აღმოჩნდა. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში გეოეკონომიკის მთავარი ფოკუსი ლიდერ-სახელმწიფოდან გლობალური პოლიტიკის გავლენის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ცენტრიდან გადმოვიდა პატარა სახელმწიფოების მნიშვნელობის და მათი ადგილის ამ სისტემაში განმსაზღვრელ მიმართულებად - ანაკლიის პორტთან არსებული მწაფრი გეოეკონომიკური დაპირისპირება ორი მსოფლიო გავლენის ცენტრის - აშშ-ს და ჩინეთს შორის, სადაც უკვე გამოვლინდა საქართველოს გეოეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი პარამეტრები წარმოადგენს ასეთი ფოკუსირების კიდევ ერთ გარემოებას.

აღნიშნულ საკითხს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება, რადგან სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული წარმატებული ეკონომიკური რეფორმების განხორციელება და ეფექტური სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პირობების შექმნა წარმოადგენს მთავარ გარანტიას ქვეყნის

სუვერენიტეტის განმტკიცების საქმეში. გამომდინარე აქედან, ქვეყნის გეოეკონომიკური პოტენციალის განხილვა და შესწავლა, ანუ რეგიონული დონის ეკონომიკური და ენერგოუსაფრთხოების ჰაბის ცენტრად გადაქცევა, იქნება კარგი მაგალითი ქართული რეალობების პირობებში. გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გაძლიერების პროცესში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან სტრატეგიული პარტნიორობის, მასთან ურთიერთობის ფორმებისა და მეთოდების სწორად განსაზღვრის მეთოდოლოგიის კვლევა, ისეთივე როგორიცაა მაგალითად, აშშ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა.

გლობალიზაციის ფაქტორი და გეოეკონომიკური უსაფრთხოება

გლობალიზაციის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს მისი დეტერიტორიზაცია, ანუ სახელმწიფო (ეროვნული) საზღვრების ეტაპობრივად მოშლა წარმოადგენს. შესაბამისად, ძირეულად იცვლება სახელმწიფოს მნიშვნელობა და მისი ფუნქცია. თუ თანამედროვე პერიოდამდე იგი საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითადი ფორმა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაქტობრივად ერთადერთი სუბიექტი იყო, გლობალიზაციის ეპოქაში მისი მნიშვნელობა აშკარად მცირდება. სახელმწიფოს ბევრ ფუნქციას ინაწილებენ საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები, ხოლო საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო დიდ როლს თამაშობენ საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები. გლობალიზაციის ერაში სახელმწიფო ფუნქციების შესახებ ორი სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს. ერთის მიხედვით, გლობალიზაციას მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე რადიკალური გავლენა არ მოუხდენია და სახელმწიფო კვლავ რჩება მთავარ პოლიტიკურ ორგანიზმად და საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად სუბიექტად (ანტიგლობალიზტების ანუ სკეპტიკოსების წარმოდგენა). მეორე პოზიციის თანახმად კი, გლობალიზაცია სახელმწიფოს თანდათანობით გაქრობაზე მიანიშნებს, მის წინაშე არსებულ პასუხისმგებლობას სხვა ორგანიზაციები ინაწილებენ და მომავალი ერთიან, სახელმწიფო საზღვრებს გარეშე არსებულ მსოფლიოს ეკუთვნის (გლობალისტური ხედვა).

აქედან გამომდინარე, XX საუკუნის ეკონომიკური განვითარების სპეციფიკურობა განისაზღვრება რამოდენიმე ფაქტორით: ჯერ ერთი, მიმდინარეობს ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების პროცესი ვაჭრობის, ინვესტირების, კაპიტალის გადაადგილების, ტექნოლოგიების გაცვლის სფეროში. მეორე, ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგები (სოფლის მეურნეობა, წარმოებადამოსახურება) მუშაობენ არა იმდენად და არა მარტო ეროვნული ბაზრების, არამედ საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად (გორგილაძე, 2009).

თანამედროვე სახელმწიფოები დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მე-18 -მე-19 საუკუნეებში წარმოიშვნენ, თუმცა პირველი ასეთი სახელმწიფოები (ჰოლანდია, ინგლისი) მე-17 საუკუნიდან არსებობენ. თანამედროვე სახელმწიფოდ განიხილება ისეთი ქვეყანა, სადაც ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს ანუ მოქალაქეთა ერთობას, რომელიც გამოხატავს რა საკუთარ ნებას, ირჩევს თავის ხელისუფლებას. ასეთ სახელმწიფოებს ერ-სახელმწიფოებსაც უწოდებენ, რადგან ამ ქვეყნებში ერი პოლიტიკური ცნებაა და სახელმწიფოს ემთხვევა, ხოლო მისი ყველა მოქალაქე თავს ერთი ერის წარმომადგენლად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, საიდან არის წარმოშობით და რომელ ეთნიკურ თუ რელიგიურ ჯგუფს მიეკუთვნება. ნათელია, რომ დღევანდელ ეტაპზე არსებული ქვეყნებიდან ყველას ვერ ვუწოდებთ ერ-სახელმწიფოს (განსაკუთრებით აფრიკისა და ნაწილობრივ აზიის ქვეყნებს), მაგრამ პრაქტიკულად ყველა ქვეყანა აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, რომ ის საკუთარი მოქალაქეების ნება-სურვილს გამოხატავს და თითოეული მოქალაქის უფლებებს უზრუნველყოფს.

მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე სახელმწიფოების რაოდენობა განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამასთან, ბევრ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის პროცესს. სახელმწიფოთა სულ უფრო მეტი რაოდენობა დღეს დემოკრატიული მმართველობის გზას ადგას, ხოლო ავტორიტარული და, მით უფრო, ტოტალიტარული რეჟიმების რიცხვი განუზრელად მცირდება. ის რეალობა, რომ სახელმწიფოთა რიცხვი იზრდება და ყოველი ახლად შემნილი სახელმწიფოს მიზანს სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გაძლიერებას წარმოადგენს, ანტიგლობალიზტებისათვის საკმარისი არგუმენტია იმის დასამტკიცებლად, რომ ერი-სახელმწიფოების ეპოქა კი არ მთავრდება, არამედ პირიქით, უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. გარკვეული ტრანსფორმაცია

კი, რასაც სახელმწიფოები გლობალიზაციის პროცესში განიცდიან, მათს ახალ როლსა და ფუნქციებზე მიანიშნებს.

გლობალიზაციის პერიოდში გარკვეული ცვლილება განიცადა სახელმწიფო პოლიტიკას დაქვემდებარებულმა კონტინენტმა. თუ ადრინდელი პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოს პოლიტიკა საკუთარ მოსახლეობაზე იყო გათვლილი, გლობალიზაციის ზეგავლენის შედეგად სახელმწიფო თავის ინტერესებს სხვებზეც ავრცელებს და აღნიშნული პოლიტიკის გატარების შედეგად ეროვნულ საზღვრებს უგულებელყოფს. მეორე თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ გლობალიზაციამ ხელი შეუწყო სახელმწიფოთა შორის უფრო ხშირ და ინტენსიურ კონსულტაციებს, რაც ერთობლივი პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენს. გლობალიზაციასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების ფარგლებში დამახასიათებელი მოვლენაა ისიც, რომ გლობალიზაციამ მნიშვნელოვანწილად შეამცირა სახელმწიფოთა შორის ომების შესაძლებლობა. დღევანდელ მსოფლიოში კონფლიქტის ყველაზე გავრცელებულ ფორმად გვევლინება შიდა დაპირისპირება სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და არა ტერიტორიული კონფლიქტები სახელმწიფოებს შორის.

მთლიანობაში, გლობალური მსოფლიოს ფარგლებში არსებული საერთაშორისო ურთიერთობების შემდეგი ახალი მახასიათებლები შეიძლება გამოიყოს:

- არასახელმწიფო აქტორების (ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო საბანკო დაჯგუფებები და ა.შ.) ეკონომიკური პოტენციალის ზრდა. შესაბამისად, შესაძლებელია შემდეგი სტატისტიკური მონაცემების წარმოადგენა:
 - ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის 70% და უცხოური ინვესტიციების 80%, თუმცა მათ წარმოებაზე სამუშაო ძალის მხოლოდ 3%-ია დასაქმებული;
 - საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფარგლებში სულ უფრო ინტენსიურ სახეს იღებს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ და სხვ. სექტორებში არასახელმწიფო აქტორების მიერ სახელმწიფო აქტორების თანდათონობითი გამოდევნა;
 - სულ უფრო იშლება ზღვარი სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკას შორის;
 - მიმდინარეობს პოლიტიკის სფეროს მნიშვნელოვანი „ეკონომიზაცია“ და საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში მოქმედი „აქტორების“ ფაქტიური არათანასწორობის დაფიქსირება;
 - ჩნდება ისეთი პირობები, რომელთა ფარგლებშიც ეკონომიკური და გეოგრაფიული ძალაუფლება მსოფლიოს თავის წესებს კარნახობს, რომელიც თავის ნეოლიბერალური გლობალიზაციის მიმართულებით საკუთარ საკანონმდებლო ბაზას აყალიბებს. აღნიშნულთან დაკავშირებით გეოპოლიტიკა ახალ სისტემას „ამართლებს“, ხოლო სამხედრო კომპონენტი „მის დაცვას უზრუნველყოფს“, ხოლო დიპლომატია ამ შემთხვევაში ხელოვნების სფეროდან მსოფლიოს ეკონომიკური გადანაწილების საქმეში ტექნიკური გაფორმების დონეზე გადადის;
 - საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების (ელიტარული და არაელიტარული) ახალი თაობის გამოჩენა, რაც მაგალითად ვლინდება მსოფლიო პოლიტიკისა თუ მსოფლიო ეკონომიკაში გაეროს - როგორც საერთაშორისო სისტემის წამყვანი მოთამაშის რანგში - ფაქტიურ გამოდევნაში „დიდი შვიდეულის“ და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ;
 - ასევე იცვლება ხმის მიცემის ტრადიციული ფორმულა - ერთი სახელმწიფო-ერთი ხმა და ამავდროულად იზრდება კონსენსუსის გზით გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, რომელიც თავის მხრივ მასში მონაწილე მოთამაშეების წონასა და გავლენას ითვალისწინებს. გარდა ამისა, როგორც უკვე ზემოთ იქნა აღნიშნული, გლობალიზაციამ საერთაშორისო არენაზე „გაიყვანა“ ახალი მოქმედი სუბიექტების მთელი ჯგუფი - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, ეკოლოგიური, უფლებადამცველი და ანტიგლობალისტური ორგანიზაციები, რელიგიური მოძრაობები, ტერორისტული გაერთიანებები, კვლევითი და ინოვაციური ცენტრები და მრავალი სხვა, ერთმანეთისაგან ძალზედ განსხვავებული სტრუქტურები, რომლებიც ძალზედ ხშირად თავისი ინტერესებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ერთმანეთთან რადიკალურად დაპირისპირებულები არიან, რაც ტრადიციულ დიპლომატიას საერთაშორისო კონტაქტებისა და სადაო პრობლემების დარეგულირების მექანიზმებს შორია ერთ-ერთ, მაგრამ არა ერთადერთ მეთოდად აყალიბებს. ამავდროს, საერთაშორისო ტერორიზმის როგორც გლობალური პოლიტიკის ფაქტორად წარმოჩენამ, საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთი მთავარი პრინციპის - სუვერენული სახელმწიფოების შიდა

საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის გადაფასებისაკენ მიგვიყვანა. ცალკეული სახელმწიფოს შიდა საქმეები უკვე ხდება საერთაშორისო თანამეგობრობისა და ცალკეული ლიდერი სახელმწიფოების ინტერესთა სფერო, რაც თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს და არა მხოლოდ ამ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის თვალსაზრისით, არამედ მაგალითად ამ სახელმწიფოდან მთელი მსოფლიოსთვის მომდინარე ტერორისტული საფრთხის თვალსაზრისითაც. აღნიშნულის ნათელ გამოვლინებას მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში ავღანეთში, ან თუნდაც სირიასა და ერაყში არსებული ვითარება წარმოადგენს;

- საერთაშორისო ფინანსური არქიტექტურის რეფორმების განხორციელება (დე სინკლერი & არიფენი, 2014).

გლობალიზაციის პირობებში, მთელს მსოფლიოში ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და საფინანსო კავშირების გაფართოებისა და ინტენსიფიკაციის შედეგად - თანამედროვე მსოფლიო სულ უფრო და უფრო ცხოვრობს არა „გეოგრაფიულ სივრცეში“, არამედ „საინფორმაციო ნაკადთა სივრცეში“, ხოლო სივრცე „იკუმშება“, დრო „ქრება“, მსოფლიო „ვიწროვდება“ და თითქოს, უფრო ერთიანი ხდება. სოციალური ურთიერთქმედების პროცესები ინტენსიურად ვითარდება, რომლებიც მანამდე არნახულ დინამიკას იძენენ.

გლობალიზაცია გარკვეულწილად აკნინებს „კუნძულოვან ცნობიერებას“. თანამედროვე მსოფლიოში, ყველანაირი სურვილის არსებობის შემთხვევაშიც კი, შეუძლებელია დიდი ხნით, და მითუმეტეს მუდმივად, იყო იზოლირებული გლობალური პრობლემებისაგან. თუ მსოფლიო ხდება ურთიერთდამოკიდებული, ეს ნიშნავს, რომ ის „ურთიერთმოწყვლადია“. ამგვარად, კაცობრიობა თავისი არსებობის მეტად რთულ ეპოქაში შევიდა, როდესაც მსოფლიო ერთი მხრივ ხდება თან ორგანიზებული, თან ქაოტური, ხან გლობალიზდება და ხან ლოკალიზდება, ერთდება და იყოფა (გლობალიზაცია და ფრაგმენტაცია).

ავტორები წიგნისა „კონკურენციის საზღვრები“ გვაფრთხილებენ: „მსოფლიოში უკვე მიმდინარეობს ომი, ომი გასროლის გარეშე, მაგრამ საუბარი მიმდინარეობს არსებობისათვის ბრძოლაზე. ეს გახლავთ „ომის ახალი სახეობა“ – „ფსიქოლოგიურ-ეკონომიკური ომი გლობალური ბატონობისათვის“. მსოფლიოში კონკურენცია უნივერსალურ კრედოთ, იდეოლოგიად გადაიქცა; ტრანსნაციონალური კორპორაციები მთელს პლანეტას როგორც ერთ საერთო ბაზრად განიხილავენ. გლობალიზაცია ქმნის გარკვეულ საფრთხეს, რომლის ფარგლებშიც შეიძლება გაჩნდეს გარკვეული უფსკრული ცალკეული სახელმწიფოების მიერ ეკონომიკური განვითარების ტემპებს და სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ სოციალ-ეკონომიკურ დონეებს შორის - ამ პირობებში კი თავის დამკვიდრება შეუძლიათ მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებსაც თავიანთ დაქვემდებარებაში უახლესი ტექნოლოგიები და იაფი, მაგრამ კვალიფიციური და მოქნილი სამუშაო ძალა გააჩნიათ.

ამგვარად, მიიღო რა ყველაზე დიდი განვითარება ეკონომიკურ სფეროში, გლობალიზაცია მე-20 საუკუნის ბოლოს მის საზღვრებს გარეთ გავიდა და მან გარკვეულწილად აღმოაჩინა რეალური არათანაფარდობა მსოფლიოს ეკონომიკურ პროცესებსა და მსოფლიოს საზოგადოებრივი-პოლიტიკურ ორგანიზაციას შორის, შესაბამისად, რეალურად დაიწყო მსოფლიოს პოლიტიკური სტრუქტურის „გარდაქმნა“. ნამდვილად, გლობალური სასაქონლო-საფინანსო ბაზრები და საინფორმაციო სივრცე დაჩქარებული ტემპებით ფორმირდება, ხოლო საერთაშორისო შრომის ბაზრების განვითარება ეროვნული სახელმწიფოების მიერ მიგრაციული პოლიტიკის გატარების შედეგად ფერხდება.

გეოეკონომიკური უსაფრთხოება და მისი გეოპოლიტიკური ინდიკატორები

გლობალური სამართლებრივი სივრცის განვითარებისა და საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტების ფორმირების პროცესში 21-ე საუკუნის დასაწყისიდან ნაწილობრივ რეგრესიული ტენდენციები ჭარბობდა. არ არის შემთხვევითი, რომ თანამედროვე პერიოდში მკვლევარები უფრო ხშირად საუბრობენ გლობალიზაციის ეპოქაში დემოკრატიის დეფიციტის წარმოქმნის შესახებ. ასეთი მაგალითად, რუსეთის მიერ საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიების ოკუპაციამ, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ ცნობისა და ყირიმის ანექსიის შედეგად საერთაშორისო სამართლის იალტა-პოტსდამის მოდელმა - როგორც ლეგიტიმურმა და ყველას მიერ აღიარებულმა ნორმების ერთობლიობამ, ისევე როგორც ჰელსინკის

საბოლოო აქტის მიხედვით ჩამოყალიბებულმა პრინციპებმა დროებით (და შეიძლება საბოლოოდ) შეწყვიტეს თავისი არსებობა.

დღევანდელ დღეს შეიქმნა იმის პრეცედენტი, რომ ცალკეულმა სახელმწიფოებს თავიანთი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლიათ აღიარონ ან არ აღიარონ ამა თუ იმ ტერიტორიის საერთაშორისო სამართალსუბიექტურობა. ამგვარად, საერთო წესები, სტანდარტები და კრიტერიუმები არ მუშაობს. ხშირ შემთხვევაში, მსოფლიო პოლიტიკის მთავარ საზომად პოლიტიკური მიზანდასახულობა შეიძლება მოგვევლინოს.

ამგვარად, დღევანდელ დღეს გლობალიზაციის პროცესების შედეგები მეტად არაერთგვაროვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო აღმოჩნდა, კერძოდ, „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში:

რუსეთისა და დასავლეთის დაახლოების გზაზე რუსეთის ისტორიული როლის - მისი იმპერიალისტური ამბიციების დაკარგვა იმალებოდა. ევროკავშირის შექმნის და მისი ინსტიტუტების გაძლიერების უკან - ევროპაში მიგრაციული პროცესების განვითარების შედეგად არასტაბილურობის ზრდა შეინიშნება. ამერიკის გლობალური ზეობის პირობებში აზიის რამდენიმე წამყვანი ქვეყნის შეუჩერებელ ზრდას აქვს ადგილი, ხოლო აზიის წარმატების უკან კი ცივილიზაციებს შორის გაკვეთილი დაპირისპირების პრობლემა იმალება.

ალბათ აუცილებელია, რომ გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი ხასიათის გარკვეული ანალიზი მოვანდინოთ, კერძოდ:

- ურთიერთდამოკიდებულ და უსაფრთხო მსოფლიოში როგორც საერთოსაკაცობრიო, ასევე რეგიონალური, ეროვნული და ეთნიკური თავისებურებებია შენარჩუნებული;
 - დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარეობს ერთი მხრივ გლობალიზაციასა და მასთან დაკავშირებული უნიფიკაციის, ხოლო მეორეს მხრივ მცირე ერების, სოციალური თემებისა და პიროვნებების იდენტურობის განმტკიცების პროცესები;
 - საერთაშორისო საზოგადოებაში ინტენსიური დისკუსიები მიმდინარეობს ერთი მხრივ - ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ეკონომიკურ გლობალიზაციის და მეორეს მხრივ - ადამიანის საცხოვრებელი გარემოს შენარჩუნებასა და გარემოს დაცვის შესახებ;
 - ასევე ცხარე კამათი მიმდინარეობს სახელმწიფოებს შიგნით სამოქალაქო წესრიგის შენარჩუნებასა და იმ ბუნებრივ მდგომარეობას შორის, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში ბატონობს;
 - კაცობრიობა იძულებულია არჩევანი გააკეთოს გლობალურ განვითარებას, როგორც უნივერსალურ მიზანსა და ეროვნულ კულტურას როგორც ქვეყნის ფარგლებში არსებულ ღირებულებას შორის;
 - საერთაშორისო საზოგადოების ერთი ნაწილი ემხრობა გლობალიზაციის პროცესს, ხოლო მეორე ეროვნულ სახელმწიფოს ინტერესების დაცვას ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად განიხილავს (Veseth, 2005).
- 21-ე საუკუნის მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის პირობებში, „ეკონომიკური უსაფრთხოების“ კონცეფცია მსოფლიოსთვის წარმოადგენს, გლობალური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მთელი რიგი ღონისძიებების ერთობლიობას. შედეგად, ყველა განვითარებული ან განვითარებადი ქვეყანა ცდილობს აწარმოოს საკუთარი პოლიტიკურად და ეკონომიკურად მიზანშეწონილი ეკონომიკური პოლიტიკა, რათა არ დაუშვან მსოფლიოში მსხვილი ენერგომწარმოებელი ქვეყნების ჩრდილქვეშ უბრალო პაიკებად ყოფნა. თანამედროვე ეტაპზე, გლობალურ დონეზე ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფტი გამოიხატება უშუალო მასში მონაწილე აქტორების მხრიდან კონკრეტული ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების წარმოჩენით. გლობალიზაციის პროცესის ინტენსივობის გამოსახატავად, ანუ იმის აღსანიშნავად, თუ რამდენადაა ესა თუ ის ქვეყანა ჩაბმული გლობალიზაციის პროცესში, გამოიყენება სპეციალური სიდიდე - გლობალიზაციის ინდექსი. ის აღნიშნავს ქვეყნის ჩაბმულობის ხარისხს მსოფლიო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ პროცესებში. გლობალიზაციის ინდექსი იზომება ასბალიანი სისტემით (ზურაბ & ელიზბარაშვილი, 2012). 2020 წლის მონაცემებით, გლობალიზაციის ჯამური ინდექსის მიხედვით პირველ ადგილზე იყო შვეიცარია 90.79 წულობით, მას მოსდევდნენ ნიდერლანდები (90,68), ბელგია (90,46) და შვედეთი (89,44)

¹. უკანასკნელ ადგილებს ინაწილებდნენ სოლომონის კუნძულები, კირიბატი და მიანმა ანუ ბირმა. საქართველო 2019 წლის მიხედვით მსოფლიოს 181 სახელმწიფოს შორის 43-ე ადგილზე იმყოფებოდა. განაწილება ხდება ცალკეული მიმართულების მიხედვითაც. ეკონომიკური კუთხით ყველაზე გლობალიზებული ქვეყანაა სინგაპური 93.63 ქულით, მეორე და მესამე ადგილებზე ნიდერლანდები (89,58) და ბელგია (87,89) არიან. ბოლო ადგილებს კი ბარბადოსი, ბელიზი და ფილიპინები იყოფენ. საქართველო ეკონომიკური ინდექსით მსოფლიოში 81.03 წულით 23-ე სახელმწიფოა. პოლიტიკური გლობალიზაციის მიხედვით ლიდერობენ საფრანგეთი (97,98 ქულა), გერმანია (97,9) და იტალია (97,8), ხოლო აუტსაიდერები არიან გვინეა, მონღოლეთი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ლიბანი. საკმაოდ უკან დგას საქართველოც, რომელიც პირველ ასეულშიც ვერ ხვდება. რაც შეეხება სოციალურ გლობალიზაციას, 2020 წლის მონაცემებით პირველ სამეულს ქმნიდნენ მონაკო (91,5 წულა), ლუქსემბურგი (90,89), ლიხტენშტაინი (90,78). ხოლო სიის ბოლოს იყვნენ მალდივები, ალბანეთი და აშშ-ის ვირჯინიის კუნძულები. საქართველო ამ მონაცემით 74,41 ქულით 53-ე ადგილზე გავიდა².

ეკონომიკის გლობალიზაცია მსოფლიო მიმდინარე რეალური პროცესია, რომლის შეჩერება შეუძლებელია და წარმოადგენს საქონლის, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორების გლობალური ბაზრების ფორმირების პროცესს, რომელსაც თან ახლავს ამ პროცესში ჩართული სახელმწიფოებისა და ეკონომიკური სუბიექტების თვისობრივი ტრანსფორმაცია. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის წამყვანი განზომილება საქონლითა და მომსახურებით თავისუფალი ვაჭრობა, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა, სამუშაო ძალის საერთაშორისო გადაადგილება, სტრატეგიული ალიანსებისა და ქსელების ფორმირების მზარდი ტენდენციები, ტექნოლოგიების, ინფორმაციის, იდეებისა და ცოდნის თავისუფალი მოძრაობა, ცოდნის საზოგადოების ფორმირება, რაც ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო ბიზნესის ეს ფორმები იღებს გლობალურ სახეს და მოიცავს მთელ მსოფლიოს, ამასთან ერთად მათი ერთობლივი მოქმედება აღრმავებს ქვეყნების ინტეგრირებულობას, ურთიერთშემოქმედებასა და ურთიერთდამოკიდებულებას (ხიხაძე, 2017). ეკონომიკის გლობალიზაცია მსოფლიოში მიმდინარე რეალური პროცესია, რომლის შეჩერება შეუძლებელია, რადგანაც გლობალიზაციის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გაძლიერებასთან. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და უნიფიკაციასთან, რაც გამოიხატება ყველა ქვეყნისათვის ერთიანი სტანდარტების გამოყენებით და მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებით (ხიხაძე, 2017). ამავდროულად, მსოფლიო ოკეანისა და ახლომდებარე კოსმოსის სულ უფრო და უფრო გაბედული ათვისება მიმდინარეობს. მიმდინარეობს ადამიანის მიერ შექმნილი „მეორე ბუნების“ - სამეწარმეო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და ა.შ. ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარება და ახალი სივრცეების ათვისება. ამგვარად, გეოგრაფიული გარემო - გეოსფერო - სულ უფრო და უფრო ექცევა ადამიანური საქმიანობის გავლენის ქვეშ, ხორციელდება ცხოვრების ახალი სფეროების ფორმირება, სადაც ბუნებრივი ელემენტები და მაღალტექნოლოგიური და მექანიზირებული პროცესები ერთმანეთს უერთდება. რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას, აქ გლობალიზაციის პროცესები მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებზე გადამწყვეტ გავლენას ახდენენ. 1980-იან წლებში სტივენ ჰოფმანის მიერ გამოცემულ ნაშრომში „მსოფლიო წესრიგის პრიორიტეტები. ამერიკის საგარეო პოლიტიკა „ცივი ომის“ პერიოდში“, ავტორი ეცადა, საფუძვლიანად გაეანალიზებინა ომის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებები. რადიკალურმა ცვლილებებმა შემდგომში ბევრი მიმართულების ფარგლებში საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის საერთაშორისო სისტემის - გლობალური სისტემის ფორმირებას. თანამედროვე გეოეკონომიკური მოდელირებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთდამოკიდებულების პროცესს და მის განზომილებებს, რომლებიც დღეს მოქმედებენ თანამედროვე გლობალისტურ ეკონომიკური წესრიგის პირობებში. ამიტომაც მნიშვნელოვანია რომ ასეთი ურთიერთდამოკიდებულების კონცეფტუალურ მოდელს წარმოადგენს - კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია. აღნიშნული თეორია საერთაშორისო ეკონომიკური და ურთიერთობათა პლურალისტური ხედვის, კონცეფციის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. მოცემული თეორიის ავტორები და მიმდევრები პრინციპულ საკითხებში რეალიზმს უპირისპირდებიან

¹ (Globalization index by country) <https://www.statista.com/statistics/268168/globalization-index-by-country/>

² ibid

და მას თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და, განსაკუთრებით, ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზისათვის გამოუსადეგარ, მოძველებულ კონცეფციად განიხილავენ. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის მიხედვით, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები გაცილებით უფრო რთული და მრავალფეროვანი პროცესია, ვიდრე ამას რეალისტური კონცეფცია წარმოგვიდგენს. ალბათ არ გახლავთ შემთხვევითი ის ფაქტი, რომ მოცემული კონცეფციის მანიფესტად წოდებული რ. კიოპენისა და ჯ. ნაის წიგნი „ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება“ შემდეგი წინადადებით იწყება: „ჩვენ ურთიერთდამოკიდებულების ეპოქაში ვცხოვრობთ. ეს ბუნდოვანი წინადადება გამოხატავს არასაკმარისად გაცნობიერებულ, ფართოდ გავრცელებულ შეგრძნებას, რომ მსოფლიო პოლიტიკის არსი იცვლება“. მსოფლიო პოლიტიკის სფეროში მოღვაწე ერთ-ერთმა ყველაზე წამყვანმა დიპლომატმა და მეცნიერმა - თეორეტიკოსმა და პრაქტიკოსმა რეალისტმა კი, როგორც აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერია, 1975 წელს განაცხადა: „მსოფლიო ურთიერთდამოკიდებული გახდა ეკონომიკურად, კავშირურთიერთობებითა და ადამიანების მისწრაფებით.“

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის თანახმად, სახელმწიფოთა ურთიერთობები მრავალმხრივია და ისინი სხვადასხვა პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამ პრობლემებში არ შეიძლება მუდმივი და გამოკვეთილი იერარქიულობა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ სამხედრო უსაფრთხოება არ არის სულ მუდამ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. ამიტომაც ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების ცნებები თავიანთ მნიშვნელობას ჰკარგავენ ან სრულებით ახალ შინაარსს იძენენ. პირველ პლანზე ხშირად წამოწეულია ეკონომიკური, კეთილდღეობის, ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა გადალახვა სამხედრო ძალის გამოყენებით შეუძლებელია. სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების მხოლოდ სამხედრო ინტერესებამდე დაყვანა თანამედროვე ეტაპზე უაზრობად იქცა, რადგან ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები ხშირად სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენენ (რონდელი, 2006).

აქედან გამომდინარე, უპრიანი იქნებოდა შემუშავებული ყოფილიყო ახალი ტერმინი, რომელიც ზუსტად გამოხატავდა მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის გეოეკონომიკურ ასპექტებს. თუმცა მანამდე საინტერესო იქნებოდა უშუალოდ ეკონომიკური უსაფრთხოების ტერმინის განმარტება და შემდეგ უკვე ამის საფუძველზე ახალი სახის ტერმინის დანერგვა. ცნობილი ქართველი უსაფრთხოების კვლევების სპეციალისტი და პროფესორი ბესიკ ალადაშვილის განსაზღვრავს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, როგორც: წინასწარ განსაზღვრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ძალისმიერ და ა.შ. ღონისძიებათა კომპლექსური სისტემა, რომლის მიზანმიმართული განხორციელებაც უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესების მუდმივ დაცვას და ქვეყნის ეკონომიკის დინამიკურ განვითარებას, როგორც მშვიდობიან პერიოდში, ასევე საშინაო და საგარეო ექსტრემალური სიტუაციების და პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა საფრთხეების დინამიკის გათვალისწინებით (ალადაშვილი, 2011). ამიტომაც უკვე გეოეკონომიკური უსაფრთხოების განსაზღვრისას შეიძლება შევიშუავოთ ასეთი სახის დეფინიცია:

„გეოეკონომიკური უსაფრთხოება - გლობალური ეკონომიკის პირობებში ურთიერთდამოკიდებულების კომპლექსის საფუძველზე განვითარებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სოციალური პროცესების ინტეგრაციის მოდელი, სადაც დომინირებენ მთავარი ეკონომიკური აქტორები და რომელიც განსაზღვრავს მათი გეოპოლიტიკური და მეგა-ეკონომიკური ინტერესების პირობებს და რომელიც თავის მხრივ განაპირობებს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის განვითარებას“. ასეთი განსაზღვრება, რომელიც გვთავაზობს ამ კვლევის ავტორი წარმოადგენს ოპტიმალური ვარიანტს მისი შინაარსობრივი მომენტებიდან გამომდინარე, რომელიც მეტნაკლებად შეესაბამება დღევანდელი საერთაშორისო ეკონომიკური პროცესებს.

დასკვნა

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში საერთაშორისო დონეზე. ეკონომიკური გლობალიზაცია, - ეს გახლავთ წარმოებისა და გაცვლის ისეთი პროცესი, სადაც საინფორმაციო ფაქტორების (ანუ „არამატერიალური“) საგნობრივ (ანუ „მატერიალურ“) ფაქტორებზე ბატონობა ხორციელდება.

საინფორმაციო-ტექნოლოგიურ სფეროში გლობალური პროცესები იმაში ვლინდება, რომ დედამიწის ზედაპირზე კაცობრიობის სამეურნეო საქმიანობის ექსტენსიური გავრცელება დასასრულს უახლოვდება, დედამიწაზე ფაქტობრივად უკვე აღარ არსებობს „თეთრი ლაქები“. ამავდროულად, მსოფლიო ოკეანისა და ახლომდებარე კოსმოსის სულ უფრო და უფრო გაბედული ათვისება მიმდინარეობს. მიმდინარეობს ადამიანის მიერ შექმნილი „მეორე ბუნების“ - სამეწარმეო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და ა.შ. ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარება და ახალი სივრცეების ათვისება. ამგვარად, გეოგრაფიული გარემო - გეოსფერო - სულ უფრო და უფრო ექცევა ადამიანური საქმიანობის გავლენის ქვეშ, ხორციელდება ცხოვრების ახალი სფეროების ფორმირება, სადაც ბუნებრივი ელემენტები და მაღალტექნოლოგიური და მექანიზირებული პროცესები ერთმანეთს უერთდება. რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას, აქ გლობალიზაციის პროცესები მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებზე გადამწყვეტ გავლენას ახდენენ. 1980-იან წლებში სტივენ ჰოფმანის მიერ გამოცემულ ნაშრომში „მსოფლიო წესრიგის პრიორიტეტები. ამერიკის საგარეო პოლიტიკა „ცივი ომის“ პერიოდში“, ავტორი ეცადა, საფუძვლიანად გაეანალიზებინა ომის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო სისტემაში მომხდარი ცვლილებები. რადიკალურმა ცვლილებებმა შემდგომში ბევრი მიმართულების ფარგლებში საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის საერთაშორისო სისტემის - გლობალური სისტემის ფორმირებას.

საერთო ჯამში, გლობალიზაციის პროცესი ერთის მხრივ ზრდის ეკონომიკურ უთანასწორობას სხვადასხვა ქვეყნების სოციალ-ეკონომიკურ დონეებს შორის, თუმცა ამავე დროს ინტეგრაციული პროცესების განვითარებას უწყობს ხელს.

ლიტერატურული წყაროები:

- 1) ალექსანდრე რონდელი „საერთაშორისო ურთიერთობები“, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2003 წელი;
- 2) ბესიკ ალადაშვილი „ეკონომიკური უსაფრთხოება: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა“, საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“, თბილისი, 2011;
- 3) გიორგი გოგსაძე „მოსახლეობის გეოგრაფია“ (სახელმძღვანელო, მეორე გამოცემა), თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, 2018 წელი;
- 4) გუგული მალრაძე და ვახტანგ მასიაია «21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები», გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017;
- 5) გიორგი კვინიკაძე „გეოეკონომიკის საფუძვლები“, სახელმძღვანელო, კონსპექტი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ, თბილისი, 2017 წელი;
- 6) გურამ ჯოღია „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“, სახელმძღვანელო, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015 წელი (ელექტრონული ვერსია);
- 7) ირაკლი გორგილაძე „გეოპოლიტიკის საფუძვლები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009 წელი;
- 8) ლალი ხიხაძე „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მისია გლობალიზაციის პირობებში და მისი გავლენა გარდამავალ ეკონომიკის ქვეყნებზე“ დაბეჭდილია მეორე საერთაშორისო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებულში, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თბილისი, 2017;
- 9) ნიკა ჩიტაძე „პოლიტოლოგია“, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018;
- 10) პიერ დე სინკლერი და ოიან არიფენი „საერთაშორისო პოლიტიკა: თანამედროვე თეორიები და ამოცანები“, მეხუთე გამოცემა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014 წელი;
- 11) რამაზ აბესაძე „ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი“, თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2015 წელი;

- 12) Andrew Hewood "Politics", Palgrave MacMillan, New York, 2007;
- 13) Jan H. Kalicki and David L. Golduin "Energy and Security Toward A New Foreign Policy Strategy", Woodrow Wilson Center Press, Washington, D.C., 2005;
- 14) Mihael Veseth "GLOBALONEY: Unrevealing The Myths of Globalization", Rowman and Littlefield Publishers, Oxford, UK, 2005;
- 15) Nick Chitadze "World Geography", Scholar Press, Berlin, 2017;
- 16) Robert O. Keohane and Joseph S. Nye "Power and Inderdependence", second edition, Harper Collins Publishers, USA, 1989;
- 17) Sullivan, Arthur; Steven M. Sheffrin "Economics: Principles in Action". Upper Saddle River, Pearson Prentice Hall, New Jersey, USA, 2003

ელექტრონული წყაროები:

1. ლიკა სარაჯიშვილი "გლობალიზაცია და ეკონომიკური განვითარების ტენდენციები" დაიბეჭდილია სამეცნიერო-ანალიტიკურ ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკაში“, თავისუფალი ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტი, e-ISSN 1512-2980 (ელექტრონული ვერსია), 18/02/2021, იხილეთ დეტალურად: <http://geoeconomics.ge/?p=13185>
2. (Globalization index by country) <https://www.statista.com/statistics/268168/globalization-index-by-country/>
3. UNDP. Human Development Report. http://hdr.undp.org/en/media/HDR_2013_EN_TechNotes.pdf
4. 2017 OECD Tax Database

ქართული იდენტობის ფორმირება და რუსიფიკატორული პოლიტიკა (რამდენიმე ასპექტი)

Maia Kvrivshvili

Tbilisi State University, Georgia

აბსტრაქტი

1801 წელს რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სუვერენული სამეფოს გაუქმების შემდეგ დაიწყო რუსიფიკაციის პროცესი, რასაც ძალაუფლების გარეშე დარჩენილი ხალხის დიდი წინააღმდეგობა მოყვა. რელიგიურ-მართლმადიდებლური ერთიანობის მიუხედავად, რუსული სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური სივრცე მკვეთრად განსხვავდებოდა ქართულისგან. აიკრძალა ქართული ენა: სკოლებში, საჯარო დაწესებულებებში და ეკლესიებში. მეფის ხელისუფლებამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალია და სინოდალური მმართველობის ქვეშ მოაქცია. კულტურული იმპერიალიზმის მეშვეობით შეიქმნა იმპერიის ერთგული სასულიერო ელიტა, ასევე არისტოკრატია, რომელიც აქტიურად იყო ჩართული კოლონიური პოლიტიკის წარმოებაში. ქართულ ენასთან ერთად ქრისტიანობა საუკუნეების მანძილზე იდენტობის ერთ-ერთი უძლიერესი ნიშანი იყო, განსაკუთრებით მუსულმანურ სამყაროსთან მიმართებაში. XIX საუკუნიდან მართლმადიდებლობა ქართველთა გადაგვარების მძლავრ იარაღად იქცა ერთმორწმუნე რუსი მტრის ხელში. 1860-იან წლებში განახლებული ეროვნული მოძრაობის მიზანი იყო ახალი ქართველი ერის ჩამოყალიბება. მეფის პოლიტიკამ ხელი შეუშალა ქართველ ერს ეროვნული კონსოლიდაციისკენ სწრაფვაში და შექმნა იდენტობის ნიშნები, რომლებიც მისაღები იქნებოდა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისა თუ აღმსარებლობის წარმომადგენლებისთვის. განსაკუთრებით სასტიკი იყო იმპერიული პოლიტიკა მაჰმადიანი ქართველების მიმართ, რომლებიც იძულებულნი იყვნენ ემიგრაციაში წასულიყვნენ თურქეთში. ეს იყო რუსების მიერ ეთნიკური წმენდის ერთ-ერთი ფორმა და საშუალება. ეროვნული მოძრაობის სურვილი იყო საერო საზოგადოების შექმნა. ეს იყო როგორც შინაგანი მისწრაფებების, ასევე ნაციონალიზმის გავლენის, და ამავე დროს ცარიზმის პოლიტიკაზე ერთგვარი რეაქციის შედეგი. ერის გაგების ცნება განისაზღვრა ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიების მიერ, სადაც ენა, ტერიტორია, კანონები, ისტორიული მემკვიდრეობა, საერთო კულტურა მნიშვნელოვან როლს და ადგილს იკავებდა და სადაც რელიგია უფრო ინდივიდუალურ გრძნობად ითვლებოდა. ეს იყო ერთგვარი პასუხი რუსეთის მართლმადიდებლურ იდეოლოგიასა და პოლიტიკაზე, სადაც ისინი გამოვიდნენ ისლამური სამყაროდან, როგორც „ქართველი ძმების“ მხსნელები და ცდილობდნენ ხაზგასმით აღენიშნათ საერთო მხარეები. 1918-1921 წლებში პირველი რესპუბლიკა იყო სეკულარული სახელმწიფო, სადაც რელიგიური იდენტობა ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. საინტერესოა საბჭოთა კავშირის რელიგიური პოლიტიკა, სადაც საქართველო იყო ერთ-ერთი კოლონია. საბჭოთა კავშირს ჰქონდა მხოლოდ ათეისტური პოლიტიკა, რელიგია კვლავ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს საბჭოთა ხალხების მანიპულირებაში. რელიგიური იდენტობა გაქრა (ოფიციალურ დონეზე), იგი შეცვალა პარტიულმა იდენტობამ და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებაში.

საკვანძო სიტყვები: ქართული იდენტობა, კულტურა, რუსიფიკაცია, კოლონიზაცია

Formation of Georgian identity and Russification Policy (Several Aspects)

Abstract

After the abolition of the sovereign kingdom of Kartl-Kakheti by the Russian Empire in 1801, the process of Russification began, which was followed by strong opposition from the people, who were left without power. Despite the religious-orthodox unity, the Russian social-cultural and political space was sharply different from the Georgian. The Georgian

language was banned: in schools, public institutions and churches. The king's government abolished the centuries-old autocephaly of the Georgian Church and brought it under synodal rule. Cultural imperialism created a clerical elite loyal to the empire, as well as an aristocracy that was actively involved in the production of colonial politics. Along with the Georgian language, Christianity has been one of the strongest signs of identity for centuries, especially in relation to the Muslim world. Since the 19th century, Orthodoxy has become a powerful tool for the degeneration of Georgians in the hands of the single-minded Russian enemy. The goal of the renewed national movement in the 1860s was formation of a new Georgian nation. The king's policy prevented the Georgian people's desire for national consolidation and created signs of identity acceptable to the different nationalities and religions living in Georgia. The imperial policy was especially cruel towards the Muslim Georgians who were forced to emigrate to Turkey. This was one of the forms and means of ethnic cleansing by the Russians. The desire of the national movement was to create a secular society. It was the result of both internal aspirations and the influence of nationalism, and at the same time a kind of reaction to the policy of tsarism. The concept of understanding the nation was defined by the ideologists of the national movement, where language, territory, laws, historical memory, and a common culture played an important role and place, while religion was considered a more individual feeling. It was a kind of response to the ideology and policies of Russian Orthodoxy, when they came out of the Islamic world as saviors of the "Georgian brothers" and tried to emphasize the Commonality. Between 1918 and 1921 the First Republic was a secular state in which religious identity was less important. The religious policy of the Soviet Union, of which Georgia was one colony, is interesting. The Soviet Union only had an atheist policy, religion still played an important role in manipulating the Soviet people. Religious identity disappeared (on the official level), being replaced by party identity, and played an important role in shaping the Soviet man.

Keywords: Georgian identity, culture, Russification, colonization

ნაშრომში განხილულია რუსეთის იმპერიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ. რუსეთის მიერ ოკუპაციის და ანექსიის შემდეგ ის საქართველოს ტერიტორიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ კოლონიზაციასაც ახორციელებდა, რასაც კულტურული იმპერიალიზმი მოჰყვა. ქართული საზოგადოება სხვადასხვა ფორმით ცდილობდა როგორც ფიზიკურად გადარჩენას, ასევე თვითმყოფადობის შენარჩუნებას ძლიერი იდენტობის კონსტრუქციის შექმნით და მისი საშუალებით.

იდენტობა, ისევე როგორც მთლიანად კულტურა, ისტორიული ფენომენია - ექვემდებარება დროით ცვლებადობას. იგი საკმაოდ რთულია თავისი კონსტრუქციით, მიუხედავად აბსტრაქტულობისა იგი ჰორიზონტალურია, სივრცეშია განფენილი და მოიცავს: ინდივიდს, საზოგადოებას, ერს, სახელმწიფოს, ცივილიზაციური ერთობას (რომელიც შეიძლება უფრო დანაწევრდეს) და „ვერტიკალურ ღერძზეა განლაგებული“ - წარსული, აწმყო და მომავალი. იდენტობაში მოიაზრება ადამიანისა და საზოგადოების ინტეგრირებულობა, მათი შესაძლებლობა თვითგანსაზღვრულობისა და პასუხი კითხვაზე: ვინ ვარ მე? იდენტობის პოლიტიკა წარმოადგენს პასუხს სპეციფიურ გამოწვევაზე. იდენტობა პროცესებისა და სტრუქტურების დინამიური სისტემაა, რომელიც ერთდროულად პერმანენტული კონსტრუქციაა და ასევე შეუძლია სტაბილურ ორგანიზაციად ჩამოყალიბება (კონკრეტულ დროსა და სივრცეში). იდენტობა მხოლოდ თითოეული ინდივიდის სოციალური მდგომარეობის საფუძველს არ წარმოადგენს. მისი კულტურული ან ეთნიკური კუთვნილება ყოველდღიურობაში ვლინდება - ადამიანი ითვისებს ენას, კულტურას, ტრადიციას, სოციალურ და ეთნიკურ ნორმებს, საკუთარ ეთნიკურ გარემოცვას (Riceur 2000: 8,10,12).

ადამიანისაგან საკუთარი კუთვნილების განსაზღვრა მოითხოვს მისი შინაგანი ცხოვრების პირობებს. მისი ცვლილება დამოკიდებულია იმ კონტექსტზე, რომელშიც არსებობს (Muchielli 2003:43). საბჭოთა ეპოქაში ადამიანი უნდა გამხდარიყო ახალი ტიპის კულტურის მატარებელი, უნდა დაუფლებოდა მის ენას. ეს ყოველთვის არ ნიშნავდა ახალ კულტურასთან სრულ იდენტობას, თუმცა ადამიანი ისწრაფვოდა მოეხდინა მისი დემონსტრირება. თითოეული კონკრეტული კულტურული ერთობა საკუთარი თავის შეგრძნებისა და შეცნობისათვის (შესაბამისად სხვასთან მიმართებაში) ობიექტური ისტორიული რეალობის გათვალისწინებით იყენებს იდენტიფიკაციის რომელიმე სტრუქტურას (კრიტერიუმს) ან ყველას ერთად.

იდენტობის მექანიზმი გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური სტრუქტურისა და კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და გადაცემის პროცესში. თავად პროცესის გამომხატველი ტერმინი, იდენტიფიკაცია გულისხმობს ინდივიდის სოციალიზაციას, სოციალური როლის მიღებას და ადაპტაციას, სოციოკულტურული მოდელების ათვისების პროცესს.

იმპერიალიზმი, ძირითადად, დაპყრობასთან, ექსპლუატაციასა და სხვის საზღვრებში შეჭრასთან ასოცირდება. კულტურული იმპერიალიზმის ცნება კი იმაზე მიანიშნებს, რომ იმპერიალიზმი კულტურულ დაპყრობასაც მოიაზრებს ან, უფრო ზუსტად, კულტურით დაპყრობას. იმპერიალიზმი ადგილობრივი კულტურის ტრადიციების ძალადობრივ რღვევასა და დამპყრობელი ქვეყნის კულტურის კონტექსტის თავსმომხვევას გულისხმობს. შედეგად იმპერიალიზმის მიმართ წინააღმდეგობა ხშირად კულტურით და „დაკარგულ“ ტრადიციებზე აპელირებით ხდება. კულტურული იმპერიალიზმი, ასევე გულისხმობს დამპყრობელთა პრაქტიკას, დაპყრობილი სივრცის მნიშვნელობის შეფასებისა და განსაზღვრის საფუძვლად გამოიყენონ იმპერიული და დომინანტური კულტურა. ამ დისკურსულ პროცესში „კოლონია“ აიგება დამპყრობლის წარმოსახვის, და არა - მისი რეალური გეოგრაფიის მიხედვით. კოლონიზებული ტერიტორიების შესახებ ლიტერატურის, ფერწერის, მისი რუკაზე დატანისა თუ სახელდებით, იმპერიალისტური ქვეყნები დისკურსულად აგებენ კოლონიის სინამდვილეს. ასე მოხდა რუსეთის -დამპყრობელის და საქართველოს-კოლონიის შემთხვევაშიც.

თავისი ისტორიის მანძილზე რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში რამდენიმე რევოლუციური ცვლილება მოხდა. ეს ცვლილებები იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველი იყო, რომ სახელმწიფო ყოველ ჯერზე იცვლიდა არა მხოლოდ მმართველობის სისტემას და სახელმწიფო იდეოლოგიას, არამედ საზღვრებს და სახელსაც კი. დღევანდელი რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის მემკვიდრეა, სსრკ – რუსეთის იმპერიის, რომელიც, თავის მხრივ, მოსკოვის დიდი სამთავროს პირმო იყო. მაგრამ რუსეთში დამკვიდრებულ ყველა ახალ პოლიტიკურ ფორმაციას რამდენიმე უცვლელი მახასიათებელი აკავშირებს. აქედან ყველაზე თვალშისაცემია – შიდა მმართველობის უკიდურესი ავტორიტარიზმი და საგარეო პოლიტიკის აგრესიულობა.

რუსეთში, ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში რეალურად დაიწყო ზრუნვა ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგიის შექმნაზე, რომელიც მესამე რომის კონცეფციის „მოდერნიზებას“ მოახდენდა ახალი გამოწვევების შესაბამისად. იმპერტორ ნიკოლოზ I-ის განათლების მინისტრის სერგეი უვაროვის მიერ შექმნილი: „Православие, Самодержавие, Народность“ (მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ეროვნულობა). სამხედრო ჯვარი წარწერით: За Веру, Царя и Отечество, დროის შესაბამისად შეიცვალა და 1918 წელს ხელისუფლებაში კომუნისტური ლოზუნგებით მოსულმა ბოლშევიკებმა სულ მალე წარმატებით ჩაანაცვლეს მესამე რომის დოქტრინა კიდევ უფრო ამბიციური და ექსპანსიონისტური იდეოლოგიით. მისი არსი მსოფლიო რევოლუციის გზით კომუნიზმის საყოველთაო გავრცელება იყო. ლოზუნგი – „მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ეროვნულობა“ – შეიცვალა ახლით – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ მსოფლიო კომუნიზმის ცენტრი, რასაკვირველია, მოსკოვი უნდა ყოფილიყო. მართალია, მსოფლიო რევოლუციის იდეების გვერდზე გადადება ჯერ კიდევ სტალინს მოუწია, მაგრამ ათწლეულების მანძილზე კომუნიზმი საბჭოთა კავშირის ერთადერთ იდეოლოგიად რჩებოდა, რამაც ის სრულიად ტოტალიტარულ სახელმწიფოდ აქცია და ასევე დიდწილად განსაზღვრა მისი საგარეო პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს კომუნისტური მმართველობის მაქსიმალურად გავრცელება და მხარდაჭერა წარმოადგენდა. საბჭოთა იმპერია საბოლოოდ იმას შეეწირა, რომ იდეოლოგიით ტოტალურად რეგლამენტირებული იყო არა მხოლოდ ძალაუფლების სტრუქტურა და საგარეო პოლიტიკა, არამედ ეკონომიკაც. შედეგად, საბჭოთა იმპერია – ძლევამოსილი სუპერსახელმწიფო – უბრალოდ გაკოტრდა და რუსეთის იმპერიის ბედი გაიზიარა. (ბადრიძე; 2019)

რუსიფიკაციის, ისევე როგორც კულტურული იმპერიალიზმის ერთ-ერთი მახასიათებელია ე. წ. „სხვად ქცევა“, რომლის შედეგადაც ხდება კოლონიზებული „სხვების“ წარმოსახვითი კულტურის წარმოდგენა, როგორც გარეშეს, კულტურის გარე მყოფის, თითქოს ის კულტურის ფორმა არ იყოს. (Serano 2007)

საქართველოს მეფე-მთავართა რამდენიმე საუკუნოვანი მცდელობა სარწმუნოებრივი მოტივით მფარველის და მოკავშირის ძებნისა ტრაგედიით დამთავრდა. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, 1801 წელს განხორციელდა სუვერენული ქართლ-კახეთის სამეფოს ოკუპაცია და ანექსია

(რასაც მოყვა იმერეთის სამეფო და ქართული სამთავროები), ქართული საზოგადოება განსხვავებულ გარემოში მოხვდა. დაიწყო ქვეყნის რუსიფიკაციის პროცესი, რასაც დიდ წინააღმდეგობას უწევდა ხელისუფლების გარეშე დარჩენილი ხალხი (რეიფილდი 2019; 400,410,409) მიუხედავად სარწმუნოებრივი ერთიანობისა-მართლმადიდებლობის, რუსული სოცო-კულტურული და პოლიტიკური სივრცე მკვეთრად განსხვავდებოდა ქართულისგან. რუსეთის იმპერია, როგორც სხვა იმპერიები, კოლონიზაციის პროცესში ახორციელებს: პოლიტიკურ-ადმინისტრაციულს, სოციალურს და ეკონომიკურს, ასევე კულტურულ ცვლილებებს, რაც საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ხანგრძლივ დროით პერსპექტივაშია გათვლილი. ზემოთ ჩამოთვლილი საზოგადოებრივი ცხოვრების თითოეული სფერო მნიშვნელოვანია ნებისმიერი ერისთვის. საინტერესოა როგორი იყო რუსული იმპერიული პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში.

ტრადიციული ქართული ადმინისტრაციული სისტემის შეცვლის შემდგომ, ეტაპობრივად ახორციელებს საქართველოს კულტურულ ათვისებას. აიკრძალა ქართული ენა: სკოლებში, სახელმწიფო დაწესებულებებში და ეკლესიაში. ცარიტულმა ხელისუფლებამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალია და ისიც სინოდიალურ მმართველობას დაუქვემდებარა. გაძარცვა ქართული ეკლესიის ქონება, მაღალი იერარქიის პირები გადაასახლა რუსეთში, ან სიკვდილით დასაჯა, გაანადგურა ქართული ავტოკეფალური ეკლესიის თვითმმართველობა და ტრადიციული ურთიერთობა ხალხთან, წირვა-ლოცვა რუსულად ტარდებოდა, იკრძალებოდა ტრადიციული ქართული გალობა, შეირყა ეკლესიის ავტორიტეტი. ქართული ეკლესიის დამცირებამ ხალხი შეაშფოთა, მით უფრო, რომ სომხებმა, კათოლიკეებმა, ებრაელებმა და მაჰმადიანებმა რელიგიური ავტონომია შეინარჩუნეს. რუსიფიკატორული პოლიტიკის მეშვეობით შექმნეს იმპერიისსადმი ლოალური სასულიერო ელიტა, ისევე როგორც არისტოკრატია, რომელიც აქტიურად ჩაბმული აღმოჩნდა კოლონიური პოლიტიკის წარმოებაში. კულტურული იმპერიალიზმის საშუალებით შეიქმნა რუსეთისადმი ლოალური ქართველი. ქართულ ენასთან ერთად, ქრისტიანობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იდენტობის ერთერთ ძლიერ მარკერს წარმოადგენდა განსაკუთრებით მუსლიმურ სამყაროსთან მიმართებაში, მეცხრამეტე საუკუნიდან მტრის-რუსეთის ხელში ძლიერ იარაღად იქცა მისი გადაგვარების საქმეში. უნდა აღინიშნოს, რომ რუსული იმპერიის იდეოლოგიის ქვაკუთხედს მესამე რომის იდეა წარმოადგენდა და ამ იდეოლოგიით ხდებოდა დაპყრობილ ხალხებთან ურთიერთობა. მიუხედავად ცარიზმის ძალადობრივი პოლიტიკისა, რა დროსაც მოხდა საეკლესიო მმართველობის, იერარქიის გარუსება, ქართველი სასულიერო პირები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ქართული საეკლესიო ცხოვრება, ავტოკეფალისტა მოძრაობაც კი შეიქმნა და 1917 წლის 25 მარტს აღდგა ავტოკეფალია. რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის ერთ-ერთი იარაღი იყო რელიგია, რომელიც დაპყრობილი ხალხების დასამორჩილებლად და ასიმილაციისთვის სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ინტენსივობითა და შინაარსით გამოიყენებოდა. სარწმუნოების შეცვლა, მისი ღალატი ერთიანობის საფუძვლის მოშლასა და ერთობის დაღუპვას უდრიდა. ვახუშტი რელიგიური ნიშნის მიხედვით ენის მსგავსად, ახდენს ქართული ერთობის მარკირებას. უფრო სწორედ ის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული რელიგიური მარკერის ფონზე ახდენს ქართველებისა და სხვების იდენტიფიცირებას, მათ შორის, წყალგამყოფის დადებას. რელიგიის ცენტრალური ნაწილია რწმენათა და სიმბოლოთა სისტემა. ამ საკითხის შესახებ გამოკვლევის თეორიულ საფუძვლებში განვმარტავდით, რომ ის არის უმნიშვნელოვანესი და ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძლიერი მარკერი კულტურული იდენტობის ჩამოყალიბებაში. როგორც სმითი განმარტავს, ეთნიკური კატეგორია და ეთნიკ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მართალია, ეთნიკური კატეგორია გულისხმობს და მოიცავს კომპონენტთა ისეთ ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია ეთნისა და ნაციისათვისაც, თუმცა უპირველესად ის მაინც ეფუძნება ერთიანობის ოჯახურ, ნათესაობრივ და რასობრივ განცდებს (სმითი 2008:26). მისი ეთნიკ ჩამოყალიბება გულისხმობს ოჯახების ყოველდღიური ცხოვრების წესის კოლექტიურ კულტურულ ღირებულებებად ქცევას, რიტუალური წარმოდგენისა და მისი ვერბალური რეპროდუცირების გზით. საყოფაცხოვრებო წესების სიმბოლური და ვიზუალური რეპრეზენტაცია, აუცილებელია არა მხოლოდ კულტურული ღირებულებების შექმნა-შენარჩუნებისათვის, არამედ თაობებს შორი უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფისათვისაც. საქართველოს ისტორიაში ასეთი ცვლილების მომენტს წარმოადგენდა ფარნავაზის მიერ ქართული პანთეონის რეფორმა და ანბანის შექმნა. ეთნიკური კატეგორიის ეთნიკ გარდაქმნისათვის აუცილებელია ძლიერი სპირიტუალური სტიმული, რომელსაც შეეძლება უფრო მაღალი ხარისხის სოციალური ორგანიზაციის მხარდაჭერა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში განახლებული ეროვნული მოძრაობის მიზანი იყო ახალი ქართველის ფორმირება, სადაც რელიგიური ფაქტორი ნაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იდენტობის ფორმირების პროცესში (ქვრივიშვილი 2009: 39,40). ცარიტული პოლიტიკა ხელს უშლიდა ქართველი ერის მისწრაფებას მოეხდინა ეროვნული კონსოლიდაცია და შეექმნა იდენტობის მარკერები რომელიც მისაღები იქნებოდა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისა თუ კონფესიის წარმომადგენლისათვის. განსაკუთრებით მუსლიმი ქართველების წინააღმდეგ, რომლებიც იძულებული გახადეს თურქეთში გადასახლებულიყვნენ. ეს რუსების მხრიდან ეთნიკური წმენდის ერთ-ერთი ფორმა და საშუალება იყო. ეროვნული მოძრაობის მისწრაფება იყო შეექმნათ სეკულარული საზოგადოება. ეს იყო როგორც შინაგანი მისწრაფების, ასევე ნაციონალიზმის გავლენის შედეგი და ამავედროულად ერთგვარი რეაქცია იყო ცარიზმის პოლიტიკაზე. ეროვნული მოძრაობის იდეოლოგთა მიერ განისაზღვრა ერის გაგების კონცეფციები სადაც მნიშვნელოვანი როლი და ადგილი ეკავა ენას, ტერიტორიას, კანონებს, ისტორიულ მეხსიერებას, საერთო კულტურას, და სადაც რელიგია უფრო ინდივიდუალურ განცდათ ითვლებოდა. ეს ერთგვარი პასუხი იყო რუსული მართლმადიდებლური მისიონერული იდეოლოგიისა და პოლიტიკის წინააღმდეგ, სადაც ისინი ისლამური სამყაროსგან „მომქმე ქართველების“ მხსნელებად გამოდიოდნენ და ცდილობდნენ ხაზი გაესვათ საერთო მახასიათებლებისათვის. აქვე აღნიშვნის ღირსია რუმინელთა იდენტობის ფორმირების პროცესი, რუსული სლავური და მართლმადიდებლური ექსპანსიის პირობებში, რა დროსაც მათ მთავარ მარკერებად აირჩიეს: ენა, რომის და დაკების შთამომავლობა, საერთო ისტორია, რელიგიას არც ახსენებენ (ქვრივიშვილი 2009: 41,42).

1918 წლის 26 მაის საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ამცნო და საქართველოს სახელმწიფომ ხანგრძლივი წყვეტის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ისევ დაიბრუნა კუთვნილი ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა დემოკრატიული განვითარების გამოცდილება, ძლიერი პოლიტიკური ელიტის წყალობით დაიწყო თანამედროვე ევროპული ტიპის სახელმწიფო შექმნა. სამი წლის განმავლობაში საფუძველი ჩაეყარა საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემას და სამეცნიერო კვლევების განვითარებას, რომლის ცენტრს 1918 წლის 26 იანვარს შექმნილი პირველი ქართული უნივერსიტეტი წარმოდგენდა.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებით დაიწყო ჩამოყალიბება; პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების პოლიტიკა გამოირჩეოდა ტოლერანტული პოლიტიკით; სახელმწიფოს კონტროლისგან თავისუფალი იყო შემოქმედებითი საქმიანობა და ზოგადად კულტურის სფერო; რწმენის, სიტყვის და რელიგიის თავისუფლება დაცული იყო. (ჯანელიძე ო.) ეს ყველაფერი 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციით იყო გარანტირებული. სამწუხაროდ, 1921 წლის 25 თებერვლის საბჭოთა რუსეთის ანექსიით იქნა დარღვეული საქართველოს მცდელობა განვითარებულიყო საკუთარი ეროვნული ინტერესებისა შესაბამისად (ჯანელიძე, 2021:4-5).

ამის შემდეგ, საქართველო მეორედ მოექცა რუსული იმპერიის კლანჭებში. იმპერიის, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე, მიუხედავად გარკვეული პოლიტიკური ცვლილებებისა, მაინც უცვლელი რჩებოდა მისი იმპერიული ზრახვები და მისწრაფებები.

1918-1921 წლებში, პირველი რესპუბლიკა იყო სეკულარული სახელმწიფო და რელიგიური იდენტობა ნაკლებ მნიშვნელოვანი იყო. საინტერესოა რომანოვების იმპერიის მემკვიდრის საბჭოთა კავშირის რელიგიური პოლიტიკა და საქართველო, რომელიც მიუხედავად მისი მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსისა წარმოადგენდა საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთ კოლონიას. მიუხედავად საბჭოთა კავშირის ცალსახად ათეისტური პოლიტიკისა, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საბჭოთა ხალხების მანიპულაციის საქმეში. თავის წინამორბედთან შედარებით მისი პოლიტიკა უფრო მკაცრი იყო. საიდუმლო სამსახურების საშუალებით მთლიანად აკონტროლებდნენ რელიგიურ ინსტიტუტებს, და შესაბამისად მიმდევრებასაც. ათეისტური პოლიტიკით რელიგიის გაქრობა არა, მაგრამ მისი როლის დაკნინება მოახერხეს. გაქრა რელიგიური იდენტობა (ოფიციალურ დონეზე), მას პარტიული იდენტობა ჩაენაცვლა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა ადამიანის ფორმირების პროცესში.

საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ დაიწყო მისი კულტურული კოლონიზაცია. რომლის დროსაც მოხდა დაპყრობილი კოლონიზირებული ქართველების „სხვად ქცევა“,

კოლონიზატორის მიერ დაპყრობილისთვის კულტურული ნარატივის შექმნა და თავს მოხვევა (Césaire 1963: 15,17) უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მკვლევრები არასოდეს არ ახსენებდნენ კოლონიებს, კოლონიზაციას, კოლონიურ პოლიტიკას საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, სადაც გამოხატული იქნებოდა მოსკოვისა და არარუსი ხალხების ურთიერთობა. ისინი ამ პრობლემას «ნაციონალური პოლიტიკით» იხსენიებენ (ENCAUSSE 1978: 15, 31)

ხორციელდებოდა კულტურული პოლიტიკა, რომელიც ხალხთა გართგავროვნებისაკენ მიდიოდა, მაგრამ ამას მრავალმა ფაქტორმა შეუშალა ხელი, მათ შორის ამ ხალხების კულტურულმა ტრადიციებმა. ამ პოლიტიკის ნაყოფმა პოსტსაბჭოთა პერიოდში იჩინა თავი, და მრავალი სიძნელე და დაბრკოლება შექმნა ახალი იდენტობის ძიების გზაზე. მათ შორის საქართველოში. რუსეთი თავის კოლონიურ პოლიტიკას მრავალი მიმართულებით ანხორციელებდა: სამხედრო, ტერიტორიული, ეკონომიური, სოციალური, ეროვნული (მათ შორის მცირე ერების წაქეზება), კულტურული. კულტურული რევოლუცია, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო საბჭოთა კავშირის იურიდიულ არსებობამდე გრძელდებოდა (ENCAUSSE 1978 : 21,25,67). ამ პოლიტიკის მიზანი იყო ახალი ადამიანის, საბჭოთა სოციალისტური ერის შექმნა.

მათ მიერ შექმნილი ქართული საბჭოთა კულტურის სპეციფიკურობად იქცა მისი შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვა, კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განიავება, დაკარგვა, ეროვნული კულტურული ტრადიციების მსხვრევა, მასობრივი კულტურის ოფიციალურის რანგში აყვანა და მისადმი უტილიტარული დამოკიდებულება, ქართული საზოგადოების იზოლაცია, მისი მსოფლიო კულტურის მიღწევებისაგან დაშორება. 20-იან წლებში საბოლოოდ დამთავრდა, და XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა, პარტიულ-სახელმწიფო აპარატის მიერ სახელმწიფოს მართვის ძირითადი ფუნქციების ხელში ჩაგდებისა და განმტკიცების პროცესი, ახალი მმართველი ფენის – ქართული საბჭოთა ნომენკლატურის ჩამოყალიბება, რომლის შექმნაც რთული სოციალური და პოლიტიკური პროცესების თანადროულად მიმდინარეობდა, ძველი მმართველი კლასის/ ელიტის ჩამოშორებით, რომლის განადგურება პერიოდულად ხორციელდებოდა (BRAUDEL: 617). ფ.ბროდელი ამ გზას ახალი სოციალური იერარქიის ჩამოყალიბებას უწოდებს. ეს გზა უცხო და არაორგანული იყო ქართული საზოგადოებისათვის.

რუსიფიკატორული პოლიტიკა საქართველოში გარკვეული წარმატებით და ასევე წარუმატებლობით განხორციელდა. იდენტიფიკაციის პროცესი ძლიერი ზეწოლის ქვეშ მიმდინარეობდა. დამპყრობლის-რუსეთის მიერ შეიქმნა ქართული საზოგადოება, განსაკუთრებით მისი ელიტარული ნაწილი, რომელიც ლოიალური განწყობებით გამოირჩეოდა კოლონიზატორის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

იდენტობა და ნაციონალიზმი. გამომცემლობა „ახალი აზრი“. თბილისი 2009

პატარიძე ლ., ქართული იდენტობა (ისტორიული ხედვის პრობლემები) კრებული საქართველო ატასწლეულის გასაყარზე. გამომცემლობა „არეტე“. თბილისი 2006

რეიფილდი დ. საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინზე, სამიათწლეოვანი ისტორია. გამომცემლობა „პალიტრა ლ“. თბილისი 2019.

სმითი ენტონი დ., ნაციონალური იდენტობა. გამომცემლობა „ლოგოს პრესი“. თბ. 2008

ქვრივიშვილი მ. იდენტიფიკაციის პროცესები და მარკერები ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბების ხანაში (საქართველო და რუმინეთი: შედარებითი ანალიზის ცდა). ჟურნალ „ცივილიზაციური ძიებანი“ #7. თბილისი 2009

ჯანელიძე ო., ასი წლის წინ საქართველოში, ჟურნალი ჩემი სამყარო, #31, 2021. გვ.4-15

ჯონსი სტივენ ფ. სოციალიზმი ქართულ ფერებში, სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2007

Braudel F. Gramaire des Civilisations. Ed.: Flammarion. Paris, 1993

Mucchielli A. L'identité. Presses universitaires de France. Paris, 2003

Césaire A. Discours sur le colonialisme : Editions Présence africaine. Paris 1955

RICOEUR P. Fragile identité: respecte de l'autre et identité culturelle. Mlyn, 2000

ბადრიძე გ. რუსეთის იმპერიული იდეოლოგიები. ჟურნალი: ჩემი სამყარო #26, 2019. გვ.4-13. URI : https://www.gfsis.org/ge/my-world/26?fbclid=IwAR1cfW3dfbMjcqGAZp9Av6y43c-0MJiHe2EMmBPmZx5Cchux6XRxnff_80

Césaire A. Culture et Colonialisation. Culture française Volume 5, numéro 1 (25), janvier–février 1963 URI : <https://id.erudit.org/iderudit/30187ac>

Serano S., Vue des marges: la Russie, un pont vers l'Europe? L'exemple de la Géorgie colloque *La Russie et l'Europe : autres et semblables*, Université Paris Sorbonne – Paris IV, 10-12 mai 2007 [en ligne], Lyon, ENS LSH, mis en ligne le 26 novembre 2008. URL : <http://institut-est-ouest.ens-lsh.fr/spip.php?article127>

Vue des marges : la Russie, un pont vers l'Europe ? L'exemple de la Géorgie - Site de l'Institut européen Est-Ouest (ens-lyon.fr)

ფსიქოლოგიური ომის თანამედროვე გამოწვევები, პირველი ულტრათანამედროვე კვლევა ტყუილსა და პროპაგანდაზე თავის ტვინის იმპულსების შესასწავლად ნეიროფიდებექის აპარატით

Magda Kotrikazdze

PhD student in Political Science at CIU, Georgia

აბსტრაქტი

ჩემს საკონფერენციო ნაშრომში, ყურადღება ეთმობა ფსიქოლოგიური ომის თანამედროვე გამოწვევებს, პიარის და მარკეტინგის როლს ფსიქოლოგიური ომის პრიცესში და ასევე გაგაცნობთ ჩემს მცდელობას კვლევის დამხმარე საშუალებად გამოვიყენო ისეთი მნიშვნელოვანი აპარატი როგორც ნეიროფიდებექია. მსმენელებს გავუზიარებ ჩემი კვლევის ასპექტებს. პირველად საქართველოში ჩემ მიერ ჩატარდება პირველი ულტრათანამედროვე კვლევა ტყუილსა და პროპაგანდაზე თავის ტვინის იმპულსების შესასწავლად. პარალელურად, კი ჩავატარე დისტანციური კვლევა, რომელსაც “ტყუილის კვლევა” ვუწოდებ და მასში უკვე 1760 ადამიანი ჩაერთო და ერთგვარი დისკუსიის საგანიც გახდა. მეორე მხრივ, ყურადღებას გავამახვილებ საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის მნიშვნელობაზე, განვიხილავ ტერმინებს, ვეცდები დავამკვიდრო ახალი ტერმინი “უსაფრთხოების მარკეტინგი” და მის მნიშვნელობასაც შევხეო ეროვნული უსაფრთხოების ასპექტში. მიმოვიხილავ ტყუილის არსს, ტრულის განსაზღვრებას და მის მნიშვნელობას, გაგაცნობთ ნეიროფიდებექის ისტორიას და მის მიღწევებს, ვისაუბრებ ტყუილის როგორც შემოქმედებითი პროცესის არსზე. ამრიგად, ყველასთვის ცნობილია, რომ ინფორმაციის, როგორც იარაღის გამოყენების საფრთხე მაღალტექნოლოგიურ სამყაროში მუდმივად არსებობს, რადგან სრულად არ თქმა მოვლენისა, ნაკლებად გადმოცემა, დამახინჯებულად მიწოდება, ინფორმაციის “ბოროტად გამოყენების” ტოლფასია. ამდენად, როგორ იქნება გააზრებული შინაარსი ემოციებისგან დაცლილი, ფაქტებით, სუბიექტურად, თუ მხარეთა ჩართვით, ვინ არის ინფორმაციის გადმოცემა და რა ტიპის ინფორმაციის გავრცელება ხდება ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ყველა ადამიანი თავისთავად ტენდენციურია, რადგან მას გააჩნია მისი სუბიექტური ხედვა ყველა საკითხის მიმართ. თუ ამ ხედვას დამატებით ერთვის დაკვეთა (მაგალითად მედიის შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიის შემთხვევაში, ელიტების შემთხვევაში და სხვა) ეს სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებს და საფრთხეს აორმაგებს. საუკუნის გამოწვევაა ტყუილი, მას გააჩნია სხვადასხვა მანიპულაციის ინსტრუმენტები და რეალურ საფრთხეს ქმნის ჩვენს ეპოქაში. ვფიქრობ, ის მიგნებები რომელსაც მე შევთავაზებ მსმენელს საინტერესო იქნება და შესაძლოა დამსწრეთა შორის აღმოჩნდნენ ადამიანები რომლებსაც სურვილი ექნებათ მიმდინარე კვლევაში მიიღონ მონაწილეობა.

საკვანძო სიტყვები: ფსიქოლოგიური ომი, ტყუილის კვლევა, ნეიროფიდებექი, ბრაინმასთერი, ნეირო კვლევა მარკეტინგზე, ნეირო კვლევა ფსიქოლოგიაზე, ნეირო კვლევა პოლიტიკაზე, პირველი სამეცნიერო ნაშრომი ნეიროფიდებექზე, პოლიტიკური პიარი, პოლიტიკური მარკეტინგი

Modern Challenges of Psychological Warfare, Brain Impulses First Ultra-Modern Research of Fake and Propaganda Using Neurofeedback Method

Abstract

Modern challenges of psychological warfare and the role of PR and marketing in the process of psychological war were focused on in my conference work. I will also describe my attempt to use such an important method as neurofeedback. I will share aspects of my research. First time in Georgia I will conduct the first ultra-modern research in study and propaganda to study brain impulses. Simultaneously, remote research has been conducted, which I named “research of fake” that has already involved 1760 participants and that becomes the subject for discussion. On the other hand, I

will pay attention to the importance of information-psychological warfare, consider various terms, try to introduce the new term “security marketing” and touch upon it in terms of the national security dimension. The essence of fake will be considered, the definition of fake and its importance, I will provide the information on neurofeedback and its achievements, and talk about fake as the essence of the creative process. Thus, it is common knowledge, that there is a constant risk of using the information as a weapon in the modern technology world, since incomplete communication of the event, providing part of the story or purposefully untrue information equals “abuse” of the information. Therefore, it is of utmost importance whether the content is perceived free from emotions, via facts, with the participation of the parties, who will provide information and what kind of information will be provided. It goes without saying that everybody is biased having a subjective view of any issue. If there is an instruction coupled with this subjective view (for example, in the case of media, political parties, elites, etc) it makes the situation more severe and doubles the risks. Fake is a challenge of our century, it has different manipulation tools and creates a real threat in our epoch. I think the insight I will provide to the audience will be interesting and probably there will be those willing to participate in the current research.

Keywords: Psychological Warfare, Lying Research, Neurofeedback, Brainmaster, Neuro Research on Marketing, Neuro Research on Psychology, Neuro Research on Politics, First Scientific Paper on Neurofeedback, Political PR, political marketing

სამეცნიერო წრეებში საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის სხვადასხვა განსაზღვრება არსებობს. ერთი მხრივ, საინფორმაციო ომი, როგორც მედიური ომი და ფსიქოლოგიური ომი, როგორც პროპაგანდისტული ომი. ერთიანობაში ეს ორი ომი საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ “არსენალს” წარმოადგენს ომის მსვლელობისას, თუმცა მოქმედებენ კოლაბორაციაში. სადაცაა საინფორმაციო ომი, იქვეა პროპაგანდა, ანუ ფსიქოლოგიური ომიც.

აქვე მინდა ყურადღება, ტერმინებზეც გავამახვილო, საინფორმაციო ომი როგორც ტერმინი “ეს არის სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური და სხვა სისტემების ერთმანეთზე ღია და დახურული მიზანმიმართული ინფორმაციული ზემოქმედება მატერიალურ სფეროში გარკვეული მოგების მიღების მიზნით ან კიდევ, სხვა განმარტებით, ინფორმაციული ომი არის შეიარაღებული ძალების და სხვა (სახელმწიფო, კერძო) ორგანიზაციების მიერ გატარებული ღონისძიებები და ოპერაციები, რომლებიც მიმართულია მოწინააღმდეგეზე ინფორმაციული უპირატესობის მოპოვების და მისთვის მატერიალური, იდეოლოგიური და სხვა ზიანის მიყენების მიზნით.”¹ საინფორმაციო ომის ესკადრელია მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებს 1980 წლიდან ჰყავს და ისინი აქტიურად იყენებენ ამ რესურსს საომარი მოქმედებებისას. იყენებენ სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამებსა და მოწყობილობებს, ასევე მოწინააღმდეგის დასაბნევადა ხშირად ელექტრონული ქსელები გამოჰყავთ მწყობრიდან და შემდგომ საჭიროების შემთხვევაში მათი ხელმეორედ ამუშავებაც შესაძლებელია. მსგავსი ქსელი პირველად ერაყის საწინააღმდეგო ომში გამოიყენეს, ლოკაცია სპარსეთის ყურე იყო. იდენტურ ომში ჰოლანდიელებმა ჰაკერმა პროგრამისტებმა მოიპარეს ინფორმაცია, რომელიც ცხადყოფდა აშშ-ს ჯარისკაცების მდებარეობის შესახებ ინფორმაციას. მათ თავდაცვის დეპარტამენტიდან გამოტანილი ნაძარცვი შესთავაზეს ერაყელებს. თუმცა ერაყელებს ამერიკელების მორიგი ხრიკი ეგონათ და არ დათანხმდნენ.²

სადოქტორო ნაშრომისთვის, რომელის კვლევის საგანია ტყუილის და პროპაგანდის ზემოქმედება ადამიანის ქცევაზე პირველი ეტაპისთვის ჩავატარე სოციოლოგიური გამოკითხვა 1750 ადამიანზე, მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ აუცილებელია კვლევის გაგრძელება უკვე აპარატული მეთოდით ამისათვის შევარჩიე ისეთი მეთოდი, რომელიც ჯერ არავის გამოუყენებია კვლევის სამეცნიერო ექსპერიმენტებში ამითაც და სხვა გარემოებითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ეს აპარატი ამიერკავკასიაში მხოლოდ საქართველოშია და მხოლოდ საქართველოში გვყავს გადამზადებული და სერტიფიცირებული ორი სპეციალისტი. აპარატი თავდაპირველად შეიქმნა NASAS-თვის, გამოიყენება კოგნიტური უნარების დასახვეწად, ადიქტებისთვის მავნე ჩვევების გადასაჩვევად,

¹ სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა ოთარ შონია, მარიამ სუპატაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი #2(7) 2009წ

² საინფორმაციო ომი <https://geoarmada.wordpress.com/tag/>

გონებრივი შესაძლებლობების საკვლევად და მაქსიმუმის მისაღწევად. აპარატი უნიკალურია, იმითაც რომ შესაძლებელია სხვა იმ აპარატებზე მეტი რესურსი გააჩნდეს, რომელთა მეშვეობითაც იკვლევენ მარკეტინგული მასალების ხარისხს და აღქმადობას. კვლევას აქვს ამბიცია, შეისწავლოს თავის ტვინის რეაგირება ტყუილის ზემოქმედების მომენტში და გამოავლინოს აქტიური და პასიური სიტყვები და შინაარსები, იკვლიოს როგორ ტრანსფორმირდება ტყუილი სიმართლედ ჩვენს გონებაში და იზრდება მიმღებლობა ინფორმაციაზე, პროპაგანდაზე, ტყუილზე. იკვლიოს თავად ტყუილის აღქმა და ადამიანის მიდგომა ტყუილის მიმართ, შეფასება და დამოკიდებულება. ტყუილის ინტენსივობა სქესის მიხედვით. დამნაშავეს ასპექტი. რომელ სფეროში უფრო ტოლერანტურია ადამიანი და რომელში უფრო ნაკლებად. ტყუილის მიმართ მდგრადობა და თანმიმდევრულობა. მაგალითად: როგორ იქცევით, როდესაც პირველად გესმით ტყუილი? ან შემდგომი კითხვა: როგორ იქცევით როდესაც განმეორებით გესმით ტყუილი? სავარაუდო პასუხები კი ასე გამოიყურება: 1. გადავამოწმებ ნაცნობებთან 2. ვიჯერებ რომ სიმართლეა 3. არ ვაქცევ ყურადღებას 4. უარვყოფ 5. მიჭირს პასუხი. სწორედ ამ ფრაგმენტზე დაყრდნობით იქნება მოდიფიცირებული ის ვიდეო მასალები რომელსაც ცდისპირებს თანხმობის საფუძველზე წარუდგენთ და შევაფასებინებთ. ბიო და ნეიროფიზიოლოგიური მეთოდი, რომლის დროსაც სენსორების მეშვეობით იზომება პაციენტის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები. ამის შემდეგ კი პაციენტს უბრუნდება ინფორმაცია ოპტიკური, აკუსტიკური და ტაქტილური სიგნალების სახით. აღნიშნული მეთოდი საშუალებას გვაძლევს მოვიპოვოთ ცნობიერი და არაცნობიერი კონტროლი ჩვენს ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე. ნეიროფიზიოლოგიური მეთოდი არის დასწავლის პროცესი ოპერანტიული განპირობებულობის მეშვეობით, რომელიც პირდაპირ ავტონომიური ნერვული სისტემის ფუნქციონირებაზე მოქმედებს. ბიოფიზიოლოგიური მეთოდი არის ძირითადად ინფორმაციას ვიდეო პერიფერიული ნერვული სისტემიდან, ხოლო, ნეიროფიზიოლოგიური მეთოდი არის მიჩნეული და იგი დღემდე ვითარდება. მისი განვითარების გზა ედვარდ თორდაიკის ეფექტის კანონით იწყება და ედვარდ სკინერის ბიპვეორიზმისგან იღებს სათავეს. 1929 წელს ჰანს ბერგერმა (Hans Berger) პირველად ჩაიწერა ადამიანის ტვინის ელექტროენცეფალოგრამიული აქტივობა (EEG). ასევე, მან იდენტიფიცაცია მოახდინა ალფა (Alpha) და ბეტა (Beta) ტალღების. 1958 წელს კი ჯოზეპ კამიამ (Josep Kamiya) ალფა ტალღის ტრენინგი შექმნა. 1967 წელს ბარი შტერმანმა (Barry Sterman) ჩაატარა EEG კვლევა კატებზე ეპილეფსიური ტალღების შესახებ. 1975 წელს ჯოელ ლუბარმა (Joel Lubar) ჩაატარა კვლევა EEG ბიოფიზიოლოგიის ეპილეფსიისა და ყურადღების დეფიციტისა პიპერაქტიოლოგიის სინდრომის მქონე პაციენტებში. 2006 წელს კი თომას კოლურამ (Tomas Collura) დაბეჭდა ზი-სკორი (Z-score) ტრენინგის მულტივარიაციის შესახებ. მინდა აქვე აღვნიშნო, რომ თითოეული კვლევის ნიმუში, თავის ტვინის რუკა იგზავნება ამერიკაში ექსპერტთან და ბრუნდება დამუშავებული მასალა, როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის, ასევე პერიფერიული ნერვული სისტემის. კვლევის ფარგლებში ჩვენ გვქმნება პირვანდელი (კვლევამდელი სურათი) კვლევის შემდგომი და პერიფერიული ნერვული სისტემის რუკები ერთეულ შემთხვევაზე. შემდეგ კი დამუშავებული მასალების ანალიზის შედეგებს აღვწერ სამეცნიერო ნაშრომში. „საინფორმაციო ომი“ განიხილება სამხედრო უსაფრთხოების მთავარ ფაქტორად. დღევანდელი მდგომარეობით, სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციაში („ნატო“) ამოქმედებულია სათანადო გეგმა, რომლის მეშვეობითაც დაგეგმილია ერთობლივი საქმიანობა პარტნიორ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან, რაც, რასაკვირველია, საქართველოს უსაფრთხო გარემოს გაუმჯობესებასთანაც ასოცირდება.”³ ვკითხულობთ, ჰიბრიდული ომი და 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები ავტორები: გუგული მალრადი და ვახტანგ მაისაია ნაშრომში.

ხოლო, რაც შეეხება ტერმინი ფსიქოლოგიური ომი, ეს არის: “მოსახლეობაზე სხვადასხვა ფორმით, საშუალებით, მეთოდით ზემოქმედება მისი ფსიქოლოგიური მახასიათებლების (შეხედულებები, აზრები, ფასეული ორიენტაციები, განწყობა, მოტივები, ქცევის სტერეოტიპები), ჯგუფური ნორმების,

³ ჰიბრიდული ომი და 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები ავტორები: გუგული მალრადი, ვახტანგ მაისაია თბილისი 2020, გვ.6

მასობრივი განწყობის, საზოგადოებრივი ცნობიერების სასურველი მიმართულებით შეცვლის მიზნით.
“4

“1998 წლის ოქტომბერში აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტმა საინფორმაციო ოპერაციების ერთობლივი დოქტრინა ამოქმედდა (Joint Pub 3-13 "Information Operations", DOD US, 1998 წლის დეკემბერი). დოქტრინაში „ინფორმაციული ოპერაციის“ განმარტება წარმოდგენილია შემდეგნაირად: „ინფორმაციული ოპერაცია არის ქმედება, რომელიც განხორციელდება მტრის საინფორმაციო სისტემების მიერ ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, გადაცემის და შენახვის შეფერხების მიზნით, საკუთარი ინფორმაციისა და საინფორმაციო სისტემების დაცვის დროს. 1999 წელს მიღებული ნატოს გაიდლაინები განსაზღვრავს საინფორმაციო ოპერაციას, როგორც „მოქმედებებს, რომლებიც მიიღება გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის მიზნით საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მხარდასაჭერად, მტრის ინფორმაციაზე, საინფორმაციო პროცესებზე და მართვისა და კონტროლის სისტემებზე ზემოქმედებით, საკუთარი ინფორმაციისა და საინფორმაციო სისტემების დაცვით.“⁵

საინფორმაციო ოპერაციების ძირითადი ტიპები, თავდასხმის ობიექტიდან გამომდინარე (ადამიანი, ან ადამიანთა ჯგუფი, ან მანქანა სისტემა), საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციები, კიბერშეტევები, რომლებიც საინფორმაციო ომის მთლიანობას უდევს საფუძვლად.

“ფსიქოლოგიური ოპერაცია (ინფორმაცია-ფსიქოლოგიური ოპერაცია, ინგლისური - Psychological Operations, PSYOP) - ერთგვარი საინფორმაციო ოპერაციები. ფსიქოლოგიური ოპერაციები (PsO) არის ფსიქოლოგიური ომის შინაარსის მთავარი ელემენტი.“⁶

მისი გამოყენება შეიძლება იყოს კოორდინირებული, ურთიერთდაკავშირებული, ამოცანების, დროისა, საგნების, პროცედურების, ტიპების, ფორმების, მეთოდების და ფსიქოლოგიური გავლენის ტექნიკის მიხედვით. ფსიქოლოგიური-საინფორმაციო ომი საბოლოო ჯამში მიემართება ადამიანთა ჯგუფის, მოწინააღმდეგის ან სხვა ქვეყნის ცვლილებას და მასზე გავლენის მოხდენას. მათი სამხედრო მხარე კოორდინირებულია შესაბამისი სამთავრობო უწყებების საქმიანობასთან. უფრო ვიწრო სპექტრით რომ შევაფასოთ, მას იყენებენ მტრის დემორალიზებისთვის და დეზორიენტირებისთვისაც.⁷

სიტყვა პროპაგანდის დეფინიცია პროპაგანდა, ინფორმაციის გავრცელება - ფაქტები, არგუმენტები, ჭორები, ნახევრად სიმართლე ან ტყუილი - საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მიზნით. პროპაგანდა არის მეტ-ნაკლებად სისტემატური ძალისხმევა სხვა ადამიანების რწმენით, დამოკიდებულებით ან მოქმედებებით მანიპულირებისთვის სიმბოლოების საშუალებით (სიტყვები, ჟესტები, ბანერები, ძეგლები, მუსიკა, ტანსაცმელი, ნიშნები, ვარცხნილობები, ნახატები მონეტებზე და საფოსტო მარკებზე და ა.შ.). მიზანმიმართულობა და მანიპულირებაზე შედარებით დიდი აქცენტი განასხვავებს პროპაგანდას შემთხვევითი საუბრისგან, ან იდეების თავისუფალი და მარტივი გაცვლისგან. პროპაგანდისტებს აქვთ განსაზღვრული მიზანი, ან მიზნების ნაკრები. ამ მიზნის მისაღწევად, ისინი შეგნებულად ირჩევენ ფაქტებს, არგუმენტებს და სიმბოლოების ჩვენებებს და წარმოაჩენენ მათ ისე, როგორც ფიქრობენ, რომ ექნება ყველაზე დიდი ეფექტი. ეფექტის გასაზრდელად, მათ შეიძლება გამოტოვონ, ან დაამახინჯონ შესაბამისი ფაქტები ან უბრალოდ იცრუონ და შეიძლება ეცადონ, გადაიტანონ რეაქტორების ყურადღება (ადამიანები, რომლებზეც ისინი ცდილობენ გადაიტანონ) ყველაფრისგან, გარდა საკუთარი პროპაგანდისა.⁸ ასე განმარტავს პროპაგანდას ენციკლოპედია ბრიტანიკა.

⁴ სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა ოთარ შონია, მარიამ სუპატაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი #2(7) 2009წ

⁵ В.Вепринцев, А.Манойло, А.Петренко, Д.Фролов. Операции информационно-психологической войны https://www.psyoffice.ru/9316-17-477.html?fbclid=IwAR0u2Qbgl46-37WvTPKhppBs54BVutcd-rfaxSD_A_WF1XlgYZ7XXEeFgWig

⁶ В.Вепринцев, А.Манойло, А.Петренко, Д.Фролов. Операции информационно-психологической войны https://www.psyoffice.ru/9316-17-477.html?fbclid=IwAR0u2Qbgl46-37WvTPKhppBs54BVutcd-rfaxSD_A_WF1XlgYZ7XXEeFgWig

⁷ В.Вепринцев, А.Манойло, А.Петренко, Д.Фролов. Операции информационно-психологической войны https://www.psyoffice.ru/9316-17-477.html?fbclid=IwAR0u2Qbgl46-37WvTPKhppBs54BVutcd-rfaxSD_A_WF1XlgYZ7XXEeFgWig

⁸ <https://www.britannica.com/topic/propaganda>

მინდა თავად ტყუილს შევხვო, როგორც პოლიტიკის უდიდეს საფრთხეს და გამოწვევას და მის მკვლევარს პოლ ეკმანს, რომელიც ფსიქიატრიულ კლინიკებშიც კი იკვლევდა ამ ფენომენს. პოლ ეკმანი მის ნაშრომში "ტყუილის ფსიქოლოგია" გვიხიარებს მის შთაბეჭდილებებს, მას მიაჩნდა რომ ტყუილის ფენომენზე კვლევები მეცნიერებს, მხოლოდ სულიერად ავადმყოფებთან სამკურნალო პროცესში დასჭირდებოდათ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი კვლევის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენა ჟესტები და მიმიკა, როგორც ტყუილის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი.

პოლ ეკმანმა ერთ-ერთ სესიაზე დასვა ასეთი შეკითხვა: თუ ჟესტი ყველა ყველა ქვეყნისთვის ინდივიდუალური და სუბკულტურულია, რას წარმოადგენს მიმიკა, და შესაძლებელია თუ არა მიმიკით ადამიანის ტყუილში გამოჭერა? ექიმს არავერბალური კვლევა ხშირად სჭირდება, მათ შორის როდესაც უნდა გამოარკვიოს პაციენტი უნდა გაწეროს თუ არა კლინიკიდან. განსაკუთრებით, თუ პაციენტი იჩემებს რომ კარგად არის და აღარ უნდა კლინიკაში ყოფნა. მაგალითად როცა საქმე გვაქვს თვითმკვლელთან რომელიც კლინიკაში მოხვდა თავის მოწამვლის, ან ვენების გადაჭრის გამო და არსებობს ამ პრეცედენტის განმეორების რეალური საფრთხე. უნდა შეფასდეს მისი ფსიქიკური ადეკვატურობა და სხეულებრივი ფლობა, უნარები, კონცენტრაცია და ა.შ. ტყუილი სავსებით მოსალოდნელია ამიტომ ექიმს სჭირდება ხელსაწყო, რომლითაც ზუსტად გაიგებს ქცევა რეალობა თუ ტყუილი. ავტორი იხსენებს ნაშრომში პაციენტ მერის ისტორიას, რომელმაც ექიმის მოტყუება შეძლო და სუიციდური ეპიზოდი გაიმეორა. მეცნიერი შიფრავდა ვიდეო ჩანაწერებს რომელზეც სხვა ექიმებთან ერთად ცდილობდა ტყუილის ელემენტების შეცნობას. მან დაინახა და აღწერა უამრავი მიკრო ჟესტი, რომლითაც შეიძლებოდა ტყუილის დადგენა: მხრების აწევა, თავის გადაქნევა, ხელის მცირედით მოძრაობა, დაუსრულებელი ჟესტები, სახის გაშეშება, ხმის ტემბრის შეცვლა და სხვა. მალევე დაინტერესდნენ კვლევებით ძაღვთან სტრუქტურები და ტყუილის კვლევა დანაშაულის ასპექტში შესთავაზეს, ასევე სთხოვეს ექიმს დაზვერვის წარმომადგენლებისთვის ტყუილის ამოცნობა ესწავლებინა. პოლ ეკმანი ნაშრომში ადარებს პაციენტს მერის და ჰიტლერს, რომელმაც ჩემბერლენი მოლაპარაკებებისას მოატყუა. ის ამბობს, რომ ჰიტლერი ბევრად უფრო გაწვრთნილი მსახიობია, თანაც ის ატყუებს მათ ვისაც უნდა რომ მოტყუვდნენ. ხშირად მსხვერპლი ვერ აცნობიერებს მატყუარას გათვლებს, რადგან მას არ უნდა ნათელი მოჰფინოს ტყუილს ასე ერთგვარად თავს იცავს კიდეც. მაგალითად უარყოფა იმისა, რომ მეუღლეს ჰყავს საყვარელი, რითიც მამაკაცი თავს იცავს შეურაცხყოფისგან. ყველამ რომ გაიგოს მისი ღალატის შესახებ, განქორწინებაც გარდაუვალი იქნება, ამიტომ ეს ქმედებები ერთგვარი ტყუილის ჯაჭვია. სანამ ინფორმაცია არაა გაცხადებული, ის არ მომხდარა და პიროვნება თავს დაცულად გრძნობს. აქვე აღნიშნავს, რომ ყველა ადამიანი ცხადია ასე მარტივად არ ტყუვდება და ზოგის მაგალითად ბანკირის ან გამომძიებლის პროფესია ითვალისწინებს ტყუილის გაშიშვლებას. პოლ ეკმანი ვრცლად ხსნის დამოკიდებულებების მნიშვნელობას ტყუილის პროცესში, პაციენტ მერის, რომელსაც გულმხურვალედ სჯერა ექიმების კეთილგანწყობისა და მათი მხარდაჭერის და ჰიტლერის რომელსაც მორალური საჭე გაექცა და დანაშაულის შეგრძნებისგან სრულიად თავისუფალია.⁹

„გაცილებით მარტივია მოტყუების ნიშნების შემჩნევა ქცევაში სუიციდურ პაციენტების, ან მოლაღატე მეუღლეების შემთხვევებში, ვიდრე დიპლომატების ან ორმაგი აგენტების ქცევაში. მაგრამ ყველა დიპლომატი, კრიმინალი თუ დაზვერვის აგენტი არ არის შესანიშნავი მატყუარა. ისინიც ზოგჯერ შეცდომებს უშვებენ. ჩემი ნაშრომის არსი მიეკუთვნება ყველას ვინც დაინტერესებულია გააშიშვლოს ტყუილი, განსაკუთრებით სასამართლო ექსპერტიზის და პოლიტიკის სფეროში. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ტყუილის გამომავალურებაში დავხმარო, იმ შემთხვევაშიც კი როცა არ არის აშკარა ქცევითი გამოხატულებები. არამედ იმაში რომ გაფრთხილდნენ და გაუწიონ ანგარიში თავის სუსტ და ძლიერ მხარეებს“.¹⁰ - გვიხიარებს პოლ ეკმანი თავის ნაშრომში.

ავტორის თქმით, ტყუილის კვლევა არა მხოლოდ მათ ეკუთვნის ვისაც სიცოცხლე სასწორზე აქვს დადებული, არამედ ადამიანებს ყოფითი პრობლემებით, რომლებსაც ცხოვრებისეული ბარიერები ექმნებათ ბავშვობიდან მოტანილი პატერნებით და სცენარებით. ტყუილის ამოცნობა სჭირდებათ მესაზღვრეებს, პოლიციელებს, დიპლომატებს, პოლიტიკოსებს და რიგით მოქალაქეებით, თუმცა

⁹ Психология лжи, Обмани меня если сможешь, автор Пол Экман Питер 2009.2001,1992,1995, 1-10ст

¹⁰ Психология лжи, Обмани меня если сможешь, автор Пол Экман Питер 2009.2001,1992,1995, 11ст

განსაკუთრებით დაზვერვის მუშაკებს და სპეციალური დანიშნულების პირებს რომლებიც ქვეყნის უსაფრთხოებაზე არიან პასუხისმგებელნი.

კვლევაზე დაყრდნობით, კი შემიძლია შემოგთავაზოთ ტყუილის, როგორც შემოქმედებითი პროცესის ოთხი სახე: განზრახული, უნებლიე, მექანიკური და თავდაცვითი. ჩემი მოსაზრებით, ტყუილის შექმნაში მონაწილეობას იღებს ტვინი როგორც გადაწყვეტილების მიღების ორგანო და კრეატიული მორგების კონცეპტი ადამიანის შემოქმედებითი სცენარები, პატერნები და მიკრო სიუჟეტები. ასევე, ტყუილი შეიძლება იყოს კომპულსიური და მექანიკურად მეორედებოდეს. მინდა დეტალურად ავხსნა თითოეული მათგანი.

განზრახული ტყუილი არის ტყუილი, რომელსაც ადამიანი განზრახ წინმსწრებად მოიფიქრებს და შემდეგ მოჰყავს მოქმედებაში.

უნებლიე ტყუილი არის ტყუილი რომელსაც წამოცდენაც შეიძლება ვუწოდოთ.

მექანიკური ტყუილი არის ტყუილი რომელსაც ადამიანი ყოველ ჯერზე იმეორებს შესაბამის შინაარსთან.

თავდაცვითი ტყუილი, კი გულისხმობს განმუხტვით ქმედებას, რომლის შემდეგაც მოლოდინი აქვს ავტორს რომ სიტუაციას დაარეგულირებს და მშვიდობას დაამყარებს.

ასევე, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ტყუილის შემთხვევაში შესაძლებელი ყველა ეს კომპონენტი შეიძლება დაჯგუფდეს და წარმოგვიდგეს ერთად ან წყვილად და სწორედ ყველა ქეისი ამ ჭრილში უნდა განვიხილოთ, როდესაც ერთეულ შემთხვევას ვეხებით, ვეცნობით და ვარჩევთ.

რვა წლის შემდეგ რაც რიჩარდ ნიქსონმა პრეზიდენტის სავარძელი დატოვა მან უარყო რომ ზოგჯერ გულწრფელად იტყუებოდა, მაგრამ აღიარებდა რომ ზოგჯერ როგორც სხვა პოლიტიკოსები რაღაცებს მაღავედა. ეს აუცილებელია, იმისათვის რომ მოიპოვო და შეინარჩუნო სავარძელი ამბობდა ის. „ თქვენ არ შეგიძლიათ თქვით ყველაფერი, რასაც ფიქრობთ ამ ან იმ ადამიანზე, რადგან ის შეიძლება ერთხელ დაგჭირდეთ. თქვენ არ შეგიძლიათ გამოხატოთ თქვენი შეხედულება მსოფლიო ლიდერებზე, რადგან შეიძლება თქვენ იქონიოთ მათთან საქმე მომავალში.“¹¹

ტყუილს შეიძლება გააჩნდეს გამართლება, ან არ გააჩნდეს არავითარი გამამართლებელი საბუთი, ისევე როგორც მატყუარამ შეიძლება არ მოიტყუოს. ტყუილი არის ქმედება, თუ ტყუილი არის პიროვნების მახასიათებელი და პიროვნება მატყუარად უნდა შევრაცხოთ? თუ ეს ერთგვარი დაავადებაა და მას უნდა მიენიჭოს შესაბამისი კოდი?

ავტორი ტყუილის ორ ფორმას გამოყოფს ნაგულისხმევს და დამახინჯებულს. პირველ შემთხვევაში ის ფარავს ინფორმაციას და არ ახმოვანებს, მისი გამართლება ყოველთვის უფრო მარტივია. მეორე შემთხვევაში ამახინჯებს და ავრცელებს.

ტყუილის ნიღბების პირველ რიგშია ღიმილი, სიცილი და წარბის უადგილო თამაში.

არსებობს ტყუილის თქმის კიდევ ერთი ფორმა, როდესაც ისე ამბობ სიმართლეს რომ მისი არ უნდა დაიჯერონ. ამ ქმედების განსაზღვრება შეიძლება ასე, რომ აწვდი ინფორმაციას ისე რომ ადრესატმა უგულებლყოს, ან მიიჩნიოს ტყუილად. ამ ქმედებასთან ახლოსაა ნახევრადსიმართლე, რადგან ბოლომდე არ თქმული სიმართლე არ ნიშნავს რომ ადამიანმა გააცხადა რეალური ინფორმაცია, რადგან ის რაც არ თქვა დაფარა და რაც დაფარა შესაძლოა იყო გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე ის რაც თქვა. ტყუილის ფორმაა მისი არ თქმაც, არ გაცხადებაც, რადგან დაფარვაც თავის მხრივ დანაშაულის ტოლფასი ქმედებაა და ინფორმაცია ადრესატამდე საერთოდ არ მიდის. ტყუილში ადამიანის დაჭერა შესაძლოა ავტორმა ინფორმაციის გაჟონვად აღიქვას აღმოჩენმა კი ერთგვარი აჰა განცდა განიცადოს.

„ემოციების დამალვა ადვილი არ არის, მაგრამ არანაკლებ რთულია მათი გაყალბება, თუნდაც, მაშინ როცა ეს კეთდება, არ არის აუცილებელი ნამდვილის დაფარვა ცრუ ემოციით. ამისთვის საჭიროა მეტი, ვიდრე უბრალოდ თქვა: გაბრაზებული ვარ ან მეშინია. თუ მატყუარას უნდა, რომ დაიჯერონ, ის ასევე

¹¹ Психология лжи, Обмани меня если сможеш, автор Пол Экман Питер 2009.2001,1992,1995, 13сг

უნდა გამოიყურებოდეს ბუნებრივად და მისი ხმა თავისთავად რეალურად ჟღერს როგორც სურს ვთქვათ შეშინებული ან გაბრაზებული. წარმატებული გაყალბებისთვის აუცილებელია ემოციების გამოხატვა, ჟესტები ან ხმის ინტონაციების ბუნებრივობა არც ისე ადვილი გასაყალბებელია. უფრო მეტიც, ძალიან ცოტა ადამიანს შეუძლია გააკონტროლოს სახის გამომეტყველება: მწუხარების, შიშის, ბრაზის გამოხატვას მიმიკის კარგი ფლობა სჭირდება.¹² ზომიერმა მარცხის შიშმა შეიძლება გააძლიეროს კიდევ მატყუარა და მისცეს სტიმული, მაგრამ ძლიერმა შიშმა შესაძლოა გაყიდოს და გააცხადოს მისი ტყუილი.

ფსიქოლოგიური ომის კიდევ ერთი მსხვილი კომპონენტია “სოციალური ბულინგი” სოციალური გავლენების, სოციალური დისკრედიტაციის ფონზე პესონის ან ქვეყნის დისკრედიტაცია, მასზე მასობრივი ზემოქმედების საშუალებაა. სოციალურმა ქსელებმა 21-ე საუკუნეში ისეთი გავლენა მოიპოვა, რომელის მართვაც ყველაზე რთული პროცესია, რადგან ერთეული ადამიანის ცნობიერებაზე მოქმედებს, მის ინტროექტებსა და ფანტაზიაზე, შიშებსა და ფობიებზე, წარმოსახვასა და გამოცდილებაზე. სოციალური მედიის მსხვერპლი ხშირად ხდება, როგორც უბრალო მოქალაქე ასევე ცნობადი სახე. არის შემთხვევები დისკრედიტირებული პირების სოციალური ქსელების მეშვეობის ტრანსპორტირების, მათზე წამოდგენის შეცვლის და შთაბეჭდილების შექმნის, გმირად შერაცხვის, ან პირიქით უგულვებლყოფის და განადგურების.

რატომ შეიძინა სოციალურმა მედიამ და სოციალურმა ქსელებმა ასეთი გავლენა? ის ვრცელდება “ცხელი ხახით” განწყობით, ან რეკლამით, ბოლო დროს რეკლამით ეგრეთწოდებული “ბუსთინგით” გავრცელებული ინფორმაცია აღარ ტოვებს შთაბეჭდილებას და ადამიანები უფრო ენდობიან, მათი წრის ადამიანების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. რა იზიდავს ხალხს? რთული სათქმელია, რაგან ეს კონკრეტული მომენტის და კონკრეტული სიტუაციის განწყობის გადაწყვეტილებაა. სხვა წუთსა და მომენტში შესაძლოა იგივე ან მსგავსი შედეგი სულაც არ დადგეს.

სადოქტორო ნაშრომისთვის ჩავატარე სოციალური გამოკითხვა. კვლევა მიემდგვნა საქართველოში ტყუილის არსებით კვლევას ნებისმიერი საკომუნიკაციო არხით. კვლევას აქვს ამბიცია, შეისწავლოს თავის ტვინის რეაგირება ტყუილის ზემოქმედების მომენტში და მას შემდეგ, გამოავლინოს აქტიური და პასიური სიტყვები და შინაარსები, იკვლიოს როგორ ტრანსფორმირდება ტყუილი სიმართლედ ჩვენს გონებაში და იზრდება მიმღებლობა ინფორმაციაზე, პროპაგანდაზე, ტყუილზე. იკვლიოს თავად ტყუილის აღქმა და ადამიანის მიდგომა ტყუილის მიმართ, შეფასება და დამოკიდებულება. ტყუილის ინტენსივობა სქესის მიხედვით. ტყუილი და დამნაშავის ასპექტი. რომელ სფეროში უფრო ტოლერანტულია ადამიანი და რომელში უფრო ნაკლებად. ტყუილის მიმართ მდგრადობა და თანმიმდევრულობა.

კითხვარის მეორე მიმართება ეძღვნება პოლიტიკოსის როგორც სუბიექტის ასპექტს. პოლიტიკოსი, როგორც საჯარო გამომსვლელი, პოლიტიკოსი როგორც ბრენდი, პოლიტიკოსი როგორც გავლენის მქონე ფიგურა.

კვლევის მესამე ნაწილი ეძღვნება სიტყვა ტყუილის ჩარჩოს კვლევას. იმას, თუ რას მიაწერს საზოგადოება ტყუილს: ადამიანის თვისებას, დიპლომატიას, პიარს, თუ პოლიტიკას. ასევე, ტყუილის, ან პროპაგანდის ინტენსივობის ასპექტებს და მის საპასუხო ქმედებებს. მაგალითად: როგორ იქცევით, როდესაც პირველად გესმით ტყუილი? ან შემდგომი კითხვა: როგორ იქცევით როდესაც განმეორებით გესმით ტყუილი? სავარაუდო პასუხები კი ასე გამოიყურება: 1. გადავამოწმებ ნაცნობებთან 2. ვიჯერებ რომ სიმართლეა 3. არ ვაქცევ ყურადღებას 4. უარვყოფ 5. მიჭირს პასუხი

ბოლო ორ ღია კითხვაში კი ცდისპირს ვთხოვთ, გვიჩვენონ და გაგვიხიაროს.

1. გთხოვთ, გაგვიხიაროთ ბოლო დროს გაგონილი ტყუილი რომელიც დაიჯერეთ და ბოლო დროს გაგონილი ტყუილი რომელიც არ დაიჯერეთ, ან დაიჯერეთ განმეორებით გაგონების შემდეგ
2. რას ურჩევდით ქართველ პოლიტიკოსებს საჯარო გამოსვლისას რა ტერმინები გამოიყენონ, როგორ ჩაიცვან, როგორი გამომეტყველება მიიღონ და თქვენი აზრით, როგორი კომუნიკაცია უნდა ჰქონდეთ საზოგადოებასთან ა.შ

რაც საშუალებას მოგვცემს ნათელი გავხადოთ ბოლო აქტუალური ტყუილები, რომელიც მონაწილეებმა არ დაიჯერეს, ხოლო მეორე მხრივ ის რჩევები რასაც პოლიტიკოსებს ურჩევდნენ.

¹² Психология лжи, Обмани меня если сможешь, автор Пол Экман Питер 2009.2001,1992,1995, 26ст

ასევე, ნიშანდობლივია რომ კვლევა ისეა შედგენილი რომ მიანიშნებს პოლიტიკურ ასპექტებზე რადგანაც ჩვენთვის იმ ტყუილებზეა აქცენტირება მნიშვნელოვანი, რომელიც პოლიტიკურ ნიუანსებს ცხადყოფს იმ მარტივი მიზეზის გამო რომ სადოქტორო ნაშრომი პოლიტიკურ საკითხს იკვლევს.

და წარმოდგენები ჩავატარე კონფიდენციალური სოციოლოგიური კვლევა ონლაინ მეთოდოლოგიით. გამოვიკითხე 1750 ადამიანი. გამოვყავი ასაკობრივი, რეგიონალური, განათლების, ქალაქების ჭრილები. კითხვარში ასევე, გამოსახულია პროცენტულად დასაქმებულთა და დაუსაქმებელთა ოდენობა, დასაქმების სფერო და დაკავებული პოზიცია. სოციოლოგიური კვლევის კითხვარი შედგება 36 კითხვისგან, რომლიდანაც 34 ღიაა და მხოლოდ 2-ია დახურული.

კვლევა მიმდინარე პროცესშია ამ ეტაპზე გამოკითხულია 1750 პირი და ვიმედოვნებ წლის ბოლომდე რაოდენობის საგრძნობ ზრდას.

ბიო და ნეიროფიდექტი არის თერაპიის მეთოდი, რომლის დროსაც სენსორების მეშვეობით იზომება პაციენტის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები. ამის შემდეგ კი პაციენტს უბრუნდება ინფორმაცია ოპტიკური, აკუსტიკური და ტაქტილური სიგნალების სახით. აღნიშნული მეთოდი საშუალებას გვაძლევს მოვიპოვოთ ცნობიერი და არაცნობიერი კონტროლი ჩვენს ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე. ნეიროფიდექტი არის დასწავლის პროცესი ოპერანტული განპირობებულობის მეშვეობით, რომელიც პირდაპირ ავტონომიური ნერვული სისტემის ფუნქციონირებაზე მოქმედებს. ბიოფიდექტის დროს ძირითადად ინფორმაციას ვიღებთ პერიფერიული ნერვული სისტემიდან, ხოლო, ნეიროფიდექტი არის თავის ტვინის აქტივობის ბიოფიდექტი.

ამ ეტაპზე, ვმუშაობ კვლევაზე და შედეგებს მოგვიანებით გაგიზიარებთ. კვლევა ხორციელდება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოპოვებული გრანტით და გაიტესტება 100 ადამიანის ასაკის, სოციალური მდგომარეობის, სქესის და განათლების ჭრილში.

დასკვნა

ბუნებრივია სასურველია, არსებობდეს კვლევის გაგრძელების, ან რაოდენობის გაზრდის სურვილი, მაგრამ პირველი ეტაპისთვის ეს არის სრულიად უნიკალური კვლევა, რადგან მსგავსი კვლევა ჯერ მსოფლოში არ ჩატარებულა არც მარკეტინგის, არც პიარის, არც პოლიტოლოგიის და არც ფსიქოლოგიის მიმართულებით. ვფიქრობ, ფეიქ ნიუსის და პროპაგანდის, ალქმის კონტექსტში კვლევა იქნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კვლევა, რომელმაც შესაძლოა დადოს უნიკალური შედეგი, თუმცა იმასაც ვაცნობიერებ, რომ ამაზე მსჯელობა ჯერ გადაჭარბებულია სანამ არ დამდგარა რეალური შედეგები. მე ვიმედოვნებ, რომ ონლაინ კვლევამ რომელიც საკმაოდ მასშტაბურია აჩვენა შედეგი, რომელზე დაყრდნობიდან შეიძლება ვივარაუდოთ რომ მსგავსი ტიპის კომპექსური კვლევა მოგვცემს ახლებურ ხედვას რამდენიმე ჭრილში და ტყუილს დაგვანახებს ნეირონულ დონეზე, ჩვენ შეგვიძლია რეაქციების, ტვინის იმპულსების დონეზე დავინახოთ როგორ რეაგირებს ადამიანის სხვადასხვა სოციალური, განათლების და სხვა ფენის ადამიანი ტყუილზე როგორც სოციალურ მოვლენაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რუსეთის "ჰიბრიდული ომი" საქართველოს წინააღმდეგ(1918-1921) ავტორი ბესიკ ალადაშვილი
2. ჰიბრიდული ომი და 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემები ავტორები: გუგული მაღრაძე, ვახტანგ მაისაია თბილისი 2020
3. სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა ოთარ შონია, მარიამ სუპატაშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი #2(7) 2009წ
4. Психология лжи, Обмани меня если сможеш, автор Пол Экман Питер 2009.2001,1992,1995
5. В.Вепринцев, А.Маноило, А.Петренко, Д.Фролов. Операции информационно-психологической войны https://www.psyoffice.ru/9316-17-477.html?fbclid=IwAR0u2Qbgl46-37WvTPKhppBs54BVutd-rlaxSD_A_WF1XlgYZ7XXEeFgWig
6. <https://www.ombudsman.ge/geo/saqartvelos-sakhalkho-damtsvelebi/ucha-nanuashvili>
7. <https://www.britannica.com/topic/propaganda>

საინფორმაციო ომი <https://geoarmada.wordpress.com/tag/>

ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოება საქართველოში (ევროპული გამოცდილების გაზიარება)

Maia Oniani

Head of the Secretariat of the Audit Commission of the City Council of Tbilisi Municipality, Georgia

Irakli Shamatava

Guest Lecturer of Caucasus University Law School, Georgia

აბსტრაქტი

აღსრულების ეროვნული ბიუროს (შემდგომში – NBE) გამარტივებული წარმოება სიახლეს წარმოადგენს ეროვნულ კანონმდებლობაში. აღნიშნული სერვისი ფრანგულ-შვედური (მოდელის) გამოცდილების გათვალისწინებით დაინერგა. გამარტივებული წარმოება აპლიკანტის უფლებების დაცვის სპეციალური ფორმაა, რომლის დროსაც განმცხადებლის მიერ წარდგენილი წერილობითი მტკიცებულება უტყუარი და მაღალი ხარისხის მატარებელია. ეს ინსტიტუტი მხარეებს საშუალებას აძლევს სასამართლოს გვერდის ავლით, მცირე დანახარჯებით, სწრაფად და ეფექტურად მოაგვარონ დავა. ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინებასთან დაკავშირებული დავები არ უნდა იყოს დამოკიდებული საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე, რამდენადაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – სწმ) 912 მუხლის მეორე პუნქტით „გამარტივებული წარმოება არ დაიშვება, თუ მოთხოვნის წამოყენება დამოკიდებულია ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო ვალდებულებაზე“. ეს ერთადერთი ამკრძალავი დანაწესია, რომელიც მხარეს ართმევს უფლებას გამარტივებული წარმოების წესით მოახდინოს უფლებების დაცვა-რეალიზაცია და მსგავს შემთხვევაში, მხარე იძულებულია დავის განხილვის ალტერნატიულ გზას – სასამართლოს მიმართოს. საგამონაკლისო დანაწესის გარდა, სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, საქმისწარმოების პროცედურა იმდენად მარტივია, რომ აპლიკანტი არ საჭიროებს საადვოკატო სერვისის, განსხვავებით პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო წესით საქმის წარმოებისა, რომელიც მართალია ადვოკატის ჩართულობას სავალდებულოდ არ ხდის, თუმცა იმდენად გართულებული პროცედურაა, რომ სპეციალური იურიდიული განათლებისა და კომპეტენციის (საადვოკატო ლიცენზიის) გარეშე, მხარე მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად აწარმოოს პროცესი; უფრო მეტიც, სარჩელის ფორმალურად გამართვისა და წარმოებაში მიღების სტანდარტები იმდენად მაღალია, რომ დავის საწყის ეტაპზე, კვალიფიკაციის არმქონე იურისტისთვის შეუძლებელია ფორმალური გამართვა (სარჩელის წარმოებაში მიღება). მართლმსაჯულების ეფექტურად აღსრულების საკითხში კი, საადვოკატო სერვისიც ერთგვარ ფინანსურ ბარიერად გვევლინება. NBE-ს სტატისტიკის თანახმად, საქმეთა უმრავლესობა სრულდება ან გადახდის ბრძანების გამოცემით, ან მორიგების პირობების დამტკიცებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ სამსახურის ეფექტურობას. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გამარტივებული წარმოების სააღსრულებო ბიუროს ქეის-მენეჯერებს ერთგვარად აკისრიათ მედიატორის ფუნქციაც, რაც გულისხმობს მხარეთა მორიგების პროცესში მონაწილეობას. თუმცა, როგორც ყველა ინსტიტუტს, მასაც გააჩნია გარკვეული ხარვეზები, რომლის ანალიზს წარმოადგენს სტატიაში. გამარტივებული წარმოების საერთაშორისო პრაქტიკის იმპლემენტაცია და ქართულ კანონმდებლობაში გადმოტანის ექსპერიმენტი საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. „თუმცა, აქამდე არსებული კლასიკური გაგებით, აღნიშნულ მომსახურებას მრავალი გამამდიდრებელი კომპონენტი დაემატა“. გამოყენებული ლიტერატურის აღწერა: სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულია ქართველი და უცხოელი კომპარატივისტების ნაშრომები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ გამარტივებული წარმოების ინსტიტუტთან მიმართებით, ქართულ ლიტერატურაში არცთუ ბევრი კვლევა განხორციელებულა, წინამდებარე სტატია ამ მხრივაც ქართული იურისპრუდენციისათვის მნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხს შეისწავლის. კვლევის მეთოდები: სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ისტორიზმის, შედარებით-სამართლებრივი ანალიზის,

აბსტრაქტის, სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდები. კვლევის შედეგები: სტატიას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა, რამდენადაც აღნიშნული ინსტიტუტი სააღსრულებო წარმოებაში ინტენსიურად გამოყენებადი.

საკვანძო სიტყვები: გამარტივებული წარმოება, აღსრულება, ფულადი ვალდებულება, დავალიანების გადახდევინება

Simplified Proceedings in Georgia Regarding Requests for Payment of Monetary Debts (Sharing European Experience)

Abstract

The simplified procedure of the National Bureau of Enforcement (hereinafter – NBE) is a novelty in national legislation. This service was introduced taking into account the French-Swedish (model) experience. Simplified proceedings are a special form of protection of the applicant's rights, during which the written evidence submitted by the applicant is unmistakable and of high quality. This institution allows the parties to quickly and efficiently resolve the dispute, bypassing the courts, with low costs. Disputes related to the payment of monetary debt should not be dependent on the fulfillment of the reciprocal obligation, 912 as according to the second paragraph of the Article of the Law of Georgia "On Enforcement Proceedings" "Simplified proceedings shall not be allowed if the submission of the request depends on the unfulfilled reciprocal obligation". This is the only prohibitory provision, which deprives the party of the right to protect and realize rights in a simplified procedure, and in such a case, the party is forced to turn to an alternative way of resolving the dispute - the court. Except for an exceptional order, in any other case, the proceedings are so simple that the applicant does not require the services of a lawyer, in contrast to the proceedings in the court of the first instance, which, although it does not make the involvement of a lawyer mandatory, however, the procedure is so complicated that without special legal education and competence (lawyer's license), the party is deprived of the opportunity to conduct the process independently; Moreover, the standards of formalization and acceptance of the lawsuit are so high that at the initial stage of the dispute, it is impossible for an unqualified lawyer to formally organize (acceptance of the lawsuit). In the effective execution of justice, the lawyer service also appears as a kind of financial barrier. According to NBE statistics, the majority of cases are completed either by issuing a payment order or by approving settlement terms, which once again confirms the effectiveness of this service. It should be noted that the case managers of Simplified Proceedings of the Enforcement Bureau have the function of a mediator, which implies participation in the settlement process of the parties. However, like all institutions, it also has some shortcomings, the analysis of which is presented in the article. The implementation of the international practice of simplified production and the experiment of transferring it to the Georgian legislation was quite successful. "However, many enriching components have been added to this service in the classical sense that existed until now." Description of used literature: The works of Georgian and foreign corporativists, monographs, and scientific articles were used while working on the article. However, it should also be noted that not many studies have been carried out in Georgian literature regarding the institute of simplified production, the present article will study an important and relevant issue for Georgian jurisprudence in this regard. Research methods: The methods of historicism, comparative-legal analysis, abstraction, synthesis, induction, and deduction were used while working on the article. Research Results: The article has both theoretical and practical significance, as the mentioned institution is intensively used in enforcement proceedings.

Keywords: simplified production, enforcement, monetary obligation, debt settlement

შესავალი

ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, უფლებათა და მოვალეობათა სწორად გამიჯვნა აუცილებელია, რაც გულისხმობს, რომ აბსოლუტური და რელატიური ურთიერთობის მონაწილეებს

უნდა შეეძლოთ კანონმდებლისგან მინიჭებული უფლებების თავისუფალი რეალიზება.¹³ სწორედ, ვალდებულებითი სამართლის წიაღში გვეკლინება კრედიტორი და მოვალე¹⁴ (გამარტივებული წარმოების შემთხვევაში – აპლიკანტი და რესპონდენტი),¹⁵ რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები და სამართალურთიერთობისას ისინი წარმოადგენენ მხარეებს.

პრეტენზიის განმაპირობებელი ფაქტორი ფულად ვალდებულებათა შეუსრულებლობაა. აღსანიშნავია, რომ „სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე მხარე (კრედიტორი და მოვალე) არ უნდა გავაიგივოთ სამოქალაქო პროცესში მონაწილე მოსარჩელესთან და მოპასუხესთან, ჩვეულებრივ, კრედიტორი სააღსრულებო წარმოებაში ხდება მოსარჩელე, ხოლო მოვალე – მოპასუხე.¹⁶ ურთიერთობის ერთ მონაწილეს, რომელსაც მეორისგან შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს, ეწოდება კრედიტორი, ხოლო მეორეს, რომელიც ვალდებულია კრედიტორის მოთხოვნისთანავე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება – მოვალე“.¹⁷

ქართულმა კანონმდებლობამ ევროპული ქვეყნების გამოცდილება მეტწილად გაიზიარა,^{18/19} რითაც დავის განხილვის ალტერნატიული მექანიზმები შექმნა. ნიშანდობლივია, რომ „დავის გადაწყვეტის ფორმები შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ იმის მიხედვით, თუ რამდენად უწყობს იგი ხელს მხარეებს შორის ურთიერთობის შენარჩუნებას. ზოგიერთ შემთხვევაში მხარეთათვის უაღრესად მნიშვნელოვანია დავის იმგვარად მოგვარება, რომ მათ მომავალშიც შეძლონ ურთიერთობის გაგრძელება“.²⁰ „ჰარმონიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია ისეთი სამართლებრივი მექანიზმების განვითარება, რომლებიც წარმატებით დაარეგულირებენ თანამედროვე სამოქალაქო ურთიერთობებს“.²¹

სწმ საქართველოს კანონი აწესრიგებს ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობას ისეთი მძლავრი და ეფექტური ინსტიტუტის სახით, როგორიცაა – გამარტივებული წარმოება, რომელიც „მისი სამართლებრივი მოწესრიგების შეცვლის მიუხედავად, პროცესუალურ ინსტიტუტად შეიძლება

¹³ შამათავა ი., სააღსრულებო წარმოებათა საკანონმდებლო მექანიზმები (სასამართლო/საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები)ისა და ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის თავისებურებანი, თბ., 2014, 4. იხ., ლორია ა., ბურდული ი., ზოიძე ბ., და სხვები, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი II., ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013, 46. „შელახული უფლებების რეალიზაციის ეფექტურ გარანტიებს უნდა წარმოადგენდეს მიუკერძოებელი და ობიექტური მართლმსაჯულება და საკონსტიტუციო კონტროლი“.

¹⁴ იხ. ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ., „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I (1-48 მუხლები), თბ., 2018, 102.

¹⁵ იხ., უიტდეჰააგი ი., ქურთაული ს., საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, თბ., 2013, 394.

¹⁶ შეად. ლისკოვეცი ბ. ა., და ჩუგუნოვი გ.ვ., სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება, 1954, 39. „სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ზოგად წესზე საუბრისას კრედიტორს მოიხსენიებენ „გადამხდევინებლად“, რომელიც სამოქალაქო სამართლის პროცესში არის ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც შედგა სასამართლოს გადაწყვეტილება“.

¹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001, 25; აგრეთვე: ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 1999, 6. იხ., ვრცლად „სააღსრულებო წარმოების სუბიექტები და მათი უფლება-მოვალეობები“ წიგნში უიტდეჰააგი ი., ქურთაული ს., საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, 2013, 173.

¹⁸ სურმაგა ლ., საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი სახელმწიფო დახმარების დარგში, თბ., 2012, 10, 62, „სამართლის ჰარმონიზაცია გულისხმობს არა მხოლოდ გარესამყაროსთან მის მშვიდობიან თანარსებობას, არამედ ქვეყნის შიგნით ორგანულად ერთიან სამართლებრივ სივრცეს“.²⁰ იხ., ვეროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, მეათე გადამუშ. გამოცემა, თბ., 2005, 39. See also, Loewenheim U., Harmonization and Intellectual Property in Europe, Columbia Journal of European Law 2, № 3, 1996, 488.

¹⁹ See. Bobek M., *The effects of EU law in the national legal systems*, in C. Barnard & S. Peers (eds.) *European Union Law*, 2nd ed., Oxford: Oxford University Press, 2017, 143–176.

²⁰ ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო, თბ., 2014, 250, 279.

²¹ ხარიტონაშვილი ნ., მესამე პირები როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტები, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2017, 275. შეად.: Fox E. M., *Harmonization on Law and Procedures in a Globalized World: Why, What and How?* Vol. 60 *Antitrust Law Journal*, 1992, 594. Boodman M., *The Myth of Harmonization of Laws*, Vol. 39, *The American Journal of Comparative Law*, 1991, 699.

ჩაითვალოს, ხოლო სწმ საქართველოს კანონი ამ ნაწილში საპროცესო სამართლის ნაწილად”.²² თანამედროვე ქართულ სამართლებრივ რეალობაში, სასამართლოს გვერდის ავლით, სწრაფად, ეფექტურად და ნაკლები დანახარჯებით, შესაძლებელია კრედიტორული მოთხოვნის დაკმაყოფილება. 2012 წლის 8 მაისამდე, თუ ვადადოსულ ფულად მოთხოვნას განიხილავდა რაიონული/საქალაქო სასამართლოები (განსჯადობის წესების დაცვით), საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ვადადოსულ ფულად მოთხოვნებს განიხილავს NBE-ს გამარტივებული წარმოების სამსახური.

სტატისტიკურად, ზემოხსენებულ ინსტიტუტს, ბოლო წლების მანძილზე ყველაზე მეტი პრაქტიკა დაუგროვდა. ეს ინსტიტუტი, როგორც დარღვეული უფლებების დროული და სწრაფი აღდგენის ვარიანტი, თავისი სპეციფიკური ბუნების გამო, მეტ შესწავლას და ყურადღებას საჭიროებს, რადგან მას შეუძლია სამართლებრივი პრაქტიკის სწორად განვითარება.

1. გამარტივებული წარმოება ევროპული ქვეყნების მაგალითზე

ისტორიულად, დასავლეთში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დაიწყო იმაზე ფიქრი, რომ კანონმდებლობაში შეეტანათ ისეთი ცვლილება, რომელიც დავის მონაწილე მხარეებს მისცემდა შესაძლებლობას სასამართლო პროცედურების გარეშე, დაჩქარებული და გამარტივებული წესით მიეღწიათ სამართლისთვის.²³ **საფრანგეთი** 2002 წლიდან იცნობდა რამდენიმე ტიპის გამარტივებულ წარმოებას,²⁴ რომელმაც 2014 წლამდე იფუნქციონირა და შემდგომში კვლავ მოდიფიცირდა.²⁵ მაგალითად, დაჩქარებული წარმოება გადახდასთან და ქმედების განხორციელებასთან დაკავშირებული ორდერების შემთხვევაში, რომელიც ფართოდ გამოიყენება, განსაკუთრებით ისეთ საქმეებზე, სადაც დავის საგანი უმნიშვნელოა ან ნაკლებმნიშვნელოვანი. რეგიონული სასამართლოს თავმჯდომარეს (ან დელეგირებულ მოსამართლეს) უფლება აქვთ გასცენ განკარგულება სასამართლოში თანხის გადახდის შესახებ, ამგვარად, ხდება საქმის წინასწარი მოგვარება, რაც ფაქტობრივად წარმოადგენს დე ფაქტო გადაწყვეტილებას.²⁶ **იტალიაში**, როდესაც საქმე განსაკუთრებული სირთულით არ ხასიათდება, კანონი ითვალისწინებს გამარტივებულ სამართალწარმოებას, რომელიც განსხვავდება ე.წ. „ჩვეულებრივი“ სამართალწარმოებისაგან. **შვეიცარიაში**, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს დაჩქარებულ პროცედურას „მკაფიო და აშკარა საქმეებისთვის“, ან როდესაც „საქმის ვითარება არ წარმოადგენს დავის საგანს ან [თუ] სავარაუდოდ დაუყოვნებლივ უნდა დამტკიცდეს“ და „სამართლებრივი ვითარება ნათელია“ 257 CPC). გარდა ამისა, კანონი ვალის აღსრულების და გაკოტრების შესახებ საშუალებას აძლევს კრედიტორებს დაჩქარებული პროცედურის მეშვეობით მიიღონ სამართალწარმოების აღსრულების გაგრძელება, მიუხედავად მევალეთა უარისა, შეასრულონ გადახდის ბრძანება (მუხ. 80-83 LP40).²⁷ **ნიდერლანდებში** დაჩქარებული წარმოება საფრანგეთის სისტემის ანალოგიურია და გამოიყენება დავების უმეტესობის გადასაწყვეტად. ეს ინსტიტუტი 1991 წლიდან არსებობს, კანონმდებლობას დადგენილი აქვს გამარტივებული წარმოების სტანდარტები, რომელიც კვლავ მცირე საჩივრებთან კავშირშია.²⁸ თავდაპირველად, ეს ბარიერი 5000 ევროს შეადგენდა, მაგრამ 2011 წლიდან, 25000 ევრომდე გაიზარდა,²⁹ განსხვავებით **გერმანიისგან**,³⁰

²² ნათაძე ა., სურგულაძე თ., ღონღაძე ნ., ცორიკიშვილი ნ., უიტდეჰაგი ი., აღსრულების სამართლის ტრენერების სახელმძღვანელო., თბ., 2020, 79.

²³ იხ., მორჩაძე ნ., გამარტივებული წარმოება როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება (შედარებითი ანალიზი), 2018, 3-4.

²⁴ Elliott C., Jeanpierre E Vernon C., French Legal System, Pearson, 2006, 89-90, 173; Cadet L., Civil Procedure in Introduction to French Law, ed. Bermann G, Picard E., (Kluwer) 2008, 311.

²⁵ Mayer H.P., Lindemann J., Haibach G., Small Claims Verordnung (C.H. Beck 2009, 9-11., para. 55. Münchener Kommentar zum ZPO, ad § 495a.

²⁶ CEPEJ, ევროპის საბჭოს რამდენიმე წევრი ქვეყნის მიერ მიღებული სტრუქტურული ზომები სამოქალაქო და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების გაუმჯობესების მიზნით, სტრასბურგი 2016 წლის 7 დეკემბერი, (2016)14, 26-27. <<https://rm.coe.int/good-practice-guide-echr-art-13-geo/16809a626b>> [06.06.2022].

²⁷ იქვე; 26-27.

²⁸ Kramer/Xandra/Ontanu/Alina, The Functioning of the European Small Claims Procedure in the Netherlands: Normative and Empirical Reflections, Netherlands Internationaal Privaatrecht 3/2013, 320.

²⁹ Mañiko R, European Small Claims Procedure, Legal analysis of the Commission's proposal to remedy weaknesses in the current system, IN-DEPTH ANALYSIS EPRS, European Parliamentary Research Service, November 2014, 542, 137, 6.

³⁰ Mayer H.P., Lindemann J., Haibach G., Small Claims Verordnung (C.H. Beck 2009, 9-11., para. 55. Münchener Kommentar zum ZPO, ad § 495a.

სადაც ადგილობრივი სასამართლო უფლებამოსილია ყოველგვარი გართულების და ბარიერების გარეშე, გამარტივებული წარმოების წესით, სწრაფად განიხილოს დავის ის კატეგორია, სადაც მოთხოვნის თანხა 600 ევროზე ნაკლებია. **სლოვაკეთში** სამართალწარმოების ფარგლები, სასამართლო ბრძანებების მიღებასთან დაკავშირებით გაფართოვდა და მოიცვა ოპერაციის განხორციელების ბრძანებები ან ბრძანებები არასამართლებრივი ქმედების შეწყვეტის შესახებ. ამ ქვეყანაში, ისევე, როგორც სლოვენიაში, დაჩქარებული სამართალწარმოება სტანდარტულად შემოღებულ იქნა ნაკლებად მნიშვნელოვანი დავების გადასაწყვეტად. **საბერძნეთში** ფართო გამოყენება აქვს რეგულაციას, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო სამართალწარმოებაზე გამოუცხადებლობა ბრალის აღიარებად მიიჩნევა.

1.2. გამარტივებული წარმოების ინსტიტუციის ტრანსფორმაცია სასამართლოდან აღსრულების ეროვნულ ბიუროში

საქართველოში გამარტივებული წარმოების პრაქტიკა ახალია, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიღება 1997 წელს მოხდა, – რაც იმას ნიშნავს, რომ მანამდე არსებული საბჭოური კანონმდებლობა გამარტივებულ წარმოებას საერთოდ არ ითვალისწინებდა. უფრო მეტიც, თუ ფულადი დავალიანების საქმისწარმოება სასამართლოს მეშვეობით ხორციელდებოდა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის NBE-ს გამარტივებული წარმოების სამსახური სპეციალურად ჩამოყალიბდა 2012 წლის 8 მაისს, საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, მხოლოდ იმ მიზნით, რომ ზემოხსენებული კატეგორიის დავები სწრაფად, იაფად და ეფექტურად აღსრულებულიყო.

აღნიშნულ პერიოდამდე, გამარტივებული წარმოებას ახორციელებდნენ საერთო სასამართლოები, საქართველოს სსსკ-ის შესაბამისად. „პროცესუალურად კი იგი გაწერილი იყო სსსკ-ის 302-ე–209-ე მუხლებით“, ³¹ რომ „გამარტივებული წარმოება NBE-ს „სპეციალური წარმოება“, რომელსაც აწესრიგებს სწმ საქართველოს კანონის XVI¹ თავი“. ³²

გამარტივებული წარმოება შეიძლება დაიწყოს ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებულ ვადამოსულ მოთხოვნებზე და, როგორც წესი, ეს ვალდებულება კერძო სამართლებრივია, უმეტესად კი სამოქალაქო. თუმცა კანონმდებლობა არ კრძალავს წარმოების დაწყებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზეც.

„ფულადი დავალიანების აღძვრისათვის აუცილებელია არსებობდეს მხარეთა შორის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობები, რომლის დარღვევის შემთხვევაში კრედიტორს კანონმდებლის მიერ უფლება ეძლევა დაიცვას თავისი დარღვეული უფლებები,“ ³³ აღნიშნული ჩანაწერით, კრედიტორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელით ან განცხადებით წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნით. ³⁴ თუმცა, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ სასამართლო ინსტანცია დავებს სწრაფად და ეფექტურად კერ განიხილავდა, ვინაიდან ფულად ვალდებულებებთან მიმართებით დავები ყველაზე ხშირია სასამართლოში და მოსამართლეთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, დავები წლობით განიხილებოდა. ³⁵ მას შემდეგ, რაც ეს ინსტიტუტი სასამართლოს ნაცვლად ტრანსფორმირდა სააღსრულებო ბიუროში და შეიქმნა გამარტივებული წარმოების მოდიფიცირებული მომსახურება, სასამართლო ინსტანციები აბსოლუტურად განიცვირთა. თუ საკანონმდებლო

³¹ ნათაძე ა., სურგულაძე თ., ღონღაძე ნ., ცორიკიშვილი ნ., უიტდეჰააგი ი., აღსრულების სამართლის ტრენერების სახელმძღვანელო, თბ., 2020, 78.

³² საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=97>> (20.12.2019 წლის მდგომარეობით), [06.06.2022].

³³ საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ გამარტივებული წესით საქმის განხილვა, სასარჩელო წარმოების მსგავსად, მიზნად ისახავს დარღვეული უფლების აღდგენას, თუმცა გამარტივებული წარმოების თავისებურება ისაა, რომ საქმე დაჩქარებულად და მარტივად განიხილება. იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-937-880-2012).

³⁴ ხურცილაძე რ., დავალიანების გადახდევის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება გამარტივებული წარმოების დროს, ჟურნ. „ცხოვრება და კანონი“, N 4, 2008, 60.

³⁵ უიტდეჰააგი ი., ქურთაული ს., საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, 2013, 85.

ცვლილებებამდე, ფულადი დავალიანების საქმეებს სასამართლო განიხილავდა განსჯადობის წესების დაცვით და რიგი კომპლექსური საკითხები იყრიდა თავს, საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, საკმარისია მხოლოდ ფორმალურად გამართული იყოს სააპლიკაციო განაცხადი³⁶ და არც განსჯადობის წესების დაცვა საჭირო, არც დავის საგნის ღირებულება განმსაზღვრელი.

გამარტივებული წარმოება შეეხება ვადამოსულ ფულად ვალდებულებებს, რომელიც უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტურად, თანაც აუცილებელია რომ რესპონდენტმა (მოვალემ) აღიაროს ვალდებულება, შესაბამისად, ხშირად ისმის კითხვა აღნიშნული ინსტიტუტის ეფექტურობის შესახებ. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გამარტივებული წარმოების პროცესში, სააღსრულებო ბიუროს ქეის-მენეჯერს ერთგვარი მედიატორის ფუნქციაც აკისრია, რაც გულისხმობს მხარეთა მორიგების პროცესში მონაწილეობას. ამასთან, „გამარტივებულ წარმოებაში მედიაციის ელემენტები შეინიშნება. მედიაცია – ეს არის დავის მოგვარების პროცედურა, რომლის დროსაც მხარეები აწარმოებენ მოლაპარაკებას სადავო საკითხების მოგვარებაზე ერთი ან რამდენიმე მედიატორის მეშვეობით. იგი გამოიხატება იმით, რომ ხდება რესპონდენტის მხრიდან მორიგების კონკრეტული პირობების შეთავაზება აპლიკანტისათვის, რითაც ორივე მხარეს შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების შინაარსზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა, ხოლო მედიატორის როლს გამარტივებული წარმოების სამსახური ასრულებს. შესაბამისად, მხარეებს ექმნებათ რეალური შესაძლებლობა, მიაღწიონ ორმხრივად მისაღებ შედეგს, თავიდან აიცილონ სასამართლო და სააღსრულებო ხარჯები“.³⁷

NBE-ს გამარტივებული წარმოება მხარეებს სასამართლოს გვერდის ავლით, სასამართლოსთან შედარებით ნაკლები ხარჯით, სწრაფად და ეფექტურად მოაგვარონ არსებული დავა. როგორც სტატისტიკა გვაჩვენებს, საქმეთა უმრავლესობა სრულდება ან გადახდის ბრძანების გამოცემით, ან მორიგების პირობების დამტკიცებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ სამსახურის ეფექტურობას. თუმცა, როგორც ყველა ინსტიტუტს, მასაც გააჩნია გარკვეული ხარვეზები, რომლის დეტალურ ანალიზს წარმოგიდგენთ შემდეგ პარაგრაფში.

2. გამარტივებული წარმოების საკანონმდებლო რეგულირების ხარვეზ(ებ)ის მიმოხილვა

სფეროში მოღვაწე ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გამარტივებული საქმისწარმოების მიღების მიზანი იყო დახმარებოდნენ საფინანსო ინსტიტუტებს ამოუღებელი კრედიტების დაბრუნებაში, რომელიც ასევე შეამცირებდა (განტვირთავდა) სასამართლოში არსებულ საქმეებს, თუმცა ზოგიერთი ექსპერტი შიშობს, რომ ფინანსური დავის სწრაფად მოგვარებამ გრძელვადიანი სასამართლო პროცესების გვერდის ავლით, შესაძლოა გაზარდოს თაღლითობის სქემების შემუშავების შესაძლებლობები კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამო. NBE განმარტავს, რომ გამარტივებული საქმისწარმოება წარმატებით დაინერგა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. თუმცა, ისიც საგულისხმოა, რომ საქართველოს და განვითარებული ევროპის ქვეყნების მენტალიტეტი მკვეთრად განსხვავებულია და თაღლითები აუცილებლად გამოიყენებენ აღნიშნულ პრაქტიკას თავიანთ სასარგებლოდ.

გამარტივებული საქმისწარმოების პროცედურა, რომელიც ზოგავს დროს, შესაძლოა აუარესებდეს ინვესტიციის კლიმატს და მწვანე შუქს უნთებდეს თაღლითებს, რაც საბოლოოდ უარყოფითად იმოქმედებს ეკონომიკაზე; ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ „აღსრულების ეფექტური სისტემა ინვესტორების მოზიდვას უწყობს ხელს. ინვესტორებს არ უნდათ რომ სერიოზულ დაბრკოლებებს წააწყდნენ, როდესაც ვალდებულებების გადაუხდელობასა აქვს ადგილი. ისინი ან არ დააბანდებენ ინვესტიციებს ისეთ ქვეყნებში, სადაც ამ თვალსაზრისით პრობლემები არსებობს, ან დამატებით სამართლებრივ გარანტიებს მოითხოვენ“.³⁸ ფულადი სახსრების ამოღებაში, შესაძლოა, მარტივი პროცედურები დამხმარე ინსტრუმენტი გამოდგეს ფინანსური ინსტიტუტებისთვის, მაგრამ ვერ დაიცავს თაღლითების მიერ მოტყუებულ პირებს, რომლებიც უსაფრთხოდ იცხოვრებენ საზღვარგარეთ.

³⁶ იხ., სააპლიკაციო განაცხადის ფორმა (ნიმუში) NBE-ს ოფიციალურ საიტზე http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=690 [06.06.2022].

³⁷ ნათაძე ა., სურგულაძე თ., ღონაძე ნ., ცორიკიშვილი ნ., უიტდეჰააგი ი., აღსრულების სამართლის ტრენერების სახელმძღვანელო, თბ., 2020, 79.

³⁸ უიტდეჰააგი ი., ქურთაული ს., საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, 2013, 131.

გამარტივებულ წარმოებას ახლავს რისკი, რომ ბევრმა თაღლითმა მიაღწიოს მიზანს, ხოლო უდანაშაულო ადამიანები დააზარალოს.³⁹

კიდევ ერთი პრობლემა, რაც გამარტივებულ წარმოებას ახლავს, ეს პირგასამტეხლოს ინსტიტუტია. როგორც აღვნიშნეთ, სწმ საქართველოს კანონს დაემატა თავი, (ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით გამარტივებული წარმოება). აღნიშნული კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, მსგავსი კატეგორიის დავებს არ განიხილავს საქალაქო/რაიონული სასამართლოები და ეს ცვლილება განპირობებული იყო სასამართლო დავების განტვირთვის მიზნით. საკანონმდებლო ცვლილებებმა მართალია ამ მხრივ დიდი ეფექტი იქონია, თუმცა გაზვიადებული შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლობის დაკისრების ფაქტი, რაც ისევ და ისევ, მხარეთა უფლებების და კანონის სათანადო არცოდნაში გამოიხატა, – რესპონდენტების ნაკლები ინფორმირება „გასაჩივრების/გაპროტესტების ნორმის“ გამოყენებასთან მიმართებით. ამასთან, გამარტივებული წარმოების სამსახური, სასამართლოსგან განსხვავებით, მოკლებულია შესაძლებლობას შევიდეს დავის არსობრივ განხილვაში; უფრო მეტიც, სამსახური არ არის უფლებამოსილი და დისკრეციულად აღჭურვილი, მიიღოს სათანადო ზომები შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დაკორექტირების ნაწილში. ამდენად, რაოდენ დიდი მოცულობის პირგასამტეხლოც არ უნდა მოითხოვოს აპლიკანტმა, თუკი რესპონდენტი არ გააპროტესტებს პირგასამტეხლოს მოცულობას, ქეის-მენეჯერი ვალდებულია გამოსცეს გადახდის ბრძანება.

სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, რა დროსაც იკვეთება სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილება, თავად მიიღოს გადაწყვეტილება თუ რა გარემოების გამოისობით ამცირებს პირგასამტეხლოს მოცულობას. ასეთ დროს მოსამართლეს ექსკლუზიური უფლება ენიჭება ჩაერიოს „სახელშეკრულებო პირობების გადასინჯვის“ ნაწილში და დაადგინოს მხარეთაგან განსაზღვრული პირგასამტეხლოს კანონიერებისა თუ გონივრულობის ზღვარი, რითაც ის იზიარებს გერმანული კანონმდებლობის გამოცდილებას. თუ გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, მაშინ იგი მოვალის განცხადების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება შემცირდეს სათანადო თანხამდე, ხოლო სათანადოობის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კრედიტორის ნებისმიერი ლეგიტიმური და არა მარტო მისი უბრალოდ ქონებრივი ინტერესი“. სასამართლომ ერთ-ერთი საქმის განხილვისას აღნიშნა, რომ პირგასამტეხლოს გონივრულობაზე მსჯელობისას, სასამართლო სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს პირგასამტეხლოს ფუნქციას, მოიცვას თავის თავში ზიანის ანაზღაურება. სასამართლო განმარტავს, რომ, სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლოს შემცირებისას, სასამართლო მხედველობაში იღებს მხარის ქონებრივ მდგომარეობასა და სხვა გარემოებებს, კერძოდ იმას, თუ როგორია შესრულების ღირებულების, მისი შეუსრულებლობისა და არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის თანაფარდობა პირგასამტეხლოს ოდენობასთან.⁴⁰ ამასთან, თანხის შემცირებისას, მხარეთა თანასწორობისა და სახელშეკრულებო პირობათა სამართლიანობის პრინციპები არ უნდა დაირღვეს.

ამდენად, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დასარეგულირებლად, შესაძლებელია სწმ საქართველოს კანონში განისაზღვროს პირგასამტეხლოს მაქსიმალური მოცულობა, ე.წ. „ზედა ზღვარი“, რომლის ფარგლებშიც იქნება გამარტივებული წარმოების დაწყება დასაშვები (მაგალითად, პირგასამტეხლო არ აღემატებოდეს ძირითადი თანხის მაქსიმუმ ორმაგ, სამმაგ მოცულობას),⁴¹ მით უფრო, რომ ნორმის ასეთი დანაწესი უცხო არ არის ზემოხსენებული კანონმდებლობისთვის და მართალია შემზღუდველი ნორმა უშუალოდ კერძო აღმასრულებლის კომპეტენციაზეა, თუმცა თავისუფლად შესაძლებელია ასეთი პრაქტიკის გაზიარება XVI¹ თავში.⁴²

³⁹ <<https://www.georgianjournal.ge/business/10309-court-free-handling-of-credit-disputes-poses-swindle-risks-.html>> [06.06.2022].

⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-501-477-2013).

⁴¹ სსკ-ის 625-ე მუხლის მე-5 პუნქტი აწესრიგებს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს რისკ-ფაქტორებს.

შესაძლებელია მსგავსი საკანონმდებლო პრაქტიკის გაზიარება გამარტივებულ წარმოებაში.

⁴² იგულისხმება სწმ საქართველოს კანონის 14⁷ მუხლი: „კერძო აღმასრულებელი აღსრულებას ახორციელებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღსრულების მხარეები არიან ფიზიკური პირები ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირები და თუ სააღსრულებო დოკუმენტის მიხედვით წარმოდგენილი აღსასრულებელი ფულადი მოთხოვნა არ აღემატება 500 000 ლარს“.

ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით, გამარტივებული წარმოების პროცესში კიდევ ერთ ბარიერს ვხვდებით. სწო კანონმდებლობის 91⁷ მუხლი შეეხება შეტყობინებას გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ. ერთი შეხედვით, მუხლი თავისი ფორმალურ-შინაარსობრივი აგებულებით, საკანონმდებლო ტექნიკის სრული დაცვითაა შედგენილი და საკითხის პროცესუალურ მოწესრიგებას ემსახურება, როგორცაა: კონკრეტული ვადის (5 დღე) განსაზღვრება, როდიდან იწყება რესპონდენტისთვის შეტყობინების გაგზავნა; რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს გზავნილი და სხვ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ რესპონდენტს სწორედ ამ შეტყობინებით განესაზღვრება ის სამომავლო მოქმედება, რაც მან უნდა განახორციელოს შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის წინააღმდეგ აპლიკანტის მხრიდან მოთხოვნილი თანხა (თუნდაც შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოთი და ძირითადი თანხით), დაეკისრება სრულად. ეს პროცედურა დაახლოებით იდენტურია იმ ინსტიტუტისა, რასაც სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში დაუსწრებელი გადაწყვეტილება ჰქვია.

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტს გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინება ვერ ჩაჰბარდება სსსკ-ის დადგენილი წესით? ასეთ შემთხვევაში, სწო საქართველოს კანონის 91⁷ მუხლით, დაუშვებელია რესპონდენტისათვის გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინების საჯარო გამოცხადების გზით ცნობება. კანონმდებლის ეს ჩანაწერი მართალია მოვალის ინტერესების დამცველი მექანიზმია, თუმცა სწორედ აღნიშნული ნორმა აჩენს რიგ სირთულეებს გამარტივებულ წარმოებაში. კერძოდ: დავალიანების შესრულების შესახებ გზავნილთა ჩაუბარებლობის შედეგად, აპლიკანტი იძულებული ხდება შეწყვიტოს საქმისწარმოება აღსრულების ეროვნულ ბიუროში, გაიხმოს საქმე, თანახმად სწო საქართველოს კანონის მუხლი 91¹² მუხლისა.

CEPEJ 2009-ის სახელმძღვანელოში აღნიშნულია რომ, აღსრულების პროცესში დაცული უნდა იყოს ბალანსი მოსარჩელის საჭიროებებსა და მოპასუხის უფლებებს შორის; „იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის და მოპასუხის პოზიცია არსებითად განსხვავდება, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სააღსრულებო წარმოება ამ მხარეების ინტერესებს აბალანსებდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით“.⁴³

3. აპლიკანტისა და რესპონდენტის ორმხრივი ინტერესის თანაბარზომიერი დაცვის პრობლემა გამარტივებული წარმოების პროცესში

ფულადი ვალდებულების ტრადიციული დეფინიცია გარკვეული ოდენობის ფულის გადახდის თაობაზე ვალს გულისხმობს, თუმცა, ის, ფართო გაგებით, ყველა იმ ტრანზაქციას მოიცავს, რომელშიც ვალუტა გამოიყენება.⁴⁴ ფულადია ისეთი ვალდებულება, რომლის საგანს წარმოადგენს ფულადი თანხა, „რა დროსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ფულის მსყიდველობაუნარიანობას აქვს“.⁴⁵ ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წარმოება მიზნად ისახავს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი კონფლიქტის მოწესრიგებას, ამიტომაც იგი მიჩნეულია დავის განხილვის ალტერნატიულ საშუალებად.

ფულადი ვალდებულებების ეფექტურად აღსრულების მიზნით,⁴⁶ კრედიტორი პირდაპირ მიმართავს სააღსრულებო ბიუროს, წარადგენს აპლიკაციას და მტკიცებულებას, რითაც ადასტურებს ვალდებულების არსებობას თუ შეუსრულებლობას; სტატისტიკურად, დღესდღეობით აღნიშნული მეთოდოლოგია საკმაოდ აპრობირებულია. საკანონმდებლო სიახლე 2012 წლის 17 მაისიდან ამოქმედდა და კრედიტორსა და მოვალეს შორის ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით გამარტივებული

⁴³ ნათაძე ა., სურგულაძე თ., ღონაძე ნ., ცორიკიშვილი ნ., უიტდეჰაგი ი., აღსრულების სამართლის ტრენერების სახელმძღვანელო, თბ., 2020, 39.

⁴⁴ Vardi N., Reflections on Trends and Evolutions in the Law of Monetary Obligations in European Private Law, 2007, 18 European Business Law Review, Issue 3, 409.

⁴⁵ მესხიშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 383-ე მუხლის ანალიზი, <<http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/08/Artikel-383.pdf>>, [06.06.2022], ბოლო დამუშავება 2016 წლის 25 აგვისტო.

⁴⁶ იხ., ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით: თაბაგარი ა., გამარტივებული წესით ფულადი დავალიანების გადახდევინების საქმეზე სასამართლო გადახდის ბრძანების მიღება და მისი უარყოფა. ჟურნ. „სამართალი“, 2001, N 5.

საქმის წარმოების განმხილველი ნაცვლად სასამართლოსი გახდა NBE,⁴⁷ რითაც სარჩელთა სიმრავლისაგან სასამართლო განიტვირთა, რაც წინადადებულ საკანონმდებლო ცვლილებად უნდა მივიჩნიოთ.

კრედიტორი და მოვალე სააღსრულებო წარმოების სავალდებულო სუბიექტები არიან და დამკვიდრებული ცნებებიც სააღსრულებო კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.⁴⁸ სააღსრულებო წარმოება მიმდინარეობს კრედიტორის ინტერესებისათვის, ხოლო ურთიერთობაში კრედიტორიც და მოვალეც თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, აღმასრულებელი კი მხარეებთან ურთიერთობას ამყარებს თანასწორობის საფუძველზე.

უმთავრესი პრობლემა, რაც სააღსრულებო წარმოებაში გვხვდება, ეს ბალანსია, ანუ მხარეთა ორმხრივი ინტერესის თანაბარზომიერი დაცვის საკითხი. „ქვეყნების უმეტესობაში დისბალანსი არსებობს მოვალისა და კრედიტორის ინტერესებს შორის, მოპასუხეებისთვის უფრო ადვილია აღსრულების შეფერხება სამართლებრივი მექანიზმების საკუთარ ინტერესებში გამოყენების გზით“.⁴⁹ ბალანსის დაცვა ქეის-მენეჯერის უმთავრესი ვალდებულებაა, რომელმაც მედიატორის ფუნქცია უნდა შეასრულოს და მხარეებს, მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით, განუმარტოს ის სამართლებრივი შედეგები, რაც მოჰყვება მის მხრიდან განხორციელებულ კონკრეტულ ქმედებას. ქეის-მენეჯერმა მაქსიმალურად უნდა შეძლოს ზღვარის გავლება აპლიკანტის საჭიროებებსა და რესპონდენტის უფლებებს შორის. ამასთან, მხოლოდ საქმის წარმოების დასრულება არ უნდა გახდეს სახელმძღვანელო კრიტერიუმი; სასურველია ისეთი შეთანხმება, სადაც მხარეთა უფლებები თანაბრად იქნება დაცული – არც კრედიტორული მოთხოვნის გამდიდრებას და არც მოვალის გაღარიბებას უნდა ემსახურებოდეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. გარდა ამისა, ყველაზე მთავარია მოვალის ინფორმირება, რომ მას კანონი ანიჭებს სრულ უფლებას არ დაეთანხმოს გადაწყვეტილებას, გააპროტესტოს იგი და საქმე სამართალწარმოებისთვის გადაეცეს სასამართლოს, რათა არახელსაყრელ პოზიციაზე არ აღმოჩნდეს და მნიშვნელოვნად არ დაზარალებს უფლების გამოუყენებლობით.

3.1. ხარვეზის დადგენის ინსტიტუტი, როგორც ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების გარანტი

ხარვეზის დადგენა სამოქალაქო საპროცესო ინსტიტუტია და მისი უმთავრესი ფუნქციაა მართლმსაჯულების ეფექტური და დროული განხორციელება; კანონმდებლის მხრიდან ხარვეზის აღმოფხვრისთვის დადგენილი ვადები შემჭიდროვებულია. გამარტივებული წარმოების დაწყებისას, დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებამდე (იგულისხმება სააპლიკაციო განაცხადის აღსრულების ეროვნულ ბიუროში რეგისტრაცია) 5 სამუშაო დღის ვადაში, შესაძლებელია დადგენილ იქნეს ხარვეზი – ფორმალური ან/და შინაარსობრივი კუთხით. ხარვეზის დადგენა სწმ საქართველოს კანონის 91⁵-ე მუხლის მიხედვით გულისხმობს, აპლიკანტისათვის არაუმეტეს 10 კალენდარული დღის მიცემას მისი გამოსწორების მიზნით. მთავარია, რომ ხარვეზის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელი იყოს მისი გამოსწორება.

ხარვეზის დადგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტს გადახდილი არ აქვს სააპლიკაციო საფასური, ან ყადაღის მოთხოვნის შემთხვევაში ყადაღის საფასური და საგარანტიო თანხა, ან თუ განცხადება წარმოდგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში გამარტივებული წარმოების ვადის დინება ჩერდება და განახლება შესაბამისი დოკუმენტაციის ან/და

⁴⁷ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13(20), 1999, მუხ. 52/კანონის N 6145-III) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-13 პუნქტით, ცვლილებები და დამატებები შევიდა საქართველოს კანონში – „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა, რომ ა/წ-ს 17 მისიდან, ანუ კანონის ამოქმედების დღიდან წარმოებულ დავებზე, გამარტივებული წესით კრედიტორული დავალიანების მოვალისათვის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს NBE.
<https://matsne.gov.ge/index.php?option=com_idmssearch&view=docView&id=1655791> [06.06.2022].

⁴⁸ უიტდეჰაგი ი., ჟურთაული ს., საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, 2013, 173.

⁴⁹ იხ., ევროპის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოლიტიკა ეფექტურ აღსრულებასთან დაკავშირებით, უიტდეჰაგი ი., ჟურთაული ს., საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, თბ., 2013, 89.

ინფორმაციის წარდგენისთანავე.⁵⁰ ხარვეზის აღმოფხვრის ვადის უშუალოდ გასვლა, აპლიკანტისათვის არის სწმ საქართველოს კანონის 91⁶ მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განცხადების უკან დაბრუნების ერთ-ერთი საფუძველი. რაც შეეხება განცხადების აპლიკანტისათვის დაბრუნების იურიდიულ შედეგს, იგი იწვევს გამარტივებული წარმოების დასრულებას, რა დროსაც აპლიკანტს დაუბრუნდება მის მიერ საგარანტიო თანხის სახით შეტანილი აღსრულების წინასწარი საფასური და ყადაღის დადებისათვის გადახდილი საფასური. სწორედ, საფასურის საკითხს შევხებით მომდევნო პარაგრაფში.

3.2. ხარჯების საკითხი გამარტივებულ წარმოებაში

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N144-ე ბრძანების „საფასურების ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ თანახმად,⁵¹ გამარტივებული წარმოება ფასიანი მომსახურება და საფასური გათვალისწინებულია მე-10 მუხლით. ეს ნორმა ერთმანეთისგან განასხვავებს სააპლიკაციო, გამარტივებული წარმოების და ყადაღის დადების საფასურს.

გამარტივებული წარმოების საფასური, სასამართლო ბაჟისგან განსხვავებით გამოირჩევა ეკონომიურობითაც, რის გამოც კრედიტორი დავის ალტერნატიულ გზად რასაკვირველია გამარტივებულ წარმოებას ირჩევს. ყველაზე მაქსიმალური მოცულობა ყადაღიან საქმეზე, არ აღემატება 150 ლარს, (სააპლიკაციო საფასური – 100 ლარი და ყადაღის დადების საფასური – 50 ლარი, თითო ქონებაზე) ხოლო რაც შეეხება რესპონდენტის მიერ დავალიანების ან დავალიანების ნაწილის დაფარვის დროს გამარტივებული წარმოების საფასურის გადახდისას – გადახდილი დავალიანების თანხის 2%-ს (არანაკლებ 50 ლარისა), ამის გადახდის თავისებურებაც დამოკიდებულია საქმის დინამიკაზე. ზემოხსენებულ მიზეზთა გათვალისწინებით, ფაქტია, რომ NBE-ს გამარტივებული წარმოების სამსახური უალტერნატივოა მისი ეკონომიურობის, ეფექტიანი მომსახურების და შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილების სწრაფად აღსრულების თვალსაზრისით.

3.3. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება გამარტივებულ წარმოებაში, როგორც ეფექტური მართლმსაჯულების გარანტი

სარჩელის უზრუნველყოფა სამოქალაქო სამართალწარმოების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას ემსახურება. ვინაიდან სამოქალაქო სამართალწარმოება ხანგრძლივი ვადით მიმდინარეობს, მთელი ამ ხნის განმავლობაში მზარდია რისკი, რომ გასხვისდეს ესა თუ ის ქონება, რომელიც შეიძლება იყოს გადაწყვეტილების აღსრულების ერთადერთი საშუალება. ამდენად, რისკისგან დასაცავად, სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილების საბოლოო მიღებამდე, მხარე უფლებამოსილია გამოიყენოს ყადაღის ინსტიტუტი, როგორც დარღვეული უფლებების დაცვის და რეალიზაციის გარანტი. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთიანად იცავს, როგორც მოსარჩელის ისე – მოპასუხის ინტერესებს, ანუ მოსარჩელის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხდება მოპასუხის ინტერესების გაუთვალისწინებლად. სწორედ აღნიშნული პრინციპი უდევს საფუძვლად იმ გარემოებას, რომ კანონმდებელი უშვებს სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას და არა მის სავალდებულობას.⁵² სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სამოქალაქო საქმეებზე მომეტებული საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებას მნიშვნელოვან

⁵⁰ უიტდეჰაგი ი., ქურთაული ს., საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, თბ., 2013, 390.

⁵¹ <http://nbe.gov.ge/files/_საფასურების_ბრძანება_21.pdf> [06.06.2022].

⁵² ქუთაისის სააპლიკაციო სასამართლოს 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინება (საქმე №2/ბ-985). იხ., ვრცლად აღნიშნულზე: კაჭაშვილი გ., საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა, თბ., 2018, 69.

მექანიზმს წარმოადგენს. მართლმსაჯულების ეფექტურობა კი უმეტესწილად, სწორედ, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზეა დამოკიდებული.⁵³

სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეს ყადაღა განეკუთვნება. იგი თავისი ბუნებით იძულების ის ფორმაა, რომლის შედეგადაც მესაკუთრეს ქონების განკარგვის შესაძლებლობა ერთმევა, მათ შორისაა: დაგირავება, იპოთეკა, უზუფრუქტი, სერვიტუტი, აღნაგობა, თხოვება, ქირავნობა, იჯარის ხელშეკრულებების დადება.⁵⁴ ყადაღა, როგორც უფლების შემზღუდველი უფლება სასამართლოს, ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული განჩინების, ბრძანების საფუძველზე პირის საკუთრების მიმართ გატარებული ღონისძიებაა, როდესაც მისი ქონება იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებებისთვის დროებით ვერ იქნება გამოყენებული.⁵⁵ გამარტივებულ წარმოებაში, ყადაღის საკითხს აწესრიგებს 91¹⁰ მუხლი, რომლის ფორმულარი შინაარსობრივად იდენტურია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლებისა „მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიება“.⁵⁶

NBE-ს გამარტივებული წარმოების სამსახურის ეფექტურობა ვლინდება იმ საკითხშიც, რომ ყადაღის დადების პროცედურა იმაზე გაცილებით მარტივია, ვიდრე სასამართლოში საქმის სასარჩელო წესით წარმოების დროს. თუ სასამართლოს შემთხვევაში მხარე ვალდებულია დაასაბუთოს ყადაღის აუცილებლობა და სასამართლოს ჩამოუყალიბოს შინაგანი რწმენა გადაწყვეტილებათა აღსრულებლობის თვალსაზრისით, გამარტივებულ წარმოებაში მსგავსი მოთხოვნები საერთოდ არ არსებობს და ქონებას ყადაღა ნებისმიერ შემთხვევაში ედება. ყადაღა, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, გამარტივებულ წარმოებაში გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც აპლიკანტს სურს გადახდის ბრძანების დაუყოვნებლივ აღსრულება და შესაბამისად NBE-ს ანგარიშზე საგარანტიო თანხის სახით შეტანილი აქვს აღსრულების წინასწარი საფასური და ყადაღის დადების საფასური. ამის შესახებ აპლიკანტმა უნდა მიუთითოს განცხადებაში. ამასთან, ყადაღა გამარტივებულ წარმოებაში, შესაძლებელია გავრცელდეს რესპონდენტის მხოლოდ რეგისტრირებულ ქონებაზე.⁵⁷ გარდა აღნიშნულისა, ამ სამსახურის ეფექტურობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ აპლიკანტი უფლებამოსილია დაყადაღოს იმდენი ქონება, რამდენსაც აღმოაჩენს რესპონდენტის საკუთრებაში, თუნდაც დავის საგნის ღირებულება მიზეზური იყოს, არ საჭიროებდეს რამდენიმე ქონების დაყადაღებას. სწორედ, ეს თავისებურება განასხვავებს მას სასამართლოსგან, სადაც ერთდროულად რამდენიმე ქონების დაყადაღება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დავის საგნის ღირებულება სოლიდურია და სასარჩელო მოთხოვნა საჭიროებს ამ მხრივ დაცვას.⁵⁸

გამარტივებული წარმოების სამსახურის ეფექტურობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ დაყადაღებული ქონების მესაკუთრეს არ სურს ზარალის მიღება, რამდენადაც ქონების თავისუფალი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა მის ინტერესებშია, შესაბამისად, ის ცდილობს აპლიკანტის ინტერესების დროულ დაკმაყოფილებას (თუკი მოთხოვნა გონივრულია). ამდენად, მის პირდაპირ ინტერესებშია არათუ დავის გაჭიანურება, არამედ დროულად დასრულება და ქონებ(ებ)ის ყადაღისაგან გამონთავისუფლება.

იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტი დადგენილ ვადაში წარადგენს პროტესტს აპლიკანტის მოთხოვნის წინააღმდეგ ან დაფარავს დავალიანების ნაწილს, გამარტივებული წარმოებისას რესპონდენტის ქონებაზე დადებული ყადაღა გაუქმდება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების

⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს წინააღმდეგ“.

⁵⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 11 იანვრის განჩინება (საქმე №3ბ/2727-17).

⁵⁵ პატარაია ი., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და მასთან დაკავშირებული პრობლემები სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბ., 2019, 21.

⁵⁶ შეად. სსსკ-ის 191-199 მუხლები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997.

⁵⁷ <http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=167&info_id=2328> [06.06.2022], (უაკანსნელად შემოწმებულია 28.01.2020).

⁵⁸ „მოსარჩელის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის (სარჩელის საგნის) პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს“. ძლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების ვალდებულება, სამართლის ჟურნალი, #1, 2018, 8.

გამოცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილების აპლიკანტისათვის ჩაბარებიდან 1 თვის შემდეგ, თუ აღსრულების ეროვნულ ბიუროს არ ეცნობა იმავე საქმესთან დაკავშირებით სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დაწყების შესახებ. სასამართლო უფლებამოსილია გააუქმოს ან შეცვალოს გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება“, რაც ნიშნავს იმ ფაქტს, რომ თუნდაც რესპონდენტის პროტესტის შემთხვევაში, აპლიკანტი 1 თვის ვადაში უფლებამოსილია დავის ტრანსფორმაცია მოახდინოს სასამართლოში და შეინარჩუნოს ყადაღა.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გამარტივებული წარმოების სამსახური უპრეცედენტოდ ეფექტურ სამსახურად ჩამოყალიბდა, რომელიც ძალთა პროპორციასა და მხარეთა ორმხრივი ინტერესების თანაბარზომიერ დაცვას ემსახურება. სერვისი ეფექტურია იმ მიზეზითაც, რომ აღნიშნულმა სამსახურმა სასამართლო ინსტანცია განტვირთა დავებისგან ეს ფულად ვალდებულებებთან მიმართებით დავების განმხილველ ისეთ სამსახურად ტრანსფორმირდა, რომლის ორიენტირად იქცა იაფი, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების სერვისი. შედეგად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი რისკ-ფაქტორები მინიმუმამდე შემცირდა და ინვესტორებს კრედიტორული მოთხოვნების დაკმაყოფილების გარანტი მისცა.

გამარტივებული წარმოების ეფექტური მართლმსაჯულება გულისხმობს იმ ფაქტს, რომ საქმისწარმოების პროცედურა უმარტივესია; სააპლიკაციო ფორმის შევსება არ საჭიროებს რაიმე სახის განსაკუთრებულ კვალიფიკაციას, საადვოკატო ლიცენზიას და აპლიკანტი დამოუკიდებლადაც წარმატებით ახერხებს საქმისწარმოების პროცედურას, განსხვავებით პირველი ინსტანციის სასამართლოში სასარჩელო წესით საქმის წარმოებისა, სადაც მართალია ადვოკატის ჩართულობა სავალდებულო არ არის, თუმცა პროცედურა იმდენად გართულებული, რომ სპეციალური იურიდიული განათლებისა და საადვოკატო უნარ-ჩვევების გარეშე, მხარე მოკლებულია შესაძლებლობას დამოუკიდებლად აწარმოოს პროცესი; უფრო მეტიც, სარჩელის ფორმალურად გამართვა და წარმოებაში მიღების სტანდარტები იმდენად მკაცრია, რომ დავის საწყის ეტაპზე, კვალიფიკაციის/სამართლებრივი ენის არმცოდნე სუბიექტისთვის თითქმის შეუძლებელია სარჩელის ფორმალური გამართვა/წარმოებაში მიღება. მართლმსაჯულების ეფექტურად აღსრულების საკითხში კი, საადვოკატო სერვისიც ერთგვარ ფინანსურ ბარიერად გვევლინება.

1. გამარტივებული წარმოება აპლიკანტის უფლებების დაცვის სპეციფიკური ფორმაა, რომლის დროსაც განმცხადებლის მიერ წარდგენილ წერილობითი მტკიცებულება უტყუარი და მაღალი ხარისხის მატარებელია. ეს ინსტიტუცია მხარეებს საშუალებას აძლევს სასამართლოს გვერდის ავლით, შედარებით ნაკლები დანახარჯებით, სწრაფად და ეფექტურად მოაგვარონ არსებული დავა.

2. გამარტივებული საქმისწარმოების მიღების მიზანი იყო დახმარებოდნენ საფინანსო ინსტიტუტებს ამოუღებელი კრედიტების დაბრუნებაში, რომელიც ასევე შეამცირებდა სასამართლოში არსებულ საქმეებს, თუმცა ზოგიერთი ექსპერტი შეიშობს, რომ ფინანსური დავის სწრაფად მოგვარებამ გრძელვადიანი სასამართლო პროცესების გვერდის ავლით, შესაძლოა გაზარდოს თაღლითობის სქემების შემუშავების შესაძლებლობები კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამო. ამდენად, ვიზირებთ პოზიციას იმის შესახებ, რომ საკრედიტო დავების გამარტივებული წარმოების წესით გადაწყვეტა, სასამართლოს გარეშე, თაღლითობის რისკის შემცველია (შეტყობინების ჩაბარების ნაწილში).

3. NBE-ს გამარტივებული წარმოების სამსახური, სასამართლოს მსგავსად არ არის დავების განმხილველი ორგანო და არც მხარეთა პოზიციების შესწავლის შედეგად გადაწყვეტილების მიღებას ახდენს, სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინებასთან დაკავშირებული დავები არ იყოს დამოკიდებული საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე. სწმ საქართველოს კანონის 91² მუხლში არის ერთადერთი ამკრძალავი დანაწესი, რომელიც მხარეს ართმევს უფლებას გამარტივებული წარმოების წესით მოახდინოს უფლებების დაცვა-რეალიზაცია და მსგავს შემთხვევაში მხარე იძულებულია დავის განხილვის ალტერნატიულ გზას, სასამართლოს მიმართოს.

4. შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს დასარეგულირებლად, სასურველია სწმ საქართველოს კანონში განისაზღვროს პირგასამტეხლოს მაქსიმალური მოცულობა, ე.წ. „ზედა ზღვარი“, რომლის ფარგლებშიც იქნება გამარტივებული წარმოების დაწყება დასაშვები (მაგალითად, პირგასამტეხლო არ აღემატებოდეს ძირითადი თანხის მაქსიმუმ ორმაგ, სამმაგ მოცულობას, ან სსკ-ის 625-ე მუხლის მე-5 პუნქტში განსაზღვრული სკალის გაზიარება მოხდეს, მით უფრო, რომ ნორმის ასეთი დანაწესი უცხო არ არის ზემოხსენებული კანონმდებლობისთვის და მართალია შემზღუდველი ნორმა უშუალოდ კერძო აღმასრულებლის კომპეტენციაზეა მორგებული, თუმცა თავისუფლად შესაძლებელია ასეთი პრაქტიკის გაზიარება XVI¹ თავში (იგულისხმება ის დანაწესი, როდესაც კერძო აღმასრულებელს 500 000 ლარამდე გააჩნია სააღსრულებო საქმის წარმოების უფლებამოსილება).

5. ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ მოთხოვნებთან დაკავშირებით, გამარტივებული წარმოების პროცესში კიდევ ერთ ბარიერს ვხვდებით, როდესაც მრავალგზისი მცდელობის მიუხედავად, გამარტივებული წარმოების სამსახური ვერ ახერხებს შეტყობინების ჩაბარებას რესპონდენტისთვის, ხოლო სწმ კანონმდებლობის 91⁷ მუხლის დანაწესით, დაუშვებელია რესპონდენტისათვის გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინების საჯარო გამოცხადების გზით ცნობება. კანონმდებლის ეს ჩანაწერი მართალია მოვალის ინტერესების დამცველი მექანიზმია, თუმცა სწორედ აღნიშნული ნორმა აჩენს რიგ სირთულეებს გამარტივებულ წარმოებაში. კერძოდ: დავალიანების შესრულების შესახებ გზავნილთა ჩაუბარებლობის შედეგად, აპლიკანტი იძულებული ხდება შეწყვიტოს საქმის წარმოება აღსრულების ეროვნულ ბიუროში, გაიხმოს საქმე და დავის განხილვისთვის მიმართოს სასამართლოს, რომელიც საქმის გარემოებიდან გამომდინარე, მოპასუხეს თანხას იმ შემთხვევაში დააკისრებს, თუკი დაცულია სსსკ-ის 78-ე მუხლის წინაპირობა. მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ გამარტივებული წარმოების სერვისზე, როგორც ეფექტურ საკანონმდებლო საშუალებაზე, სწორედ ზემოაღნიშნული დანაწესი გვეკლინება დავის ეფექტურად განხილვის ხელშეშლელ ფაქტორად. კანონმდებლის მიზანი უნდა იყოს მხარეთა ორმხრივი ინტერესის დაცვა, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, ნორმა უშუალოდ მოპასუხის ინტერესების დაცვაზეა ორიენტირებული, ეს კი ერთგვარ დისბალანსს წარმოადგენს. რამდენადაც გამარტივებული წარმოების ინსტიტუტი მთლიანად საპროცესო კანონმდებლობის ანალოგზეა შექმნილი, უნდა იცნობდეს საჯარო პუბლიკაციის წესსაც, რათა კეთილსინდისიერ მხარეს არ მოუწიოს დროის დაკარგვა და სასამართლო ინსტანციაში მიბრუნება.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 191-199, 14/11/1997 <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=139>> (20.12.2019 წლის მდგომარეობით).
2. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, სსმ, 13 (20), 16/04/1999. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/18442?publication=97>> (20.12.2019 წლის მდგომარეობით).
3. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N144 ბრძანება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფასურების ოდენობისა და გადახდის, აგრეთვე მმართველის და ზედამხედველის ფუნქციების შესრულებისათვის საზღაურის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1027449?publication=0>> (12.02.2014 წლის მდგომარეობით).
4. მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ) ევროპის საბჭოს რამდენიმე წევრი ქვეყნის მიერ მიღებული სტრუქტურული ზომები სამოქალაქო და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების გაუმჯობესების მიზნით, სტრასბურგი 2016 წლის 7 დეკემბერი, (2016)14. <<https://rm.coe.int/good-practice-guide-echr-art-13-geo/16809a626b>>
5. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, მეათე გადამუშ. გამოცემა, თბ., 2005, 39.
6. თაბაგარი ა., გამარტივებული წესით ფულადი დავალიანების გადახდევინების საქმეზე სასამართლო გადახდის ბრძანების მიღება და მისი უარყოფა. ჟურნ. „სამართალი“, 2001, N 5.
7. კაჭავილი გ., საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა, თბ., 2018, 69.

8. ლისკოვეცი ბ. ა., და ჩუგუნოვი გ.ვ., სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება, 1954, 39.
9. ლორია ა., ბურდული ი., ზოიძე ბ., და სხვები,, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი., თავი II., ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ, 2013, 46.
10. მესხიშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 383-ე მუხლის ანალიზი, <<http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/08/Artikel-383.pdf>>., ბოლო დამუშავება 2016 წლის 25 აგვისტო.
11. მორჩაძე ნ., გამარტივებული წარმოება როგორც დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალება (შედარებითი ანალიზი), 2018, 3-4.
12. ნათაძე ა., სურგულაძე თ., ღონდაძე ნ., ცორიკიშვილი ნ., უიტდეჰააგი ი., აღსრულების სამართლის ტრენერების სახელმძღვანელო., თბ., 2020, 39, 78-79.
13. ოსტერმილერი ს. მ., სვენსონი დ. რ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, საბაზისო სახელმძღვანელო, თბ., 2014, 250, 279.
14. პატარაია ი., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და მასთან დაკავშირებული პრობლემები სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბ., 2019, 21.
15. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბ., 2001, 25.
16. სურმავა ლ., საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი სახელმწიფო დახმარების დარგში, თბ., 2012, 10, 62.
17. უიტდეჰააგი ი., ქურთაული ს., საქართველოს სააღსრულებო სისტემის მიმოხილვა, ქართული სააღსრულებო სისტემა ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტებში, თბ., 2013, 85, 89, 131, 173, 390, 394.
18. ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ., „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I (1-48 მუხლები), თბ., 2018, 102.
19. შამათავა ი., სააღსრულებო წარმოებათა საკანონმდებლო მექანიზმები (სასამართლო/საარბიტრაჟო გადაწყვეტილებ(ებ)ისა და ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის თავისებურებანი), 2014, 4.
20. ძლიერიშვილი ზ., სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების ვალდებულება, სამართლის ჟურნალი, #1, 2018, 8.
21. ხარიტონაშვილი ნ., მესამე პირები როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტები, „სამართლის ჟურნალი“, № 1, 2017, 275.
22. ხურცილავა რ., დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება გამარტივებული წარმოების დროს, ჟურნ „ცხოვრება და კანონი“, N 4, 2008, 60.
23. Bobek M., *The effects of EU law in the national legal systems*, in C. Barnard & S. Peers (eds.) *European Union Law*, 2nd ed., Oxford: Oxford University Press, 2017, 143-176.
24. Boodman M., *The Myth of Harmonization of Laws*, Vol. 39, *The American Journal of Comparative Law*, 1991, 699.
25. Cadet L., *Civil Procedure in Introduction to French Law*, ed. Bermann G., Picard E (Kluwer), 2008, 311.
26. Elliott C., Jeanpierre E Vernon C., *French Legal System* (Pearson, 2006), 89-90, 173.
27. Fox E. M., *Harmonization on Law and Procedures in a Globalized World: Why, What and How?* Vol. 60 *Antitrust Law Journal*, 1992, 594.
28. Kramer/Xandra/Ontanu/Alina, *The Functioning of the European Small Claims Procedure in the Netherlands: Normative and Empirical Reflections*, *Nederlands Internationaal Privaatrecht* 3/2013, 320.
29. Loewenheim U., *Harmonization and Intellectual Property in Europe*, *Columbia Journal of European Law* 2, № 3, 1996, 488.
30. Mañko R, *European Small Claims Procedure, Legal analysis of the Commission's proposal to remedy weaknesses in the current system*, IN-DEPTH ANALYSIS EPRS, European Parliamentary Research Service, November 2014, 542, 137, 6.
31. Mayer H.P., Lindemann J., Haibach G., *Small Claims Verordnung* (C.H. Beck 2009, 9-11., para. 55. *Münchener Kommentar zum ZPO*, ad § 495a, 22, 24-25.
32. Vardi N., *Reflections on Trends and Evolutions in the Law of Monetary Obligations in European Private Law*, 2007, 18 *European Business Law Review*, Issue 3, 409.

33. <http://nbe.gov.ge/files/_საფასურების_ბრძანება_21.pdf>
34. <http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=167&info_id=2328>
35. <http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=690>
36. <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1655791>
37. <<https://www.georgianjournal.ge/business/10309-court-free-handling-of-credit-disputes-poses-swindle-risks-.html>>
38. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს წინააღმდეგ“.
39. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-937-880-2012).
40. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №ას-501-477-2013).
41. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 11 იანვრის განჩინება (საქმე №3ბ/2727-17).
42. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 9 ოქტომბრის განჩინება (საქმე №2/ბ-985).

არასრულწლოვანის ემანსიპაცია (შედარებითი ანალიზი)

Ketevan Kokrashvili

International Black Sea University, Georgia

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეძღვნება მნიშვნელოვან სამოქალაქო სამართლებრივ ინსტიტუტს - არასრულწლოვანის ემანსიპაციას. ნაშრომში შედარებითი ანალიზის საფუძველზე განხილულია არასრულწლოვანის ემანსიპაციის ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები და თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკის ტენდენციები, ასევე წარმოდგენილია არასრულწლოვანის ემანსიპაციის შესაძლო დადებითი და უარყოფითი შედეგები. საკვლევი საკითხის მიმართ სპეციალისტთა პოზიციები, როგორც საფუძვლებთან, ისე პროცედურასთან დაკავშირებით, მეტად არაერთგვაროვანია. ნაწილი თვლის, რომ არასრულწლოვანს ემანსიპაციის ინსტიტუტი ეხმარება ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებასა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაში; მოწინააღმდეგეთა აზრით, არასრულწლოვანის ემანსიპაციის სამართლებრივი ინსტიტუტი მოითხოვს რეფორმირებას, ამასთან, მისი გამოყენების შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და გამკაცრებული პროცედურებით. სტატიაში ემანსიპაციის ინსტიტუტთან კონტექსტში წარმოდგენილია ქართული კანონმდებლობის ხარვეზები, ასევე შედარებითი ანალიზის საფუძველზე განხილულია არასრულწლოვანის ემანსიპაცია კორპორატიული მართვის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: არასრულწლოვანის ემანსიპაცია; არასრულწლოვანის ემანსიპაციის პროცედურა; საწარმოს ხელმძღვანელობა; არასრულწლოვანის ქორწინება.

Emancipation of a Minor (Comparative Analysis)

Abstract

This article is dedicated to an important civil legal institution - the emancipation of a minor. Based on a comparative analysis, the paper discusses the main legal bases of the emancipation of minors and the trends of modern international practice, as well as presents the possible positive and negative consequences of emancipation of minors. Specialists' positions regarding the research issue, both regarding the foundations and the procedure, are very heterogeneous. Some believe that the Emancipation Institute helps minors to gain economic independence and develop entrepreneurial skills; According to opponents, the legal institution of emancipation of a minor requires reformation, allowing its use only in special cases and with stricter procedures. The article presents the shortcomings of the Georgian legislation in the context of the institution of emancipation, and also discusses the emancipation of minors in the context of corporate management based on a comparative analysis.

Keywords: emancipation of a minor; the procedure for the emancipation of a minor; management of the enterprise; Marriage of a minor.

შესავალი

ტერმინი „ემანსიპაცია“ ზოგადად გულისხმობს პირის სამართლებრივი, სოციალური და პოლიტიკური შეზღუდვებისგან განთავისუფლებას (Bynd Emancipation, 1992), შესაბამისად, ლიტერატურასა და პრაქტიკაში ეს ტერმინი სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენება. რაც შეეხება უშუალოდ არასრულწლოვანის ემანსიპაციას, ეს არის სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმი, რომლის საფუძველზე 16 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი იძენს სრულ ქმედუნარიანობას სრულწლოვნობის დადგომამდე და რომლის საშუალებითაც „თავისუფლდება მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომდგენლის კონტროლისგან, ხოლო ეს უკანასკნელნი თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან არასრულწლოვანის

ქმედებებთან მიმართებით“ (Larson, 2018). სხვადასხვა ქვეყნების იურისდიქციის მიხედვით, არასრულწლოვანის ემანსიპაციის საფუძვლები მრავალფეროვანია, უმეტესწილად ეს არის ქორწინება; ეკონომიკური თვითკმარობის მიღწევა და საკუთარი ფინანსების დამოუკიდებლად განკარგვის უნარი; სამხედრო სამსახურში მსახურება (მაგ., აშშ-ს კანონმდებლობით 17 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს, მშობლების თანხმობის შემთხვევაში უფლება აქვს იმსახუროს სამხედრო სამსახურში); საწარმოს დამოუკიდებლად მართვის უფლების მინიჭება და სხვა. წარმოდგენილი საფუძვლებით ემანსიპირებულ არასრულწლოვნებს კანონმდებლობა მაინც გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს, მაგალითად, განსაზღვრულ ასაკამდე მათ ეკრძალებათ არჩევნებში მონაწილეობა, ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს ნაწარმის, ცეცხლსასროლი იარაღის, ფსიქოტროპული საშუალებების და ა.შ. შეძენა, შეიარაღებულ ძალებში სამსახური, ქორწინება და სხვა.

ძირითადი ტექსტი

ზოგადი წესის თანახმად, ფიზიკური პირის სრული ქმედუნარიანობა, რაც გულისხმობს ფიზიკური პირის უნარს, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი), უკავშირდება სრულწლოვნობის ასაკს, რაც უმრავლესი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრება 18 წლით (აშშ-ის ალაბამასა და ნებრასკას შტატებში ფიზიკური პირის სრულწლოვნობის ასაკია 19 წელი, მისისიპის შტატში 21 წელი. ალჟირი, კანადა, სამხრეთ კორეა - 19 წელი; იაპონია, ახალი ზელანდია, პარაგვაი - 20 წელი; ჰონდურასი, გრენადა, კამერუნი, პუერტო-რიკო, სინგაპური - 21 წელი). არასრულწლოვანის ემანსიპაციის შესაძლებლობა გულისხმობს პირისთვის სრული ქმედუნარიანობის მინიჭებას, კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებით ან უამისოდ.

არასრულწლოვანის ემანსიპაციის საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტი არასრულწლოვანს ანიჭებს ე.წ. „ჯიბის ფულის“ განკარგვის თავისუფლებას, კერძოდ, „ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რიმლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან ამ წარმომადგენლების თანხმობით - მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით“. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ეძღვნება არასრულწლოვანის ემანსიპაციის მისთვის საწარმოს მართვის უფლების მინიჭების საფუძვლით, კერძოდ, „თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსთვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც. საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.“

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „შეუზღუდავი ქმედუნარიანობა“, რომელსაც არასრულწლოვანი ზემოხსენებული ნორმის საფუძველზე მოიპოვებს, ეხება სამეწარმეო საქმიანობის სფეროსთვის ჩვეულებრივ ურთიერთობებს, რაც ზოგიერთი ავტორის აზრით გაიგივებულია ე.წ. ნაწილობრივ ქმედუნარიანობასთან, ანუ, „ამ ურთიერთობების გარეთ ის ჩვეულებრივად შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ რჩება“ (ლ, 2017). არასრულწლოვანისთვის საწარმოს გაძღოლის სფეროში მინიჭებული ნაწილობრივი ქმედუნარიანობის ფარგლებში კანონიერი წარმომადგენელი კარგვს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს, რაც ეხება ასევე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების განკარგვასაც (Wendtland, in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 112 Rn. 8), (ლ, 2017). აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს „ნაწილობრივი ქმედუნარიანობის“ ცნებას, ამასთან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, „ხელმძღვანელი ორგანოს წევრი შეიძლება იყოს ქმედუნარიანი ფიზიკური პირი...“, ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა, სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „არის ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები...“, რაც თავისთავად გამორიცხავს მის „ნაწილობრივობას“.

საწარმოს ხელმძღვანელობა კორპორაციული მართვის მეტად მნიშვნელოვანი ელემენტია. ხელმძღვანელ პირებს აკისრიათ ფიდუციური მოვალეობები, და მათი ბრალეული შეუსრულებლობის შემთხვევაში - მეტად სერიოზული პასუხისმგებლობა. ხელმძღვანელი ვალდებულია იმოქმედოს იმ რწმენით, რომ მოქმედებს კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და ისეთი გულმოდგინებით, როგორსაც მესამე ობიექტური წინდახედული პირი გამოიჩენდა (ლ., 2006). „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „ხელმძღვანელი პირი ვალდებულია სამეწარმეო საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება სამეწარმეო საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია“. „სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანო წარმოადგენს სამეწარმეო საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ხელმძღვანელი ორგანოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს“ (იქვე, 41-ე მუხლის პირველი პუნქტი). რაც შეეხება პასუხისმგებლობას, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველო კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ხელმძღვანელი პირი სამეწარმეო საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული შეუსრულებლობით მიყენებული ზიანისთვის. დაუშვებელია, წესდებით ან პარტნიორთა გადაწყვეტილებით შეიზღუდოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა ამ მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობისათვის“. გასათვალისწინებელია, რომ გარემოებები, როგორებიცაა დირექტორის ავადმყოფობა, ასაკი და ა.შ., ვერ განდება მისი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. დირექტორი ვერ იქნება თავისუფალი თავისი ვალდებულებებისაგან მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ვალდებულებები მისთვის მძიმე შესასრულებელია (R.W., 2000). „დირექტორთა საბჭო უნდა შედგებოდეს ბიზნეს უნარებისა და შესაბამისი ცოდნის მქონე პირებისაგან. დირექტორებმა უნდა შეიმუშაონ კორპორაციული მართვის პოლიტიკა, რაც მოიცავს კორპორატიულ სტრატეგიას, რისკების მართვას, ანგარიშვალდებულებას, გამჭვირვალობას და ბიზნესის ეთიკურად წარმოების წესებს“ (Chen., 2021). დირექტორი უნდა იყოს კარგი მედიატორი და იმოქმედოს საზოგადოების პარტნიორებისა და თანამშრომლების ინტერესების სასარგებლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ შეასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად (ბაქაური ნ., 2019).

ზემოთქმული ცხადჰყოფს, რომ კანონმდებლობა და კორპორატიული პრაქტიკა საწარმოს ხელმძღვანელისაგან ითხოვს ისეთ უნარ-ჩვევებს, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია ერთობლიობაში ჰქონდეს 16 წლის ფიზიკურ პირს.

რაც შეეხება ემანსიპაციის პროცედურას, 16 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას ანიჭებს კანონიერი წარმომადგენელი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით (საქსამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები), რაც დროის თვალსაზრისით წინ უსწრებს საწარმოს ხელმძღვანელის დანიშვნის/არჩევის მომენტს, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ხელმძღვანელი ორგანოს წევრი შეიძლება იყოს ქმედუნარიანი ფიზიკური პირი...“ რაც იმას გულისხმობს, რომ ხელმძღვანელი ორგანოს წევრობის კანდიდატი მის ამ პოზიციაზე კანდიდატად განხილვისა და მით უფრო დანიშვნის/არჩევის მომენტში, წინმსწრებად უნდა იყოს ემანსიპირებული, ანუ ხელმძღვანელობის უფლებამოსილებაზე ინიცირებას ახდენს კანონიერი წარმომადგენელი. საინტერესოა რა არის ასეთ შემთხვევაში ინიცირების საფუძველი? ამასთან, ეს პროცედურა თავის მხრივ არ გამორიცხავს, რომ კანონიერი წარმომადგენლის ინიციატივის მიღმა არაჯანსაღი მიზანი იმალებოდეს, მაგალითად კომპანიის მართვაში უშუალოდ ჩარევის, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების, ან კანონით განსაზღვრული მშობლის მოვალეობებისგან განთავისუფლების სურვილი და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანი ემანსიპაციით კარგავს კანონით მინიჭებულ ზოგიერთ უფლებას და იძენს მეტ ახალ მოვალეობებს, მაგალითად, ემანსიპაციის მომენტიდან ბავშვი („მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და თანამშრომლობის შესახებ“ 1996 წლის კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, ბავშვად იწოდება პირი დაბადებიდან 18 წლის მიღწევამდე) გამოდის „მშობლის პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვის ზომების შესრულებასთან დაკავშირებით იურისდიქციის, გამოსაყენებელი სამართლის, აღიარების, შესრულებისა და

თანამშრომლობის შესახებ 1996 წლის კონვენციით“ დაცვის სფეროდან (კონვენციის მე-4 მუხლის „დ“ პუნქტი); ემანსიპირებულ არასრულწლოვანზე აღარ ვრცელდება მშობლის მიერ ბავშვის რჩენის ვალდებულება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198 მ.-ის მე-2 პუნქტი; მუხლი 1212) და სხვა.

რაც შეეხება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებას, პრაქტიკაში ეს პროცედურა ფორმალურ ხასიათს ატარებს. თვისთავად რთულია და ფაქტობრივად არც ხდება არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური და გონებრივი სიმწიფის, პიროვნული დამოუკიდებლობის ხარისხის, მისი ფსიქო-სოციალური და კოგნიტური განვითარების დონის შეფასება/განსაზღვრა.

ასევე მნიშვნელოვანია წარმოდგენილი საფუძვლით ემანსიპაციის ინსტიტუტის გავლენა არასრულწლოვანთა განათლებაზე, დასვენებასა და ჯანდაცვაზე. მაგალითად, არასრულწლოვანის მიერ შრომის უფლების გამოყენებასთან ერთად, საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული საშუალო განათლების ხარისხიანად მიღების უფლების (საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995. მ.27) გამოყენების შესაძლებლობა (16-17 წლის არსრულწლოვნები, როგორც წესი ჯერ კიდევ საშუალო განათლების მიღების ეტაპზე იმყოფებიან); მნიშვნელოვანია კონკრეტული საწარმოს საქმიანობის ხასიათი; არასრულწლოვანის უნარი, ბოლომდე გააცნობიეროს კანონმდებლობის მოთხოვნები - უხელმძღვანელოს საწარმოს, სრულად აგოს პასუხი ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე, მართოს თავისი შემოსავალი და სხვა.

წარმოდგენილ საკითხთან მიმართებით საინტერესოა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. ამ თვალსაზრისით, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი ჯგუფი, კერძოდ:

1. ქვეყნები, რომლებიც კომპანიის ხელმძღვანელის მინიმალურ ასაკს უკავშირებენ ფიზიკური პირის სრულწლოვანებას. მაგალითად, ავსტრია (კომპანიის დირექტორი უნდა იყოს სრულწლოვანი. კომპანიას შეუძლია ასევე განსაზღვროს ხელმძღვანელი პირის მაქსიმალური ასაკი, იმ პირობით, რომ არ დაარღვიონ კანონი „ასაკობრივი დისკრიმინაციის შესახებ“. ([2. ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობით დადგენილი კომპანიის ხელმძღვანელთა მინიმალურ ასაკი მეტია, ვიდრე სრულწლოვანობის ასაკი. მაგალითად, ინდოეთის „კომპანიების აქტის“ \(2013წ.\) 196-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კომპანიას არ აქვს უფლება სრული განაკვეთის მმართველ დირექტორად, ან მენეჯერად დანიშნოს პირი, რომელსაც არ შესრულება 21 წელი, ან უკვე მიაღწია 70 წელს. \(The Companies Act, 2013., თ. გ.\) \(მითითებული მუხლი არეგულირებს მხოლოდ MD \(Managing Director\)- აღმასრულებელი დირექტორისა და WTD \(Whole-time Director\) - ე.წ. სრული განაკვეთის დირექტორების მინიმალურ და მაქსიმალური ასაკის ლიმიტს. გარდა აღნიშნულისა, „კომპანიების აქტის“ თანახმად, ხელმძღვანელი პირი ვალდებულია აიღოს დირექტორის საიდენტიფიკაციო ნომერი - DIN \(Director Identification Number\), რომლის მიღება შეუძლია მხოლოდ 21 წლის ასაკს მიღწეულ ფიზიკურ პირს\)](https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/1-501-9782?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true#:~:text=Directors%20must%20be%20at%20least,complies%20with%20age%20discrimination%20law), თ. გ.); ავსტრალია (კომპანიის დირექტორის მინიმალური ასაკობრივი ზღვარია 18 წელი) (Corporations Act 2001, Australia. 5.1. , თ. გ.); დანია, (DENMARK. Global Guide to Directors' Duties. 2021. P.2. , თ. გ.) მალაიზია (კომპანიის დირექტორი შეიძლება იყოს 18 წლის ასაკს მიღწეული ფიზიკური პირი (MALAYSIA COMPANIES ACT 2016 (As at 1 November 2018). 196(2) , თ. გ.); პუერტო რიკო (კანონმდებლობით სრულწლოვანობის ასაკი განისაზღვრება 21 წლით, შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელის მინიმალური ასაკიც 21 წელია (Fernando Rovira-Rullán and Andrés I Ferriol-Alonso. Corporate Governance and Directors' Duties in Puerto Rico. 2021. , თ. გ.); სინგაპური; აბუდაბი (COMPANIES REGULATIONS 2020 (CONSOLIDATED VERSION). P.149. , თ. გ.) და სხვა;</p>
</div>
<div data-bbox=)

3. ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა აღიარებს არასრულწლოვანის ემანსიპაციის გზით მისთვის საწარმოს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭებას. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს „კომპანიების აქტის“ (The Company Act 2006) 157-ე მუხლის თანახმად, კომპანიის დირექტორის მინიმალური ასაკი ინგლისის, შოტლანდიისა და უელსის ტერიტორიაზე შეიძლება განისაზღვროს 16 წლით (საგულისხმოა, რომ ამ აქტამდე ინგლისსა და უელსში დირექტორად შეიძლებოდა დანიშნულიყო 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირიც, იმ პირობით, თუ აქციონერები წარადგენდნენ

წერილობით გარანტიას, რომ 16 წლის ასაკს მიუღწეველი დირექტორი შეძლებდა ეფექტურად განხორციელებინა კომპანიის ხელმძღვანელის მოვალეობები (Companies Act Part 157-158., 2006));

4. ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა საერთოდ არ განსაზღვრავს კომპანიის ხელმძღვანელის მინიმალურ ასაკს. მაგალითად, გერმანია, რომლის კანონმდებლობითაც არ არსებობს ზოგადი შეზღუდვები მენეჯმენტის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ასაკთან დაკავშირებით, ამასთან, კორპორაციული მართვის კოდექსი (DCGK) (Deutscher Corporate Governance Kodex, 5.1.2.) რეკომენდაციას უწევს კომპანიებს, ავტონომიურად დაადგინონ ხელმძღვანელთა ასაკობრივი ზღვარი (Wagner. I. G., 2019). იგივე მიდგომა აქვს ფრანგულ კანონმდებლობას (Freehills, 2019) ((ფრანგული კანონმდებლობა ასევე აწესებს რეგულირებას მაქსიმალურ ასაკთან მიმართებით - „70 წელზე უფროსი ასაკის დირექტორთა რაოდენობა დირექტორთა საბჭოში არ შეიძლება აღემატებოდეს საბჭოს შემადგენლობის მესამედს“), აშშ-ის შტატების უმრავლესობას, მაგალითად, დელავერის შტატში კომპანიის ხელმძღვანელთა ასაკი უმეტესწილად კომპანიის წესდებით რეგულირდება და მინიმალური ასაკი უმრავლეს შემთხვევაში განისაზღვრება 18 წლით (Holly J Gregory, 2021) (ზოგადად, დელავერის კანონმდებლობა არ არეგულირებს არასრულწლოვნის ემანსიპაციის ინსტიტუტს, თუმა პრაქტიკა იცნობს ერთეულ შემთხვევებს, როდესაც შტატის სასამართლომ დააკმაყოფილა 16 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვნის მოთხოვნა ემანსიპაციაზე, იმ საფუძველზე, რომ მიიჩნია: „კონკრეტულ არასრულწლოვანს შეუძლია დამოუკიდებლად, ანუ მშობლების გარეშე ცხოვრება და აქვს უნარი მართოს საკუთარი ფინანსები“ (Delaware Legal Ages Laws. I , თ. გ.)). (კომპანიის დირექტორთა საშუალო ასაკის სტატისტიკა: ბელგია 57,7; დანია 58,9; ფინეთი 58,5; საფრანგეთი 58,9; გერმანია, იტალია -58; ნიდერლანდები - 61,5; ნორვეგია-57,3; პოლონეთი 55,6; ისლანდია - 60,3; შვედეთი 59,9; შვეიცარია -60; თურქეთი - 58,7; დიდი ბრიტანეთი - 59) (https://www.spencerstuart.com/-/media/2019/march/russia_board_index_2018ru.pdf , თ. გ.).

ზემოაღნიშნულის გარდა საინტერესოა არასრულწლოვანის ემანსიპაციის კიდევ ერთი საფუძველი - ქორწინება, რომლის რეგულირება სხვადასხვა იურისდიქციის ქვეყნებში ასევე განსხვავებულია. მაგალითად, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, ჩრდილოეთ ირლანდიის, ბულგარეთის, რუმინეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნების კანონმდებლობით, აღიარებულია 16 წლის ასაკს მიღწეულ პირთა ქორწინების შესაძლებლობა, მშობლების, ანდა სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობით. მიუხედავად აღნიშნულისა, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მსოფლიო მასშტაბით აშკარად შეიმჩნევა დადებითი ტენდენცია, საკანონმდებლო დონეზე მინიმალური საქორწინო ასაკის ზრდასთან დაკავშირებით, მაგალითად, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის უმეტესობა საქორწინო ასაკად მკაცრად განსაზღვრავს სრულწლოვნობის ასაკს - 18 წელს. დანიაში, ნიდერლანდებში, შვედეთში, პოლონეთში (ამ უკანასკნელში მხოლოდ მამაკაცებთან მიმართებით) არ არსებობს 18 წელზე ნაკლები ასაკის ქორწინების შესაძლებლობა, რაც რეკომენდირებულია CRC კომიტეტის მიერ (European Union Agency for Fundamental Rights, selection of relevant and recent passages from published reports related to Call for submissions – Report on child, early and forced marriage in humanitarian settings – A/HRC/res/35/16)-

გერმანიაში ასევე უარი ითქვა არასრულწლოვანთა ქორწინების საკანონმდებლო საფუძვლებზე და 2017 წლის 18 ივლისს, „Act Against Child Marriage“ („ბავშვთა დაცვა ნადრევი ქორწინებისაგან“) განხორციელებული ცვლილებებით აიკრძალა 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინება (<https://www.frauen-gegen-gewalt.de/en/what-is-the-situation-of-married-underage-refugees-in-germany.html> , თ. გ.). გაერთიანებულ სამეფოში 2022 წლის აპრილში, სამეფო თანხმობის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდა „ქორწინებისა და სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ აქტში“ (The Marriage and Civil Partnership Act“) და ქორწინებისა და სამოქალაქო პარტნიორობის ასაკი ინგლისსა და უელსში განისაზღვრა 18 წლით (ცვლილება ამოქმედდება 2023 წლის 27 თებერვლიდან) (<https://www.legislation.gov.uk/ukpga/2022/28/notes/division/6/index.htm> , თ. გ.). ინდოეთის „ბავშვთა ქორწინების აკრძალვის შესახებ კანონში“ 2006 წლის ცვლილებებით მინიმალურ საქორწინო ასაკად განსაზღვრა 21 წელი ([https://prsindia.org/files/bills_acts/bills_parliament/2021/The%20Prohibition%20Of%20Child%20Marriage%20\(Amendment\)%20Bill,%202021.pdf](https://prsindia.org/files/bills_acts/bills_parliament/2021/The%20Prohibition%20Of%20Child%20Marriage%20(Amendment)%20Bill,%202021.pdf) , თ. გ.). ჩინეთში მამაკაცებისთვის - 22 წელი, ქალებისთვის - 20 წელი (ამასთან, ქვეყნის პოლიტიკიდან გამომდინარე, პრაქტიკაში უფრო გვიან ქორწინება მეტად წახალისებულია) (https://www.bjreview.com/Lifestyle/202104/t20210416_800243784.html , თ. გ.).

რაც შეეხება საქართველოს, 2016 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით დაშვებულია მხოლოდ სრულწლოვანი პირების ქორწინება, ამავდროულად სამოქალაქო კოდექსს დაემატა დროებითი (1507³) მუხლი - „17 წლის მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინებაზე თანხმობის გაცემა გარდამავალ პერიოდში“ - რომლის თანახმად „17 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება დაიშვება მისი ნებით და მხოლოდ სასამართლოს თანხმობით, ისეთი პატივსაღები მიზეზის არსებობისას როგორცაა ბავშვის დაბადება.“ ამ მუხლმა ძალა დაკარგა 2017 წლის 1 იანვრიდან, შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობით სრულად გამოირიცხა 18 წლამდე ასაკის პირის ქორწინების სამართლებრივი შესაძლებლობა.

მიუხედავად აღნიშნულისა, დღემდე, სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის რედაქციით, „ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელმაც 18 წლის ასაკის მიღწევამდე იქორწინა,“ ამასთან, საოჯახო სამართლის თავიდან ამოღებულია 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინების სამართლებრივი საფუძვლები. 1175-ე მუხლი აწესრიგებს შეზღუდული ქმედუნარიანის მიერ საქორწინო ხელშეკრულების დადების წესს. ამავე კოდექსის მე-14 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, შეზღუდულ ქმედუნარიანად ითვლება პირი 7 დან 18 წლამდე და ასევე სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანი ვერ იქორწინებს და ეს წესი უგამონაკლისოდ მოქმედებს, კანონი მას მაინც ანიჭებს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით საქორწინო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას. სრულიად ვიზიარებ ავტორის მოსაზრებას, რომ „ამგვარი ასინქრონულობა დიდი ალბათობით კანონმდებლის გამორჩენითაა განპირობებული, რომელსაც დაავიწყდა საოჯახო სამართლის რეფორმის ფარგლებში ამ დანაწესის ამოშლა ან გადაკეთება (მთავარი რედაქტორები: ჭანტურია ლ., 2021; მთავარი რედაქტორები: ჭანტურია ლ., 2021).

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უდავოა, რომ არასრულწლოვანის ემანსიპაციის სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტის რეგულირების საკითხი ჩვენს ქვეყანაში მოითხოვს სერიოზულ გადახედვას და რეფორმირებას, როგორც შინაარსობრივი, ისე პროცედურული თვალსაზრისით.

პირველ რიგში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებული უნდა იქნეს მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი. იმის გათვალისწინებით, რომ კოდექსის 1108 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საქორწინო ასაკად აღიარებულია 18 წელი, სრულიად გაუგებარია რის საფუძველზე შეიძლება არასრულწლოვანის ქორწინება. უდავოა, რომ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი, სამწუხაროდ „ჩარჩენილია“ სამოქალაქო კოდექსში; უნდა დაიხვეწოს 1175-ე მუხლის რედაქცია, რაზეც ძირითად ტექსტში გვქონდა საუბარი;

სერიოზულ რეფორმას მოითხოვს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, შინაარსობრივად - ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება - რაც ბავშვის ცხოვრების ყველა ასპექტს უკავშირდება - არის უმთვარესი და ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც განისაზღვრება არასრულწლოვანის მიერ დამოუკიდებელი საქმიანობის შესაძლებლობის, მისი უფლებებისა და მოვალებების რეალიზაციისა და განხორციელების უნარი, საქმიანობის ხასიათის, მისი ხანგრძლივობისა და მდგრადობის შეფასებით. რიგ საკითხებთან მიმართებით წარმოდგენილი ნორმა კიდევ ეწინააღმდეგება კორპორაციული მართვის ძირითად პრინციპებს. ასევე ცვლილებებს საჭიროებს არასრულწლოვანის ემანსიპაციის პროცედურაც. შესაბამისად, საკვლევი ინსტიტუტის გამოყენება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ გამკაცრებული პროცედურით, გააზრებულად და იშვიათ შემთხვევებში.

References

(თ. გ.). მოპოვებული [https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/1-501-9782?transitionType=Default&contextData=\(sc.Default\)&firstPage=true#:~:text=Directors%20must%20be%20at%20east,complies%20with%20age%20discrimination%20law\).](https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/1-501-9782?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true#:~:text=Directors%20must%20be%20at%20east,complies%20with%20age%20discrimination%20law).) -დაწ

- (თ. გ.). მოპოვებული [https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/1-501-9782?transitionType=Default&contextData=\(sc.Default\)&firstPage=true#:~:text=Directors%20must%20be%20at%20east,complies%20with%20age%20discrimination%20law\).](https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/1-501-9782?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true#:~:text=Directors%20must%20be%20at%20east,complies%20with%20age%20discrimination%20law).) -დან
- (თ. გ.). მოპოვებული https://www.spencerstuart.com/-/media/2019/march/russia_board_index_2018ru.pdf .-დან
- (თ. გ.). მოპოვებული <https://www.frauen-gegen-gewalt.de/en/what-is-the-situation-of-married-underage-refugees-in-germany.html> .-დან
- (თ. გ.). მოპოვებული <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2022/28/notes/division/6/index.htm> .-დან
- (თ. გ.). მოპოვებული [https://prsindia.org/files/bills_acts/bills_parliament/2021/The%20Prohibition%20Of%20Child%20Marriage%20\(Amendment\)%20Bill,%202021.pdf](https://prsindia.org/files/bills_acts/bills_parliament/2021/The%20Prohibition%20Of%20Child%20Marriage%20(Amendment)%20Bill,%202021.pdf) .-დან
- (თ. გ.). მოპოვებული https://www.bjreview.com/Lifestyle/202104/t20210416_800243784.html .-დან
- Beynd Emancipation, E. L.-1. (1992). *ange* (SAGE, London, Newbury Park and New Delhi). London.
- Chen., J. (2021). *Corporate Governance*.
- Companies Act Part 157-158. (2006).
- COMPANIES REGULATIONS 2020 (CONSOLIDATED VERSION). P.149. . (თ. გ.). მოპოვებული https://en.adgm.thomsonreuters.com/sites/default/files/net_file_store/ADGM1547_20963_VER072020.pdf.-დან
- Corporations Act 2001, Australia. 5.1. . (თ. გ.). მოპოვებული <https://www.legislation.gov.au/Details/C2017C00328>.-დან
- Delaware Legal Ages Laws. I . (თ. გ.). მოპოვებული <https://statelaws.findlaw.com/delaware-law/delaware-legal-ages-laws.htm>.-დან
- DENMARK. *Global Guide to Directors' Duties*. 2021. P.2. . (თ. გ.). მოპოვებული https://denmark.dlapiper.com/sites/default/files/node/field_download_publication/DLA-Piper-Directors-Duties-Denmark.pdf.-დან
- Deutscher Corporate Governance Kodex, 5.1.2. (თ. გ.).
- (თ. გ.). *European Union Agency for Fundamental Rights, selection of relevant and recent passages from published reports related to Call for submissions – Report on child, early and forced marriage in humanitarian settings – A/HRC/res/35/16*.
- Fernando Rovira-Rullán and Andrés I Ferriol-Alonso. *Corporate Governance and Directors' Duties in Puerto Rico*. 2021. . (თ. გ.). მოპოვებული [https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/0-594-8605?transitionType=Default&contextData=\(sc.Default\)&firstPage=true](https://uk.practicallaw.thomsonreuters.com/0-594-8605?transitionType=Default&contextData=(sc.Default)&firstPage=true) .-დან
- Freehills, C. b. (2019). *Corporate Governance France. Law and Practice* file:///C:/Users/user/Downloads/008_FRANCE.pdf. Paris.
- Holly J Gregory, R. G. (2021). *Corporate governance and directors' duties in the United States: overview* .
- Larson, A. (2018 წლის 19 January). "How Can a Minor Get Emancipated".
- MALAYSIA COMPANIES ACT 2016 (As at 1 November 2018). 196(2) . (თ. გ.). მოპოვებული https://www.ssm.com.my/Pages/Legal_Framework/Document/Act%20777%20Reprint.pdf.-დან
- R.W., H. (2000). *The Law of Corporations*.
- The Companies Act, 2013*. (თ. გ.). მოპოვებული <https://www.mca.gov.in/Ministry/pdf/CompaniesAct2013.pdf>.-დან
- Wagner., I. G. (2019). *ntroduction to German Law Third Edition*. Kluwer Law International B.V.
- Wagner., J. Z. (2019). *Introduction to German Law Third Edition*. . Kluwer Law International B.V.
- ბაქაძეური ნ., გ. მ. (2019). *საკორპორაციო სამართალი*. თბილისი.

ლ., რ. (2017). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი I. თბილისი.

ლ., ჭ. (2006). ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში. თბილისი.

მთავარი რედაქტორები: ჭანტურია ლ., რ. გ. (2021). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი VII. Tbilisi.

ბერძნული პროექტის პოლიტიკური წანამდგვრებისთვის

Mamuka Natsvaladze

Sokhumi State University, Georgia

აბსტრაქტი

ჩვენს მიერ წარმოდგენილი კვლევა XVIII ს-ის 80-იანი წლების ევროპის გადანაწილებისა და ოსმალეთის განეიტრალების გეგმის, ბერძნული პროექტის საქართველოსთან მიმართებაში პოლიტიკური წანამდგვრების განხილვის პირველი ცდაა. XVIII ს-ის 60-90-იანი წლებიდან ევროპაში განსაკუთრებულად აქტუალური იყო ოსმალეთის იმპერიის განეიტრალებისა და მისი ტერიტორიების გადანაწილების პროექტი. ოსმალეთის იმპერია XV ს-ის 80-იანი წლებიდან მოყოლებული განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ ევროპას, 1529 და 1683 წელს ორჯერ ვენის მისადგომებთან მყოფმა ოსმალებმა ევროპა იმის აუცილებლობის წინაშე დააყენეს, რომ დიდ სახელმწიფოებს ოტომანთა საფრთხე სისტემურად განეიტრალებინათ. მას შემდეგ შეიქმნა რამდენიმე ანტიოსმალური პროექტი, რომელიც წარმატებული არ აღმოჩნდა. თვისებრივად ახალი ფორმა შეიძინა ბერძნულმა პროექტმა - ბუფერული სახელმწიფოების შექმნა საკითხის გადაჭრის განსხვავებული მოდელი იყო. 1779 წელს ტეშენის ზავის მიხედვით რუსეთის, როგორც მომრიგებელი მოსამართლის სტატუსის აღიარებას მოჰყვა ოსმალეთის განეიტრალების კიდევ ერთი მცდელობა. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურებოდა რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორების მიერ მიღწეული 1782 წლის შეთანხმება. სტატიაში განხილულია ერთი მხრივ, ვესტფალიის სისტემა და მეორე მხრივ, ტეშენის ზავის პოლიტიკური ფონი, რამაც რუსეთის იმპერიას განსაკუთრებული ამბიციები შესძინა პოლიტიკური თვალსაზრისით. ოსმალეთის განეიტრალების გეგმაც სწორედ ამ ამბიციების ნაწილი იყო. იმ დროინდელი პოლიტიკური სიტუაციის ანალიზისას ნათლად ჩანს, რომ ბერძნული პროექტის განხორციელებისთვის საკმაოდ კარგი დრო იყო შერჩეული. რეალურად განიხილებოდა კონსტანტინოპოლის დაპყრობის ვარიანტები. სტატიაში ნაჩვენებია, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნულ პროექტს საქართველოსთვის, რამდენადაც ის ითვალისწინებდა არა კონსტანტინოპოლის უშუალო დაპყრობას, არამედ ბუფერული სახელმწიფოების - საბერძნეთის იმპერიისა და დაკიის სამეფოს შექმნას, რაც ერეკლე მეორეს უხსნიდა გზას რუსეთთან ეწარმოებინა მოლაპარაკება, რომელსაც შეიძლებოდა რეალური შედეგი მოჰყოლოდა - სანქტ პეტერბურგის საიმპერატორო კარს დაკიისა და საბერძნეთის იმპერიის გვერდით უნდა ელიარებინა მესამე ბუფერული სივრცე კავკასიის ერთიანი სახელმწიფოს სახით.

საკვანძო სიტყვები: ბერძნული პროექტი, ეკატერინე მეორე, იოზეფ მეორე, დაკია, საბერძნეთის იმპერია, ტეშენის ზავი, ოსმალეთის იმპერია, ერეკლე მეორე

For the Political Background of the Greek Project

Abstract

The present study is the first attempt to review the political background of the Greek Project - A plan for the redistribution of Europe (80-ies of the XVIII century) and neutralization of the Ottoman Empire - in connection with Georgia. The project of neutralizing the Ottoman Empire and redistributing its territories was especially active in Europe from the 60-90-ies of the XVIII century. The Ottoman Empire posed a special threat to Western Europe since the 80-ies of the XV century. The Ottomans, who were twice on the outskirts of Vienna in 1529 and 1683, made Europe and the great powers to neutralize the threat of the Ottomans on a regular basis. Several anti-Ottoman projects have been created since then, though unsuccessful. The Greek Project acquired a qualitatively new shape – the creation of buffer states was a different model for solving the issue. In 1779, recognition of Russia's arbitrator status under the Treaty of Teschen was followed by another attempt to neutralize the Ottomans. The solution to this problem was the agreement of 1782 between the emperors of Russia and Austria. On the one hand, the Westphalian system, and on the other hand, the political background of the Treaty of Teschen, giving the Russian Empire special ambitions from a political point of

view are reviewed in the article. The plan to neutralize the Ottoman Empire was also part of these ambitions. Analyzing the political situation of that time, makes clear that proper time was chosen for the implementation of the Greek Project. In fact, options for the conquest of Constantinople were reviewed as well. The article highlights the special significance of the Greek Project for Georgia, since it envisaged not the direct conquest of Constantinople, but the creation of buffer states - the Greek Empire and the Dacian Kingdom, enabling Erekle II to negotiate with Russia for a guaranteed results - the Imperial Court of St. Petersburg had to recognize the third buffer space in the form of a Unified Caucasian State along with Dacia and the Greek Empire.

Keywords: Greek Project, Catherine II, Joseph II, Dacia, Greek Empire, Treaty of Teschen, Ottoman Empire, Erekle II

შესავალი

ბერძნული პროექტი არ აღმოცენებულა შემთხვევით. ის იშვა იმ საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების ფონზე, რომელიც სათავეს იღებს XVIII ს. 80-იანი წლებიდან. 1779 წელს დადებულმა ტშენის ზავმა ახალი შესაძლებლობები დაუსახა სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარს – რუსეთი გახდა ავსტრიის იმპერიის ინტერესების დამცველი, ევროპის უსაფრთხოების ერთ-ერთი გარანტი და მომრიგებელი მოსამართლე [Мартеи, 1875:62-77; Непесов, 1988: 34-67].

ამ ვითარებაში ბერძნული პროექტმა შეიძინა მასშტაბური ანტიოსმალური კამპანიის განხორციელების პერსპექტივა. რუსეთის ხელისუფლება შეუდგა დიდ სამზადისს. ახალ რეალობაზე გადაეწყობა არა მხოლოდ პოლიტიკური ცხოვრება, არამედ მთელი იმპერიის სახელმწიფოებრივი იდეოლოგია – ლიტერატურა, კულტურა, არქიტექტურაც კი. თითქმის გამოჩნდა რუსეთისთვის ყველა დროის ოცნების – კონსტანტინოპოლის „გამოხსნისა“ და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების ხელში ჩაგდების კონტურები, რაც თავის, მხრივ კავკასიის მიმართულებით სამხედრო-პოლიტიკური გააქტიურების წინაპირობა იყო. ამასთან, აშკარად გამოიკვეთა, რომ მოსკოვი მესამე რომის თეორია, როგორც სახელმწიფო იდეოლოგია, უფუნქციო გახლდათ. აქვე გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი – შეიძლებოდა თუ არა ყოფილიყო ოდესმე მოსკოვი მესამე რომის თეორია რუსული სახელმწიფოს იდეოლოგიური დოქტრინა მაშინ, როცა დადასტურებული ფაქტობრივი მონაცემებით [ПЦ, 1861; ПЦ, 1863] ეს მოძღვრება საეკლესიო ანალებს პირველად მხოლოდ XIX ს. 60-იან წლებში გასცდა. შესაბამისად, ცალსახად გამოიკვეთა, რომ ბერძნულ პროექტზე დაფუძნებული იმპერიული პოლიტიკა ახალ იდეოლოგიას ითხოვდა.

არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებდა ის სუბიექტური ფაქტორები, რაც რუსეთის იმპერატორსა და ევროპელ განმანათლებელთა ურთიერთობაში შეინიშნებოდა. განსაკუთრებულად ვოლტერთან ურთიერთობა იყო საინტერესო [Вольтер, 1803: 45-88]. ეს იყო ის უახლესი მოდა, რისთვისაც ეკატერინეს, როგორც ქალსა და როგორც იმპერატორს ფეხი უნდა აეწყო.

ერთი სიტყვით, ბერძნული პროექტს გააჩნდა გამოკვეთილად არა მარტო პოლიტიკური, არამედ იდეოლოგიური და ისტორიული წანამძღვრები.

კვლევის სიანხლე

საბჭოთა იდეოლოგიის მიერ აკრძალულ თემებს შორის გამორჩეულ ადგილს იჭერს ბერძნული პროექტი - XVIII ს-ის 70-90-იანი წლების ევროპის გადანაწილებისა და ოსმალეთის განეიტრალების გეგმა [Natsvaladze, 2021i, 110-124]. ამ თემისთვის არც პოსტსაბჭოთა ქართული ისტორიოგრაფიას მიუქცევია ყურადღება. წინამდებარე კვლევა არის პირველი პრეცედენტი რუსულ-ქართული ურთიერთობა განვიხილოთ ტრადიციული გეოპოლიტიკური სამკუთხედს - რუსეთ - ოსმალეთ - ირანს მიღმა და ამავედროულად მსოფლიო ისტორიული პროცესების გათვალისწინებით.

სწორედ ამ ფონზე გამოჩნდა, რომ ბერძნული პროექტი არის არა ერთჯერადი ფაქტი, როგორც ამას საბჭოური პერიოდის, პოსტსაბჭოთა ეპოქისა და უცხოური ისტორიოგრაფია განიხილავს, არამედ ისტორიული პროცესი, რაც გამორჩეულ მეთოდოლოგიურ მიდგომას ითხოვს. ბერძნული პროექტი მთლიანად ცვლის დღემდე უტყუარად მიჩნეულ უამრავ მოსაზრებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს პროექტი XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის გასაღებია.

პრობლემის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ ჩვენი სამეცნიერო კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი ყოფილიყო საერთაშორისო სამეცნიერო წრეებისათვის, ამიტომაც სამეცნიერო მონოგრაფიის ფრაგმენტები გამოვაქვეყნეთ მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებსა და კონფერენციის მასალებში: კერძოდ, ოქსფორდში [Natsvaladze, 2021g; Natsvaladze, 2022c], კემბრიჯში [Natsvaladze, 2021d; Natsvaladze, 2021i; Natsvaladze, 2022a], პარიზში [Natsvaladze, 2021h, Natsvaladze, 2022b], მელბურნში [Natsvaladze, 2021f], მოსკოვში [Натсваладзе, 2021], ტოკიოში [Natsvaladze, 2021e], რომში [Natsvaladze, 2021c], ვენაში [Natsvaladze, 2021b], ვარშავაში [Natsvaladze, 2020b; Natsvaladze, 2020c], ბოსტონში [Natsvaladze, 2020 a], სან-ფრანცისკოში [Natsvaladze, 2020e], შეფილდში [Natsvaladze, 2020d], ლას პალმასში [Natsvaladze, 2021a], თბილისში [ნაცვალაძე, 2020d, ნაცვალაძე, 2020b; ნაცვალაძე, 2021a], თელავსა [ნაცვალაძე, 2020a; ნაცვალაძე, 2020d] და ქუთაისში [ნაცვალაძე, 2020c; ნაცვალაძე, 2021b].

კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მიზანია:

1. ვაჩვენოთ ის მსოფლიო ისტორიული ფონი, რომელის უშუალო კარნახითაც ვითარდება XVIII ს-ის მეორე ნახევრის კავკასიაში მიმდინარე პროცესები;
2. განვსაზღვროთ რამდენად გააჩნდა ობიექტური საფუძველი XVIII ს-ის 70-90-იანი წლების ევროპის გადანაწილებისა და ოსმალეთის განეიტრალების პროექტს და რაგათვლები შეიძლება ჰქონოდა ერეკლე მეორეს ამ პროცესებთან დაკავშირებით;
3. ვაჩვენოთ რა კონკრეტული ღონისძიებების შედეგად გახდა რუსეთის იმპერია ევროპის ჟანდარმი და რამდენად გაუადვილა ახალმა სტატუსმა სანქტ-პეტერბურგს იმპერიული მიზნების აღსრულება ევროპასა და კავკასიაში.

კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები

ჩვენს საკვლევი თემა ხასიათდება მრავალწახნაგოვანი ფორმებით, შესაბამისად საკითხის სრულყოფილი ანალიზი ითხოვს საჭიროებისამებრ გამოვიყენოთ კვლევის სხვადასხვა მეთოდი.

წინამდებარე პრობლემის კვლევისას ვიყენებთ ისტორიზმის, ობიექტურობის, რეკონსტრუქციის, ალტერნატივობის, დეტერმინიზმის მეთოდოლოგიურ პრინციპებს, რომელიც თავიანთ თეორიულ კვლევებში შეიმუშავეს უცხოელმა და ქართველმა მეცნიერებმა: რობინ ჯორჯ კოლინგვუდმა [Collingwood, 1993], რეინჰარდ კოსელეკმა [Koselleck, 2002; Koselleck, 2004]; ლინ აბრამსმა [Abrams, 2010]; ენტონი ბრუნდაჯმა [Brundage, 2017], გრეგორი იანმა და ელ პაულმა [Ian, Paul, 2008]; ედუარდ ფრიმანმა [Фриман, 2011]; მარნიე ჰიუზ-ვორინგტონმა [Hughes-Warrington, 2007], ჯორჯ იგერსმა, ედუარდ ვანგმა და სიფრია მუკერჯიმ [lggers, Wang, Mukherjee, 2013]; აკირა ირიემ [Iriye, 2012]; ენტონი ქელდელისმა [Kaldellis, 2014]; ჯონ ლუკასმა [Lukacs, 2000]; მუნრო დუგმა და ჯონ რეიდმა [Doug, Reid, 2017], კეროლ ჟუიგლეიმ [Quigley, 1979], კურტ რაფლობმა [Raaflaub Kurt, 2010], შარლ ვიქტორ ლანგლოამ და შარლ სენიობოსმა [Langlois, Seignobos, 1992; Ланглюа, Сеньобос, 2004], მარკ ბლოკმა [Bloch, 1952; Блок, 1973]; პიტერ ლამბერტიმ და ფილიპ სკოფილდმა [Lambert, Schofield, 2004; ლამბერტი, სკოფილდი, 2017]; პიოტრ მილიუკოვმა [Милуков, 1904], იგორ დანილევსკიმ, ვლადიმირ კაბანოვმა, მარია რუმინცევამ და ოლგა მედუშევსკაიამ [Данилевский, Кабанов, Медушевская, Румянцева, 2004], მარიამ ჩხარტიშვილმა [ჩხარტიშვილი, 2009], გურამ ყორანაშვილმა [ყორანაშვილი, 2019; ყორანაშვილი, 2018; ყორანაშვილი, 1986].

პირველწყაროები

წინამდებარე კვლევისთვის უმნიშვნელოვანესი პირველწყაროებია: 1. ეკატერინა მეორისა და იოზეფ მეორის, ასევე ეკატერინა მეორესა და ფრიდრიხ მეორის მიმოწერა [Arneth 1869:143-157; Русский архив 1880: 281-291]; 2. ეკატერინე მეორის ჩანაწერები ბერძნულ პროექტზე [Шильдер, 1892: 2-3]; 3. ინგლისის ელჩის ლორდ ჰარისის ჩანაწერები ეკატერინა მეორის მმართველობის შესახებ [Harris, 1844]; 4. ეკატერინე

მეორისა და ვოლტერის მიმოწერა [Вольтер, 1803]; 5. ვესტფალიის ზავის ტექსტი [Westphalia 1648; Beaudry, 2003], 6. ტუშენის ზავის ტექსტი [СИРИО, 1888: 343-404; Мартенс, 1875: 70-86]; 7. რუსეთში ავსტრიის იმპერიის ელჩის ბარონ იოჰან ამადეუს ფრანც დე პაულა ტურგუტის 1774 წ. 3 სექტემბრის მოხსენება იმპერატორ მარია ტერეზიასადმი [Захаров, 2002]; 8. ფრიდრიხ-ფრომჰოლდ მარტენსის 1874-1909 წლებში გამოცემული რუსეთის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული ტრაქტატებისა და კონვენციების კრებულის ხუთმეტკომეული; 9. ეკატერინე მეორის კანცლერის ალექსანდრ ბეზბოროდკოს ავტობიოგრაფიული ჩანაწერები [СИРИО, 1879: 444]; 10. ფრიდრიხ II-ის 1782 წლის 2 აპრილის წერილი გრაფ ჰერცისადმი [Althoff, 2003: 6-12]; 11. ავსტრიის ელჩის კობენცლის იმპერატორ იოზეფ II-ისათვის 1782 წ. 4 დეკემბერსა და 1783 წ. 18 იანვარს გაგზავნილი მოხსენებები [Joseph II, 1901a: 365-366]; 12. კონსტანტინოპოლზე შოტლანდიელი ადმირალის სამუელ გრეიგის მონაწილეობით მომზადებული საზღვაო თავდასხმის გეგმა [Русская старина, 1878; Грейг, 1882].

კვლევის შედეგები

ბერძნული პროექტის პოლიტიკური წანამძღვრების თვალსაზრისით იკვეთება სამი უმნიშვნელოვანესი პლასტი:

1. 1774 წ. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ აშკარად გამოჩნდა ოსმალეთის იმპერიის განეიტრალების რეალური შესაძლებლობები და საქმის ბოლომდე მიყვანის შანსი [Bronza, 2010: 53-58; Дружинина, 1955: 76-87; Якушев 2021: 45-48].
2. ევროპის ნებისმიერი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია იმ პერიოდისათვის არსებულ ვესტფალიის საერთაშორისო სამართლებრივ სისტემურ მოდელს უნდა დამორჩილებოდა [Manzano, 2007: 620-642; Дюпарк, 1948: 55-59; Грацианский, 1950a; Грацианский, 1950b], რაც ცალსახად მიანიშნებდა, რომ ანტიოსმალური კამპანია ამ მოდელის კონცეპტუალურ ნორმებს უნდა დაფუძნებოდა.
3. 1779 წლის ტუშენის ზავმა რუსეთს ევროპის არბიტრის სტატუსი ოფიციალურად დაუმკვიდრა, რომლის შემდეგაც განსაკუთრებული მასშტაბებით გამოიკვეთა სანქტ-პეტერბურგის იმპერიული ამბიციები, რაც თავის მხრივ იყო ცალსახა ამბიცია, რომ ევროპაში დომინანტის პრეტენზიის მქონე ოსმალეთის როლი რუსეთს დაეკავებინა [Natsvaladze, 2021g: 162-167; Natsvaladze, 2021h: 73-82; ნაცვალაძე, 2021a: 246-257; ნაცვალაძე, 2021b: 185-192].

საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის შექმნის აუცილებლობა ევროპის მრავალწახნაგოვან დაპირისპირებების ფონზე XVIII ს-ის 40-იანი წლებიდან გამოიკვეთა. შეიქმნა უპრეცედენტო რეალობა, როცა ერთმორწმუნეობა აღარ იყო სახელმწიფოთა მოკავშირეობისათვის საკმარისი საფუძველი. ამ პროცესის პირველი ნიშნები გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიაში გაჩნდა. აქ არსებულმა დაპირისპირებებმა ევროპა ოცდაათწლიან ომთან მიიყვანა. რელიგიური დემაგოგიის კასკადმა საკმაოდ მძაფრი პროტესტი გამოიწვია ევროპაში, შესაბამისად ტრადიციული კათოლიკური სარწმუნოების გვერდით აღმოცენდა პროტესტანტული და ლუთერანული ეკლესიები, რომელნიც თვითდამკვიდრებისთვის იბრძოდნენ.

ხანგრძლივმა დაპირისპირებამ რელიგიური მოტივით უმძიმეს რეალობამდე მიიყვანა ბებერი კონტინენტი. როგორც ვესტფალიის ზავის პრეამბულაშია მითითებული, ოცდაათწლიანი ომისას „დაწყებული უთანხმოებებისა და პრობლემების შედეგად იმდენად გაიზარდა სისასტიკე, რომ ომში არა მხოლოდ მთელი გერმანია, არამედ შვედეთი და საფრანგეთი ჩაერთო... ხანგრძლივმა და სასტიკმა დაპირისპირებამ საშინელი ქრისტიანული სისხლისღვრა და მიწათა დანაწევრება მოუტანა კაცობრიობას“ [Westphalia 1648; Beaudry, 2003]. გაწყდა მაშინდელი ევროპის თითქმის ერთი მეოთხედი. აშკარად გამოჩნდა, რომ შუა საუკუნეების დროინდელ რელიგიაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ სქემებს ყავლი გაუვიდა, რასაც ადასტურებდა მანამდე უპრეცედენტო ფაქტი – საფრანგეთის ჩართვა ოცდაათწლიან ომში არა ერთმორწმუნე საღვთო რომის იმპერიის მხარეს, არამედ მის წინააღმდეგ [Wilson, 2012: 276-289; Bonney, 2002: 43-56; Wedgwood, 2005: 342-377; Семченков, 2009: 83-98]. 1648 წელს ვესტფალიის ზავმა ახალი პოლიტიკური წესრიგი დაამყარა ევროპაში.

დამოუკიდებელი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთის საქმეში არ ჩაერეოდნენ. ეს ყველაზე მეტად მცირე სახელმწიფოებისათვის იყო სასარგებლო, როგორც თავდაცვის მანამდე უპრეცედენტო

მექანიზმი. შესაბამისად, მცირე სახელმწიფოების დაცვის საერთაშორისო სისტემა, ვესტფალიის მოდელი, გახდა შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის პოლიტიკური სისტემის წყალგამყოფი. 1648 წლის ვესტფალიის ზავმა მნიშვნელოვნად შეზღუდა საღვთო რომის იმპერია, რომელსაც პრეტენზია გააჩნდა ერთმორწმუნე სახელმწიფოები საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია. სწორედ ამიტომაც გამწვავდა წინააღმდეგობა საფრანგეთსა და საღვთო რომის იმპერიას შორის.

საღვთო რომის იმპერიაში შემავალი სახელმწიფოების თავისუფლებამ მცირე სახელმწიფოების განვითარებას მისცა ბიძგი. ვესტფალიის ზავმა უდიდესი გავლენა იქონია საღვთო რომის იმპერიის მდგომარეობაზე. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო ეს ზავი გერმანული სახელმწიფოებისათვის. ფაქტობრივად ამ ზავმა საფუძველი დაუდო საღვთო რომის იმპერიის ახალ საკანონმდებლო საფუძველს, რაც ფუნდამენტურ პრინციპებს ეხებოდა, შესაბამისად მეცნიერებაში არის მოსაზრება, რომ ვესტფალიის სამშვიდობო ზავის გადაწყვეტილებებმა საღვთო რომის იმპერიისათვის საკონსტიტუციო ნორმები შეითავსა [Беляев, 2011:22-24].

ამასთან, ვესტფალიის მოდელი არ წარმოადგენდა ვიწრო რეგიონალურ მოვლენას – ის ევროპული მასშტაბით საერთაშორისო ურთიერთობების ახალ უნივერსალურ მოდელს აყალიბებდა [Магилина, 2009: 19-22]. იკვეთება შეუქცევადი პროცესის კონტურები, რომელიც ცხადყოფს, რომ ადრე თუ გვიან, ვესტფალიის სისტემას გვერდს ვერ აუვლიდნენ ის ქვეყნებიც (მათ შორის რუსეთი, ქართული პოლიტიკური სამყარო), რომლებიც მასში იმთავითვე არ მონაწილეობდნენ. სწორედ ეს გამოჩნდა უკვე XVIII ს-ის დამდეგიდან, როდესაც რუსეთის ენერგიულ ხელმწიფეს – პეტრე I-ს გაუჩნდა ამბიცია შეექმნა ახალი ევროპული ყაიდის სახელმწიფო და მისი ქვეყანა ეზიარებინა ევროპული ცივილიზაციისათვის, დაემკვიდრებინა რუსეთში ევროპული კულტურის, ყოფის, სამართლისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების ნორმები, საგარეო პოლიტიკაში კი ეხელმძღვანელა ვესტფალიის ზავით დადგენილი პოსტულატებით.

ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება XVIII ს-ის 70-80-იანი წლებიდან კავკასიაში - როგორც კი ერეკლე მეორეს უჩნდება შანსი, თავი დააღწიოს რეგიონალური სახელმწიფოს მოდელს, დაუბრუნოს კავკასია მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებს, როგორც აქტიური, სრულფასოვანი ობიექტი და ამ გზით თვისებრივად ახალ რანგში აიყვანოს ქვეყანა, ისევე ვესტფალიის ზავის ნორმებია გადამწყვეტი.

ვესტფალიის ზავმა ცალსახად დაასაბუთა, რომ დასავლეთ რომის, როგორც ქრისტიანული ზესახელმწიფოს მოდელი შეუთავსებელი იყო რელიგიის პოლიტიზირებასთან. კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი დეტალი – რელიგიის პოლიტიზირებისას კონფლიქტები ჩიხში შედის და ფაქტობრივად გამოსავალი არ რჩება. სწორედ რელიგიის პოლიტიზირების მეშვეობით მიიღო უამრავმა კონფლიქტმა შეუქცევად ხასიათი საღვთო რომის იმპერიაში, რაც აღნიშნული რელიგიური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის კრახის მიზეზი გახდა. თუმცა, აქვე გამოიკვეთა ის ალტერნატივა, რომლითაც შეიძლებოდა როგორც განსხვავებული, ისე ერთი რელიგიის მქონე სახელმწიფოთა გარკვეულ ბლოკად გაერთიანება თავდაცვისა თუ აგრესიული პოლიტიკის გატარებისთვის [Беляев, 2021: 195-201]. ეს იყო ქრისტიანული ევროპის გლობალიზაციის თვისებრივად ახალი მოდელი, სადაც მთავარი პოსტულატი გახლდათ სახელმწიფოთა თავისუფალი ნება, თანასწორობის პრინციპის დაცვა [Croxtan, 2013: 122-172; Guthrie, 2003: 202-234] და არა რელიგია.

ამ შემთხვევაში შენარჩუნებული იყო ერთი მხრივ, ვესტფალიის სისტემური მოდელი, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფოთა თავისუფალი პოლიტიკური მისწრაფება არ იზღუდებოდა. ეს კავრებად გამოჩნდა ავსტრიის იმპერიის მაგალითზე [McGill, 1971: 237-246; Ивонин, 2007: 30-38; Монастырёва, 2009: 158-160]. მოგვიანებით, XVIII ს-ის 80-იან წლების დასაწყისში ერეკლე მეორე და ავსტრიელი დიპლომატი ვენცელ კაუნცი შეეცადნენ ეს ახალი შესაძლებლობები მეტ-ნაკლები წარმატებით პოლიტიკურ რეალობად ექციათ.

უნდა ითქვას, რომ ვესტფალიის ზავიდან XVIII ს. 80-იან წლებამდე არ იყო დიდი დრო გასული. ამ ხნის განმავლობაში თანდათანობით გამოიკვეთა ერთი რელიგიის მქონე სახელმწიფოთა გარკვეულ ბლოკად გაერთიანების ტენდენცია თავდაცვისა თუ აგრესიული პოლიტიკის გატარებისთვის [Беляев, 2021: 195-201], თუმცა ამ გაერთიანებისას მთავარი აქცენტი გადატანილი იყო არა რელიგიურ ერთიანობაზე, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესების თანხვედრაზე. ეს იყო ქრისტიანული ევროპის გლობალიზაციის თვისებრივად ახალი მოდელი, სადაც მთავარ პოსტულატს წარმოადგენდა

სახელმწიფოთა თავისუფალი ნება, თანასწორობის პრინციპის დაცვა [Croxtton, 2013: 122-172; Guthrie, 2003: 202-234]. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა XVIII ს. 70-80-იან წლებში, როდესაც ისახება ქრისტიანული ევროპის გლობალიზაციის კონტურები. ამ დროიდან სულ უფრო თვალსაჩინო ხდება ევროპის გლობალიზაციის პროცესის ხელშეწყობი პირობები:

1. ბუტაფორიად ქცეული „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ რეალურ ძალად გარდასახვის სურვილი საკმარისზე მეტია ავსტრიის საიმპერატორო კარზე [Padover, 1933: 354-365; Szabo, 1979: 402-406; Szabo, 1994: 225-267];
2. აშკარად ჩანს ერთიანი მართლმადიდებლური სივრცის პოლიტიკურ სივრცეში გადატანის სურვილი რუსეთის იმპერიის მხრიდან და ამ მიზნით ბერძნებისათვის განსაკუთრებული პრივილეგიების მინიჭება [Арш, 2000b: 209- 210; Арш, 1998: 70-77];
3. გამოკვეთილი იყო ბერძენთა [Арш, 2013: 37-45; Арш, 2000a: 201-202; Арш, 2000b: 209--210; Арш, 1998: 70-77] და სომეხთა [Иоаннисян, 1945: 117-134; Шаамирян, 1998; Нерсисян, 1990: 354-399; Мхитарян, 2019: 65-68; Авакян, 2017: 8-12; Хамада, 2012: 101-102] სწრაფვა საკუთარი სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ.
4. ამ პროცესისგან გარიყული არ უნდა ყოფილიყო ქართული პოლიტიკური სამყარო, კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფო, სადაც, ერთიან ქრისტიანულ სივრცეში ინტეგრირების გზას განიხილავდნენ, როგორც ამასიის სისტემური მოდელისაგან თავის დაღწევის რეალურ საშუალებას [შველიძე, 2014: 24-54].

შვიდწლიანმა ომმა და შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა – ქუჩუქ-კაინარჯის ზავმა ფაქტობრივად რადიკალურად შეცვალა რუსეთი. ეს უკვე ამბიციური სახელმწიფო იყო, რომელსაც ჰქონდა პრეტენზია გამხდარიყო საერთო-ევროპული პოლიტიკის განმსაზღვრელი. ამ ფონზე დასავლეთის სახელმწიფოებში შეიქმნა ილუზია, რომ ოსმალეთის იმპერიის არსებობა დასასრულს უახლოვდება და მისი ბედი მთლიანად დამოკიდებული იყო რუსეთის ნებაზე [Захаров, 2002: 341-343].

ამის დასტურია თუნდაც ავსტრიის იმპერიის ელჩის ბარონ იოჰან ამადეუს ფრანც დე პაულა ტურგუტის იმპერატორ მარია ტერეზიასადმი წარდგენილი (1774 წ. 3 სექტემბრით დათარიღებული) მოხსენების შემდეგი პასაჟი: „20 ათასიანი რუსული ესკადრა ზურგის ქარის პირობებში ქერჩიდან დაუბრკოლებლად მიაღწევს კონსტანტინოპოლის კედლებს... ოსმალეთის იმპერიის შენარჩუნება დამოკიდებული იქნება არა ევროპულ სახელმწიფოებზე, არამედ მხოლოდ რუსეთის კეთილ ნებაზე. სავსებით ბუნებრივია, რომ მას შემდეგ რაც რუსები დაასრულებენ გემთშენებლობისა და ნავსადგურების სამუშაოებს, რაც, რა თქმა უნდა, დიდხანს არ გაჭიანურდება, შეიძლება ველოდოთ, რომ ისინი კონსტანტინოპოლს აიღებენ რამდენიმე საათში. ამ დედაქალაქის დაცემა იმდენად მოულოდნელი იქნება, რომ ეს მოხდება უფრო მალე, ვიდრე რუსული ჯარების გადაადგილების შესახებ ახალი ამბები მიაღწევს რუსეთის საზღვრებთან ყველაზე ახლო მყოფ ქრისტიანულ სახელმწიფოებში“ [Захаров, 2002: 341].

1774 წლის ქუჩუქ-კაინარჯის ზავმა ბევრი პრობლემა ღიად დატოვა. არ შეეგუა დამარცხებას ოსმალეთის იმპერია, თავის მხრივ რუსეთის სამხედრო ძალები არ დაბრუნებულან თავიანთი მუდმივი ლოკაციის ადგილას. ბესარაბიაში მათ წინააღმდეგ იდგა ოსმალეთის არმია, რუსული გემები ყირიმის სანაპიროს სიახლოვეს დაცურავდნენ, რაც ასევე ომისწინა დაძაბულ სიტუაციას ქმნიდა, სწორედ ამიტომ 1779 წ. მარტში სიტუაციის განმუხტვისათვის საჭირო გახდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ქუჩუქ-კაინარჯის ზავის განმარტებითი კონვენციის გაფორმება [Петров, 1880a: 13], რითაც რუსეთმა კიდევ უფრო განიმტკიცა პოზიციები.

XVIII ს. ევროპის პოლიტიკურ წრეებში რუსეთის ერთგვარად დუალისტური სახება გააჩნდა – ერთნი რუსეთს ევროპის მხსნელად მოიაზრებდნენ, მეორენი კი ევროპისათვის მთავარ საფრთხედ მიიჩნევდნენ. საგულისხმო კი სწორედ ის იყო, რომ ეს ორი, ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავებული პოზიცია ეყრდნობოდა ერთსა და იმავე, პოლიტიკური ბალანსის კონცეპციას, რომელიც განმსაზღვრელ როლს ასრულებდა XVIII –XIX ს. I ნახევრის საერთაშორისო პოლიტიკაში. არანაკლებ საინტერესო იყო ზოგადად რუსეთის აღქმა ევროპული საზოგადოების თვალში. ერთი მხრივ, რუსეთი ითვლებოდა ევროპის ნაწილად და პოლიტიკურ ძალთა ბალანსის მთავარ გარანტად, მეორე მხრივ, კი პეტრე I-ის ნაყალბევი ანდერძის გავრცელებითა და პოპულარიზაციით, მოიაზრებოდა აგრესორად და იმ სახელმწიფოდ, რომელიც მუდმივად ლამობდა სხვა ქვეყანაში შეჭრას, ცდილობდა ჰეგემონობის

მოპოვებას, რითაც საფრთხეში აგდებდა ევროპული პოლიტიკური ბალანსის სიმყარეს [Ragsdale, 1988: 98-108].

გერმანული სამყარო შეშფოთებული იყო საღვთო რომის იმპერიის შიგნით არსებული დაძაბული ვითარებით, ავსტრიისა და პრუსიის ხანგრძლივი და მძაფრი დაპირისპირებით, რასაც ემატებოდა ტრადიციული დაპირისპირება აღმოსავლეთსა და დასავლეთს (ამჯერად რუსეთსა და საფრანგეთს) შორის [Трачевский, 1877: 34-90]. სწორედ ამ კონტექსტის გათვალისწინებით ყალიბდებოდა ანტიოსმალური კამპანიის ახალი მოდელი, ბერძნული პროექტი.

ეკატერინე II თავისი მმართველობის პირველივე წლებიდან ოცნებობდა ყოფილიყო ევროპის სახელმწიფოთა კონფლიქტების მომრიგებელი-მოსამართლე. პირველივე ასეთი შესაძლებლობა გაჩნდა შვიდწლიანი ომის დასრულების შემდეგ – 1763 წელს, როცა მზადდებოდა გუბერტსბურგის ზავი ავსტრიას, საქსონიასა და პრუსიას შორის [Лыпанова 2008b: 133-138]. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერატორი დაბეჯითებით ითხოვდა ზავის დადების პროცესში ჩართულიყო რუსეთი მომრიგებლის სტატუსით, დაპირისპირებულმა მხარეებმა ეს არ მიიღეს, რაც რუსული დიპლომატიის მარცხად შეფასდა [Кобзарева., 2020: 147-156].

ამგვარი ინიციატივა რუსეთს 1775 წელსაც ჰქონდა, როცა სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარი მშვიდობისმოყვარის სტატუსით სთავაზობდა ოფიციალურ ლონდონს კონფლიქტის მოგვარებას ამერიკის ბრიტანულ კოლონიებთან. რამდენიმე წლის შემდეგ, 1779 წელს რუსეთს მომრიგებელი მოსამართლის სტატუსის მიღების ახალი შანსი გაუჩნდა, როდესაც რუსულ დიპლომატიას მიეცა საშუალება აქტიურად ჩარეულიყო ბავარიის მემკვიდრეობისათვის გაჩაღებულ ავსტრია-პრუსიის ხანგრძლივ კონფლიქტში [Рагозин, 2015: 18-25]. ამ მოლაპარაკებებზე რუსულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა, იმპერატორთან დაახლოებული ნიკოლაი ვასილის ძე რეპინი რომელიც შეეცადა რუსეთი შვედეთის ნაცვლად ეცნოთ ოფიციალურად ვესტფალიის ზავის გარანტად [СИРИО, 1888: 343-404].

სანქტ-პეტერბურგიდან იყო ოფიციალური დირექტივა, რომ რუსულ დიპლომატიას იგივე სტატუსი უნდა მოეპოვებინა, რაც საფრანგეთს გააჩნდა, როგორც პრუსიის მხარდამჭერსა და ვესტფალიის ზავის გარანტს [Нерсегов, 1988: 165-177]. რუსეთისათვის ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯი გახლდათ, რამდენადაც ამგვარი სტატუსი მას საშუალებას აძლევდა გავლენა მოეხდინა თავად ავსტრიის იმპერატორსა და შესაბამისად საღვთო რომის იმპერიაზე. ნიკოლაი რეპინი მოითხოვდა რუსეთის ამბიციები, ნათლად, ორაზროვნების გარეშე, ანუ *Expressis verbis*-ის პრინციპით ასახულიყო ტეშენის ზავის პრეამბულაში, როგორც საღვთო რომის იმპერიის კონსტიტუციის გარანტი [Шляпникова, 2008: 60-65; Лонко, 2010: 13-18].

აღსანიშნავია, რომ ამ მოთხოვნებს გარკვეული წინააღმდეგობა შეხვდა გერმანელი იურისტების მხრიდან. კერძოდ, იოჰან მოზერი მიანიშნებდა, რომ რუსეთის ამგვარი როლი ვითარებას კარდინალურად ცვლიდა არა მარტო ევროპაში, არამედ თავად იმპერიის შიგნითაც, რამდენადაც საღვთო რომის იმპერია უამრავი ეროვნული გაერთიანებისაგან შედგებოდა [Белойсоев, 2002: 67-144]. ეს შიში საფუძვლიანი იყო, რამდენადაც რუსეთი სწორედ იმას ცდილობდა, რომ მოეპოვებინა მაქსიმალური გავლენა ერთ-ერთ გერმანულ სახელმწიფოზე და საჭიროების შემთხვევაში შეძლებოდა სასურველი მოდელით მისი არათუ მართვა, არამედ პარალიზებაც კი [Дыхардт, 2011: 527-528].

ამ კუთხით განსაკუთრებით საგულისხმოა რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორის მიერ გერმანელი მეცნიერის გერხარდ მიულერისადმი მიცემული დავალება, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ქვეყნებთან რუსეთის ურთიერთობების აღწერა სწორედ ვესტფალიის ზავის პერიოდიდან დაეწყო და ამ პრინციპით სრულად გამოეცა სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულებები, ზავები და ტრაქტატები [Дыхардт, 2011: 528]. უნდა ითქვას, რომ ეს იდეა განუხორციელებელი დარჩა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მიულერი გარდაიცვალა. თუმცა, იდეა მაინც აღსრულდა ერთი საუკუნის შემდეგ, როცა ყირიმის ომში დამარცხებული და თავმოყვარეობაშელახულ რუსეთს რეპუტაციის აღდგენისათვის სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარს გაახსენდა როგორც ბერძნული პროექტი, ასევე კონსტანტინოპოლის აღების გეგმა და ვესტფალიის ზავი.

იდეა აღასრულა ფრიდრიხ-ფრომჰოლდ მარტენსმა, რომელმაც საკმაოდ ფასეულ დოკუმენტებს მოუყარა თავი და 1874-1909 წლებში გამოსცა რუსეთის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული ტრაქტატებისა და კონვენციების კრებულის ხუთმეტტომიანი. ამ უნიკალურ დოკუმენტებს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ტეშენის საზავო ხელშეკრულებაში ეწერა, რომ რუსეთის (ასევე საფრანგეთის) შუამავლობის წყალობით, რომელიც მისი მოკავშირის ავსტრიის მიერ იყო მოწვეული, მოხერხდა სისხლისღვრის თავიდან აცილება. ეს ზავი ადგენდა საკანონმდებლო ურთიერთობებს პრუსიის, ავსტრიისა და სხვა გერმანულ სახელმწიფოებს შორის [Мартенс, 1875: 70-86]. ამასთან უმნიშვნელოვანესი იყო, ერთი მხრივ, ვესტფალიის 1648 წლის ზავისა და, მეორე მხრივ, 1648 წლის შემდეგ ავსტრიასა და პრუსიას შორის დადებული ხელშეკრულებებისა და ტრაქტატების დადასტურება. სპეციალური სტატიით რუსეთი და საფრანგეთი შეუერთდნენ ხელშეკრულებას ზავის გარანტიის რანგში. ეს სტატუსი დააფიქსირა ორივე მხარემ ხელის მოწერით – რუსეთის მხრიდან თავადმა ნიკოლაი ვასილის ძე რეპინმა, ხოლო საფრანგეთის მხრიდან ავსტრიაში საფრანგეთის ელჩმა ბარონმა ლუი ოგიუსტ დე ბრეტელიმა [Мартенс, 1875: 90-95].

ტეშენის ზავი რუსეთის დიპლომატიის უდიდეს გამარჯვებად შეფასდა, ამ ზავმა განამტკიცა რუსეთის იმპერიის პოზიციები გერმანულ სახელმწიფოებში. ეკატერინე II გამოდიოდა გერმანული სახელმწიფოების კანონით დადგენილი წესრიგის გარანტად, რამაც შემდგომში მას მისცა საშუალება ყოველგვარი ცერემონიის გარეშე საკუთარი სურვილისამებრ ჩარეულიყო პრუსიისა და სხვა გერმანული სახელმწიფოების საქმეებში წონასწორობის იდეისა და საღვთო რომის იმპერიის ხელშეუხებლობის გარანტიის დაცვის საბაბით.

რუსული დიპლომატიის ეს გამარჯვება აყალიბებდა საერთაშორისო პოლიტიკური წრეების შემგუებლურ დამოკიდებულებას სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარის აგრესიისადმი, რაც ცალსახად წამახალისებელი გახლდათ რუსეთის იმპერიის აგრესიული პოლიტიკისათვის. ეს განცდა და განწყობა უფრო გაღრმავდა 1779 წელს ტეშენის ზავის შემდეგ, რომლის შედეგადაც სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარი ევროპამ მომრიგებელ მოსამართლედ და ავსტრიის იმპერიის დამცველად აღიარა.

ტეშენის ზავის შედეგად შექმნილმა რეალობამ ფაქტობრივად ჩამოაყალიბა და საბოლოო სახე მისცა ეკატერინე II-ის საგარეო-პოლიტიკურ ხედვას ზოგადად. როგორც გერმანელი მკვლევარი, მაინცის ევროპის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი ჰაინც დუჰნარტი წერს: „ვესტფალიის ზავის წყაროები მხოლოდ ერთს მიაჩნებოდა: ეკატერინეს სურდა შუამავლობა, რათა ამ გზით მიეღწია აბსოლუტურად სხვა მიზნებისთვის და არა მარტო ავსტრია-პრუსიის მორიგებისთვის, რომელიც რუსეთისთვის აბსოლუტურად მეორეხარისხოვან ამოცანას წარმოადგენდა. 1779 წელს შუამავლობა იყო ის ბერკეტი, რომლითაც მას შესაძლებლობა ეძლეოდა შეესრულებინა აბსოლუტურად განსხვავებული როლი გერმანულ იმპერიაში. ვესტფალიის ზავი და ამ ზავის გარანტიის სტატუსი იყო ფაქტობრივად შესასვლელი ბილეთი გერმანულ სამყაროში“ [Духардт, 2011: 528].

შვიდწლიანმა ომმა უმძიმესი შედეგები დაუტოვა რომის საღვთო იმპერიას. 1770 წლიდან მთავარი იყო საფრანგეთზე გავლენის მოპოვება [Horn, 1957: 454-461]. მას შემდეგ რაც იმპერია დაუკავშირდა ვენის საიმპერატორო კარს, საჭირო იყო შიდაპოლიტიკური სირთულეების მოგვარება. გამოიკვეთა ანტიმონარქიული განწყობები. რთული ვითარება შეიქმნა პრუსიაში, სადაც ყველა ფენა უკმაყოფილებას გამოთქვამდა შვიდწლიანი ომის შედეგებით. გერმანულენოვანი სამყარო დაქსაქსული იყო. მხოლოდ რამდენიმე ჰერცოგი თუ აცხადებდა იმპერიის ფარგლებში ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების სურვილს, შესაბამისად ერთიან პოლიტიკურ სივრცეში გაერთიანებას უდიდესი სახელმწიფოებრივი ძალისხმევით [Петрова, 2020: 63-71].

რუსეთის ახალ როლს გერმანულ არეალში იოლად ვერ შეეგუვნენ. ეჭვები და წინააღმდეგობების კასკადი კარგად გამოჩნდა მაშინ, როცა რაიხსტაგს წარუდგინეს ტეშენის ზავი რატიფიკაციისათვის. მთელი რიგი ფენები წინააღმდეგნი იყვნენ ტეშენის ზავის ტექსტში მოხსენიებული ყოფილიყო ვესტფალიის ზავი და მითუმეტეს ამ ზავთან მიმართებაში რუსეთის იმპერია, როგორც ზავის გარანტი [Духардт, 2011: 529]. ტეშენის ზავის ამგვარი ფორმულირება ცვლიდა იმპერიის კონსტიტუციას, რომლის პრეამბულაში ნახსენები პოსტულატები კატეგორიულად გამორიცხავდა რაიმე ცვლილებას. ვენაც და ბერლინიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არცერთ სამშვიდობო ხელშეკრულებას არ შეეძლო იმპერიულ

კანონს აღდგომოდა წინ, თუმცა, რუსული პოლიტიკური ინტრიგები სანქტ-პეტერბურგისთვის მოვლენათა სასურველი მიმართულებით განვითარების თვალსაზრისით, საბოლოო ჯამში გადამწყვეტი აღმოჩნდა.

როგორც გერმანელი მკვლევარი ჰაინც დუჰნარტი წერს: „რუსეთის, როგორც ევროპის არბიტრის სტატუსის აღიარებას ხელი შეუწყო საერთაშორისო პოლიტიკაში ევროპასთან მიმართებაში რუსეთის „სუფთა წარსულმა“, რაც კონკრეტულად გამოიხატებოდა იმ ურთიერთობებითა და შესაძლებლობებით, რაც რუსეთს საღვთო რომის იმპერიასთან გააჩნდა. ეს ურთიერთობები არ იყო გართულებული ერთი მხრივ, როგორც საფრანგეთის შემთხვევაში და მეორე მხრივ ურთიერთ სამართლებრივი ბრალდებებით, როგორც ავსტრიისა და პრუსიის შემთხვევაში [Духардт, 2011: 528-529]. სწორედ ეს თავისუფალი და სუფთა წარსული უღვიძებდა რუსეთისადმი ნდობას გერმანიის სხვადასხვა ფენებს.

საგულისხმოა ისიც, რომ სტატუს-ჟგოს შენარჩუნების თვალსაზრისით ვესტფალიის ზავის გარანტი სახელმწიფოები საფრანგეთი და შვედეთი რუსეთს კონკურენციას ვერ უწევდნენ გერმანიაში. საფრანგეთი ზომაზე მეტად იყო დაინტერესებული გერმანული საქმეებით, რაც მისი, როგორც მიუკერძოებელი არბიტრის სტატუსს სერიოზულად აყენებდა ეჭვქვეშ. რაც შეეხება შვედეთს, ჩრდილოეთის ომის შემდეგ საგრძნობლად იყო დასუსტებული.

რუსეთმა შექმნა ილუზია, რომ მიზნად ისახავდა გერმანული იმპერიის კონსტიტუციის დაცვას, თითქმის ეს იყო საშუალო და წვრილი გერმანელი თავადების ინტერესების დაცვა. სწორედ ამ კომპონენტებითა და იურიდიული, თუ საერთაშორისო ინსტრუმენტებით მიიღო რუსეთმა ევროპის საქმეებში ჩარევის ლეგიტიმური უფლებები. აქამდე ის მონაწილეობას იღებდა ევროპულ კონფლიქტებში როგორც მხარე, როგორც კონფლიქტის მონაწილის მხარდამჭერი, ტემენის ზავის შემდეგ კი მომრიგებელი მოსამართლის მანტია მოირგო.

საფრანგეთთან ერთად რუსეთმა დაიკავა კონტინენტის ის ადგილი, რომელიც მანამდე შვედეთს ჰქონდა. გერმანელი ინტელექტუალთა უმრავლესობას ეს ფაქტორი მიაჩნდა საღვთო რომის იმპერიის კრიზისად, რომელსაც აღარ შესწევდა ძალა დაეძლია გერმანული დუალიზმი [Иголкин, 2010: 45-120]. გერმანულ წვრილ სამეფო სამთავროებისთვის აშკარა იყო რომ მათ სუვერენიტეტს საფრთხე სწორედ ორი დიდი გერმანული სახელმწიფოსგან – პრუსიისა და ავსტრიისაგან ემუქრებოდა.

სანქტ-პეტერბურგში, საგარეო საქმეთა კოლეგიასთან ჩამოყალიბდა სპეციალური განყოფილება, რომლის დანიშნულებაც იყო შიდა გერმანულ კონფლიქტების მართვა. ავსტრია პრუსიის დაძაბული ურთიერთობის ფონზე ხშირად მიმართავდნენ წვრილი გერმანული სახელმწიფოები სანქტ-პეტერბურგს მათთვის სასურველი საკითხის გადასაჭრელად, რაც უმთავრესად სხვა უფრო სუსტი სახელმწიფოს დაპყრობის სანქციის გაცემას გულისხმობდა. აქედან მოყოლებული, არა მარტო საერთო იმპერიული, არამედ გერმანულ მონარქთა კერძო საქმეების ბედი, სწორედ რუსეთის დედაქალაქში წყდებოდა [Заиченко, 2011: 103-107].

ამასთან საკმაოდ დიდი როლი დაეკისრა რეგენსბურგის რაიხსტაგში დანიშნულ ელჩს ნიკოლაი პეტრეს ძე რუმინანცევს, რომელიც 1796 წლამდე აქტიურად ერეოდა საღვთო რომის იმპერიის საშინაო საქმეებში. რუმინანცევმა სცადა იმპერიაში „რუსული პარტიის“ ჩამოყალიბება, რომელიც ფაქტობრივად მეზუთე კოლონიის როლი უნდა შეესრულებინა, თუმცა, ეს ვერ მოახერხა. მიუხედავად ამისა, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ გერმანული სახელმწიფოები ტემენის ზავის შემდგომ შეეგუენ რუს მონარქთა კონტროლს [Молчанов, 2001: 172-180; Лопатников, 2011: 211-245].

როგორც არაერთი გერმანელი დიპლომატი ვარაუდობდა, რუსეთის ახალ რანგში წარდგენას არ დაუნგრევია ვესტფალიის ზავის სამართლებრივი სისტემა. აშკარა გახდა, რომ გაურკვეველ ვითარებაში გამოჩნდა მესამე ძალა, რომლის გავლენაც აღიარა ორივე გერმანულმა სახელმწიფომ. რუსეთმა იმპერიული პოლიტიკის მესამე პოლუსის როლი მოირგო, საფრანგეთის მსგავსად.

ტემენის ზავმა რუსეთს საერთაშორისო დიპლომატიურ არენაზე გაუხსნა ახალი ასპარეზი, რაზეც ეკატერინეს წინამორბედებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ. ის უარყოფითი დამოკიდებულება, რაც იმპერიის სხვადასხვა ფენებს გააჩნდათ რუსეთის მიმართ რადიკალურად შეიცვალა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ. ტირის სასახლის კარი, რომელმაც არაერთი ფრანგი დევნილი შეიფარა, მიმართავს ეკატერინე II-ს, როგორც იმპერიული კონსტიტუციის გარანტს, დაიცვას

მონარქიული ევროპა რევოლუციონერთა შეტევისაგან. რევოლუციური ტალღის წინააღმდეგ მოქმედება ეს თავად რუსეთის ინტერესებში შედიოდა, შესაბამისად, ის საკუთარ სახელმწიფოებრივ ინტერესებს უფრო იცავდა, ვიდრე საფრანგეთის ინტერესებს [Чудинов, 1989: 177-178].

1775-1783 წლების ინგლის-საფრანგეთის კონფლიქტში, რომელიც პროვოცირებული იყო ჩრდილო ამერიკის ბრიტანულ კოლონიებში დაპირისპირების ფონზე, ეკატერინე II მომრიგებლის როლს კისრულობს. სახასიათო დეტალია, რომ ამ საქმეში ასევე შუამავლის სტატუსით ეკატერინე ცდილობდა საღვთო რომის იმპერატორის, ჰაბსბურგი იოზეფ II-ის ჩართვას [Madariaga 1962: 264–288]. მსგავსი ამბიცია და გეგმა ჰქონდა ეკატერინეს ინგლის-ჰოლანდიის დაპირისპირებისას [Madariaga, 1962: 296-312]. როგორც ამერიკელი მკვლევარი, კორნელის უნივერსიტეტის დოქტორი, სამხრეთ კაროლინას შტატის ჩეპერ ჰილის უნივერსიტეტის პროფესორი დავიდ გრიფითსი მიაჩნებს, სიტუაციის განმუხტვა ილუზიად დარჩა, რამდენადაც კონფლიქტში მომრიგებლის სტატუსით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ნიკოლაი პანინის ჩართვამ, მხოლოდ გააღრმავა უთანხმოება და დააჩქარა პროცესი, რის შედეგადაც როგორც ინგლის-საფრანგეთის ასევე ინგლის-ჰოლანდიის კონფლიქტის ფეთქებადსაშიში სიტუაცია სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა [Griffiths, 1969: 3-12; Гриффитс, 2013b: 255-259]. ეს არ იყო გამონაკლისი. მომრიგებელი მოსამართლის სტატუსით რუსეთის იმპერიის ფაქტობრივად ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა [Гриффитс, 2013b: 237-239].

სულ უფრო იკვეთებოდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, რომლითაც ცხადი იყო, რომ ევროპის მომრიგებელი მოსამართლის სტატუსი სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარს საკუთარი აგრესიული პოლიტიკური მიზნების შესაფუთად სჭირდებოდა. ამის უტყუარი მაგალითია „ბერძნული პროექტის“ სახელით ცნობილი გეგმა, რაც ოსმალეთის იმპერიის განეიტრალებასა და მისი ტერიტორიების გადანაწილებას ითვალისწინებდა.

ეკატერინე მეორემ 1781 წელს დადო საიდუმლო ხელშეკრულება რომის საღვთო იმპერიის ახალ იმპერატორთან იოზეფ II-სთან, ისე რომ ფორმალურადაც კი არ გაუუქმებია პრუსიასთან დადებული ხელშეკრულება. ამ ახალი ხელშეკრულებით განისაზღვრა ბერძნული პროექტის პრინციპები და მიმართულებები. უნდა დაშლილიყო ოსმალეთის იმპერია, რომლის ტერიტორიის უმნიშვნელოვანეს ზღვისპირა ნაწილში აღდგებოდა საბერძნეთის იმპერია რომანოვების, კერძოდ ეკატერინეს შვილიშვილის კონსტანტინეს მმართველობით; ამასთან, ავსტრიისა და ყოფილი ოსმალეთის ტერიტორია გაიმიჯნებოდა ახლადშექმნილი დაკიის სამეფოთი, რომელსაც საბერძნეთის იმპერიის მსგავსად რუსეთისათვის ასევე ბუფერული სახელმწიფოს როლი უნდა ეტვირთა. ეს იყო კონსტანტინოპოლისა და მისი მიმდებარე სრუტეების დაკავების ტრანსფორმირებული გეგმა, რომელის აღსრულებაც რუსეთის საუკუნეების ოცნება გახლდათ.

კონსტანტინოპოლის დაპყრობის იდეას ეკატერინეს მმართველობისას განსაკუთრებით უჭერდა მხარს გრიგორი პოტიომკინი. მას აშკარად დასცინოდა ჩრდილოეთის ვექტორის იდეოლოგიი ნიკოლაი პანინი [Лупанова, 2008a: 108-109]. პანინი XVIII ს. 60-იანი წლებიდან რუსეთის დიპლომატიური უწყებას ხელმძღვანელობდა და ლობივდა რუსეთის, რეზ-პოსპოლიტისა და შვედეთის ერთიანი ბლოკის შექვრას საფრანგეთისა და ავსტრიის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ მარტო პანინს არ გააჩნდა ასეთი დამოკიდებულება ბერძნული პროექტისადმი. თავდაპირველად კონსტანტინოპოლის დაპყრობის იდეა სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ ევროპის დიპლომატიურ წრეებსაც. მაგალითად მარკიზ დე ვერკი, რომელმაც ვერსალს აღნიშნული პროექტის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ აცნობა, რაც პირადად შეესწრო, თუ როგორი აღფრთოვანებით შეხვდა ეკატერინეს იდეას იოზეფ II. დე ვერკი იმპერატორს განუმარტავდა – ადრე ამაზე არაფერს გეუბნებოდათ, რადგანაც ეს იდეა სისულელე მეგონათ [Лупанова, 2008a: 108].

სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარზე კარგად გრძნობდნენ, რომ ეს პროექტი დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა ევროპულ სახელმწიფოთა შორის, სწორედ ამაზე იზრუნა ალექსანდრ ბუხოროდკომ, იმპერატორის კანცლერმა, რომელიც ცალსახად მიუთითებდა იმ დათმობებს, რაზეც რუსეთი იყო თანახმა. მაგალითად, ის მზად იყო ავსტრიის გავლენის სფეროდ ეცნო სერბიის ნაწილი ბელგრადის ჩათვლით, ასევე ბოსნია, კრაიოვა. საფრანგეთს, რომელსაც ტრადიციულად ანტირუსული პოზიცია ეკავა, თავდაპირველად სთავაზობდნენ სრულ კარტ-ბლანშს ეგვიპტეში, თუმცა ვერსალი ვერ დაიყოლიეს.

რაც შეეხება ინგლისს, აქ საკმაოდ დიდი დიპლომატიური სამუშაოები მიმდინარეობდა. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა რუსეთის ელჩი სემიონ ვორონცოვის საქმიანობა, რომელიც მუდმივად უჩიჩინებდა ლონდონს საერთო ევროპულ ინტერესებზე. რა თქმა უნდა, ინგლისს რუსეთთან დაახლოება აწყობდა ანტიფრანგული განწყობების ფონზე და აუცილებელ პირობად აყენებდა, რომ სანქტ-პეტერბურგს უარი ეთქვა შეიარაღებულ ნეიტრალიტეტზე [Гребеншикова, 2007: 26-27], რამდენადაც სწორედ სანქტ-პეტერბურგის შეიარაღებულ ნეიტრალიტეტს განიხილავდა მისი, როგორც საზღვაო დომინანტის წინააღმდეგ მიმართულ დიპლომატიად ინგლისი.

ბუნებრივია, ინგლისს რუსეთის სახით სრულიადაც არ სჭირდებოდა კონკურენტი. ინგლისის რეალური ინტერესების უგულვებელყოფამ, საბოლოოდ ჩაშალა ინგლის-რუსეთის ალიანსის შესაძლებლობა. სემიონ ვორონცოვის მცდელობა ამაო აღმოჩნდა. ეკატერინესა და ალექსანდრ ბეზბოროდკოს მოუწიათ ცალსახად ეღიარებინათ, რომ ინგლისი არასდროს დაიცავდა რუსეთის ინტერესებს.

ასევე წარუმატებელი აღმოჩნდა ვერსალთან მოლაპარაკება, რამდენადაც ლუი XVI-ს არ სჯეროდა, რომ თურქების ევროპიდან განდევნა რწმენისა და მორალის ფარგლებს არ სცილდებოდა და რომ ამ იდეის მიღმა რუსული იმპერიული მისწრაფებები არ იყო. საპასუხოდ ბეზბოროდკომ საფრანგეთის მეფეს შესთავაზა რუსეთ-ავსტრია-საფრანგეთ-ესპანეთის ოთხმხრივი კავშირი, რომელიც აბსოლუტურად სხვა გეოპოლიტიკურ სურათს ქმნიდა ევროპაში, თუმცა, ლუი XVI-მ ესეც უარყო. გრაფ დე სეგიურს წინადადება მიეცა რუსეთთან ურთიერთობისას მხოლოდ სავაჭრო სფეროთი შემოფარგლულიყო, რაც ოფიციალურად გაფორმდა კიდეც 1787 წელს [Чепкасов, 2001: 207-218]. ის რომ ვერსალმა არანაირი პოლიტიკური ვალდებულებები არ აიღო თავის თავზე, აძლევდა იმის უფლებას რომ ოსმალეთის იმპერიისთვის ქმედითი დახმარება აღმოეჩინა ფლოტის გაძლიერებისა და ომისთვის მზადებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით ვერსალის მიერ სტამბულში გაგზავნილი იქნა ათეულობით ფრანგი ინჟინერ ოფიცერი [Чепкасов, 2001: 210].

XVIII ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე ტოტალური ანტიოსმალური კამპანიის დაწყება ობიექტურად უკავშირდებოდა ევროპის თეორიულ საფრთხეებს. არადა, როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, ეს იყო მხოლოდ ლეგენდა, რომელიც ოსმალთა წარსული აგრესიით იკვებებოდა და რაც ემსახურებოდა რუსული ექსპანსიის გამართლებას. მოვლენათა განვითარებამ ცხადად წარმოაჩინა, რომ რუსეთისათვის ამ საფრთხეების განეიტრალება მხოლოდ ნილაბი იყო იმისათვის, რომ ოსმალეთის იმპერიის დომინანტის ფუნქცია თავად ეკისრა.

გერმანელი მეცნიერის ედგარ ჰიოშის აზრით, განსაკუთრებული როლი ანტიოსმალური კამპანიის წამოწყებისა და საზოგადოების დაინტერესების საქმეში ითამაშეს ემიგრანტმა ბერძნებმა, რომლებიც ევროპის ქვეყნებისაგან სამშობლოს განთავისუფლებაში საქმეში დახმარებას ითხოვდნენ [Hösch, 1964: 168-169].

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთი საკმაოდ თამამად მოქმედებდა დაპყრობითი, აგრესიული გეგმების შემუშავებისას, ამის მიზეზს განმარტავს რუსი მკვლევარი პაველ მიტროფანოვი: „რუსეთის იმპერიას შეეძლო ყველა მიმართულებით ეწარმოებინა უსაფრთხო დაპყრობითი ომები, ისე რომ მოწინააღმდეგის მხრიდან სახელმწიფოზე თავდასხმის საშიშროება არ ყოფილიყო“ [Mitrofanov, 1910: 58]. ეს ის რეალობა იყო, რაც რუსეთის აგრესიულ ექსპანსიურ პოლიტიკას განსაკუთრებულად ახალისებდა.

ბერძნული პროექტის განხორციელებისთვის ხელსაყრელი დრო იყო შერჩეული. XVIII ს. 80-იანი წლებისთვის საგრძნობლად იყო დასუსტებული ოსმალეთის იმპერია, ამასთან, ოსმალეთის იმპერიის პოტენციურ დამცველებს იმ პერიოდში თავიანთი თავსატეხი ჰქონდათ და თურქეთისათვის არ ეცალათ. საფრანგეთი, ესპანეთი, ნიდერლანდები უპირისპირდებოდნენ ინგლისის გაერთიანებულ სამეფოს. ამ დაპირისპირებამ მაქსიმალურად გამოფიტა ყველა დაპირისპირებული მხარე და თითქმის ბოლომდე ამოწურა სამხედრო რესურსები. რჩებოდა პრუსია, რომლის ხანდაზმული მეფე ფრიდრიხ II ჩვეული აგრესიულობით ვეღარ გამოირჩეოდა. თანაც აშკარა იყო, რომ რუსულ-ავსტრიული ჯარები იოლად შეაჩერებდნენ პრუსიელებს. ერთი სიტყვით, როგორც ამერიკელი მეცნიერი დავიდ გრიფითსი მიუთითებს: „ბერძნული პროექტი“ არ იყო ეკატერინეს ან დასავლეთ ევროპის მმართველებისა და ისტორიკოსების ილუზია... მისი აქტუალობა არ შემოიფარგლებოდა 1780-იანი წლებით, თუმცა სწორედ ამ დროს არსებობდა მისი განხორციელების უდიდესი შესაძლებლობა“ [Грифитс, 2013a: 354].

ალექსანდრ ბეზბოროდკო თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში აღნიშნავდა: „თავიდანვე გავაცნობიერე, რომ „იმპერატორის განზრახვა საბერძნეთის მონარქიის აღდგენის შესახებ სერიოზული იყო“ [СИPIO, 1879: 444].

სხვაგვარად უყურებდა ამ საკითხს პრუსიის მეფე ფრიდრიხ II, რომელიც 1782 წ. 2 აპრილის პეტერბურგში გრაფ ჰერცს ვენეციიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წერდა: „საკმაოდ წინააღმდეგობრივი ამბები მოდის ჩემამდე იმის შესახებ, რომ რუსეთისა და ავსტრიის საიმპერატორო კარი უკვე შეთანხმდა, თუ როგორ უნდა გაინაწილონ ის ტერიტორიები, რომლის დაპყრობასაც ისინი აპირებენ. როგორც გავიგე ვენის საიმპერატორო კარს უნდა ერგოს არა მარტო ბელგრადი, არამედ თრაკიის, მოლდოვისა და ვლახეთის ნაწილი. თუმცა, ძნელია დავიჯერო, რომ ეკატერინე ასე ცუდად ზრუნავს საკუთარ ინტერესების დაცვაზე და მზად არის თურქეთის იმპერიის ნანგრევების უმეტესი ნაწილი გადასცეს ავსტრიელებს, გარდა კონსტანტინოპოლისა და ადრიანოპოლისა... საფრანგეთი, რომელმაც ასევე შეიტყო ორი საიმპერატორო კარის პროექტის შესახებ, თურქეთში განგაში ატეხა და თუ ეს პროექტი განხორციელდა, ჩანს რომ გადაწყვიტა მთელი ძალით შეეწინააღმდეგოს მას. თუმცა, ვფიქრობ, რომ ამ პროექტსაც იგივე ბედი ეწევა, რაც იმპერატრიცას მიერ წარმოდგენილ სხვ პროექტებს, რომლებიც უმეტესობის შემთხვევაში ქაღალდზე დარჩა, ისე, რომ ეკატერინეს თავი არ შეუწუხებია ზედმეტად მათი განხორციელებისათვის“ [Althoff, 2003: 6-12].

არადა, სათანადო პირველწყაროების მონაცემები და მოვლენათა სიტუაციური ანალიზი იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ეკატერინე II-ს გააზრებული ჰქონდა ბერძნული პროექტის როგორც გრძელვადიანი პერსპექტივა, ისე უმოკლესი გეგმები. შესაბამისად ეს პროექტი რამდენიმე ეტაპისაგან შედგებოდა. თავიდან რუსეთი გეგმავდა „ოჩაკოვის ციხესიმაგრის, ბუგსა და დნესტრს შორის არსებული ტერიტორიის, საბერძნეთის არქიპელაგის ერთი, ორი ან სამი კუნძულის და ყირიმის დაკავებას“ [Шиллер, 1892: 2-3]. თუკი ეს გამოიწვევდა ომს, რისი ალბათობაც რეალური იყო, მოლდოვის, ვლახეთისა და ბესარაბიის სამთავროები უნდა გაერთიანებულიყვნენ დაკიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომელსაც სათავეში ჩაუდგებოდა ქრისტიანი მონარქი. აქვე მოცემული იყო ის კრიტერიუმები, რომელიც განსაზღვრავდა ვის ჰქონდა დაკიის სამეფო ტახტის დაკავების შანსი. არჩევანი უნდა გაკეთებულიყო ან ადგილობრივი სამეფო წარმომადგენელზე, ანდა სხვა პირზე, რომელიც ორივე მოკავშირის ერთგული იქნებოდა.

ეკატერინე II დაკიის მეფედ პრინც გრიგორი პოტიომკინს მოიაზრებდა, რომელიც მისი ერთგული იყო. პოტიომკინს საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ტახტის მემკვიდრე პავლესთან. როგორც ავსტრიის ელჩი კობენცლი მიაჩნებდა: „პავლეს გამეფების შემთხვევაში პოტიომკინს ციმბირში გადასახლება ელოდა“ [Joseph II, 1901a:18]. საგულისხმოა ისიც, რომ პოტიომკინის გადარჩენის მექანიზმზე იმპერატორი სერიოზულად ფიქრობდა, სწორედ ამის გამოძახილი გვგონია ის ფაქტი, რომ ეკატერინე II თავს იზღვევდა და თუკი დაკიის მეფედ პოტიომკინის დასმა ვერ მოხერხდებოდა, ჰქონდა სათადარიგო ვარიანტი – ის გაემწყებინა კავკასიაში ქართულ-სომხური ერთიანი სამეფოს ერეკლე მეორისა და სომეხი ვაჭრის შაჰამირ შაჰამირიანის იდეის რუსულ ალტერნატივად მოაზრებულ სომხურ-ალბანური სამეფოს მეფედ.

ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარება იყო ის მთავარი წინაპირობა, რის გამოც ეკატერინე ჩქარობდა ბერძნული პროექტის დაწყებას. მას სურდა როგორც ჩრდილოეთში, ასევე სამხრეთით მოეპოვებინა მტკიცე პოზიცია. მოსამზადებელი სამუშაოები დაეკისრა გრიგორი პოტიომკინს. 1783 წ. 9 ივლისის წერილით იმპერატორი მას ავალებდა სწრაფად დაეკავებინა ყირიმი, მომზადებულიყო თურქეთთან ომისთვის და გადაედო შვედეთის მეფე გუსტავ III-სთან შეხვედრა [СИPIO, 1880: 263]. პროექტის სამზადისისადმი ეკატერინეს სერიოზულ დამოკიდებულებას ადასტურებს ასევე ავსტრიის ელჩი კობენცლი იმპერატორ იოზეფ II-ისათვის გაგზავნილ (1782 წ. 4 დეკემბერსა და 1783 წ. 18 იანვარს) მოხსენებებში [Joseph II, 1901a: 365-366]. უფრო ადრე, 1781 წ. 23 მაისს კობენცლი იმპერატორ იოზეფ II-ს წერდა: „ეკატერინეს მითითებებიდან აშკარაა, რომ საიდუმლო ხელშეკრულების მიზანი იქნება რუსეთთან ერთად ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიების განაწილება“ [Joseph II, 1901a: 152]. რუსეთის იმპერატორის დამოკიდებულებას საკმაოდ კარგად განმარტავს ვენცელ კაუნიცი: „წარმოუდგენელი იყო ის სიმსუბუქე, რომლითაც ეკატერინე ეპყრობოდა ასეთ გრანდიოზულ პროექტს“ [Joseph II, 1901a: 343].

ეკატერინეს გეგმით, მთლიანად უნდა განადგურებულიყო ოსმალეთის იმპერია. იოსებ II-ს გააჩნდა თავისი ინტერესები სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ამასთან გათვალისწინებული იყო ის ვარიანტიც, რომ თუკი დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ესპანეთი გადაწყვეტდნენ ოსმალეთის გამოსარჩლებას, მათთვის შეეთავაზებინათ ტერიტორიები ეგვიპტეში ან ხმელთაშუა ზღვის აფრიკის სანაპიროზე.

ეს ამბიციური პროექტი მოხსენიებულია როგორც „დიდი გეგმა“, ანუ „le grand projet“. საგულისხმოა, რომ ბერძნული პროექტის ფარგლებში 1783 წელს წარმოშობით შოტლანდიელი ადმირალის სამუელ გრეიგის მონაწილეობით მომზადდა კონსტანტინოპოლზე საზღვაო თავდასხმის გეგმა [Русская старина, 1878; Грейр, 1882]. პროექტის სერიოზული მომზადების მტკიცებულებაა ისიც, რომ ამ ღონისძიებისათვის ნიდერლანდების მთავრობას რუსეთის საიმპერატორო კარმა სესხი სთხოვა. თურქეთთან დაპირისპირებისათვის ყველაფერი მზად იყო, თუმცა, სიტუაცია შეიცვალა.

როგორც სამხრეთ კაროლინას შტატის ჩეპერ ჰილის უნივერსიტეტის პროფესორი დავიდ გრიფითსი აღნიშნავს, გრანდიოზული გეგმა არ განხორციელდა, რამდენადაც თურქეთმა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ უკან დაიხია და არ შეეწინააღმდეგა რუსეთს. არადა, ასეთი პასიური პოლიტიკა რუსეთ-ავსტრიისათვის მოულოდნელი იყო. შესაბამისად, სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო კარს თურქეთთან ომისათვის მიზეზი არ გააჩნდა და გამწვავებაზე არ წავიდა, რის გამოც პრობლემის მოგვარება მომავლისთვის გადადო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ოკეანესგალმა დადებულმა სამშვიდობო ზავმა რადიკალურად შეცვალა პოლიტიკური ფონი – ეკატერინე II-მ დაკარგა ყველაზე კარგი შესაძლებლობა, რაც კი ოდესმე ჰქონია ბერძნული პროექტის განსახორციელებლად. რუსეთის იმპერატორი არ ერიდებოდა საქვეყნოდ გამოეთქვა უკმაყოფილება ინგლის-საფრანგეთის დაზავების გამო. შესაბამისად მისი პოზიცია ცნობილი იყო ევროპის წამყვანი ქვეყნების თითქმის ყველა ელჩისთვის, კერძოდ კობლენცის (ავსტრია), ჰარისის (ინგლისის), ვერაკისა (საფრანგეთის) და შუმაკერისთვის (პრუსიის). ეკატერინე განსაკუთრებით აგრესიული იყო ბრიტანელების მიმართ [Гриффитс, 2013a: 362].

მიუხედავად ამისა, 1783 წელს ბერძნული პროექტის პროგრამა მინიმუმში წარმატებით განხორციელდა. ყირიმის დაპყრობა პირველი აუცილებელი ნაბიჯი იყო მომდევნო გრანდიოზული დაპყრობებისათვის. ინგლისის ელჩი სანქტ-პეტერბურგში ჯეიმს ჰარისი საკმაოდ სკეპტიკურად უყურებდა ასეთ გრანდიოზულ პოლიტიკურ გეგმებს. ამის დასტურია ის, რომ 1782 წ. 16-27 აგვისტოს ჩანაწერებში ყირიმის ანექსიის ფაქტს ინგლისელი დიპლომატი აფასებდა პოტიომკინის ავანტიურად. მისივე ცნობით, პოტიომკინის ამ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგებოდა რუსეთის საიმპერატორო კარის არაერთი ჩინოვნიკი. აი რას წერს ჰარისი პოტიომკინზე ყირიმის ანექსიის სურვილთან დაკავშირებით: „თუ ეს საქმე ჩაფლავდა, ის დაიღუპება, თუ წარმატებას მიაღწევს, ადრინდელზე უფრო ძლიერი გახდება...“ [Harris, 1844: 540].

ყირიმის დაპყრობის შემდეგ სულ სხვა პერსპექტივა გამოიკვეთა ბერძნული პროექტის განხორციელების კუთხით. საგულისხმოა, რომ ისტორიოგრაფიაში ბერძნულ პროექტთან მიმართებაში 1783 წლის მოვლენების განხილვისას მხოლოდ ყირიმის ეპოპეა ხაზგასმული. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის პარალელურად უმნიშვნელოვანესი როლი ჰქონდა 1783 წლის 24 ივლისს რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის გაფორმებულ გეორგიევსკის ტრაქტატს, რომელიც სწორედ ამ გლობალურ ფონზე, საერთაშორისო მოვლენების კონტექსტში უნდა განვიხილოთ და არა იზოლირებულად, როგორც ეს საბჭოურმა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიამ დაამკვიდრა. გეორგიევსკის ტრაქტატმა ფაქტობრივად სრული კარტ-ბლანში მისცა რუსეთის საიმპერატორო კარს, რომელსაც შეეძლო კავკასიის მხარდაჭერით ხმელეთიდანა და შეეტია ოსმალეთის იმპერიისთვის და უფრო ქმედითი გაეხადა ამ გრანდიოზული პროექტის აღსრულების შესაძლებლობა.

ყირიმის დაპყრობისა და გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ იყო ერთგვარი ტაიმ-აუტი. ეს იყო აბსოლუტურად ლოგიკური და ბუნებრივი. ეს გახლდათ მხოლოდ ლოგიკური, პოლიტიკური პაუზა და არა უარი გრანდიოზულ გეგმებზე. როგორც გრაფი, ლუდვიგ ფონ კობენცლი 1783 წ. 10 მაისს წერდა იმპერატორ იოზეფ II-ს: „რუსეთის იმპერატორმა დროებით უარი თქვა დიდი ჩანაფიქრის განხორციელებაზე და თავისი დაპყრობითი გეგმებიდან შემოიფარგლა ყირიმის შეერთებით“ [Joseph II, 1901a: 409].

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე კვლევის შედეგებით, ცალსახად წარმოჩინდა, რომ ბერძნული პროექტი იყო პროცესი, და არა ერთჯერადი აქტი. სწორედ ამ პროცესის გააზრება და ანალიზი გვაძლევს საშუალებას, ნათლად დავინახოთ ის მიზეზები, რომელთა გამოც უჩვეულოდ ფორსირებული, დატვირთული აღმოჩნდა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე მიმდინარე მოვლენები 1779 წლიდან მოყოლებული გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმების ჩათვლით, რამაც კარდინალური გავლენა იქონია ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაზე.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ლამბერტი, სკოფილდი 2017 – როგორ დაწეროთ ისტორია: შესავალი დისციპლინის ისტორიასა და პრაქტიკაში. რედაქტორები: პიტერ ლამბერტი და ფილიპ სკოფილდი; შესავალი წერილი, თარგმანის საერთო რედაქცია, კომენტარები მარიამ ჩხარტიშვილისა. თბილისი, თსუ-ს გამ-ბა, 2017. 433 გვ.

ნაცვალაძე 2020a - ნაცვალაძე მ. სპეცსამსახურების დაპირისპირების უცნობი დეტალები ერეკლე მეორის სამეფო კარზე, 2020 წლის 27-29 ნოემბერი თბილისი თელავი, ტექნიკური უნივერსიტეტი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-შემეცნებითი კონფერენცია, ნაწილი 1, თბილისი თელავი 2020, გვ 172-183

ნაცვალაძე 2020b - ნაცვალაძე მ. 1795 წელს საქართველოდან ევროპაში გაგზავნილი დღემდე უცნობი ელჩობის დეტალები, 15th INTERNATIONAL SILK ROAD VIRTUAL CONFERENCE აბრეშუმის გზის მე-15 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია October 09-10, 2020 Tbilisi, Georgia, გვ. 234-244

ნაცვალაძე 2020c - ნაცვალაძე მ. „ბერძნული პროექტის“ ქართული პარადიგმები, ქართველური მემკვიდრეობა XXIV, ქუთაისი, 2020 გვ. 124-139

ნაცვალაძე 2020d - ნაცვალაძე მ. გეორგიევსკის ტრაქტატის ქართულ-ავსტრიული უცნობი პრელუდიები, სამეცნიერო შრომების კრებული, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი № 1 (33) გამომცემლობა "უნივერსალი" თბილისი 2020 გვ. 31-43

ნაცვალაძე 2021a - ნაცვალაძე მ. შვიდწლიანი ომისა და ბერძნული პროექტის კავკასიური სეგმეტის ურთიერთმიმართებისათვის. 16th INTERNATIONAL SILK ROAD VIRTUAL CONFERENCE. Conference Proceedings. აბრეშუმის გზის მე-16 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია October 14-15, 2021 Tbilisi, Georgia, გვ 244-263

ნაცვალაძე 2021b - ნაცვალაძე მ. მსოფლიო იმპერიათა კავკასიური გამბიტი და ერეკლე მეორე. ქართველური მემკვიდრეობა XXV, ქუთაისი, 2021. გვ.183-201

ყორანაშვილი 2019 – ყორანაშვილი გ. გეოგრაფიული დეტერმინიზმი, გეოგრაფიული ფაქტორის გავლენა ისტორიულ მატერიალიზმში და გეოპოლიტიკა. თბილისი. კავკასია, 2019 212 გვ.

ყორანაშვილი 2018 – ყორანაშვილი გ. მაინც როგორ უნდა დაწეროთ ისტორია?! თბილისი, 2018 32 გვ.

ყორანაშვილი 1986 – ყორანაშვილი გ. პროფესია-ისტორიკოსი. თბ. ნაკადული, 1986. 134 გვ.

შველიძე 2014 - დიმიტრი შველიძე. საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ, თბილისი, მერიდიანი, 2014. 154 გვ.

ჩხარტიშვილი 2009 – ჩხარტიშვილი მ. ისტორიული მეცნიერების შესავალი. თბ. : უნივერსალი, 2009. 134გვ.

Abrams Lynn 2010 – Abrams Lynn. Oral History Theory, London: Routledge, 2010. 224 p.

Arneth, 1869 - Joseph II und Katharina von Russland. Ihr Briefwechsel, hrsg. von Alfred, Ritter von Arneth, Wien, 1869 s 446

Althoff 2003 - Politische Correspondenz Friedrichs des Großen. Bd. 47: April 1782 bis Dezember 1782, bearbeitet von Frank Althoff. Köln; Weimar; Wien: Böhlau, 2003 819 S

- Beaudry 2003 - The Economic Policy That Made the Peace of Westphalia by Pierre Beaudry, May, 2003 (EIR) https://archive.schillerinstitute.com/strategic/treaty_of_westphalia.html (бэбэбэбэ 29.08.2022)
- Bronza, 2010 - Bronza, Boro. The Habsburg Monarchy and the Projects for Division of the Ottoman Balkans, 1771–1788". *Empires and Peninsulas: Southeastern Europe between Karlowitz and the Peace of Adrianople, 1699–1829*. Berlin: LIT Verlag. 2010. pp. 51–62.
- Bonney, 2002 - Bonney, Richard. *The Thirty Years' War 1618—1648*. Osprey, 2002. 96 p.
- Bloch 1952 - Bloch M., *Apologie pour l'histoire ou métier d'historien*. Librairie Armand Colin, Paris, 2 édition, 1952, 112 p
- Brundage 2017 – Brundage Anthony. *Going to the Sources: A Guide to Historical Research and Writing*, 6th Edition. Wiley-Blackwell, 2017. 168 p.
- Collingwood 1993 – Collingwood R. G., *The Idea of History*. Rev. ed., edited and with a new introduction by J. van der Dussen, Clarendon Press, Oxford, 1993. 510 p.
- Doug, Reid, 2017 – Munro Doug, Reid John G. (eds.). *Clio's Lives: Biographies And Autobiographies Of Historians*, Acton: ANU Press, 2017. 330 p.
- Griffiths, 1969 - Griffiths D.M. Nikita Panin, Russian Diplomacy, and the American Revolution // *Slavic Review* 1969. Vol. 28. No. 1. P. 1–25.
- Croxton, 2013 - Croxton, Derek, *Westphalia : the Last Christian Peace*, Publisher: Palgrave Macmillan, New York, NY, 2013 256 P
- Guthrie, 2003 - Guthrie, William P., *The Later Thirty Years War : from the Battle of Wittstock to the Treaty of Westphalia*, London : Greenwood press, 2003. 307 P
- Gregory Ian, Ell Paul 2008 – Gregory Ian N., Ell Paul S. *Historical GIS: Technologies, Methodologies, and Scholarship*, Cambridge University Press, 2008. 240 p.
- Harris, 1844 - *Diaries and Correspondence of James Harris, First Earl of Malmesbury, Volume 1*, London 1844 542 p
- Hösch, 1964 - Hösch, E. "Das sogenannte 'griechische Project' Katharinas II: Ideologie and Wirklichkeit der russischen Orientpolitik in der zweiten. Hälfte des 18. Jahrhunderts." *Jahrbücher für Geschichte Osteuropas*. 1964. Bd. XII. S 168-206
- Horn, 1957 - D.B. Horn, *The Diplomatic Revolution*. in J.O. Lindsay, ed., *The New Cambridge Modern History vol. 7, The Old Regime: 1713-63*, 1957. pp 449-464.
- Hughes-Warrington 2007 – Hughes-Warrington M. *Fifty Key Thinkers on History*, London: Routledge, 2007, 480 p.
- Iggers, Wang, Mukherjee, 2013 – Iggers George G., Wang Q. Edward (authors), Mukherjee Supriya (contributor). *A Global History of Modern Historiography*, Routledge, 2013. 448 p.
- Iriye 2012 – Iriye A. *Global and Transnational History: The Past, Present, and Future*, New York: Palgrave Pivot. 2012. 96 p.
- Joseph II, 1901a - Joseph II. und Graf Ludwig Cobenzl - ihr Briefwechsel 1. Bd 1780-1784. Kaiserliche Akademie der Wissenschaften. Wien 1901 504 s
- Kaldellis Anthony, 2014 – Kaldellis Anthony. *A New Herodotos. Laonikos Chalkokondyles on the Ottoman Empire, the Fall of Byzantium, and the Emergence of the West*, Dumbarton Oaks. 2014 324 p.
- Koselleck 2004 – Koselleck Reinhart. *Futures Past: On the Semantics of Historical Time*, Columbia University Press, 2004. 336 p.
- Koselleck 2002 – Koselleck R. *The Practice of Conceptual History: Timing History, Spacing Concepts*, Palo Alto: Stanford University Press, 2002, 384 p.
- Langlois, Seignobos 1992 - Charles-Victor Langlois, Charles Seignobos, *Introduction aux études historiques*. Editions Kimé, Paris, 1992, 284 p

Lambert, Schofield 2004 - Lambert P. and Schofield P. Making History: An introduction to the history and practices of a discipline. Routledge, 2004, 310 p

Lukacs John 2000 – Lukacs John. Student's Guide to the Study of History, ISI Books, 2000. 53 p.

Madariaga, 1962 - Madariaga I. de. Britain, Russia and the Armed Neutrality of 1780. Sir James Harris's Mission to St. Petersburg during the American Revolution. New Haven; London, 1962. 496 p

Mitrofanov, 1910 - Joseph II. Seine politische und kulturelle tätigkeit, by Mitrofanov, Pavel Palovich, Volume 1, Wien und Leipzig 1910, 328 s

Manzano, 2007 - Manzano Baena, Laura, Negotiating Sovereignty: the Peace Treaty of Münster, 1648, History of Political Thought, Volume 28, Number 4, 2007, pp. 617–641.

McGill, 1971 - McGill, William J. The roots of policy: Kaunitz in Vienna and Versailles, 1749-1753. Journal of Modern History N 2(43). 1971. 228-244.

Natsvaladze 2020 a - Natsvaladze M. Georgia and the Secret Project for Redistribution Europe 70-80s of the 18th century, LXXVI International Scientific Review of the Problems and Prospects of Modern Science and Education, (Boston. USA. - 23 December, 2020) p 38-46

Natsvaladze 2020b - Natsvaladze M. Greek Project – Clue to the History of Georgia 50-90-ies of XVIII Century. XXIII International Scientific and Practical Conference Social and Economic Aspects of Education in Modern Society. Vol.1, November 25, 2020, Warsaw, Poland. pp 38-43

Natsvaladze 2020c - Natsvaladze M. Sensational Unknown Facts from Georgian Diplomacy of 90-ies of XVIII Century, International Journal of Innovative Technologies in Social Science. No 7(28) (2020) Warsaw, Poland p.77-85

Natsvaladze 2020d - Natsvaladze M. Explanation of one conceptual subtext of a "Greek Project", XI International Conference. Science and Practice: a new level of integration in the modern world, Scope Academic House, September, 10 - November, 30, 2020, Sheffield, UK pp 164-168

Natsvaladze 2020e - Natsvaladze M. Capuchin Monks and the Russian Agents in Georgia in the 80s of the 18th Century, Bridge to science: research works. Conference Proceedings. B&M Publishing, September, 10 - December, 15, 2020, San Francisco, California, USA. p 154-159

Natsvaladze 2021a - Natsvaladze M. Unknown backstage of Georgian Diplomacy in the 80-ies of the XVIII Century, European Journal of Humanities and Educational Advancements (EJHEA) Vol. 2 No. 1 (2021), pp 84-91

Natsvaladze 2021b - Natsvaladze M. Russian Empire and Georgian-Austrian Diplomatic Relations in the 80s of the XVIII century. «Humanities and Social Sciences in Europe: Achievements and Perspectives». Proceedings of the 7th International symposium (January 25, 2020). Premier Publishing s.r.o. Vienna. 2021. pp 12-26

Natsvaladze 2021c - Natsvaladze M. Unknown anatomy of Georgian diplomatic assassinations. Scientific Collection «InterConf», (42): 1st International Scientific and Practical Conference «Theory and Practice of Science: Key Aspects» (February 19-20, 2021) at Rome, Italy. pp. 623-645

Natsvaladze 2021d - Natsvaladze M. "Persian Project" – one part Erekle's safe Caucasus model, Collection of scientific papers «ΛΟΓΟΣ» with Proceedings of the I International Scientific and Practical Conference (Vol. 4), Cambridge, March 19, 2021. Cambridge-Vinnytsia: P.C. Publishing House & European Scientific Platform, 2021. pp. 82-91

Natsvaladze 2021e - Natsvaladze M. Georgian-Austrian political variations of the 80-ies of the XVIII century. Scientific Collection «InterConf», (50): with the Proceedings of the 8th International Scientific and Practical Conference «Scientific Horizon in The Context of Social Crises» (April 11-12, 2021). Tokyo, Japan: Otsuki Press, 2021. p 351-363

Natsvaladze 2021f - Natsvaladze M. Paradigms for the State Security Model of Erekle II. Scientific Collection «InterConf», (53): with the Proceedings of the 7th International Scientific and Practical Conference «International Forum: Problems and Scientific Solutions» (April 25-26, 2021). Melbourne, Australia: CSIRO Publishing House, 2021. P. 322-342

- Natsvaladze 2021g - Natsvaladze M. The Caucasian Gambit of World Emperors and Erekle II, Collection of scientific papers «ΛΟΓΟΣ» with Proceedings of the II International Scientific and Practical Conference (Vol. 2), Oxford, May 28, 2021. Pp. 161-176
- Natsvaladze 2021h - Natsvaladze M. The seven years' war and Caucasian outline of the Greek Project. Collection de papiers scientifiques «ΛΟΓΟΣ» avec des matériaux de la II conférence scientifique et pratique internationale (Vol. 2), Paris, 1er octobre 2021. Paris-Vinnytsia: La Fedeltà & Plateforme scientifique européenne, 2021. p 71-86
- Natsvaladze 2021i - Natsvaladze M. Stalin against Engels - For the Historiography of the Greek Project. Education and science of today: intersectoral issues and development of sciences: Collection of scientific papers «ΛΟΓΟΣ» with Proceedings of the II International Scientific and Practical Conference (Vol. 2), Cambridge, October 29, 2021. Cambridge-Vinnytsia: P.C. Publishing House & European Scientific Platform, 2021. p 110-124
- Natsvaladze 2022a - Natsvaladze M. Testament of Peter I – to identify the initiator of the forged document. Education and science of today: intersectoral issues and development of sciences: Collection of scientific papers «ΛΟΓΟΣ» with Proceedings of the III International Scientific and Practical Conference, Cambridge, May 20, 2022. Cambridge-Vinnytsia: P.C. Publishing House & European Scientific Platform, 2022. p 329-345
- Natsvaladze 2022b - Natsvaladze M. Regarding the Issue of Unknown Georgian Ambassade Sent to Austria in 1792. Débats scientifiques et orientations prospectives du développement scientifique: collection de papiers scientifiques «ΛΟΓΟΣ» avec des matériaux de la III conférence scientifique et pratique internationale, Paris, 8 juillet 2022. Paris-Vinnytsia: La Fedeltà & Plateforme scientifique européenne, 2022 p 375-395
- Natsvaladze 2022c - Natsvaladze M. The Greek project - for the reconstruction of the text. Theoretical and empirical scientific research: concept and trends: Collection of scientific papers «ΛΟΓΟΣ» with Proceedings of the IV International Scientific and Practical Conference, Oxford, October 14, 2022. pp. 144-162
- Padover, 1933 - Padover, Saul K. Prince Kaunitz' Résumé of His Eastern Policy, 1763-71. Journal of Modern History N 3, 1933. Pp 352-365
- Quigley Carroll 1979 – Quigley Carroll. The evolution of civilizations. An introduction to historical analysis, Publisher: Liberty Fund Inc. ; 2nd edition (August 1, 1979). 428 pages
- Ragsdale, 1988 - Ragsdale H. Evaluating the traditions of Russian aggression: Catherine II and the Greek Project, Slavonic and East European Review. L., 1988. Vol. 66. N 1; pp. 91-117
- Raaflaub Kurt 2010 – Raaflaub Kurt A. (ed.) Thinking, Recording, and Writing History in the Ancient World, Wiley-Blackwell, 2010. 440 p.
- Szabo, 1979 - Franz A.J. Szabo, Prince Kaunitz and the Balance of Power. International History Review. N1 1979, 399-408.
- Szabo, 1994 - Szabo F. A. J. Kaunitz & Enlightened Absolutism 1753–1780. New York: Cambridge University Press. 1994. 380 p.
- Westphalia 1648 - Peace Treaties of Westphalia (October 14/24, 1648). https://ghdi.ghi-dc.org/sub_document.cfm?document_id=3778 (БЗБЗБЗ 29.08.2022)
- Wilson, 2012 - Peter H. Wilson. The Thirty Years War. Europe's Tragedy. Harvard: Harvard University Press, 2012. 996 p.
- Wedgwood, 2005 - Wedgwood, Veronica. The Thirty Years War. New York: New York Review Books, 2005. 536 p.
- Арш, 2013 - Арш Г.Л. О Греческом проекте Екатерины II. Россия и борьба Греции за освобождение: от Екатерины II до Николая I. Очерки. М.: Индрик, 2013. С. 35-52.
- Арш, 2000a - Арш Г.Л. Греки Век Екатерины II. Дела Балканские. М., "Наука", 2000. С 200-203
- Арш, 2000b - Арш Г.Л. Предыстория Греческого проекта. Дела Балканские. М., "Наука", 2000. С 209-212
- Арш, 1998 - Арш. Г. Л. Некоторые соображения по поводу "Греческого проекта". Век Екатерины II: Россия и Балканы. М., 1998 с 68-80

Авакян, 2017 - Авакян Р.О. Проекты армяно-русского договора и конституции Шаамира Шаамиряна о независимости Армении (XVIII в.) Вектор науки Тольяттинского государственного университета. Серия: Юридические науки. 2017. № 1 (28). С. 7-13.

Блок 1973 – Блок М, Апология истории или Ремесло историка. Москва, Наука, 1973. 236 с.

Беляев, 2021 - Беляев М.П. Вестфальский мир в 1648 г. как основа Имперского и Европейского правопорядка. В сборнике: Политическая жизнь Западной Европы: античность, средние века, новое и новейшее время. Сборник статей участников XIII Всероссийской научной конференции. Арзамас, 2021. С. 193-208.

Беляев, 2011 - Беляев М.П. Вестфальские мирные договоры как конституционные акты Священной Римской империи. История государства и права. 2011. № 12. С. 23-26.

Белоусов, 2002 - Белоусов, Игорь Иванович. Военная и дипломатическая деятельность генерал-фельдмаршала князя Н. В. Репнина : диссертация ... кандидата исторических наук : 07.00.02. - Москва, 2002. – 214

Вольтер, 1803 - Переписка российской императрицы Екатерины II и господина Вольтера, продолжавшаяся с 1763 по 1778 год / Пер. с фр. Иван Фабиян. - М. 1803 171 с

Грейг, 1882 - Два донесения Екатерине Великой адмирала Грейга (1783). Архив князя Воронцова. Ред. П. Бартенев. Кн. 26. М., 1882. С. 261–270.

Гриффитс 2013a - Гриффитс. Дэвид М. Был ли у Екатерины II «греческий проект»? // Екатерина II и ее мир: статьи разных лет / Дэвид Гриффитс; пер. с англ. Е. Леменовой и А. Митрофанова. М.: Новое литературное обозрение, 2013. с. 349-368.

Гриффитс, 2013b - Гриффитс. Дэвид М. Екатерина II и ее мир. Статьи разных лет Пер. с англ. Е. Леменовой и А. Митрофанова. - М.: Новое литературное обозрение, 2013. - 536 с.

Гребенщикова, 2007 - Гребенщикова Г.А. Вооруженный нейтралитет Екатерины II: причины и следствия. Военно-исторический журнал. 2007. № 4. С. 26-29

Грацианский, 1950a - Вестфальский мир. Мирный договор императорско-Шведский, или Оснабрюкский (24 октября 1648 г.). Хрестоматия по истории Средних Веков. Том 3. под редакцией Грацианский Н.П., Сказкин С.Д. М. Учпедгиз 1950 с 144-147

Грацианский, 1950b - Мирный договор императорско-Французский, или Мюнстерский. Хрестоматия по истории Средних Веков. Том 3. под редакцией Грацианский Н.П., Сказкин С.Д. М. Учпедгиз 1950. с 147-149

Данилевский, Кабанов, Медушевская, Румянцева 2004 – Данилевский И. Н., Кабанов В. В., Медушевская О. Москва, Румянцева МОСКВА, Ф. Источниковедение: Теория. История. Метод. Источники российской истории, МОСКВА: Российский гос. гуманитарный ун-т, Ин-т "Открытое общество", 2004 . 701 с.

Дюпарк, 1948 - Пьер Дюпарк , Акты Мюнстерского договора 1648 между Францией и Империей, Bibliothèque de l'École des chartes 8 , vol. 107, N 1, 1948 г., стр. 52-61

Духхардт, 2011 - Духхардт Х. Россия и Вестфальский Мир. Известия Смоленского государственного университета. 2011. № 4 (16). С. 526-530.

Дружинина, 1955 - Дружинина Е. И. Кючук-Кайнарджийский мир 1774 года (его подготовка и заключение). — М.: Изд-во АН СССР, 1955. 368 с.

Заиченко, 2019 - Заиченко О.В. Россия в политических дискуссиях в Германии во время эльзасского кризиса 1790—1793 годов, Новая и новейшая история. 2019. № 1. С. 101-112.

Захаров, 2002 - Захаров Николай Алексеевич. Система Русской государственной власти. Издательство Журн. "Москва". М. 2002. 402 с

Ивонин, 2007 - Ивонин Ю.Е. Венцель Антон Кауниц. Вопросы истории. 2007. № 4. С. 27-50.

Иоаннисян, 1945 - Иоаннисян А.Р. Иосиф Эмин; Ереван. Изд-во Ереванск. гос. ун-та, 1945 354 с.

- Иголкин, 2010 - Иголкин, Иван Юрьевич. Российско-французские отношения в конце XVIII - начале XIX веков : диссертация ... кандидата исторических наук : 07.00.03 / Воронеж, 2010. 207 с.
- Кобзарева... 2020 - Кобзарева, Виноградов, Анисимов: От царства к империи. Россия в системах международных отношений. Вторая половина XVI - начало XX в Издательство: Центр гуманитарных инициатив, 2020 440 с
- Ланглуа, Сеньобос 2004 – Ланглуа Ш.-В., Сеньобос Ш. Введение в изучение истории, Пер. с французского А. Серебряковой; Государственная публичная историческая библиотека России. 2-е изд. / под ред. и со вступительной статьей Ю. И. Семенова. Москва, 2004. 305 с.
- Лупанова, 2008a - Лупанова М.Е. "Греческий проект" Екатерины Великой. Известия Российского государственного педагогического университета им. А.И. Герцена, N 65, 2008, 198-207
- Лупанова, 2008b - Лупанова М.Е. Война за баварское наследство в Европе и дипломатия Екатерины II. Вестник Военного университета. 2008. № 1 (13). С. 133-138.
- Лобко, 2010 - Лобко, Светлана Ивановна. Н.В. Репнин - государственный деятель России второй половины XVIII века : диссертация ... кандидата исторических наук : 07.00.00, 07.00.02 Моск. гос. ун-т им. М.В. Ломоносова. Москва, 2010. 371 с.
- Лопатников, 2011 - Лопатников В. А. Канцлер Румянцев. Время и служение. М., 2011. 345 с.
- Милюков 1904 – Милюков П.Н. Очерки по истории русской культуры. в 2 ч. Ч. 1, Изд. Журнала "Мир Божий", 6-е изд, СПб., 1904, 309 с
- Мартенс, 1875 - Тешенский договор. Мартенс, Фридрих-Фромгольд. Собрание Трактатов и Конвенций, заключённых Россией с иностранными державами. В 15 томах. Том II. Трактаты с Австрией. СПб. 1875. С. 61-96.
- Магилина, 2009 - Магилина И.В. Переговоры между Московским Государством и Священной Римской Империей по поводу заключения антитурецкого соглашения. Известия Самарского научного центра Российской академии наук. 2009. Т. 11. № 2. С. 18-23.
- Монастырёва, 2009 - Монастырёва Л.Ю. Реформы Кауница в сфере дипломатической службы в Австрии во второй половине XVIII века. Известия Смоленского государственного университета. 2009. № 4 (8). С. 153-162.
- Мхитарян, 2019 - Мхитарян Г. Идея создания армянского и албанского государств во второй половине 18-ого века. В сборнике: . Труды Института востоковедения Российско-Армянского университета. Под редакцией Гарника Асатрян. Ереван, 2019. С. 63-70.
- Молчанов, 2001 - Молчанов В. Ф. Государственный канцлер России граф Н.П. Румянцев. Вестник Российского университета дружбы народов. Серия: Международные отношения. 2001. № 1. с. 170-186.
- Нацваладзе 2021 - Нацваладзе М.А. Русская драматургия убийств европейских послов Ираклия II. Научный журнал № 4(59), Москва, 2021.с29-41
- Нерсесов, 1988 - Нерсесов Г. А. Политика России на Тешенском конгрессе (1778—1779). М., 1988; 264 с
- Нерсисян, 1990 - Армяно-русские отношения в XVIII в. Сборник документов 1760–1800 гг. под ред. М.Г. Нерсисяна. Ереван: Институт истории АН Арм. ССР, 1990. Т. 4. 590 с.
- Петров, 1880a - Петров Андрей Николаевич. Вторая турецкая война в царствование императрицы Екатерины II. 1787-1791 гг. Том I. 1787-1789. СПб 1880 300 с
- ПС, 1861 - Послание Филофея, старца Псковского Елеазарова монастыря дьяку Михаилу Григорьевичу Мисюрю-Мунехину. Православный собеседник. Казань, 1861, ч 2, май. С. 84—96
- ПС, 1863 - Послание старца Псковского Елеазарова монастыря Филофея к великому князю Василию Иоановичу. Православный собеседник. Казань, 1863, ч 1, март. С. 337—348
- Петрова, 2020 - Петрова М.А. Дипломатическая миссия России при Постоянном рейхстаге в Регенсбурге. в царствование Екатерины II. Российская история. 2020. № 6. С. 63-76.

Русский архив, 1880 - Переписка Екатерины Великой с Германским Императором Иосифом II-м 1774-1790
Русский архив. Кн. 1. М., 1880. 210-335 с

Русская старина, 1878 - Овладение Дарданеллами в 1783 г. Русская старина. 1878. Т. 22. С. 449–454;

Рагозин 2015 - Рагозин Г.С. Борьба королевства Пруссия за дипломатическое признание в Европе, 1701 - 1792 гг. В сборнике: Германия государство, общество, человек. Сборник научных статей. Сер. "Германские исследования в Сибири" отв. ред. Л.Н. Корнева. Кемерово, 2015. С. 16-28.

Семченков, 2009 - Семченков, Ян Семёнович. Тридцатилетняя война 1618 - 1648 гг. М.: Рейтар, 2009. 136 с.

СИРИО, 1880 - Бумаги Императрицы Екатерины II, хранящиеся в Государственном Архиве Министерства Иностранных Дел. Собраны и изданы, с Высочайшего соизволения, по предначертанию Его Императорского Величества Государя Наследника Цесаревича, академиком Пекарским. Часть 4-я. (1774-1788) // СИРИО, 27, 1880. 670 с

СИРИО, 1888 - Дипломатические акты, из архива князя Н. В. Репнина, относящиеся до Тешенского конгресса 1779 года, Сборник Императорского Русского исторического общества. Т. 65: [изданные Ф. Ф. Мартенсом]. - С.Петербург. 1888. 508 с.

СИРИО, 1879 - Канцлер князь Александр Андреевич Безбородко в связи с событиями его времени (годы с 1747 по 1787). Т. 1 / Соч. Н. И. Григоровича. Сборник Императорского Русского исторического общества. Вып. 26. СПб., 1879. 652 с

Трачевский, 1877 - Трачевский А. С. Союз князей и немецкая политика Екатерины II, Фридриха II, Иосифа II 1780—1790 гг. СПб., 1877, 534 с.

Фриман 2011 – Фриман Э. Методы изучения истории, Изд. 2-е. Москва, Либроком, 2011. 197 с.

Хамада, 2012 - Хамада К. Отношения между Армянской апостольской и Русской православной церквями в XVIII – начале XIX вв. Армяне юга России: история, культура, общее будущее: Материалы Всероссийской научной конференции 30 мая – 2 июня 2012 г. Ростов-на-Дону, Издательство ЮНЦ РАН, 2012, с.100-103

Черкасов, 2001 - Черкасов П. П. Екатерина II и Людовик XVI. Русско-французские отношения (1774-1792). М.: Наука, 2001. - 509 с

Чудинов, 1989 - Чудинов А.В. Французская буржуазная революция конца XVIII в. и Россия. Вопросы истории. 1989. № 1. С. 177-178.

Шаамирян, 1998 - Шаамир Шаамирян. Конституция Армении (проект) 1773.: Армянское уложение законов для управления страной Армянской. Перевод с древнеармянского А.Б. Хачатуряна. М.: Издательство МГОПУ, 1998. 106 с

Шляпникова, 2008 - Шляпникова Е.А. Никита Петрович Панин. Вопросы истории. 2008. № 3. С. 56-72.

Шильдер, 1892 - Собственноручная записка императрицы Екатерины о греческом проекте. Ред. Н.К. Шильдер. Русская старина. 1892. Т. 76. № 10. С. 1–4.

Якушев, 2021 - Якушев М. М. Разгромленная Турция лежала у ног Российской монархии. Кючук-Кайнарджийский договор 1774 года. Военно-исторический журнал. 2021. № 8. С.42—49.

GeoGebra Math აქტივობების ინტეგრაცია LMS - სწავლების მართვის სისტემებში

Mariam Zakariashvili

Iakob Gogebashvili Telavi State University, Georgia

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია GeoGebra Math ონლაინ დინამიური მათემატიკის სწავლებისა და სწავლის პლატფორმის აქტივობების ინტეგრაციის ტექნოლოგიური ასპექტები სწავლების მართვის სისტემებში (LMS-Learning Management System), რაც დაფუძნებულია მასწავლებლისა და სტუდენტი/მოსწავლის ინტერაქციის რეალურ პრაქტიკულ მოდელებზე. ნაშრომი ორგანიზებულია სამ მოდულზე: ძირითადი ფუნქციონალები; პროცესის მომზადება; პროცესის განხორციელება. პირველ მოდულში დეტალურადაა განმარტებული ის ტექნოლოგიები და ინსტრუმენტები, რომლებშიც ინტეგრირდება GeoGebra-ს აქტივობები. სახელდობრ, GeoGebra Group; GeoGebra TimeLine; MicroSoft OneNote; Google Classroom. მეორე მოდულში აღწერილია როგორ განხორციელდეს: რეგისტრაცია GeoGebra ონლაინ პლატფორმაზე. GeoGebra Classic აპლიკაციის ინსტალაცია კომპიუტერში; GeoGebra Group - GeoGebra ჯგუფის შექმნა და გაწევრიანება; რეგისტრაცია Microsoft OneNote-ზე და New Notebook-ის (ახალი ციფრული წიგნის) გახსნა; Google classroom-ში კლასის შექმნა და გაწევრიანება. მესამე მოდულში ინტერაქტიური რესურსის, ჰომოთეტიკის, მაგალითზე ნაჩვენებია GeoGebra Classic ონლაინ აპლიკაციაში აქტივობის შექმნის და რესურსის აქტივობად გარდაქმნის პროცესი GeoGebra Classic ლოკალურიდან GeoGebra ონლაინ პლატფორმაზე; წარმოდგენილია GeoGebra-ს აქტივობის გაზიარების ტექნოლოგიური ასპექტები GeoGebra Group-ში, GeoGebra TimeLine -ზე, MicroSoft OneNote-ზე, Google classroom-ის კლასში, მასწავლებლისა და მონაწილეთა ვირტუალური ჯგუფის ერთობლივი ჩართულობის პრაქტიკულ მაგალითზე, რაც დასაბუთებულია შესაბამისი ილუსტრაციებით. ნაშრომში გაანალიზებული და დადასტურებულია GeoGebra Math ონლაინ მათემატიკური პლატფორმის აქტივობების სწავლების მართვის სისტემებში ინტეგრაციის წარმატებულობა მათემატიკის სწავლებისას როგორც სასკოლო, ასევე უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში.

საკვანძო სიტყვები: GeoGebra.org-Math; GeoGebra Classic App; GeoGebra Active; GeoGebra Group; GeoGebra TimeLine; MicroSoft OneNote; Google Classroom;

Integrating GeoGebra Math Activities into Learning Management Systems (LMS)

Abstract

The article discusses the technological aspects of integrating the activities of GeoGebra Math, a dynamic online mathematics teaching and learning platform, into Learning Management Systems (LMS-Learning Management System) based on real models of teacher-student interaction. This article covers the following three modules: basic functionalities, process preparation and process implementation. The first module details how GeoGebra activities are integrated with various technologies and tools. The applications in question are GeoGebra Group, GeoGebra TimeLine, MicroSoft OneNote, and Google Classroom. The second module explains how to complete the following procedures: Online registration on the GeoGebra platform; Installation of the GeoGebra Classic application on a PC; Create and Join a GeoGebra Group - GeoGebra; Sign up for Microsoft OneNote and open a new notebook (a new digital book); Create and enroll in a Google Classroom course. The third module uses homothetics as an example to demonstrate how to create an interactive resource in the GeoGebra Classic Online application and how to transfer this resource as an activity from the local GeoGebra Classic application to the GeoGebra Online platform. The technological features of GeoGebra Sharing in GeoGebra Group, GeoGebra TimeLine, MicroSoft OneNote and Google Classroom are described on a practical example of the joint involvement of a teacher and a virtual group of participants, supported by appropriate illustrations. The article examines and justifies the potential for integrating the activities of the GeoGebra Math online

mathematical platform into Learning Management Systems (LMS), which can be successfully used in mathematics education both in schools and universities.

Keywords: GeoGebra.org-Math; GeoGebra Classic App; GeoGebra Active; GeoGebra Group; GeoGebra TimeLine; MicroSoft OneNote; Google Classroom.

შესავალი

საგანმანათლებლო სივრცეში დისტანციური სწავლება დღეისათვის ასოცირდება სასწავლო პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების აქტიურ ჩართულობასთან, ვირტუალურ გარემოსთან. შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის ტრადიციული სწავლებისაგან სრულიად განსხვავებული ფორმატი, რამაც მოითხოვა ტრადიციული სასწავლო აუდიტორიის ტრანსფორმაცია ონლაინ აუდიტორიამდე.

ბუნებრივია დისტანციური სწავლება მოითხოვს სწავლების მართვის სისტემების (LMS - Learning Management System), ონლაინ აპლიკაციების, ვირტუალური ლაბორატორიების, ვიდეო კონფერენციების პლატფორმების გამოყენებას, რაც თავის მხრივ მოიაზრებს სასწავლო კურსის შესაბამისი ინტერაქტიური რესურსების შექმნას და ასინქრონული/სინქრონული ფორმატით წარდგენას სასწავლო პროცესში.

ჩემ პედაგოგიურ პრაქტიკაში პანდემიამდე ძირითადად ასინქრონული ფორმით მიეწოდებოდა ინტერაქტიური სასწავლო რესურსი სტუდენტებს/მოსწავლეებს (MOODLE LMS; Google Classroom). გვქონდა ონლაინ ჩართვებიც (Google Meet, Zoom), თუმცა შეზღუდული ფორმატით.

პანდემიის პერიოდში საგანმანათლებლო ინტერნეტ სივრცეში წარმოდგენილ იქნა უამრავი ონლაინ აპლიკაცია. ამასთან, დისტანციური სწავლების წარმატებით წარმართვისათვის კომპიუტერული სამყაროს წარმოდგენები გთავაზობენ პროგრამული აპლიკაციების, ტექნოლოგიების, ინსტრუმენტების ინტეგრაციის შესაძლებლობებს სწავლების მართვის სისტემებში.

ჩემი ინტერესის ობიექტი ამჟერად აღმოჩნდა დინამიური მათემატიკის სწავლებისა და სწავლის ონლაინ პლატფორმა GeoGebra, რომელიც მხარს უჭერს STEM (Science, Technology, Engineering, Mathematics) განათლებას და ინოვაციებს მსოფლიოში. სტუდენტებს/მოსწავლეებს GeoGebra-ს დახმარებით შეუძლიათ ისწავლონ, გამოიკვლიონ და დააკავშირონ მათემატიკის კონცეფციები და პროცედურები. GeoGebra-ში ინტეგრირებულია ვირტუალური საკლასო ოთახები დისტანციური სწავლებისთვის: GeoGebra Classroom; GeoGebra Group. GeoGebra იძლევა სწავლების მართვის სხვა სისტემებში (LMS) ინტეგრაციის საშუალებას. <https://www.geogebra.org/> მისი ოფიციალური საიტია.

GeoGebra-ს გამოყენების, რესურსის შექმნის შესახებ ვიდეო-ინსტრუქციები, წიგნები წარმოდგენილია GeoGebra-ს გუნდის მიერ მის ოფიციალურ საიტზე. ქართველი პედაგოგების მიერ Youtube-ის არხზე განთავსებულია ვიდეო ინსტრუქციები (ზაქარია გიუნაშვილი, ნინო მარდალეიშვილი, როინ ნაკაიძე). რაც შეეხება დისტანციური სწავლების მართვის სისტემებში მისი ინტეგრაციის შესახებ მასალები ქართულ სამეცნიერო სივრცეში ნაკლებადაა წარმოდგენილი. მივიჩნიე, რომ საკითხი საინტერესოა, აქტუალურია და საჭიროებს შესწავლას.

ამდენად, ჩემი კვლევის მიზანი აღმოჩნდა GeoGebra-ს აქტივობების ინტეგრაციის ტექნოლოგიური ასპექტების კვლევა სწავლების მართვის სისტემებში (LMS) და მათემატიკის სწავლა-სწავლების პროცესში მისი რეალიზების წარმატებულობის დადგენა ონლაინ დარბაზში ვირტუალურ ჯგუფთან.

ნაშრომის შინაარსი

1. ძირითადი ფუნქციონალები:

• რა არის GeoGebra Math

GeoGebra Math არის დინამიური მათემატიკის სწავლებისა და სწავლის უფასო პლატფორმა განათლების ყველა საფეხურისათვის, რომელიც აერთიანებს გეომეტრიას, ალგებრას, ელექტრონულ ცხრილებს, გრაფიკებს, სტატისტიკას და გამოთვლებს ერთ მარტივად გამოსაყენებელ პაკეტში. GeoGebra არის მილიონობით მომხმარებლის სწრაფად მზარდი საზოგადოება, მასწავლებლებისა და სტუდენტების გლობალური ქსელი, რომელიც განთავსებულია თითქმის ყველა ქვეყანაში. GeoGebra გახდა დინამიური მათემატიკის პროგრამული უზრუნველყოფის წამყვანი მიმწოდებელი, რომელიც მხარს უჭერს მეცნიერებას, ტექნოლოგიას, ინჟინერიას და მათემატიკას (STEM) განათლებას და

ინოვაციებს მსოფლიოში სწავლებისა და სწავლის სფეროში.
[7] [<https://www.geogebra.org/about> What is GeoGebra?]

GeoGebra-ს მნიშვნელოვანი მახასიათებლებია:

- გეომეტრია, ალგებრა და ცხრილები ერთმანეთთან არის დაკავშირებული და სრულად დინამიური;
- მარტივი გამოსაყენებელი ინტერფეისი, მაგრამ ბევრი ძლიერი ფუნქცია;
- საავტორო ინსტრუმენტი ინტერაქტიული სასწავლო რესურსები ვებ გვერდების სახით შექმნისათვის;
- ხელმისაწვდომია მრავალ ენაზე ჩვენი მილიონობით მომხმარებლისთვის მთელს მსოფლიოში;
- ღია პროგრამული უზრუნველყოფა - თავისუფლად ხელმისაწვდომია არაკომერციული მომხმარებლებისთვის [9] [<https://www.geogebra.org/license> GeoGebra License]

GeoGebra-ს დახმარებით სტუდენტებს/მოსწავლეებს შეუძლიათ ისწავლონ, გამოიკვლიონ და დააკავშირონ მათემატიკის კონცეფციები და პროცედურები; მოიცავს უფასო ციფრულ ინსტრუმენტებს; ღია სასწავლო ინტერაქტიურ რესურსებს ციფრულ ფორმატში საკლასო აქტივობებისათვის, გრაფიკების შედგენისათვის, გეომეტრიისათვის, ერთობლივი დაფისთვის და სხვა; აერთიანებს სხვადასხვა უფასო აპლიკაციებს iOS, Android, Windows, Mac, Chromebook and Linux -თვის: Calculator Suite; Graphing Calculator; 3D Calculator; Geometry; CAS Calculator; GeoGebra Classic6; GeoGebra Classic5. [10] [<https://www.geogebra.org/m/vcb8wkku> Illustrative Math Curriculum - Free & Digital]

GeoGebra-ში ინტეგრირებულია ვირტუალური საკლასო ოთახები დისტანციური სწავლებისთვის: GeoGebra Classroom; GeoGebra Group. GeoGebra იძლევა სწავლების მართვის სხვა სისტემებში (LMS) ინტეგრაციის საშუალებას. <https://www.geogebra.org/> მისი ოფიციალური საიტია. GeoGebra-ს გამოყენება შესაძლებელია როგორც ონლაინ რეჟიმში მის ოფიციალურ საიტზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ, ასევე კომპიუტერში ლოკალურ რეჟიმში მისი ინსტალაციის საფუძველზე. [8] [<https://www.geogebra.org/m/pR5DME5S#chapter/618971> About GeoGebra]

• რა არის GeoGebra Group - გეოგებრას ჯგუფი

GeoGebra Group არის GeoGebra-ს ონლაინ პლატფორმაზე ჯგუფის სახით წარმოდგენილი ვირტუალური გარემო, რომელსაც ყავს წარმმართველი-მასწავლებელი და მონაწილეები-წევრები: სტუდენტები/მოსწავლეები.

ჯგუფი საშუალებას აძლევს მის წევრებს:

- გააზიარონ რესურსები ჯგუფის სხვა წევრებს შორის (მაგალითად, დინამიური აქტივობები, წიგნები);
- დაუკავშირდნენ ერთმანეთს პოსტებისა და კომენტარების გამოყენებით;
- შექმნან და დაარეგულირონ გეოგებრას რესურსები ერთობლივად;
- წარმოადგინონ და მართონ დავალებები ჯგუფის სხვა წევრებისათვის;
- დატოვონ უკუკავშირი შესრულებულ დავალებაზე და თვალი მოადევნონ ჯგუფის წევრების მუშაობას.

ჯგუფი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას განსხვავებულად:

- კოლაბორაცია (თანამშრომლობა): შექმნათ ჯგუფი თქვენი კოლეგებისთვის და ერთად იმუშაოთ გეოგებრას რესურსების გაზიარებაზე/შეგროვებაზე/შექმნაზე;
- ვირტუალური საკლასო ოთახი: შექმნათ ჯგუფი თქვენი სტუდენტებისთვის, რათა ხელი შეეწყოს თანამშრომლობას, მათემატიკური აღმოჩენების და რესურსების გაზიარებას, ან გამოიყენოთ იგი სწავლის მართვის სისტემის მსგავსად, რათა გაუმჯობესდეს თქვენი პირისპირ სწავლება.

ჯგუფის სამუშაო მოდელი: ჯგუფის ორგანიზებულია ოთხ ჩანართზე: პოსტები; წევრები; რესურსები და უკუკავშირი. თითოეულ ჩანართი ხასიათდება შესაბამისი აქტივობებით. [11] (<https://www.geogebra.org/m/rQrbooeq> GeoGebra Groups)

• რა არის GeoGebra TimeLine

GeoGebra TimeLine საშუალებას იძლევა განთავსდეს სიახლეები GeoGebra-ს ონლაინ პლატფორმაზე (<https://www.geogebra.org/> Profile\TimeLine გარემოში, ასევე GeoGebra-ს საწყის გვერდის ახალი ამბების არხის - სიახლეების ლენტის (News Feed) სივრცეში. აქ ძირითადად განთავსებულია სიახლეები

გეოგებრას გუნდის მიერ, თუმცა მომხმარებელს შეუძლია ამ ჩანართში განათავსოს შეტყობინება, აქტივობა.

- **რა არის Microsoft OneNote**

Microsoft OneNote შესაძლოა განიმარტოს, როგორც „ციფრული წიგნი“. ის სინქრონიზდება ყველა მოწყობილობაზე; პლატფორმისაგან დამოუკიდებლად გაძლევთ საშუალებას, სადაც არ უნდა წახვიდეთ მთელი შიგთავსი (კონტენტი) იყოს თქვენთან ერთად.

როგორ გამოვიყენოთ OneNote? მისი გამოყენება შესაძლოა ჩანაწერების გასაკეთებლად (ხელნაწერი და აკრეფილი), ნახატების გაკეთება, ეკრანის ანაბეჭდების გადაღება, აუდიო ჩაწერა. ესაა პროგრამა, რომელშიც შესაძლებელია შეუზღუდავი რაოდენობის წიგნების შექმნა, რომელთა შინაარსი იყოფა სექციებად, ხოლო სექციები გვერდებად. შესაძლებელია გვერდების იერარქიის აგება.

იმის გამო, რომ ის არის Microsoft-ის პაკეტის ნაწილი, ის ასევე მოიცავს ერთობლივი მუშაობის მრავალ ინსტრუმენტს; OneNote სივრცეში შენიშვნებისა და პროექტების გაზიარება მომხმარებლებს შორის ადვილია.

მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ OneNote არ არის ტექსტის დამმუშავებელი; ყველა გვერდი არის თავისუფალი - შეგიძლია დავაჭიროთ სადმე ფანჯარაში და დავიწყოთ ტექსტის აკრეფა. OneNote არ არის განკუთვნილი გამოსაქვეყნებელი რესურსის შესაქმნელად. თუ გვსურს საზოგადოებრივი გამოყენებისათვის კონტენტის შექმნა, OneNote-ის ნაცვლად გამოვიყენოთ Microsoft-ის სერვისებიდან ერთ-ერთი სხვა [5] (Dan Price, 2016).

- **რა არის Google Classroom**

Google Classroom არის უფასო შერეული სწავლების პლატფორმა (შერეული სწავლება არის მიდგომა განათლებისადმი, რომელიც აერთიანებს ონლაინ საგანმანათლებლო მასალებს და ონლაინ ურთიერთობის შესაძლებლობებს ტრადიციულ საკლასო ოთახის მეთოდებთან), არსებითად სწავლების **მართვის სისტემა** (LMS-Learning Management System), რომელიც შემუშავებულია Google-ს მიერ და ორიენტირებულია განათლების სექტორზე.

Google Classroom მსგავსია ვირტუალური საკლასო ოთახის, რომელშიც მასწავლებლები მართავენ სასწავლო პროცესს. Google Classroom პლატფორმაში ოთხი მთავარი ჩანართია: Stream; Classwork; People; Grades. მათი დახმარებით მასწავლებელს შეუძლია: შეტყობინებების, თემატიკის, დავალებების, სასწავლო რესურსების წარდგინება; გამოკითხვების, შეფასებების, უკუკავშირის ორგანიზება; ინტერაქტიული ონლაინ ვიდეო შეხვედრების დაგეგმვა/ჩატარება (Google Meet);

Google Classroom პლატფორმაში სტუდენტებისა და მასწავლებლების კომუნიკაციის სამართავად გაერთიანებულია აპლიკაციები: Google Docs; Google Sheets; Google Slides; Google Drawing; Google Forms; Google Drive; Gmail; Google Calendar.

Google Classroom პლატფორმა სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისათვის დამატებითი სახით წარმოადგენს ქვეჩანართებს: Meet; Google Calendar; Class Drive Folder.

Google Classroom-ის მასწავლებელს შეუძლია კლასების გახსნა; სტუდენტთა/მოსწავლეთა მოწვევა; როლების მინიჭება; აქტიური კლასის დაარქივება/აღდგენა. კომუნიკაცია მასწავლებელთა და სტუდენტთა/მოსწავლეთა შორის შეტყობინებებით, კომენტარებით საჯაროდ ან პირადად ([https://en.wikipedia.org/wiki/Google Classroom](https://en.wikipedia.org/wiki/Google_Classroom)).

2. პროცესის მომზადება


- **რეგისტრაცია GeoGebra.org-ზე. GeoGebra Classic-ის ინსტალაცია კომპიუტერში.**

✓ **როგორ დავრეგისტრირდეთ GeoGebra-ს პლატფორმაზე**

GeoGebra-ს პლატფორმაზე რეგისტრაციის დაწყებამდე მასწავლებელი ხსნის gmail.com-ზე ელექტრონული ფოსტის ანგარიშს, რომლის გამოყენებით GeoGebra-ს ოფიციალურ საიტზე <https://www.geogebra.org/> გაივლის რეგისტრაციას შემდეგი მოქმედებების გავლით: Sign in/Create Account. გამოტანილ ფანჯარაზე ავსებს ველებს საჭირო ინფორმაციით. (გიუნაშვილი, ზ. 2014), (მარდალეიშვილი, ნ., 2021) (ნაკაიძე რ., 2020), (ზაქარიაშვილი მ., 2021)

შენიშვნა: GeoGebra-ს ონლაინ პლატფორმაზე მორიგი შესვლისათვის აუცილებლად ჩავინიშნოთ მომხმარებლის სახელი და პაროლი. ეს ინფორმაცია დაგვჭირდება ასევე კომპიუტერში


ინსტალირებული GeoGebra-ს აპლიკაციიდან GeoGebra-ს ონლაინ პლატფორმაზე გადასვლისათვის. (იხ. სურათები)




✓ როგორ დავაინსტალოთ GeoGebra Classic კომპიუტერში

GeoGebra-ს ოფიციალური საიტიდან <https://www.geogebra.org/> ჩამოვტვირთოთ საინსტალაციო პაკეტი. ამისათვის, გავაქტიუროთ ჩანართი App Downloads.

გამოტანილ ფანჯარაზე Download GeoGebra Apps შევარჩიოთ GeoGebra Classic 5 ან GeoGebra Classic 6. Download ღილაკზე დაჭერით ჩამოიტვირთება კომპიუტერში შესაბამისი ვერსიის საინსტალაციო პაკეტი GeoGebra-windows-Instaler...exe. (იხ. სურათები)



ჩამოტვირთული ფაილის გაქტიურებით დაიწყება ინსტალაცია, რაც ძალიან მარტივად შესასრულებელია. ინსტალაციის დასრულების შემდეგ ეკრანზე გამოიტანება GeoGebra-ს სამუშაო დაფა, რომლის ზედა მარჯვენა კუთხეში არის ღილაკი „შესვლა“. ამ ღილაკის დახმარებით შეგვიძლია შევიდეთ GeoGebra-ს ონლაინ აპლიკაციაში, იმ ელფოსტის მისამართით ან მომხმარებლის სახელით და პაროლით, რაც გამოვიყენეთ ონლაინ პლატფორმაზე რეგისტრაციისას. (იხ. სურათები)




შენიშვნა: რესურსის შექმნა შესაძლებელია, GeoGebra Classic-ის როგორც ლოკალური, ასევე GeoGebra Classic-ის ონლაინ აპლიკაციის გამოყენებით. თუმცა დისტანციური სწავლების მიზნით, აქტივობის შესაქმნელად საჭიროა ლოკალურიდან მოხდეს რესურსის ატვირთვა GeoGebra-ს პლატფორმაზე, რაც შესაძლებელია ლოკალურ აპლიკაციაში File ჯგუფის მენიუდან „გაუზიარე“ ბრძანების შესრულებით

- **GeoGebra Group-ის შექმნა და გაწევრიანება**

- ✓ **როგორ შევქმნათ GeoGebra Group**

GeoGebra-ს ოფიციალური საიტზე <https://www.geogebra.org/> გავიაროთ ავტორიზაცია უკვე შექმნილი მომხმარებლის სახელით და პაროლით. <https://www.geogebra.org/groups> ბმულის დახმარებით გადავიდეთ ჯგუფის შექმნის გვერდზე. შევარჩიოთ ღილაკი „ჯგუფის შექმნა“ გამოტანილი პანელი შევავსოთ საჭირო ინფორმაციით, რომლის რედაქტირება შესაძლებელია ჯგუფის შექმნის შემდეგაც. [12] (<https://www.geogebra.org/m/rQrbooeq#material/QUJpJFbm> How to Create a Group).

გადავიდეთ GeoGebra-ს მთავარ გვერდზე და შევარჩიოთ ჩანართები: Profile\GROUPS. ჯგუფი უკვე შექმნილია. (იხ. სურათები)




- ✓ **როგორ მოხდეს GeoGebra Group-ში გაწევრიანება**

უკვე შექმნილი ჯგუფის მინიატურაზე კონტექსტური მენიუდან შევარჩიოთ ბრძანება Settings. ჯგუფისთვის ავტომატურადაა მინიჭებული ჯგუფის კოდი, ასევე ბმული, რომელთა დახმარებით ხდება ჯგუფში წევრების მიერთება. (იხ. სურათები)

ჯგუფის კოდი და ჯგუფის ბმული ეგზავნება შერჩეულ წევრებს ელფოსტაზე (მომხმარებელი წინასწარ ხსნის gmail.com-ის ანგარიშს, რაც ცნობილია მასწავლებლისთვის), ან უშუალოდ ონლაინ შეხვედრის დროს გაეგზავნება სასაუბრო ველში. აუცილებელია ჯგუფის წევრების რეგისტრაცია GeoGebra-ს პლატფორმაზე. ჯგუფის წევრები <https://www.geogebra.org/groups> ბმულის დახმარებით შემოდიან და ჯგუფის კოდის ჩაწერით და Join ღილაკზე დაჭერით, მომხმარებლის სახელითა და პაროლით უერთდებიან ჯგუფს. (იხ. სურათები)

მასწავლებლის პოზიცია

სტუდენტის პოზიცია



წევრების მიერთების შესახებ ინფორმაცია შემოდის მასწავლებლის იმ ელფოსტაზე, რომლითაც მოხდა მისი GeoGebra-ს პლატფორმაზე რეგისტრაცია. მონაწილე აისახება GeoGebra Group-ის წევრების ჩამონათვალში. GeoGebra Group-ში მიერთებულ წევრებს ხვდებათ მასწავლებლის მიერ განთავსებული შეტყობინებები, სასწავლო რესურსები, დავალებები, უკუკავშირი შესრულებულ დავალებებზე.


ჯგუფის წევრებს მასწავლებლის ნებართვით შეუძლიათ ჩაერთონ ჯგუფის სხვა წევრებთან კომუნიკაციაში.

- **რეგისტრაცია One Note-ზე**

Microsoft OneNote-ზე რეგისტრაციისათვის შევდივართ მითითებულ ბმულზე და Sign up ღილაკით ვიწყებთ რეგისტრაციის პროცესს (<https://www.microsoft.com/en-us/microsoft-365/onenote/digital-note-taking-app?ms.url=onenotecom&rtc=1>) შეგვაქვს საჭირო ინფორმაცია გამოტანილ ფანჯრებზე: gmail.com-ის ანგარიშის ელფოსტის დასახელება, მობილური ტელეფონის ნომერი ქვეყნის კოდის შესაბამისად, საიტისაგან გამოგზავნილი SMS კოდი, რომელიც იგზავნება მობილური ტელეფონზე. პროცესი დასრულდება „Submit“ ღილაკზე დაჭერით.

შენიშვნა: აუცილებლად დავიმახსოვროთ რეგისტრაციისას გამოყენებული ინფორმაცია MicroSoft OneNote-ზე მორიგი შესვლისათვის.

რეგისტრაციის დასასრულს გამოიტანება MicroSoft OneNote-ის საწყისი გვერდი, სადაც „+New“ ღილაკზე დაჭერით შეგვიძლია შევქმნათ ახალი ციფრული წიგნი - New Notebook მაგ., „GeoGebra-Note“, რომელსაც ექნება სექციები, გვერდები. განვთავსებთ მასზე რესურსებს. რაც შეიძლება გაზიარდეს OneNote-ში განთავსებული რესურსის გაზიარების ბმულით მონაწილეებთან ელფოსტების დახმარებით. მაგ., შევქმნათ წიგნის სექცია „GeoGebra-LMS“, დავამატოთ გვერდი „ჰომოთეცია“ (იხ. სურათები)




- **Google Classroom-ში კლასის შექმნა და გაწევრიანება**
- ✓ **როგორ შევქმნათ კლასი Google Classroom-ში**

Google Classroom-ში კლასის შექმნამდე აუცილებელია Google-ს საიტზე Gmail.com - ის ანგარიშის შექმნა. ამ შემთხვევაში მომხმარებელს უკვე აქვს ანგარიში, რადგანაც რეგისტრაცია უკვე გაიარა GeoGebra-ს პლატფორმაზე. ელფოსტაზე შესვლისას Google-ს სერვისის მომხმარებელს ავტომატურად სთავაზობს Google Classroom-ის აპლიკაციას, რომელიც განთავსებულია ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში Google apps ჩამონათვალში. (იხ. სურათები)

Google Classroom აპლიკაციის ხატულაზე დაჭერით შევდივართ Google Classroom-ის ვირტუალურ გარემოში. ეკრანის ზედა მარჯვენა კუთხეში განთავსებული „+“ ღილაკის დახმარებით ვქმნით ვირტუალურ საკლასო ოთახს. ვაჭერთ „+“ ღილაკს, გამოტანილ ჩამონათვალში ვირჩევთ ბრძანებას Create Class, მივყვებით პროცესს, გამოტანილ ფანჯარას ვავსებთ საჭირო ინფორმაციით. შედეგად იქმნება საკლასო ოთახი. (იხ. სურათები)

კლასის ხატულაზე დაჭერით გამოიტანება ვირტუალური საკლასო ოთახი, რაც ორგანიზებულია ოთხ ჩანართზე: **Stream; Classwork; People; Grades**. ამ ჩანართების გამოყენებით ხდება საკლასო ოთახში სასწავლო პროცესის მართვა, რომელშიც მონაწილეები არიან გაერთიანებული. მათი უფლებები განისაზღვრება მასწავლებლის მიერ Settings პანელიდან. (იხ. სურათები)




თითოეული კლასი ქმნის ცალკეულ საქალაქს შესაბამისი მომხმარებლის Google Drive-ში, სადაც სტუდენტს შეუძლია წარადგინოს ნამუშევარი მასწავლებლის მიერ შესაფასებლად. დავალებები და ვადები ემატება Google კალენდარს, სადაც თითოეული დავალება შეიძლება მიეკუთვნებოდეს კატეგორიას ან თემას. მასწავლებლებს შეუძლიათ აკონტროლონ თითოეული მოსწავლის პროგრესი დოკუმენტის გადახედვის ისტორიის განხილვით, ხოლო შეფასების შემდეგ მასწავლებლებს შეუძლიათ დაუბრუნონ მუშაობა კომენტარებთან და შეფასებებთან ერთად.

✓ როგორ ხდება გაწევრიანება Google Classroom-ში

Google Classroom-ში კლასის შექმნისას კლასს ავტომატურად ენიჭება კლასის კოდი და ბმული, რომლის დახმარებითაც მოხდება მონაწილეთა კლასში გაწევრიანება. ეს ინფორმაცია ეგზავნება მონაწილეს ელფოსტაზე, ან ხდება ჯგუფის წევრებისათვის მიწვევების გაგზავნა Google Classroom-ის People ჩანართიდან. მიწვევის ბმული და კლასის კოდი აისახება მონაწილის ელფოსტაში. მონაწილის თანხმობის შემთხვევაში ის ხდება კლასის აქტიური წევრი. ან შემოდის Google Classroom-ში და ახდენს კოდის საშუალებით კლასთან მიერთებას „+“ ღილაკის ჩამონათვალიდან Join Class-ის ბრძანების დახმარებით. (იხ. სურათები)

სტუდენტის პოზიცია



3. პროცესის განხორციელება - GeoGebra-ს აქტივობის შექმნა და გაზიარება აქტივობის შექმნა Geogebra Classic ლოკალურ აპლიკაციაში


✓

ნაშრომის ზედა ნაწილში ვისაუბრეთ იმ ტექნოლოგიების შესახებ, რომლებშიც ინტეგრირდება GeoGebra-ს პროდუქტი დისტანციური სწავლების მიზნით. სახელდობრ, განვიხილეთ Geogebra-ს პლატფორმა; GeoGebra Group; GeoGebra TimeLine; MicroSoft One Note; Google Classroom.

GeoGebra-ს რესურსის სწავლების მართვის სისტემებში გაზიარება განვიხილოთ ჩემ მიერ შექმნილი ინტერაქტიული რესურსის მაგალითზე. რესურსი შევქმენი GeoGebra-ს ლოკალურ აპლიკაციაში, თუმცა შემდეგ ანალოგიური მოქმედებით რესურსი შევქმენა GeoGebra-ს ონლაინ აპლიკაციაში.

რესურსი წარმოადგენს გეომეტრიის ერთ-ერთ თემას: ჰომოთეტია. წარმოდგენილი რესურსით განიხილება ჰომოთეტიის კონკრეტული შემთხვევები წერტილის, მონაკვეთის, მრავალკუთხედის და ნებისმიერი გრაფიკული გამოსახულებისათვის სამუშაო დაფაზე დამაგრებული ინტერაქტიული ღილაკების შერჩევით და გააქტიურებით. ხოლო ცალკეული ფიგურისათვის ჰომოთეტიის კოეფიციენტის შეცვლა შესაძლებელია სრიალას გამოყენებით.

შენიშვნა: ვინაიდან წინამდებარე ნაშრომის მიზანი არაა Geogebra-ს აპლიკაციაში რესურსის შექმნის პროცესის განხილვა, ამიტომ რესურსი მკითხველისათვის წარმოდგენილია მზა სახით. (იხ. სურათები)




✓ როგორ გარდაქმნათ რესურსი აქტივობად


საილუსტრაციოდ, რესურსი აქტივობად ავტორით ჩვენს პროფილში, ამჟერად, პროფილია: mariamisgeogebra <https://www.geogebra.org/u/mariamisgeogebra>

შენიშვნა: აუცილებელია მომხმარებელი რეგისტრირებული იყოს GeoGebra-ს ოფიციალურ საიტზე. <https://www.geogebra.org/>


- Geogebra Classic აპლიკაციაში რესურსის გაზიარება GeoGebra-ს ონლაინ პლატფორმაზე შესაძლებელია ბრძანებით: ფაილი/გაუზიარე.
- გამოტანილი ფანჯარაზე ჩავჭერთ GeoGebra-ს მომხმარებლის სახელი და პაროლი, რაც გამოვიყენეთ რეგისტრაციის დროს.
- რესურსი აიტვირთება გეოგებრას პლატფორმაზე აქტივობის სახით. შევავსოთ აქტივობის სათაურის სტრიქონი.
- შევინახოთ და დავხუროთ აქტივობის ფანჯარა. რესურსი აქტივობის სახით განთავსდება ჩვენს პროფილში - mariamisgeogebra. <https://www.geogebra.org/u/mariamisgeogebra> (იხ. სურათები)



სასურველია აქტივობები განვთავსოთ ორგანიზებულად. შევქმნათ საქაღალდე (Folder) Create ლილავის დახმარებით. Create\Folder. მაგ., შევქმნათ საქაღალდე „GeoGebra-ს ინტეგრაცია“. საქაღალდე განთავსდება გეოგებრას პროფილის განყოფილებაში. (იხ.სურათები)




გადავიტანოთ აქტივობა საქაღალდეში „GeoGebra-ს ინტეგრაცია“. ჰომოთეტიკის აქტივობის ხატულას კონტექსტური მენიუდან შევარჩიოთ ბრძანება Move To და მივყვეთ პროცესს. შევარჩიოთ შექმნილი საქაღალდე „GeoGebra-ს ინტეგრაცია“. დავთანხმოთ პროცესს Move To ლილავზე დაჭერით. აქტივობა განთავსდა ჩვენ მიერ შერჩეულ საქაღალდეში. (იხ. სურათები)



შესაძლებელია აქტივობის რედაქტირება აქტივობის ხატულას კონტექსტური მენიუდან Edit Activity ბრძანების შერჩევით. გამოტანილ პანელზე ლილავზე „ელემენტის დამატება“ დაჭერით შესაძლებელია სხვადასხვა ელემენტების დამატება: Text, Geogebra App; Question; Notes; Video; Image; PDF File; Web.


ამჯერად, აქტივობას დავამატოთ განმარტებითი ტექსტი და ლია ტესტი. აქტივობა მზადაა გაზიარდეს დისტანციური სწავლების მიზნით. (იხ.სურათები)



✓ აქტივობის შექმნა Geogebra Classic ონლაინ აპლიკაციაში


გავიაროთ ავტორიზაცია GeoGebra-ს ონლაინ პლატფორმაზე. გავააქტიუროთ Profile ჩანართი. დავაჭიროთ "Create" ლილავზე, შევარჩიოთ ბრძანება „Activity“. გამოტანილ პანელზე ჩავწეროთ აქტივობის სათაური. აქტივობის ელემენტებიდან შევარჩიოთ GeoGebra-ს აპლეტი. შევასრულოთ მოქმედებები: Create Applet\Graphing. შევქმნათ ახალი რესურსი GeoGebra-ს აპლიკაციის სამუშაო დაფაზე და პროცესი დავამთავროთ ლილავზე „დასრულება“ დაჭერით. რესურსი შეინახება აქტივობის

სახით Profile ჩანართში. ნებადართულია უკვე შექმნილი აპლეტების დამატება/გამოყენება (აპლეტის ძებნა; აპლეტის ატვირთვა). აქტივობის ორგანიზებასა და რედაქტირებაზე უკვე ვისაუბრეთ ზედა პუნქტში. (იხ. სურათები)




- **GeoGebra-ს აქტივობის გაზიარება**
✓ **აქტივობის გაზიარება GeoGebra Group-ში**

GeoGebra Group უკვე შექმნილი გვაქვს. გავაქტიურთ აქტივობა და შევარჩიოთ ბრძანება Share შევარჩიოთ ლილაკი Existing Group. მოვნიშნოთ „GeoGebra-Group“ ჯგუფი. აქტივობა განთავსდება GeoGebra Group -ის პანელზე. (იხ.სურათები)




ჯგუფის პანელზე შეგვიძლია დავამატოთ ახალი მასალა; განვსაზღვროთ შესრულების დრო; შევცვალოთ პარამეტრები; წავშალოთ/გავაუქმოთ. მოქმედებების დასრულების შემდეგ დავაჭიროთ „Post“ ლილას. აქტივობა განთავსდება ჯგუფში პოსტების განყოფილებაში. ჯგუფში გაერთიანებული წევრს აქვს წვდომა აქტივობაზე; ასრულებს დავალებას; დასრულებულ პასუხს აგზავნის Turn In ლილაკზე დაჭერით. (იხ. სურათები)

სტუდენტის პოზიცია




მასწავლებელი ხედავს გამოგზავნილ დავალებას Feedback ჩანართში. ააქტიურებს სტუდენტის გამოგზავნილ დავალებას და ავსებს უკუკავშირის ველს, აჭერს Complete ლილას. ამით დასრულდება პროცესი და სტუდენტს ეგზავნება უკუკავშირი. (იხ. სურათები)

მასწავლებლის პოზიცია



სტუდენტი ეცნობა მასწავლებლის უკუკავშირის GeoGebra Group-ში. უკუკავშირის შესახებ შეტყობინება ასევე ავტომატურად ეგზავნება მითითებულ ელფოსტაზე.





სტუდენტის პოზიცია



✓ აქტივობის გაზიარება GeoGebra TimeLine - სიახლეების ლენტი


გავააქტიუროთ აქტივობა და შევარჩიოთ ბრძანება Share\GeoGebra TimeLine.

შევასოთ სტრიქონი "Please describe the resource you are sharing" აქტივობის თემატიკის შესაბამისად და დავაჭიროთ ღილაკს Post. აქტივობა განთავსდება როგორც Profile განყოფილების TimeLine ჩანართში, ასევე სიახლეების არხის გვერდზე News Feed. მასზე შესაძლოა როგორც მოწონების, ასევე კომენტარების წარდგინება. (იხ. სურათები)




✓ აქტივობის გაზიარება One Note-ზე

გავააქტიუროთ აქტივობა და შევარჩიოთ ბრძანება Share. აქტივობის OneNote-ზე გასაზიარებლად Copy Link ღილაკით ვაკეთებთ გაზიარების ბმულის კოპიას, გადავდივართ MicroSoft OneNote-ზე (<https://www.onenote.com>), გავივლით ავტორიზაციას MicroSoft OneNote-ზე და წინასწარ მომზადებულ „GeoGebra-Note“-ს ციფრული წიგნის „Geogebra-LMS“ სექციის „ჰომოთეტია“ გვერდზე ჩავსვამთ დაკოპირებულ ბმულს. აქტივობა აისახება OneNote-ს „ჰომოთეტია“ გვერდზე. მონაწილეს აქტივობა გაუზიარდება OneNotes გვერდის პანელზე Share ღილაკის დახმარებით გამოტანილი ბმულით ელფოსტაზე ან გაეგზავნება უშუალოდ შეხვედრის დროს.




სტუდენტი მიღებული ბმულის დახმარებით შედის OneNote-ზე განთავსებულ ინტერაქტიურ დავალებაში. ეს კადრი სტუდენტისთვის აქტიურია, მუშაობს ინტერაქტიური ლილაკები: წერტილის, მონაკვეთის, მრავალკუთხედის, სურათის ჰომოთეტია. ჩანაწერზე „ჰომოთეტია“ დაჭერით გადადის უშუალოდ GeoGebra-ს ონლაინ პლატფორმაზე და ასრულებს დავალებას.

სტუდენტის პოზიცია




✓ აქტივობის გაზიარება Google Classroom - ში

გავაქტიურთ აქტივობა და შევარჩიოთ ბრძანება Share. გავაქტიურთ ლილაკი Google Classroom. გამოტანილ ფანჯარაზე შევარჩიოთ Google Classroom-ის კლასი. ჩვენი შემთხვევისათვის „GeoGebra-Group“. Assign ლილაკზე დაჭერით გადავდივართ GeoGebra Group კლასში. დავალების შესახებ ინფორმაცია ავტომატურად წარმოდგინდება Google Classroom-ის GeoGebra Group კლასის Stream შეტყობინების ველში, ასევე Classwork დაფაზე. [13] ([https://www.youtube.com/watch?v=oapG6ylfaq&t=6s_Create Google Classroom Activities from GeoGebra IM Lessons](https://www.youtube.com/watch?v=oapG6ylfaq&t=6s_Create+Google+Classroom+Activities+from+GeoGebra+IM+Lessons)) (იხ. სურათები)



სტუდენტი, რომელიც მიერთებულია Google Classroom-ის კლასთან, აქვს წვდომა გაზიარებულ დავალებაზე, მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად ასრულებს დავალებას და Turn In ლილაკზე დაჭერით აგზავნის მასწავლებელთან.

სტუდენტის პოზიცია




მასწავლებლის სამუშაო სივრცეში ჩნდება ინფორმაცია სტუდენტის მიერ დავალების შესრულების შესახებ. მასწავლებელი განიხილავს დავალებას, აფასებს შესრულებულ დავალებას კომენტარით, წარუდგენს უკუკავშირის Return ღილაკზე დაჭერით.

Student Work სამუშაო დაფაზე მასწავლებლისათვის თვალსაჩინოა სტუდენტის დავალებების შესრულებადობა. სტუდენტებთან უკუკავშირი აისახება როგორც Classwork-ის დავალებების სამუშაო დაფაზე, ასევე Grade ჩანართში, რაც ეხმარება მასწავლებელს თვალს მიაღწეოს სტუდენტის წარმატებებს.

სტუდენტს უკუკავშირის შესახებ ინფორმაცია ეგზავნება ელფოსტაზე ავტომატურად. Open ღილაკზე დაჭერით გადადის მომდევნო გვერდზე და ეცნობა მისთვის პირადად გამოგზავნილ უკუკავშირს. (იხ. სურათები)

მასწავლებლის პოზიცია

სტუდენტის პოზიცია



ამგვარად, GeoGebra-ს აქტივობების გაზიარება LMS (Learning Management System) სწავლების მართვის სისტემებში საშუალებას აძლევს მასწავლებელს სტუდენტთან ინტერაქტიური ჩართულობის ფონზე მართოს სასწავლო პროცესი ვირტუალურ გარემოში მონაწილის ეკრანის გაზიარების გარეშე, რაც უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების მოქნილობასა და წარმატებულობას.

დასკვნა

ნაშრომში სამეცნიერო კვლევითი ნაშრომების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე შესრულდა GeoGebra Math-ის აქტივობების ინტეგრაციის ტექნოლოგიური ასპექტების კვლევა სწავლების მართვის სისტემებში.

სახელდობრ, დეტალურად იქნა განმარტებული, განხილული და გამოკვლეული ის ტექნოლოგიები, რომელშიც ინტეგრირდება GeoGebra Math-ის აქტივობები: GeoGebra-Group; GeoGebra Time Line; MicroSoft OneNote; Google Classroom.

განხორციელდა ინტერაქტიური რესურსის, „ჰომოთეტიის“, მაგალითზე GeoGebra Classic ონლაინ აპლიკაციაში აქტივობის შექმნის და რესურსის აქტივობად გარდაქმნის პროცესი GeoGebra Classic ლოკალურიდან GeoGebra ონლაინ პლატფორმაზე.

მასწავლებლისა და მონაწილეთა ვირტუალური ჯგუფის ერთობლივი ჩართულობის პრაქტიკული მოდელის მაგალითზე რეალურად შესრულდა GeoGebra-ს აქტივობის გაზიარების პროცესი აღნიშნულ სისტემებში.

მონაწილეებთან ინტერაქციის რეალიზების პროცესში გამოიკვეთა GeoGebra ონლაინ პლატფორმის მოქნილობა:

➤ აქვს ქართული ენის მხარდაჭერა; არის უფასო; აქვს რესურსების მდიდარი ბიბლიოთეკა; მოხერხებული, მარტივად სამართავი ინტერფეისი; მოიცავს დამატებით მათემატიკურ აპლეტებს; ფარავს მათემატიკის მრავალ სფეროს.

➤ შესაძლებელია მასწავლებლის სინქრონული/ასინქრონული კავშირი მონაწილეებთან; მონაწილეების მიერ დავალებების შესრულება და წარდგინება; მასწავლებლის უკუკავშირის წარდგინება საჭიროების შემთხვევაში ანონიმურობის დაცვით; მონაწილეთა ჩართულობა მათემატიკურ კვლევასა და კანონზომიერებათა აღმოჩენაში და ეს ყველაფერი ერთი ონლაინ პლატფორმის სივრცეში. მასწავლებლის ხელში აღმოჩნდა შესაძლებლობა ერთი პლატფორმიდან სწავლების მართვის მისთვის სასურველ სისტემაში გაუზიაროს მონაწილეს მრავალფეროვანი აქტივობები. თვალი მიადევნოს მათ წარმატებებს.

ამგვარად, GeoGebra ონლაინ პლატფორმის აქტივობების სწავლების მართვის სისტემებში ინტეგრაციის ტექნოლოგიური ასპექტების კვლევა და დადასტურა GeoGebra-ს წარმატებულობა დისტანციური სწავლების პროცესში. GeoGebra შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, არა მხოლოდ მათემატიკის დინამიური, ინტერაქტიური სასწავლო რესურსების შექმნის მიზნით, არამედ როგორც სწავლა-სწავლების ეფექტური ონლაინ პლატფორმა.

გამოყენებული ლიტერატურა

- [1] გიუნაშვილი ზ., (2014) *GeoGebra-დინამიური მათემატიკის პროგრამა. ტრენინგის მასალები. დამხმარე საკითხავი მასალა.* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერი. თბილისი.
- [2] ზაქარიაშვილი მ., (2021) *დისტანციური სწავლების ტექნოლოგიური ასპექტები GeoGebra Math* გარემოში. VI საერთაშორისო კონფერენცია „კულტურათშორისი დიალოგები“ 29-30 ოქტომბერი, 2021. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. კონფერენციის სამეცნიერო შრომების კრებული. გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი.
- [3] მარდალეიშვილი ნ., (2021) *ტრენინგის მასალები. ვიდეო ინსტრუქციები GeoGebra-ს შესახებ.* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენერი. თბილისი. <https://www.youtube.com/watch?v=8ovyxWbyCsM&t=3s> (ნახვის თარიღი 10 აპრილი, 2022)
- [4] ნაკაიძე რ., (2020) *ტრენინგის მასალები. ვიდეო ინსტრუქციები GeoGebra-ს შესახებ.* ბათუმის მასწავლებლის სახლის ტრენერი. <https://www.youtube.com/watch?v=-qh3QtsODU4> (ნახვის თარიღი 10 აპრილი, 2022)
- [5] Dan Price (2016) *The Only OneNote Guide You'll Ever Need.* copyright @ MakeUsedOf . <https://www.makeuseof.com/wp-content/uploads/2016/10/The-Only-OneNote-Guide-You%E2%80%99ll-Ever-Need.pdf> (ნახვის თარიღი 10 აპრილი, 2022)
- [6] <https://www.geogebra.org/> GeoGebra for Teaching and Learning Math GeoGebra – ს ოფიციალური საიტი.
- [7] <https://www.geogebra.org/about> What is GeoGebra? (ნახვის თარიღი 10 აპრილი, 2022)
- [8] <https://www.geogebra.org/m/pR5DME5S#chapter/618971> (About GeoGebra) (ნახვის თარიღი 8.09.2021)
- [9] <https://www.geogebra.org/license> GeoGebra License (ნახვის თარიღი 10 აპრილი, 2022)
- [10] <https://www.geogebra.org/m/vcb8wkku> (Illustrative Math Curriculum - Free & Digital) (ნახვის თარიღი 10 აპრილი, 2022)
- [11] <https://www.geogebra.org/m/rQrbooeq> GeoGebra Groups (ნახვის თარიღი 10 აპრილი, 2022)
- [12] <https://www.geogebra.org/m/rQrbooeq#material/QUJpjFbm> How to Create a Group (ნახვის თარიღი 10, აპრილი, 2022)
- [13] <https://www.youtube.com/watch?v=oapG6ylfaqc&t=6s> Create Google Classroom Activities from GeoGebra IM Lessons (ნახვის თარიღი 10 აპრილი, 2022)

Address:

David Agmashenebeli Alley, 13th km., N2
Tbilisi, 0131, Georgia

Phone: (+995) 032 259 50 05

<https://ibsu.edu.ge>

<https://silkroad.ibsu.edu.ge>

silkroad@ibsu.edu.ge